ISSN 0132—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

## 7-8

1993

# მნათობი

წელიწადი 69-ე    № 7–8    ივლისი-აგვისტო, 1993 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

ბიბლია, ძველი აღთქმა. გაგრძელება . . . . . . . . . . 3

### პროზა, პოეზია

რეზო ჭეიშვილი — ასკილის წითელი ყვავილი. . . . . . . . . . 29
დავით მჭედლური — ლექსები . . . . . . . . . . . . 107
ბიბლა სარიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 111
მიხო მოსულიშვილი — კლდედ მომევლინა ფათერაკი. მოთხრობა . . . . . . 114
დარეჯან ბატიაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 130
თენგიზ ბუაჩიძე — ნამცეცები. გაგრძელება . . . . . . . . . 134

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

კალისტრატე სალია — ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან . . . . . . 144
ლანა კალანდია — ბედისწერა და არჩევანი . . . . . . . . . . 153

### მეცნიერება

მარინა ჩხარტიშვილი — სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ თარიღისა და ატრიბუციისათვის . . . . . . . . . . 167
დავით ნინიძე — ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის . . . . . . . . . 175

### მოგონებები, ფაქტები

ზინა მჭედლური — ნათელა დედაბრიშვილის მოგონება შიო არაგვისპირელზე 183

### წიგნების მიმოხილვა

ჯონდო გვასალია — ახალი ნაშრომი საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში 186

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბიბლია, ძველი აღთქმა

## თავი პირველი

1. ხილვა ესაიასი, ამოცის ძისა, იუ-
დაზე და იერუსალიმზე რომ იხილა,
იუდას მეფეების — ყუზიას, იოთამის,
ახაზის და ხიზკიაჰუს დროს. 2. ისმინე,
ცაო, ყური მიგდე, მიწავ! რადგან უფა-
ლი ლაპარაკობს. შვილები აღვზარდე და
აღვაზევე, ისინი კი განმიდგნენ 3. ხარმა
იცის თავისი მფლობელი და ვირმა თა-
ვისი პატრონის ბაგა, ისრაელმა კი არ
იცის; ჩემს ერს არაფრის გაგება არა
აქვს. 4. ვაი, ბრალეულო ხალხო, ცოდ-
ვით დამძიმებულო ერო, ბოროტეულთა
მოდგმავ, წარწყმედილო შვილებო! მი-
ტოვებული ჰყავთ უფალი, დაგმობილი
ჰყავთ ისრაელის წმიდა, ზურგი შეუქცე-
ვიათ! 5. სად რა უნდა მოგხვდეთ კიდევ,
ურჩობას რომ აგრძელებთ? მთელი თავი
დასნეულებული გაქვთ, გული — შელო-
ნებული. 6. ტერფიდან თხემამდე საღი
ადგილი აღარ შეგრჩათ: ყველგან ჭრი-
ლობა და წყლული, დაჩირქებული ია-
რები, გამოურწყველი და შეუხვეველი,
მალამოთი დაუამებელი. 7. მოოხრებუ-
ლია თქვენი ქვეყანა, გადამწვარია თქვე-
ნი ქალაქები, თქვენს მინდვრებს გადამ-
თიელნი ჭამენ თქვენს თვალწინ და მო-
ოხრებულია, თითქოს ურდოებს დაერ-
ბიოთ. 8. დარჩა **სიონის ასული,** რო-
გორც ქოხი ნავენახარში, როგორც ხულა
ნაბოსტნარში, როგორც ალყაშემორტყ-
მული ქალაქი. 9. ეს **მცირე ნატამალი**
რომ არ დაერჩინა ჩვენთვის ცაბაოთ
უფალს, სოდომად ვიქცეოდით, გომორას
დავემსგავსებოდით! 10. ისმინეთ უფლის
სიტყვა, თქვე სოდომის მთავრებო! ყუ-
რადიღეთ ჩვენი ღვთის რჯული, თქვე
გომორელებო! 11. რას ვაქნევ თქვენს
უზომო საკლავებს, ამბობს უფალი. გამ-
ძღარი ვარ თქვენი აღსავლენი ვერძებით
და კურატების ქონით. აღარ მსურს
მოზვრების, კრავებისა და ვაცების სის-
ხლი! 12. რომ მოდიხართ და პირისპირ
მეცხადებით, ვინ დაგავალათ ჩემი ეზოე-
ბის თელვა? 13. ნუღა მომიტანთ მაგ
ფუჭ შესაწირავს, საძაგელია ჩემთვის
საკმეველი, ახალმთვარობა და შაბა-
თი; ჯარობა ველარ ამიტანია! უკე-
თურება და დღესასწაული? 14. თქვენი
ახალმთვარობები და დღესასწაულები შე-
იძულა ჩემმა სულმა, ტვირთად დამაწვა,
დავიღალე მათი ზიდვით. 15. ხელებს რომ
აღაპყრობთ, თვალს გარიდებთ; ლოც-
ვებსაც რომ მიმრავლებთ, არ ვისმენ;
ხელები სისხლითა გაქვთ სავსე! 16. გა-
ნიბანეთ, განიწმიდეთ, ავი საქმეები
თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ
ბოროტის ქმნა. 17. სიკეთის ქმნა ისწავ-
ლეთ, ეძიეთ სამართალი, შეეწიეთ ჩაგ-
რულს, განიკითხეთ ობოლი, ქვრივს გა-
მოესარჩლეთ. 18. მერე მოდით და ცი-
ლობა ვყოთ, ამბობს უფალი: მეწამულიც
რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით
გასპეტაკდება; ჭიაფერივით წითელიც
რომ იყოს, მატყლის ფთილასავით გახ-
დება. 19. თუ მორჩილნი იქნებით და
გამგონენი, მიწის დოვლათს შეჭამთ;

---

• გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 5-6.

**20.** თუ განდგებით და გაურჩდებით, მახ-
ვილი შეგჭამთ! რადგან უფლის ბაგენი
მეტყველებენ. **21. როგორ ქცეულა მეძა-**
**ვად ერთგული ქალაქი!** სამართლით სავ-
სე იყო, სიმართლე სუფევდა იქ, ახლა
კი კაცისმკვლელები არიან. **22. ხენჯად**
**იქცა** შენი ვერცხლი, შენს ღვინოს წყა-
ლი შეერია. **23.** შენი მთავრები განდ-
გომილნი არიან და ქურდთა თანამზრახ-
ველები; ყველას ქრთამი უყვარს და მო-
საკითხებზე ნადირობენ; ობოლს არ გა-
ნიკითხავენ და ქვრივის საჩივარი არ
სწვდებათ. **24.** ამიტომ ამბობს მეუფე,
ცაბაოთ უფალი, ისრაელის ძლიერი: ოჰ,
როგორ ამოვიყრი ჩემს მოსისხლეთა
ჯავრს, როგორ ვიძიებ შურს ჩემს
მტრებზე! **25.** მოვაქცევ შენკენ ხელს და,
თითქოს **ტუტეში გამეფეროს შენი ხენ-**
**ჯიანი ვერცხლი, ყოველგვარ მინარევს**
**მოგაცილებ.** **26.** მოვაქცევ შენს მსაჯუ-
ლებს, როგორც წინათ იყვნენ, და შენს
მრჩეველებს, როგორც დასაწყისში იყვ-
ნენ; ამის შემდეგ **სიმართლის ქალაქი**
**დაგერქმევა, უტყუარი სატახტო.** **27.** სი-
ონი სამართლით გამოისყიდება და მის-
კენ მოქცეულნი — სიმართლით! **28.** დამ-
ნაშავენი და ცოდვილნი ერთად გაწყ-
დებიან და უფლის მიმტოვებელნი დაი-
ღუპებიან. **29. რადგან** შერცხვენილნი
იქნებიან მუხების გამო, რომელთაც შე-
ჰხაროდით, და გაწბილდებიან, ბაღების
გამო, რომლებიც აირჩიეთ. **30.** რადგან
ფოთოლდამჭკნარ მუხასავით და ურწყა-
ვი ბაღივით შეიქნებით. **31.** ძლიერი
ძენძად იქცევა და მისი საქმე — ნაპერ-
წკლად; ორივე ერთად აბრიალდება და
ჩამქრობი არავინ იქნება.

## თავი მეორე

**1.** სიტყვა რომელიც იხილა ის-
აიამ, ამოცის ძემ, იუდაზე და იე-
რუსალიმზე. **2.** უკანასკნელ დღეებ-
ში იქნება, რომ უფლის სახლის მთა
მთათა სათავეში დადგინდება, ამაღლდება, ალიმარ-
თება მწვერვალებზე მაღლა და ყოველი
ერი მისკენ დაიწყებს დენას. **3.** დაიძრე-
ბა უთვალავი ხალხი და იტყვის: მოდი,
ავიდეთ უფლის მთაზე, იაკობის სახლ-
ში; გვასწავლოს თავისი გზები და მისი
ბილიკებით ვიაროთ; **რადგან რჯული**
**სიონიდან გამოვა და უფლის სიტყვა —**
**იერუსალიმიდან.** **4.** სამართალს განიკი-
თხავს იგი ერებს შორის და ამხილებს
უთვალავ ხალხს; მახვილებისგან სახნი-
სებს გამოჭედავენ და შუბებისგან — ნამ-
გლებს, ერი ერზე აღარ აღმართავს მახ-
ვილს და აღარავინ ისწავლის ომს. **5.**
ჰოი, იაკობის სახლო! მოდით და უფლის
ნათელში ვიაროთ! **6.** მაგრამ შენ მოიკ-
ვეთე შენი ერი, იაკობის სახლი, რადგან
აღმოსავლეთით ავსებულან ისინი და
ჯადოქრობით ფილისტიმელთა მსგავ-
სად; უცხო თესლთა შვილებთან გადასკ-
ვნილან. **7.** ავსებულა მათი ქვეყანა ოქ-
რო-ვერცხლით და ბოლო არ უჩანს მათ
საგანძურებს; ავსებულა მათი ქვეყანა
ცხენებით და ბოლო არ უჩანს მათ ეტ-
ლებს. **8.** ავსებულა მათი ქვეყანა კერპე-
ბით და ეთაყვანებიან საკუთარ ნახელავს,
რაც მათმა თითებმა გამოძერწა. **9.** დამ-
ცირდა ადამიანი, დამდაბლდა კაცი, შენ
კი არ პატიობ მათ. **10.** კლდეში შეას-
წარ, მიწაში ჩაემალე უფლის ზარტეხილს
და მისი სიდიადის ელვარებას! **11.** დამ-
დაბლდება ადამიანის ამაყი მზერა და
კაცთა მედიდურება დამცირდება, მხო-
ლოდ უფალი იქნება მაღალი **იმ დღეს!**
**12.** რადგან დაუდგება ცაბაოთ უფლის
**დღე** ყველა ამაყსა და მედიდურს, ყვე-
ლა აღზევებულს, და დამდაბლდება. **13.**
ყველა ლიბანურ ნაძვს, მაღალს და აზი-
დულს, ყველა ბაშანურ მუხას, **14.** ყვე-
ლა მაღალ მთასა და ყველა აზიდულ
მწვერვალს, **15.** ყველა მაღალ გოდოლს
და ყველა გამაგრებულ გალავანს, **16.**
ყველა თარშიშულ ხომალდს და ყველა
თვალწარმტაც მორთულობას. **17.** დამ-
ცირდება ადამიანის სიამაყე და კაცთა
მედიდურება დამდაბლდება, მხოლოდ
უფალი იქნება მაღალი იმ დღეს. **18.** და
ყოველგვარი კერპი გაცამტვერდება. **19.**
შევლენ კლდის ქვაბებში და მიწის ნაპ-
რალებში დაემალება ხალხი უფლის
ზარტეხილს და მისი სიდიადის ელვა-
რებას, როცა ქვეყნის შესაზარად შეი-

მართება. 20. იმ დღეს კაცი თხუნელებსა
და ღამურებს გადაუყრის თავის ვერცხ-
ლის კერპებს და თავის ოქროს კერპებს,
სათაყვანოდ რომ გაიკეთა. 21. რათა
კლდეთა მღვიმეებში და პიტალოთა
ბზარებში დაემალოს უფლის ზარტე-
ხილს და მისი სიდიადის ელვარებას,
როცა ქვეყნის შესაზარად შეიმართება.
22. ბარემ გაეცალეთ ადამიანს, ნესტო-
ებში რომ უდგას სული, რადგან რაღა
ღირსება აქვს მას?

## თავი მესამე

1. რადგან, აჰა, მეუფე, ცაბაოთ უფა-
ლი, წაართმევს იერუსალიმს და იუ-
დას სახსარს და სასოს, პურის მთელ
სახსარს და წყლის მთელ სახსარს; 2.
ვაჟკაცს და მეომარს, მსაჯულს და ქა-
დაგს, მისანს და უხუცესს, 3. ორმოც-
დაათისთავს და დიდებულს, მრჩეველს
და ბრძენ ხელოვანს, გრძნეულ შემლო-
ცველს. 4. სარდლებად ბიჭ-ბუჭებს და-
ვუდგენ და ქარაფშუტები იბატონებენ
მათზე. 5. დაითრგუნება ხალხი, კაცი
კაცს დაჩაგრავს, მოყვასი მოყვასს; ბავ-
შვი გაუმედიდურდება მოხუცს, უღირსი —
პატივდებულს. 6. რადგან კაცი დაიჭერს
თავის ძმას თავის მამის სახლში: სამო-
სელი გქონია, გაგვიხდი მთავრად, შენს
ხელთ ქვეშ იყოს ეს ნანგრევები. 7. და-
ფიცებს იმ დღეს და იტყვის: ვერ ვიქ-
ნები განმკვეთელი, არა მაქვსო სახლში
პური, არც სამოსელი, ნუ დამადგენ
ერის მთავრადო. 8. რადგან დაემხო იერუ-
სალიმი და დაეცა იუდა, რადგან მათი
სიტყვა და საქმე შეურაცხყოფაა უფლი-
სათვის, უპატიობაა მისი დიდების
თვალში. 9. მათივე გამომეტყველება
ამხილებს მათ და სოდომელებივით აც-
ხადებენ თავიანთ ცოდვას, არ მალავენ,
ვაი მათ სულს! ბოროტება მიაგეს საკუ-
თარ თავს! 10. უთხარით მართალს,
რომ სიკეთეს ეწევა, რომ ყველა თავის
ნამოქმედარს შეჭამს. 11. ვაი უკეთურს,
ბოროტეულს, რადგან მოიმკის თავისი
ხელის ნამოქმედარს! 12. ჩემს ერს ბავ-
შვები ჩაგრავენ და დიაცები უბატონდე-
ბიან. ჩემო ერო, შენმა მეგზურებმა და-
გაბნიეს და გზა-კვალი აგირიეს! 13.
წარდგა სამხილებლად უფალი და დგას
ხალხთა განსასჯელად. 14. უფალი
მსჯავრს სდებს თავისი ერის უხუცესებს
და თავკაცებს: თქვენ გააჩანაგეთ ვენა-
ხი, ღარიბ-ღატაკთაგან წართმეული
აგივსიათ სახლები. 15. რატომ თელავთ
ჩემ ერს და აჭირვებთ ღარიბ-ღატაკთ?
ამბობს მეუფე, ცაბაოთ უფალი. 16.
თქვა უფალმა: რაკი გამედიდურდნენ
სიონის ასულნი, ყელმოღერებით და
ურცხვი მზერით მიმოდიან, ლაღად მო-
სეირნობენ და ფეხებზე რგოლებს მოა-
ჟღარუნებენ, 17. თავს გაუქაჩლებს მე-
უფე სიონის ასულთ და სარცხვენელს
გაუშიშვლებს მათ. 18. იმ დღეს აართ-
მევს მათ მეუფე ფეხსამკაულ შიბებს,
თავსაკრავებს და ყელსაბამებს, 19. სა-
ყურეებს, სამაჯურებს და პირბადეებს,
20. ჯიღებს, ფეხსამკაულებს და სარ-
ტყლებს, სუნამოს ჭურჭლებს და ავგა-
როზებს, 21. ბეჭდებს და ნესტოს რგო-
ლებს, 22. ძვირფას შესამოსელს, მოსას-
ხამებს, მანდილებს და ქისებს, 23. სარ-
კეებს, პერანგებს, თავსაბურველს და ზა-
ლათებს. 24. სურნელების ნაცვლად
აყროლება იქნება, სარტყლის ნაცვლად
ექნებათ ჯვალო, ნაწნავ-კულულების
ნაცვლად სიქაჩლე, მოსასხამის ნაცვ-
ლად 25. ტომარა, მშვენების ნაცვლად
ცეცხლის დაღი. 26. შენი ვაჟკაცები
მახვილისგან დაეცემიან და შენი გმირე-
ბი ბრძოლაში დაიხოცებიან. 27. მისი
კარიბჭენი მოჰყვებიან მოთქმას და გო-
დებას, თვად კი მტვერში იჯდება იავარ-
ქმნილი.

## თავი მეოთხე

1. ჩაებღაუჭება შვიდი დედაკაცი ერთ
მამაკაცს იმ დღეს და ეტყვის: ჩვენ
ჩვენს პურს შევჭამთ და ჩვენი საკუთა-
რი სამოსელით შევიმოსებით, ოღონდ
შენი სახელი დაგვეწეროს, აგვხადე სირ-
ცხვილი. 2. იმ დღეს იქცევა უფლის

**მორჩი** მშვენებად და პატივად, და მი-
წისნაყოფი ღირსებად და დიდებად ის-
რაელის **ნატამალისთვის**. **3.** სიონს **შე-
მონახული** და იერუსალიმში **დარჩენილი**
წმიდად იქნება წოდებული – ყველა,
ვინც განწესებულია იერუსალიმში სა-
სიცოცხლოდ; **4.** როცა ჩამორეცხავს მე-
უფე მწვირეს სიონის ასულებს და გაწ-
მედს იერუსალიმის წიაღს სისხლისა-
გან განკითხვის სულით და ხანძრის
სულით. **5.** მაშინ შექმნის უფალი სიონის
მთის ყოველ ადგილზე და ყოველ საკ-
რებულოს თავზე **ნისლსა** და **კვამლს**
დღისით და **ცეცხლის ნათებას** ღამით,
რადგან ყოველ დიდებას საფარველი გა-
დაეფარება. **6.** კარავი ჩრდილად იქნე-
ბა დღის პაპანებაში და თავშესაფრად
და საყუდრად ავდარსა და წვიმაში.

## თავი მეხუთე

**1.** ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყ-
ვარულის სიმღერას **მის ვენახზე**. ჰქონ-
და ვენახი ნაყოფიერ გორაკზე ჩემს შეყ-
ვარებულს. **2.** დაბარა, ქვები ამოყარა,
დარგო წითელი ვაზი, ჩადგა კოშკი მის
შუაგულში, საწნახელიც ამოკვეთა იქ
და დაელოდა, ვიდრე სავსე მტევნებს
გამოიღებდა. მაგრამ ხენეში ნაყოფი გა-
მოიღო. **3.** ახლა განგვსაჯეთ, იერუსა-
ლიმის მცხოვრებნო და იუდას ხალხო,
მე და ჩემი ვენახი. **4.** კიდევ რა უნდა
გამეკეთებინა ჩემი ვენახისთვის და რა
დავაკელი? რატომ გამოიღო ხენეში ნა-
ყოფი, როცა სავსე მტევნებს ველოდი?
**5.** ახლა გაგიცხადებთ, რას დავმართებ
ჩემს ვენახს: ღობეს მოვურღვევ, რომ
გაპარტახდეს; ზღუდეს მოვუნგრევ, რომ
გაითელოს. **6.** გავაველურებ, არ გაის-
ხლება და არ დაიბარება, და ამოვა იქ
ნარი და ეკალი, ღრუბლებს ვუბრძანებ,
წვიმა არ აწვიმოს მათზე. **7.** რადგან
ცაბაოთ **უფლის ვენახი ისრაელის სახ-
ლი და იუდას ხალხია**, მისი **სანატრე-
ლი ნერგი**, სამართალს მოელოდა და,
აჰა, სისხლის ღვრაა! სიმართლეს და,
აჰა, სასოწარკვეთილი ძახილია!.. **8.** ვაი
თქვენ, სახლების სახლებზე მიმდგმელ-
ნო და და ყანების ყანებზე მიმჯრელნი,
რომ ადგილი აღარსად დარჩა და თქვენს
გარდა აღარავინ ცხოვრობს ქვეყანაში!
**9.** ყურში ჩამესმა ცაბაოთ უფლისგან:
მრავალი სახლი გაუდაბურდება, დიდნი
და კეთილნაგებნი გაუკაცრიელდებიან.
**10.** ნამდვილად, ათ ქცევა ვენახში ერთი
ბათიც არ მოვა და ერთი ხომერი თეს-
ლიდან ერთი ეფაც არ მოვა! **11.** ვაი
მათ, დილაადრიანვე დასალევს რომ ეძე-
ბენ და გვიანობამდე ღვინით ხურდებიან!
**12.** ებანი, ქნარი, დოლი, სტვირი და
ღვინო მათი ლხინია; არ უყურებენ
ღვთის საქმეს და მისი ხელის ნამოქ-
მედარს ვერ ხედავენ. **13.** ამიტომ დატ-
ყვევდება ჩემი ერი უგუნურებისთვის; მისი
დიდებულები შიმშილით გაწყდებიან და
მის მდაბიორებს წყურვილი გაახმობს.
**14.** ამიტომაც გაფართოვდა შავეთი და
ხახა უსაზომოდ დააფჩინა. ჩახდება იქ
მისი დიდება და უხვება, მისი შვება და
ლხენა; **15.** მოდრკება ადამის ძე და კა-
ცი დამდაბლდება, ამპარტავანთა თვალი
დაიხრება. **16.** მაგრამ აღზევდება ცაბა-
ოთ უფალი სამსჯავროზე და წმიდა
ღმერთი იწმიდებს სამართალში. **17.** გა-
იკვებებიან ცხვრები თავიანთ ფარეხში
და ნასუქალთა ნარჩენებს ხიზნები შე-
ჭამენ. **18.** ვაი მათ, გარყვნილების თო-
კებით რომ იზიდავენ დანაშაულს და
თითქოს ეტლის ალვირებით – ცოდვას.
**19.** რომ ამბობენ: ისწრაფოს, დააჩქა-
როს თავისი საქმე, რომ ვიხილოთ; მო-
ახლოვდეს, მოვიდეს განგება ისრაელის
წმიდისა, რომ მივხვდეთ. **20.** ვაი მათ,
ვინც ბოროტებას სიკეთეს არქმევს და
სიკეთეს – ბოროტებას; ვინც ბნელს
ნათლად სახავს და ნათელს – ბნელად,
სიმწარეს სიტკბოდ სახავს და სიტკ-
ბოს – სიმწარედ! **21.** ვაი ბრძენებს თა-
ვიანთ თვალში და გონიერთ თავიანთი
ჭკუით! **22.** ვაი გმირებს ღვინის სმაში
და ვაჟკაცებს სასმელის გაზავებაში!
**23.** ვაი დამნაშავის გამამართლებელს
ქრთამის გულისთვის და ალალმართლის
გამამტყუნებელს! **24.** როგორც ცეცხ-
ლის ენა ჭამს ჩალას და ალი ბუგავს თი-

ვას, ასე ჩალპება მათი ფესვი და გაცამტვერდება მათი ყვავილი, რადგან შეიძულეს ცაბაოთ უფლის რჯული და ისრაელის წმიდის შეგონება არად ჩააგდეს. **25.** ამიტომ აინთო უფლის რისხვა თავისი ხალხის მიმართ, ხელი მოუღერა მათ და დაჰკრა, შეიძრხენ მთები და მათი გვამები ნაგავივით ეყარა ქუჩებში; მაინც არ დაცხრა მისი რისხვა და კვლავ მოღერებულია მისი ხელი. **26.** შორიდან აღუმართავს დროშა ხალხებს, სტვენით მოუხმობს ქვეყნის კიდიდან და ისიც ქარის უსწრაფესად გაჩნდება. **27.** არავინ იქნება დამაშვრალი მათ შორის, არც შებარბაცებული; არ ჩათვლემს, არ დაიძინებს, სარტყელი არ შეეხსნება წელზე და ფეხსამოსის თასმები არ დაუწყდება. **28.** წამახული აქვს ისრები და ყველა მშვილდი მოზიდული აქვს; კაჟივითაა მისი ცხენის ფლოქვები და მისი ეტლის ბორბლები ქარიშხალია. **29.** მისი ღრიალი ლომის ღრიალია, ლომის ბოკვერებივით ბღლვინავს; დაიღრიალებს და მსხვერპლს დაეცემა, გაიტაცებს და ვერავინ იხსნის. **30.** დაუღრიალებს იმ დღეს, როგორც ზღვა ღრიალებს; დახედავს მიწას კაცი და, აჰა, წყვდიადი და წუხილი! ნათელი დაბნელდება მისი ჯანღებისგან.

## თავი მეექვსე

**1.** მეფე ყუზიას სიკვდილის წელს ვიხილე უფალი, მჯდარი ამაღლებულ, ზეამართულ ტახტზე და მისი კალთები ავსებდა ტაძარს. **2.** თავთით სერაფიმები ედგნენ, ექვს-ექვსი ფრთა ესხა თითოეულს; ორით სახეს იფარავდნენ, ორით ფეხებს იფარავდნენ, ორით ფრენდნენ... **3.** ერთიმეორეს გასძახოდნენ და ამბობდნენ: წმიდაა! წმიდაა! წმიდაა ცაბაოთ უფალი! მისი დიდებით სავსეა ქვეყნიერება! **4.** შეიძრა ზღურბლთა საძირკვლები ამ მძახილის ხმაზე და **კვამლით აივსო სახლი.** **5.** ვიფიქრე: ვაი მე, დავიღუპე, რადგან ბაგეუწმინდური **კაცი ვარ** და ბაგეუწმინდურ ხალხში ვცხოვრობ-მეთქი, ჩემმა თვალებმა კი მეუფე, ცაბაოთ უფალი იხილეს. **6.** მოფრინდა ჩემთან ერთ-ერთი სერაფიმი და ხელში სამსხვერპლოდან აღებული მუგუზალი ეჭირა მაშით. **7.** ბაგეზე შემახო და მითხრა: აჰა, შეეხო ეს შენს ბაგეს და მოგცილდა უკეთურება, მიტევებულია შენი ცოდვა. **8.** მომესმა ხმა მეუფისა, რომელიც ამბობდა: ვინ მივავლინო და ვინ გაგვეგზავნება? ვთქვი: აჰა, მიმავლინე. **9.** თქვა: წადი და უთხარი მაგ ხალხს: სმენით მოისმენთ, მაგრამ ვერ გაიგებთ; ხილვით იხილავთ, მაგრამ ვერ მიხვდებით. **10.** უგრძნობი გახადე მაგ ხალხის გული, სასმენელნი დაუმძიმე და სახედველნი აუხვიე, რომ თვალით ვერ ხედავდეს, ყურით ვერ ისმენდეს, გულით ვერ ხვდებოდეს, რომ არ მოიქცეს და არ განიკურნოს. **11.** ვთქვი: როდემდის, უფალო? თქვა: ვიდრე ქალაქები უმკვიდროდ არ გადაშენდება, სახლები არ გაუკაცრიელდება და მიწა არ გაუდაბურდება. **12.** გადახვეწავს ადამიანებს უფალი და დიდი უდაბურება დასადგურდება ქვეყანაში. **13.** კიდევ მეათედი დარჩება მათგან და ისიც გადაიბუგება. მაგრამ როგორც მოჭრილ ბელეკონს და მუხას რჩება ძირი, ასე **წმიდა მოდგმა** იქნება მათი ძირი.

## თავი მეშვიდე

**1.** იუდას მეფის ახაზის დროს, იოთამის ძისა, ყუზიას ძისა, გამოვიდნენ რეცონ არამის მეფე და ფეკახ რემალიას ძე, ისრაელის მეფე, იერუსალიმის ასაღებად, მაგრამ ვერ აიღეს. **2.** ემცნო დავითის სახლს: ეფრემში დაბანაკდა არამი. მაშინ შეირხა მისი გული და მისი ხალხის გული, როგორც ხეები ირხევიან ტყეში ქარისაგან. **3.** უთხრა უფალმა ესაიას: წადით შენ და შენი შვილი **შვარ-იაშუბი** და შეხვდით ახაზს ზემო ტბორის წყალსადენის ბოლოს, მრეცხავთა მინდვრის გზაზე. **4.** და უთ-

ხარი: მშვიდად იყავი, ნუ შეშინდები და
გულს ნუ შეგიღონებს აკვამლებული
მუგუზლების ეს ორი კუდი — რეცინ
არამელისა და რემალიას ძის სიბრაზე.
**5.** რადგან შეითქვნენ შენს წინააღმდეგ
არამი, ეფრემი და რემალიას ძე და
თქვეს: **6.** გავილაშქროთ იუდაზე, და-
ვცეთ და გავტეხოთ, დავუსვათ მეფედ
ტაბეალის ძე. **7.** ასე ამბობს უფალი
ღმერთი: ეს არ მოხდება, ეს არ იქნება!
**8.** რადგან არამის თავი დამასკოა და და-
მასკოს თავი — რეცინი. **კიდევ სა-
მოცდახუთი წელი და მოსწყდება ერს
ეფრემი. 9.** ეფრემის თავი სამარიაა და
სამარიის თავი—რემალიას ძე. თუ არ გჯე-
რათ, ურწმუნონი ყოფილხართ. **10.** კიდევ
ელაპარაკა უფალი ახაზს და უთხრა: **11.**
მოსთხოვე უფალს, შენს ღმერთს, შენთ-
ვის ნიშანი დაბლა ქვესკნელიდან ან მა-
ღლა ზესკნელიდან **12.** უთხრა ახაზმა:
არ მოვთხოვ და არ გამოვცდი უფალს.
**13.** უთხრა: ახლა ისმინე, დავითის სახ-
ლო! არ კმარა შენთვის, რომ ხალხს
აღონებ, ახლა ჩემი ღმერთიც გინდა შე-
აღონო? **14.** ამიტომ თავად მოგცემს
მეუფე ნიშანს: აჰა, **მუცლადიღებს ქალ-
წული და შობს ძეს, და უწოდებს სახე-
ლად ემანუელს. 15. ერბოსა** და **თაფლს**
უნდა ჭამდეს, ვიდრე **ბოროტების უკუგ-
დებას და** სიკეთის არჩევას არ ისწავლის.
**16.** მაგრამ ვიდრე **ყრმა ისწავლიდეს
ბოროტის უკუგდებას და სიკეთის არ-
ჩევას,** გაუდაბურდება ეს მიწა, რომელ-
საც შენ მისი ორი მეფის გამო განუდექი;
**17.**ისეთ დღეებს მოგივლენს უფალი
შენ და შენს ხალხს, და შენი მამის
სახლს, როგორიც არ დამდგარა იუ-
დასგან ეფრემის განდგომის დღიდან —
მოგივლენს აშურის მეფეს. **18.** იმ დღეს
სტვენით მოუხმობს უფალი ბუზებს,
ეგვიპტის ჭაობებში რომ არიან, და
ფუტკრებს, აშურის ქვეყანაში რომ არი-
ან. **19.** მოვლენ და შეესევიან გაუდაბუ-
რებულ ხეობებს, კლდეთა ნაპრალებს,
ყოველ ძეძვნარს და ყოველ საძოვარს.
**20.** იმ დღეს გადაუპარსავს ჩემი მეუფე
მდინარის გაღმიდან ნაქირავები სამარ-
თებლით — აშურის მეფით — თავს და
ფეხის ბალანს და წვერსაც მოჰკვეცავს.
**21.** იმ დღეს გამოზრდის კაცი ერთ დე-
კეულს და ორ ცხვარს. **22.** რა რძესაც
მოიწველიან, იმის ერბოს შეჭამს, რად-
გან **ერბოთი და თაფლით გამოიკვებება
ქვეყანაში დარჩენილი მთელი ხალხი.**
**23.** იმ დღეს ყოველი ადგილი, სადაც
ათასი ვერცხლის საღირალი ათასი ძი-
რი **ვაზი იყო ჩაყრილი, ჯაგნარად და
ეკალ-ნარად გადაიქცევა. 24.** მშვილდ-
ისრებით შემოვლენ იქ, რადგან მთელი
ქვეყანა ჯაგნარად და ეკალნარად იქნე-
ბა გადაქცეული. **25.** ვერც ერთ მთაზე,
რომელიც თოხით ითოხნებოდა, ვერ
მიხვალ ჯაგნარისა და ეკალნარის ში-
შით; ხარების გასარეკი და ცხვრების
გასათელი გახდება იგი.

## თავი მერვე

**1.** მითხრა უფალმა: აიღე დიდი დაფა
და ზედ გარკვევით დაწერე: იჩქარე სა-
თარეშოდ, ისწრაფე საძარცვავად. **2.** ავი-
ყვანე სანდო მოწმეები — ურია მღვდე-
ლი და ზაქარია ბარაქიას ძე. **3.** დავუ-
ახლოვდი ქადაგ ქალს, რომელმაც მუც-
ლადიღო და შვა ვაჟი. მითხრა უფალ-
მა: **დაარქვი სახელად მაჰერ-შალალ
ხაშ-ბაზ (იჩქარე სათარეშოდ, ისწრაფე
საძარცვავად). 4.** რადგან, ვიდრე ყმაწ-
ვილი ისწავლიდეს დაძახებას: მამი და
დედი, დამასკოს დოვლათს და სამარიის
ნადავლს აშურის მეფეს მიუტანენ. **5.**
კიდევ მელაპარაკა უფალი და ასე მითხ-
რა: **6.** რაკი შეიძულა ამ ხალხმა სი-
ლოამის მდორე წყალი და შეჰხარის
რეცინს და რემალიას ძეს, **7.** ამიტომაც
მიაქცევს მათზე ჩემი მეუფე ძლიერ და
უზღვავ წყალს (აშურის მეფეს და
მთელ მის დიდებას); აპირთავდება მი-
სი კალაპოტი და გადაილევრება ნაპი-
რებზე. **8.** შეაღწევს იუდაში, დატბო-
რავს და ანიაღვრდება, კისრამდე ასწვ-
დება; ფრთებს გაშლის, აავსებს შე-
ნი ქვეყნის სივრცე-განს ემანუელს!.. **9.**

დაეცით ყიჟინა, ხალხებო, და ძრწოდეთ!
ყური უგდეთ, შორი ქვეყნისანო! იარა-
ლი აისხით და ძრწოდეთ! იარაღი აის-
ხით და ძრწოდეთ! **10.** ქმენით თათბი-
რი, გაცუდდება! თქვით სიტყვა, არ
შესრულდება, რადგან ჩვენთან არის
ღმერთი (ე მ ა ნ უ ე ლ). **11.** რადგან
ასე მითხრა უფალმა, როცა ხელი ჩა-
მავლო და გამაფრთხილა, არ მევლო ამ
ხალხის გზით. **12.** ნუ დაარქმევთ შეთ-
ქმულებას ყველაფერს, რასაც ეს ხალ-
ხი შეთქმულებას არქმევს და მისი შე-
მაშინებელი ნუ შეგაშინებთ, ნუ შეგ-
ზარავთ. **13.** მხოლოდ ცაბაოთ უფალს
ეკრძალეთ, ის არის თქვენი შემაშინე-
ბელი და თქვენი შემზარავი. **14.** ის იქ-
ნება საწმიდრად და დაბრკოლების
ლოდად და წაფორხილების კლდედ ის-
რაელის ორი სახლისთვის, ბადედ და
მახედ იერუსალიმის მკვიდრისათვის.
**15.** ბევრი წაიფორხილებს მასზე, დაე-
ცემიან და დაილეწებიან, გაებმებიან და
გაიხლართებიან. **16.** შეჰკარი ეს ანდე-
რძი, დაბეჭდე რჯული ჩემს მოწაფეებ-
ში. **17.** მე ველი უფალს, რომელიც პირს
იფარავს იაკობის სახლისგან, და ვესავ
მას. **18. აჰა, მე და ეს ბავშვები, უფალმა
რომ მომცა, ნიშებად და სასწაულებად ის-
რაელში** ბიბაოთ უფლისგან, რომელიც
სიონის მთაზეა დავანებული. **19.** თუ გი-
თხრეს: დაეკითხეთო მესულთანეებს და
ჯადოქრებს, რომ ჩურჩულებენ და
სტვენენ, — განა თავის ღმერთებს არ
ეკითხება ხალხი, განა მკვდრებს ეკით-
ხება ცოცხალთა გამო? **20.** თუ რჯულ-
სა და ანდერძსო! თუ არ ამბობენ ამ
სიტყვის მიხედვით, რომელსაც არა
აქვს აზრი? **21** ჩაივლის იქ გატანჯუ-
ლი და მშიერი. როცა დაიმშევა, გაავ-
დება, გმობას დაუწყებს თავის მეფეს და
თავის ღმერთს და მაღლა აიხედავს. **22.**
მიწას დახედავს და, აჰა, დაინახავს გა-
საჭირს და სიბნელეს — წყვდიადს გა-
ნუჭვრეტელს და უკუნეთში გაიტყორ-
ცნება. **23.** მაგრამ აღარ იქნება წყვდი-
ადი შეჭირვებულისთვის. როგორც წინა
დროებამ დაამცირა ზებულუნის ქვეყა-
ნა და ნაფთალის ქვეყანა, ასე უკანას-
კნელ დროს განადიდებს ზღვისპირეთს,
წიაღიორდანეს და წარმართთა გალი-
ლეას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მეცხრე

**1. ხალხმა, ბნელში მოარულმა, იხი-
ლა ნათელი დიდი,** წყვდიადის ქვეყა-
ნაში მცხოვრებლებს **ნათელი გამოუბრ-
წყინდა.** **2.** შენ გაამრავლე ხალხი, გაუ-
ზარდე მას სიხარული; მხიარულობდნენ
შენ წინაშე, როგორც მკის დროს იციან
სიხარული, როგორც ხარობენ ნადავ-
ლის გაყოფისას. **3.** რადგან შენ დალეწე
მისი კირთების უღელი, და მისი ბეჭე-
ბის კეტი — მისი დამჩაგვრელის კვერ-
თხი, როგორც **მიდიანის დღეს.** **4.** რად-
გან ყოველი ხამლი, ბრძოლაში ნატა-
რები, და სამოსელი, სისხლში ნათრე-
ვი, დასაწვავი იქნება, როგორც ცეცხ-
ლის კერძი. **5.** რადგან შეგვეძინა **შვი-
ლი, მოგვეცა ძე** და **უფლობა იყო მის
ბეჭებზე,** ეწოდა სახელად საკვირველი,
მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადი-
სობის მამა, მშვიდობის მთავარი. **6.**
ხელმწიფების განსადიდებლად და **უბო-
ლოო მშვიდობისთვის** დავითის ტახტ-
ზე და მის სამეფოში, მის განსამტკიცებ-
ლად და გასაძლიერებლად სამართალში
და სიმართლეში **აწ და მარადის.** ცა-
ბაოთ უფლის შური აღასრულებს ამას.
**7.** სიტყვა მოუვლინა უფალმა იაკობს
და გარდამოვიდა ისრაელზე. **8.** გაიგებს
მთელი ერი — ეფრემი და სამარიის
მკვიდრი, მედიდურად და გულდიდად
რომ ლაპარაკობს: **9.** აგურები ჩამოცვე-
ნილია, თლილი ქვებით დავიწყებთ შე-
ნებასო; ლელვსულელი გაჩეხილია, კე-
დარით შევცვლითო. **10.** აუმხედრებს
მას უფალი რეცინის მტრებს და ააგუ-
ლიანებს მის დუშმანებს. **11.** არამი
აღმოსავლეთიით და ფილისტიმელი და-
სავლეთიით — და პირაშკმით ჭამენ ის-
რაელს. მაინც არ დამცხრალა მისი რის-
ხვა და კვლავ მოღერებულია მისი ხე-
ლი. **12.** ხალხი არ მიქცეულა თავისი

მგვემელისკენ და ცაბაოთ უფალს არ
ეძიებს. **13.** მოსწყვიტა ისრაელს უფ-
ალმა თავი და კუდი, რტოები და ლერო
ერთ დღეს. **14.** მოხუცი და პატივდებული
თავია, სიცრუის ქადაგ-მოძღვარი კი —
კუდი. **15.** ამ ხალხს მისი წინამძღოლ-
ნი გზა-კვალს ურევენ და მათგან გამღო-
ლილნი იკარგებიან. **16.** ამიტომაც თა-
ვის ჭაბუკებზე არ ხარობს უფალი და
ქვრივ-ობლებს არ იბრალებს, რადგან
ყველანი უკუთურნი და ბოროტეულნი
არიან, და ყოველი პირი სიბილწეს ლა-
პარაკობს. მაინც არ დამცხრალა მისი
რისხვა და კვლავ მოღერებულია მისი
ხელი **17.** რადგან აღიგზნო ბოროტება
როგორც ცეცხლი, ძეძვისა და ნარ-ეკ-
ლის შემჭმელი აბრიალდება უსიერ
ტევრში და აღიმართება კვამლის სვე-
ტები. **18.** ცაბაოთ უფლის რისხვისაგან
დაბნელდება მიწა და ხალხი ცეცხლის
კერძი შეიქნება, ერთი მეორეს არ და-
ინდობს. **19.** მარჯვნივ გამოგლეჯს, მში-
ერი დარჩება; მარცხნივ შეჭამს, ვერ
გაძღება. ყველანი თავის მკლავის
ხორცს დაუწყებენ ჭამას. **20.** მენაშე ეფ-
რემს, ეფრემი მენაშეს, ორივენი ერთად
იუდას ესხმიან. მაინც არ დამცხრალა
მისი რისხვა და კვლავ მოღერებულია
მისი ხელი.

## თავი მეათე

**1.** ვაი უსამართლო განაჩენის გამომ-
ტანთ და უკანონო მსჯავრისმდებელთ,
**2.** სამართლისგან რომ განარიდებენ ღა-
რიბ-ღატაკთ, ამტყუნებენ ჩემი ერის
ჩაგრულს, ქვრივებს ნადავლად იტაცებენ
და ობლებს ძარცვავენ! **3.** რას იზამთ გან-
კითხვისა და დაქცევის **დღეს, შორიდან
რომ მოდის?** ვისთან გაიქცევით შეწევ-
ნისთვის და თქვენს დიდებას სად დატო-
ვებთ? **4.** ვინ სად ჩაიჩოქებს ტყვეთა
შორის, ვინ სად დაეცემა დახოცილთა
შორის! მაინც არ დამცხრალა მისი რის-
**ხვა** და კვლავ მოღერებულია მისი ხელი.
**5. ვაი** აშურს, კვერთხს ჩემი რისხვისა!
კეტი მათ ხელში ჩემი გულისწყრომაა.
**6.** ულვთო ხალხის წინააღმდეგ გავგზავ-
ნი და ჩემი რისხვის ხალხზე გალაშქრე-
ბას ვუბრძანებ, რომ დაატყვევოს და
გაძარცვოს, გათელოს ქუჩის ტალახი-
ვით. **7.** მაგრამ ის ასე არ განსჯის და
მისი გული ასე არ იზრახავს: განად-
გურებაა მის გულში და ხალხების ერ-
თიანად მოსპობა. **8.** რადგან ამბობს:
განა ჩემი მთავრები ყველანი მეფეები
არ არიან? **9.** განა ქალნო და ქარქემიში
ერთი არ არის? განა არფადი და ხამა-
თი ერთი არ არის? განა დამასკო და სა-
მარია ერთი არ არის? **10.** როგორც მი-
სწვდა ჩემი ხელი კერპთა სამეფოებს,
რომელთაც მეტი ჰყავთ ჩამოსხმული
ღმერთები, ვიდრე იერუსალიმს და სა-
მარიას, **11.** როგორც სამარიას და მის
კერპებს მოვექეცი, განა ისევე არ მო-
ვექცევი იერუსალიმს და მის სათაყვანებ-
ლებს? **12.** როცა **მოათავებს უფალი
ყველა თავის საქმეს სიონის მთაზე** და
იერუსალიმში, მაშინ მოვკითხავ აშურის
მეფეს მისი დიდგულობის ნაყოფს — მის
ქედმაღლურ მზერას. **13.** რადგან ნათ-
ქვამი აქვს: ჩემი ხელის ძალით ვქმენი
ეს და ჩემი სიბრძნით, რადგან გამჭრი-
ახი ვარ, მე გადავწიე ხალხთა სამანები
და გავძარცვე მათი საგანძურები, ბუმ-
ბერაზივით ჩამოვყარე ტახტებზე
მსხდომარენი. **14.** ბუდესავით მოძებნა
ჩემმა ხელმა ხალხთა საბადებელნი; მი-
ტოვებულ კვერცხებს რომ კრეფენ, ისე
ავკრიფე მთელი ქვეყანა, ფრთა არ შერ-
ხეულა, პირი არ გაღებულა, ხმა არ და-
ძრულა. **15.** თუ ეყოყოჩება ცული მჩე-
ხელს, თუ ედიდგულება ხერხი მხერ-
ხავს? ვითომ დაეღირება კვერთხი მის
მომქნევს, ვითომ თავისით აღიმართება
კეტი, თითქოს ხე არ იყოს? **16.** ამიტომ
სიმჭლევეს მოუვლენს მეუფე, ცაბაოთ
უფალი მის ნასუქალებს და მისი დიდე-
ბის ქვეშ ცეცხლის ხანძარივით
ატყდება ხანძარი. **17.** ცეცხლად გადა-
იქცევა ისრაელის ნათელი და ხანძრად —
მისი წმიდა, ერთ დღეში დაწვავს და
გადაბუგავს მის ძეძვს და ნარ-ეკალს.
**18.** გაანადგურებს სულით ხორცამდე

მისი ჭალების და ბაღ-ვენახების დიდე-
ბას, ჩაჭკნება და ჩაიხაშმება. **19.** გამეჩ-
ხერდება მისი მაღნარი და ბავშვიც კი
დაითვლის დარჩენილ ხეებს. **20. იმ**
**დღეს აღარ** დაენდობა ისრაელის ნატა-
მალი და იაკობის სახლის ნარჩომი თა-
ვის მგვემელს; უფალს, ისრაელის წმი-
დას, დაენდობა დარწმუნებით. **21. ნა-**
**ტამალი დაუბრუნდება, იაკობის ნატამა-**
**ლი ძლიერ ღმერთს! 22.** თუმცა ზღვის
ქვიშასავით იქნება შენი ერი, ისრაელ,
**მაგრამ ნატამალი დაუბრუნდება მას.** გა-
დაწყვეტილია დაქცევა — შურისმგებე-
ლი სამართლიანობა, **23.** რადგან გადა-
წყდა ეს დაქცევა, აღასრულებს მეუფე,
ცაბაოთ უფალი მთელ ქვეყანაზე. **24.**
ამიტომ ასე ამბობს მეუფე, ცაბაოთ
უფალი: ნუ გეშინია აშურისა, ჩემო ერო,
სიონის მკვიდრო! კვერთხით გცემს და
კეტს გიღერებს, როგორც ეგვიპტელნი
იქცეოდნენ. **25.** რადგან, სულ ცოტაც
და, შეწყდება გულისწყრომა და ჩემი
რისხვა მათ დასაქცევად აღინთება. **26.**
მოუქნევს მას ცაბაოთ უფალი შოლტს,
როგორც მიდიანს დასცხო ყორების
კლდესთან და აღიმართება წყალზე მისი
კვერთხი, როგორც ეგვიპტეში აღმართა.
**27.** იმ დღეს ჩამოგეხსნება მისი ტვირ-
თი მხრებიდან და მისი უღელი ქედი-
დან, და გასკდება უღელი სიმსუქნის-
გან. **28.** ის მიდის ყაიათში, ჩაუვლის
მიგრონს, მიქმასში საჭურველს გადაი-
ნახავს; **29.** გაივლის კლდეკარს, გებაყ-
ში გაათევს ღამეს, რამა შეძრწუნდება,
საულის გიბყა გაიფანტება. **30.** აყი-
ჟინდი შენს ხმაზე, გალიმის ასულო!
გესმოდეს, ლაიშა, ბედშავო ყანათოთო!
**31.** მადმენა გაიქცა, გებიმელებმა თავს
უშველეს. **32.** კიდევ ერთი დღით ნობ-
ში დაყოვნდება, ხელს მოუღერებს სი-
ონის ასულის მთას, იერუსალიმის
ბორცვს. **33.** აჰა, მეუფე, ცაბაოთ უფა-
ლი, ზარდაცემით ლეწავს რტოებს; ტან-
მაღალნი გაიჩეხებიან და აღზევებულნი
დაემხობიან. **34.** გაკაფავს რკინით
ტყის უღრანს და დაეცემა ლიბანი ძლი-
ერის ხელით.

## თავი მეთერთმეტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1.** ამოვა **ყლორტი იესეს ძირიდან**
და მისი ფესვის ამონაყარი გაიხარებს.
**2.** დაივანებს მასზე უფლის სული, სუ-
ლი სიბრძნისა და გონიერებისა, სული
რჩევისა და სიმხნევისა, სული შეგნე-
ბისა და უფლის შიშისა. **3.** ის უფლის
შიშით ისულდგმულებს, დანახულით
არ განსჯის და გაგონილით არ დაიწ-
ყებს მხილებას. **4.** სიმართლით განს-
ჯის ღარიბ-ღატაკთ, სისწორით განი-
კითხავს ქვეყნის ბედშავთ, დაჰკრავს
მიწას თავის ბაგეთა კვერთხს და თა-
ვის პირისქარით ბოროტეულს მოაკვ-
დინებს. **5.** სიმართლე იქნება სარტყ-
ლად მის წელზე და სიწრფელე სარტ-
ყლად მის ფერდებზე, **6.** დადგება მგე-
ლი ცხვართან ერთად და ვეფხვი და-
ბინავდება ციკანთან ერთად. ხბო, ლო-
მი და ნასუქალი პირუტყვი ერთად იქ-
ნებიან და ჩვილი ბავშვი წაუძღვება მათ.
**7.** ძროხა და დედადათვი ერთად მოს-
ძოვენ და მათი შვილები ერთმანეთის
გვერდით დაწვებიან, ლომი ძროხასა-
ვით შეჭამს ჩალას, **8.** ძუძუთა ბავშვი
უნასის ხვრელთან ითამაშებს და ძუ-
ძუანასხლეტი ასპიტის ბუდეში ჩაყოფს
ხელს. **9.** არავინ იბოროტებს და არა-
ვინ იბილწებს მთელ ჩემ წმინდა მთა-
ზე, რადგან **აივსება მიწა უფლის ცოდნით,**
როგორც ზღვა არის წყლებით დაფა-
რული. **10.** იმ დღეს ხალხთა დროშად
იდგება **იესეს ფესვი** და მისკენ დაიწ-
ყებენ დენას ტომები; დიდება იქნება
მისი საშვებელი. **11.** იმ დღეს **მეორედ**
გაიწვდის უფალი ხელს, რომ **გამოის-**
**ყიდოს თავისი ერის ნატამალი,** რო-
მელიც გადაურჩება აშურს, ეგვიპტეს,
ფატროსს, ქუშს, ელამს, შინეყარს, ხა-
მათს და ზღვისპირეთს. **12.** დროშას
აღუმართავს ხალხებს, **შეკრებს გა-**
**დახვეწილ** ისრაელს და ქვეყნის ოთ-
ხივე კუთხიდან თავს მოუყრის **გაფან-**
**ტულ იუდას.** **13.** გაქარწყლდება ეფ-
რემის შური და იუდას მტრები აღარ
იქნებიან, ეფრემს აღარ შეშურდება
იუდასი და იუდა აღარ უმტრობს ეფ-

რემს. 14. მხარდამხარ გაფრინდებიან ფილისტიმელთაკენ დასავლეთით, ერთად გაძარცვავენ აღმოსავლელებს, ხელს დაადებენ ედომს და მოაბს, და ყამონელნი მათი მორჩილნი გახდებიან. 15. ამოაშრობს უფალი ეგვიპტის ზღვის სრუტეს, ხელს აღმართავს მდინარეზე თავის ქარტეხილში, შვიდ ტოტად განწვალავს მას, რომ ფეხშემოსილმა გადაიაროს. 16. გამოუჩნდება გზა-სავალი მისი **ერის ნატამალს,** რომელიც აშურს გადაურჩება, როგორც გამოუჩნდა ისრაელს, როცა ეგვიპტიდან ამოდიოდა.

## თავი მეთორმეტე

1. შენ იტყვი იმ დღეს: **გმადლობ, უფალო, რომ განმირისხდი; რომ** დაცხრა შენი რისხვა და მანუგეშე. 2. აჰა, ღმერთია ჩემი ხსნა, ვესავ და არ მეშინია, რადგან უფალია ჩემი ძალა და სიმღერა, უფალი! ის იყო ჩემი მხსნელი. 3. სიხარულით ამოხაპავთ წყალს ხსნის წყაროებიდან. 4. იტყვით იმ დღეს: მადლობდეთ უფალს, ახსენებდეთ მის სახელს, აცხადებდეთ მის საქმეებს ხალხებში, გაახსენებდეთ, რომ მაღალია მისი სახელი. 5. უმღერდეთ უფალს, რადგან დიდებულად იღვაწა. მთელ ქვეყანას მოედო ეს ამბავი. 6. იხარე და იზეიმე, სიონის ასულო, რადგან დიდია თქვენ შუაგულში ისრაელის წმიდა!

## თავი მეცამეტე

1. განაჩენი ბაბილონისა, რომელიც იხილა ესაიამ, ამოცის ძემ: 2. ხმელ გორზე აღმართეთ დროშა, ხმამაღლა გასძახეთ, ხელი დაუქნიეთ, რომ შემოვიდნენ მთავართა კარიბჭით. 3. მე ვუბრძანე ჩემს განწმედილთ, მოვუხმე კიდეც ჩემს ძლიერთ ჩემი რისხვისათვის, ჩემი სიდიადით მოზეიმეთ. 4. მთებზე გუგუნია, თითქოს მრავალი ხალხისაგან, ერთად თავშეყრილი ხალხების სამეფოთა ჟრიამული; ცაბაოთ უფალი თავად ათვალიერებს საომრად გამზადებულ ლაშქარს. 5. შორი ქვეყნებიდან, ცის კიდიდან მოდიან, უფალი და მისი რისხვის იარაღი მთელი ქვეყნის დასაქცევად. 6. მოთქვამდეთ რადგან **ახლოვდება უფლის დღე,** მოდის როგორც რბევა ყოვლადძლიერისგან. 7. ამიტომაც დაუძლურდა ყოველი მკლავი და ყოველი კაცის გული შემდრკალია. 8. შიშის ზარი აქვთ, კრუნჩხვებმა და ტკივილებმა შეიპყრეს, მშობიარე ქალივით იტანჯებიან, გაოგნებულნი შეჰყურებენ ერთმანეთს, სახეზე ცეცხლი ეკიდებათ. 9. აჰა, **დადგა უფლის დღე — დღე სასტიკი, დღე რისხვისა** და გაცეცხლებისა ქვეყნიერების იავარსაყოფად და ცოდვილთა წარსახოცად მისი პირისაგან. 10. რადგან ცის ვარსკვლავები და მისი ხომლი ჩაქრებიან, დაბნელდება ამომავალი მზე და მთვარე აღარ მოაფენს თავის ნათელს. 11. მოვკითხავ ქვეყნიერებას მის სიავეს და ბოროტეულთ — მათ დანაშაულს; ბოლოს მოვუღებ ამპარტავანთა ქედმაღლობას და მტარვალთა სიამაყეს დავამდაბლებ. 12. **დავაფასებ კაცს ხალას ოქროზე მეტად** და ადამიანს — ოფირის ზოდზე მეტად. 13. ამიტომაც შევაზანზარებ ცას და შეირყევა დედამიწა თავისი ადგილიდან ცაბაოთ უფლის გულისწყრომისას და მისი რისხვის ანთების დღეს. 14. შეიქნებიან დევნილი ქურციკებივით და უმწყემსოდ დარჩენილ ფარასავით; ყველა თავის ხალხს მიაშურებს, ყველა თავის ქვეყნისკენ გაიქცევა. 15. ვისაც მიასწრებენ, განგმირავენ, ვისაც დაიჭერენ, მახვილით დასცემენ. 16. მათი ჩვილები მათ თვალწინ გაიჭეჭყებიან, მათი სახლები გაიძარცვება, მათი ცოლები გაუპატიურდებიან. 17. აჰა, აღვძრავ მათზე მიდიელებს, რომლებიც ვერცხლს არად აგდებენ და ოქრო არ ახარებთ. 18. მათი მშვილდები ყმაწვილკაცებს შემუსრავს; მუცლის ნაყოფს არ შეიწყალებენ, ბავშვებს არ შეიბრალებს მა-

თი თვალი. **19. ბაბილონი — სამეფოთა**
**მშვენება,** ქალდეველთა დიდების სამ-
კაული, დაემსგავსება უფლისგან დაქ-
ცეულ სოდომს და გომორას, **20. არა-**
**სოდეს გაკაცრიელდება და არ გაშენ-**
**დება უკუნისამდე; არაბი არ დაიკარ-**
**ვებს იქ და არც მწყემსები დაიბინავე-**
**ბენ. 21.** უდაბნოს მხეცები გაიჩენენ იქ
ბუნაგს და მიკიოტებით აივსება მათი
სახლები, სირაქლემები დასახლდებიან
იქ და ალქაჯები გათელავენ იქაურო-
ბას. **22.** ტურები მოჰყვებიან კივილს
გაოხრებულ სასახლეებში და ველური
ძაღლები აყმუვლდებიან მის საზეიმო
დარბაზებში, მოაწევს მისი ჟამი და
მისი დღეები აღარ გაგრძელდება.

## თავი მეთოთხმეტე

1. რადგან **შეიწყალებს უფალი ია-**
**კობს და კვლავ გამოარჩევს ისრაელს,**
მათსავე მიწაზე დაასახლებს. **უცხონი**
**შეეთვისებიან მათ და მიემატებიან ია-**
**კობის სახლს.** **2.** აიყვანენ მათ ხალხე-
ბი და მიიყვანენ თავიანთ ადგილზე,
დაისაკუთრებს მათ ისრაელი უფლის
მიწაზე მონებად და მხევლებად, დაა-
ტყვევებენ თავიანთ დამატყვევართ და
თავიანთ მჩაგვრელებზე იბატონებენ.
**3.** იმ დღეს, როცა ამოგასუნთქებს უფ-
ალი ჭირ-ვარამისგან და შფოთისაგან
და მძიმე სატანჯველისგან, რომლითაც
იტანჯები, **4.** წარმოთქვამ იმ იგავს
ბაბილონის მეფეზე და იტყვი: როგორ
მოეღო ბოლო მტარვალს: როგორ მო-
ეღო ბოლო მძლავრობას! **5.** როგორ
შემუსრა უფალმა უკეთურთა არგანი,
ხელმწიფეთა კვერთხი, **6.** რისხვით
რომ სცემდა ხალხებს შეუსვენებლივ,
ბრაზით რომ იმონებდა ტომებს, დაუ-
ოკებლად დევნიდა მათ! **7.** დაისვენა,
დამყუდროვდა მთელი ქვეყანა, მხია-
რულად ყიჟინობს. **8.** ალვები ხარობენ
შენს გამო, ლიბანის ნაძვები: რა რომ
შენ გდიხარ, ხის მჭრელი აღარ ამო-
სულა ჩვენთან. **9.** ქვესკნელამდე შე-
იძრა შავეთი შენს შესახვედრად, გა-
აღვიძა აჩრდილნი, მიწის მთავარნი;
წამოაყენა მათი ტახტებიდან ხალხთა
მეფენი. **10.** ყველანი ალაპარაკდებიან
და გეტყვიან: შენც ჩვენსავით დაუძ-
ლურდი, ჩვენ დაგვემსგავსე. **11.** შავეთს
ჩაინთქა შენი დიდება, შენი ქნარების
ხმა; ქვეშ მატლი გიგია, და ზედ ჭია-
ლუა გახურავს. **12. როგორ ჩამოემხე**
**ციდან, მთიებო, ძეო ცისკრისა!** მი-
წას დაენარცხე, ხალხთა მტარვალო!
**13.** გუშინ ამბობდი: ცად ავხდები,
ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს
დავიდგამ და დავჯდები საკრებულო
მთაზე, ჩრდილო კალთებზე. **14.** მაღ-
ლა ღრუბლებში ავიჭრები, უზენაესს
გავუტოლდებიო! **15.** მაგრამ შავეთში
ჩადიხარ, ქვესკნელის უფსკრულებში.
**16.** შენი შემხედვარი მოგაშტერდება,
ჩაფიქრდება: ეს ის კაცია, მიწას რომ
არყევდა, სამეფოებს რომ აზანზარებდა?
**18.** ხალხთა ყოველი მეფე, ყველანი
დიდებაში განისვენებენ, თავთავის სახ-
ლებში. **19.** შენ კი უსაფლავოდ გდი-
ხარ, როგორც საძულველი, უდროული
ნაშობი, როგორც დახოცილთა, მახვი-
ლით განგმირულთა სამოსელი, ქვიან
ორმოში ჩაგდებული, როგორც გათე-
ლილი გვამი. **20.** ვერ შეუერთდები
მათ საფლავში, რადგან დაღუპე შენი
ქვეყანა და ამოწყვიტე შენი ხალხი;
აღარ მოიხსენება ბოროტეულთა თეს-
ლი საუკუნოდ. **21.** საკლავად გა-
ნამზადე მისი შვილები მამების ცოდ-
ვებისთვის, რომ არ აღდგნენ და არ
დაიმკვიდრონ ქვეყანა, მტრებით არ
აავსონ მიწის პირი. **22.** აღვდგები მათ
წინააღმდეგ, ამბობს ცაბაოთ უფალი,
და აღმოვუფხვრი ბაბილონს სახელს და
ნატამალს, მონაგარს და მისხისმისხს,
ამბობს უფალი. **23.** ზღარბთა და ჭან-
ჭყობთა სამკვიდროდ გავხდი და გა-
ნადგურების ცოცხით გავხვეტავ, ამ-
ბობს ცაბაოთ უფალი. **24.** დაიფიცა
ცაბაოთ უფალმა და თქვა: როგორც
ჩავიფიქრე, ისე იქნება; როგორც გა-
დავწყვიტე, ისე მოხდება. **25.** შევმუს-
რავ აშურს ჩემს მიწაზე და გავთელავ

ჩემს მთებზე; მოეხსნებათ ქედიდან
უღელი და მხრებიდან ტვირთი ჩამო-
ეხსნებათ. **26.** აჰა, განაჩენი, მთელი
ქვეყნისათვის გამოტანილი, და აჰა ხე-
ლი, ყოველ ხალხზე მოღერებული!
**27.** ცაბაოთ უფლის განაჩენს ვინ შეც-
ვლის და მოღერებულ ხელს ვინ შეაბ-
რუნებს? **28. ასეთი განაჩენი იყო მეფე
ახაზის სიკვდილის წელს: 29.** ნუ გი-
ხარია, ფილისტიმის ქვეყანავ, რომ
დაილეწა შენი მგვემელის კვერთხი,
რადგან გველის ფესვიდან გამოვა უნა-
ხი და მისი ნაშიერი მფრინავი გველე-
შაპი იქნება. **30.** უპოვართა პირმშონი
გამოიკვებებიან და ღარიბ-ღატაკნი
სამშვიდობოს დამყუდრდებიან; შიმში-
ლით მოვკლავ შენს ფესვს და შენს
ნარჩომს ამოვწყვეტ. **31.** მოთქვამდე,
კარიბჭევ, გოდებდე, ქალაქო, ძრწოდე,
ფილისტიმის ქვეყანავ, რადგან ჩრდი-
ლოეთიდან წამოვა კვამლი და გაიფან-
ტება მისი ბანაკი. **32.** რას იტყვიან
ხალხის მოციქულები? — რომ უფალმა
დააფუძნა სიონი და რომ იქ არის მისი
ერის ჩაგრულთა საესავი.

## თავი მეთხუთმეტე

**1.** მოაბის განაჩენი. იმ ღამით, რო-
ცა გაძარცვეს ყარი, გაცამტვერდა მოა-
ბი, რადგან იმ ღამით გაძარცვეს კირი,
გაცამტვერდა მოაბი. **2.** ავიდა ტაძრად
და დიბონში, გორაკებზე სატირლად;
ნებოზე და მედებაზე გოდებს მოაბი;
ყველას თავი გადაპარსული აქვს, წვე-
რები ყველას მოკვეცილი აქვს. **3.** ქუ-
ჩებში ჯვალო არტყიათ, ბანებზე და
მოედნებზე ყველა გოდებს, ცრემლად
იღვრებიან. **4.** კივის ხეშბონი და ელ-
ყალე, იაჰაცას წვდება მათი ხმა, ამი-
ტომ აყვირდებიან მოაბის მებრძოლე-
ბი, შეშფოთებულია მისი სული. **5.** ჩე-
მი გული კვნესის მოაბზე, მისი დევნი-
ლები ცოღარში აფარებენ თავს, ეგლათ-
შელიშიაში; რადგან მოთქმა-მოთქმით
მიჰყვებიან ლუხითის აღმართს, რადგან
განწირული ხმით კივიან ხორონაიმის
გზაზე. **6.** რადგან გაოხრდა ნიმრიმის
წყლები, რადგან დაჭკნა ბალახი, გა-
ნადგურდა მდელო, მწვანე აღარ არის.
**7.** ამიტომ ტირიფთა ხევიც კი წაი-
ღებს მათ ნარჩენებს და მარაგს. **8.** და-
უარა მოთქმამ მოაბის საზღვრებს, გო-
დება მისწვდა ეგლაიმს და გოდება
მისწვდა ბეერ-ელიმს. **9.** რადგან სის-
ხლით აივსო დიმონის წყლები, რად-
გან ამას არ ვაკმარებ დიმონს, ლომებს
მივუსევ მოაბის ნარჩომს და მიწის ნა-
ტამალს!

## თავი მეთექვსმეტე

**1.** გაუგზავნეთ კრავი ქვეყნის მპყრო-
ბელს სელაყიდან სიონის ასულის
მთაზე უდაბნოს წიაღ! **2.** ბუდემოშლი-
ლი, დევნილი ფრინველებივით იქნე-
ბიან მოაბის ასულნი არნონის ფონებ-
თან. **3.** მიეცი რჩევა, ქმენი სამართა-
ლი, გადმოაფარე შენი ჩრდილი შუად-
ღისას, როგორც ღამით; დაიფარე
ლტოლვილი, ნუ გასცემ დევნილს.
**4.** შეგეხიზნონ ჩემი ლტოლვილი მოა-
ბელები, შეიფარე ყაჩაღებისგან, ვიდრე
არ შეწყდება მძლავრობა, ვიდრე ბო-
ლო არ მოეღება ყაჩაღობას, ვიდრე
დამთრგუნველი არ გადაშენდება ამ
ქვეყნიდან, **5.** და წყალობით დამყარ-
დება ტახტი და **რწმენით დაჯდება მას-
ზე დავითის კარავში მსაჯული,** მსჯა-
ვრის მძებნელი და მოსწრაფე სამართ-
ლის ქმნაში. **6.** გვსმენია მოაბის ყიფი,
მეტისმეტი სიამაყე, მისი ქედმაღლო-
ბა, მისი მედიდურობა, მისი სიცოფე,
ფუჭი ქადილი. **7.** ამიტომ ივალალოს
მოაბმა, ყველამ ივალალოს მოაბზე.
იგლოვეთ კირ-ხარესეთის კაცებო, გან-
გმირულნო! **8.** რადგან გადახმა ხეშ-
ნობის ყანები, სიბმას ვენახები; ხალხ-
თა მბრძანებლებმა აკაფეს მისი რჩეუ-
ლი ვაზი, იაყზერამდე, უდაბნოში რომ
მიიკლაკნებოდა, მისი გაშლილი რტო-
ები ზღვის გაღმა რომ უწვდენდა.
**9.** ამიტომ დავიტირებ იაყზერის ტი-

რილით სიბმას ვენახს, ჩემი ცრემლებით მოგრწყავთ, ხეშბონო და ელყალე, რადგან თქვენს რთველში და მკაში ჩამწყდარია ჰედადის ძახილი. **10.** ლხენა და სიხარული წაერთვა ქარმელს და ვენახებში აღარ გაისმება სიმღერა და გუგუნი, საწნახელებში ღვინოს აღარ წურავენ; შევწყვიტე ჰედადის ძახილი. **11.** ამიტომაც ქნარივით თრთის ჩემი შიგნეული მოაბზე და ჩემი გული — კირ-ხარესზე. **12.** აჰა, გამოჩნდება დაქანცული მოაბი გორაკზე და შევა თავის საწმიდარში სალოცავად, მაგრამ არაფერი ეშველება. **13.** ეს არის სიტყვა, რომელიც რა ხანია წარმოთქვა უფალმა მოაბზე. **14.** ახლა კი ასე ამბობს უფალი: სამ წელიწადში, ქირავნობის წლებში გამჩატდება მოაბის დიდება, თუმცა დიდია სიმრავლე მათი და მცირედიღა იქნება ნარჩომი, არად ჩასაგდები.

## თავი მეჩვიდმეტე

1. დამასკოს განაჩენი. აჰა, წაერთმევა დამასკოს ქალაქობა და ნანგრევების გროვად იქცევა! **2.** გაუდაბურდება ყაროყერის ქალაქები, ცხვრის ფარათა საძოვრებად იქცევა, დაწვებიან და ვერავინ დააფრთხობს მათ. **3.** არაფერი დარჩება ეფრემის ციხე-სიმაგრისგან, დამასკოს სამეფოსგან და არამის ნატამალისგან, ისრაელიანთა დიდებას გაჰყვებიან, ამბობს ცაბაოთ უფალი. **4.** იმ დღეს დაილევა იაკობის დიდება და მისი მსუქანი ხორცი დამჭლევდება. **5.** იქნება ისე, თითქოს მომკელს აელოს ყანა და მის მკლავს მოემკას თავთავები, იქნება ისე, როგორც რეფაიმის ველზე თავთავები იკრიფება. **6.** დარჩება ნამცვრევი, რამდენიც რჩება ზეთისხილის ჩამობერტყვის შემდეგ: ორი, სამი მარცვალი წვერში, ოთხი, ხუთი მსხმოიარე ტოტებზე! ამბობს უფალი, ღმერთი ისრაელისა. **7.** იმ დღეს მიიხედავს ადამიანი თავის შემოქმედისკენ და თვალებს მიაპყრობს ისრაელის წმიდას. **8.** აღარ მიხედავს თავისი ნახელავი სამსხვერპლოებისკენ და და თავისი თითებით ნაკეთებ აშერებს და მზეებს აღარ მოიკითხავს. **9.** იმ დღეს უღრან და გაუვალ ტყეს დაემსგავსება მისი გამაგრებული ქალაქები, ისრაელიანთაგან მიტოვებული, და გაუდაბურდება. **10.** რადგან დაივიწყებული გყავს შენი ხსნის ღმერთი და კლდე შენი სიმტკიცისა აღარ გახსოვს; რადგან გაგიშენებია ნეტარების ბაღები და უცხო ვაზი ჩაგიყრია. **11.** იმ დღეს ააღორძინებ შენს დარგულს და იმ დილასააყვავებ შენს დათესილს, მაგრამ ალოობისას უკურნებელ მწუხარებას მოიმკი. **12.** ვაი ხმაურს დიდძალი ხალხისა! ხმაურობენ ზღვის ხმაურით. ვაი ხალხების ღრიალს! ღრიალებენ ადიდებული წყლის ღრიალით. **13.** ხალხები ღრიალებენ ადიდებული წყლის ღრიალით; დააფრთხობს მათ და შორს გაიქცევიან, გაიხვეტებიან ქარისაგან, როგორც მთაზე თივის ბულული და ბზის მტვერი ქარბორბალაში. **14.** დადგება მწუხრი და, აჰა, დაეცემა შიშისზარი და განთიადამდე ველარ გაძლებს. ასეთია ჩვენი მტარვალების ხვედრი და ჩვენი მძარცველების წერა.

## თავი მეთვრამეტე

**1.** ვაი ქვეყანას, ფრთებმოშრიალეს, ქუშის მდინარეთა გაღმა! **2.** ზღვით რომ აგზავნით მალემსრბოლებს წყალზე მოცურავე ლერწმის ნავებით! გასწით, მკვირცხლო მოციქულნო, მოჭიმულ და ალელილ ხალხთან, საშიშარ ერთან დასაბამიდან დღესამომდე, ხალხთა დამთრგუნველთან და გამთელავთან, რომლის ქვეყანას ხევები სერავენ! **3.** ქვეყნიერების მკვიდრნო და მიწის ბინადარნო, თვალი გეჭიროთ, როცა დროშა აღიმართება მთებზე და ყური უგდეთ, როცა ბუკს დაჰკრავენ!

**4.** რადგან ასე მითხრა უფალმა: მე
მშვიდად გადმოვიხედავ ჩემი სამყოფ-
ლიდან ხვატის კაშკაშივით მოწმენ-
დილზე, ნამის ღრუბელივით მკის პა-
პანებაში; **5.** რადგან რთველის წინ,
როცა გადასული იქნება ყვავილობა
და ნაყოფი დამწიფებული, დანით გასხ-
ლავს ლერწებს და ყლორტებს მოა-
შორებს ვაზს. **6.** ყველაფერი მთის
ონავარ ფრინველებს და მიწის მხე-
ცებს დარჩებათ. დაიზაფხულებენ იქ
ონავარი ფრინველები და მიწის ყო-
ველი მხეცი იქ დაიზამთრებს. **7.** იმ
დღეს ძღვენს მიართმევს ცაბაოთ უფ-
ალს ცაბაოთ უფლის სახელის ადგილ-
ზე, სიონის მთაზე, მოჭიმული და ალე-
სილი ერი, დასაბამიდან დღესამომდე
საშიშარი ერი, ხალხი დამთრგუნველი
და გამთელავი, რომლის ქვეყანას ხევე-
ბი სერავენ.

## თავი მეცხრამეტე

**1.** ეგვიპტის განაჩენი. აჰა, ამხედრე-
ბულია უფალი მსუბუქ ღრუბელზე და
მიდის ეგვიპტეში. შეირყევიან მის წი-
ნაშე ეგვიპტის კერპები და დაუდნებათ
მკერდში ეგვიპტელებს გულები. **2.** ავ-
ამხედრებ ეგვიპტელს ეგვიპტელზე: ძმა
ძმას დაუწყებს ბრძოლას, მოყვასი
მოყვასს, ქალაქი ქალაქს. სამეფო სა-
მეფოს. **3.** დაიშრიტება ეგვიპტის სუ-
ლი მის წიაღში და ჩავფუშავ მის
თათბირს; კერპებს, მჩხიბავებს, მუ-
სულთანეებს და ჯადოქრებს დაუწყე-
ბენ ძებნას სამკითხაოდ. **4.** ჩავაგდებ
ეგვიპტელებს სასტიკი ბატონის ხელში
და მტარვალი მეფე იხელმწიფებს მათ-
ზე, ამბობს მეუფე, ცაბაოთ უფალი.
**5.** წყალი დაწყდება ზღვაში, ნილოსი
დაიწრიტება და დაშრება, **6.** მდინა-
რეები ამყრალდება, დაიკლებს და დაშ-
რება ეგვიპტის არხები, დაჭკნება ლე-
ლი და ლერწამი. **7.** გადაშიშვლდება
მდინარეთა ნაპირები და მდინარეთა შე-
სართავები, გადახმება ჭალებში ნათე-
სი, განქარდება და გაცამტვერდება. **8.** და-
ღონდებიან მეთევზეები, აკვნესდებიან
მდინარეში ანკესის მსროლელნი და
წყლებზე ბადეთა გამშლელნი დაიწყებენ
გოდებას. **9.** შერცხვებიან ვარცხნილი
სელის მკეთებელნი და მაქმანების მქსო-
ველნი. **10.** დაილეწება მისი დაზგები,
ქირის მუშები დამწუხრდებიან. **11.** შე-
იშალნენ ცოყანის მთავრები, გაცუდდა
ფარაონის ბრძენი მრჩევლების თათ-
ბირი. როგორღა ეტყვით ფარაონს:
ბრძენთა შვილი ვარ მე, აღმოსავლეთის
მეფეთა შვილიო? **12.** სად არიან შენი
ბრძენები, რომ გამცნონ და გაგაგები-
ნონ, რა გადაუწყვიტა ცაბაოთ უფალმა
ეგვიპტეს? **13.** გაბრიყვდნენ ცოყანის
მთავრები, მოტყუვდნენ ნოფის (მემ-
ფისის) მთავრები. შეაცდინეს ეგვიპტე
მისი ტომების თავკაცებმა. **14.** რეტი
დაასხა მათ უფალმა და აატორტმანეს
ეგვიპტე ყველა საქმეში, როგორც
რწყევისას ტორტმანებს მთვრალი.
**15.** არაფერი ექნება ეგვიპტეს გასაკე-
თებელი, რისი გაკეთებაც თავსა და
კუდს, შტოსა და ღეროს შეეძლება.
**16.** იმ დღეს დიაცებივით იქნებიან
ეგვიპტელები, შეშინდებიან და დაფრ-
თხებიან ცაბაოთ უფლის ხელის მოქ-
ნევისგან, მათზე რომ მოიქნევს ხელს.
**17. შიშისზარად ექცევა ეგვიპტეს იუ-
დას მიწა;** ყველას, მის გამხსენებელს,
შეაძრწუნებს ცაბაოთ უფლის განაჩე-
ნი, მასზე რომ განაჩინა. **18. იმ დღეს**
ხუთი ქალაქი იქნება ეგვიპტეში, ქანაა-
ნურად მოლაპარაკე და ცაბაოთ უფლის
დამფიცებელი; ერთს დაერქმევა მზის
ქალაქი. **19. იმ დღეს** იქნება უფლის
სამსხვერპლო ეგვიპტის ქვეყნის შუა-
გულში და უფლის სვეტი მის საზღ-
ვართან. **20.** იქნება ეს ცაბაოთ უფლის
ნიშად და სასწაულად ეგვიპტის ქვეყა-
ნაში, რადგან შეღაღადეს უფალს დამ-
თრგუნველთა გამო და მოუვლენს უფა-
ლი მაცხოვარს და პატრონს, და იხსნის
მათ. **21. და გამოეცხადება უფალი ეგვიპ-
ტელებს და შეიცნობენ ეგვიპტელები
უფალს იმ დღეს;** შესწირავენ მსხვერ-
პლსა და ძღვენს, აღუთქვამენ აღთქმებს

და აღასრულებენ კიდეც. 22. და დაჰკრავს
უფალი ეგვიპტეს, დაჰკრავს და გან-
კურნავს კიდეც; მიიქცევიან უფლისა-
კენ, შეიწყნარებს მათ და განკურნავს.
23. იმ დღეს გზა გავა ეგვიპტიდან აშუ-
რამდე და ივლის აშური ეგვიპტეში და
ეგვიპტე აშურში; დაემონება ეგვიპტე
უფალს აშურთან ერთად. **24. იმ დღეს**
**მესამე იქნება ისრაელი ეგვიპტესთან**
**და აშურთან ერთად;** კურთხევა იქნება
ქვეყნის შუაგულში, **25. რადგან** ბრძა-
ნებს კურთხევას ცაბაოთ უფალი: კურ-
თხეულ **იყოს ჩემი ერი ეგვიპტე, ჩემ**
**ხელთა ქმნილება აშური** და **ჩემი სამკ-**
**ვიდრო ისრაელი.**

## თავი მეოცე

1. იმ წელს მოადგა აშდოდს აშურის
მეფის, სარგონის გამოგზავნილი დარ-
თანი, ბრძოლა გაუმართა აშდოდს და
აიღო იგი. 2. მაშინ გამოუცხადა უფა-
ლმა სიტყვა ესაიას, ამოცის ძეს, და
უთხრა: **წადი, შეიხსენი ჯვალო წე-**
**ლიდან** და ხამლები გაიძვრე ფეხზე.
ასეც მოიქცა: ტანშიშველმა და ფეხ-
შიშველმა დაიწყო სიარული. 3. თქვა
უფალმა: **როგორც ჩემი მსახური ესა-**
**ია დადიოდა ტანშიშველი და** ფეხშიშ-
ველი სამ წელიწადს, ასე იქნება ნიშ-
ნად და სასწაულად ეგვიპტისთვის და
ქუშისთვის. 4. ასე წაასხამს აშურის
მეფე ეგვიპტის ტყვეებს და ქუშის
ლტოლვილებს — ჭაბუკებს და მოხუ-
ცებულთ, ტანშიშველთ და ფეხშიშ-
ველთ, უკანალგატიტვლებულთ ეგვიპ-
ტის შესარცხვენად. 5. შეეშინდებათ
და შერცხვებათ ქუშის გამო, მათი იმე-
დისა, და ეგვიპტის გამო, მათი მშვე-
ნებისა. 6. იტყვის ამ ზღვისპირეთის
მცხოვრები იმ დღეს: აჰა, რის იმედზე
ვყოფილვართ, შეწევნას რომ ვითხოვ-
დით იქ აშურის მეფისგან თავის დასა-
ხსნელად! როგორ გადავრჩებით?

## თავი ოცდამეერთე

ეროვნული

1. ზღვის უდაბნოს განაჩენი. როგორც
სამხრეთში ამტყდარი გრიგალები, ის მო-
დის უდაბნოდან, საშინელი ქვეყნიდან.
2 სასტიკი ხილვა გამომეცხადა: და-
მარბეველი არბევს და მძარცველი ძა-
რცვავს. შეიმართე, ელამო, შემოადექ,
მიდიავ! ბოლო მოვუღე ყოველ კვნესას!
3. ამიტომ მიცახცახებს ნაწლავები,
მშობიარობის ტკივილებმა შემიპყრო,
კრუნჩხვისაგან არაფერი მესმის, შეშ-
ფოთებისგან ვერაფერს ვხედავ. 4. გუ-
ლი მითრთის, მზარავს შიში, სიამის
საღამო ძრწოლად გადამექცა. 5. ტაბ-
ლა გაშლილია, დაგებულია საგებელი;
ჭამენ და სვამენ. აღდექით, მთავარნო,
გაპოხეთ ფარები! 6. რადგან ასე მით-
ხრა უფალმა: მიდი, დააყენე დარაჯი.
გამოაცხადოს, რასაც დაინახავს! 7. ხე-
დავს ეტლიონს, დაწყვილებულ ცხე-
ნოსნებს, სახედართა ეტლიონს, აქლე-
მების ეტლიონს. აკვირდება, გულის-
ყურით აკვირდება. 8. იყვირა მჭვრე-
ტელმა: საყარაულო კოშკზე ვდგავარ,
უფალო, დღენიადაგ და ჩემს სადარა-
ჯოზე ვარ მთელი ღამეები. 9. აჰა, მო-
დის ეტლიონი, დაწყვილებული ცხე-
ნოსნები! კვლავ თქვა: დაეცა, დაეცა
ბაბილონი და ყველა კერპი მისი
ღმერთებისა მიწას დაენარცხა. 10. ჩე-
მო გალეწილო და განიავებულო, რაც
ცაბაოთ უფლისგან, ისრაელის ღვთის-
გან, გავიგონე, ის გამოგიცხადეთ. 11.
დუმას განაჩენი. მე მომძახიან სეყირი-
დან: ყარაულო, ღამის რომელია? ყა-
რაულო, ღამის რომელია? 12. ამბობს
ყარაული: **დილა დგება და მაინც ღა-**
**მეა.** თუ კითხვა გინდათ, იკითხეთ;
გაბრუნდით და ისევ მოდით! 13. არაბ-
თა განაჩენი. არაბებში ტყეში გაათიეთ
ღამე, დედანის ქარავნებო! 14. წყალი
მიაგებეთ მწყურვალებს, თემას ქვეყ-
ნის მკვიდრნო, პურით დახვდით
ლტოლვილებს. 15. რადგან მახვილებს
გაექცნენ, გალესილ მახვილებს, მოჭი-
მულ მშვილდს და ბრძოლის სასტიკე-
ბას. 16. რადგან ასე მითხრა უფალმა:

ერთ წელიწადში, ქარავნობის წლისამებრ
ბოლო მოეღება კედარის მთელ დიდე-
ბას. **17.** მცირედა იქნება მამაც კედა-
რელ მშვილდოსანთა დანარჩომი, რადგ-
გან უფალს, ისრაელის ღმერთს აქვს
ნაბრძანები.

## თავი ოცდამეორე

**1.** ხილვის ხეობის განაჩენი. რა და-
გემართათ, ყველანი რომ ბანზე გამოშ-
ლილხართ? **2.** გნიასით სავსევ, აჩოჩ-
ქოლებულო ქალაქო, შფოთიანო ქა-
ლაქო! შენი განგმირულნი მახვილით
არ განგმირულან და ბრძოლაში არ და-
ხოცილან. **3.** შენი მთავრები, ყველანი
ერთად, მშვილდს გაექცნენ, ყველა შე-
ნი მოძიებული შებორკილია, ყველა
შორს გაქცეული შებორკილია! **4.** ამი-
ტომ ვთქვი: დამეხსენით, ტირილით
გავმწარდები! არ მანუგეშოთ ჩემი
ერის ასულის დაღუპვის გამო. **5.** რად-
გან ზრიალის, დგრიალის და ფორია-
ქის დღე ხილვის ხეობაში მეუფისგან,
ცაბაოთ უფლისგანაა; გალავანს ანგ-
რევს და კივილი მთას სწვდება.
**6.** ელამს კაპარჭი მოაქვს, ეტლოსნე-
ბი და მხედრები მოდიან, და კიროსმა
ფარი გააშიშვლა. **7.** შენი რჩეული
ყანები ეტლებმა აგივსეს და ცხენოსნე-
ბი კარიბჭეს მოაწყდნენ. **8. აეხადა
საფარველი იუდას** და შენ მოიკითხე
იმ დღეს საჭურველი მაღნარის სახ-
ლში. **9.** ნახეთ, რომ ბევრია ნაპრალი
დავითის ქალაქში და ქვემო ტბორში
წყალი დააგუბეთ. **10.** აღრიცხული
გაქვთ სახლები იერუსალიმში და ანგ-
რევთ სახლებს გალავნის გასამაგრებ-
ლად. **11.** მოაწყვეთ წყალსატევი ორ
კედელს შორის ძველი ტბორის წყლი-
სათვის, მაგრამ არად აგდებთ მის
შემქმნელს, არ უყურებთ მას, ვინც
დასახა იგი დიდი ხნის წინათ. **12.** იმ
დღეს მოგიწოდათ მეუფემ, ცაბაოთ
უფალმა, რომ გეტირათ და გეგლოვათ,
თავი გადაგეპარსათ და ჯვალო შემოგერ-
ტყათ წელზე. **13.** მაგრამ, აჰა, ლხინი
და სიხარულია, ხარების ყლეტა და
ცხვრების ხოცვა, ხორცის ჭამა და
ღვინის სმა. ვჭამოთ და ვსვათო, ხვალ
მაინც დავიხოცებითო. **14.** გამოეცხა-
და ჩემს ყურს ცაბაოთ უფლისაგან:
არ გეპატიებათ ეს დანაშაული სიკვ-
დილამდე, თქვა მეუფემ, ცაბაოთ უფ-
ალმა. **15.** ასე თქვა მეუფემ, ცაბაოთ
უფალმა: ადექი, მიდი მაგ კარისკაცთან,
შებნასთან, სასახლეს რომ განაგებს:
**16.** აქ რა გესაქმება, აქ ვინა გყავს,
აქ რომ ითხრი საფლავს? მაღალზე გა-
უჭრია თავისი საფლავი, კლდეში გამოუ-
კვეთავს თავისთვის განსასვენებელი. **17.**
აჰა, დაგამხობს უფალი ძლიერი დამხო-
ბით და დაგჭმუჭნის, **18.** როგორც გორ-
გალს გორგლად დაგგორგლავს, ბურთი-
ვით გაგაგორებს ვრცელ მიწაზე იქ მოკვ-
დები და იქ იქნება შენი დიდების ეტ-
ლები — შენი ბატონის სახლის თავს-
ლაფი! **19.** გადაგაყენებ შენი სამსახუ-
რიდან და გადმოვარდები შენი ადგილი-
დან. **20.** იმ დღეს მოვუხმობ ჩემს
მსახურს ელიაკიმს, ხილკიაჰუს ძეს,
**21.** და შენი შესამოსელით შევმოსავ,
შენს სარტყელს შემოვარტყამ და ხელ-
ში ჩავაბარებ შენს ძალაუფლებას. ის
იქნება მამა იერუსალიმის მკვიდრთათ-
ვის და იუდას სახლისთვის. **22.** მხარ-
ზე გადავკიდებ დავითის სახლის გასა-
ღებს და მის გაღებულს ვერავინ გაკე-
ტავს; დაკეტავს და ვერავინ გააღებს.
**23.** სამსჭვალივით ჩავარჭობ მყარ
ადგილზე და მამამისის სახლის დიდე-
ბის ტახტად შეიქნება. **24.** მასზე ჩა-
მოკიდებენ მამამისის სახლის მთელს
დიდებას — მოდგმას და მონაშენს, ყვე-
ლა მცირე ჭურჭელს თასიდან ყოველ
ქოთნამდე. **25.** იმ დღეს, ამბობს ცაბა-
ოთ უფალი, მოირყევა მყარ ადგილზე
ჩარჭობილი სამსჭვალი, გადატყდება
და ჩამოვარდება, და მოსწყდება ტვირ-
თი, ზედ რომ აწევს, რადგან უფალმა
ბრძანა.

## თავი ოცდამესამე

1. ტიროსის განაჩენი. ივალელეთ,
თარშიშის ხომალდებო, რადგან დაქ-
ცეულია ტიროსი, აღარც სახლებია,
აღარც მისასვლელი! ქითიმის ქვეყნი-
დან გამოეცხადა მას. 2. დადუმდით,
ზღვისპირეთის მცხოვრებნო, და შენ,
ვინც ივსებოდი ზღვათა დამლახველი
ციდონელი ვაჭრებით! 3. დიდი წყლე-
ბით მისდიოდა შიხორის მარცვალი,
ნილოსის ნამკალი — მისი ჭირნახული,
და იყო ხალხების ბაზარი. 4. გრცხ-
ვენოდეს, ციდონო! რადგან ზღვამ
თქვა, ზღვის ძალი ამბობს: სალმობაში
არ ვყოფილვარ და არც მიშვია, ვაჟკა-
ცები არ გამომიკვებავს და ქალწულე-
ბი არ გამიზრდია. 5. როგორც კი მია-
წევს ხმა ეგვიპტემდე, შეძრწუნდებიან
ტიროსის გამო. 6. თარშიშში წადით,
ივალალეთ, ზღვისპირეთის მცხოვ-
რებნო! 7. ეს არის თქვენი მოზეიმე
ქალაქი, რომელსაც ძველ დღეებში
აქვს დასაბამი? საკუთარი ფეხით გა-
დაიხვეწება შორეთში! 8. ვინ გადაუწ-
ყვიტა ეს ტიროსს, გვირგვინთა მიმ-
ნიჭებელს, რომლის ვაჭრები მთავრე-
ბი არიან და მისი სოვდაგრები —
ქვეყნის დიდებულნი? 9. ცაბაოთ უფ-
ალმა გადაუწყვიტა ეს, რომ გაეცუ-
დებინა ყოველი მშვენების სიამაყე და
დაემცირებინა ქვეყნის განდიდებულნი
10. გადაიარე ნილოსივით შენი მიწა,
თარშიშის ასულო, სხვა გასასვლელი
აღარ არის! 11. ხელი მოუღერა ზღვას
და შეძრა სამეფოები. უფალმა ბრძანა
ქანაანზე, დაექციათ მისი ციხე-სიმაგ-
რენი. 12. თქვა: ველარ იზეიმებ ციდო-
ნის ქალწულო, დათრგუნულო, ადექი,
ქითიმში გადადი, მაგრამ იქაც არ გექ-
ნება საშველი. 13. აჰა, ქალდეველთა
ქვეყანა! ადრე არ იყო ეს ხალხი. აშურ-
მა დააფუძნა ის ველურთაგან. მიადგეს
კოშკები და დაამხეს მისი სასახლეები,
ნანგრევებად აქციეს. 14. ივალალეთ,
თარშიშის ხომალდებო, რადგან იავარ-
ქმნილია თქვენი სიმტკიცე! 15. იმ
დღიდან იქნება, რომ არავის ემსახუ-
რება ტიროსი სამოცდაათ წელიწადს,
ერთი მეფის ზეობის კვალობაზე. სა-
მოცდაათი წლის ბოლოს აუხდება ტი-
როსს მეძავის სიმღერა. 16. აიღე ქნა-
რი, მოიარე ქალაქი, დავიწყებულო მე-
ძავო, დაუკარ ტკბილად, ბევრი იმღე-
რე, რომ გაგიხსენო! 17. **სამოცდაათი
წლის თავზე მოხედავს** უფალი ტი-
როსს და ისიც დაიბრუნებს თავის გა-
სამრჯელოს; დაიწყებს ბოზობას ქვეყ-
ნიერების ყველა სამეფოსთან დედამი-
წის ზურგზე. 18. მისი ნავაჭრი და გა-
სამრჯელო უფლისათვის იქნება შეწი-
რული: არც დაუნჯდება, არც დაიბეჭ-
დება, რადგან უფლის წინაშე მცხოვ-
რებთათვის იქნება მისი ნავაჭრი, რომ
მაძღრისად ჭამონ და დიდებულად შე-
იმოსონ.

## თავი ოცდამეოთხე

1. აჰა, გააპარტახებს უფალი მიწას
და გააცამტვერებს, დაკრუნჩხავს მის
ზედაპირს და გაფანტავს მის მცხოვ-
რებთ. 2. **რა** ერი და რა მღვდელი მა-
შინ, რა ყმა და რა მისი ბატონი, რა
მოახლე და რა მისი ქალბატონი, რა
მყიდველი და რა გამყიდველი, რა მო-
ვალე და რა მევალე, რა მსესხებელი
და რა მევასხე! 3. მთელი ქვეყანა გა-
პარტახდება და პირწმინდად გაიძარ-
ცვება, რადგან უფალმა წარმოთქვა ეს
სიტყვა. 4. დამწუხრდა, დაღონდა ქვე-
ყანა; დაჭკნა, დაღონდა სოფელი, დაჭ-
კნენ ქვეყნის ერის აღზევებულნი 5. წაი-
ბილწა მიწა მის მკვიდრთა ქვეშ, რად-
გან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს
კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა.
6. **ამიტომ წყევლა ჭამს მიწას და ის-
ჯებიან** მისი მკვიდრნი; ამიტომ გა-
დაიბუგნენ მიწიერნი და მცირენიღა
გადარჩნენ. 7. გამწარდა მაჭარი, დაჭ-
კნა ვაზი, კვნესის ყველა გულმხიარუ-
ლი. 8. გაცუდდა დაფდაფთა მხიარუ-
ლება, შეწყდა მოზეიმეთა ყიჟინა, გა-
ცუდდა ქნარის მხიარულება. 9. აღარ
მღერიან ღვინის სმისას, გაუმწარდა

თვალები მის მსმელს. 10. დაინგრა
ნარბევი ქალაქი, გამოიკეტა ყველა სახ-
ლი, ვერავინ შედის. 11. ღვინოს მისტი-
რიან ქუჩებში, ჩამწარდა ყოველი სი-
ხარული, განიდევნა მხიარულება ქვეყ-
ნიდან. 12. უბედურება დასადგურდა
ქალაქში და ჩამოიქცა კარიბჭე. 13.
რადგან ასე იქნება შუაგულ ქვეყანაში,
ხალხთა შორის, როგორც ზეთისხი-
ლის ჩამობერტყვის დროს, როგორც
მცვრევის დროს, როცა დამთავრებულია
რთველი. 14. ხმას იმაღლებენ და ყი-
ჟინებენ ზღვიდან დასძახიან უფლის
დიდებას. 15. ამიტომ ადიდეთ უფალი
აღმოსავლეთში და უფლის, ისრაელის,
ღვთის სახელი — ზღვისპირეთში. 16.
ქვეყნის კიდიდან გვესმის გალობა: დი-
დება მართალს! მაგრამ მე ვთქვი: ვაგ-
ლახ მე! ვაგლახ მე! ვაი მე! მზაკვარნი
მზაკვრობენ, მზაკვარნი ზაკვით იმო-
სებიან. 17. შიში, ხარო და ხაფანგია
შენს წინ, ქვეყნის მკვიდრო! 18. შიშის
ხმაზე გაქცეული ხაროში ჩავარდება,
ხაროდან ამოსული ხაფანგში გაებმე-
ბა; რადგან გაიღება ცათა სარკმელები
და მიწის საფუძვლები შეზანზარდება.
19. ფეთქებით აფეთქდა დედამიწა, ნა-
ფოტებად დანაფოტდა დედამიწა, დამ-
ხობით დაემხო დედამიწა. 20. მთვრა-
ლივით ბარბაცებს დედამიწა და ხუხუ-
ლასავით ირყევა; ცოდვამ დაამძიმა,
დაეცა და ველარ დგება. 21. მოვა ის
დღე და დასჯის უფალი ცათა მხედრო-
ბას მაღლა ცაში და მიწის მეფეებს
დაბლა მიწაზე. 22. შეიყრებიან ერთად
ტუსაღებივით დილეგში, კლიტულებ-
ში გამოიმწყვდევიან და დიდი ხნის შემ-
დეგ დაისჯებიან. 23. **მაშინ გაფითრ-
დება მთვარე და შერცხვება** მზე,
რადგან გამეფდება ცაბაოთ უფალი სიო-
ნის მთაზე და იერუსალიმში, და თა-
ვის უხუცესთა წინაშე გამოაჩენს დი-
დებას.

## თავი ოცდამეხუთე

1. **უფალო, შენ** ღმერთი ხარ ჩემი!
შენ გადიდებ და შენს სახელს ვმად-
ლობ, რადგან შენ მოიმოქმედე საკ-
ვირველებანი — ძველი განგებანი,
მტკიცე და სარწმუნო. 2. რადგან ქვის
ყორედ აქციე ქალაქი, ციხე-სიმაგრე-
ნი — ნანგრევებად, უცხოთა სასახლე
აღარ არის ქალაქში, აღარასოდეს აშ-
ენდება. 3. ამიტომ მოწიწებით გახსე-
ნებენ ძლიერი ხალხები, მტარვალთა
ქალაქებს შიში ექნებათ შენი. 4. რად-
გან შენა ხარ საპყართა სიმტკიცე, გლა-
ხაკთა სიმტკიცე მათ გასაჭირში, თავ-
შესაფარი ქარიშხალში, ჩრდილი პა-
პანებაში; რადგან მტარვალთა სუნთქ-
ვა კედელს მიხლილი ქარიშხალია:
5. როგორც ხვატი უდაბნოში, უცხოთა
ხმაურს შენ აცხრობ; როგორც ხვატი
ღრუბლის ჩრდილში, ასე ითრგუნება
მტარვალთა სიმღერა. 6. გაუმართავს
ცაბაოთ უფალი **ხალხს ამ მთაზე ნა-
დიმს** მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი
ღვინით, ძვლის ტვინიანი მსუყე კერ-
ძებით, ძველი, დაწმენდილი ღვინით.
7. გააუქმებს ამ მთაზე საფარველს,
ერებს რომ აფარია და საბურველს,
ხალხებს რომ ბურავთ. 8. **შთანთქავს
სიკვდილს სამუდამოდ** და **მოსწმენდს
ცრემლს უფალი** ღმერთი ყოველ პი-
რისახეს, წარხოცავს თავისი ერის სირ-
ცხვილს მთელი ქვეყნიდან, რადგან
უფალმა ბრძანა. 9. იტყვიან იმ დღეს:
აჰა, ეს არის ღმერთი ჩვენი, მას ვე-
სავდით და გვიხსნა! ეს არის უფალი,
მას ვესავდით! ვიშვათ და გავიხაროთ
მისმიერი ხსნით! 10. რადგან დაადგ-
რება **უფლის ხელი ამ მთას** და გაი-
თელება მოაბი თავის ადგილზე, რო-
გორც ჩალა ითელება სანეხვეზე. 11.
ხელებს გაშლის მის შუაგულში, რო-
გორც მოცურავე შლის საცურაოდ ხე-
ლებს, მაგრამ დასცემს უფალი მის
სიამაყეს მისი ხელის ხრიკებთან ერ-
თად. 12. ჩამოაქცევს, დაამხობს შენი
გალავნის მაღალ ბურჯებს, მიწასთან
გაასწორებს,

1. იმ დღეს იმღერებენ **ამ სიმღერას**
**იუდას ქვეყანაში:** მაგარი ქალაქი
გვაქვს; ხსნას დაგვიდებს ზღუდედ და
გალავნად. **2.** გააღეთ ჭიშკრები, შემო-
ვიდეს **მართალი ერი,** რწმენის შემ-
ნახველი! **3.** ზრახვაშეურყეველს მშვი-
დობაში იფარავ, რადგან შენზეა მონ-
დობილი. **4.** მიენდეთ უფალს უკუნი-
სამდე, რადგან უფალი ღმერთია საუ-
კუნო კლდე. **5.** რადგან დაამდაბლა მა-
ღლის მკვიდრნი, აღზევებული ქალა-
ქი; დაამხო იგი, მიწასთან გაასწორა,
გაადამტვერა. **6.** თრგუნავს მას ფეხი,
ბეჩავის ფეხი, მათხოვართა ტერფები.
**7.** სწორია მართალთა გზა. შენ ასწო-
რებ მართალთა სავალს. **8.** შენი სამს-
ჯავროს გზაზედაც, უფალო, შენ გე-
სავდით; შენს სახელს და შენს სახსე-
ნებელს ელტვოდა სული. **9.** ჩემი სამ-
შვინველი გნატრობდა ღამით ჩემი
სული გეძებდა ჩემს გულში დი-
ლით; რადგან, როდესაც მსჯავრს
სდებდი ქვეყანას, სამყაროს მკვიდრთა
სიმართლე ისწავლეს. **10. შეწყალე-**
**ბული იქნება ბოროტეული, მაგრამ სი-**
მართლეს ვერ ისწავლის; იუკულმარ-
თებს წრფელ ქვეყანაში და უფლის
დიდებას არად ჩააგდებს. **11.** უფალო,
შემართულია შენი ხელი, მაგრამ ვერ
ხედავენ. დაინახონ შენი შური შენი
ხალხის გამო და შერცხვებათ; ცეცხლ-
მა შეჭამოს შენი მტრები. **12.** უფა-
ლო, შენ მოაფენ მშვიდობას ჩვენზე;
შენ გვიკეთებ ყველა ჩვენ საქმეს.
**13.** უფალო, ღმერთო ჩვენო! შენს
გარდა სხვა მეუფენი გვბატონობდნენ.
მაგრამ **მხოლოდ შენში ვახსენებთ**
შენს სახელს. **14.** მკვდრები არიან, არ
გაცოცხლდებიან; აჩრდილები აღარ
აღდგებიან, რადგან შენ დასაჯე და
მოსპე ისინი. მათი სახსენებელი წარ-
ხოცე. **15.** შენ გაგიმრავლებია ხალხი,
უფალო, გაგიმრავლებია ხალხი! გან-
დიდებულხარ, განგივრცია ქვეყნის კი-
დეები. **16.** უფალო, შენ გეძებდნენ
გასაჭირში, გულში ლოცულობდნენ, შენ
კი უმზადებდი სასჯელს. **17.** როგორც
ორსული ქალი, შობად მიწევნული,
იტანჯება, კივის ტკივილისგან, ასე
ვართ ჩვენ, უფალო, შენ წინაშე!
**18.** მუცლადვიღეთ, ტანჯვაში ვიყავით
და, აჰა, ქარი ვშობეთ; ქვეყანას ხსნა
ვერ მოვუტანეთ, არ დაეცნენ ქვეყნიე-
რების მცხოვრებნი. **19.** გაცოცხლდე-
ბიან შენი მკვდრები, აღდგებიან გვამე-
ბი, გაიღვიძეთ და იყიჟინეთ, მტვერ-
ში დავანებულნო! რადგან ნათლის
ცვარია შენი ცვარი და აჩრდილთა
ქვეყანაზე მოაფენ მას. **20.** წადი, ჩემო
ხალხო, შედით თქვენ-თქვენ ოთახებში
და გამოიკეტეთ კარი. მცირეხანს შეა-
ფარე თავი, ვიდრე რისხვა გადაივლი-
დეს. **21.** რადგან, აჰა, უფალი გამოდის
თავისი ადგილიდან ქვეყნის მკვიდრთა
დასასჯელად მათი ცოდვისთვის. **მიწა**
**გამოაჩენს თავის სისხლს** და აღარ
დაფარავს თავის დახოცილებს.

## თავი ოცდამეშვიდე

1. იმ დღეს დასჯის უფალი სასტი-
კი, დიდი და ძლიერი მახვილით **ლე-**
**ვიათანს, გველს მოსრიალეს,** და ლე-
ვიათანს, გველს დაკლაკნილს, და მოკ-
ლავს გველეშაპს, ზღვაში მყოფელს.
**2.** იმ დღეს იმღერეთ **სანატრელ ვე-**
**ნახზე:** **3.** მე, უფალი, მცველი ვარ მი-
სი, ყოველწამს ვარწყულებ და ვიცავ
დღითა და ღამით, რომ არავინ დააზია-
ნოს. **4.** რისხვა არ არის ჩემში; მაგრამ
დამიყარონ ბრძოლაში ნარ-ეკალი! გა-
დავთელავ მათ და ერთიანად გადავწვავ.
**5.** ან მოეჭიდოს ჩემს სიმტკიცეს, ზა-
ვი დამიდოს, დამიდოს ზავი! **6.** დად-
გება ჟამი და **ფესვს გაიდგამს იაკობი,**
გაიხარებს და **ყლორტებს გამოიყრის**
**ისრაელი** და მთელს ქვეყნიერებას აავ-
სებს ნაყოფით. **7.** თუ უგვემია იგი
მისთა მგვემელთა გვემით, თუ უხოცია
იგი მისთა მხოცელთა ხოცვით? **8. უკი-**
**დურეს რისხვაში შენ სჯი მას გადახვე-**
**წით.** აიტაცებდა თავისი ძლიერი
ქროლვით აღმოსავლეთის ქარიან
დღეს. **9.** ამიტომ წარიხოცება **ამით**

**იაკობის დანაშაული** და, აჰა, ეს იქნება მისი ცოდვის მიტევების ნაყოფი: როცა კირის ნაფშხვენებივით აქცევს სამსხვერპლოს ლოდებს, როცა აღარ იდგებიან აშერები და მზის კერპები. **10.** რადგან უდაბნოსავით გამარტოსულდა გამაგრებული ქალაქი; მიაგდეს და მიატოვეს საცხოვრებელი, ხბო დაბალახობს იქ, იქ ბინავდება და მის ფოთლებს კორტნის. **11.** როცა გახმება მისი ტოტები და ჩამოიმტვრევა, მივლენ ქალები, რომ ცეცხლი წაუკიდონ, რადგან უგუნურია ეს ხალხი, ამიტომ არ შეიბრალებს მისი შემქმნელი და მისი გამომსახველი არ შეიწყალებს. **12.** იმ დღეს გალეწავს უფალი თავთავებს ევფრატიდან ეგვიპტის ხევამდე და თქვენც, ისრაელიანებო, სათითაოდ აიკრიფებით. **13. იმ დღეს** ახმიანდება დიდი საყვირი და მოვლენ აშურის ქვეყანაში დაკარგულნი და ეგვიპტის ქვეყანად გაგდებულნი, რომ თაყვანისცენ უფალს **წმიდა მთაზე იერუსალიმში.**

## თავი ოცდამერვე

**1.** ვაი ეფრემის მემთვრალეთა სიამაყის გვირგვინს და მისი დიდებული მშვენების დამჭკნარ ყვავილს, ღვინით დაძლეულთა პოხიერი მინდვრების თავზე! **2.** აჰა, უფლის ძლიერი და მაგარი, როგორც სეტყვის თქეში, დამაქცევი ქარიშხალი, როგორც წყალდიდობის ნიაღვარი, მიწას დანაარცხებს თავისი ხელით. **3.** ფეხით გაითელება ეფრემის მემთვრალეთა სიამაყის გვირგვინი! **4.** მისი დიდებული მშვენების დამჭკნარი ყვავილი პოხიერი მინდვრების თავზე იქნება, როგორც ნაადრევი ხილი, ზაფხულამდე მოუწევნელი, რომელსაც თვალს მოჰკრავს თუ არა მნახველი, ხელთ იგდებს და იმწამსვე ყლაპავს. **5.** იმ დღეს ცაბაოთ უფალი იქნება დიდების გვირგვინი და ბრწყინვალე ჯიღა თავისი **ერის ნარჩომისათვის,** **6.** და სამართლის სულად სამსჯავროში მჯდომელისთვის, ძლიერებად — მომხდურთა უკუმქცევლისათვის კარიბჭიდან. **7.** მაგრამ ესენიც ბარბაცებენ ღვინისაგან და ირხევიან თაფლუჭისგან; მღვდელი და ქადაგი ბარბაცებენ თაფლუჭისგან, ჩანთქმული ღვინით, ირხევიან თაფლუჭისგან, ბარბაცებენ ხილვების დროს, მერყეობენ სამართლის განკითხვისას. **8.** რადგან ყოველი სუფრა სავსეა ნარწყევით, სუფთა ადგილი აღარ დარჩა. **9.** ვის უნდა დამოძღვროს ცოდნით და ვის უნდა ჩააგონოს ამბავი? — რძეს მოწყვეტილთ, ძუძუანასხლეტთ? **10.** რადგან რჩევა რჩევაზე, რჩევა რჩევაზე, წესი წესზე, წესი წესზე, ცოტა აქ, ცოტა იქ; **11.** რადგან ლუღლუღა ბაგეებით და უცხოთა ენით დაელაპარაკება ამ ხალხს. **12.** მან უთხრა მათ: აჰა, საშვებელი, მიეცით შვება მაშვრალს! აჰა, განსვენება! მაგრამ მოსმენა არ უნდოდათ. **13.** მაშინ უფლის სიტყვად იქცევა მათთვის რჩევა რჩევაზე, რჩევა რჩევაზე, წესი წესზე, წესი წესზე, ცოტა აქ, ცოტა იქ, რომ იარონ და გულაღმა გადაყირავდნენ, დაილეწონ, მახეში მოექცნენ და შეპყრობილ იქნენ. **14.** ამიტომ ისმინეთ უფლის სიტყვა, მაგინებელნო, ამ ხალხის მბრძანებელნო იერუსალიმში! **15.** რადგან ამბობთ: აღთქმა გვაქვს დადებული სიკვდილთან და კავშირი შევკარით შავეთთან; როცა წარმხოცელი შოლტი ჩამოივლის, ვერ მოგვწვდება, რადგან სიცრუე გავიხადეთ თავშესაფარად და ტყუილი — საფარველად. **16.** ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ქვა დავდევი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვაკუთხედი, მყარი საძირკველი; მასზე დანდობილი, არ აჩქარდება. **17.** დავდებ სამართალს თოკად და სიმართლეს — შვეულად, და სეტყვა წარხოცავს სიცრუის თავშესაფარს და წყალი წაიღებს ტყუილის საფარველს. **18.** გაცუდდება თქვენი აღთქმა სიკვდილთან და თქვენი კავშირი შავეთთან ვერ გაძ-

ლებს; როცა წარმხოცელი შოლტი ჩა-
მოივლის, მისი გასათელი შეიქნებით.
**19.** როგორც კი ჩამოივლის, შეგიპყ-
რობთ თქვენ; რადგან ყოველ დილით
ჩამოივლის, დღისით და ღამით. მისი
ამბის გაგონებაც კი ზარდამცემი იქ-
ნება. **20.** რადგან მოკლე იქნება სა-
წოლი ფეხის გასაშლელად და ვიწრო
იქნება საბანი გადასახურავად. **21.**
რადგან აღიმართება უფალი როგორც
ფერაციმის მთაზე, შეიძვრის როგორც
გაბაონის ველზე თავისი საქმის, უც-
ხო საქმის აღსასრულებლად და თავი-
სი ქმედების, საოცარი ქმედების ჩასა-
დენად. **22.** ახლა მოეშვით შეგინებას,
რომ არ მოგიჭიროთ თქვენმა საკვრე-
ლებმა, რადგან გავიგე რომ გადაწყვე-
ტილია მეუფისგან, ცაბაოთ უფლისგან
მთელი ქვეყნის განადგურება. **23.** ყუ-
რადიღეთ და ისმინეთ ჩემი ხმა, გაი-
გონეთ და შეისმინეთ ჩემი სიტყვა.
**24.** განა სულ მუდამ ხნავს მხვნელი
დასათესად? განა სულმუდამ აბრუ-
ნებს და ფარცხავს თავის მიწას? **25.** გა-
ნა არ ასწორებს მის ზედაპირს, მი-
მოფანტავს სოინჯს და თესავს კვლი-
ავს, ჩადებს ხორბალს ხნულში და
ქერს თავის ადგილზე და ასლს ყანის
კიდეებზე? **26.** ესა აქვს წესად და-
დებული, მისმა ღმერთმა დამოძღვრა
იგი. **27.** რადგან კევრით არ ლეწავენ
სოინჯს და ურმის ბორბალს არ ატა-
რებენ კვლიავზე, რადგან სოინჯი კე-
ტით იცეხვება და ჯოხით —კვლიავი.
**28.** პური ილეწება, მაგრამ ბოლომდე
არ ინაყება; ტრიალებენ ურმის ბორ-
ბალი და ცხენები, მაგრამ არ ნაყავენ
მას. **29.** ესეც ცაბაოთ უფლისგან მო-
დის; საკვირველია მისი რჩევა და სი-
ბრძნე მისი — დიდებული.

## თავი ოცდამეცხრე

**1.** ვაი არიელს, **ქალაქს, დავითი სა-
დაც დაბანაკდა!** მიუმატე წელიწადს
წელიწადი, ერთმანეთს მიჰყვეს დღე-
სასწაულები. **2.** შევაჭირვებ არიელს,
ატყდება ვაი და ვიში და არიელად
შეიქნება ჩემთვის. **3.** ბანაკად შემო-
გადგები ირგვლივ და კოშკებს შემო-
გავლებ, გოდოლებს აღვმართავ შენს
წინააღმდეგ. **4.** ჩაიფლობი, მიწიდან
დაიწყებ ლაპარაკს და ჩაიხშობა შენი
ნათქვამი, ლანდივით ამოვა შენი ხმა
მიწიდან და მტვერიდან აჩურჩულდება
შენი ნათქვამი. **5.** მტვრის კორიანტე-
ლივით იქნება შენი ურიცხვი მტერი
და განიავებულ ბზესავით — ურიცხვი
მტარვალი. მოხდება უცბად, ანაზდეუ-
ლად. **6.** ცაბაოთ უფალი გამოგეცხა-
დება გრგვინვით და მიწისძვრით და
მაღალი ხმით, ქარიშხლით და გრიგა-
ლით და შემჭმელი ცეცხლის ალით.
**7.** სიზმარივით, ღამეულ ჩვენებასავით
იქნება არიელზე გალაშქრებული დიდ-
ძალი ხალხი და ყველა, ვინც თავს ესხ-
მის მას და მის ციხე-სიმაგრეებს, ვინც
მას აჭირვებს. **8.** როგორც მშიერს ეს-
იზმრება, თითქოს ჭამდეს, გაეღვიძება
და, აჰა, ცარიელი აქვს მუცელი; რო-
გორც მწყურვალს ესიზმრება, თით-
ქოს სვამდეს, გაეღვიძება და, აჰა, ღო-
ნემიხდილია და სწყურია მის სულს.
ასე იქნება დიდძალი ხალხი, რომე-
ლიც თავს ესხმის სიონის მთას. **9.** თა-
ვი გაიშტერეთ და გაშტერდით! თავი
დაიბრმავეთ და დაბრმავდით! მთვრა-
ლები არიან, მაგრამ არა ღვინით, ბარ-
ბაცებენ, მაგრამ არა თაფლუჭით.
**10.** რადგან გადმოღვარა თქვენზე უფ-
ალმა ძილქუშის სული და დაგიხუჭათ
თვალები, წინასწარმეტყველნო და და-
გიფარათ თავები, მისნებო. **11.** იქნება
თქვენთვის მთელი ეს ხილვა როგორც
**დაბეჭდილი წიგნის სიტყვები,** რო-
მელსაც აძლევენ წიგნის მცოდნეს და
ეუბნებიან: წაიკითხე, ის კი ამბობს: არ
შემიძლია, რადგან დაბეჭდილია წიგნი.
**12.** ეძლევა წიგნი წიგნის უცოდინარს
და ეუბნებიან: წაიკითხე, ის კი ამბობს:
არ ვიცი წიგნი. **13.** თქვა უფალმა:
რაკი პირით მომიახლოვდა ეს ხალხი
და ბაგით მადიდებს მხოლოდ, გულით
კი შორს არის ჩემგან და გაზეპირე-
ბულ ანდერძად ექცა ჩემდამი მოწი-

წება, 14. ამიტომ, აჰა, საკვირველს
რასმე მოვახდენ ამ ხალხზე, გასაოცარს
და საკვირველს; დაიკარგება მათ ბრძე-
ნთა სიბრძნე და მათ გონიერთა გო-
ნიერება უჩინო იქნება. 15. ვაი მათ,
ვინც ღრმად მალავენ უფლისაგან თა-
ვიანთ ზრახვებს და ბნელში აქვთ თა-
ვიანთი საქმეები, და ამბობენ: ვინ არის
ჩვენი დამნახველი, ვინ არის ჩვენი
მცნობელი? 16. თქვე უკუღმართებო!
თუ შერაცხილა თიხა მექოთნის სწო-
რად? თუ უთქვამს შექმნილს შემქმნე-
ლისთვის, არ შეგიქმნივარო? თუ
უთქვამს ნასახს დამსახველისთვის, გა-
გება არ გაქვსო? 17. ცოტაც, სულ
ცოტაც და გადაიქცევა ლიბანი ხო-
დაბუნად და ხოდაბუნი მაღნარად
შეირაცხება. 18. გაიგონებენ იმ დღეს
ყრუები წიგნის სიტყვებს და **ბრმათა
თვალები ბნელიდან და უკუნიდან გა-
მოიხედავენ. 19. ბედშავს მოემატება
სიხარული უფალში და ღარიბი-ღატა-
კნი ისრაელის წმიდაში გაიხარებენ.**
**20**. რადგან აღარ იქნება მტარვალი და
ბოლო მოეღება მაგინებელს, ამოწყდე-
ბიან ერთიანად ბოროტ საქმეზე მღვი-
ძარენი, **21**. რომლებიც სიტყვით აც-
თუნებენ ადამიანს, მახეს უგებენ კარიბ-
ჭესთან მომჩივანს და არაფრის გული-
სთვის აძევებენ მართალს. 22. ამიტომ
ასე ეუბნება უფალი იაკობის სახლს,
**აბრაამის გამომსყიდველი:** ამიერიდან
არ იქნება შერცხვენილი იაკობი, ამი-
ერიდან არ გაუფითრდება სახე. **23.**
რადგან როცა დაინახავს თავის მონა-
გარს, ჩემს ხელთა ქმნილებას, თავის
წიაღში, წმიდაყოფენ ჩემს სახელს,
წმიდაყოფენ იაკობის წმიდას და ისრა-
ელის ღვთის შიში ექნებათ. **24.** ჭკუა-
დაბნეულნი გონს მოეგებიან და ჭირ-
ვეულნი დაიმოძღვრებიან.

## თავი ოცდამეათე

**1.** ვაი ამბოხებულ შვილებს, ამბობს
უფალი, რჩევას რომ მიჰყვებიან, მაგ-
რამ არა ჩემსას! ზრახვას რომ იზრა-
ხავენ, მაგრამ არა ჩემის სულისას, რა-
თა ცოდვა დაუსართონ ცოდვას. **2.** ეგ-
ვიპტეში რომ ჩადიან და ჩემს ბაგეებს
არ ეკითხებიან, რათა ფარაონის ძფა-
რველობა ეძებონ და ეგვიპტის ჩრდილს
შეაფარონ თავი! **3.** სირცხვილად ექ-
ცევათ მათ ფარაონის მფარველობა
და ეგვიპტის ჩრდილში შეფარება —
დამცირებად. **4.** რადგან მათი მთავრე-
ბი ცოყანში არიან და მათმა მოციქუ-
ლებმა ხანეს მიაღწიეს. **5.** ყველა სირ-
ცხვილს ჭამს იმ ხალხის გამო, რო-
მელიც ვერ გამოადგებათ მათ, ვერც
იხსნის, ვერც უშველის, მხოლოდ შე-
არცხვენს და მოაყივნებს. **6.** ნეგების
პირუტყვთა განაჩენი. ტანჯვისა და
წვალების ქვეყნის გავლით, საიდანაც
გამოდიან ხვადი და ძუ ლომი, ასპიტი
და მფრინავი გველეშაპი, ჩოჩრების
ზურგით მიაქვთ თავიანთი დოვლათი
და აქლემების კუზით — თავიანთი გან-
ძეულობა იმ ხალხთან, რომელიც არ
გამოადგებათ. **7.** ეგვიპტის შემწეობა
ფუჭი და ამაოა, ამიტომ შევარქვი მას
უქმად მოტრაბახე. **8.** ახლა წადი და
ფიქალზე დაუწერე ეს მათ და წიგნში
ამოკვეთე, რომ დარჩეს სამომავლოდ,
უკუნისამდე. **9.** რადგან ურჩია ეს
ხალხი, მატყუარა შვილები არიან, შვი-
ლები, რომელთაც არ უნდათ უფლის
რჯულის გაგონება; **10.** რომლებიც
ეუბნებიან მისნებს: ნურაფერს ხედავთ,
და წინასწარმეტყველებთ: ნუ გვიწი-
ნასწარმეტყველებთ სიმართლეს, გვით-
ხარით საამური სიტყვები, სასეირნოდ
გვიწინასწარმეტყველეთ! **11.** გზიდან
გადადექით, ბილიკიდან გადაუხვიეთ,
ისრაელის წმიდა მოგვაშორეთ. **12.**
ამიტომ ასე ამბობს ისრაელის წმიდა:
რადგან შეიძულეთ ეს სიტყვა, ძალა-
დობის და ცბიერების იმედი გაქვთ და
ამას ემყარებით, **13.** ამიტომ ეს დანა-
შაული იქნება თქვენთვის მაღალ კე-
დელზე გაჩენილი ბზარივით, რომე-
ლიც გაარღვევს მას და ერთ წამში,
ანაზდეულად ჩამოაქცევს. **14.** დაინგ-
რევა, როგორც იმსხვრევა მექოთნეთა
ჭურჭელი, უწყალოდ დალეწილი, და

ერთ ნატეხსაც ვერავინ იპოვნის მის
ნამსხვრევებში, რომ კერიდან ცეცხ-
ლი აიღოს ან საგუბარიდან წყალი
ამოხაპოს.. **15.** რადგან ასე ამბობს
უფალი ღმერთი, ისრაელის წმიდა:
უკან მოქცევით და დავანებით გადარ-
ჩებოდით, სიმშვიდეში და სასოებაში
იქნებოდა თქვენი ძალა, მაგრამ არ ინ-
დომეთ, **16.** თქვით: არა, ცხენებით
გავიქცევით, ამიტომაც ¦ გაიქცევით!
მკვირცხლებზე ავმხედრდებითო, ამი-
ტომაც მკვირცხლები იქნებიან თქვენი
მდევრები. **17.** ათასი გაიქცევა ერთის
მუქარაზე, ხუთის მუქარაზე ყველანი
გაიქცევით, ვიდრე სამანივით არ შერ-
ჩებით მთის წვერს და მაღლობს — ნი-
შანივით. **18.** მაინც სურს უფალს
თქვენი შეწყალება და მაინც აღდგება
თქვენს შესაბრალებლად, რადგან სა-
მართლის ღმერთია უფალი, ნეტარია
ყოველი მისი მოესავი. **19.** რადგან
ერი სიონში იცხოვრებს, იერუსალიმ-
ში; აღარ გექნება სატირალი, წყალო-
ბით შეგიწყალებს შენი ღაღადების
ხმაზე; როგორც კი მოესმება, პასუხს
გაგცემს. **20.** მოგცემთ უფალი ჭირში
პურსა და სიმწარეში წყალს და აღარ
დაიმალება თქვენი მოძღვარი და იხი-
ლავენ თქვენს მოძღვარს თქვენი თვა-
ლები. **21.** თქვენს ყურებს მოესმება
სიტყვა თქვენს უკან: აჰა, გზა, იარეთ
მასზე, როცა მარჯვნივ გადაუხვევთ ან
მარცხნივ გადაუხვევთ. **22.** სიბილწედ შე-
რაცხავთ ვერცხლით მოჭედილ თქვენს
კერპებს და თქვენი ალალმების ოქროს
შესამოსელს, გაფანტავთ როგორც
სიბინძურეს; განვედო, ეტყვით. **23.**
მოსცემს წვიმას შენს თესლს, რომელ-
საც დათესავ მიწაზე, და პურს — მი-
წის მოსავალს, რომელიც მსუქე და
მაწიერი იქნება; იბალახებს იმ დღეს
შენი საქონელი გაშლილ საძოვარზე.
**24.** ხარები და ვირები, მიწას რომ
ამუშავებენ, მარილიან საკვებს შეჭა-
მენ, გადარჩეულს ნიჩბითა და სანია-
ვებლით. **25.** ყოველ მაღალ მთაზე და
ყოველ შემაღლებულ გორაკზე გაჩნდე-
ბა ღელეები, წყლის ნიაღვრები დიდი
შემუსვრის დღეს, როცა დაეცემიან
გოდოლები. **26.** მთვარის ნათელი მზის
ნათელივით იქნება და მზის ნათელი
გაშვიდკეცდება შვიდი დღის ნათელი-
ვით; მაშინ შეუხვევს უფალი ჭრილო-
ბას თავის ერს და თავის დანარტყამს
განუკურნავს. **27.** აჰა, უფლის სახელი
შორიდან მოდის; გიზგიზებს მისი
რისხვა და შენივთდა კვამლი, მისი ბა-
გეები სავსეა წყრომით და მისი ენა
მჭამელი ცეცხლია. **28.** მისი სუნთქვა,
როგორც მოვარდნილი ნიაღვარი, ყე-
ლამდე უწვდენს, რომ გაცხრილოს
ხალხები აღსპოლვის ცხრილში; რომ
ლაგამი ამოსდოს ყბაზე ხალხებს გზა-
კვალის აზარევად. **29.** სიმღერა გექნე-
ბათ როგორც დღესასწაულის განათვ-
ლის ღამეს და გულის სიხარული რო-
გორც სალამურით მიმავალს უფლის
მთაზე, ისრაელის კლდეზე ასასვლე-
ლად. **30.** გამოსცემს უფალი თავის
დიდებულ ხმას და თავის შემართულ
მკლავს გამოაჩენს მძვინვარე რისხვა-
ში და შემჭმელი ცეცხლის ალში, მე-
ხისტეხაში და თავსხმაში, ქვის სეტ-
ყვაში. **31.** რადგან უფლის ხმაზე დაფ-
რთხება აშური, როცა ატყდება კვერ-
თხის ცემა. **32.** ყოველ ჩავლაზე დამ-
სჯელი კეტისა, რომელსაც მათზე შე-
მართავს უფალი, დაფდაფთა და ქნართა
ხმა გაისმება და მოღერებული ხე-
ლით შეებმება მათ. **33.** რადგან დიდი-
ხნის მოწყობილია კოცონი, მეფისთვის
გამზადდა, გაღრმავდა და გაფართოვდა.
უხვად არის მასზე ცეცხლი და შეშა.
უფლის სუნთქვა გააჩაღებს როგორც
გოგირდის ნიაღვარი გააჩაღებს მას.

## თავი ოცდამეთერთმეტე

1. ვაი ეგვიპტეში ჩამავალთ შემწე-
ობისთვის, ცხენებისა და ეტლების მო-
იმედეთ, რადგან ბევრია, და მხედრებზე
დანდობილთ, რადგან ძალზე ძლიერნი
არიან. არ უყურებენ ისრაელის წმიდას

და უფალს არ ეკითხებიან. 2. მაგრამ
ბრძენია ის და უბედურება მოაქვს. არ
გადათქვამს თავის სიტყვებს, წინ აღუ-
დგება უკეთურთა სახლს და ავისმქმნე-
ლთა შემწეობას. 3. კაცნია ეგვიპტელნი,
არა ღმერთი; მათი ცხენები ხორცია.
არა სული. როცა უფალი მოიქნევს
ხელს, წაიფორხილებს შემწე და და-
ეცემა შეწევნილიც. და ყველანი ერთი-
ანად დაიღუპებიან. 4. რადგან ასე
მითხრა უფალმა: როგორც ბრდღვინავს
ლომი ან ლომის ბოკვერი თავის მსხვე-
რპლზე, თუნდაც შემოადგეს მწყემსების
გუნდი, არ ეშინია მათი ყვირილისა და
არც მათ სიმრავლეს უფრთხის — ასე
ჩამოვა ცაბაოთ უფალი საომრად სიო-
ნის მთაზე და მის გორაკზე. 5. როგორც
ჩიტი ბარტყებს, ასე დაიფარავს ცაბაოთ
უფალი იერუსალიმს, დაიფარავს და
იხსნის, მოუფრთხილდება და გადაარ-
ჩენს. 6. დაუბრუნდით მას, ისრაელია-
ნებო, ვისაც ღრმად განუდექით! 7. რა-
დგან მოისვრის იმ დღეს ყოველი კა-
ცი თავის ვერცხლის კერპებს და თავის
ოქროს კერპებს, რომლებიც თქვენმა
ცოდვილმა ხელებმა გააკეთეს. 8. არ-
კაცური მახვილით დაეცემა აშური და
არაადამიანური მახვილი შეჭამს მას;
მახვილს გაექცევა, მის ჭაბუკებს კი
დაიმონებენ. 9. შიშით ჩაუვლის თავის
კლდეს და დაფრთხებიან მისი მთავრები
დროშის წინაშე, ამბობს უფალი, რომე-
ლსაც ცეცხლი აქვს სიონზე და სა-
ხმილი — იერუსალიმში.

## თავი ოცდამეთორმეტე

1. აჰა, სიმართლით იმეფებს მეფე და
მთავრები სამართლიანად იმთავრებენ.
2. თითოეული იქნება როგორც საფა-
რი ქარში, თავშესაფარი ავდარში, რო-
გორც წყლის ნაკადულები უდაბნოში,
როგორც მაღალი კლდისგან დაფენილი
ჩრდილი ურწყულ მიწაზე. 3. არ აცე-
ცდება მხედველთა თვალები და მსმენე-
ლთა ყურები გამახვილდება. 4. ქარაფ-
შუტების გული მიხვდება ჭეშმარიტებას
და ბლუკუნების ენა სწრაფად და ნათ-
ლად იმეტყველებს. 5. აღარ დაერქმევა
უგვანს ღირსეული და ძუნწს ხელგაშლი-
ლად არ მოიხსენებენ. 6. რადგან უგვა-
ნობას ლაპარაკობს და მისი გული ბო-
როტის ქმნად არის მიდრეკილი. პირ-
ფერობს და სიცრუეს ლაპარაკობს უფ-
ალზე; ცარიელზე სტოვებს დამშეულ
კაცს და მწყურვალს სასმელს ართმევს,
7. ძუნწს ბოროტი აქვს იარაღი, მზაკ-
ვრობას იზრახავს, რომ ბედშავი ცრუ
სიტყვებით დაღუპოს, მართალსაც რომ
ამბობდეს გლახაკი.8. ღირსეული კი ღი-
რსეულს იზრახავს და ღირსებაზე დგას.
9. უზრუნველო ქალებო, წამოდექით,
უსმინეთ ჩემს ხმას! უდარდელო ასულ-
ნო, ყურად იღეთ ჩემი ნათქვამი! 10.
ერთი წელიც და შეშფოთდებით, უდარ-
დელნო, რადგან ბოლო მოეღება რთველს,
მოსავლის აღების ჟამი არ დადგება. 11.
გეშინოდეთ, უზრუნველნო, შფოთავდეთ,
უდარდელნო, განიძარცვეთ, გაშიშვლდით
და წელი მოისარტყლეთ. 12. მკერდს
იცემდეთ სანატრელი ყანების გამო, ნა-
ყოფიერ ვენახთა გამო. 13. ჩემი ხალ-
ხის მიწის გამო, სადაც ძეძვი და ეკალი
გაიხარებს! ვაგლახ, ყველა მხიარული
სახლის გამო, მოზეიმე ქალაქთა გამო!
14. რადგან დარბაზები დაცარიელდება
და ხმაურიან ქალაქს მიატოვებენ; ბორ-
ცვი და გოდოლი გამოქვაბულად იქცევა
უკუნისამდე — კანჯართა საჯირითოდ,
ჯოგების საძოვრად. 15. ვიდრე არ გად-
მოვა ზეგარდმო ჩვენზე სული და უდაბნო
**წალკოტად არ გადაიქცევა და წალ-**
**კოტი მაღნარად არ შეირაცხება. 16.**
**მაშინ დაივანებს უდაბნოში სამართალი**
**და სიმართლე დამკვიდრდება წალკოტში.**
17. **მაშინ** სამართალი შეიქმს მშვიდო-
ბას და შვება და მყუდროება იქნება სა-
მართლის ნაყოფი უკუნისამდე. 18.
**დამკვიდრდება ჩემი ერი** მშვიდობის სა-
მყოფელში, მყუდრო სავანეებში და უზ-
რუნველ სადგომებში. 19. მოვა სეტყვა
და ტყე დაეშვება ძირს, ქალაქი ჩაწო-

იწევს ვაკეზე. **20.** ბედნიერები ხართ,
ვინც ყველგან თესავს, სადაც წყალია,
და ნებაზე უშვებთ ხარს და სახედარს!

## თავი ოცდამეცამეტე

1. ვაი შენ, დამარბეველო, თავად
დაურბეველო, გამყიდველო და თავად
გაუყიდავო! როცა მოათავებ რბევას.
შენც დაირბევი! როცა შეწყვეტ გამყიდ-
ველობას, გაიყიდები! **2.** უფალო, შეგ-
ვიწყალე, შენ გესავთ! იყავი მათ მკლა-
ვად დილაობით, და ჩვენს სახსრად გა-
საჭირში! **3.** შენი ხმის გრიალზე გარბ-
იან ერები, წამოიმართები და იფანტე-
ბიან ხალხები. **4.** აიკრიფება თქვენი
ნადავლი, როგორც კრეფს ბოცომკალი;
დაესხმის, როგორც კალიის ურდო ეს-
ხმის. **5.** აღზევებულია უფალი, რადგან
მაღლაა დავანებული, აავსო სიონი სა-
მართლითა და სიმართლით. **6.** ის იქნება
შენი დროების სიმტკიცე, სახსართა სი-
უხვე, სიბრძნე და ცოდვა; უფლის ში-
შია მისი საუნჯე. **7.** აჰა, აყვირდებიან
მათი ბუმბერაზნი გარეთ, მშვიდობის
მოციქულნი მწარედ ატირდებიან. **8.**
გაუდაბურდა გზები, გადაშენდა მგზავ-
რი; დარღვეულია აღთქმა, ქალაქები შე-
ძულებული, კაცი არად ჩაგდებული. **9.**
გლოვობს, მწუხარებს მიწა, შერცხვე-
ნილია ლიბანი, გადამჭკნარი; შარონი
უდაბნოს დაემსგავსა, ბაშანს და ქარ-
მელს დასცვივდა ფოთოლი. **10.** ახლა
აღვდგები, ამბობს უფალი, ახლა ავმა-
ღლდები, ახლა ავიმართები. **11.** თი-
ვით ორსულნო, ჩალას დაბადებთ; ცეც-
ხლია თქვენი სუნთქვა, თქვენივე შემ-
ჭმელი. **12.** კირად გამოიწვებიან ხალ-
ხები, ფიჩხივით ამოიბუგებიან ცეცხლ-
ში. **13.** გესმათ, შორეულნო, ჩემი ნა-
მოქმედარი, გეცოდინოთ, ახლობელნო,
ჩემი ძლიერება! **14.** შეშინდნენ ცოდვი-
ლნი სიონზე ,შიშისზარმა შეიპყრო უკე-
თურნი; რომელი ჩვენგანი გაუძლებს
მშთანთქმელ ცეცხლს? რომელი ჩვენ-
განი გაუძლებს მარადიულ სახმილს?
**15.** მართლად მსვლელი და წრფელად
მოუბარი, ძალადობით მონახვეჭის მო-
ძულე, ქრთამისაგან ხელის დამფერთხა-
ვი, ყურის დამხშობი სისხლიან ამბავზე
და თვალის დამხუჭველი ბოროტების
ცქერაზე —**16.** აი, ვინ დაივანებს მა-
ღალში! კლდეთა სიმაგრეები იქნება მისი
საფარი, მიეცემა პური და ექნება წყა-
ლი დაუწყვეტელი. **17.** შენი თვალები
იხილავენ მეფეს თავის მშვენებაში, და-
ინახავენ შორეულ ქვეყანას. **18.** შენი
გული გაიხსენებს შიშს: სად არის აღ-
მრიცხველი? სად არის ამწონელი? სად
არის გოდოლთა აღმრიცხველი? **19.**
ვერ დაინახავ კადნიერ ხალხს, ხალხს
ბნელმეტყველს, შეუსმენელს ენამოქ-
ცეულს, ვისაც ვერავინ უგებს.
**20.** **შეხედე სიონს,** ჩვენი დღესასწაულე-
ბის ქალაქს. **შენი თვალები იხილავენ
იერუსალიმს,** მყუდრო სავანეს, აუშლელ
კარავს! არ დაიძვრის სამარადისოდ მი-
სი პალოები და არც ერთი მისი საბელი
არ გაწყდება. **21.** რადგან იქ გვეყოლება
**უფლის ძალი** მდინარეთა და ფართე
არხების ნაცვლად; ნიჩბებიანი ხომალ-
დი ვერ შევა მასში და ძლიერი გემი იქ
ვერ გაივლის. **22.** რადგან უფალია ჩვენი
მსაჯული, უფალია ჩვენი რჯულმდებე-
ლი, **უფალია ჩვენი მეფე;** ის **გვიხსნის**
ჩვენ. 23. მოშვებულია შენი საბელები,
ველარ იჭერს ფუძეზე ანძას და ველარ
იშლება იალქნები. მაშინ განაწილდება
დიდძალი ნადავლი, კოჭლებიც დაიწ-
ყებენ ალაფობას. **24.** არ იტყვის მცხოვ-
**რები: ავად ვარ.** ხალხს, მასში დამკვი-
დრებულს, მიეტევება დანაშაული.

## თავი ოცდამეთოთხმეტე

**1.** ახლოს მოდით, ერებო, რომ გაიგო-
ნოთ! ყურადღებით იყავით, ხალხებო!
გაიგონოს მიწამ და მისმა სავსებამ, ქვე-
ყანამ და ყოველმა მისმა აღმონაცენმა!
**2.** რადგან უფლის რისხვაა ყველა
ერზე და გაცეცხლება მთელს მათ მხე-
დრობაზე; შერისხა ისინი, დასახოცად

გასწირა. **3**. მათი დახოცილები გადაიყ-
რებიან, მათი გვამები სიმყრალეს აუშ-
ვებენ და მთები დალბებიან მათი სისხ-
ლისგან. **4**. დალპება ცის მთელი მხედ-
რობა და ცა **წიგნივით დაიგრაგნება**, ჩა-
მოცვივა მთელი მხედრობა, როგორც ფუ-
რცელი ცვივა და ვაზს და მჭკნარი ფოთო-
ლი — ლელვის ხეს. **5**. რადგან დაითრო ჩე-
მი მახვილი; აჰა, დაეშვება ის ედომზე და
ჩემგან შერისხულ ხალხზე დასასჯე-
ლად. **6**. უფლის მახვილი სავსეა სის-
ხლით, გაპოხილია ქონით, კრავთა და
თიკანთა სისხლით, ვერძების თირკმელ-
თა ქონით; რადგან მსხვერპლშეწირვა
აქვს უფალს ბოცრაში და დიდი ხოც-
ვა ედომის მიწაზე. **7**. კამეჩები დაეცე-
მიან მასთან ერთად და ხბოები ხარებ-
თან ერთად, დაითრობა სისხლით მიწა
და ქონით გაიპოხება მათი მტვერი **8**.
რადგან **შურისგების დღე აქვს უფალს,**
ნაცვალგების წელი სიონის სარჩელის-
თვის. **9**. მისი ხევები კუპრად გადიქ-
ცევა და მისი მტვერი — გოგირდად,
მისი მიწა მოგიზგიზე კუპრი გახდება.
**10**. არ ჩაქრება არც დღე, არც ღამე;
უკუნისამდე იდინებს კვამლი, თაობი-
დან თაობამდე უკაცრიელი იქნება და
არავინ იქნება იქ გამვლელი სამარადი-
სოდ. **11**. ჭოტი და ზღარბი დაიმკვიდ-
რებენ მას, ბუკიოტი და ყორანი დაი-
ბუდებენ მასში; გასჭიმავს მასზე უსახუ-
რობის საბელს და უდაბურობის შვეულს.
**12**. აღარ ეყოლება დიდებულნი მეფობის
გამოსაცხადებლად და მისი მთავრები
გადაშენდებიან. **13**. მის დარბაზებში
ეკალი ამოვა, ქაცვი და ბუძგი — მის
ციხე-სიმაგრეებში, ტურების სადგომად
იქცევა და სირაქლემათა საცხოვრებლად.
**14**. ყოველი ჯურის მხეცი შეეყრება
ერთმანეთს, ოჩოკოჩი ოჩოკოჩს დაუ-
წყებს ხმობას; აქ დაიბუდებს ალი და
იპოვის სადგურს. **15**. აქ მოიკალათებს
გველი, დაყრის კვერცხებს, გამოჩეკავს
და თავის ჩრდილში მოუყრის თავს; აქ
მოიყრიან თავს ძერები სათითაოდ .**16**.
მოძებნეთ უფლის წიგნში და წაიკით-
ხეთ: არც-ერთი მათგანი არ დააკლდე-
ბა, სათითაოდ საძებარნი არ იქნებიან,
რადგან თავად მისმა ბაგემ ბრძანა და
მისმა სულმა თავი მოუყარა. **17**. მან
უყარა მათ წილი და მისმა ხელმა დაუდ-
გინა საზღვარი; უკუნისამდე დაიმკვიდრ-
რებენ მას, თაობიდან თაობამდე იქ და-
ივანებენ.

გაგრძელება იქნება

# პროზა, პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

## ასკილის წითელი ყვავილი

ვიწრო და გრძელი გვერდებდაგისოსებული რკინის ხიდია ლიანდაგებს ზემოთ. ხიდგალიაში მიმოდიან მოქალაქენი. ქარსიცხეში დამტყდარი ჩრდილები დაყვებიან გისოს-გისოს თავწახრილებს. ქვემოთ გატოტვილი, ერთმანეთს ასხლეტილი ლიანდაგები, მატარებლის სახურავები, უსახური ნაგებობანი ჩანან. ხიდზე ილანდება და ბეტონის კიბეზე ჩამორბის ბესო. ვოგზლის ხალხმრავალ მოედანს ხედავს ჩრდილებად. მიკროფონით წივის ქალი და ქარი დააწიალებს ხმას სადგურის შემოგარენში.

— ...დღევანდელი საქართველო არაა გენადის ღირსი, გენადი ერთია, საქართველო გაყიდულია, გენადი საქართველოა!

ტაში და ყივილია.

— გენადი, გენადი!

შუშის კედელთან დგას ბესო. კედლის ტელეფონის ყურმილი უჭირავს. ხურდას ეძებს პიჯაკის ჯიბეში მეორე ხელით. შუშიდან სალაროები და რაფაზე ჩამომჯდარი, თავჩაქინდრული, ტანსრული კაცი ჩანს. კარში გახიდული მილიციელი მგზავრებს არ ატარებს. დაბნეულები სხვა მხრიდან, სხვა კარით შედიან დარბაზში. რაფაზე თავჩაქინდრული კაცის წინ დგანან კაცები, რომლებიც მგზავრებს არ ჰგვანან. ერთი ფოტოაპარატს აჩხაკუნებს.

— მე ვარ!.. — ყურმილს ჩასძახის ბესო. — მე ვარ ბესია, ვასია კი არა ბესია... დაყრუვდი?! არა ვარ საჭირო? რატომ? სამკურნალოში ხართ? მე რატომ არ დამიბარეს? მაგენის დედას ვატირებ! — ყურმილს ახეთქებს სადგარზე. დაბნეული დგას ცოტა ხანი.

ბესია — ფორმიანი კაცია, რომლის პაგონებს არავითარი ზეალმატებულობის ნიშანი არ ადევს.

— რა გული გამიხეთქე, მე შენი პატრონი დედა!..

— გაჩხრიკეს თქვენი ბინაც?!

— შენ რა, მერე!.. აქ რა ხდება?

— რაც ხდებოდა... — შუშის მიღმა ანიშნებს. — ის კაცი მკვდარია.

— მკვდარია?

— ბილეთი აიღო, დაჯდა და მოკვდა.

— მოკვდა?

საყივარზე გასული ქალი მიკროფონით: გენადი საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა!..

— გესმის? — ეკითხება ბესოს არასაუწყებო დაცვის უშტატო თანამშრომელი.

ბესო სამფერად შეღებილ „ოცდაოთხში ჯდება. ფულს უწვდის მკლავზე წითელლენტშებმულ კაცს. ქარით თმა-

აშლილი კაცი წელში წახრილი იხდის მადლობას. „ოცდაოთხი“ მოწყვეტით ვარდება წინ, ხრჭიალით ტოვებს იქაურობას. უადგილო ალაგას ჭრის მოედანს, სწორ ქუჩაში გადის, მწკრივად მიმქროლავ მანქანებს ეწევა, ასწრებს, ზიგზაგურად უვლის გვერდს.

**დაბა ნიქორში მენაღმეთა დასახლებაში ასკილის წვენით მოიწამლნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები. არის მსხვერპლი. ამოწყდა მოწინავე მენაღმის რაჟდენ ბესარაბიძეს ოჯახი.**

თხელ ბურუსში გახვეული, ფერდობიდან ღარტაფში ჩავარდნილი ღამის ქალაქი ჩანს. გორის ძირას რესტორანია. ქვევით კიდევ ქალაქია. ბანზე სუფრაა. აზიურ-ევროპული საკრავების ნაჯარი ორკესტრი ზის ფიცარნაგზე. დუგლასს მიკროფონი უჭირავს და მღერის, ტექსტი და მუსიკა იმისია:

დუგლასი ხეიძე დედამ ხელით მატარა,
მამამ ადრე მიმატოვა, სიღარიბე
დამაბედა.
გაჭირვებამ გაქცევა მასწავლა...
ვენიორ ბასილაძემ მითხრა მილიციაში
შედი

ფულს იშოვნიო... იურისტი კაცი ხარო...

არ შემიშვეს, არც შევედი, დავრჩი
თავისუფალი,

ფული სხვანაირად ვიშოვნე... წვრილი ბურჟუაზიის

წარმომადგენელი დავერო უნდა ვაცეკვო...

დავერო მიქაშავიანიძე ცეკვავს!

ყვირიან: დავერო, დავერო, დავერო!

სხარტი და ტანმორჩილი კაცი რამდენიმე რთულ ილეთს ჩაახვევს ადგილზევე. აღტაცებულნი ყვირიან კვლავ.

— რაღა დროის ჩემი ცეკვაა!

— დავერო, რეპეტე! — ფულის შეკვრას იღებს გულისჯიბიდან და დოლებში ჩაფლულ მელოტ მუსიკოსს უტყაპუნებს თავზე.

— საილუსტრაციოდ! — ფულს აჩვენებს სუფრას და ჯიბეში იდებს. მუსიკაც დუმდება.

ბიბლიოთეკა

— ვინ გამომაყოლა თვალი?!

— არ დაგვეკარგება, ირაკლიევიჩ! — გაოფლილი მედოლე ჯოხებით ინიავებს სახეს.

— თქვენს დირექტორს ესეც შვენის!— ეუბნება ნანა ლალის.

— მიუხედავად ამისა! — თვალს არიდებს დუგლასის მეუღლეს.

— დღეს განსაკუთრებით ლამაზი ხარ!

— მართლა?!

ნანის სათვალე კიდია ყელზე, ძეწკვით, თვალწჭუტული უყურებს ლალის.

— ბატონებო, — ყურადღებას ითხოვს დავერო. — ამ ღირსსახსოვარ დღეს არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქალბატონი კლარა, ჩემი დაი, ბატონი მიტროს მეუღლე, ლალის დედა, ბესოს დედა... ძალლი ხსენებაზეაო... — ხმას იდაბლებს, სუფრის დაწყნარებას ელოდება.

— ბესო, აქეთ!

— ბატონო, ბესო!

— სად იყო აქამდე?!

ბესო მამას კოცნის, ულოცავს.

— სად ხარ, ბიჭო! — საყვედურობს მამა.

— ქალბატონი კლარა, ჩემი განსვენებული დაი, თქვენი მეუღლე ბატონო მიტრო, ბატონო მიტროფანე, მიტროს გეძახდით შინაურობაში, ახლაც ასე მოგმართავთ, თქვენი გაზრდილი ვარ, არამარტო მე, იცოდეს ყველამ... მოსწრებოდა ამ დღეს საწყალი ჩემი და, დაბრძანდით ბატონო მიტრო, ბესო იდგეს, თქვენ დაბრძანდით!...

ტუშს დაცხებს მოულოდნელად ორკესტრი.

ბესო ჭიქას დადგამს, სკამს გაწევს ფეხით.

— ბესო, არ გინდა!

— არ გაუშვათ!

დიდი ნაბიჯებით უახლოვდება ფიცარნაგს. მუსიკოსები ინსტრუმენტებს ტოვებენ. განიარაღებულნი გადიან. დაირა მიგორავს იატაკზე. ბესო ფიცარ-

ნაგს შემოუვლის, სამზარეულოში შეცვენილ მუსიკოსებს ყურადღებას აღარ აქცევს, სავსე ჭიქითვე ბრუნდება უკან.

დუგლასი ახალუხზე ღირკილოებაწყვეტილ მომტანს უქნევს თითს, ფულის შეკვრას აძლევს, მუსიკოსებს ათითებს.

— კი, ბატონო! — ლანგარზე დადებული ფული შეაქვს სამზარეულოში.

სუფრის ერთ კუთხეში ჩოჩქოლია.

— რა ხდება მანდ?! — ყვირის დავერო.

ლალი და ნანა დუმდებიან, ჩვენ ხომ არ დავიმსახურეთ შენიშვნაო.

— ნაუმოვიჩს ლექსის წაკითხვა უნდა! — აცხადებს ვიღაც.

— რა დროს ლექსია, მე მაგისი!

— თქვას, თქვას! — აღტაცებას ვერ ფარავენ ქალები.

— ბატონ მიტროს გაუმარჯოს, — განაგრძობს თამადა. — ბატონო მიტროფანე, ამისი გაზრდილი ვართ ყველანი. ბატონ მიტროს გაუ...

— მარჯოს!

— არ ვარგა! ბატონ მიტროს გაუ...

— მარჯოს!

— არაუშავს!

— ბატონ მიტროს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

— კარგია!

— დედაჩემის ხსოვნის იყო! — ახსენდება დალევრემილ ბესოს.

— დიახ. ჩვენ შევსვით ქალბატონ კლარას სადღეგრძელო.

— არ დაგვილევია!

— დავლიეთ, კაკო!

ნაუმოვიჩი ლექსს კითხულობს მახვილებით, წამოყვირებით, უსაშველო პაუზებით. ზოგიერთი უსმენს.

ტიციანი. პაოლო. ხაში. ფიროსმანი...

— გაუმარჯოს ნაომს, ნაომ სერბელაძეზეა ლაპარაკი, ალავერდი ვარ, ბატონო ბორია!

— არ ესმის.

— გაურჭვეთ მერე ყურში.

ნაუმოვიჩი მადლობას იხდის თავის დაკვრით.

— რატომ არ იბარებენ ცარიელ ბოთლებს! — სუფრის ბოლოდან მოდის შეკითხვა. — გაივსო ქალაქი ცარიელი ბოთლებით!

— ბოთლების სამინისტროს უნდა მიაკითხოთ!

— ღადაობთ?!

— მე არ მეხება ბატონო, ეგ... — ბოდიშობს მიტროფანე.

— აკადემიკოსი კაცი ბრძანდებით...

— ბოთლების აკადემიკოსი კი არ არის...

ნაწილ-ნაწილ ჩამოდიან ბანიდან ეზოში.

— ალეგრო, ჩქარო ტემპო! — ყვირის ვიღაც განათებულ ბანზე. ორკესტრი მირეკავს გრიგალისებურად.

— ძმური მოხეური!

კაკვი და ჭობი ცეკვავენ. ადრე დამუშავებული მთიულურის საკუთარი ვარიანტი აქვთ წარმოდგენილი.

— გტკივათ ისევ წელი, ბიძია? — ეკითხება აკადემიკოს მიტროფანეს კიბეზე რუსიკო.

— ტაში, ტაში! — ისმის ზემოდან.

— მტკივა კი, გამიხსენა... ბესო არ დაჯდეს რულზე!

— არ დაულევია, მამა! — ამშვიდებს ლალი. ნანისთან ერთად მოდის. თავწახრილი ჩამოდის ნანი, ბეცი თვალებით ეძებს საფეხურებს და ლაპარაკსაც არ ანელებს. ნანი ამთავრებს, ლალი იწყებს. ერთმანეთს უგდებენ თუ არა ყურს, ძნელი გასარკვევია.

— სიურპრიზი გვაქვს თქვენთვის გამზადებული წელის ტკივილის საწინააღმდეგოდ — უტყდება რუსიკო მიტროფანეს.

— გველის შხამი? — წელკავგამჯდარი ჩადის.

— არა. სულ სხვა რამ... ბატონი არჩილის წყალობაა...

— რატომ შეაწუხეთ!

— რა შეწუხებაა, როგორ გეკადრებათ!

— აქ ბრძანდებით? ცოტა შევგვიანდით... მადლობელი ვარ ყველასი.. .

— როგორ გეკადრებათ, ყველანი დავალებულნი ვართ თქვენგან! — მაღალი სათვალიანი მამაკაცი არაბუნებრივად ბოხი ხავერდოვანი ხმით ლაპარაკობს. საშინელი ხრიალით მოწყდება ადგილიდან სამ ფერში შეღებილი „ოცდაოთხი".

— ბესოა ხომ! — წელში იმართება დოინჯშემოყრილი მიტრო.

— არ დაულევია, მამა!

— რატომ არ იბარებენ ცარიელ ბოთლებს?! — ფეხი ეშლება ამ საკითხით დროებით შერყეულ მოქალაქეს.

— ჩაბარება არ მეხება, ბატონო.

— ქალაქი გაივსო ნახმარი ბოთლებით, შარდის ანალიზის გეგმა არ სრულდება!

— მითუმეტეს.

— მობრძანდით, ბატონო მიტრო!

„მერსედესის" კარი აქვს გამოღებული დუგლასს.

— მანდ არის ლეიბი? — ბოხი ხმით კითხულობს არჩილი.

— იქ დევს, იქ! — ამშვიდებს რუსიკო.

დუგლასის მანქანაში სხდებიან: ნანა, ლალი, მიტროფანე და რუსიკო.

— რატომ არ იბარებენ ცარიელ ბოთლებს? — ღია სარკმელში აქვს ხელი შემოყოფილი მოქალაქეს.

— წადი შენი! — მანქანას ძრავს დუგლასი.

ცარიელ ქალაქში მისრიალებს „მერსედესი".

რეიდია. ხაფანგთან დგას. მიტრო თვლემს. ნანი და ლალი ლაპარაკობენ, რატომ დგანან არ აინტერესებთ. სარკმლიდან გადმოყოფილ მარცხენა ხელს ართმევს დუგლასი ავტოინსპექტორს.

— უკან ნახეთ, აქ რას მიყურებთ! — ღილაკს თითს აჭერს, საბარგული იხსნება.

— ლეიბია აქ! — იძახის საბარგულში თავჩარგული ინსპექტორი რაჟიკო.

— ქვევით, კაცო, ქვევით!

ლუდის ყუთებია უცხოური წარწერებით.

— ერთი ამოიღე მხოლოდ!

— ეგაა რა!

უფროსი ინსპექტორი კვერთხს აზრიალებს, სხვა მანქანებს ათვალიერებს. ლუდის ყუთი შეაქვს სპეცმანქანაში რაჟიკოს. თეთრხალათიანი ექიმიც ზის კაბინაში.

მთვარით ავარცხლილი, უბან-უბან დასამნული სასაფლაო. „ოცდაოთხია" გაჩერებული სასაფლაოს შუკაში. ბესო დგას სამარესთან ბოთლითა დაჭიქით. მთვარის ნათელი დაჰფენია ქვაში ჩასმულ სანდომიანი სახის ქალის პორტრეტს. ბესო მისჩერებია ქვის სურათს. ბოცომკალები ჭრიჭინებენ ღამის სიცხეში. სადღაც მღერიან ჩაგუდულად: ვიცი, ვიცი ველარ გნახავ, გულს მედება სინანული. ხმა არი, ხმის გამღები არა სჩანს. ჭრიჭინს მოჰყვება ჰანგი, ძეგლებზე და სამარის ქვებზე მიშრიალებს. ვიცი და ვიცი ისევ გნახავ, გულს მედება სიხარული, შენ ვარდები გიკრეფია მე კი შენი სიყვარული...

მიტრო გაბაშვილის სახლის სადარბაზოსთან დგას თეთრი „მერსედესი". ლალი კოცნით ეთხოვება ნანას. დუგლასი მიტროს ეხმარება მანქანიდან გადმოსვლაში.

— ...ეს წელი, კაცო, ხანდახან ისე შემახსენებს თავს...

— მაგის წამალი გვაქვს უკვე. — ამშვიდებს რუსიკო.

— სიბერეს რომ წამალი შველოდეს... ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს ნათქვამია და მოლამ რომ დაუმატა, არც ახალგაზრდობაში ვიყავი დიდი ხვითოო...

— რა დროს სიბერეზეა ლაპარაკი... — ცვავილების თაიგულიც გადმოაქვს სალონიდან დუგლასს.

— მიაცილე! — მკაცრად და მრავალმნიშვნელოვნად ეუბნება ცოლი, სათვალის მინებს ატრიალებს ლალისაკენ.

— ისევ ჩალუსკუმებულია აქაურობა! — ჯავრობს დაწინაურებული მიტრო, ფეხით ფრთხილად სინჯავს სადარბაზოს ზღურბლს. მანქანაში დარჩენილი ნანი

სიგარეტს უკიდებს. ნათდება და ქრება შუშის იქით ბენზინის კვესის შუქზე თეთრი ქალის სახე.

— ლალი! — იძახის მიტრო.

— მამა, მოვდივარ! — დუგლასს ეხვევა. სადა ხარ, იკეტება კარი! — ლიფტში დგას.

— ადი, ამოვალთ ჩვენც! — სუნთქვაშეკრულია.

აძრული ლიფტის კაბინა კრთება ცხაურს იქით, სართულსა და სართულშუა ნათდება. მაღალი ქუსლებია დარჩენილი ბაცად განათებულ ბაქანზე, ფეხისცერებზე აწეული ლალი დუგლასის კისერზეა ჩამოკიდებული.

— კარგი, ნუ ბავშვობ! — აშკარად იშორებს დუგლასი.

— გეშინია?

— არავისი არ მეშინია! — ტუჩებს ველარ არიდებს ტუჩებს. — წავედი ახლა, გამოგაკითხავ!

— მოიცა... — სულს ითქვამს, თმას ისწორებს. — ლეიბი დაგავიწყდა.

— ლეიბი მოვა, ორი ავილე ყოველშემთხვევისათვის, ერთი — სხვისთვის. ქალი ისევ საკოცნელად ემზადება, ლეიბების ამბავი ნაკლებ აინტერესებს.

მანქანები ჩერდებიან სადარბაზოსთან, ულვაშა მამაკაცები ეხეთქებიან საბარგო მანქანის ძარაზე ერთმანეთს დამუხრუჭებისას.

— ჩამოდით, თქვენ გადაგიშენდათ პატრონ-მყვარებელი- — იძახის საჭესთან მჯდარი ჭობი. კაკვი უზის კაბინაში. წითელი „ფიატის" სარკმლიდან დავერო იხედება, ულვაშოვანთა ყაყანს აყურადებს. საკეტებიანი, ჩასახსნელ-შესაკრავებიანი ლეიბი გადმოაქვთ ყველას ერთად.

— ჩამოდი, მივულოცოთ ჩვენც! — ცოლს ეუბნება სადარბაზოდან გამობრუნებული დუგლასი. — დავეროც აქაა, ჭობი და კაკვი მობრძანდნენ!

უკმაყოფილოდ, თუმც უხმოდ ყაბულდება მაღალ ფეხებზე შემდგარი, სათვალიანი ქალი.



მიტროფანე გაბაშვილის ბინაში შედიან ხმაურით. ლალის კაბის გამოცვლა მოუსწრია. ადრინდელზე — ლამაზია სტუმრების ხელახალი ხილვით გახარებული.

— სხვანაირი დღეა მაინც... — შამპანურის ბოთლს ხსნის დავერო. — აქაც უნდა დავილოცოთ, ეს აუცილებელია! — ლალის მიერ შემოტანილ ბროლის მაღალ ჭიქებს ავსებს.

— ამდენი მე თავად ველარ მოვიფიქრე, ბესოც არ ჩანს, სახლში ჯობდა საერთოდ, მგლოვიარე კაცმა მაინც...— კედელზე მიკიდებული გარდაცვლილი ცოლის ფოტოზე უჩერდება ყურადღება... — წელმაც შემაწუხა ნამეტანი.

— ყოფილა და აღარ იქნება თქვენი რადიკულიტი! — ბათქუნით იხსნება ახალი ბოთლები, ულვაშიანებიც შემოდიან ჯლოყინით, მოაქვთ ერთი ლეიბი, რომელზედაც ხელის მოსაჭიდი ადგილი აღარაა დარჩენილი.

— ექიმთა საზოგადოების სახელით! — ბოხი ხმა მოუძღვის პროცესიას.

— არჩილიც მობრძანდა! — ახალი შამპანურის მომდევნო ბოთლი ფეთქავს.

— შეწუხებაც არ მინდოდა...

— თერაპიული ლეიბია, ბიძია! — უხსნის რუსიკო.

— დაგპირდა და აასრულა სიტყვა, გაუმარჯოს თქვენ საზოგადოებას, არჩილს გაუმარჯოს, რუსიკოს გაუმარჯოს! — ჭიქას სწევს დუგლასი, რუსიკოს ხელზე კოცნასაც ახერხებს.

— ამაზე უნდა დავწვე? — კითხულობს მიტრო. ლეიბს ხელით სინჯავს. — მაგარი ჩანს, ქვასავითაა.

— ზევით თუ გინდა, ბიძია, ჩვეულებრივი ლეიბი გადააგე, არა აქვს მნიშვნელობა მაინც იმოქმედებს. — ტახტზე შლის რუსიკო.

— კარგის რამეა, ბიძაჩემო! — ცერს ღმართავს ულვაშათა უსტა. ერთ ხაზზე დგანან, ერთდროულად სვამენ და ამშრალებენ ბროლის ჭიქებს. ერთმა-

ნეთს ურაწკუნებენ ბოკლებს დანარჩენები.

— რაც უბედური კლარა გარდაიცვალა, საწოლ ოთახში აღარ გავსულვარ, აქ მძინავს ხოლმე... მადლობელი ვარ, ბატონო არჩილ, ძვირფასი საჩუქრისათვის, სამთავისის ეკლესიის მაკეტი უნდა გისახსოვროთ, ლალი!

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ...

— ასანთის ღერებით ავაგე, ლალი, მოგაქვს?

— არავითარ შემთხვევაში!

— მამა, ვერ ავიღებ, ასახსნელია...

— არავითარ შემთხევავში, ქალბატონო ლალი, ახლა არა, არ გაგიშვებთ!

— მაშინ სხვა დროს, აქ იყოს თქვენ სახელზე, დროებით.

— ქალბატონ კლარას გაუმარჯოს კვლავ, სადაა ბესო?

— გაუმარჯოს ქალბატონი კლარას — მიიალავერდებს ულვაშიანთა უსტა. — ბენც!

— ბენც — ერთდროულად ეხმაურებიან.

— ბენც! — ერთად სვამენ.

— მოსწრებოდა, საწყალი, ამ დროს, შევავსოთ ჭიქები! ბათქა-ბუთქით იხსნება ბოთლები, მაგიდაზე ქაფდება პეჟვერი.

— ბორთ! — მადლობას იხდის მთავარი ულვაშა.

— ბორთ, ბენც! — კიდევ სვამენ და გადიან. მთავარს უდებს ჯიბეში დუგლასი ფულს.

— ბორთ! — თავდახრილი გადის მთავარი. მიყვებიან. კიბის ხვეულებში უმატებენ ყაყანს.

ისევ სტვენაა და გადაძახილი ჩაბნელებულ, უკვე ძილადწასულ ქალაქში. მთვარე დაჰნათის ხაფანგსაც, მხიარულ იერს ანიჭებს ყვითელ-თეთრ ალაგს.

— ნასვამი ვარ, — არ მალავს ბესო. მანქანიდან გადმოსული ღია კარს არ უშვებს ხელს. — ორი ჭიქა დავლიე დედაჩემის საფლავთან...

— საბუთები! — წყნარად ეუბნება ჩოფურა ავტოინსპექტორი.

— კიდევ რა გინდა!

— ჩაბერე ამაში! — ჭიქას აწვდის. ჩამოართმევს და მოისროლის ბესო. კუვეიტში მიიმსხვრევა ჭიქა ბეტონზე. კაბინაში გადაუყოფს ხელს ჩოფურა. ამხანაგს რაღაცას ანიშნებს.

— გასაღები ამართვი ,შე დამპალო?! — ცალ ბეჭს ათამაშებს მისდაუნებურად.

— სად გადააგდე ჭიქა, გეკადრებათ, ამხანაგო?!

— შეგეშალე ვიღაცაში, რაჟიკო!

— არავისში არ შემშლიხარ, მე აქ მარტო არა ვარ... — შორიდან მომავალ „ფიატს“ უთვალთვალებს. — გადაუდექი, გადაუდექი, გძინავს, კაი დროისაა! — ელვისსისწრაფით ჩაიქროლებს „ჟიგული“. გაწბილებულ პარტნიორს მიჩერებია რაჟიკო. პარტნიორი, — რომელმაც სასტვენში ჩაბერვაც ვერ მოასწრო, პირდაღებული დგას.

— ეს არ გავუშვათ, დროზე! — ერთდროულად სტვენენ ორთავენი და სადღაც შორიახლო ჩერდება, ეტყობა, მსუბუქი ავტო.

— რაჟიკო, მომე გასაღები, ხომ იცი, საიდანაც მოვდივარ!

— კანონი კანონია, კანონს ხომ ვერ დავარღვევ, რა გიყო!

— რაჟიკო!

— გადადექი გვერდზე, ხელს ნუ გვიშლი მუშაობაში, შედი ექიმთან სისხლის ანალიზი გვაჩვენებს ყველაფერს.

— შენ რა დაგემართა?!

— ჩვენ აქ მარტო არა ვართ... — ამხანაგის მოტანილ საბუთებს ათვალიერებს.

— სახლამდე მაინც მიმიყვანეთ... — ჯიბეებზე იტყაპუნებს ხელებს ბესო, ყველა ცარიელიაო, ანიშნებს.

— შენ აქ მართლა ის ხომ არ გგონია, მაგიტომ ვათევთ აქ ღამეს?... სად მუშაობთ თქვენ? — ეკითხება მოკაკვულ მძღოლს.

— სახლამდე მიმიყვანეთ, მეტი რა გითხრათ!

— წავიდა ის დრო, მაცალე რა მუშაობა!

დიდი სახლის რამდენიმე ფანჯრიდან გამოკრთის მხოლოდ ელექტრონის შუქი. მიტრო დარჩენილა დარბაზში მარტო. სამთავისის მაკეტი გამოუტანია და უყურებს. დიდ მაგიდაზე შამპანურის ცარიელი და ნახევრადსავსე ბოთლები, ყვავილების თაიგული, დაფნის გვირგვინია დარჩენილი.

— სად არის ლალი?! — ხმაურით შემოდის აფორიაქებული ბესო. იქაურობას ათვალიერებს. — ვინ იყო აქ?!

— ყველანი იყვნენ შენს გარდა, ასე უნდა შე კაცო!

— სად არი? — გვერდითი ოთახის კარის სახელურს ამოწმებს.

— დაწვა, კაცო, მოშორდი კარს, რა დროა თუ იცი!

— შენ რატომ არ გძინავს?

— არ მეძინება.. გინდა რამე? რა მოხდა, მითხარი!

— ფული მომე ხვალამდე.

— რამდენი გინდა?

— რამდენიცა გაქვს, ხვალამდე!

— ვინ გაგაჩერა?

— რაში გაინტერესებს, მომე, თუ გაქვს.

— ასეა... აღარც ჭირი იცი, აღარც ლხინი, ასე არ იქნება, შვილო... — მაგიდის უჯრაში აფათურებს ხელს.

— ხვალამდე-მეთქი, გითხარი...

— შენი ხვალეც ვიცი... — გატკეცინებულ ობლიგაციებს უდებს მაგიდაზე.

— ამას მაძლევ?

— აბა სადა მაქვს ფული, ან სად უნდა გიშოვნო შუაღამისას!...

— .ო, კარგი, ხვალვე დაგიბრუნებ!

— ამას გვაძლევ?! — გატკეცინებულ ობლიგაციებს დაჰყურებენ ავტოინსპექტორები. გაბაშვილების სახლის სადარბაზოსთან მოსულან ბესოს „ოცდაოთხითა" და მოტოციკლით.

— სამპროცენტიანია, არ დამიწყოთ ახლა!

— ასეთი შემთხვევა არ მქონია... — თითებს ინერწყვავს და ობლიგაციებს ითვლის სახენაიარევი ჩიფურა რაჟიკო. რაც არი არიო, ანიშნებს ამხანაგი და კანტი-კუნტად მიმავალ-მომავალ მანქანებს უკვე უგულოდ და მთქნარებით აყოლებს თვალს.

— ჩვენ რომ ვიყოთ მარტო კი, არ იფიქრო, ჩემ წილს არც ვკიდებ ხელს, იცოდე! — გულდაგულ კეცავს და ჯიბეში ილაგებს რაჟიკო ახალთახალ ობლიგაციებს. ყბამონგრეული ამხანაგი ამთქნარებს კვლავ. ძილს ძლივს უმკლავდება.

— რომელსა გაქვთ გასაღები!

— გასაღები აქ არი, არ შეიძლება კაცო, ნახვამდის სიარული, გადაეყრები რაღაცას, ვიღაცას... მოგაცილეთ, ცივ-ცივ მოგიყვანეთ, შეხვალ ახლა შინ, დაწვები, ჩვენ უნდა ვეგდოთ ქუჩაში...

— სულერთია, არ შეგარჩენ!

— ეცი ამნაირ კაცს პატივი.. .— ამხანაგს უყურებს.

— მოეშვი, კაცო! — ლაზათიანად ამთქნარებს. — კარგისათვის კარგი ვის უქნია... — მოტოციკლზე ჯდება, საჭეს და სიჩქარეებს ემარჯვება, სატერფულს აწვება. ატკაცუნებს, ნაპერწკლებს აფრქვევინებს ბოლთან ერთად ცოტა ხნით.

— ჩაქვრა? — ეტლში მოკალათდება რაჟიკო. ჩიტების ჟივჟივი შემოვა. მოტოციკლი ახმაურდება კვლავ ჩაბნელებულ ,ჩაძინებულ ქალაქში.

მშვენიერი დილაა გათენებული. დიდი მზე დადგომია მთაწმინდას. ბრტყელი სახლების ფანჯრებია გაბადრიალებული ვარდისფრად.

— მოსულა, მამა, ზაური. — აივნიდან იხედება ლალი.

გარაჟებით დაფარულ ვიწრო ეზოში შავი მანქანაა გაჩერებული, სარკმლიდან მძღოლის სიგარეტიანი მკლავაა გამოჩრილი.

— ჩადი, გამოვდივარ! — ყელსახვევს იკვანძავს სარკის წინ მარტო. საწოლ ოთახში დიდი ხნის, შეიძლება მრა-

ჯალი წლის დალაგებული და მას შემდეგ არ აშლილი ლოგინია. ფოტოსურათები, გახუნებული ბაბთები და ტელეგრამებია დაწყობილი ქვეშაგებზე. კედელზე პირსავსე, მომღიმარი ქალის ფოტოპორტრეტია, რომლის ჩარჩოში ბზის წკირი და სანთლის ნამწვია გამაგრებული.

— მზადა ხარ, ლალი? — კაბინეტიდან იძახის უკვე. ქსნის ციხისა და სამთავისის ეკლესიის თეთრი მაკეტი დევს კუთხის მაგიდაზე. ტახტთან წახრილი მიტრო უცნაურ ლეიბს აკვირდება დღის სინათლეზე.

— რა იყო, მამა. — კოფთის ღილების შეკვრით ეკითხება შემოსწრებული ლალი. — ისევ აშალე?

— ძალიან მაგარია — ქვეშაგებს ასწორებს შემცბარი.

— გითხრეს შენ, შეგაწუხებს თავდაპირველადო, მიმიშვი... — ხელახლა ასწორებს. — მომიხდაო არ თქვი?! წელში ვერ იმართებოდი წუხელი, აღარ გახსოვს?!

— მიშველავათა კი, უდაოდ, მხოლოდ სამი აბი გადავყლაპე, სხვიმის არ ჩამიდენია ამნაირი და წამალი მომიხდა თუ ლეიბი, არ ვიცი, მკვდარივით კი მეძინა...

— როდის მოვიდა ბესო?

— მოვიდა... გვიანი იყო....

— ჩადი, დაგეწევი.

ბალიშებში თავდალმა ჩამხობილ ბესოს ძინავს სარბოლი ავტომანქანების ფოტოებითა და სპორტული პლაკატ-აფიშებით გავსებულ ოთახში. სასამსახურედ გამოწყობილი ლალი ფულს უდებს თავსასთუმალთან. ცალ თვალს ახელს ბესო, პოზას არც კი იცვლის.

— ობლიგაციები მიუტანე მამას დღესვე!

— მეორე თვალსაც ახელს, მხოლოდ არ ინძრევა.

— ერთად დაგიბრუნებ ძველსაც და ახალსაც.

— ობლიგაციები მოიტანე დღესვე!

ხრიალით იღება რკინის დაბალი ჭიშკარი. შავი მანქანა ჩერდება შუშის ქარხნის ეზოში.

მიდის მიტრო ეზოში დიდი პორტფელით. წინ ქარხანაა უაზრმაზარი საკვამურით. ხელმარჯვნივ შენობა აბრით. **მინისტრის ექსპლოატაციის იგორხელ კოლოაშვილის სახელობის ექსპერიმენტალური, კვლევითი ინსტიტუტი.** ეზოში ხალხია. რამდენიმე ტრანსპორტია ამოყელყელავებული.

**მწვანე ფილტვებს მწვანე გზა!**

**სუფთა ჰაერი პლანეტას!** ყრუ კედელზე ბოთლის დიდი მაკეტია წარწერით — **ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით!**

ცარიელი ბოთლებით, ცეცხლგამძლე აგურით მოფენილ ერთ კუთხეში ტრიბუნა. ხმის გამაძლიერებლებს დგამენ. საკვამლე მილზე მიცოცავს კაცი მწვანე დროშით.

შტაბელ-შტაბელ აწყობილ ახალ ბოთლებს ტვირთავენ მანქანაზე. სამსხვრევ პოლიგონზე ქალი, რომელსაც სქელი უხეში ქსოვილის ტანსაცმელი აცვია, წუნ ბოთლებს ამსხვრევს ხათქახუთქით. ეზოში რაც ხდება, არ ეხება საქმით გართულს.

— უკაცრავად! — სადარბაზო შესასვლელთან აჩერებს მიტროს სქელი, მუცელამოტრიალებული მამაკაცი სიგარეტის ხრჩოლვით.

— გისმენთ.

— აი ის ქალი, ბოთლებს რომ ამსხვერვს...

— დიახ.

— ხომ შეიძლება ერთი ნამსხვრევი ასხლტეს, გახტეს და ჩამივარდეს შიგ თვალში! — ქუთუთოს გადაიწევს თითით, ამოთეთრებულ გუგას აჩვენებს.

— ასეთი შემთხვევა არ გვქონია!

— გექნებათ... ლურჯები გელაპარაკებით!

წვეროსანი ახალგაზრდები გროვდებიან.

— უნდა განმიმარტოთ... — შავწვერა ბიჭი გადმოდის არენაზე. — რამდენად

გამართლებულია, შრომის ჰიგიენაზე აღარ ვლაპარაკობ, ეკოლოგიური თვალსაზრისით ამდაგვარი მოქმედება!

— ბოთლსამსახვრევის მდგომარეობა გაწუხებთ?

— არა მარტო!

— ინსტიტუტი მუშაობს ამ საკითხზე, ჩვენ ვამონტაჟებთ უკვე ბოთლსამტვრევ მოწყობილობას. გამოვცდით ამ დღეებში... ხელით შრომა შემსუბუქდება სხვა უბნებზეც... ჰაერის დაბინძურების პრობლემაც, თუმც ეგ ბოთლმსხვრევას არ ეხება, მრავალჯერ იქნა განხილული ჩვენთან და სხვადასხვა ინსტანციებშიც...

— ნარჩენი ჰაერის სინჯი უნდა ავიღოთ, თქვენის ნებართვით!

— კი ბატონო.

— წინააღმდეგი ხომ არა ხართ?

— პირიქით.

პირველი წვეროსანი, ლურჯების წარმომადგენლად რომ გაასაღა თავი, გადახედავს სქელს, თვალში ბოთლის ნამსხვრევის ჩავარდნას რომ უფრთხოდა.

— დავიწყო!

თავს უქნევს. სქელი მასიური ცხვირის ნესტოებს ათრთოლებს, ნელა და ღრმად სუნთქავს თვალებგადმოკაკლული.

— ნორმაზე დაბალია. — აცემინებს.

— გაზრდა! — ეძახის ვიღაც.

სქელი ცხვირსახოცს იღებს ჯიბიდან, მტრულად იხედება უკან.

მისაღებში ორი კაცია. დირექტორის დანახვაზე მდივანი ქალი ხელმოსაწერ ქაღალდს აგროვებს, კაბინეტის კარს აღებს.

— მელოდებით? — ეკითხება მიტრო ყურებდასიებულ უცნობს.

— დიახ. — იღიმება პირფართო, ენერგიულყბიანი სტუმარი, სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშანი რომ აქვს დაბნეული პიჯაკზე. — ვაშაკიძე. სექტორის გამგე.

— უშვერიძე. იმავე სექტორის ქვეგანყოფილების უფროსი.

— საიდანღაც მეცნობით... — ფიქრობს. — თითქოს სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციაზე გნახეთ...

იცინიან კაბინეტში შედიან.

— რით შემიძლია გემსახუროთ? ეს რაა? — მდივანი ქალის მიწოდებულ ქაღალდებს ჩაჰყურებს.

— მანქანების განაწილების სიაა, ბატონო მიტროფანე, ხელია მოსაწერი... მანქანები აღარ მოდის რუსეთიდან, მხოლოდ სიას ვანაწილებთ...

— კარგი. გასაგებია. — ხელს აწერს.—ახლა გვადროვე. — მდივანი ქალი გადის. მიტროფანე საბურველს გადახსნის ქარხნის ტერიტორიის მაკეტს. დაკვირვებით დააშტერდებიან სტუმრები.

— ეს ქარხნის ცენტრალური საკვამურია, ხვდებით ალბათ...

— რასაკვირველია.

— თუ დააკვირდებით შეამჩნევთ კაცს, რომელსაც ივერიის ალამი უჭირავს, იგი, მილზეა ლაპარაკი, ფანჯრიდანაც შესანიშნავად ჩანს ნატურალური ზომით... აი აქ, თუ შეიძლება ისევ აქით მოაპყარით მზერა, ჩამონტაჟდება ბოთლსამტვრევი აპარატი MK–7. რაც შეეხება ქარხნის მილს, — ნაღდ მილს მიჩერებიან ისევ, — იგი ინსტიტუტს არ ექვემდებარება. მოგახსენებთ, რომ რევოლუციამდეა აგებული და რამდენიმე წლის წინ მოჭამა კიდეც თავისი ჭირი .ქარხანას იგი აღარ ჭირდება და ცხადია, აღარც ბოლავს. მილს ვახრჩოლებთ მხოლოდ პირველ–ორ მაისს მუშათა სოლიდარობის დღეებთან დაკავშირებით.

— და ახლა კაცია ზედე?

— დიახ. — შუა იმერული აქცენტი ჭრის მიტროს ყურს.

— არ ჩამოდის?

— არა. კი. ჩამოდის და ადის... ენაცვლებიან ერთმანეთს, სანამ არ დაანგრევთ, არ ჩამოვალთო, ჩამოსვლით არ ვიცი და ასვლით ნამდვილად ველარ ავლენ თუ დავანგრიეთ. ისე კი მილი, ადრევე გითხარით, ჩვენ არ გვექვემდებარება...

— ჩვენ სხვა საკითხზე ვართ... —პირადობის დამადასტურებელ, წითელყდიან წიგნაკს ამოიღებს სპორტის ოსტატი ვაშაკიძე, შტამპიან ქაღალდსაც გამოაჩენს. — ეს ბინის დათვალიერების ორდერი...

— დათვალიერების? ვისი ბინა უნდა დაათვალიეროთ? მე რატომ მაჩვენებთ? ჩემი ბინა? რა საჭიროა დათვალიერება?!

— ჩხრეკასაც ეძახიან, თუმც ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

— თქვენ საიდან ბრძანდებით? — ყურებზე უყურებს. — პარტერიდან? ეს ორდერია... გასაგებია... ბესო?

დუმან.

— ლალი? შეუძლებელია. გაუგებრობაა...

— ალბათ. ხელი მოგვიწერეთ, თუ შეიძლება, გაუგებრობაა, ცხადია, აი აქ, მადლობთ, თქვენ ნუღარ შეწუხდებით...

— ვინ დაგიხვდებათ შინ?

— მეზობლებს დავისწრებთ დათვალიერებაზე...

— ეს მაინც, — გასაღებს ეძებს. — არა, უნდა წამოვიდე...

— თქვენი ნებაა.

— მანქანების განაწილების სია იყო.. სიას ვანაწილებთ...

— წაიღო....

— წაიღო? — კიდევ რაღაცას ეძებს დაბნეული...

ყვავილებით გადალილოჭრელებულ მინდორში დაბზუიან ფუტკრები. ნიავის შრიალში ფუტკრის ზუზუნია ჩაწნული. ფერდობზე ალისფერყვავილოვანი ბუჩქებია. შენობაა აგებული მინდორში კასრები, ბუტები, ჩანები დგას ეზოში. მოტკბო სურნელი ადის ხის ჭურჭელს, კრაზანა დატრიალებს ერთ წვენს. ზუზუნებს გაბმულად, მონოტონურად. ლალი დგას ღია ფანჯარასთან. მსუბუქად, მინდორთან შეხამებულად აცვია. მერსედესი ჩერდება მოლში რბილად. ჩიტის კვერცხისფერი კოსტუმი აცვია დუგლასს: საზეგანათებული მიჩერებია ლალი მწვანეზე მომავალს შეჩერდება, ხელებს გადაიჯვარედინებს, სპორტული წუთშესვენების მოთხოვნის წესით ანიშნებს ქალს ნუ მაშტერდებიო.

სალაროსთან მუშები დგანან მორჩილად, ხმადაბალში ლაპარაკობენ განაკიდეს მდგარი ბუღალტერი ალუდა გასაღებების შეკვრას არაჩხუნებს, ყურადღების მიპყრობა სურს ან თანდასწრების დადასტურება. ერთი ნაბდის ქუდიანი მუშა იხედება სახელფასო უწყისში უნდობლად.

— მოაწერე, თუ აწერ! — ანჩხლად ეხმიანება სალაროს გალიიდან მოლარე.

— ეგაა მერე სულ?.. — ცალ თვალს ჭუტავს ნაბდისქუდიანი.

— გადაშენდი შენ!

— სოლომონ, სოლომონი არ გქვია შენა? — ეკითხება ალუდა.

— მერე რა რო, რო მქვია....

— რასა ჭვრეტ თუ იცი, რაც არი ეგ არი! არი?

— აბა რა ვი, თუ არი არი, რო?

— არი-მეთქი, გეკითხები! — არ ეშვება.

— რა ვი, აბა რო...

— ერთი მუჭი ასკილი გინახავთ, შენ გეკითხები, ვალოდია!

— არა კაცო — გამხდარი, ცხვირნისკარტა ახალგაზრდაა ვალოდია მწონავი.

— არა?! — ძალიან გაოცებულია სოლომონი.

— არც მუჭი, არცა მუჭანახევარი...

— მე? — გულზე ხელს იდებს. — ასკილი ყვავის ჯერ?..

— რატო აწერდი მაშინ...

— ხელსა? რა ვიცი აბა...

— წადი, თავისუფალი ხარ, ვინც მოიტანს ის წაიღებს... — გასაღებების შეკვრას მუჭავს, ჯიბეში ინახავს.

— მოიცა კაცო, შიგ მეტი სწერიაო, იმიტომაც, ვერა ვხედავ წესიერადა, რაც მომიტანია იმას მოვაწერ, აქა?

მოლარე: (არ ჩანს) მოისპე შენ!

— თავისუფალი ხარ-მეთქი!

— რადა ვარ თავისუფალი, ასკილი არი რო... აჰა, მოვაწერე თუ არა! — მაგრად აჭერს კალმის წვერს.

— რა ხდება? — კითხულობს დუგლასი. — გამარჯობათ, სალამს უბრუნებენ.

— ირაკლიევიჩ... — ნაბდისქუდიანისაკენ იხედება ალუდა.

— გამოიხედე შენ! — მწონავს ეუბნება დუგლასი.

— მე?

— რა უნდა კაცო, — ქუდს იხდის სოლომონი. — ხელი მოვაწერე! — ქუდს კუჭავს, ჯიბეში იტენის.

— რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, რამდენჯერ გითხარით, თუ ვინმე უკმაყოფილოა-მეთქი, თუ ვინმეს არ მოწონს აქაურობა, თუ უკეთესი პირობები ეგულება, თქვას, გვითხრას. ჩვენთან ურთიერთობა არაა სავალდებულო! — რიგში მდგართ ათვალიერებს. ხმას არ იღებენ, სახეზეც არაფერი ეხატებათ.

ლაბორატორიაშია. ლალის ზურგი შეუქცევია მინდვრისათვის. ცისფერი ფარდები ირხევიან უკან. კრაზანის შორეული ზუზუნი წვდება მაინც ყურთასმენას.

— იცი, რა ლამაზია ოფოფი!

— ოფოფი?

— წყეილი ოფოფია ჩვენს ტყეში, საქორწილოდ გამოწყობილები დავინახე ამ დილით... არ შეიძლება შეხედვაო და მე შევხედე. თვალი არ გაუშტეროო, ბებია მაფრთხილებდა, თვალი ვერ მოვაშორე. ეს ძალიან ცუდია. უბედურების მაუწყებელია, ცუდი ამბის დასაწყისია...

— ნუ სულელობ! — იღრიჯება დუგლასი.

— მიხურე კარი. აქ ვიღაც არი ნამყოფი. ჩემს მოსვლამდე შემოსულა ვიღაც.

— მერე?

— რა მერე.... ჟურნალია გადაშლილი, ასე არ დავტოვებდი, გადაწყობილია ქაღალდები, უჯრები არეულ-დარეულია...

— კარი ღია დაგიხვდა?

— არა. კარი დაკეტილი იყო და მაინც ვიღაც არი ნამყოფი. აი ჟურნალი... — ცხრილებით, ციფრებით აჭრელებულ დავთარს დაჰყურებს. — გვერდი არ აკლია, მაგრამ რაღაცაა შეცვლილი... ამ თაროზეც...

— წაღებულია რამე?

— არაფერი, მაგრამ აქ ვიღაც არის ნამყოფი... — წამოხურებულ სახეზე ისობს ხელს, თმას ისწორებს...

— წუხანდელი ღამენათევი ხარ.. — საკინძის ღილს უკრავს.

— ეგ რა შუაშია... — იხსნის საკინძეს. — შუაღამეზე მოსულა ბესო. მეძებდა თურმე, უნდა გავაღვიძოო, კიდეც კარგი, კარი გარედან დავკეტე, მამასაც შინ ვეგონე, ძინავს მოეშვიო... არა, აქ ვიღაც არი ნამყოფი..

დუგლასი (გაჯავრებული): რა დროს ოფოფია, რა შუაშია ბებიაშენი, შვიდი წლის მკვდარია.. ოფოფების დროა!

— არ უნდა შემეხედა, ძალიან ლამაზები იყვნენ... მაპატიე...

— არ აიჩვილო ახლა გული, ღამენათევი ხარ-მეთქი, გითხარი, ყავა მოიდუღე!..

დერეფანში მიაბიჯებს.

— ვიღაცამ გიკითხათ, ირაკლიევიჩ, ამ ტელეფონზე დარეკოსო! — ფურცელს აწოდებს შუბლზე სათვალეაწეული, ტანმორჩილი, მაგრამ ჯანიანი ბუღალტერი.

— წავიდა ის ჩემის სოლომონია თუ ვინცაა?.. — აშკარად არაა ხასიათზე.

საკუთარი კაბინეტის კართან დგას, საკლიტურს არგებს გასაღებს, აღებს, გაოცებული შეშდება ზღურბლზე. სამი კაცი ზის მის სამუშაო მაგიდასთან. ერთი თვალშისაცემად მაღალი ჩანს დამჯდარიც კი. მაგიდაზე ტილოა გადაფარებული. ტილოზე იარაღი, ვაზნები, ხელყუმბარა და სხვა გაურკვეველი დანიშნულების საგნებია დალაგებული. სიგელებით, ჯილდოებით, თასებით, ვიმპელებით, ალმებით მედ-

ლებითა და ფერადი აფიშებით აჭრელებული ერთი კედელი.

— განსაკუთრებულ საქმეთა მთავარი მრჩეველი იუსტიციის რანგში ქვათარაძე მურმანი. — თავდახრილი, თითქოს ერიდებაო თანამდებობის გამჟღავნება, ამბობს დამჯდარიც მაღალი და გვერდზე იხედება.

— განსაკუთრებულ საქმეთა სექტორის გამგე ვაშაკიძე.

— იმავე სექტორის განყოფილების უფროსი უშვერიძე.

— სასიამოვნოა, რით დავიმსახურე თქვენი ყურადღება?

უპასუხოდ ტოვებენ. დუგლასიც აღარ იმეორებს შეკითხვას. დუმან. ერთმანეთს უყურებენ. სხედან სამნი ერთის წინ. მაღალი. ყურებდასიებული და სქელულვაშა, მელოტი ახალგაზრდა.

— ვიცნობთ, მე მგონი, ერთმანეთს,— მოულოდნელად გაიღიმებს ვაშაკიძე, — სპორტის ოსტატი.

— დიახ... — ჯდება დუგლასი, — მეც ვუკრავდი... — სკამიანად აპირებს გაჩოჩებას. სკამი არ მიყვება. იგი იატაკზეა დამაგრებული. სინჯავს სკამს ამ აღმოჩენით და განსაკუთრებულ საქმეთა მთავარი მრჩევლის ცივი მზერით შეშფოთებული.

— გვარი, სახელი და მამის სახელი!— დაკითხვის ოქმს ამზადებს უშვერიძე და შუაიმერულად აღარ უქცევს..

— ხეიძე დუგლას ირაკლიევიჩ, ირაკლის ძე... — სიგარეტს უკიდებს. ფეხს ფეხზე გადაიდებს თითქო უდარდელად.

— ხეიძე დუგლასი ირაკლის-ძე. განათლება!

— უმაღლესი.

— ცოლშვილიანი?

— დიახ.

— რა საქმიანობას ეწეოდით აქამდე...

— რასაც ვეწევი ამჟამადაც....

— სრულად!

— ზესტაფონელი ხარ შენ!

ერთმანეთს უყურებენ კვლავ.

მურმან ქვათარაძე: იარაღის ტარების უფლება თუ გაქვთ?

— არა იარაღიც არ მაქვს, არც მქონია.

— თქვენ სეიფში აღმოჩნდა მაკაროვი, ხელყუმბარა, სანადირო დანა ერთპირიანი, საბრძოლო ვაზნები, მჭიდე...— ტილოზე გაწყობილ იარაღს არიდებს მზერას, გვერდზე წევს უზარმაზარ თავს.

— არავითარი იარაღი ჩემს სეიფში არ არსებულა, არავითარი... — აღელვებას ვერ ფარავს.

— გასაგებია... ასევე ჩავწერთ... გასაღებს ყოველთვის შიგ ტოვებთ?

— არასოდეს... გასაღები ახლაც აქ მიდევს... — ყველა ჯიბეში ეძებს. — სად წავიღე! — დგება, ძირს იხედება.

— არაუშავს, არაუშავს, ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა, დაბრძანდით... შეიძლება გასაღებიც ჩვენ მოვიტანეთ იარაღთან ერთად... აქ იყო კიდევ წამალი... — აჩვენებს.

— რის წამალი?!

— ასპირინია...

— ასპირინი კი... თავის ტკივილი ვიცი ხოლმე.

— ასევე ჩავწერ ას-პი-რი-ნი....

— ასპირინი დაწერე?

— აბა რა ჩემი ფეხები გავაკეთე! — წერტილს სვამს.

— კეთილი და პატიოსანი... — ოქმს ჩახედავს ქვათარაძე. — ხელიც მოგვიწერეთ თუ სადაო არა გაქვთ!

კვლავ ტაბურეტ-სკამიანად აპირებს გაჩოჩებას დუგლასი. სკამ-ტაბურეტი არ მიყვება. დგება. ჯერ უკან იხედება. შემდეგ ოქმს კითხულობს..

ქვათარაძე: ოგანეზიშვილს იცნობთ?

— ბიჭიკოს?

— ბიჭიკოს, იგივე ჟორა ოგანეზიშვილს.

— ვიცნობ. — თან ოქმს კითხულობს.

— მის ბინაში თუ ხართ ნამყოფი?

— მისი ბინის გასაღებიც მე მაქვს.

— დარწმუნებული ხართ.

— დიახ. ამჯერად კი. ცოლს აქვს.

— რატომ?

— აბითურიენტებს ამეცადინებს...

— ბინის პატრონი სად იმყოფება?

— რუსეთში. ბინა გვათხოვა, გარკვეული საფასურით, ცხადია და დროებით.... — ხელს აწერს ოქმს.

— გასაგებია, თხოვება დროებითია...

— რა ბრძანეთ?

— როდის ნახეთ უკანასკნელად ოგანეზიშვილი ბიჭიკო, ჟორა?

— არ არი დიდი ხანი, ტელეფონით ველაპარაკე ერთი კვირის წინ დაახლოებით...

— რაზე ილაპარაკეთ?

— როგორ ხარ-მეთქი, საქმიანი ლაპარაკი არ გვქონია, კარგად ვარო, ჩამოვალ მალეო, ეგ იყო...

— კარგად ვარო ესე იგი, კეთილი და პატიოსანი.... თქვენ ხომ არ გაქვთ შეკითხვა?

ვაშაკიძე (ცივა) არა!

— მიდიან მიაქვთ ნივთმტკიცებანი და ტაბურეტი, რამდენიმე წუთის წინ იატაკს რომ არ შორდებოდა.

— დედა — იძახის გამხდარი გოგონა დუგლას ხეიძის ბინაში, — დედა, ბებია, სად არი დედა?! ჩვენი როიალი ხმას აღარ იღებს, აქ ვიღაც იყო... როიალს ხმა აღარა აქვს! ბებია, სად არი დუგლასი?

— შეიშალე ირინა, რა გაყვირებს?— სამზარეულოდან იხედება ბებია.

— სად არი... დედა? ჩვენი როიალი აღარ უკრავს! — თითებს იგრეხს, — სად არი დუგლასი?!

— შეიშალე ირინა, რა ქვია ხმას აღარ იღებს! — კლავიშებს ამოწმებს გამხმარი, ბეჭდიანი თითებით. როიალი არ როიალობს. შიშინი და კვნესა ისმის მხოლოდ შიგნიდან.

— სად არიან, ან დედა სად არი ან მამა, აქ ვიღაც იყო!

— მამა სამსახურშია ,დავურეკავ, თუ განდა!

— დაურეკე, ბებია!

— დაწყნარდი ირინა, დამაცა! — ხუფს ხსნის ინსტრუმენტს თავადაც შეშინებული და გაოცებული. აბურდულია ტროსები. ხის დეტალებია [illegible] მირებული.

— მანდ ვიღაც იყო.

— სად მანდ?

— შიგ.

— გაჩუმდი, გოგო!

— შიგ იყო, მივხვდი, რატომ აიშალა...

— ბდგვენა იყო წუხელ და იმის ბრალი იქნება... ჭექა და ქუხილი რომ გესმოდა, დენიც გამოირთო...

— შიგ იყო ვიღაც...

— მოვა დედაშენი სადაცაა... სად ეშმაკებშია!

პალმებითა და ღვიებით დაბურულ ეზოში დგას თეთრი „მერსედესი“. ვილაა მწვანეში. კიბეზე ადიან ლალი და დუგლასი. გამოსახულება იბურება, ალარაფერი ჩანს. „ვიდეოს“ ღილაკის ჩხაკუნი ისმის. გამოსახულება მთლიანდება, კვლავ იშლება და სწორდება. აუზია და შადრევანი ეზოში. ლურჯ წყალში ცურავენ ლალი და დუგლასი. აუზის გამჭირვალე კედლებიდან ჩანან ფერად საცურაო კოსტუმებში გამოწყობილნი. ქალის შიშველ ქვედა ტანზე ჩერდება კადრი და მაყურებელთა გაფართოებული თვალები იკვეთება სიგარეტის ბოლში... დუგლასის ღიღინს და გიტარის სიმების რხევას ლაპარაკი ენაცვლება. ნანა და უშვერიძე დგანან უმაღლესი სასწავლებლის დერეფანში.

— კიდევ ბოდიშს გიხდით, სულ ცოტა ხნით...

— კი ბატონო.... — საათზე იხედება, ძეწკვით ჩამოკიდებულ სათვალეს ისწორებს მკერდზე ქალი.

— ოგანეზიშვილს იცნობთ?

— მეუღლე იცნობს, მეგობარია...

— გასაგებია... „მერსედესი“ თქვენ შეიძინეთ თუ თქვენ გადაიფორმეთ....

— „მერსედესი“ მე ვიყიდე.

— თქვენ სახელზეა გაფორმებული?

— ცხადია...

— და მართავს ქმარი, მეუღლე დუგლას ირაკლის ძე ხეიძე...

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ.

— უშვერიძე ფიქრობს, ცხვირს იმოწმებს, ადგილზეა თუ არაო.

— არ შეიძლება მანქანა, თუნდაც უკანასკნელი მარკის „მერსედესი“ ყავდეს, ქონდეს ოჯახს?—თვალებს წკურავს, დიდი ფანჯრის შუქი ჭრის მზერას.

— როგორ არა, ჩვენ ეს არც გვაინტერესებს.. ვილა?

— რა ვილა?

— ოგანეზიშვილის ვილა ვისია?

— ოგანეზიშვილის ვილა ოგანეზიშვილისაა, ალბათ...

— ალბათ... ამდენს არ დავკვირვებივარ... მანქანას თქვენი მინდობილობით ატარებს მეუღლე....

— დიახ. ბინა კი, რომელშიაც ვცხოვრობთ, დედამთილისაა, სხვა რა გაინტერესებთ?

— სხვა სხვა დროს... ჩემს დაუსწრებელსაც არ დაადგა საშველი. პოლიტეროვნული პოლიტეკონომია დამრჩა ჩასაბარებელი... მეორე ფაკულტეტსაც ვამთავრებ, ამნაირი საგანი სხვიმის არ შემხვედრია....

— რის მეორე ფაკულტეტს ამთავრებ, ერთი ვერ დაგიმთავრებია, შე დებილო! — იღრიჭება სავარძელში მოურიდებლად გაწოლილი ვაშაკიძე ვიდეოეკრანს უყურებენ. ქვათარაძის კაბინეტი შტაბს ჰგავს. ტაქტიკური მეცადინეობის დიაგრამები, საბრძოლო იარაღების მაკეტები, სანგრების, ძოტებისა და ბლინდაჟების განივი ჭრილები, დამნაშავე ძებნილთა პორტრეტებია ოთხივ კედელზე.

— შენ მე ნუ შემაჩვიე ენა! — ვაშაკიძეს უბღვერს უშვერიძე. ვაშაკიძე კევს ღეჭავს. ქვათარაძე კასეტას ცვლის. მაგნიტოფირის შრიალი წყდება და ეკრანი ცოცხლდება.

— ეროვნული პოლიტეკონომია, ასეთი საგანიც გაჩნდა; ვის ვიცნობ ამნაირს... — ანგარიშობს შუბლშეჭმუხნული ნანი უმაღლესი სასწავლებლის დერეფანში, დიდ ფანჯარასთან.

— ლალი გაბაშვილს რა საერთო აქვს ოგანეზიშვილთან?

— მეუღლეა.

— მეუღლეა? — სხვას აბნევდა და თავად იბნევა. ვაშაკიძე იღრიჭება სიბნელეში, ხმამაღლა გაცინება არ უნდა.

— რაში მოგცეს სპორტის ოსტატობა ბოლობოლო, რკინიგზის ლოკომოტივის ჩემპიონი იყავი...

— მაგიც არ იცი, რა ვიყავი...

ქვათარაძე: გეყოფათ!

ნანა: მხოლოდ არ ამხელენ, ხელიც არ აქვთ მოწერილი... ეროვნული ეკონომიკის ფაკულტეტზე...

— ეროვნული პოლიტეკონომიის — უსწორებს უშვერიძე.

ქვათარაძე ვიდეოს ადუმებს.

— ეზეკის ბინისათვის გამოითხოვეთ კოდაკის ფირი, ეს ნაგავი შეინახეთ... — კასეტას აწოდებს უშვერიძეს, — აქ ნუ ეწევით, რამდენჯერ უნდა გითხრათ, მაზრჩობთ!

— მე ვღეჭავ...

— რა ჩემს იმას ღეჭავ... — ფანჯარას აღებს. ჩიტების ხმა შემოდის. ახალი გაღვიძებული ქალაქი ჩანს.

ფრთხილად აღებს საკუთარი სახლის კარს დუგლასი. ფეხის წვერებზე შედის ჰოლში და შემკრთალი ჩერდება სარკესთან. გულისგამხეთქავი ხმით რაწკუნებს მაღვიძარა საათი.

— ირინა, ადექი, დროა! — ისმის სამზარეულოდან ლოლას ხმა. მაღვიძარა საათის ხმა წყდება. თმადაუვარცხნელი, შიშველი დუგლასის ცოლი აღებს სააბაზანოს კარს და იქვე დგება. თვალებწაჭუტული იხედება, მართლა ის არი თუ არაო. დედაშობილა მოდის ჰოლში. სარკესთან, მწვანე სავარცხელს იღებს და ბრუნდება. თვალს აყოლებს, თითქოს პირველად ხედავს დუგლასი და ბავშვის ხმა აფხიზლებს. ფეხსაცმელებს იხდის, ფოსტლებს ეძებს მისუნებურად.

— ბებია, მუშაობს ჩვენი ინსტრუმენტი, ბებია! — არანორმალური ტემპითა და ტონალობით უკრავს.

— დავიწვი ხელები, რამსიმაღლეზე უკრავ, გოგო... — სულს იბერავს თითებზე, ისე მოდის. — წუხელ არ გავასწორეთ ჩვენ როიალი, კოლია არ იყო აქ?!

— რა დაგემართათ, შეიშალეთ!

დუგლასს უყურებენ. ირინა აღარ უკრავს.

— გუშინ იღებდა ხმას, შიგ იყო ვიღაც...

— სად შინ?

— შიგ?

— გადალალეთ ბავშვი, მოლანდებები დაეწყო!..

ზეწარში გახვეული, სველი ქალი გამოდის სააბაზანოდან, შიშველი ფეხის კვალს ტოვებს პარკეტზე.

— მერე ამ დილაუთენია შეიძლება...

— გამოცდა მაქვს დღეს და არ დავუკრა! — გამხდარი და გრძელი თითები უდევს უძრავად კლავიშებზე.

— დღევანდელ გამოცდაზე გუშინ უნდა გეფიქრა!

გუშინაც ბევრი ვუკარი და წუხელისაც, შენ რას გაიგებდი, ნეტავი იცოდე, ან გუშინ როდის წამომაგდეს, აღარც უკრავდა როიალი, შიგ აღარ ჰქონდა ნერვები! — მაყვალივით შავ თმაზე უსვამს მამა ხელს, მამის ალერსს მოწყურებულ, გამოუძინებელ გოგონას თვალები ელულება.

— ნუ აცდენ! — თითქოს სხვას ეუბნება დედა და ისევ სამზარეულოში იმალება.

— მისაყვანია ნევროპათალოგთან...

— რა შუაშია ნევროპათალოგი, წნევა კი არ აქვს... — ლოჯიაში ზის ნანა, თმას იშრობს და ილაგებს. ტელევიზორია ჩართული. მიტინგი ჩანს. დროშებს აფრიალებენ. ტანკზეა შესული ორატორი. ტელეფონის ყურმილი უჭირავს დუგლასს.

— საწარმოო მოედანზე მოდით, ბავშვებს მიაკითხეთ მანამდე, ნახე ბორია,..

ბებია (სამზარეულოდან): ირინა, დაგეძინა?!

ნანა: იდიოტმა უშვერიძემ მომაკითხა ინსტიტუტში...

— მერე? — სმენას იმახვილებს დუგლასი.

— ეროვნული პოლიტეკონომია მაქვს ჩასაბარებელიო...

— ტყუილი... შენ არ გეუბნები... — ყურმილს ხელს არ უშვებს.

— ოგანეზიშვილს შეურთე შენი ლალი...

— რატომაა ჩემი, შენ არ გეუბნები, სიმონი მოვიდეს.....

— თავი მეზიზღება.... — ქოშების კაკუნით მოდის. — შემიკარი ეს, დამაგვიანდა!

— მოედანზე ვიქნები, მოკლედ, გვერდითი მსაჯები გააფრთხილე! — ყურმილს დებს, ლიფის ღილებს უკრავს ზურგზე ცოლს. ირინა უკრავს მთქნარებით, უხალისოდ.

სიცხეში გაქვავებული უზარმაზარი სასაფლაო დგას კალიების ჭრიალში.

სერბელაძეთა საგვარეულო სამაროვანის ერთ-ერთ ქვაზე წვერულვაშდამშვენებული მხცოვანი კაცი და ჩიხტიკოპით თავშემკული ქალია გამოხატული. იქვე სხვა უფრო უმნიშვნელო დეტალებითა და გაურკვეველი წარწერებით მოხატული ქვებია დალაგებული.

იქ არიან.

რკინის მესრით შემორაგვულ, კუტკარიან სამაროვანზე ლაპარაკობენ დავერო და დუგლასი. შორიახლო დგანან: ყრუ ბორია, მაღალი სიმონი, ბუჰგალტერი ალუდა, მწონავი ვალოდია, კაკვი, ჭობი. კრემატორიუმის თუ საპანაშვიდე სახლის საპარიკმახეროსთან დაბალში მღერიან მუშები:

ვიცი, ვიცი ვეღარ გნახავ გულს
მედება სინანული...
შენ ვარდები გიკრეფია, მე კი
შენი სიყვარული...

ძველშლიაპიანი მუშა ხელმძღვანელობს, ეტყობა, მესაფლავეთა ხოროს. ამთავრებენ და თავიდან იწყებენ, ერთ-

სადაიმავე სიტყვებით მღერიან დაგუდულში.

— სად არი? — ერთ საფლავს ათითებს დუგლასი.

— არ მოვიდა რატომღაც! — შეწუხებულია დავერო.

— იცოდა?

— როგორ არა!

— არ მიაქვს?

— წავიღებო....

— როდისაო, შემომტენე რა შენც!

— ოქროდ დაფასდება ირაკლიევიჩ, აწი და აწი.....

— მეორე ლეიბი?

— არჩილმა ერთი ექვსი თვე გავაჩეროთო, გაუვიდეს იქნებ მართლაც სამკურნალო ვადა

— საბავშვო ბაღი?

— ამათია,

— შუროკა ვინ მოათრია!!.

— თავად...

მანქანაზე მიყრდნობილი სრულტანსაცმლიანი, ბოლში გამოყვანილი ახალგაზრდა აპურჭყებს, დუგლასისაკენ იხედება, თითქო ლაპარაკიც ესმის იმსიშორიდან.

— უფროსო! — იძახის ტალახიანჩექმებიანი მესაფლავე.

— რაო, ოსია?

— დავერო მიხაილოვიჩ, შემოვიდეო შუროკამ!

დავერო დუგლასის მიუხედავს.

— მე მაგის დედა... ქურდებს მოგაშორებო, მაგ დამპალმა ვინ უნდა მომაშოროს....

— უფროსო! — რაღაცის თქმას აპირებს კიდევ ოსია.

— გადი ახლა, მიხედე შენს საქმეს!— ბოლომდე პირის გაღებას არ აცლის დავერო, — გადადექი ,შემოვიდეს ეს ხალხი!

ბუღალტერი ალუდა და მწონავი ვალოდია შემოდიან ჯერ ქუდმოხდით. გაღება-დახურვაზე ჭრიალებს რკინის კუტკარი.

დუგლასი: — წაიღეს?

ალუდა: არ მიაქვთ თხილის გული გვირჩევნიაო.

— რა თხილის გული, კაცო! — თვალებს ახამხამებს გრძელცხვირა მწონავი.

— რამდენი შემოიტანეს?

— ოთხი. ორში ნავთი აღმოჩნდა.

— გეგმა არ ჩამიგდოთ!

— გეგმა არ მაწუხებს, ირაკლიევიჩ... — იჟიჟება მოღუშული ალუდა.

— მე ვიცი თქვენ ყველას რა გაწუხებთ. ჩვენი წილი შეწუხებით შევწუხდეთ გირჩევნიათ. თქვენს მოვალეობას, თქვენს კაცობას და თქვენს ენას მიხედეთ; გაასწორეთ ანგარიშები გრენადერებთან, შაშვებთან, სატბორო კორპუსთან, ფეხბურთის სამმართველოსთან და სხვასთან. ძალიან კარგად იცით, ვის რა ერგება, ვინ რისი ღირსია... ზოგიერთთან წინასწარ დახურეთ, თუ დაგთანხმდნენ, თქვენი აჯობებს და სხვისი მადლობელი იყავით!

ტელეფონის აპარატი მოაქვს ოსიას, ყურმილს დავეროსაკენ იშვერს.

ვინააო, ხელით ანიშნებს დავერო.

— ვასო ვარო!

— გადააშენე!

— ვუთხარი უკვე აქაა-მეთქი... — შავ შნურს არხევს ბალახში.

— მომეცი აქ და საერთოდ არ დაგინახო შემოსული ტალახიანი ჩექმებით!.. — აპარატს ქვის მაგიდაზე დებს, ყურმილს იმარჯვებს. — დიახ გისმენთ, ოჰ, როგორ გიკითხოთ, გმადლობთ...— ილიმება, თითქოს მოსაუბრე ხედავდეს. — დიახ კი, კი, გისმენთ... — ხელისგულს აფარებს ყურმილს, — რა ამღერებთ იმ ვირიშვილებს, სასიმღეროდა აქვთ საქმე!

ყურმილში — დიახ, კი, ვიცი, გადავმარხავთ უკეთეს ადგილზე, მაგ რა სალაპარაკოა, კი ბატონო, აქა ვარ, როცა გინდათ... არაფერს.... — ყურმილს დებს აპარატს დუგლასს აწოდებს.

ოსია ჩექმებს რეცხავს ტალახიან გუბეში. სიმღერის ხმა მოაქვს ქარს:

...ვიცი და ვიცი კიდევ გნახავ, გულს
მედება სინანული...

— რა მინდოდა, რა ძალა მადგა, რამ ამომიყვანა ამ უბედურ სასაფლაოზე მოცეკვავე კაცი — ზევით იხედება დავერო.

— დუგლასი (ყურმილში): რუსიკო ხარ? ჰო. არი არჩილი? არ გინდა. გადაეცი ,იყვნენ ბავშვებთანთქო. ჰო. კი. ქსოვენ. შენ წადი, ძია მიტრო მოიკითხე, წელის ტკივილმა ხომ არ გაუხსენა... კარგი! — ყურმილს დებს, — შემოვიდნენ ესენიც!

— შემოვიდნენო! — იძახის გუბესთან ჩამჯდარი ოსია.

სიმონი. ბორია. კაკვი. ჭობი.

— ამეყვანა ერთი პატარა ანსამბლი, ამათ აწი რაღა უნდა ვასწავლო, ბავშვებს მოვუვლიდი როგორმე.

— დავიწყოთ? — ეკითხება ჭობი.

— ერთი ორი ილეთი ჩაახვიეთ ადგილზე.

იქვე ცეკვავენ უმუსიკოდ. კაკვი ცერულს ურტყამს, ჭობი მუხლზე ტრიალებს წამიერად. დავერო ითვლის:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ბახ!

— ვინ ისროლა? — კითხულობს დუგლასი. ერთ მხარეს იხედებიან ყველა-

ბიჭიკო უნდა ვნახო დღეს, აუცილებლად... — ამბობს დუგლასი.

— ბიჭიკო?

— ოგანეზიშვილი.

— გაგიჭირდება ცოტა! — თავს აქნევს დავერო.

— იყავი საბავშვო ბაღში?.. რა გამიჭირდება?

— ოგანეზიშვილის ნახვა, ბიჭიკოსი, რა ამღერებთ გამაგებინა და არ მინდა მეტი არაფერი, ამათ გადაუშენდათ მკვდარი და ცოცხალი!

— მამულიას ბრიგადა რომ გაუშვი საქმეზე, აღარც ვიმღეროთ, დასამარხი აღარაეინაა და თხები ვკოდოთ! — ეხმიანება შლიაპიანი მუშა, ამერიკული ძველი კინოს მსახიობს რომ ჩამოგავს.

— არ არის ნედლეული და მე ვერ დავიმარხები სხვის მაგივრად, ამათ ელაპარაკა ტიფა! — წელკავგამჯდარივით ჯდება სერბელაძის საფლავის ფიქალზე, რადიკულიტი აწუხებს ამ კაცს აშკარად.

დუგლასი: მიწიდან რომ დამჭირდეს ამოღება, უნდა ამოვიღო!

— ვინ კაცო?

— ოგანეზიშვილი.

— მეც ვიფიქრე... მიდი და ამოიღე, მომკლა ამ წელმა... რა მინდოდა ამ დაქცეულ სასაფლაოზე. ამოიღე ეგერ არი მეშვიდე ქვის გადაღმა.

— როგორ გადაღმა?

— აქ მარხია.

— მოკვდა?! — ყურებს არ უჯერის დუგლასი.

— მოკლეს როსტოვში, ორმოცს გადაუხდიან დღეისწორს.

— გადარევა გინდათ ჩემი! არ უნდა მცოდნოდა? — კაკვის მიჩერებია — არ უნდა მცოდნოდა?!

— აუცილებლად.

— ქვათარაძეს ვუმტკიცებდი, ორი დღის წინ ველაპარაკე-მეთქი... ლალის არ უნდა ცოდნოდა... საერთოდ, არ უნდა იცოდეთ ვინაა ეს ჟორა, ბიჭიკო ოგანეზიშვილი?!

— რა უნდა? — აპარატის ღილაკს აწვება ყურში თითით, ფერად მავთულს ისწორებს ჯიბეში ბორია.

— მკვდარი იყო თუ ცოცხალი იცოდით?.. დღეს გაიგეთ ხომ ჩემთან ერთად!

— მე იმის მკვდარი და ცოცხალი..— ამოილაპარაკებს გაბუსუნებული ჭობი.

— რა თქვი შენ?! — მაინცდამაინც კაკვის მიადგება დუგლასი.

— ხმა არ ამომიღია, ირაკლიევიჩ!— კარგა ხნის შემდეგ ამოღერღავს კაკვი.

— რატომ აცვია ამ კაცს ამ გაგანია სიცხეში პლაშჩი?!

— წარმოდგენა არა მაქვს! — პასუხობს ჭობი.

— გცივა, შე ჩემისა!

— არც ისე!

— თუ გაციებს წადი, წაიყვანე!

— კი ბატონო!

ჭობი და კაკვი მიდიან.

ახლადმოსწორებულ სამარესთან დგანან: დუგლასი. ლალი დავერო. ბორია. სიმონი. სტელაში ჩასმულ მრგვალ, ფერად ფოტოსურათს უყურებენ. გრუზაქოჩრიანი, გამხდარი, მკვდრის გამომეტყველების მამაკაცი იმზირება ქვაბში ჩასმული სურათიდან.

— ეგ არი ბიჭიკო!.. — უკვირს ლალის, — მე სულ სხვანაირი მეგონა, სხვანაირი წარმომედგინა...

— როგორც ბიჭი, არ დაიწუწება! — მოულოდნელად ჩაერთვება სიმონი, ცელოფანის პარკში გახვეული, დაგორგლილი სასროლი ბადე აქვს მოგდებული ზურგზე. გაოცებული მისჩერებია ლალი.

— რად დაათრევ, სიმონ, ბადეს? — ეკითხება დავერო.

— წამოიღეო და რა ვიცი... — გაოცებიანადაა შეფიქრიანებული.

— მანქანამდე მიიტანემეთქი, სამარეზე გასაშლელად კი არ მჭირდება!

— ხედავ! — ყურის აპარატს რთავს ბორია ჯიბიდან.

— ისე არ გესმის?!

— ვიცნობდი.

— კარგი ვაჟკაცი ყოფილა!

— მოკლედ, ეგ არი რა! — თვალს აშორებს ოგანეზიშვილის პორტრეტს დუგლასი. ხელების ფერთხვით ბრუნდება უკან დავერო.

— თუ სასმელი არ ამატანინეს, დავიქცევი... — დუგლასს მოყვება ზურგზე ბადემოგდებული, წვერგაუპარსავი სიმონი, — პეპსი კოლა, კოკა კოლა, რანაირი კოლაც არ უნდა იყოს... მშრალ გემს მშრალი კანონი არ უხდება....

— რატომ გაჯანჯლდა ამნაირად? — „მერსედესში" ჯდება დუგლასი.

— გაბარიტები ვერ მოვზომე, გემი დიდი გამოვიდა... ჩავიჭერი გემთმშენებლობაში...

— ეგ არაფერი... პეტრე პირველმა ვერ მოაბა მაგ საქმეს თავი.... — კვლავ ხელებს ისუფთავებს დავერო.

— მერე ჩემთვის რა შეღავათია?

— ბევრი ვერაფერი...

ტელეფონის აპარატი მოაქვს ოსიას. მანქანაში აწოდებს დუგლასს, ლალი უზის უკვე გვერდით.

— რამდენიმე ხეა მოსაჭრელი, ირაკლიევიჩ! — ჩაიხლიჩინებს ბორია.

— არ გამოვა! — ნომრებს კრეფს.

— მაშინ, ა! — ყელზე ისვამს ხელს.

— ამ ჩემის მწვანეთა მოძრაობის ადმავლობის დროს?.. ეზეკის ბინაა? ლაშა, გამარჯობა. მე ვარ კი. მადლობთ. თქვენ თავად? ბადე მზადაა, წითელი ტყვიით კი... როგორ გეკადრებათ. დიახ. არჩილი. ხვალ გვინდა გაშლა. როდის გეცლებათ? კონსულტაციისათვის მხოლოდ. საღამოს? კი. დავერო. კარგი.

„მერსედესი" მიქრის ავტომარაზე ქალაქგარეთ. მაღლა მცხეთის ჯვარი ჩანს.

დუგლასი: რუსიკო მოვა და წაიღებს ლიებს... აფარიძემ გვთხოვა, დედა ყოლია ოსტრიოხონდროზით ავად...

— წაიღეთ.. მამა ვერც შეეგუა, წელიც აღარ აწუხებს.. ის ბესიას მანქანაა! — ჯერ გვერდზე, შემდეგ უკან იხედება ლალი, — რა უნდა აქ ნეტავი?

— სამმაკაცოში დგას, არაუშავს, მორიგდებიან... — ამშვიდებს დუგლასი. ლალი ახლა სარკეს არ აცილებს თვალს. ბესოს „ოცდაოთხი" და ავტოინსპექციის ყვითელი მანქანებია სარკეში მორკალული.

ბესო დაკუჭულ, გაუბედურებულ ობლიგაციებს ითვლის გაოცებული, წალმა-უკუღმა ატრიალებს ზოგიერთს.

— ეგაა, რას ყნოსავ! — ეუბნება რაჟიკო.

— ნომრები შეამოწმე თუ გინდა! — ეშველება მეწყვილე.

— ყომარში გაათამაშეთ? თვალში თვალს უყრის ბესო.

რაჟიკო: გავათამაშე არა გამოვათამაშე, რაც ჩამომიტანე ის გამოგიტანეთ, რას ასწორებ, გამოფენისათვის ხომ არ გინდა, ნომრები შეამოწმე თუ გინდაო, გიიხრა ამ კაცმა. აქ ხომ არაფერი დამაკელი! — თითებს ინერწყვავს და ფულს ითვლის გზაშარაზე მოტო-

ციკლზე გვერდულად შემომჯდარი. ამხანაგი „კანარეიკასთან“ დგას, მანქანებს უდარაჯებს უკვე: რაჟიკო თითებს ინერწყვავს და ითვლის: — ჩემი არ გეგონოს, შენგან არც ავიღებთქვა, კითხარი, ოთხასი, ხუთასი, ათასი, ორიათასი... — გუნებაშიც ანგარიშობს, სწორია რა!

— გატკიცინებული ობლიგაციები გამოგატანეთ და ასე როგორ დავუბრუნო მამაჩემს, ყომარში ჩააგდეთ?

— წადი ახლა, აქ ნუ დგეხარ, ვინმეს რამე არ ეგონოს!

— ამოგაშხამებ სულერთია!

— ეცი ამნაირ კაცს პატივი! — ერთ-ერთ ავტოს უსტვენს.

ირინა უკრავს უხალისოდ გადაშუადღებულს. ცისფერ, გამჭვირვალე ფარდებს არხევს სიცხე შეუმჩნევლად. ნანა მაგნიტოფონით ისმენს საკუთარ ინგლისურს. წერს.; ისმენს. იმეორებს. სარკეშიაც იხედება ტუჩების მოძრაობას აკვირდება. ზარის ხმაა ჰოლში. ვილაც რეკავს წყვეტილად. საჭვრიტინებელში იხედება სამზარეულოდან გამოსული, გრძელხალათიანი ლოლა.

— ლოლა, ვასო ვარ!

ლოლა კარს აღებს.

ღიმილით, მხოლოდ უკითხავად შემოდიან ორნი. ერთს ვიოლონჩელო უჭირავს მძიმედ.

— ვასო, დუგლასი არ არი შინ!

— ლოლა, ესენი სეისმოგრაფები არიან.... — ნაბდის ქუდს იხდის და იხურავს მაღალი, სახედაღარული, დინჯად მოლაპარაკე კაცი.

შეცბუნებული დიასახლისი უნდობლად მიჩერებია ვიოლენჩელეს, ღიმილი რომ არ შორდება სახიდან.

— ვაშაკიძე. — ხელს ართმევს.

— უშვერიძე... — მელოტი, ულვაშა.

— სულ ცოტა ხნით შეგაწუხებთ, ქალბატონო, სახლის მდგრადობის მონაცემებისათვის... პირდაპირ მიალაჯებს ვაშაკიძე, როიალთან მიკუნჭულ ირინეს ფეხებთან დგამს ვიოლენჩელოს.

— შენ განაგრძე, გენაცვალე, ჩვენ ხელი არ შეგვეშლება... — მძიმედ ხუნთქავს, ისვენებს.

— დაუკარი, ბიძია, ნუ მოგვაქცევ ყურადღებას! — უშვერიძე იღებს და ძლივს ძრავს ვიოლენჩელოს. გვერდით ოთახში გადიან, კარს ხურავენ.

— ვინ არიან, ვასო, ესენი! — კითხულობს ლოლა. ნანა დგას ლოჯიიდან შემოსასვლელში. გულმოხსნილ კაბისპირზე, ულიფო მკერდზე იფარებს ცალ ხელს.

— სეისმოგრაფები ვართო ექსპერიმენტალური ინსტიტუტიდან, ქაჯაიებთანაც იყვნენ, თუმცა მისამართი არევიათ...

დაგერეკა იქნებ დუგლასისათვის! — ნანას ეუბნება ლოლა.

ორი დღეა სამსახურში არ გამოჩენილაო...

— არ კითხულობ, მერე სად არი?

— თქვენ შვილს თქვენ რატომ არ კითხულობთ?

— დაბრძანდი ვასო, — სტუმრის ერიდება ლოლას. — აღარ შემიძლია უკვე, ადრე მეძინება, დუგლასი გვიან მოდის ხოლმე, ვერც შემოსვლას ვგებულობ მისას, ვერც გასვლას, ადგომას ვერ ვასწრებ, წასულია... სამსახური აქვს იმნაირი... ირინა, დაუკარი, რას მოგვჩერებიხარ, ვასო, დაბრძანდით!

ირინა უკრავს გამაყრუებელი ხმა გამოვარდება მეორე ოთახიდან. ჭაღი ირხევა. ჭურჭელი რაწკუნებს კარადაში.

— ვასო, რა ამბავია ჩვენს თავს!

კლდის სანგრევი კომპრესორი მიუბჯენია კედელზე ვაშაკიძეს, ბეჭით აწვება და ბურღავს ბეტონს. ცარიელი, გადაშლილი ფუტლიარი დევს იატაკზე. ოთახში იხედებიან: თვალებდაჭყეტილი ვასო და გულაფრიალებული ოჯახის წევრები.

— განაგრძეთ, მეცადინეობა განაგრძეთ, ჩვენ ხელი არ გვეშლება! — მტვრის ბულში და კომპრესორის ღრიალში ყვირის უშვერიძე. იბურღება კედელი, პირიან-ტარიანად იმალება

კომპრესორი, მიყვება მბურღავი და მაყურებელი. ხვრელში შედიან და გამოდიან დარბაზში, სადაც სატელევიზიო კამერები და გამნათებელი აპარატურაა დაყენებული. მძიმე კაბელს მოათრევენ მუშები. განათებას ამოწმებს ასისტენტი. კუთხის მაგიდასთან გადაცემათა რეჟისორი, ოპერატორი, დიქტორი და რიგითი რეჟისორი გადაღების სცენარს აზუსტებენ. ქვათარაძე პატარა მაგიდასთან ზის და ტექსტს იზეპირებს დუდღუნით. დუგლასი ტელეფონით რეკავს. სახენაყვავილარი, ტანსრული, დონდლო შეპილოვი ფრჩხილებს იკვნეტს, ფიქრობს, ხელებს ასავსავებს დროდადრო, ფრჩხილის ნაკვნეტებს ისვრის პირით.

— პრივეტ შეპილოვ! — ესალმება გამურული ვაშაკიძე.

უშვერიძე: სალამი, შეპილოვ!

— დაგიდგათ მწვანე კვირა! — მოკვნეტილ ფრჩხილს აპურჭყებს. შეპილოვი, აპარატურაში და კაბელებში მიიკვლევს გზას, კედლის კარადიდან ამოაქვს სპორტული ჩანთა, თბილი ნიფხავ-პერანგი, წინდები, ტენისის ბურთები. ჩანთაში ალაგებს სპილენძისკარიანი ბუხრიდან გატკიცინებული ბუზგალტერებს გამოყრის ვაშაკიძე...

— რა ამბავია, მე ამის ჩამომტანის...

შეპილოვი: სხვადასხვა ზომებია.

უშვერიძეს აწოდებს. უშვერიძე ფორმისა და ღირებულების მიხედვით ახარისხებს.

— აღარ თავდება, რამ ჩამოგათრევია ამდენი?!

— რამდენია რო?

— მიდი, კაცო, შენ საქმეს მიხედე, ჩალაგებული გაქვს?!

— ჩალაგებული მაქვს, თქვენ სახელს დავენაცვლე!

— რად გინდოდა ამდენი ლიფი? — ორი თითით წევს ვაშაკიძე ერთ ლიფს.

— საჭირო იყო.

— ვალოდია, დაუძახე ლალის, მე ვარ, კი! — ყურმილი უჭირავს, დუგლასის, ელოდება.

— ლალი, დუგლასია ტელეფონთან!— იძახის გახარებული მწერალ-ასკილის სახლში. დუგლასის კაბინეტში ზის. ღია კარიდან სპორტული ვიმპელები და სიგელებით აფერადებული კედელი ჩანს. ლალი გამორბის დერეფანში გაოცებულ თანამშრომელთა თვალწინ ყურმილს წვდება, სუნთქვააჩქარებული, ვალოდიას ანიშნებს, გადიო.

სატელეფონო სადგურში მეტელეფონე ქალები სხედან აპარატურის წინ, ერთდროულად ლაპარაკობენ თითქმის ყველანი, ერთდროულად პასუხობენ „დაზიანებას“, „საქალაქთაშორისოს“, „ცნობათა ბიუროს“. განგან გადგმული ფეხებით შემოდის ხმელი მამაკაცი.

— მიტინგი! — აცხადებს წვრილი ხმით — გამოითო ეთერიმ!

სიამოვნებით, თუმც ერთგვარი გაოცებითაც ტოვებენ ლურჯ ხალათებში ერთნაირად გამოწყობილი ქალები საპარატურო განყოფილებას.

— თამარ, მიხედე ამათ არსად დაიფანტონ!

— გააჭირვენ მაგათაც საქმე, ხუთწუთიანი მიტინგი არ გამიგია ,ხომ აქვთ, ჯერ ერთი, თავიანთი ოთახი, შევიდნენ და იქედან მოისმინონ, ჩემი საქმე ვაკეთო თუ ესენი ვმწყემსო!

— ქალბატონო თამარ, თვით გამრეკელია მოსული!

— გამრეკელი თუ არა! — ცხვირს იბზუებს ნელსაცხებლებით სახეაფერადებული, მკერდმაღალი ქალი — თამარი.

— იმ ოთახში კი სამი კაცი ზის ერთდროულად, რას ისმენენ ამდენს მეც ვერ გავიგე, შენ ნუ ლაპარაკობ ბევრს!

ტყავის კურტაკიანი კაცი ჯდება აპარატთან. საყურეებამობურცულ ქუდს იხურავს, თუმცა ლალისა და დუგლასის ლაპარაკი ისედაც მშვენივრად ისმის. უცბად აირევა ხმები. ერთდროულად იწყებენ უცნობი ადამიანები ყაყანს. მოთმინებადაკარგული მსმენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საყურეებს იხსნის და კარადის კარს ღებს. სამი ტყავისკურტაკიანი კაცი ისმენს ერთდროულად. უშვერიძის მელოტი თავი ანათებს და ქრება სიბნელეში. ერთმანეთს გადახედავენ გადასართველ-გადმოსართველებში.

— შკაფი ღიაა? — კითხულობს ერთი.

— ვინ შემოუშვა ეს დებილი?!

— ღიაა, მე მაგის დედა! — ფეხს აჭერს რაღაც ბერკეტს მესამე და „შკაფი" ირაზება.

ლალის ხმა: ჩვენ კარგად ვართ, თქვენებსაც არა უშავთ რა, კარგადა ვართ ყველანი.

მოკლედ... შენი ამბავი გვაწუხებს...

დუგლასი: გასაგებია... ბორიას დაურეკე, ბავშვების დარდი გაყვათქვა..

ლალი: რა ბავშვების?

დუგლასი: მე აქ ჩაწერა მაქვს, დღეს ვერ გამოვალ, საერთოდ სუფთა გაუგებრობაზეა აგებული ყველაფერი...

ლალი: ჩვენთან ყველაფერი ისეა... ხელმოწერები ჩემია...

დუგლასი: მამა როგორ არი? წელს იტკივებს კვლავ?

ლალი: მოუხდა სამკურნალო ლეიბი.

დუგლასი: მთავარი მაინც გეგმაა, გეგმას მიადევნეთ თვალი და ყურიც, არ დაიბნე, იცოდე, ყურადღება არ დაგეფანტოს...

ლალი: ჩვენ შენთანა ვართ, რაღაც მინდა გაგიმხილო...

დუგლასი: მითხარი.

ლალი: აქედან არ ითქმება, ხომ იცი, გვისმენენ.

ტყავის კურტაკიანი საყურეებს იხსნის, ტყავის საქაღალდეს იჩრის იღლიაში და მიდის, დერეფნის კედელზე აყუდებულ ქალებს ჩაუვლის.

— დამთავრდა, პატივცემულო, პოლიტმეცადინეობა? — ეკითხება წითელპომადიანი თამარი.

— წადი შენი!..

დუგლასი (სატელევიზიო სტუდიიდან): რისი თქმა გინდოდა?

ლალი: მიყვარხარ!

ქვათარაძე ზევით იხედება, საიდან ჩამოვიდა ხმაო. მრგვალი თავი ბრუნავს სიგარეტის კვამლში.

— ვახ შენი! — ტელეფონის ყურმილს დებს გულშემოყრილი დუგლასი, ფიქრობს და ლურჯ საწვიმარში გახვეულ კაკვის მიჩერებია უაზროდ.

განათების ინტენსიობას ამოწმებს ოპერატორი. ფილტრებს ცვლიან დიგებში გამნათებლები. ქვათარაძე თვალდახუჭული იმეორებს ტექსტს. რადიოსაყურეებს ათამაშებს უშვერიძე. ლაჯებსშუა. შეპილოვს ფეხებთან უდევს სპორტული ჩანთა, რაშიც თბილი ნიფხავ-პერანგი და სხვა საჭირო, წვრილმანი ნივთები ჩაალაგა ადრევე. პიანინო, კარადა, სავარძლები გააქვთ მუშებს. დაღვრემილი მიჩერებია შეპილოვი კონსფიცირებულ ავეჯს. ვიოლენჩელოს აწრიპინებს მუსიკოსი კუთხეში, ნოტებში რგავს ცხვირს დროდადრო, ერთიდაიგივე ოქტავას იმეორებს.

— რას აკეთებ შენ, თუ ძმა ხარ?! — თვალებს აზელს ქვათარაძე.

— მე? — კრთის უშვერიძე.

ქვათარაძე მაგიდას აჩოჩებს. უშვერიძის ლაჯებსშუა მოქანავე ელექტროსაყურეებს აკვირდება.

— მე რას უნდა ვაკეთებდე. — მუსიკოსისაკენ იხედება.

— ხო კარგი... — ტექსტს უგულისყურდება კვლავ ქვათარაძე. — პირველი ვარ?

— წარმოდგენა არა მაქვს! — გულწრფელად პასუხობს დიქტორი თამილა.

— ამას ვინ ეკითხება!..

— პირველი, პირველი... — ყვირის გადაცემათა რეჟისორი ნოე, მოკლე და მოწყვეტილი ნაბიჯებით რომ დადის.

— შეიძლება კიდევ დავრეკო? — კითხულობს დუგლასი.

— კი ბატონო! — ხელებს შლის ქვათარაძე, ეგ რა საკითხავიაო.

— ოცდაორზე რეკავთ? — ინტერესდება თამილა.

— არა, სამოცდათერთმეტზე.

— ოცდაორზე არ გადის და იმიტომ ვიკითხე.წარმოგიდგენიათ... მე მაინც ვლელავ, ყოველთვის ასე ვარ, დასაწყისში მხოლოდ... — ბუტბუტებს, — ჩვენთან არიან ასკილის, ასკილის, ასკილის...

— ალო!... — აბონენტთან ერთვება დუგლასი, — სიმონ, დამალაპარაკე ბორია, ჰო, ველოდები...

— დაირეკა? — უკვირს თამილას, — ასკილის გახმაურებული საქმე... ასკილის.... — მე ვარ, დუგლასი....

ხმა: საიდან რეკავ?

— ტელევიზორეთიდან.

ხმა: კაკოე სოვპადენიე, ჩვენთანაც...

საქსოვი საამქროდან ელაპარაკება, ყურში გასაკვეხებელი წითელი ღილაკი ტელეფონის აპარატზე აქვს პირდაპირ მიერთებული. თახთახებენ, ძიგძიგებენ, დაგუდულად ხმაურობენ საქსოვი დაზგები. სატელევიზიო აპარატი მოძრაობს სახელდახელოდ დაგებულ რელსებზე უზარმაზარ საამქროში. ტელეკომენტატორი მიკროფონით მიდგომია სიმონს.

— ძირითადად იალქნებს... — თავი აქვს დახრილი, რადგან მიკროფონითაც ვერ წვდება ტელეკომენტატორი, — ხომალდებისათვის, იახტებისათვის, საიალქნო ნავებისათვის, დაკვეთებია ჰოლანდიიდან და ურუგვაიდან ძირითადად, აგრეთვე პაკისტანი... დუგლასი (სატელევიზიო სტუდიიდან ყველას გასაგონად) ბილეთები მინდა, ბორია, აუცილებლად.

— რამდენი? — ჩახლეჩილადვე მოდის ბორიას ჩახლეჩილი ხმა.

— რამდენიც ვიქნებით მოედანზე, იმდენი დაახლოებით, გვერდითი მსაჯები უნდა ნახო...

— გასაგებია...

— რას შვრება სიმონი?

— წერს...

— ჵალიან კარგი.

საქსოვი საამქრო.

— ...ვქსოვთ მაისურებს მალმეს მეორე დივიზიონის ხოკეის გუნდისათვის...

— ხოკეი თუ გითამაშიათ?...

— არასოდეს... — ტელეკომენტატორს მიჩერებია უაზროდ.

ბორია (ტელეფონის ყურმილზე მიერთებული სასმენი მავთულით): აუცილებლად გადავცემ (სიმონს) მოგიკითხეს... (დუგლასის) მორიგი ინტერვიუ აქვს... აუცილებლად... ამ დღეებში. შეპილოვსაც.. — აპარატს თიშავს; ყურმილიდან აძრობს ღილაკს და ყურში იკვეხებს.

ტელეკომენტატორი: საერთოდ რა სპორტი გიყვართ?

სიმონი: ფეხბურთი.

— თევზაობა? — საამქროს კედლებზე ჩამოფენილ სასროლ ბადეებს უყურებს.

— თევზაობაც...

— თქვენ ამტკიცებთ, რომ სუვენირებადაც იყენებთ?.. — წითელ საძირავ ბურთულებს არხევს.

— დიახ. სუვენირებადაც, ნარჩენი მასალებისაგან...

— რამდენი კილო იქნება დაახლოებით...

— მთლიანად ორმეცი.

— მადლობთ საინტერესო საუბრისათვის...

— პირიქით.

ტელესტუდია.

ნოე: გაითვალისწინეთ, რომ სატელევიზიო გადაცემაა, მთელი რესპუბლიკა შეგვხედავს და მოგვისმენს, ვეცადოთ კარგად გამოვიდეთ, თავი არ შევირცხვინოთ; რაც მთავარია, გულწრფელად, გულახდილად უნდა ვილაპარაკოთ. ყურადღებით ვიყოთ, ძალიან გთხოვთ... თამილა, წავედით!

— ჩვენთან სტუდიაში გახმაურებული „ასკილის სქემის“ ერთი ჯგუფი... — მომხიბვლელი ღიმილით იწყებს თამილა, — მიკროფონს გადავცემთ განსაკუთრებულ საქმეთა მთავარ მრჩეველს ბატონ მურმან ქვათარაძეს.

ქვათარაძე ახველებს და საკმაოდ მოგვიანებით იწყებს. ეკრანში ეჭედება უზარმაზარი თავი და ვიწრო ბეჭები.

— ...როგორც მოგვახსენეს ჩვენთანაა დამნაშავეთა ერთი ჯგუფი ასკილის საქმიდან... თქვენის ნებართვით, გამოველაპარაკებით ერთ-ერთ მათგანს... — სტუმრებს ათვალიერებს, თითქოს შემთხვევით აჩერებს ყურადღებას ერთ-ერთზე, — მაგალითად შამილაძე იაშა, იგივე შეპილოვი (შინაურულად). შეპილოვი მეტსახელია, თუ არ ვცდები.

— დიახ... ხმა — ეხრინწება, ახველებს, — ეგრეა ნამდვილად...

— ბატონო შამილაძე შეპილოვ, თქვენს სახლში აღმოაჩინეს 760 ქალის ლიფი, ქალის იყო არა?

— დიახ. კაცები არ ხმარობენ ჯერ.

ქვათარაძეც ახველებს, დროს იგებს და წინასწარ შედგენილი, მაგიდაზე გაშლილი კითხვარისაკენ გაურბის თვალი.

— ...საინტერესოა თავისთავად და ტელემაყურებლისათვისაც საინტერესო იქნება რად გინდოდათ, ვთქვათ, 760 ცალი სხვადასხვა ზომის, ფერის და ფორმის ლიფი...

— შევიძინე...

— გასაგებია... ამდენი რატომ შეიძინეთ? ეს ლიფები ხომ ჰუმანიტარული დახმარებით იყო მოსული...

— ჩვეულება მაქვს ამნაირი, დავინახავ, ვყიდულობ...

— უცხოურს მხოლოდ.

— დიახ, უცხოურს, სწორი ბრძანებაა. დავინახავ, ვყიდულობ. არ შემიძლია, არ ვიყიდო. ვყიდულობ, გროვდება...

— კოლექციონერი ხართ? — ირონიული ტონით აფერადებს შეკითხვას, ტელეობიექტივთან უკვე შეთამამებული.

დიახ... — ფრჩხილების კვნეტას ანებებს თავს, გულისპირს იფერთხავს ხელისგულით. — რანაირად მიხვდით... კოლექციონერი ვარ არა მარტო ბუნებით... ვყიდულობ, ვაგროვებ...

— მხოლოდ დასავლეთ ევროპულ თანამედროვე ნივთებს...

— დიახ. მეძველმანე არ გახლავარ... ახლებს, ევროპულს.. ამერიკულს, იაპონურს წამლებს და ლიფებს ძირითადად, როგორც თქვენ სწორად შენიშნეთ...

— გასაგებია, გასაგები... — ახალ შეკითხვაზე ფიქრობს, — თქვენ უახლესი მოდიფიკაციის „მერსედესი" მიასხვისეთ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, აჩუქეთ, „ნაჩუქრობის აქტი ხელთა გვაქვს, ბატონ დუგლას ირაკლის ძე ხეიძეს...

— გავუცვალე... რაღაა დასამალი.

— ბატონო?

— გავუცვალე.

— უახლესი მარკის, უხმარი „მერსედესი" გაუცვალეთ, ძველ „ჟიგულში?"

— არ დამიჯერებთ და ეგრე ვქენი, მეც არ მჯერა სხვათაშორის...

— აქ წერთ, რომ აჩუქეთ...

— ჩუქება გამოდის ფაქტიურად...

— თქვენ იცოდით, რომ „მერსედესი" ეკუთვნოდა სუვერენული გაერთიანების შეიარაღებული ძალების თავდაცვის მინისტრს...

— წარმოდგენა არ მქონდა... ისე კი გამიკვირდა, სამხედროებმა რომ ჩამოაგორეს გემიდან....

— ბრალდებულო შეპილოვ, თქვენ ბრალად გედებათ ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება და არა კოლექციონერობა, რომელიც ჩვენთან, არც სხვაგან, არ ისჯება და ლიფების შეგროვებაც, ადრე სპეკულაციას ვეძახდით, არ გეთვლებათ დანაშაულში...

— გიპასუხებთ მხოლოდ ადვოკატის თანდასწრებით...

— გასაგებია. ახლა მოვუსმინოთ ასკილის სახლის მთავარ ბუღალტერს ალუდა ბერიძეს. ბატონო ალუდავ, ადასტურებთ თუ არა რომ „მერსედესის" საყიდელი ფული ბატონმა დუგლას ირაკლის ძე ხეიძემ გამოგძალათ თქვენ...

— დიახ. — ყრუდ ეთანხმება ალუდა და ქვევით იხედება, — გამომართვა.

— გამოგართვათ თუ გამოგძალათ?

— გამომართვა, გამომძალა...

— რამდენი? თანხა დაასახელეთ.

— სამოცდაშვიდი მილიონი...

— გაიმეორეთ, არ ისმის...

— სამოცდაშვიდი მილიონი... — თავს წევს და გარკვევით იმეორებს.

— სწორია, ბრალდებულო დუგლას?

— არა.

გაუთვალისწინებელი პაუზაა.

ქვათარაძე: თქვენ შეგეძლოთ გულახდილი ყოფილიყავით, ამის შესაძლებლობა მოგეცათ. ბრალდებულო ალუდავ, სად გადაეცით ეგ თანხა?

— აფრიკაში.

— სანაცვლოდ წამოიღეთ შეკვრა შეპილოვისათვის...

— გამომატანა პაკეტი...

— რა იყო, როგორც თქვენ აკვალიფიცირებთ, პაკეტში, როგორც შემდეგ გაირკვა, ანუ როგორც საგამომძიებლო ორგანოებისათვის გახდა ცნობილი?

— მარიხუანა.

— ნარკოტიკული ნივთიერება, არა?

— დიახ.

— გარკვევით, ჩვენ გვისმენენ!

— მარიხუანა... საწამლავი მოკლედ, მეტს ვერაფერს მოგახსენებთ..

— ეს მოხდა?..

— აფრიკაში.

— აფრიკა... — თვალს უსწორებს ობიექტივს... — ქალაქგარე გარეუბანიცაა არა?

— ეგრეა.

— მოწმე გყავთ?!

— კაკვი ხუჯაძე.

— ადასტურებთ თქვენ ამხანაგო კაკვი ხუჯაძევ?!

— ნაწილობრივ.

— სტოპ! — ყვირის საიდანღაც გადაცემათა რეჟისორი ნოე, — გამორთეთ დიგები!

— რა მოხდა? — ქალის ხმაა.

— რატომ აცვია ამ კაცს პალტო?.. პერანგებშია ხალხი, აქ ცხელა და გვეტყობა... ტოლია, მოგვანათე გვერდიდან და გახადეთ ამას პალტოა თუ პლაშჩი! — პაკა-პუკით შემოდის ნოე. იხედება ზევით და შორს, ხელებს წევს, ვილაცას რაღაცას ანიშნებს.

— თქვენ კარგად გამოხვედით, სხვათა შორის! — აქებს შეპილოვს.

— ფულს ვინ გამომიწერს? — კითხულობს შეპილოვი.

— შევისვენებთ ცოტა ხნით. არ ესმის ნოეს.

— შენ, ბიჭო, საგლახაოდ გაქვს საქმე? — ეკითხება ხალსტუკში გაყრონჭილი ვაშაკიძე, ხმა რომ არ ამოაღებინეს აქამდე.

— მტერს ექნა, მე რომ საქმე მჭირს, რა მეგლახავება, მაგრამ რა ვქნა!

— სად არის გაბაშვილის ქალი?! — იძახის ნოე.

მხოლოდ ლალი და ქვათარაძე არიან კადრში. პატარა მაგიდასთან სხედან ძველ, დეკორატიულ სკამებზე. ლურჯ სუფრაზე ნავთის ციცი ლამპა დგას რატომღაც.

ქვათარაძე: ტელემაყურებელს აინტერესებს რამდენი კონტრაქტი გააფორმეთ უცხოეთის ფირმებთან?

ლალი: უნდა ვუპასუხო?

ნოე (საიდანღაც) გაიარეთ, გაიარეთ, პირდაპირ ეთერში გავალთ ამის შემდეგ!

ლალი: დიდი მოთხოვნილება ჰქონდა ჩვენს პროდუქციას, ჰქონდა და აქვს, ცხადია, განსაკუთრებით შხამს ფუტკრისას, ასევე გიურზას შხამს, გველგესლისას, წველადობა კი არ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას, ასკილის დავარგებაც დაგვიანებული ვეგეტაციის გამო შეფერხდა... — ქვევით იხედება, თითქო კითხულობს, სინამდვილეში წინ არაფერი უდევს, მოკლე იუბკა კი თითქმის ბარძაყებსაცაა აცილებული. დიდ ხელს გადაუყოფს მინი იუბკაში ქვათარაძე. გველნაკბენივით შეკრთება, თუმც ლაპარაკს არ შეწყვეტს. ნავთის ციცი ლამპა ყანყალებს. ცალი ხელით ლამპას აკავებს, ცალით ქვათარაძის ტორს იშორებს სახეზე გვარიანად წამოხურებული. ბოლოს წამოდგება და ჩქარი ნაბიჯებით, წვრილი და მაღალი ქუსლების კაკუნით გადის პავილიონიდან. ნოე მისდევს, ვერ ეწევა.

— ჟურნალი მაინც დაგვიტოვე!

ლალი ჩერდება, ჟურნალს აგდებს სავარძელზე.

— გადაეცით, რომ ყველა ხელმოწერა ჩემია, ამას დავადასტურებ წერილობითაც... ჟურნალიც მანდ იქნება, შეგიძლიათ გადაამოწმოთ.

— იცით თქვენ რა გელით ამისათვის? — კითხულობს საქმის გასარკვევად წამოსული ვაშაკიძე.

— ვიცი, ყველაფერი ვიცი!

— ეტყობა, არ იცით! — ყელსახვევს იბოშებს, პერანგის საკინძესაც იხსნის.

— იდიოტია, სუფთა იდიოტი! — ზიზღით იხედება საკონტროლო ტელევიზორისაკენ, ეკრანში არდატეულ ქვათარაძის თავისაკენ.

ტელევიზიის „რაფი“, „ნივა“ და „მერსედესი“ ჩანან ორმო-ორმო გადათხრილ, გადატრუსულ ლანდშაფტში. ბორცვებსა და ბორცვებსშუა იმალებიან და ქრებიან ავტომანქანები. ბოლი ადის ალაგ-ალაგ მინდორს. ჭოკებზე დამაგრებული ქსოვილის ნაჭრები ფრიალებენ შორი-შორს. მრავალსართულიანი სახლების ფანჯრებიანი კედლები წყალში არეკლილებივით ლივლივებენ მზეზე. ქალაქი მოსულა და გაჩერებულა ერთ სწორზე.

მანქანები დგანან. ქვათარაძე ბორცვზეა, დურბინდით ათვალიერებს დიუნებს. იქვე არიან: ვაშაკიძე, უშვერიძე, კაკვი, ჭობი, ალუდა, რეჟისორი ნოე, ოპერატორი ტოლია, ასისტენტები. რაფიდან ჩამოსვლაში ეხმარება საზეიმოდ გამოწყობილ თამილას დუგლასი, უგზოზე სიარულშიც შველის. ქალი უფრო მჭიდროდ ეკვრის და ეყრდნობა კავალრის მკლავს, ვიდრე საჭიროა, თუმც სვლაც უჭირს. ორთავ ლინზაში ბორია ჩანს სილიდან ამოსულივით, ყურში გაჩხერილი ღილაკით, ყურიდან ჯიბემდე გაბმული მწვანე მავთულით. დურბინდს უშვერიძეს აძლევს, მობრეცილი ფეხებით მიდის ქვათარაძე გორმახებზე, ბორიას უახლოვდება. მკლავზე ლურჯმაკენტოშგადაფენილი კაკვი მიყვება, რბილად ადგამს ფეხებს, კვალს არ ტოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გარდა იალქნებისა, ვქსოვთ სასროლ ბადეებს, იალქნებს ხომალდებისათვის, სიმონ!

ქვათარაძე იალქნებით არ ინტერესდება, სასროლბადიან სიმონსაც, ჩრდილივით რომ ამოდის ბექობზე, არ აქცევს ყურადღებას.

— რამდენი გრადუსი იქნება?

— სიცხე? .

— ტემპერატურა.

— ასე ორმოცამდე, არ გამიზომია.

— ეს მიწა ამისია, მეგაჯეებიცა... — უხსნის ვაშაკიძე.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ვაშაკიძე, საპრივატიზაციო ადგილია, ჯერჯერობით საზოგადოებრივ საწყისებზე ვმუშაობთ, თანხა გადავრიცხეთ თავდაცვის ფონდში.

— ამ კაცს იცნობთ? — გვერდზე დგება ქვათარაძე და კაკვის უტოვებს პირისპირ.

— პირველად ვხედავ! — ღრმა პაუზის შემდეგ პასუხობს.

— ამას?

— არა. — ალუდას უყურებს.

— ჭობის?

— არა.

დუგლასისაკენ წევს გაძვალებულ ნინაკს.

— ვიცნობ... აქ პირველად ვხედავთ.

— თქვენი სახელი?

— ბორია. — მავთულს ისწორებს ჯიბეში.

— ამან, ამის თანდასწრებით გადასცა ამას... — იწყებს კაკვი ენის მოკიდებით, — დუგლას ხეიძეს ირაკლიჩს, ეს კაცი, ბორია, იყო აქ, კიდევ ორი მუშა, აქ დაგვიხვდნენ... ამან გადასცა აი ასე... ეს დავინახე... — მაკინტოშს იცვამს.

— თქვენ რას იტყვით, ბატონო ბორია?

ბორია ხმას არ იღებს, ქვათარაძეც არ აცილებს თვალს.

— მე მეკითხებით?

— დაახლოებით.

— ჩავრთავ, თუ შეიძლება. ახლა გისმენთ...

— სწორს ამბობს პატივცემული კაკვი?

— წარმოუდგენელ, ჯერარგაგონილ ტყუილს. მიხო, მანდა ხარ?!

— აქა ვარ, მა! — სამარიდან პასუხობს თითქოს.

— შიოც მაქანეა?

— შიოცა.

— აქა ვარ! — სამარიდან იძახის შიოც.

ვილაც სტვენს მელოდიურად, ვილაც ღიღინებს სხვა ორმოში. ბოლი ამოდის ერთგან, ორგან...

ვაშაკიძეს და უშვერიძეს მძიმე ხელსაწყო ჩამოაქვთ რაფიდან. ხელსაწყოს მართავენ და მიაგორებენ ბორცვებში. ანთებულ, შკალებიან ხელსაწყოებზე ციმციმებენ ისრები.

ორმოს გადმოდგომია ქვათარაძე. უზარმაზარი ჩრდილი ჩაწოლილა და ჩატეხილა ორმოში. ერთ თავში ფეხებია მეორეში თავია ამოყოფილი. ორი ხელნიჩბიანი მუშა (ალბათ შიო და მიხო) ქალალდის პარკებში ყრიან ცხელ გაჯს.

— დავიწყოთ ჩვენ?! — ყვირის რაფის სახურავზე გასული ტოლია.

— რას მიკეთებდა აბა აქამდე! — უკვირს ქვათარაძეს.

— ტოლია მზად ხარ? — იძახის ნოე.

— დავიწყოთქვა, მე ვყვირი თვითონ!

— ესენი არ ამოვიდნენ ორმოდან!

— არც ვაპირებთ! — ნიჩაფს აყუდებს მიწის კედელზე, ოფლს იმშრალებს შიო.

ნოე: მიკროფონი ახლო!

მიკროფონის ჩრდილი და მავთულიანი შავი მიკროფონი ქანაობენ გაჯის ორმოს თავზე. ღრეჭოდ, აფრაკად დალეგუბ ქვებქვეშ მოკლედ დაჭრილი ხმელი შეშა და ნაფოტები იწვის. შიო და მიხო დგანან გვერდიგვერდ სატინის ხალათებით, ნაბდის შავი ქუდებით.

— მე რა უნდა გავაკეთო?! — ფეხსაცმლის ქუსლებზე ტყდება ნოეს-
ბიბლიოთეკა
თან თამილა.

— რა უნდა ამას აქ, ვინ წამოიყვანა!— უკვირს რეჟისორს. — ბატონო მიხო, დავიწყეთ!

თამილა: ნოე, მე რა ვქნა?!

— მომაშორეთ რა ეს ქალი!

— როგორც დაგვარიგეს ისე ვთქვათ?— კითხულობს ორმოდან შიო.

— როგორც გინდათ ისე თქვით, ამოიღეთ მხოლოდ ხმა, მიხო!

— აქა ვარ!

— მანდ რომ ხარ ვიცი, ამოიღე ხმა!

მიხო: მე, როგორც ასეთი, — ახველებს. — არც ამას ვიცნობ, არც იმას ვიცნობ, არც იმათ ვიცნობ, საერთოდ, არავის არ ვიცნობ!

— კარგია! — ყვირის ოპერატორი.

— რა არის კარგი, ამას თავი ხომ არ ტკივა! — თამილას ეკითხება ქვათარაძე.

— თავი?

— ნოე, ესენი გააჩერე, ისინი ალაპარაკე!

ალუდასთან მიაქვთ მიკროფონი.

— აქ მოვედით მე და კაკვი, მოვიტანეთ შეხვეული, აქ იყო დუგლასი ხეიძე ირაკლის ძე, აქ იყო ეს ამხანაგი, ბორია... მე მახლდა კაკვი ხუჯაძე... — ლაპარაკობს ალუდა.

— მე აქ პირველად ვარ და მიკვირს კიდეც თბილისელ კაცს რატომ არასოდეს არ მომიხდა აქეთ წამოსვლა... მშვენიერი ადგილებია, სხვათა შორის... ჯანმრთელი ჰავა, ცოტა კეთილმოუწყობელია... — მიხოს ორმოში იხედება დუგლასი, ირონიული ღიმილი არ შორდება სახიდან.

— საკმარისია, კარგია, ისინი რას შვრებიან?! — ვაშაკიძე–უშვერიძისაკენ იხედებიან.

წითელ შკალაზე აციმციმებულ ისრიან ხელსაწყოს დაატარებენ გადატრუსულ გორებზე, ბორცვებზე ადიან ჩამოდიან, ერთ უბანში ბრუალობენ.

— გცივა შენ? — ეკითხება ვაშაკიძე კაკვის.

— არც ისე.

— აბა თუ გაიხსენებ, რა დღე იყო?

— ან შაბათი ან კვირა ან რაღაც დღესასწაული, შეიძლება ბზობა, კონინჯრობა... არ მახსოვს....

— თქვენ აქ იყავით იმ დროს? — მოულოდნელი შეკითხვით აბნევს მეგაჯე მუშებს.

შიო: ჩვენ აქა ვართ სულ.

მიხო: აქედან არ მივდივართ ხოლმე მზე თუ აცხუნებს.

— ადასტურებთ ამ პატიოსანი კაცის ამბავს! — კაკვი გამოყავს ავანსცენაზე.

— ჩვენ ვადასტურებთ, რასაც არჩილ სამუელევიჩი იტყვის...

— არჩილ სამუელოვიჩი ვინაა?

— მთავარი ექიმი.

— წავედით, არ გამოვა ამითაგან არაფერი! — მოულოდნელ გადაწყვეტილებას იღებს ქვათარაძე.

— ვაშაკიძე! — იძახის უშვერიძე.

— რა გაყვირებს, შე ჩემისა, ჯარში ხომ არა ხარ!

— მომკლა ამან, კაცო! — ამის თქმა და ხელსაწყო, რომელსაც გადახრუკულ ბორცვებზე დაავგორებდნენ, იწყებს წივილს!

— ნახა რამე? — ეკითხება ნოე.

— მოკლე ჩართვა მოხდა, მე ამის გამომცემელის დედა!

— რა ნახე? — ვაშაკიძე ეძახის.

— ბუს კვერცხები, ერთი მოუხარშავი იყო მხოლოდ!

ავტომანქანები, ჩრდილში რომ გაჩერდნენ მგზავრთა მოლოდინში, სიცხეში შემოდიან სირენას ხმაზე და ქვათარაძის ტყავის საქაღალდის ქიანზე.

დუგლასი „მერსედესის" კარის გაღებას აპირებს.

— თუ შეიძლება! — დააბედებული ხელისგული აქვს ამოტრიალებული ვაშაკიძეს, გასაღებს თხოვს. დუგლასი ხმას არ იღებს, ვაშაკიძეს არ აცილებს მხოლოდ თვალს.

ვაშაკიძე: თუ შეიძლება! — ძალით მიაქვს თითქმის. — იქ დაბრძანდით! — „ნივას" ათითებს. — თქვენ დაუსუფავალი ხართ კარგა ხნით! — „ნივაშიც" არ უშვებს კაკვის. დაგიძახებთ, როცა საჭირო იქნება!

— მოითმინეთ, მოითმინეთ, მე აქ ჩემით არ მოვსულვარ, თანაც არასწორი ვილაპარაკე...

— ვინ გაიძულა?

— გარეგანმა ძალებმა...

— დაწერე ყველაფერი... — ჩუმად ეუბნება ვაშაკიძე.

— დავწერ, ყველაფერს ვიტყვი. არ დამინახია, არ გამიგია! საერთოდ არ ვყოფილვარ იმ დღეს ამ რადიუსში, ცოლისდას მამამთილი მოუკვდა და ქვეტირში ვიყავი, სამიათასი მოწმე მყავს!

— აბა ერთი, მომითმინე მანდ! — უკანვე მოალაჯებს ქვათარაძე, —რამდენს ლაპარაკობს ეგ?!

— ატკაზი დაურტყა! — უხსნის უშვერიძე.

— თქვას რაც უნდა! — თანახმაა ვაშაკიძე.

— გაიხადე პლაშჩი! — კატეგორიულად ითხოვს ქვათარაძე.

— გიშლის რამეს?!

— რატომ გაცვია ამ სიცხეში, გაიხადე!

— ძალით მხდით?!

— გაიხადე!

— ხელი გამიშვი და სიმართლეს ვიტყვი!

— თფუ! — აფურთხებს ქვათარაძე და კაკვის პლაშჩს ორმოში აგდებს.

მანქანები მიცოცავენ უჩრდილო მიწაზე, შიშველ ბორცვებსშუა, ცხელი მტვერი მიაქვთ.

— მე რატომ წამომიყვანეთ, მაინც ვერ გავიგე? — წუხს, წინა სკამის საზურგეს ეპორჭყიალება, თვალს მაინც დუგლასისაკენ აპარებს, საკონცერტოდ გამოწყობილი თამილა.

— ვინ წამოიყვანა, მე ამის წამომყვანის! — იცინის და რაღაცას ილეჭება ოპერატორი.

მარტო ზის დუგლასი. წინ, რბილად მიმავალ „მერსედესს" მიჩერებია დაღვრემილი. იქვე ტრიალებენ. კაკვი ჩანს „ნივის" სარკმლიდან.

— არ დამტოვოთ და ყველაფერს ვიტყვი! — დასვრილ მაკინტოშს ფერთხავს, თავგაშეშებულ, ყურში ღილაკგაკვეხებულ ბორიას უყურებს.

— არ იტყვი და შენი აჯობებს! — თავისთვის ამბობს ქვათარაძე „ნივაში".

— მერყევი ელემენტია. — უმარტავს კოტე უშივერძე უკნიდან.

— ელემენტი კი არა, დამიწყე ახლა შენც!.. — ხიხინებს ქვათარაძე და მანქანიდან აფურთხებს.
შენც!.. —

ავტორები მიდიან რწევით უდაბნოს ბორცვებში, ხან გამოჩნდებიან, ხან ლარტაფებში ჩაიკარგებიან, ჭოკზე დროშად დამაგრებული მამაკაცის ძველი ნიფხვის ტოტის ფრიალზე უჩინარდებიან.

ბოლო მანქანას გააყოლებს მზერას კაკვი და თვალგაშტერებულ ბორიას შეხედავს შეციებული, სიცხეში დაპატარავებული. მწვანე. გაყინული თვალებით უყურებს ბორია, მწვანე მავთული ჩამოუდის ყურიდან და ჯიბეში ეკარგება.

ლაშა ეზეკი აწერია რკინის კარს. ქალის გრძელი ხელის მტვენის წითელფრჩხილიანი თითია მიჭერილი ზარის ბუნიკზე.

— ვინ-ა-ა?! — ისმის არაბუნებრივი ხმა საიდანღაც.

— ჩვენ ვა-ა-რთ! — იმდაგვარადვე პასუხობს დავერო, ცელოფანის ტომარაში ჩაკეცილ წითელბურთულებიან სასროლ ბადეს იმჩატებს ზურგზე, ზევით, სიცარიელეში იხედება, ელის და ხმა აღარ ესმის, კარიც არ იღება.

— ხომ არ მომეყურა? თუ არავინაა გადავაგდებ ამ ბადეს, რა ძალა მადგას ამ წელტკივან კაცს! — ლალის და რუსიკოს უყურებს.

— არ შეიძლება არავინ არ იყოს, ვალია დეიდა ოცი წელი არ გასულა შინიდან. — უხსნის რუსიკო.

— ვინაა? — ახლა სხვა ქალი კითხულობს რუსული ინტონაციით.

— დავეროათქვა, უთხარი... — კარი იღება, წინადადების დამთავრებას ვეღარ ასწრებს.

გრძელ მაგიდასთან, ახორიავებული საქმე — ტომების გვერდით გაშლილია სათამაშო დაფა უჯრებით 13—13-ზე. „პუმას" ფირმის სპორტულ პიჟამოში გამოწყობილი ლაშა ეზეკი „გო"-ს ეთამაშება ნოტარიუს გაბადაძეს. 361 პუნქტზე განლაგებულ შავთეთრ ქვებს დაჩერებიან. გაბადაძის ყავარჯნების იქით უაღრესად დაფიქრებული შეპილოვი ზის. ფიქრობს, დროდადრო იკვნეტს ფრჩხილებს-, უყურებს დაფას შორიდან, სხვისას განიცდის, ვარიანტებს ითვლის გუნებაში, ეტყობა. ნაფიც მსაჯულთა მაღალ სკამებზეც „საქმეებია" დაწყობილი, ბუხრის თავზე შპალერის გაუხსნელი გორგლებია ახორხლილი. საშპალეროდ გამზადებულ კედელზე ნაცნობი ლეიბია აყუდებული თუ მიკიდებული.

საპნიანი ხელების მშრალებით მიუძღვის სტუმრებს მკლავებდაკარწახებული, ჯანიანი ქალი; სარეცხიან დერეფანში, ზეწრებსა და ზეწრებსშორის გადიან, ჩამოფენილ ტილოებს უვლიან გვერდს.

— აღარ დამთავრდა ეს რემონტი, აღარ დამთავრდა, თუ ვეუბნები მე ეზეკის... — ფეხით ფანტავს შპალერის ნახევებს გზადაგზა ჯანიანი რუსის ქალი. ესტრადაა სუფლიორის კაბინასავით. ცარიელი სკამებია მიხვეტილი ესტრადის წინ. კიბითა და ხიდ-ბოგირით გადადიან ესტრადაზე.

— დღეს არა აქვთ ერთი მსახიობის სპექტაკლი, მოდიან, ძირს ყრიან სიგარეტის აკურკებს, ვუთხარი მე ეზეკის.

— გო! — ისმის საიდანღაც.

წითელბურთულებიანი ბადე მაგიდაზე დევს. „გო-ს" დაფა გაჩოჩებულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვები არეული. აღარ თამაშობენ. შეპილოვი აპირებს პოზიციის აღდგენას, ქვებს ხელახლა ალაგებს, ვარიანტებს ითვლის გუნებაში.

— ...რა შუაშია, დავერო, იარაღი, შენ მაინც არ უნდა ამბობდე... — ლაპარაკობს ეზეკი, — ბატონი ნიკოლოზი დამემოწმება, იარაღს ვერავინ შემოგიტანს და სეიფში ვერ შეგიტენის. თუ გაგიკეთებს, ახიც იქნება... ეს არცაა მთავარი... — კონიაკს ასხამს ბადეზე დალაგებულ ჭიქებში. ზარის ხმა ისმის კვლავ, — დედა, გააღოს კარი!

კონიაკის ჭიქების რაოდენობა იზრდება.

— ...ბესო, არ სვამ? ბატონო მიტრო. ეს ასკილის საქმეა, დავერო, მეოთხე ქვეპრიმის მეორე პარაგრაფით გადის... შენ თუ არ გესმის, ამათ როგორ გავაგებინო, გახმაურდა, კონტროლზეა აყვანილი... ისე კი, საქმე ჩემამდე არც მოსულა და ვერც ვერაფერს გეტყვით გარკვეულად, ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში, ბესო!

ბესო: მანქანით ვარ, მეოთხე ქვეპრიმის მეოთხე პარაგრაფი?

— ეგრეა.

— ექვსი თვიდან თორმეტ წლამდეა გათვლილი. — მიტროს უყურებს გაბადაძე, მედალ-ორდენთა დუბლიკატის ასხმულას ისწორებს მკერდზე.

— დიახ, ხე, ხე... — ზრდილობის ეტიკეტის დაცვით უადგილოდ იცინის მიტრო.

— ჩვენთან გადახვევა არ დადასტურებულა... — თამამად იწყებს ლალი, — ჩატარდა ინფრასტრუქტურული ათვლა, მარტო ჩემი ლაბორატორია ორჯერ გადაამოწმეს.... ამას არა აქვს მნიშვნელობა, გენაცვალე... დავერო, ნიკოლოზ, მიირთვით, უნდა მაპატიოთ, ვერ მოვრჩი რესტავრაციას...

— ა. ფ. 7!—იძახის შეპილოვი. ყურადღებას არ აქცევენ.

— ...ერთი ეს მითხარით, ბოდიშს კი ვიხდი...

— გისმენთ! — მიტროს საპასუხოდაც ემზადება ლაშა ეზეკი.

— რადიკულიტი ხომ არ გაწუხებთ თქვენ?

— რადიკულიტი?...

მიტრო კედელზე აყუდებულ ლეიბს მიჩერებია. ამ მზერას იჭერს მასპინძელი.

— ოსტრიოხონდროზი მქონდა ბავშვობაში... ვერ დავლაგდი და ვერ დავლაგდი, ხომ იცით, რა ხალხია რესტავრატორები...

— მე არ მირჩიეს რატომლაც, თუმცა წელი არ წამომტკივებია ჩემს სიცოცხლეში... — აცხადებს გაბადაძე. ისიც ლეიბს უყურებს, — თქვენ ხომ არ გიცდიათ?

— როგორ არა, მაგ ლეიბზე ვწევარ, წელი მომირჩა და გვერდები ამტკივდა, — პასუხობს მიტრო.

— შეღავათია მაინც.

— რასაკვირველია.

— შეიძლება მოვწიო? — კითხულობს დავერო.

— კი, როგორ არა, დედა, გაალე კარი! — საფერფლისათვის სრულიად შეუფერებელ, უზარმაზარ ნიჟარას გადმოუდგამს.

— ფ. ა. რვა! — შეპილოვის ხმაა.

ლაშა ეზეკი: ოგანეზიშვილს იცნობთ?

— ვიცნობდი, — ეზეკის დაჟინებულ მზერას უსწორებს თვალს ლალი.

— ეზეკი: (დაველოს): შველის ეს წნევას?

— კი როგორ არა, — სამაჯურს იხსნის და იკეთებს მაჯაზე, — მშველის, მხოლოდ მე წნევა არა მაქვს! — კვლავ იხსნის და ეზეკის აწოდებს.

— თქვენც რადიკულიტი გაწუხებთ?— უკვირს გაბადაძეს.

— ბავშვობიდან.

ეზეკი სამაჯურს აბრუნებს.

— მჭირდება მეც ეს ლეიბი, ვატყობ.

— წაიღე! — თავაზობს მიტრო.

— სხვები დგას რიგში, მე ვინ მომაშავებს! — წუხს დავერო,

ეროვნული

— დედა, გაალო ანიამ კარი? ერთი ამას დააკვირდით! — ბნელდება და კედელი ნათდება. ეკრანზე პატარა სასახლე, აუზი და შადრევანი გამოჩნდება. მორიკულებულ, დახვეულ კიბეზე ჩამოდიან ქალი და კაცი, კადრი შეშდება. ფირი უკუღმა ბრუნავს და უკუსვლით ადის კიბეზე ქალ-ვაჟი. უზერხული სიჩუმეა. მაგიდაზე მიყუდებული ყავარჯენი ვარდება გამაყრუებელი ხმაურით იატაკზე.

— ბოდიშს ვიხდი. — აქეთ-იქეთ იხედება გაბადაძე.

— პირიქით. — ყავარჯენს იღებს დავერო.

— არ გეცნობათ ეგ სახლი. — ლალის უყურებს ლაშა ეზეკი.

— სახლიც, საკუთარი თავიც!

— გასაგებია. — ეკრანს აქრობს.

— ვის სახლზეა ლაპარაკი?

— ჩვენზე.

— წყნეთზე? — ცუდად ესმის მიტროს.

— წყნეთი არაა ეგ... მიირთვით, დავილოცოთ უნდა, უზერხულია! — სავსე სირჩას უჩოჩებს დავერო.

— ღმერთმა გაგიმარჯოთ, კეთილი იყოს ჩვენი, ჩემი ფეხი პირადად! — მოსვამს და დადგამს.

— მადლობელი ვარ.

— ხელი გქონდათ მოწერილი? — ეკითხება გაბადაძე ლალის პირის ცმაცუნით, შოკოლადის ფოლგას კეცავს საფერფლის კუთხეში დებს.

— არა.

— ეგ არ არის კარგი!

— ერთი წუთით! — დგება ეზეკი. ლოლას და ნანას ეგებება. შემცბარი ჩერდებიან სტუმრების დანახვაზე ქალები. თავაზიანად კოცნიან ლალის, შემოთავაზებულ სკამებზე სხდებიან შემდეგ.

— Ф. A. 6!

„გო-ს“ დაფას აშლის ეზეკი ხელახლა.

— არ შველოდა. — ეუბნება შეპილოვი და ფრჩხილს იკვნეტს.

— Ф. A. Ф. A. 6 დ მუდმივი გი. — ამბობს გაბადაძე.

— ვახ შენი! — ახალ[illegible] მიადგება შეპილოვი.

— როგორა ხარ, ლალი, რა კარგი კაბა გაცვია! — სათვალეს იხსნის დუგლასის ცოლი, მატერიასაც ამოწმებს თეძოსთან ორი თითით, — ცოტა ვიწრო ხომ არ არი?

— არა მგონია, — წამოდგება.

— ცოტა კი, კარგია, პრინციპში, შებრუნდი, კარგია!..

მიტრო: ხომ კარგად ბრძანდებით, ქალბატონო ლოლა? დუგლასი ხომ კარგად, ხომ არის ძველებურად?

გაოცებული ქალი ხმას ვერ იღებს, ვერც ვერაფერს პასუხობს.

— მამა, დალიე ალოე? — ხმადაბლა ეკითხება ლალი.

— ა? — თავს ხრის მიტრო სიჩუმეში.

გამაყრუებელი ხმით ვარდება გაბადაძის ყავარჯენი. მიტრო აპირებს აღებას.

— ნუ წუხდებით, როგორ გეკადრებათ! — გაბადაძე ეხმარება.

— მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს, ბატონო ლაშა ეზეკი, — დასაჯდომად არ მოვსულვარ, რატომ მიუყენეს ჩემს შვილს ამდენი მუხლი?.. ვთქვათ, დამნაშავეა და ასეცაა ალბათ, მაგრამ ამდენი მუხლი რა საჭირო იყო?

— ეგ ეგრე ხდება, ქალბატონო ლოლა, უმაღლესი გადაფარავს უმდაბლესს, მეორეხარისხოვანი მუხლები წაიშლება და დარჩება პრიმა...

— რას ნიშნავს, პატივცემულო ლაშა ეზეკი, პრიმა?

— სასჯელის უმაღლეს ზომას, დახვრეტას... მაგრამ... — ლაპარკობს, ლოლას კი მისი ხმა აღარ ესმის. გამაოგნებლად მოქმედებს დანარჩენებზეც ეს ცნობა ცოტა ხნით. ლოლა ხელისმოსაჭიდებელ ადგილს ეძებს, მაგიდაზე დაწყობილ სასამართლოს ტომებს უფათურებს ბეჭდიან თითებს და სკამიდან ვარდება.

ღია ესტრადაზე დგას ბესო, გასაღებების აცმას ათამაშებს ნერვიულად.

დანარჩენებიც გამოდიან.

— გამართეთ ხომ მაინც სცენები, აქ ამოდით, აქ ითამაშეთ! — დას ეჩხუბება.

— არ გამოგვიშვა! — ხელს აშველებს ლოლას შეპილოვი.

— შენ მაინც რაღა გინდა, ვერ გავიგე!

— ერთ პარტიას ვითამაშებ-მეთქი, ბესოს დავენაცვლე, ვინ გათამაშა გოძინ-ძენი...

— სათამაშოდ გაქვს საქმე?

— თავის დასაბრედი მჭირს, გავეჭედე, ბესოს შემოვევლე!

— მეორე კიბით გააცილე ანია! — ბუხრული ხალათი მოუცვია ეზეკის,—იმედს ნუ გადაიწურავთ ქალბატონო, ეგ მუხლი საბოლოო არ არის-მეთქი, აგიხსენით... უკეთესის იმედი უნდა ვიქონიოთ!..

ახალგარეცხილ სარეცხში შედიან თეთრეულში იკარგებიან შორდებიან და ხვდებიან ერთმანეთს. შენობაზე გარედან მიდგმული, დაკეცილი კიბე შუშის ხუფითაა დაფარული. კიბის ხვეულებშიც სარეცხია გაფენილი.

— ლიფტი არ მუშაობს, მამა, ფეხით უნდა ჩავიდეთ!

— სულ ქვევით უნდა იაროთ! — ზემოდან იძახის ანია.

დაბნეულნი ჩერდებიან ამ ხმაზე და ისევ ეშვებიან.

— გვასწავლა რა ამანაც, — ხელს იქნევს დავერო, — თქვენ დუგლასის მეუღლე ბრძანდებით?

— დიახ. — საფეხურებს დაჰყურებს თვალებწაჭუტული, მაღალ ქუსლებს ახახუნებს მეტლახზე.

— სად იყავით მერე აქამდე, დღეს და გუშინ ხომ არ დაწყებულა ეს ამბავი?!

— მე მეუბნებით? — გაოცებული ჩერდება, სათვალეს იკეთებს.

— როდის ეღარდებოდა ქმრის ბედი? — თავისთვის ამბობს ლოლა.

— როდის გაწუხებდათ ჩვენი ურთიერთობა... — ხმას იმაღლებს რძალი, — გიკითხავს, რა გვიჭირდა, რა გვილხინდა? რას ვითმენდი თქვენს ხელში, რას ვმალავდი, იცის ვინმემ?!

ბიბლიოთეკა

— ავადმყოფ ბავშვს ვუფრთხილდებოდით! — ხმადაბლა პასუხობს, ბორძიკობს, ბესო აშველებს ხელს.

— ავადმყოფ ბავშვს დედა ჭირდებოდა, დუგლასის მეტი არავინ გახსოვდა, შენი შვილის მეტს ვერ ხედავდი, აწი რაღა გაგიძლებს...

— აუ!.. — ჩაილაპარაკებს დავერო და დაწინაურდება.

— ბესო, სადა ხარ?.. დავერო, ზევით მივდივართ თუ ქვევით? — კითხულობს საიდანღაც მიტრო.

— ზევით და ქვევითს ველარ არკვევს! — ვებერთელა ნაბიჯებით ეშვება ბესო, აღარც მამის ხმა ესმის, აღარც მოკამათე რძალ-დედამთილის ეყურება.

— ამათი ამბავიც იცოდი... — ლალისკენ იხედება, — იცოდი და არ ამბობდი, ხედავდი, არ ამხელდი! ვინ მოგვიტანა უბედურება? სამჯერ ამოვიდა შავად ყავაში, ეს ხომ გახსოვს? რატომ არ ამბობ?!

— მე ამოვედი შავად ყავაში, შენ რატომ არ მითხარი? მე თავად ვნახე ჩემი თავი შავად ამოსული.. და მარტო მე არა ვარ უბედურების მიზეზი... ვინ კრა ხელი, როცა უჭირდა... ვისი წერილები გინახა, ვისი ფოტოსურათები დაგიჭირა...

— ქალიშვილობისდროინდელი წერილები, ჩემ გათხოვებამდე მომხდარი ამბები გამიხსენა...

— რატომ ცემა შენი დისერტაციის ხელმძღვანელი?

— უსაფუძვლო ეჭვის გამო.

— მე შენთვისაც მილოცია, ყველაფერს ხომ არ ვიტყვი...

— მეტი რაღა უნდა თქვა... წამართვი ყველაზე ძვირფასი.. ბერწიაო თქვი?

— შენზე არა.

— დუგლასიზე? (ელოდება) იქნებ შენ ხარ უშვილო?!

— მე რა შუაში ვარ!.. — ხმას უდაბლებს შეშინებული.

— ირინა ჩვენი შვილია, ჩემი და დუგლასის, შენ რომ ვერ დაგაორსულა, ეს არაფერს ნიშნავს.

სახეზე ხელაფარებული ჩარბის ლალი.

— ნელა! — ებახის შეშინებული მამა.

ბესო მანქანას ვერ ძრავს, ასიგნალებს, წინ გაჩხერილ „ჟიგულს“ უყურებს ავად. გასაძრომს ეძებს თვალდათვალ, იგინება უხმოდ. ძმის დანახვით შემკრთალი ლალი თმას ისწორებს, მამას ელოდება.

— მოდიხარ მამა?

— მოვდივარ, სად გამოვარდი, მოგდევდა ვინმე?

— გადავაყენებ, რა იყო, რა დაგემართა! — იძახის დავეროც.

— მე გავწევ და აქეთ გახვალ! — შეპილოვი ჯდება „სიტროენში“.

— გააკვეხებენ, გაჭედავენ...

— მე რომ გავეკვეხე და გავეჭედე გაჭედვა იმნაირი უნდა, ბესოს დავენაცვლე, ამენ შამენ! — „სიტროენს“ ძრავს. დავეროც გადის. და ელოდება.

— ბესო, როგორ არის საქმე? — უადგილოდ ეკითხება მიტრო შვილს.

— საქმე ისე არის, როგორც ააწყვეთ შენ და შენმა ქალიშვილმა!..

— რას ამბობს, ეს კაცი!

— იმას ვამბობ, რაც გესმის... — მანქანაში ჯდება, — ამტკიცე აწი შენი პატიოსნება. გამზარდე მათხოვრად და ყველამ წიხლი დაგვაჭირა.. მე გავუსწორდები მარტო სუყველას! — ღმუილით ძრავს სამფერ „ოცდაოთხს“, სანტიმეტრებში უვლის გვერდს მიჯრით გაჩერებულ მანქანებს და სიბნელეში იკარგება.

— ჩამოხმა ჩემი ცხოვრების ხეც! — დგას მიტრო.

გაბმული სროლის ხმა აყრუებს იქაურობას. ხეებს ეფარებიან: ლოლა, ნანა, ლალი, მიტრო; დავერო საკუთარი ჟიგულის ქვეშაა გაწოლილი. ორმხრივი ცეცხლია გახსნილი მანქანებიდან.

— ცოტა ვიწროა მართლაც, ახლა რომ ვაკვირდები... — ეუბნება ხეს აფარებული ნანა ლალის, — შეიძლება გამოკლება, სულ ოდნავ...

სროლა წყდება. ა[illegible] სიჩუმე ჩამოწვება დროებით. ნანა ლალის კაბის სისქესაც ამოწმებს ორი თითით.

— ცოტა მოვიმატე და იმის ბრალია...

— ამნაირ დღეში ჩავარდნილი, როგორ მოიმატებდი! — კოცნის ლალის და მიდის. ცრემლებს იწმენდს ლალი მალულად. მიტრო დაეროს მანქანაში ჯდება წვალებით, ძლივს შეაქვს კაბინაში გარეთ დარჩენილი მეორე ფეხი.

— სად წავიდა, ბესო?

ლალი უკან ჯდება.

ფხიზლად ადევნებს თვალს მოსრიალე ავტომანქანებს ყვითელ მოტოციკლთან გაჩერებული წითური ტრანსპორტინსპექტორი რაჟიკო. ჯანმრთელი და ჯიჯგვი თავხედურ მზერას აყოლებს ყოველ მანქანას ფერისა და გაბარიტების მიუხედავად. ბესო უპიპინებს შორიდან, სარკმლიდან ხელგამოწეული ესალმება.

— მოვალ მანდ, მოვალ!

— მოხვალ თუ არა დიდი საქონელი მოხვალ! — მოტოციკლზე ჯდება, — მოძოვილია აქაურობა, სხვაგან უნდა გადავიდე! — პედალს აწვალებს. ქოქავს და ვერ ქოქავს.

ბესოს წრეზე მოუტრიალებია მანქანა და უკნიდან უახლოვდება, უპირდაპირდება, ეჯახება აშკარად.

დარტყმის ჯახანზე ჩერდება ტრანსპორტი. მძღოლები გადმოდიან ავტომანქანებიდან. აყირავებული მოტოციკლისაკენ მორბის ზოგიერთი. ტალახში გაგორებულ რაჟიკოს ამოწმებენ ცოცხალია თუ არაო. თავადვე დგება ყველას გასაოცრად, ხელისმომკიდეებს იშორებს, ტალახიან-სისხლიან ყბაზე ისობს ცხვირსახოცს, ერთ კბილსაც აფურთხებს დალეკერტებულ სისხლთან ერთად.

— აგერ აგდია, ნუ გეშინია! — კბილს აწოდებს ვიღაც. ბესო შეალმართებულზე

მიაქროლებ „ოცდაოთხს“, სამფერში ილანდება სიშორეზე და ქრება.

— კაცი არ ვიყო თუ ის საკუთარი დედა არ მოვინატრო! — აფურთხებს, მოწოდებულ კბილს აგდებს ზედდაუხედავად, ტალახში რომაა ამოსვრილი ჯერ ვერ ხვდება.

გაყინულ დაშტაბელებულ თევზს წონის კაკვი საწყობ-მაცივრის წინ. ამაღლებულ საჩეხში თავქუდიანი დიდი სასწორი დგას. ზურგზე ტომარმოხურული მუშა ელოდება.

— ტონა ორასი! — იძახის კაკვი მანქანა — რეფრეჟერატორის მძღოლის მისამართით და ქვითარს აწერს ხელს. წარბებამდე ქუდჩამოწეულ მძღოლს ქვითარი მიაქვს, გზადაგზა დაჩერებია და კაბინაში შედის.

— წავიდო?! — ტომარამოხურული მუშა კითხულობს.

— დამაცადე!

მანქანა—რეფრეჟერატორი უკუსვლით გადის. კაკვი ბრეზენტის შარვალში ქაჩავს მუშას.

— რა იყო?!

— გიჭირს სიარული?

— კუდუსონის ძვალი მტკივა, ხომ იცი!

შარვალს უხსნის ელვისსისწრაფით და ლაჯებსა და ლაჯებშუა, საზარდულის ალაგას დაკიდებულ გაყინულ თევზს ამოაცლის.

— ოხ, შენი აქ გამომგზავნის, სად მიყოფ ხელს! — შარვალს იკრავს, — მე აქ აღარ ვიმუშავებ აწი, ჭობი, აღარ ვიმუშავებ, ჭობი!

— დარდი მაგაზე დამდგომია თუ აღარ იმუშავებ! — მოგვიანებით ამოილაპარაკებს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ჭობი: ტომარმოხურული, ახმახი მუშა მიდის საშინელი გინებით, კაკვი მაცივარ-საწყობის რკინის კარს უტრიალებს, სიგნალიზაციას ამოწმებს.

— ვკეტავ, ხომ არავინა ხართ შიგ! უუ!

ჯიბეებიდან ხელებამოუღებლად უახლოვდება ჭობი, ბეჭს ურტყამს გამეტებით ღია კარში თავშეყოფილს, საწყობმაცივარში ჩურთავს, კეტავს კარს და სახელურს მიპორწიალებული [illegible]ლებს გასაღებს. შემდეგ უკვე აუჩქარებლად ლუქავს საკეტს. ახალი რეფრეჟერატორი მოდის ხრიალით, ბოლის ფრქვევით, წინ გავარდნით და უკუსვლით.

მკრთალად განათებულ უკიდეგანო მაცივარშია ჯერ გონს არმოსული კაკვი. ჩანგლებზე ჩამოკონწიალებული ძროხის გაყინული ფელუკებია შორი-შორს, საწყობის ოთხივ კუთხეში, სადაც იყინება და ყინვა ყინვას ტყვირავს, ყინულის ხორგებია. კაკვი რკინის ბგერაგაუვალ კარს ფხაჭნის ჯერ, მუჭებს ურტყამს შემდეგ ისტერიულად. ჩერდება. შუბლზე გადამსკდარ ოფლს იწმენდს, თხელი პერანგი მოკლე სახელოებს ქაჩავს ქვევით გაოგნებული.

გაჭირვებით მოპირდაპირებული რეფრეჟერატორი დგება ბოლობოლო საჩეხთან.

— ვსიო! — იძახის ჭობი, ხელებს აჯვარედინებს.

სარკეში ჩანს გულზე ხელებდამწყვდეული მოკლე კაცი.

— რა ვსიო?! — ეკითხება ავტოს საფეხურზე ცალფეხჩამოდგმული, რულზე ხელჩაჭიდებული, სახეჭორფლიანი მძღოლი, რომელსაც სადესანტო შენაერთის მარადმწვანე ბუჩქისფერი ფორმა აცვია.

— დაიკეტა, ველარ მივიღებ.

— რა დაიკეტა, მე შენი, რომელი საათია?!

— შაბათია, მოკლე დღეა, მორჩა!

— რა მორჩა, მე შენი პატრონი დედა! — გაავებული მორბის მძღოლი, — სად წავიდო, სად გადავყარო ღორის ამდენი ნეკნი, ქოთავს ისედაც! — გაშლილი ხელები უნდა ჩათხაროს თითქოს ხახაში.

— წადი, შე მათხოვარო!... — არ ეპუება ჭობი, — მე შენი გამომგზავნის!..

— შენი დედის ნაწოვი ძუძუები!..

— მამაშენს დავაოხრე საფლავზე!..

— შენი დედა! — კაბინიდან ავტომატი გამოაქვს, — ახლა მე შენს დედას...— საკეტს აჩხაკუნებს, — გადავხერხავ შუაზე!

— გადახერხვა უნდა ამას კიდევ, რაღა დარჩება! — ამბობს ახმახი, ბარძაყებიდან ამოღებულ თევზს რომ მიტირის კიდევ.

მძღოლები ეცემიან, ავტომატის ლულას დააწევინებენ ქვევით.

— წადი, შენი დედა!.. — ადამიანის ფერი აღარ ადევს ჭობის.

შუშის ქარხნის ეზო. ცადაწვდილი, ჩამქრალი საკვამლე მილი შტაბელებად დალაგებული, ზღვისფერი ბოთლები. ცეცხლგამძლე აგურის ხურდუმი. ექსპერიმენტალური ინსტიტუტის შენობა. პოლიგონთან ცოცხალი ბოთლმტეხი ქალი დგას უქმად. მექანიკური ბოთლმტეხი „მკ—7“—ა დამონტაჟებული პოლიგონზე. დაღონებული შეჰყურებს ბოთლმტეხი ქალი „მკ—7“-ს. ეზო მუშებითა და მეპიკეტეებითაა სავსე. გამოტანილი აქვთ ტრანსპორანტები, მწვანე დროშები. აგდებულად ეწევა სიგარეტს თვალბედაწითლებული სქელი ახალგაზრდა, ბოთლის ნამსხვრევი რომ ჩამივარდეს თვალში, რას შვრებითაო, რომ იკითხა, დემონსტრანტების ახალი ტალღა მოდის პლაკატებითა და გენადის სურათებით.

— გე-ნა-დი, გე-ნა-დი, გე-ნა-დი — გაჰკივიან ქალები მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ იპყრობენ. ტელეკამერები ინსტიტუტის სადარბაზოზე აჩერებენ ობიექტივებს.

ჯაფარიძე თანმხლები პირებით, მიტრო გაბაშვილი ექსპერიმენტალური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებით. ქარხნის მუშები და თანამშრომლები.

მეპიკეტეები სტვენენ ამათ გამოცხადებაზე.

— წავედი! — ხელს წევს ფეხებმოლუნული ალპინისტი. ზურგჩანთით, ზურგჩანთიდან ამოჩრილი მწვანე დროშით მიცოცავს ცივ მილზე.

— ბატონო ავთანდილ, თუ შეიძლება!

— რა გნებავთ? — ზლაზვნით გადმოდგამს რამდენიმე ნაბიჯს თვალბედაწითლებული სქელი.

— მე ხომ აგიხსენით, ბატონო ავთანდილ, ეს მილი მხოლოდ პირველ მაისს მუშათა სოლიდარობის დღის აღსანიშნავად ბოლავს-მეთქი.

— მაგას აღარა აქვს მნიშვნელობა, მილი უნდა დაინგრეს... — სიგარეტს უკიდებს ავთანდილი. — რაც შეეხება მიტინგს, იგი ნებადართულია და ვერ გადავდებთ, ვერც სხვაგან გადავიტანთ ქალაქის მერიის უკანონო გადაწყვეტილების საფუძველზე. უსაფრთოოებაზე კი ჩვენ ვაგებთ პასუხს!

— გენადი, გენადი. — აწივლდებიან მოულოდნელად ქალები. ერთი ფანდურზე ამღერებს წკრიალა ხმით: გენადი საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო...

— თქვენ თქვენ საქმეს მიხედეთ და ესენიც ჩაწყნარდებიან, ოთხი მიტინგი აქვთ სხვადასხვა ობიექტზე დაგეგმილი! — ამშვიდებს მიტროს ავთანდილი.

— როგორ მოვიქცეთ? — აფარიძეს ეკითხება მიტრო.

— მე დიალოგის მომხრე ვარ! — თავს არ არყევს ამ სიტყვების წარმოთქმაზე, მეტის თქმასაც აღარ აპირებს.

— მაშინ აქეთ მობრძანდით! — პატარა ხიჩუმის შემდეგ ამბობს მიტრო. წინ მიდიან.

— ეს გახლავთ ბოთლმტეხი „MK—7“, „MK—7“, სერიის საცდელი ნიმუში. ჩაბარებულ, ნახმარ ბოთლებს ამსხვრევს მისთვის გამოყოფილ მცირერადიუსიან მოედანზე თანაბარი ინტერვალებითა და შუალედებით... მუშაობს ცვალებად დენზე მინიმალური დანაკარგებით... გაამზადეთ თუ შეიძლება! ნამსხვრევებს ვიყენებთ ნედლეულად. აქედანვე შემოვიტანთ სადნობ საამქროში საბრძმედედ. ამის შემდეგ: გადავადნობთ, ჩამოვასხამთ ბოთლებად, დავამსხრევთ... ამას ეწოდება ვადიმ ნაუმოვის ხაზი. მას ეკუთვნის ეს იდეა. თავად აგრეგატი

კი დიდი ხანია ფუნქციონირებს დასავლეთ ევროპაში, ამერიკაში, იაპონიაში, თავისთავად ცხადია, და ჩვენთან რატომღაც ვადიმ ნაუმოვის სახელითაა ცნობილი. შემოტანა ამდაგვარი აპარატებისა ჯდება ნამეტანი ძვირი და ჩვენ თავის დროზე, საკავშირო საცდელი ინსტიტუტების სახელმწიფო—ექსპერიმენტალურ კომიტეტს შევთავაზეთ „MK—7“-ს ჩვენი ვარიანტის თქვენს წინ მდებარე მოდელი. იგი დააფინანსა საკალმახე მეურნეობამ. დირექტორი კიტა ამაშუკელი, სამწუხაროდ დღეს ვერ მოვიდა. შეკითხვები ხომ არა გაქვთ? არა აქვთ. მატრო გაბაშვილი უყურებს აფარიძეს, რომელიც არც ავს ამბობს, არც კარგს. მომიტინგეები ყვირიან უხალისოდ და ტრანსპორანტებს წევენ ვილაცის დირიჟორობით. მოჩანს პლაკატები: „შევუნარჩუნოთ სუფთა ჰაერი პლანეტას!“, „შევარჩინოთ დედამიწას მწვანე ფილტვები!“

სამსხვრევ აგრეგატში აწყობენ ბოთლებს.

— ჩავრთოთ? — კითხულობს ოსტატი.

— მზადა ხართ?

— მზადა ვართ.

— ჩართეთ!

ხათქა-ხუთქი გააქვს ბოთლებს ბეტონზე. ზოგიერთი ბოთლი ცდება პოლიგონს და ეზოში ეცემა, ბზრიალებს, არ ტყდება. ხალხი უკან იხევს.

— უწესივრობაა ელსაკვებში! — აცხადებს ოსტატი და აშიშინებული აგრეგატის დანახვაზე გადის განზე.

— დაანებე მაშინ თავი! — ეძახის მიტრო.

— დანებებული მაქვს, ამას აწი ვეღარც მივეკარები!

— ვინღა გამორთავს?

— თავად უნდა გამოირთოს ინსტრუქციის მიხედვით!

სულ სხვა მხარეს მიშხუიან ბოთლები, იმსხვრევიან ყოვლად შეუფერებელ ადგილებში, შიგ დემონსტრანტებში ცვივიან.

— რა ხდება?! — იძახის ზურგჩანთიანი (ჩანთა კაცზე დიდი ჩანს) ალპინისტი მილიდან.

ხმაური. ყვირილი. კივილი. აღმასკომის თავმჯდომარე ვენერა ნაცვლიშვილი წყალს მიარბენინებს გულშეღონებული მიტროსაკენ. აფარიძე შავ მანქანაში ჯდება დაცვასთან ერთად. თანმხლები პირები სხვა მანქანებით მიყვებიან და ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ ქარხნის ტერიტორიას. ერთვება სირენა და ბოლის ლურჯი შლეიფი ამოიწვართება საკვამური მილიდან. ყველა დინამიკა ჩაერთვება ერთდროულად, პირადის მუსიკა და შეძახილები გადმოიღვრება.

— ძველი ჩანაწერებია, მექანიკურად ჩაერთო... — უხსნის მიტროს ვენერა ნაცვლიშვილი და სველ ტილოს ადებს შუბლზე.

— პირველი მაისია?! — ყვირის მილზე გასული ალპინისტი ბოლის დანახვაზე.

საკუთარი ბინის კაბინეტში წევს მიტრო. მაჯა უჭირავს სასთუმალთან მჯდარ რუსიკოს ხელში. ბოლთას სცემს ბესო ოთახში.

— ახლა როგორ გრძნობ, მიტრო ბიძია, თავს.

— არამიშავს...

— კარგად იქნებით. (ბესოს) კარგად არი, შენ ნუ ნერვიულობ!

— ცოტა გვერდები მტკივა, წავიდა სასწრაფო?

— წავიდნენ კი, დატოვეს წამალი, რეცეპტი, ეს მე მაქვს, ამას ახლავე გავხსნი, გაგიკეთებ...

— რა აწვენს ამ ლეიბზე, გვერდები ეტკინება აბა რა იქნება! — ხელით სინჯავს ბესო ლეიბს, — რა არი, რა უბედურებაა, ვერ გავიგე!

— აუცილებელია, გულსაც უხდება, წნევასაც არეგულირებს... — თმას ისწორებს რუსიკო ნერვიულად, ყურადღება ეფანტება.

— გადავაგდებ ფანჯრიდან!

— რატომ, კაცო, ასეც არაა... — საწოლში ინძრევა, — ცოტა მომიხდა კიდეც...

ლალი შემოდის გაჩქარებით. დუგლასი მოყვება.

— კარგადაა! — უხეშად ეუბნება ბესო, დუგლასის კოცნის.

— როგორა ხარ, მამა?.. დამწვარა ისე უქნია ის შუშის ქარხანა, გადაგვიყოლოს უნდა მაგან...

— რა შუაშია ქარხანა, დრო არი ასეთი... მძიმე, უხეში... ასაკი თავისას შვრება... წავიდა ეს წლებიც. რატომ შეაწუხე ეს ადამიანი, დაბრძანდით, ფეხზე რატომ დგეხართ!..

— არაუშავს, ბატონო, დაჯდომა ნამდვილად არ მინდა, წამალი თუ არი საჭირო, რამე ისეთი უშოვნელი, ვიშოვნით... — ბესოსაკენ იხედება.

— არაფერი არ არი, ჯერჯერობით საჭირო! — ნემსს ამზადებს რუსიკო.

ლალი ლეიბს უსინჯავს, უსწორებს.

— გაწუხებს, მამა?

— გვერდები აღარ მივარგა.

— გამოგიცვალო?

— იყოს ჯერ მაინც...

ბამბას უსობს ნანემსარზე რუსიკო.

— ბარემ წნევაც ვნახოთ, ეჭვიც არ მეპარება, დაბლაა წასული...

ყურადღება წნევის აპარატისაკენ გადადის.

— რა არი ახალი? — ჩუმად ეკითხება ბესო დუგლასს.

— არაფერი... (ვითომ სხვათაშორის) რაჟიკოა ქვევით და შუროკა...

— რა უნდათ? — სახეზეა უკვე წამონთებული.

— ჩამოგყვები, თუ გინდა.

— არ მინდა, აქ იყავი! — სწრაფად, ენერგიულად და რბილად გადის, სადარბაზოს კარსაც არ აღებინებს ჩქამს.

— სად წავიდა? — თავს წამოწევს მაინც მკლავზე არტახდახვეული მიტრო.

— ახლავეს ამოვა, სიგარეტი ჩარჩენია მანქანაში! — ამშვიდებს დუგლასი.

— აქ არ მოწიოთ, — აფრთხილებს რუსიკო. — წნევა ჩამოვიდა, ლეიბმაც იმოქმედა, ლაპარაკი არ უნდა, ფერიც შესანიშნავია, აბა ენა გამოწყვე ბიძია!

საერთო ეზოში, ჩაშავებული გარაჟების წინ დგანან ფორმიანი ინსპექტორი რაჟიკო, შუროკა და ბესო.

— ეგრე არაა, ბიჭო! — ხმაგაბრტყელებული ლაპარაკობს შუროკა, — სახელმწიფოსია მოტოციკლი, ცოტა სერი გამოდი შენც, ორი კბილის ატვეჩაიც ხარ, თანაც...

— იცი რატომ დავაჯახე?

— მე მომხდარს გელაპარაკები, პრიჩინა არ ვიცი...

— აბა რატომ მოყევი, მე შენი... — სახეში ხეთქავს გაშლილ ხელს გამეტებით.

ერთ ალაგას ტრიალებს დარეტიანებული შუროკა, უკუსვლით იხევს რაჟიკო.

— არ მომეკარო, იცოდე! — იარაღზე იფათურებს ხელს.

— ხელი არ გაატოკო თვარა თქვენი აჯობებს!.. — თავადაც ჯიბეში აქვს ხელი.

— ვისი სისხლი იღვრება თუ იცი, ბესია ტუნეიადეცო! — გასისხლიანებულ ცხვირსახოცს დაჰყურებს შუროკა, — ქურდის სისხლი, ბოზიშვილი ვიყო!

— აქ ტერიტორიაზე არ დაგინახოთ არც ერთი, არც მეორე... დაგელაპარაკები ვისთანაც საჭიროა და იქ გავარკვიოთ ვინა ხარ!..

მოტოციკლი მიგრუხუნებს. საბურავების კვალს ტოვებს ადუღებულ ასფალტზე.

— მაგასთან დიალოგი არ გამოდის..— სველი ცხვირსახოცი აქვს აფარებული მოტოეტლში დაპატარავებულ შუროკას, — სხვანაირად უნდა მოვახერხოთ რქები...

— დედას ვუტირებ! — იქადნება რაჟიკო და გაზს უმატებს მისდაუნებურად, უსისტემოდ ატრიალებს სახელურს.

ცხელა სასაფლაოზე. კუტკალიები ჭრიალებენ. შუადღის მზე აჟღივილებს მწერებს, ხმელ ბალახს გადატუსულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდორში, სასაფლაოს შუკებში, გაუთელავ ბილიკებზე. მუშები მღერიან სიცხეში, ოციანი წლების კინომსახიობის ჩრდილი ხელმძღვანელობს მზის ხოროს.

საბარგო მანქანა დგას სერბელაძეთა სამაროვანთან. საფლავის ქვებს ყრის ძარაში ოსია. იქ არიან: დუგლასი, მთავარი ექიმი — არჩილი, ყრუ ბორია, სიმონ მაღალი, მეგაჯეები შიო და მიხო, ცხადია, დავერო. ბესო ამუხრუჭებს მანქანას, მტვრის ბუღში გადმოდის.

— რა უნდა, ამ ჩემის ცოდვით სავსეს! — ჩუმად ამბობს დავერო. მდუმარედ, მზერაგაქვავებულნი უყურებენ დანარჩენები.

— მოდი, ერთი წუთით! — ეძახის დავეროს.

გვერდზე გადგებიან.

სიმონი (ენა ებმის) კომფიდენციალური საუბარი აქვთ!

— ბატონო დავერია, ბატონო დავერია! — საშინელი ხმით დაიძახებს საიდანღაც გამომტყვრალი ქალი, — პატრონი რომ არა მყავს, იმიტომ ვიჩაგრები, ბატონო დავერია, მამამთილის გვერდით მაინც აღარ უნდა დავიმარხო?!

— შეგიშალათ ხელი ვინმემ, ქალბატონო?

— აბა არა!.. სადღაა აქ ჩემი ადგილი, რომ ჩამომისახლეთ აქანე ეს ადამიანი, რომ გაყიდეთ ეს ალაგი, დავეტევი აწი თუ იცით?!

— რატომ არა!

— სადანა? — გულალმა წვება, დასამარხ ადგილს იზომებს.

— მშვენივრად დაეტიეთ! — ამშვიდებს დავერო და ბესოს ეკითხება, — იყავი მაცივარში?

— არა.

— რას ელოდები, გაცემენ იმ ადგილსაც და მიყურე მე!

— მოტოციკლის ფული დამედო ვალად.

— მერე? აბრძანდით, ქალბატონო, თქვენი საქმე გამორკვეულია...

— გამიხერხებ მოტოციკლის ფულს?

— ფულს ვერა, მაგრამ, მოტოციკლს გიშოვნი.

— ღადაობ?

— სანამ სამსახურს არ დაიწყებ, არ დამელაპარაკო! აბრძანდით თქვენ, ქალბატონო!

— მე მივხედავ მაშინ ჩემს საქმეს! — მანქანისაკენ მიდის.

— დაკარგე საგზური ხომ?! — მიყვება დავერო.

— აქა მაქვს მივაწებებ სერბელაძეს შუბლზე! — მანქანაში ჯდება.

— მიდი ახლავე, ქვები მიაქვთთქვა, უთხარი თან!

ღმუილით ატრიალებს მანქანას, მტვრის ბუღში იკარგება.

— გიჟია, ეს შობელძაღლი! — სამაროვანის გალავნის პატარა ჭიშკარში შედის დავერო, ქვის მაგიდასთან, ქვის სკამზე ჯდება. ტელეფონის ყურმილი უჭირავს, სადღაც რეკავს, თან თავისიანებს ელაპარაკება.

— ირაკლიევიჩი ველარ მოვა, ჩვენ ვიმოქმედებთ, ბატონო არჩილ, ნიკოლოზთან მივალთ... ირაკლიევიჩი ხარ? დუგლას, აქა ვართ, დიახ, ბორია, სიმონი, შიო, მიხო, არჩილი... მშრალი არა... ქვები მიაქვთ. მენჯის ძვალი ჭირდება არჩილს, ქალის კი, ჯერ არა, იქამდე არ ჩავსულვართ... ერთი წუთით, ხაზზეა ისიც... მე ვარ, წამოვიდა შენთან დამთხვეული, ახლა კი, დაელაპარაკე ადამიანივით, მშრალი იქნება... დუგლასი მინდა, ირაკლიევიჩ, არჩილს უნდა... — ყურმილს აწოდებს ფართონიკაპიან, გრძელკბილება კუშტი გამომეტყველების მთავარ ექიმს.

კაბინეტის კარშივე ეგებება სერბელაძე ბესოს.

— ...ასე უნდა, ბიჭო, ასე უნდა დაგვივიწყო!.. მე და მამაშენი... სამსახური არ გინდა არ გინდა, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ რას გვერჩი!.. — ხელგადახვეულს შეჰყავს, სკამზე სვამს,— რატომ არ გამოცხადდი, რატომ წაგვაყარე მიწა, საგზურია, მოიცა აქ, ვადა გასული აქვს, მაგრამ არა უშავს, ვა-

დებში ჩვენ ვერ მოვთავსდებით, მე და მამაშენი...

— ქვები მიაქვთ...

— ხო? ძვლებსაც წაიღებენ, არჩილიც იქაა?.. შავ ქვას მიიღებს, თუ დამჯერდება, ამას ვადა გასული აქვს, დროზე რატომ არ მოდი?

— ვყოყმანობდი, რაღა დაგიმალო... — უხერხულად გრძნობს ისედაც თავს, ამნაირ შეხვედრას არ ელოდა აშკარად.

— შე კაი კაცო, სადოქტორო მაქვს დაცული და არ ვთაკილობ სამეურნეო ხაზით მუშაობას... საითაც პარტია გადამისროდა იქით მივდიოდი, ახლა ესენი გადამისვრიან და გადასროლილი დავრჩები... დროს ვემსახურებით ჩვენ ყველა, მე და მამაშენი... რა გიყო ახლა?

— რა უნდა მიყო, ეგ მეწერა ალბათ, დავიწყებ..

— საწყობის გამგეობა სათაკილოა?.. მე მგონი, პირიქით, სახალისოც კია ერთგვარად. ძალიან კარგი... — მაგიდაზე თითებს აკაკუნებს, — აფარიძემ დარეკა, საგზური აქ არი ვადაგასული... შენ ადგილზე სხვა მუშაობს, ეგ არაფერი... ერთი აქ მოდი!— რკინის სეიფს აღებს, — ფული თუ გჭირდება, არ მომერიდო, მთავრობის ფულია, მაგრამ როცა გექნება მაშინ დამიბრუნე და თუ არ გექნება შენც კარგად იყავი და მეც კარგად ვიქნები... კაცმა თუ კაცს ხელი არ გაუმართა, რა გამოვა, აბა რა ვართ მეტი ქართველები!

თვალებგაფართოებული მიჩერებია ფულს სეიფში ბესია. გაბმული სიჩუმეა.

— ვერ ავიღებ, არ მექნება დაბრუნების საშუალება!

— კი არ გახრჩობ, შე კაცო, დაიწყებ სამსახურს და გავსწორდებით...

— ჯერ დავიწყო...

აივანზე გადიან ლაპარაკით. მუშები იგინებიან ეზოში. მანქანები შემოდიან და გადიან. ხრიალით იღება და იკეტება უზარმაზარი ჭიშკარი.

— მელორ! — ზემოდან იძახის სერბელაძე.

— ბატონო! — სათვალეს შუბლზე იწევს და ზევით იხედება მელორო.

— სად არი კაკვი ხუჯაძე?

— ორი დღეა არ გამოჩენილა.

— დოლ-გარმონის ხმა საიდან ისმის?

— არ ვიცი, შამიევიჩ, წარმოდგენა არა მაქვს!

— ყურს ხომ არ გაკლია?

— ყურს არა.

— დოლ-გარმონს უკრავს მანდ ვინმე?

— არა, შამიევიჩ. სლუხავოი ზვუკ!

— სლუხავოის მოგცემ ახლავე, საწყობიდან ისმის მუსიკის ხმა, რომ გელაპარაკები გაიგონე! (ბესოს) შენც არ გესმის?

ყურადღებას ძაბავს, თავს აქნევს უარის ნიშნად.

უზარმაზარ საწყობ-მაცივარში, გაყინული ხორცის გარდერობში დააბიჯებს გაოფლილი კაკვი. გალურჯებული ფეშხო აქვს გადებული მხარზე და საწყობის ერთი კუთხიდან მეორესაკენ მიაქანებს. დაფასთან ჩერდება, ისვენებს. პარასკები. ცარცით აწერია დაფას. შაბათი. დაუწერია და გადაუშლია. კვირა გამოტოვებულია. შემდეგ: ხვალ ორშაბათია, კაკვი. საკუთარ მინაწერს აკვირდება სისხლიან ტომარაში გახვეული და.

ხედავს: დოლითა და ვიოლინოებით სხედან. უკრავენ მუსიკას დოლისა და ორი ვიოლინოსათვის. კლარნეტის ხმა შემოდის და მედოლე იწყებს. არ გაჩერდე კაკვი, არ გაჩერდე!..

ხორცის ფეშხოს აძრობს ჩანგლიდან. ბეჭზე ხორცგადებული დადის. უკრავენ და მღერიან:

არ გაჩერდე, არ გაჩერდე, კაკვი,
გაბლიგვდები, გაბლიგვდები, კაკვი...
ვიცი, ვიცი ვეღარ გნახავ, კაკვი,
კაკვი, ჩემო მშვენიერო, კაკვი!..

სერბელაძე და ბესო აივანზე:

სერბელაძე: აი იქ, მიმდებარე ტერიტორიას ხედავ? — ყორეგადაღმას უთითებს, — პატარა ეკლესიას? კი ხომ... ის ტერიტორია ქალაქის საბჭომ ეკ-

ლესიანად დაგვიმტკიცა თავის დროზე, ახლა პრივატიზაციას ველოდებით... დოლის ხმა არ გესმის? მღერის თითქოს კიდევ ვიღაც სამარიდან, დაწყევლის ეშმაკი... შენ უნდა ჩიხვიდე ჩერქეზიშვილთან და იმ ეკლესიის დანგრევა თხოვო, არ გეტყვის უარს, ხომ იცი, რანაირი კაცია; ძველია მაინცთქვა, უთხარი, ათი საუკუნეა თურმე ასე დგას და აღარ ინგრევა... გავალამაზებთქვა აქაურობას, თვითონ ნახავს რაფრადაა მიჩათლაზებული აქაურობა. მოკლედ, გამოიტან დანგრევის ნებართვას, რაც საჭიროა ამას ჩვენ გავილებთ, დავანგრევთ, გადავიტანთ ბოლობოლო ეკლესიას და ჩავდგამთ ზუსტად მაგ ალაგას ხორცის საწყობს, ხორცი აღარაა, მაგრამ ხომ იქნება და საწყობის გამგედ დაგნიშნავთ შენ... სიტყვა სიტყვაა, მოიტა ხელი!

— არ გამოვა, მე მგონი... — ხელს არ უწვდის ბესო, — ამის დანგრევის ნებას მე ვინ მომცემს და საერთოდ ბატონო ნაომ, რა ეკლესიებს მანგრევინებ, მაჩემი სანთლით აგებს საყდრებს...

— ტელეფონი რეკავს, მე მგონი... — კაბინეტისაკენ იხევს ნაომი.

— ისტორიული ძეგლი დავანგრიო, მე შენი პატრონი და გამომცემელი!.. შენ ვინა ხარ, კაცო!

— არ შემოუშვათ, მომკლავს ეს ვირის ნაშობი! — მდივანს, მემანქანე ქალებს უბარებს და გენადის სურათებით გატენილი საერთო ოთახიდან კაბინეტში გადის, კარს იკეტავს.

— შარი მინდოდა კიდევ, გული არ მიშვებოდა აქეთ წამოსვლას, მოვკლავ, მე ჩემი იღბალი, ასპროცენტიანი დავბრიდავ!

ქალები ტეხენ კრჩხიალს, გზას უღობავენ, კაბინეტისაკენ არ უშვებენ.

— სუფთა შარია, მე ჩემი იღბალი, არ შევდივარ, თავი დამანებეთ! — გზას ითავისუფლებს, უკან ბრუნდება, ბრიგინ ბრიგინით გადაიარს ღია აივანს, რკინის კიბეს აზანზარებს დიდი ნაბიჯებით.

უზარმაზარი აქვარიუმი დევს ფანჯარასთან. წითელი თევზები დაცურავენ დახორკლილ ქვებში და წყალმცენარეებში. ორდენების დუბლიკატების მკერდდაფარულ ნოტარიუსს ყავარჯნები მიუწყვია აქვარიუმთან, დავერო ზის მაგიდასთან, სიგარეტს ეწევა. ლალი აქვარიუმს დაჩერებია, წითელი თევზების ცქერითაა თითქოს გართული, სინამდვილეში მამაკაცების საუბარს ისმენს გულისყურით. ისინი კი სწორედ ლალის გასაგონად და საყურადღებოდ ლაპარაკობენ, როგორც ჩანს.

— ...მკვდარზე უნდა დავაქორწინოთ და ეგ არი... რად უნდა ახლა ამას იწილო-ბიწილო... სად იყავით აქამდე?.. ერთი-ორი თვის წინ რომ მოსულიყავით, მესმის, ახლა რანაირი დროა!

— ვინ ელოდა, ნიკოლოზ ჩემო, ახალგაზრდობის ამბავი ხომ იცი, რა გვეჩქარება, შემდეგ მოვაწერთ ხელსაო, ფიქრობდნენ.

— ფიქრობდნენ და ახლა იკარგება იმოდენა ქონება... — ანგარიშობს გუნებაში გაბადაძე.

— ეგ არცაა სალაპარაკო, მთავარი სინდისია.

— რასაკვირველია, მაგრამ აქ მილიონებზე, შეიძლება მილიარდებზეა ანგარიში, ეს სიტყვას მოყვა... მოითმინეთ, ქალბატონო, ხომ ხედავთ, დაკავებული ვარ, დაიცავით მანდ რიგი, თორემ არც ერთს არ მიგიღებთ...

სქელი ქალი, უნებართვოდ რომ აპირებდა შემოსვლას, კარს გაიხურავს უკმაყოფილოდ. მანამდე დასიცხული, მომლოდინე ხალხი და საბეჭდ მანქანასთან წაკუზული მდივანი გამოჩნდა.

გაბადაძე ფეხზე წამომდგარა და ყავარჯნებით დახრიგინობს, ბოლთას სცემს რატომღაც ჯოხების ფხაკუნით პატარა კაბინეტში.

— რთულადაა საქმე.

— რა ლამაზი თევზებია, დავერო ბიძია, არა? — უადგილოდ კითხულობს ლალი.

— ვაი, მაგენი გადაშენდნენ, — ხრიგინით ჯდება გაბადაძე, — ქლორი უნდა ჩავყარო შიგ, ძალით დამიტოვა ელგუჯამ, თვითონ ზღვაზე ისვენებს... დინამიტს ჩავაგდებდი, მაგრამ დავინგრევი მე თვითონ, ქლორი უნდა ჩავყარო. ესე იგი, დაელო ჩემო, ხელი უნდა მოვაწეროთ მიცვალებულთან... — ფიქრობს, ვარიანტებს ალაგებს, ეტყობა, გუნებაში.

— გაკეთებულა, ნიკოლოზ ვარდენის ძევ!

— ამნაირი არა, გეფიცები დაელო ყველაფერს, ამნაირი ადრეც ძნელად გამოდიოდა.

— სიძნელით ფასდება და იზრდება შესაბამისად...

— ჩემზე არც იფიქრო, ჩემს წილს არ ავიღებ, რავა გეკადრება, მე რომ ვიყო მარტო, ვინ მამაძაღლი... ჩემს წილს მაინც არაა, ამაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი... სად მარხია?

— დედა? — იბნევა წითელი თევზების ცქერით ყურადღებადაფანტული ლალი.

— დედა ვეცი, გახლდით გასვენებაში...

— ჩემთან ვარდენის ძევ... — ხმადაბლა. — ყველა უბედური ჩემთანაა!

— მაშინ რას გეტყვი იცი... — ხეხალეწილი, სქელი ქალი აღებს კვლავ კარს. — მოითმინეთ, ქალბატონო, აღარ ვიმუშავ, ტყუილა ვზივარ აქ! — ორდენმედლების დუბლიკატების ასხმას იწორებს, ლალის აკვირდება, — წყალს ხომ არ ენაყვავთ მე და შენ, დაელო?

არაო, ანიშნებს დაელო.

— მე თანახმა ვარ!

მწვანე წყალმცენარეებში დაცურავენ წითელი თევზები.

— რა მინდოდა კიდევ მეთქვა, შემოვარდება ის ქალი, მომკლა, აღარ შემიძლია... საქმის ცალ მხარეზე გვაქვს მაინც ლაპარაკი, ეს იმას კი უკავშირდება, მაგრამ არ შეელის, არ მეხება და უნდა გითხრა, მიწაში რომ აქვს ჩამარხული, ამოიღოს დროზე თვარა ამომლებიც აღარ დარჩება, მოითმინეთ, ქალბატონო! — ყვირის და ყა[illegible]-არდება. სქელი ქალი გულზე იტაცებს ხელს, ლალიც წამოიკივლებს.

მანქანა-რეფრეჟერატორი გამოდის მაცივრის ეზოდან. ძლივს ეტევა ჭიშკარში. მძღოლს, მოჭადრაკებული პერანგი რომ აცვია, შლიაპაჩამოფხატული პერსონა უზის გვერდით.

— გააჩერე! — ყვირის მძღოლი.

— მეჩქარება, — სვლასაც არ ანელებს მძღოლი, — რა გაღრიალებს, სიცხე ხომ არა გაქვს!

— გააჩერე, გეუბნები, საფეხურზე უხტება, კარის გაღებას აპირებს და აღებს კიდეც. მძღოლის გვერდით გაჭიმულ შლიაპიან პერსონას ქაჩავს.

— მკლავი არ მოტეხო, შე შობელძაღლო!

— ჩამოვიდეს ძირს!

— მაგ კაცთან რა გინდა, აქეთ გამოდი, მიიღე რაც გეკუთვნის!

— ახლა?!

ქვათარამის მანქანა ჩერდება ძეძოსასვლელთან და ყარაული კიდევ უფრო უწევს ხმას.

— ჩამოდი, ჩამოდი, ძალიან გთხოვთ! — შლიაპიანი არ უძალიანდება, თავდაღმა მოდის, შლიაპა მიგორავს ასფალტზე და უზარმაზარი, გაყინული ლორი იმხლართება.

— სად მიგქონდა, მე შენი!

— მიმქონდა კი არა, მიმყავდა. რა ვიცოდი, ლორი თუ იყო, გამიკვირდა კიდეც, ხმა რომ არ გამცა, რავა მუნჯივით ზიხარ, მე ვუთხარი. თვითონ ჩამოვაო, ჩამოვა!.. პლაშჩი დამიბრუნე, ჭიჭიკოსი უნდა იყოს შერვაშიძის.

— შენ დაგიბრუნებ, ცივ ქვას! — მუ[illegible]აკებს ეპატიჟება, — მობრძანდით, ბატონო! — გადააყენეთ მანქანა, ეს შეიტანეთ, შენ შემოდი! — საკუთარ მძღოლს უბრძანებს ქვათარაძე, გაყინულ ლორს გადაალაჯებს და საქალალდეამოჩრილი ბრტყელძირა ფეხებზე არასაიმედოდ შემდგარი მიდის ეზოში. ვაშაკიძეს და უშვერიძეს კონტრაბა-

სის ფუტლიარები მოაქვთ მძიმედ. ერთი რეფრეჟერატორის მძღოლს მიჩერებია, მეორე ყარაულს.

— იქ კაცმა კინაღამ წერილი წაიღო.. — თვალს ვერ უსწორებს ყარაული მუსიკოსებს.

საწყობ-მაცივართან სასწრაფო დახმარების მანქანა დგას უკვე. კაკვი შეაქვთ შეშის ნაპობივით წითელჯვრიან მანქანაში.

— გავალე კაცო, კარები ამ დილით და გადმოვარდა, კაცო! — ერთსადაიმავეს იმეორებს, ეტყობა, ჭობო შუჯგუფული თანამშრომლებისა და გამომძიებლების პირისპირ, — გავალე, კაცო, კარი... აქ იდგა შიგ კარში... აქ რა გინდამეთქი, აქ საიდან, ტო! მივესალმე და წაიქცა, გადავირიე, ტო!

— მანამდე არაფერი გაგიგიათ?

— მანამდე რა, გუშინ კვირა იყო, გუშინწინ შაბათი...

— ამ დილით რომ მოდით, ხმა არ შემოგესმათ შიგნიდან, ყვირილი, ბრაგუნი?

— შიგნიდან ხმა არ გამოდის...

— გასაგებია... თქვენ გიბრძანებიათ,— ნაომ სერბელაძეს მიჩერებია. — დოლგარმონის ხმა ისმოდაო.

— იყო კი რაღაც მაგდაგვარი, ვკითხე კიდეც მელორის, საიდან მოდის მუსიკა-მეთქი, წარმოდგენა არა მაქვსო, ეტყობა გადაღლის ნიადაგზე, ცალი ყური წინა დღითაც მიბჟუოდა, ახლაც...

მელორი (სათვალე აქვს შუბლზე) რადიო მქონდა ჩართული გაიანე მიქაძე მღეროდა, კი ვიფიქრე, გარედან ხომ არაა მეთქი.

— ჭიჭიკო შერვაშიძე სად არი?

— დღეს არ მოსულა, მეზობელი მოუკვდა...

— ხვალ მოხვალთ ამ მისამართზე!— ჭობის აძლევს ქვათარაძე საშვს.

— მე?! — სავიზიტო ბარათს ჩაჰკურებს, — მე უნდა მოვიდე, რაზე ტო!

— ეს ბატონ მელორის, ეს ჭიჭიკო შერვაშიძეს, თქვენ შებრძანდით!

წყალგაუმტარ, თეთრ საწვიმრებს იცვამენ უშვერიძე და ვაშაკიძე, მძიმე ფუტლიარებით შედიან საწყობში.

ტყეში გემია ანძითა და აფრებით! ხეებს იქით ტბაა პატარა, ლურჯად მოსარკული.

გემბანზე სხედან ლალი და თვალებჩაცვენილი, წვერმოშვებული დუგლასი.

ჩიტების გალობაა; ხეთა ფოთლების შრიალი მსუბუქი.

— ბატონი მიტრო როგორაა, იმ ლეიბზე წევს კიდევ, მოუხდა? — თავდახრილი ეწევა სიგარეტს, ხმადაბლა ლაპარაკობს.

ლალი (უყურადღებოდ): წნევა დაუვარდა და გვერდები ატკივდა.

— აცალეთ, აცალეთ, საკმარისია, წაიღეთქვა, დაევროს უთხარი:

— მე შენ არ მოგშორდები!

ვაჟი დუმს.

— სადაც წაგიყვანენ, წამოგყვები...

— ახლა საქმე ასეა... — სიგარეტის ნამწვს წყალში აგდებს, — მე შეიძლება სულაც (ყოყმანობს) გამათავისუფლონ...

— მერე?! — გახარებულია.

— შემდეგ... საქმე ისე მიყავთ, სხვანაირად არ გაიგო... როგორ გითხრა... მთავარია, რომ ერთმანეთი გვიყვარს... ეგაა მთავარი... ქვათარაძეს როგორ ენდე!.. აწი გაუგონარს გამოიგონებენ...

— მაინც...

— საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება... არ უნდა მოგეწერა ხელი, ამას აწი აღარაფერი ეშველება... მაინც არ უნდა მოგეწერა... არც იქ, არც აქ...

— ვაღიარე და არ მეშინია... პასუხს ვაგებ შენთვის, შენს გამო და ჩვენ მაინც დაგვაშორებენ?

— ამას ჩვენ არ დავუშვებთ... — ახალ სიგარეტს უკიდებს, — ორსულ ქალს ვერ შეეხებიან, ეს ნათელია...

— ვინაა ორსული?

— შენ.

წყლის სუსტ ჩხრიალს, ჩიტების ჟივჟივს უსმენენ.

— მე? როგორ? ვისგან?

— არავისაგან.... აგიხსნიან, თუ კი წახვალ, რასაკვირველია, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, ამ მსხვერპლზე... არ უნდა მოგეწერა ხელი, მე არ მოგცემდი ამის უფლებას... სიკვდილსიცოცხლის საკითხთან მივედით... მე რა, ცოლი მყავს, შვილი, დედა... ყველაფერი ვიგემე ცხოვრებისაგან, ერთხელ დავბადებულვარ ბოლოსდაბოლოს...

ტელეფონის ყურმილს იღებს ქვათარაძე მანქანაშივე, ნომრებიან ციფერბლატს აბრუნებს.

— ქვათარაძეა, ბატონო ვახტანგ, ხაზზე! — ისმის სელექტორიდან მდივანი ქალის ხმა აფარიძის უზარმაზარ კაბინეტში. წითელბურთულებშემოყოლებული სათევზაო ბადე აქვს აფარიძეს მკლავზე გადაფენილი. ღილაკს აჭერს თითს და ძალიან ხმადაბლა პასუხობს.

— აფარიძე.

— რთულდება ანდრეევიჩ საქმე! — ქვათარაძის ხმაა.

— რას ართულებ და ამწნილებ? — ბადეს ტელეფონების მაგიდაზე აფენს, შარვალს იხდის.

ქვათარაძის ხმა: მიდის ძიება და რთულდება თანდათან, ესკალაცია ხდება.

აფარიძე: თქვენ თვითონ ართულებთ, არ მიმუშავია შენს ადგილზე თუ რა, მე მაბნევ?! დაანებე ამ ესკალაციას თავი, მამა გიცხონდება... მე აქ მარტო არა ვარ, ამათ აინტერესებთ შედეგი და არა ძიება...—ძველ შარვალს იცვამს...

— მოვრჩებოდი აქამდე, მაგრამ ახალ-ახალი პერსონაჟები შემოდიან...

— ამაშია საქმე, ეს აღარ უნდა გაგრძელდეს... გამოყავით მთავარი, დაადებინეთ სანქცია ეზეკია თუ ჩემი ფეხები... დამაცადე ერთი წუთით... — რეზინის გრძელყელიან ჩექმას იცვამს ჭინთვით.

მანქანის სარკეში მორკალული პროსპექტი ჩანს. ქვათარაძეს ყურმილი უჭირავს ხელში.

— ხომ არაფერი გაწუხებთ, ანდრეევიჩ?!

— ახალავე გაიგებ, რაც მაწუხებს...— უჯრიდან ტელეფონის წითელი აპარატი ამოაქვს, რეკავს, — იყავი მანდ და ისმინე!

— ვმოძრაობ, ობიექტზე ვარ გასული...

ვიღაცასთან ერთვება აფარიძე.

— ჰო, — ეხმიანება ის ვიღაც გადაღლილი ხმით.

— აფარიძე.

— მოპიკეტეები შემიყარე კიდევ მანდ?! — მოულოდნელად იცვლება სიტუაცია.

— დავშლი მე მაგათ, გამოძახებული მყავს ოპერ-ლეგიონი...

— გინდა დაშალე, გინდა გადმოშალე, გემი უნდა დადგეს ყოფილ პიონერთა პარკის წყალსატევში...

— საქმე ისაა, — ყოყმანობს, — ხეებია მოსაჭრელი.

ხმა შორიდან (კატეგორიულად): არავითარი ხეები!

— აბა რა ვქნათ?

— არავითარი ხეები, სუნვეიბინებს ვინ გასცემს პასუხს?! შენ?! გემი უნდა შეცურდეს წყალსატევში...

— ეს იმდენად არც მაწუხებს, ასკილის საქმე ჭიანურდება!

— კიდევ მაგას იმეორებ?! — ხმას იმაღლებს ბელკანტოთი უხილავი შეფი, — უკვირდები, რას ამბობ, მიპასუხე! მეტროპოლის სატელევიზიო პროგრამაში შეიტანეს პირდაპირი გადაცემის უფლებით, შეიტანეს კი არა შევტენეთ, დიდის წვალებით, სხვათაშორის... თვის ბოლოს პროცესი უნდა დაიწყოს... გადაყვება ვიღაც ამ საქმეს და ეს ვიღაც მე არ ვიქნები! — ყურმილს დებს, ეტყობა, აფარიძეც აღარ იღებს ხმას.

ცოტა ხნის შემდეგ: გესმოდა?

— მესმოდა, ანდრეევიჩ! — უნივერსიტეტის შენობა ჩანს მანქანის სარკეში, აფარიძის ხმა ისმის სალონში.

— ჯირკზე დასადები თავი არ მაბია მე!

— გასაგებია, ანდრეევიჩ...

— არ არი, ეტყობა, გასაგები!— სელექტორს თიშავს, შარვლის ხვანჯარს იბოშებს, ხელს იყოფს შარვლის უბეში, პეშვით წონის თითქოს ნაშალს.

— სერბელაძე?! — ისმის მდივანი ქალის ხმა.

— რა იყო?

— არ ჩამოდიან, ანდრეევიჩ! — სერბელაძის ხმაა.

— მთიდან?

— ხეებიდან, ანდრეევიჩ!

— რას მიკეთებთ მერე მანდ... ეროვნული საბჭოს დადგენილებაა, იქნებ შენც არ იცი, იცი? მერე: რა გეტყობა, რომ იცი! ესაუბრე რომელიმე მათგანს:? დიალოგი გამართე?! —

—-არა, — ძალიან მოკლე პასუხია.

— საქმეც ამაშია... გამოვდივარ და დავინახავ, ვინ არ ჩამოდის! ხელისგულს ყნოსავს, ხვანჯარს იკრავს.

— გელოდებით!

ტყეში მიდის აფარიძე. სერბელაძე და რამდენიმე წითელკოსტუმიანი მამაკაცი მიყვება. ერთს ბადე მიაქვს. ჯგუფჯგუფად დგანან კორომებში. სანახევროდ გამხმარ, ფუტუროხეზე არიან გასულნი. ტყეში გაურკვეველი სისტემისა და წყალწყვის გემია ანძიანი.

აფარიძე უყურებს გემს. მის ზურგსუკან ტბა დგას. ყვიტყვიტით დაცურავენ კვატები ტბაში. ერთად დგანან: მთავარი ექიმი — არჩილი, ბორია ყრუ, სიმონ მაღალი, მეგაჯეები, რუსიკო, ბუხგალტერი ალუდა, „ასკილის სახლის“ სხვა თანამშრომლები.

წვერგაუპარსავ თუ წვერმოშვებულთა, ჯერჯერობით გაურკვეველია, გუნდი მოაბიჯებს ენერგიულად აფარიძის ასაბიას უახლოვდება აგრესიული განწყობილებით, მდუმარე კრებას დაუდგება წინ. მეთაური და აფარიძის გამოწვდილ ხელს დახედავს, ხელისჩამორთმევას იკადრებს, მაგრამ მრისხანებას ვერ იშორებს სახიდან.

აფარიძე: მოგესალმებით, ჩემო ბატონო!

— ამ ხეს ვერ მოჭრით, არ ვცნობთ ჩვენ ეროვნული საბჭოს დადგენილებას!

— თქვენი საქმეა. რაც შეეხება ხეს, თითს ვერ დააკარებს ვერავინ, ფოთოლი რაა, ფოთოლს ვერ მოწყვეტენ!

მოულოდნელი სიჩუმეა. ხმას აღარავინ იღებს.

ისევ აფარიძე: ერთი რამე მაინტერესებს, როგორ ფიქრობთ, თქვენზე ნაკლებ შეგვტკივა გული ბუნებაზე, თქვენთან ერთად არ დავდგებით ჩვენ ყველანი, რომ რამე იყოს?! ახლავე გავალ კენწეროზე თუ გნებავთ და არ ჩამოვალ! — მოპიკეტეებით დახუნძლულ ხეს ათითებს.

— სხვა ხეზე შეგიძლიათ აბრძანდეთ!— შეტრიალდება, მიდის; მიყვებიან წვერმოშვებულნი და წვერგაუპარსავნი.

მენალმეები გამოაგორებენ ხელსაწყოს, საგაჯეთში რომ დაატარებდნენ. ტყის პირს მიყვებიან, ცისფერ შკალას ჩაშტერებულნი.

— უნდა ნახოთ არჩილი, — ეუბნება დუგლასი ლალის გემბანზე.

— ყალბ ცნობას გასცემს არჩილი?!

— არ იკადრებს... — არც ეღიმება, ახალ სიგარეტს უკიდებს! — ცნობა არ იქნება საკმარისი, გეტყვიან მოკლედ, არც მინდოდა მე ჩავრეულიყავი ამ საქმეში, თუმცა აწი შენთვის კეთდება ყველაფერი... არ უნდა მოგეწერა ხელი, ძიების ოქმზე, არც იქ: შეგიძლია უარი თქვა, მაგრამ სასამართლომდე არ უნდა მივიდეთ.. როგორც შენ გადაწყვიტე, იფიქრე, ეთათბირე საკუთარ თავს...

— პირდაპირ მითხარი!

კოტე უშვერიძე გამოდის გემის ტუალეტიდან.

— დუგლას ირაკლიევიჩ, — შარვლის ჩასახსნელის ღილებს იკრავს, — კი არა მაქვს ამის თქმის უფლება, უკაცრავად... — ქალთან ბოდიშობს, ვითომ ნამცეცებს იფერთხავს შარვლიდან, — ძმურად გირჩევ, თქვი სად არი!.. მაინც ნახავენ, პირი ქვისკენ მიქნია, მე მარცლა [illegible] დედ... [illegible] დიმს ვიხდი...

ლალი თვალგაშტერებული უყურებს ტბას.

— შენ თუ იცი, რუს მზვერავებს რაზედ იჭერდნენ ადრე უცხოეთში? — ეკითხება დუგლასი უშვერიძეს.

— ძირითადად ამაზე... — შარვლის ჩასახსნელზე შეისვამს ხელს, — ისე, სხვა რამეზედაც... დამიჯერე, ცოტა რამე გამეგება ცხოვრებაში...

ტრაპზე დგას აფარიძის ექსპედიცია. სიმონს მიჩერებია აფარიძე.

— ცოტა დიდი გამომივიდა, — თვალს არიდებს სიმონი, — პირველად ავაგე გემი.

— მერე რაღა ამ ტყეში აგებდი! — თითქოს სხვას ელაპარაკება, საფეთქლებზე პირწმინდად თმა აპარსული აფარიძე.

— მასალამ შემოგვიტყუილა. გამოცდილებაც არ გვქონდა.

— იმხელა არ უნდა გადაყლაპო, რამხელასაც უკნიდან ვერ გამოიღებ!

— ეგ მართალია, ერთი შეხედვით.

ტრაპს გადაივლიან და გემბანზე მიდიან, დუგლასს თითქო ვერც ხედავენ...

— რაღაი აქამდე მივედით, თანახმა ვარ... — სიზმრიდან ერკვევა თითქოს ლალი, აფარიძის დელეგაციას აყოლებს მისდაუნებურად თვალს.

— ტოტი არ შეატყდება ხეს! — ამბობს აფარიძე.

— აბა რა ვქნათ? — კითხულობს სიმონი.

— დაშალეთ და ნაწილ-ნაწილ გადაიტანეთ, რაც გინდათ ის ქენით... — მეორე მხრიდან შემოდიან. — სალამი, ქალბატონო, — ხელზე კოცნის წამომდგარ ლალის, — როგორ ბრძანდებით, მამა ხომ კარგად!

— მადლობთ კარგად!

— ქვევით გელოდებით, ირაკლიევიჩ!

— ჩამოვალ.

— კიდევ კარგი, ლეიბზე არ მკითხა, ყველა ლეიბს მეკითხება, მოუხდა?.. — ეღიმება ლალის.

— მოუხდა ან არ მოუხდა... რა გახდა ეს ლეიბიც!..

ქვევიდან უყურებენ გემს. დუგლასიც იქაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ შვეციაზე არ გავყევით, ხარჯები არ დაიფარება,... — სათვალეს ისწორებს არჩილი. — ჩვენმა საპატიო საზოგადოებამ ქუთაისში წაღება გადაწყვიტა...

— ქუთაისში, ბიჭო, კრანში წყალი არ მოდის და გემი მიგაქვთ!.. თვის ბოლოს ყოფილ პიონერთა პარკის ტბაზე უნდა დადგეთ!

— რა გავყიდოთ? — მოულოდნელად კითხულობს ბორია, ყურში ღილაკს, ჯიბეში მწვანე მავთულს ისწორებს.

— ნაყინი, — თვალს თვალში უყრის აფარიძე, — ნაყინი უყვართ ბავშვებს და გემს კიდევ აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. ახლა ბადის გასინჯვაზე ვინცაა დაპახებული, ის დარჩება.

დავერო შლის წითელი ბურთებით მოფორჩიანებულ ბადეს.

კაბინეტში შედიან უბადოდ. განის კარი იხურება, წყლის ხმა, კვატების ყვიტყვიტი, ჩიტების ჟივჟივი აღარ ისმის. ზარია. წითელი ტელეფონის ყურმილს იღებს აფარიძე, ჯდება. ცალ ფეხს დაველოსაკენ წევს. დავერო რეზინის მაღალყელიან ჩექმას ხდის წვალებით, სკამზე ფეხმიბჯენილი ექაჩება.

ტელეფონის ზარი.

— აფარიძე.

— რა ქენით?

— გვქონდა დიალოგი.

— ვიცი... — ფიქრობს უხილავი შეფი, — შეიყოლიეთ კიდევ ცოტა ხნით, ხეზე თუ დარჩებიან, უკეთესია... სერბელაძეს წაიყვან ხვალ შუშის ქარხანაში...

— კი მაგრამ... — დაველოს ანიშნებს, მომეცალეო, — ეგ ძალიან მოულოდნელია... —

ცალფეხშიშველი წამოდგება... ცალი ჩექმა უჭირავს დაველოს, ძირს დადება ვერ მოუხერხებია ტელეფონისაკენ აქვს ყურადღება. აფარიძე ქამარს იბოშებს ცალი ხელით.

— შეთანხმებულია... აკადემიკოსები არ ჭირდება ბოთლების მტვრევას...

— აიშლებიან... ერთი ამბავი ატყდება!..

— საშას და კოლას იცნობ?!

— ეგ რა შუაშია... — უხერხულად აზველებს, — მაცივარს დათმობს?..

— დავათმობინებთ, შენ არ იცი, რა მოხდა იქ?!

— რომ ვიცი...

— მოდით აქ ორივე!

— ვინ არის აქ მეორე?

— ცალი ჩექმა ვისაც უჭირავს ხელში...

— მე რა შუაში ვარ, კაცო... — ჩუმად ამბობს და ჩექმას დებს ოთახის შორეულ კუთხეში.

— ყენთე ჩამოსულა, რაღაც ჩამოუტანია მშრალი... შარვალი ჩაიცვი...

— ახლა რას ვაკეთებ?

— ყვერებს იფხან!

— აქვარიუმში ვზივარ, მე ამის დედა ავატირე?! — ყურმილს ახეთქებს სადგარზე.

შუშის ქარხნის ეზოში ბოთლებს ამსხვრევს ხელთათმნიანი ქალი. სინქრონული თანამიმდევრობით ანარცხებს ბეტონზე წუნდებულ ბოთლებს. მარჯვნივ შუშის ქარხნის ძველთაძველი საამქროებია, მარცხნივ „მინისტარის ექსპლოატაციის გიორხელ კოლუაშვილის სახელობის ექსპერიმენტალური ინსტიტუტის“ შენობა ჩანს. ეზოში ხალხია. ტრანსპორანტებია გამოკრული: „შევუნარჩუნოთ მწვანე ფილტვები პლანეტას! „გენადი ნათელი იმედის მომავალია!“

ტელევიზიის მობრავი კამერის ობიექტივი უახლოვდება ბოთლების ბათქაბუთქით გართულ ქალს.

პოლიგონისაკენ მიმავალ ნაცნობ დიქტორს მიკროფონი მიაქვს.

— ილაპარაკე, ილაპარაკე! — ეძახის ვიღაც უკნიდან.

თამილა სადღაც დაწყებულ საუბარს განაგრძობს;

— ...ქარხანაში, როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ დაბალია შრომის ნაყოფიერება... მანქანა — დანადგარები და საღუმელე საამქროები ვერ პასუხობენ თანამედროვე სოციალურ-კულტურულ ეკოლოგიურ მოთხოვნილებებს. მძიმედ ინერგება უახლესი ტექნიკა და ადგილი აქვს ხელით შრომას. უკაცრავად, ხომ ვერ გვეტყვით, რამდენ ბოთლს ამსხვრევთ წელიწადში?

— წელიწადს გააჩნია... — სულს ითქვამს, მომდევნო ფრაზის წარმოთქმა უჭირს. საგანგებოდაცაა იგი გამოწყობილი და შებოჭილიც... — წუნდებულ ბოთლებს გააჩნია, უფრო სწორად, ხან მეტია ხან ნაკლები, არ დამითვლია...

— მხოლოდ წუნდებულ ბოთლებს ამსხვრევთ?

— რატომ. არა. როცა წუნდებული არა გვაქვს, უზადოსაც ვამსხვრევთ... წარმოებას ხომ ვერ გავაჩერებთ!

— ძნელი არ არის ხელით შრომა?

— რასაკვირველია, ძნელია.

— თუ რამე იღონა ინსტიტუტმა, ვთქვათ, თქვენი შრომის შესამსუბუქებლად, გასაიოლებლად?..

ინსტიტუტის შენობის ფასადი და აბრა ჩანს, შენობა პატარავდება, აბრა დიდდება, წარწერა იკვეთება.

— გააკეთეს აგრეგატი ემკა შვიდი, კარგი აგრეგატი იყო, მხოლოდ ბოთლებს შორს ისროდა, ტერიტორიის გადიდებაზე კი არავინ ზრუნავდა...

— დაახლოებით, რამოდენა ფართობი იყო საჭირო?..

— დიდი, არ ვიცი, ერთი-ორი ჰექტარი ალბათ..

— მიმდებარე ტერიტორიის ორი ჰექტარი...

— თამილა, სისულელეების ლაპარაკს დაანებე თავი! — გადაცემათა რეჟისორის ხმაა.

— სიჭკვიანე შენ ილაპარაკე! — უკან იხედება თამილა.

შავ-შავი მანქანებით შემოდიან. ერთში აფარიძეა, მეორეში სერბელაძე. აფარიძეს ეგებებიან. შორიდან სტვენენ.

ბესო მოაწყდება ხერგილს „ოცდა-

ოთხით“, ამუხრუჭებს ერთ ციდაზე რკინის კართან.

— მოვიდა მშვიდობის მამიებელი! — ჯიხურში ამბობს დარაჯი, ლუდიან ჭიქას დებს, ტუჩებს იწმენდს ხალათის სახელოთი.

— ვინაა? — ჩახლეჩილი ხმით ეკითხება ცხვირაწითლებული პარტნიორი.

— ბაბუაჩემის გერი! — გარეთ გადის დარაჯი.

— რას მომჩერებიხარ იელის ნაჭამი თხასავით!

— მანქანით არაო, მიაყენე აგერ, ბესია და შედი, მომხსნიან!,

— მოგხსნიან თუ არა საბუთების გადაბარება არ დაგჭირდეს, რას გიზამენ კიდევ?!

— მოღალატედ გამომაცხადებენ ეროვნული დიპლომატიის აქციაა.

— დიპლომატიის კი არა დიპლომანტების, ეროვნული დიპლომანტების! — სარკმელში გამოყოფს გაწითლებულ ცხვირს, როგორც ირკვევა, ეროვნული დიპლომანტიის, თევზის სუნით აქოთებული, წარმომადგენელი.

ბესო მანქანის დინგით აწვება ჭიშკარს.

— მოიცა, მოიცა, ვალებ! — ყვირის დარაჯი. წითელ ღილაკს აწვება. ხრიალით იღება ჭიშკარი და ბესოს მანქანაც იმალება მის მიერვე დაყენებულ ბდღვირში.

— გიჟია, ეს ჩემისა!

— თავის დას მიხედოს, დუგლასი უყანყალებს! — ხელების მოძრაობით მიანიშნებს „ყანყალს“, — მე არ დამაგვიანდეს! — კათხაში ჩარჩენილ ლუდს წრუპავს, ხელახლა იჭერს ქამარს გამწვლეულ წელზე, პერანგს ისწორებს, ფერად სათვალეს ირგებს და სერიოზულად მიდის.

— თანაც მამამისს ხსნიან! — ჯიხურში იმალება დარაჯი.

— თქვენ დაასახელებთ კანდიდატს?— ეკითხება მამაკაცური აღნაგობის, წითელთმიანი ქალი აფარიძეს.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ვენერა, რასაც ხალხი გადაწყვეტს, რასაც ხალხი იტყვის...

— კი ბატონო, რაღაცას მოვახერხებთ, მაგრამ უმრავლესობა გარედანაა შემოსული, ისინი მოითხოვენ ქარხნის საკვამლე მილის დანგრევას...

— ხალხი ხალხია, უნდა მოვუსმინოთ, ყური უნდა ვათხოვოთ, ჩვენ შეგვიძლია ავუხსნათ, დიალოგი ვაწარმოოთ მათთან, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მათზეა... ჯობია მაინც სერბელაძე, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, იცით თქვენ...

— დაგვირეკეს კი, კი ბატონო... — სახეს ინიავებს ქალბატონი ვენერა, — კრებაც მე გავხსნა?

— რასაკვირველია...

სატელევიზიო კამერა უსახურ, უპერსპექტივო საამქროშია. თეთრად გამოწყობილი თამილა გამურულ მუშას ელაპარაკება ერთგვარი სიფრთხილით.

— რას გვეტყვით, ბატონო ბიჭიკო, ქარხნის სანიტარულ მდგომარეობაზე, გამონაბოლქვზე, მავნე გაზებზე?.. — მიკროფონი მიაქვს ახლო, რამდენადაც ამ სიტუაციაში შესაძლებელია.

—...მავნე გაზები, როგორც ასეთი, აღარააა... გამონაბოლქვიც აღარაა, როგორც ასეთი... იმიტომ რომ, აღარავინ მუშაობს, ღუმელები გაცივდა, როგორც ასეთი, ხალხი დადის მიტინგებზე...

— როგორც ასეთი? ეს წაჭერით! — ამთავრებს თამილა და სწრაფად და ფრთხილად გადის.

— ჩაწერე ბოლო მაინც! — გამოსასვლელთან ეწევა რეჟისორის ხმა.

— გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის! — ეზოს სინათლით თვალწაჭუტული ახვევს მავთულს მიკროფონის ტარს.

ამფითეატრადაა დასაჯდომი სკამები. ნახერხმოყრილ წრეზე მაუდგადაფარებული გრძელი მაგიდა დგას. მოყაყანე ხალხი სკამებზეა. აქ კრებაა, ეზოში მიტინგი ეროვნული დიპლომანტებისა.

— სიტყვა ეძლევა ექსპერიმენტალუ-

რი ინსტიტუტის დირექტორს პატივცემულ მიტროფანე გაბაშვილს! — აცხადებს ვენერა, ჯდება, ტელეობიექტივს გრძნობს და ნაძალადევ ღიმილს კარგა ხანი ვერ იშორებს სახიდან.

— ..უნდა მოგახსენოთ, რომ მიმდინარე კვარტლის სარეალიზაციო გეგმით გათვალისწინებული.. — იწყებს და თანდათან უდაბლებს ხმას მიტროფანე... — ჩვენთვის გამოყოფილი გაზ—07, გაზ—08...

— ეს მანქანების განაწილების სიაა, ბატონო მიტრო! — ეჩურჩულება ვენერა და აზურებულ სახეს ინიავებს გაკეცილი გაზეთით...

— მეც არ გამიკვირდა... უკაცრავად... — სხვა ქალალდს ეძებს...

— ვის გაუნაწილეთ მანქანები! — იძახის ვილაც, ზედა იარუსიდან.

— მოითმინეთ! — ზარს აწკარუნებს ვენერა.

— რატომ არ გვაძლევთ პასუხს!

— რა გნებავთ? — თავს წევს მიტრო..

— რაღაც სიაა მანდ, — ზლაზვნით დგება სქელი, წვერგაუპარსავი მუშა,— ჩვიდმეტი წელია მე მანქანის რიგში ვარ...

— მანქანები არ მოსულა, მორჩა, აღარ აგზავნიან, სიები გავანაწილეთ...

დაბრძანდით, თუ შეიძლება!.. — ახალ ქალალდს კითხულობს, — ოჯახური მდგომარეობის გამო და ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით, აქ ეგრე სწერია და მართლაც ეგრეა... — სათვალეს იხსნის განცხადებაში აღარ იხედება, — ტექსტი ცოტა სტანდარტულია, ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ეგრეა ისედაც... სხვანაირად არ გამიგოთ... ოჯახში მთლად კარგად ვერაა საქმე, ჯანმრთელობაც აღარ მიწყობს ხელს, აგრეგატმა „კ. მ.—7—მა“ არ გაამართლა ამ ეტაპზე, სხვა არაფერი... — აღარაფერს ამბობს და არც ჯდება.. ტაში და სტვენა ატყდება მოულოდნელად. ყვირიან იარუსებზე და გადაღმაც, რა უნდათ, გაუგებარია.

— აუხსენით კოლექტივს და მაგანაც გააგებინეთ, რომ საპატიო დირექტორად რჩება! — ეჩურჩულება აფარიძე–ვენერა ნაცვლიშვილს.

— აუცილებლად, აუცილებლად... — დგება, ხალხის დაწყნარებას ელოდება: — ამხანაგებო, ბატონებო!... — მაინც სტვენენ. — ამხ. ბატონებო, მიტრო გედევანიშვილი დიდი და განუსაზღვრელი სიყვარულით სარგებლობდა და სარგებლობს ჩვენს შორის, თანამშრომლებს შორის, კოლექტივში, დაბრძანდით, ბატონო მიტრო, თუ შეიძლება!

— დიახ, დიახ... — თითქოს ბურანიდან გამოდის, არ ჯდება.

— ბატონი მიტრო... — ენა არ ემორჩილება, ცრემლს იწმენდს მამაკაცური ხმით მოლაპარაკე.

— დიახ, დიახ... — ჯდება მიტრო.

— ჩვენ ვეთანხმებით ზემდგომი ბატონების ამხ... რეკომენდაციებს ეროვნული ხსნის კომიტეტისას ამხანაგ სერბელაძის არჩევის თაობაზე, ბატონი მიტრო კი რჩება ჩვენი ინსტიტუტისა და მებოთლეთა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ... — ქალალდიანი ხელით უკრავს ტაშს. სხვებიც უკრავენ. სტვენენ. — ბატონ მიტროს გადავცემთ პატარა, სამახსოვრო საჩუქარს!.. მუსიკის ხმაზე ოთხ კაცს მოაქვს სვანური კოშკის უზარმაზარი მაკეტი. ვენერა ტაშს უკრავს. სხვებიც უკრავენ ტაშს. სერბელაძე მიდის საჩუქრის მისაღებად. არ აძლევენ... გაუგებრობაა, ისმის ვენერას ხმა.

— გადამეცა უნდა! — უკან ბრუნდება გაწბილებული სერბელაძე.

— არა უშავს... ბატონო მიტრო! — ხმას უწევს ვენერა, — თქვენი დაბადების დღესთან დაკავშირებით, ცხრა თვის დაგვიანებით, ჩვენი მრავალათასიანი კოლექტივის სახელით მიიღეთ ეს პატარა ნობათი...

— აქვს მასეთი!

— მოითმინეთ, ნუ აიშლებით, გაეცანით დადგენილების პროექტს ექსპერიმენტალური ინსტიტუტისათვის, მინის-

ტარის მსხვრევისა და ექსპლოატაციის ინსტიტუტისათვის სახელის გადარქმევის შესახებ, მოვუსმინოთ ამხ. ბატონ აფარიძეს ვახტანგ ანდრიას ძეს!

აფარიძე დადგენილებას კითხულობს:

— ეროვნული ხსნის კომიტეტის სახელით წინადადება შემომაქვს გიორხელ კოლუაშვილის სახელობის მინისტარის ექსპლუატაციის ექსპერიმენტალური კვლევით ინსტიტუტს ამიერიდან ეწოდოს რესპუბლიკის, გოგია ჟღენტის სახელობის მინისტარის მსხვრევისა და ექსპლუატაციის ექსპერიმენტალური კვლევითი ინსტიტუტის სახელი!

ტაში. სტვენა. ყვირილი. კანტი-კუნტად ისვრიან.

მორკალური გალერეას რძისფერ შუშებს და შალითიან სკამებს საპროექციო აპარატის შიშინი და შუქი დაფენია.

მთავარი ექიმის ხმა: — ...უნაყოფობის მიზეზი სადინარების შევიწროებაა...— სადინარებშევიწროებული ქალის საშო ჩანს, — შევიწროებას სრული გადაკეტვა მოყვება ხოლმე... ჩვენ ამ სადინარებს ვაფართოებთ, ვცვლით კიდეც, თუ ეს აუცილებელია. თუ აქედანაც არა გამოვიდა რა, ასეც ხდება, მაშინ გადავნერგავთ ხელოვნურად ჩასახულ ნაყოფს, ემბრიონს. ემბრიონი გვაქვს. იგი თქვენს წინაა, ხედავთ მას. ჩვენი ჩასახული ემბრიონია, იზრდება ბარო-საკანში ორ თვემდე, ორთვიანი გადაინერგება მომავალი დედის საშვილოსნოში. ხელოვნურად ჩასახული და დაბადებული ბავშვების რაოდენობამ დედამიწაზე ამჟამად 3000-ს გადააჭარბა. უფროსი 17 წლისაა მხოლოდ... ეკრანზე ქალიშვილია რახიტიანის დამახასიათებელი თავის ქალითა და კიდურებით.

— ქალია? — კითხულობს ვიღაც სიბნელეში.

— გოგონა.

უძრავად დგას და თვალგაშტერებული იხედება დედამიწაზე ხელოვნურად მოვლენილი ადამიანი, ხელოვნურად ჩასახული ქალი.

— თუ კი დედა, — განაგრძობს არჩილი, — აღმოჩნდება ჯანმრთელი, მამა — სნეული, დედას განაყოფიერებთ დონორის საშუალებით. — მიღებული ფორმაა განაყოფიერების... ჩვენ, უფრო სწორად მამამ არ იცის დონორის ვინაობა. ჩვენ ვაძლევთ დონორის სისხლის ჯგუფს, ფსიქიკური მდგრადობის მონაცემებს, გენეტიკური კოდის ნიშნებს, ფერს, სიმაღლეს და სხვა.

უთავო დონორები ჩანან ფოტოებად.

— დონორები ქვედა განყოფილებაში! წელქვევით შიშველი მამაკაცებია შთამომავლობის გაგრძელების უეჭველი, აუცილებელი უტილიტარული ატრიბუტებით.

საპროექციო აპარატი ქრება. შემორკალური კაბინეტი, რძისფერი შუშები და პარუსინა ბაცდება.

ქალთა პათოლოგიისა და ჰიგიენის გიორგი ფულავას სახელობის ექსპერიმენტალური კვლევითი ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში სხედან: დავერო, ლალი, რუსიკო, გაბადაძე და პრაქტიკაზე მოსული სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები თეთრი ხალათებით.

რუსიკო („ავადმყოფობის ისტორია" უჭირავს) გადახვალთ მეცხრე აუდიტორიაში...

წამოიშლებიან და კმაყოფილნი გადიან.

მთავარი ექიმი სათვალეს იხსნის, ბეც თვალებს ისრესს, ლალის უყურებს.

— ნათელია ყველაფერი... ხელი მოწერილი გაქვთ... — ქაღალდებში იხედება, — ექსპერიმენტზე თანახმაა პაციენტი, მშობელიც... თქვენ მამა ბრძანდებით?

— ასე გამოდის! — მსხვილ სამაჯურს იხსნის დავერო.

— ასლები, დედნები, ხელმოწერები... — ქაღალდებს ალაგებს არჩილი, — თქვენ ნოტარიუსი ბრძანდებით?

— დიახ.

— სწორია არა?

— დიახ. ყველაფერი დამოწმებულია.

— შეკითხვა ხომ არა გაქვთ?

დავერო: როგორ გეკადრებათ!

არჩილი ლალის უყურებს, ოთხკუთხედი კუშტი სახით.

— არა!

— პალატა მზად არის, დანარჩენს რუსიკო აგიხსნით! — სათვალეს იკეთებს, ვიზიტს დამთავრებულად თვლის.

ლალი რუსიკოს მიყვება დერეფანში. ძლივს ეწევა საქაღალდეებახუტებულს, ყელზე ფონენდესკოპგადაკიდებულს. ერთ პალატასთან ჩერდება რუსიკო.

— ანია, გამოცვალე თეთრეული, ხალათი მოგვეცი!... მოვა ახლავე ანია, ესაა პალატა, ჯერჯერობით მარტო იქნები...

— რუსიკოს ვენაცვალე, ნუ აჩქარდებით მაინცდამაინც...

— რას ნიშნავს, დავერო, ნუ აჩქარდებით?

— ხვალ შაბათია, ზეგ კვირა... — ხელკავს უკეთებს.

— მერე არჩილს რა ვუთხრა... რომ მოიკითხოს?.. ისტორია დღეიდან უნდა გავაფორმო!

— გააფორმე.

— არჩილს შენ უთხარი, მაშინ!

— არ უნდა თქმა, ხვალ ჟორას ორმოცი გვაქვს.

— ვინაა ჟორა? — გულწრფელადაა გაოცებული.

— ჟორა როგორ არ იცი, მშვენიერო რუსიკო... — ცრემლებს იწმენდს დავერო, — ჟორა, იგივე ბიჭიკო... — მოულოდნელად აცემინებს, — დამარტყი ხელი, ხელი დამარტყი, მის მოსვლამდე არაფერი მეტკინოს!

დუდუკები კვნესიან სასაფლაოზე. ქსოვრელები უბერავენ ბიჭიკო (ჟორა) ოგანეზიშვილის სამარეზე. შაოსანი ქალები და თავჩაქინდრული მამაკაცები დგანან თავქვაში ჩასმულ გრუზათმიანი, გამხდარი მამაკაცის სურათთან, წითელი „ფიატი“ ჩერდება მოშორებით.

— გამაგებინე რა ხდება? — ეკითხება მიტრო დავეროს მანქანაშივე და მეპაწაშვიდე ხალხისაკენ იხედება. უკან სხედან რუსიკო და ლალი.

— ორმოცია, უნდა მივიდეთ! — [illegible]ულებს დავერო.

— ვისი? ჩვენ რა შუაში ვართ?

— ნათესავი იყო, პიძია, პიცოლაშემის, შენ არ გემახსოვრება. არმისვლა არ იქნება, ახალგაზრდა კაცი დაიღუპა, მხატვარი...

— კარგი ბიჭი იყო მართლაც, რაღა დაგიმალოთ... — ქალების კახაგანად ჩაილაპარაკებს დავერო.

რუსიკო შავ თავსაბურავს ახვევს ლალის. მამაკაცები წინ მიდიან. დავეროს გადიდებული სურათი მიაქვს უკუღმა. მიტრო იქაურობას ათვალიერებს.

— როგორ გაიზარდა აქაურობა, საწყალი კლარა რომ დავასაფლავე, ცარიელი იყო ეს უბანი, როგორ უძლებ, დავერო, ამდენ ტირილს და უბედურებას?

— რას ვუძლებ, აღარა ვარ კაცი!

— უკანასკნელი ბარიერი დაგრჩა გადასალახავი... ბოლობოლო უკვე რეგისტრირებული მეუღლე ხარ მიცვალებულის. ორ კურცხალს გადმოაგდებ და მორჩება... — არიგებს რუსიკო.

— არ შემიძლია, დედაჩემის დაკრძალვაზე ვერ ვიტირე.

— ტირილი არაა სავალდებულო, მოიქეცი ისე, როგორც იქცევა ინტელიგენტი ქალი, გულში რომ იკლავს დაღუპული ქმრის დარდს, მორჩება ორმოცი და წლისთავზე აღარავის გაახსენდები... საქმეს ასე ჭირდება, იცი ყველაფერი, ახლა ყოჩაღად... — თითქოს თავისთვის, სინამდვილეში მხოლოდ ლალის გასაგონად ლაპარაკობს დავერო.

— იქით, იმ გაყოლებაზეც არავინ იყო დამარხული... — უკვირს მიტროს, დავერო განაკიდებს გაჩერებულ პატარ-პატარა ტანის შავ-შავ კაცებს ართმევს ხელს, რუსიკოს გადაბრუნებულ სურათს აწოდებს, მიდით, აიტანეთო ანიშნებს, თავად იქვე რჩება მიტროსთან ერთად.

ეროვნული

სამარის გარშემო, ბორცვზე არიან დალაგებულნი, ცალკერძ წვერმოშვებული, მოდურად გამოწყობილი მხატვრები დგანან, ცალკერძ ნერვიული გამომეტყველების მოშავო წარმომადგენლები: ნათესავები, ძალიან ახლობლები და დამკვრელები.

ლალის დანახვაზე იწყებენ ტირილს განსვენებულის დები, დუდუკები დნებიან ჰანგებად.

— ბიჭიკოს ცოლი მოსულა! — ამბობს ერთი ნათესავთაგანი საკმაოდ ხმამაღლა.

— სად ყავდა ცოლი! — უკვირს ვიღაცას.

— ყოლია და არ ამხელდა!

რუსიკო სურათს შეაბრუნებს და სხვა სურათებთან მიაყუდებს თვალოდზე თვალსაჩინო ალაგას. ხელგადახვეულნი დგანან ლალი და ბიჭიკო (ჟორა) ოგანეზიშვილი კვიპარისების ხეივანში. ფოტოეტიუდის დანახვაზე უმატებენ ტირილს და დუდუკების ბერვას...

— აქ ხე არ ხარობდა, საველე ექსპედიციის დროს იმ კლდის ძირში სამლოცველოს ნაშთები აღმოვაჩინეთ. კერპთმსახურული რიტუალის, რაღაც იმდაგვარი ინსტიტუტის არსებობის ფაქტთან გვქონდა საქმე, მერე იქ გზა გაიყვანეს უკითხავად, მოსპეს ყველაფერი...

— ნუ ლაპარაკობ! — წუხს დავერო.

— ორსულად დარჩა თურმე! — ჩურჩულებს ერთი ქალი.

— ორმოცი დღის მუცელი მაგას არ ატყვია და როდის მოასწრო! — გამოცდილი დედაკაცის დასკვნაა.

— ორსულად ყოფილა. — სხვაცაა ინფორმირებული.

— შვილზე გადაუფორმებიათ მთელი ქონება!

— ბავშვი არ დაბადებულა და ჟორას, უკაცრავად აბრამს არქმევდნენო, ისეა თქვენი საქმე! — ეღიმება ქალებს მიყურადებულ მამაკაცს.

— ის კაცი, ქვევით რომ დგას ხანსგადაცილებული, მამაა, ჟორას სიმამრი, აკადემიკოსი.

ლალი თვალს არ უშორებს [illegible]ვის. დგას, ქვევით იხედება, უყურებს ქვაში ჩასმული მამაკაცის ქოჩრიან თავს, ქვაზე აყუდებულ, გადიდებულ ფოტოს, საკუთარ სახეს, მიცვალებულის მკლავქვეშ გაფრთიანებულს თავი ეცოდება, მუსიკაზე უჩვილდება გული, ტირის, ცრემლები ჩამოდის ღაწვებზე.

— როგორ ყვარებია, ტო! — შენიშნავს გაოცებული წვეროსანი, ადრე რომ ცოლობაშიც შეეპარა ეჭვი.

დუდუკები ჩუმდებიან. ქარ-სიცხის ხმა შემოდის. ხალხი იშლება. ჰაერში ისვრიან ავტომატმომარჯვებული ახლობლები. ისვრიან სხვა იარაღითაც, უსისტემოდ, დაუზოგავად.

— გენერალი იყო ეს ოჯახდანგრეული, თუ რაშია საქმე! — კითხულობს უკანგამობრუნებული დავერო.

საპატიმრო მანქანა ჩერდება მისაქციელზე, ხახაგამშრალ ონკანთან. უშვერიძე გარედან აღებს გისოსებიან კარს. დუგლასი გადმოდის უკანა კარით, კაბინიდან ვაშაკიძე ჩამოაბიჯებს.

— მიდი შენ, მოვალთ!

უშვერიძე რულთან ჯდება. საპატიმრო მანქანა აუხვევს აღმართში, სერბელაძეთა საგვარეულო სამაროვანთან დადგება.

— ...დაგვეხმარე და დაგეხმარებიან, ნუ ჯიუტობ, სად დამარხე?.. ნაწილი მაინც ამოგვალებინე. — გზაწვრილზე მიდიან. — არ იტყვი, სხვას ვათქმევინებთ, გამოჩნდება მთქმელი ბოლობოლო... შენი აღიარებული ჯობია, დამიჯერე... ნამეტანი ვბითურდებით და ნუ გადაგვათხრევინებ აქაურობას.. — დინჯად, მისი ჭკუით, შთამაგონებლად ელაპარაკება ვაშაკიძე — მოჭიდავე — გამომძიებელი. მუშები მღერიან ფარდულთან ქარსიცხეში. ჩატეხილი შლიაპა აქვს აწეული, მაღალ ორ თანაბარ ნაწილად თმაგაყოფილ მუშას.

— ჩემ თავში აუწერელი ხმაურია, სადღაც დუდუკებს უკრავენ, სადღაც

მღერიან... შენი ხმა კი მესმის და არ მეყურება, რა ხდება ველარ ვგებულობ, ვაშაკიძე... სადა ვარ ვიცი და ადგილს ვერ ვიმხრობ, ვსაჭიროებ გამოკვლევას, საექსპერტო-სამედიცინო გამოკვლევას!..

— ძნელია შენთან ლაპარაკი, მიმართე პროკურატურას...

— დავწერე ლაშა ეზეკის სახელზე...

— ეზეკი კი არა... — იღრიჯება ვაშაკიძე. სერბელაძეთა ადგილში მისულან. იქ არიან: თავად სერბელაძე, ქვათარაძე, უშვერიძე, ლაშა ეზეკი, კაკვი, ჭობი, არჩილი, სიმონი, ბორია, დავერო, ცხადია, ოსია ტალახიანი ჩექმებით და ხომ არავინ გამოგვრჩა.

— აქ იყო უფროსო! — ავანსცენიდან იძახის ოსია.

თეთრ კოსტუმში გამოწყობილ ნაომ სერბელაძეს მიჩერებია ქვათარაძე.

— გისმენთ!

— ეს ადგილია, — წინ მიდის, — დედაჩემი აქეთ ემარხა, მამაჩემი იქით..

— ქალს მარჯვნივ მარხავენ, უფროსო, ეგრე არ იქნებოდა! — უსწორებს ოსია.

— როგორც იქნებოდა...

— რა ბრძანეთ თქვენ! — ოსიას ეკითხება ქვათარაძე.

— ქალსა მარხავენ მარჯვნივა, კაცსა მარცხნივ.

— შეიძლება, შეიძლება, არ არის გამორიცხული, დიახ, სწორი ხართ თქვენ, დედა აქეთ ეკრძალა, უფრო სწორად; აქეთ იყო დაკრძალული. მამაჩემი იყო აქეთ, შეიძლება პირიქით....

— პირიქით არ შეიძლება, უფროსო!

— გააჩერეთ ეს კაცი!

— დაიხი უკან, ხუთი მეტრის რადიუსით მოგვშორდი! — თვალს უზამს დავერო.

— კიდევ, უფროსო?!

— ცოტა კიდევ, გეყოფა და ხმა აღარ ამოიღო:

— თქვენა ხართ სასაფლაოს მეთაური?

— დიახ! — პასუხობს დავერო.

— ბრძანეთ მაშინ! — მოსწორებულ სამარეზე უთითებს ქვათარაძე.

— ოსია!

— აქა ვარ! — უკან-უკან იხევს.

— აქ დადექ, სად მიდიხარ!

— რა ვიცი, კაცო, ხან წინ წადიო, ხან უკან!

— აქ იყო, — ოსიას მოახლოებისთანავე იწყებს დავერო, — ამ ადამიანის მშობლების საფლავები, ქვები ედოთ, ერთსაც ქვა ედო, მეორესაც... წაიღო ქვები, გადაყარა, გაყიდა, მისი საქმეა, არ ვიცი, მშობლები უნდა გადაესვენებინა.

ქვათარაძე: გადაასვენა თუ არა არ იცით?

— ეგ თვითონ უკეთ ეცოდინება!

— იყიდა ვინმემ ეგ ადგილი?

— ვერაფერს გეტყვით, ჩვენ აქ ადგილებს არ ვყიდით, ეს სექტორი დახურულია უკვე, გაუქმებულად ითვლება, დამარხვის თვალსაზრისით, ამიტომ ვერაფერს მოგახსენებთ...

დუგლასის უყურებენ.

— ვიყიდე.

— რატომ იყიდეთ?

— ვიყიდე. რატომ ვიყიდე შემდეგ გავარკვიოთ... გაყიდა და ვიყიდე. მე არავინ და არაფერი არ დამიმარხია. მშობლებსო, ასე შევთანხმდით, გადავასვენებო, ქვები წაუღია და ახლა ვხვდები, მშობლები დაუტოვებია!

— როგორ გეკადრებათ, ოფურჩხეთში წავასვენე ანდერძის თანახმად, ძვლები იქ ჩავყარე, საერთოდ, ვინა ხართ თქვენ?!

— ვენდე პროფესორ კაცს! — ეცინება დუგლასს, სიგარეტს უკიდებს, ღრმა ნაფაზს ურტყამს და ახველებს.

— რამდენი გადაუხადეთ?

— არ მახსოვს.

— რამდენი გადაგიხადათ?

— არაფერი არ გადაუხდია, არ გამიყიდია, რას გადამიხდიდა, საერთოდ არ ვიცნობ, ვინაა, პირველად ვხედავ!

ქვათარაძე (დუგლასს) რა დრო იყო ფული რომ გადაუხადეთ, წელი, თვე, რიცხვი, დღე, ღამე...

— რიცხვს ვერ ვიხსენებ, წელი ბუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოვნად მახსოვს... გაზი რომ გამორთეს მთაწმინდაში; ის დღე უნდა ყოფილიყო....

— კარგი, საკმარისია. გადაატარეთ ლითონზე?

— არ მოგვიტანია მაგნიტოვირა, — პასუხობს უშვერიძე.

— საჭირო გახდება... შეგვიძლია გავიგოთ, გადაასვენეს თუ არა? — დავერის უყურებს ეზეკი.

— პრინციპში შეიძლება, ისე, თვითონ უკეთ ეცოდინება, გულმავიწყობას რომ უჩიოდეს მაინც...

— მაინც უნდა გადავამოწმოთ, ვენდობით, მაგრამ მაინც, შეიძლება არა?

— კი ბატონო, გადავასვენე ასე მახსოვს და რა ვიცი, კაცო, რა არ ხდება...

— ოსია, მოიტანე შურფი!

— აქა მაქვს, უფროსო! — გრძელ, დაგრეხილტარიან შამფურს წევს ოსო. საქმიანად, ალტაცებითაც კი უმიზნებს ეწერ მიწას, გადაგრეხილ ტარს აწვება მთელი ძალით, ჭინთვით და შამფური ვარდება ფულუროში,

ძვლებში.

— აქ არი! — შამფურს აძრობს თვალებგაბრწყინებული.

— იქითაც! — ანიშნებს დავერო.

— ეხლავე! — ხელისგულებს ინერწყვავს, იქაც ბურღავს და ძვლებში და საცარიელეში ეშვება.

— აქ არიან! — შამფურის წვეტს სულს უბერავს, მაღლა წევს.

— არ გადაუსვენებია, ძვლებიანად გაუყიდია! — დანაღვლიანებულია დავერო.

— თფუ! — აფურთხებს ღუგლასი.

საავადმყოფო.

გორგოლაჭებიანი საკაცით პალატიდან გამოაგორებენ საოპერაციოდ გამზადებულ ლალის.

— ფეხით შევალ! — წამოდგომას აპირებს.

— არ შეიძლება, შენ შემოგევლე, იმდენი ნემსი გაქვს გაკეთებული! — არ ანებებს რუსიკო.

სანიტრები მიაცილებენ გულზე ჩახუტებული „ავადმყოფის ისტორიებით“ მიკაკუნობს თეთრხალათიანი რუსიკო.

არჩილი ხელებს იბანს აუჩქარებლად მარმარილოს პირსაბანთან და სარკეში აცქერდება მართკუთხა სახეს, წარბებს ისწორებს, გაყოფილ თმაში ავლებს ხაზს ნეკით.

— არ შემიძლია! — წამოიკვნესებს მაგიდაზე ფეხებაჩაჩხული ლალი და შიშველ სხეულზე თეთრ ზეწარს იფარებს, — არ შემიძლია! — ახალგაზრდა ასისტენტ ვაჟს მიჩერებია ამღვრეული თვალებით.

— რა ამბავია?! — კითხულობს ასტრონავტივით გამოწყობილი ქალი. სახე და თმა, ისე გულდაგულ რომ დაილაგა, აღარ უჩანს სკაფანდრიდან.

— არ შემიძლია!... — წამოდგომას აპირებს, — სხვა დროს გავიკეთებ!

— გადი შენ! — გამოლენჩებულ ასისტენტს ეუბნება არჩილი. ასისტენტი გადის გაუგებარი მზერითა და უმისამართო პროტესტის გრძნობით. დაფეთებულ თვალებს აყოლებს ლალი. — არ შემიძლია!.. — თავისას იმეორებს, თეთრ ზეწარს ბღუჯავს სახეზე ოფლგადამსკდარი.

— რა არ შეგიძლია! — თავდახრილი არჩილის აქვალანგის მინები ელავს თავს ზემოთ.

— დამაძინეთ ნარკოზით...

რუსიკო: რაღა დროს, ძლივს გაგაბრუეთ!.. — აწითლებულ სახეს იხოკავს თითქოს გაცეცხლებული არჩილის შემხედვარე.

— ნარკოზი.

რუსიკო: ნარკოზში ხარ ისედაც, იმდენი ნემსი გაგიკეთეთ, ძლივს იშოვნა ბიქსომედინი არჩილ სამუელოვიჩმა.

— არ შემიძლია, დამაძინეთ! — თვალს ძლივს ახელს და წამოდგომას აპირებს.

— გაუშვით, საბავშვო ბაღი კი არა მაქვს აქ! — ყვირის არჩილი. ერთმანეთს ეფარებიან დამფრთხალნი. რუსიკო ოფლს უშრალებს, წამოდგომაში ეხმარება ლალის.

— მაგ საზიზღარი! — არჩილის მისამართით ამბობს ჩუმად.

— სულერთია, არ დამემორჩილებოდა! — ტანსაცმელს ხდიან არჩილს.

— დედა, რატომ მიგვატოვე, დედა!...— თეთრ პალატაში, თეთრ საწოლში, თეთრებში გახვეული ლალი ძაგძაგებს, — რატომ მიგვატოვე, დედა!

დედას ხედავს. მდუმარედ დგას მწუხარე დედა.

— დედა, ხმას რატომ არ მცემ, დედა...

დედა დგას, ხედავს, ხმას არ იღებს.

მისი სურათია ქვაში ჩასმული. მიტრო ასუფთავებს ცხვირსახოცით. სასაფლაოს ქალი წყალს ასხამს ტიტებიან ლარნაკში. კუტკალიების ხმა აყრუებს გორებში გაფენილ სასაფლაოს. ქალები ზუზუნებენ შავი ბუზებივით შორს. ქვას კოდავს ვიღაც. გადატუსული მინდვრის სუნი, ნარშავების შრიალი მოაქვს ნიავს.

— ეგ ბალახ-ბულახიც მოთხარე, — ეუბნება მიტრო სასაფლაოს ქალს. ჭილის ქუდი ახურავს დიდი.

— ესენი მე გავახარე, ყვავილია, არაა ბალახი, — ღერებს სინჯავს ხელით.

— მოთხარე, მოთხარე! — ფეხი აქვს შემოდებული დაბალ გალავანზე დავეროს, — რა არი ადამიანი, ბატონო მიტრო?! — დის პორტრეტს უყურებს ქვაში.

— არაფერი... მოთხარე? ასე ჯობია, მადლობთ. ლალი ვარდებს ამოიტანს.

— მითხარით და მოვრწყავ, — ცოცხი, ტილო, ვედრო მიაქვს სასაფლაოს ქალს.

— გმადლობთ, — მეორე მადლობას აყოლებს.

— არაფერი არაა, მართალი ბრძანებაა, იყავი და აღარ იქნები... ღმერთი გწამს?

— ღმერთი?... — დროს იგებს, მიტრო,—ისე არა, როგორც წერია... — ქვაზე ჯდება ხვნეშით, ჭილის ქუდში ეკუმშება სახე.

— საერთოდ, რა გასაჩენი იყო ადამიანი!..



— სხვა?

— სხვა კი, სხვას რას ერჩი... ჭიანჭველები დაცოცავენ აგერ... ძროხა ძოვს მთელი დღე, იცოხნის ღამე, ისვენებს, კუდით იგერიებს ბუზებს, შვილი მყავს უმაღლესში მოსაწყობიო, არ ნერვიულობს... ლომი—ძინავს ახლა შამბში, ლიხში, აგრილდება და გამოვა, დაიღრიალებს. მოშივდება — დაიჭერს, შეჭამს, დაიძინებს, დაგრილების დრო დაუდგება — დაგრილდება, თავისნაირს ჩასახავს და ასე... ადამიანია, რომელიც არ ჭირდება და აკეთებს, არ უნდა და ჩადის... აგროვებს, ინახავს, მალავს, იძენს, ართმევს, ატყუილებს... არ ეტევა და ჭამს, არ ეძინება და იძინებს, ეძინება და ფხიზლობს, ნერვიულობს ფიქრობს, ფიქრობს, მერე იგონებს კანონებს, აწესრიგებს სამყაროს, რომელიც მოწესრიგებულია... ეჭვიც არ მეპარება, რომ ეგრეა. კოლექტიური ცნობიერება, მოვლენები, კატაკლიზმები, რაც არ უნდა ქაოტური მოგეჩვენოს, მართვადია, იგი იმართება სხვაგან, ჩვენგან დამოუკიდებლად, იგი შორსაა და ახლო, არარსებულშია და ჩვენშია. ჰარმონია სამყაროსეულია და არა მიწიერი და მაინც ყველაფერი და ყველანი ბნელი წარმოსადგენნი არიან უადამიანოდ. იქნება კი ცა და დედამიწა უიმისოდ?.. ვინღა თქვას, თუ იგი არ იქნება?..

— მე მაინტერესებს მე თუ ვიქნები ჩემს შემდეგ?..

— შენ ნაწილი ხარ მთელისა და მთელში იქნები, იქნები ფიქრში. ფიქრი და სიზმარი სხეულს ხომ არ გაყვება!..

— მე თუ გავიგებ?

— გავიგებთ, მე ადრე თქვენ გვიან...

— არ ღირს ხომ თავის ხეთქვა წინასწარ?

— რასაკვირველია...

— რამ ამომიყვანა მოცეკვავე კაცი ამ უბედურ სასაფლაოზე... ბიჭუნების ანსამბლი მინდოდა მყოლოდა, სულ პატარების, არ მივდივარ ჯერ, ხომ არ ჩქარობ?

ბესო ამოვა, წამიყვანს, შენ ნუღარ შეწუხდები, ლალის ვარდები უნდა ამოეტანა!... — უფრო მოხერხებულად ჯდება, ადგომა რომ არ უნდა ადამიანს, იმნაირადაა მორთხმული მეუღლის სამარესთან. სასროლი ბადე მიაქვს სიმონს, რკინის მესრის იქით ჩანს ნესვა თავით, ცუხცუხით მიყვება დავერო ოჩოფეხებით მიმავალს.

— მოიცა! — ოფლს იმშრალებს. — შენ დაგეწევი მე!

— გავშალო?!

— მოიცა! — მზერას იმახვილებს დავერო.

ლანდებად გადარბიან საფლავიდან საფლავზე. ქვაში ჩაჭედილი ბიჭიკო ოგანეზაშვილის სურათი ელავს იასამნის ბუჩქში. რტოები ირხევიან და სწორდებიან.

დავერო: — დაწექი!

წვებიან. აკოჩილი, ნახევრადგათლილი ქვის ქვეშ უნდა სოლივით თავის შეყოფა სიმონს.

ისვრიან. ვინ ვის ესვრის, გაუგებარია.

სიჩუმე ისადგურებს მალევე. სროლა ისევე მოულოდნელად წყდება, როგორც დაიწყო.

— გათავებული ამბავია, აწი აქ სროლა აღარ დამთავრდება... — შარვლის სამუხლეების ფერთხვით სწორდება დავერო, — ოგანეზაშვილი მინდოდა კიდევ აქ, გეგონება ჩემი მკვდრები არ მეყოფოდა, მე მაგის ჩამომთესლებელის მკვდარი და ცოცხალი!

საზეიმოდ გამოწყობილი პატარები ხელიხელ ჩაჭიდებულნი ბრუალობენ როიალის გარშემო. მუსიკის მასწავლებელი უკრავს. აღმზრდელი პედაგოგი გოგო-ბიჭუკებს აწყვილებს ხელახლა დიდი გამგე — დეიდა დაწრიალებს და ხელებს იფშვნეტს ნერვიულად. სხვები ღელავენ. ბავშვებსაც დაკარგვიათ სიხალისე. ბავშვთა ბაღი დიდია და ნათელი. თეთრი ჯორკოები და პატარა მაგიდები დგას. სათამაშოებია კუთხეში. კედელზე ხალიჩაა აკრული. ხალიჩაზე მხიარული პინოკიო და ოქროს გასაღებია ამოქსოვილი.

შემოდიან: ყრუ ბორია და სიმონ მაღალი. სიმონს ოქროსბურთულებიანი ბადე მოაქვს.

— აბა მივესალმოთ სტუმრებს! — იძახის აღმზრდელი პედაგოგი.

— სა-ლა-მი!

მუსიკის მასწავლებელი როიალს აგრიალებს. სიმონი ისვრის ბადეს. გამხიარულებულნი უვლიან ფერხულს, მხიარულ სიმღერას იწყებენ. ბადეში გახვეული, გამხდარი მუსიკის მასწავლებელიც მღერის, აღმზრდელები მღერიან. დიდი გამგე — დეიდა ტაშსა სცემს ტაქტით.

— ჩვენ ისინი არა ვართ, ქალბატონო! —სასმენ ღილაკს იძრობს ყურიდან ბორია. აღარ უკრავენ. პირდაღებულნი დგანან ბავშვები.

— აბა? — კითხულობს გამგე დეიდა.

— წყალი რომ ჩამოგვივიდა თქვენგან... — ყურში იკვეხებს სასმენი აპარატის ღილაკს, მწვანე მავთულს ასწორებს, პულტს ეძებს მარცხენა ხელის თითებით ჯიბეში.

— აჰა! — ამბობს გამგე.

შემოდიან ულვაშა შერპები ტალახიანი ფეხსაცმელებით, ყაყანით. მოყვებიან: ქვათარაძე, ვაშაკიძე, უშვერიძე, დუგლასი, კაკვი, ჭობი, ასკილის სახლის თანამშრომლები, მეგაჯეები.

— აი იქ დადექი! — სათვალსაჩინოდ აჩერებს ქვათარაძე დუგლასს, — იცნობთ?! — მკაცრად ეკითხება მეგაჯეებს.

შიო: კი.

მიხო: კი.

ქვათარაძე (ხმამაღლა): ეგ არი?!

ყველანი ერთად: ეგ არი! — უყურებენ და თვალს ვერ უსწორებენ დუგლასს.

ქვათარაძე: — კარი!

— კარი! — იმეორებს ბორია.

ხელგაშვერილი და თვალებდახუჭული მიდის მაღალი სიმონი და პირდაპირ ოქროს გასაღებში არჭობს შუათითს.

— გასაღები!

ბორია გასაღებს აძლევს. ჯიბეზე იტ-

ყაპუნებს ხელს, მეტი არა მაქვსო. მეტს არც ეძებენ.

გადამღები ჯგუფის წევრები შემოდიან, შემოაქვთ აპარატურა, გამნათებელი მოწყობილობა. პატარა, თეთრ ჯორკოზე ჯდება დუგლასი, გამხდარი და წვერმოშვებული; ზის, უხმოდ აყოლებს თვალს ყველა სცენას.

ოქროსგასაღებიან ნოხს ხსნის ვაშაკიძე. კარი ყოფილა ნოხს იქით. უსიამოდ ჩხაკუნებს გასაღები ჟანგიან საკლიტურში. ჭრიალით აღებს კარს უშვერიძე. შმორის სუნში დგანან, ქვათარაძე არ ეტევა კარში, ნოხუკან რომ აღმოაჩინეს.

— გამოიტანეთ თოფები! — მებარგე შერპები შედიან ულვაშების რხევით. ბეჭზე გადებული, დახვეული მატერიები გამოაქვთ. ერთი სხვა გასასვლელს მიაშურებს.

— საით?!

— კანტეინერშიო...

— კანტეინერი ქუჩაშია, აქეთ რა უნდა, შე კრეტინო.

— ეზოშიო, აბა ეგეთები არ იყოს!— ქუჩისკენ მიდის. გადიან და შემოდიან. შემდეგია აფრები.

— ორ-ორმა მოკიდეთ ხელი, ერთმა აქეთ, ერთმა იქით! — მბრძანებლობს ქვათარაძე, — გთხოვთ!

მუსიკის გამხდარი მასწავლებელი ჯდება კვლავ როიალთან, კაბას ზომაზე მაღლა იწევს და მრგვალ სკამს არგებს უკანალს. უკრავს. გაყავრებული ბეჭები უთრთის და ფერხულობენ სიმღერითა პატარები:

„...თინიკო, თინიკო, წუხელ შენთან
ვინ იყო,
ვინ იყო და ლოთები, დაამტვრიეს
ბოთლები!...“

შუაში იმწყვდევენ დიდ გამგე-დეიდას. — აი ამხელა ხაჭაპური, აი ამხელა ხაჭაპური ხელებს იშვერენ გამგე-დეიდასაკენ, უკან იხევენ, თავსზევით სცემენ ტაშს და წინ მიდიან, პატარა ვარდისფერ ხელებს ჭიდებენ ერთმანეთს, მღერიან ხაჭაპურის სიმღერას.

— თოფები, გამოიტანეთ თოფები!

გამოაქვთ კალაშნიკოვის სისტემის ავტომატები — დაშლილები, დაუშლელები, ნაღმტყორცნები, ტურსები... ბავშვები ჩუმდებიან, ყველა ჩუმდება.

— ...თქვენ იცოდით, ქალბატონო ნელი, აქ რომ საწყობი იყო? — ეკითხება თამილა და მიკროფონი მიაქვს პირბადრ გამგე-დეიდასთან.

— როგორ არ ვიცოდი, პროდუქტს ვინახავდით ადრე, მაშინ ახალი მოსული ვიყავი, წყალსადენის მილი გასკდა და ამოვიდნენ ესენი, — ბორიას და სიმონს ათითებს, — დიახ, ესენი, რას გვიშვებითო, დასველდა ხომალდის იალქნებიო... ამოიტანეთ-მეთქი დროებით, ვის რად უნდა, ვიფიქრე, იალქნები... ამოიტანეს და ეგრე იყო...

— ესე იგი, იცოდით საწყობი?

— ვიცოდი იმდენად, რამდენადაც მართლა იყო...

— იარაღი?

— იარაღი არ ვიცოდი, არც ტყვიაწამალი...

— გცივა შენ კიდევ? — ეკითხება ვაშაკიძე კაკვის...

— მე განვაცხადე საჯაროდ და კიდევ ვიმეორებ, ყველაფერზე ვაწერ ხელს! — საწვიმარში ეხვევა.

— ქინაქინა გინდა კიდევ?

— არა. თუმცა მომეცი ერთი ცალი!

— ეს რა არი? — ცელოფანის ოთხკუთხა კონვერტებს უტრიალებს ცხვირთან ქვათარაძე გამგე-დეიდას.

— არ ვიცი.

— მაინც!

— მაინც არ ვიცი.

— არ იცი?!

— ქვითრებიაო, ერთხელ მითხრეს...— ცხვირსახოცს იფარებს თვალებზე, ტირილის დაწყებას აპირებს.

— ქვითრებს კი არა ჩეკებს გეტყოდნენ, დაფასოებული ნარკოტიკია, სადღება ჩეკებად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნამდვილად არ ვიცოდი, პატივცემულო...

თამილა ალუდასთან დგას მიკროფონით.

ალუდა: — ეს ყველას ძულდა, დუგლასი... ყველას სძულდა და ყველას ეშინოდა მაგისი, ცოფიანი ძაღლივით გვეშინოდა... ჩემი ცოდვა მაგის კისერზე... ეგ ყველას იცნობდა, ყველასთან ძმაკაცობდა, ჩვენ ხმას ვერ ვიღებდით... ჩემი ცოლშვილის ცოდვა იყოს დუგლას ხეიძის კისერზე!..

მწონავი ვალოდია გამოქანდება და თავს აჯახებს ალუდას ამ სიტყვების დამთავრებისთანვე. ალუდა მიკროფონს ჩაცხებს კვერცხივით თავში და გასისხლიანებულ ტუჩებზე იტაცებს ხელს. ვალოდია საყელოს შემოახევს სხვების გონზე მოსვლამდე. შეშინებული თამილა გაბზარულ მიკროფონს რომ არ უშვებს ხელს, დუგლასს ეფარება. დუგლასს საწყობში შეყავს. ნუ გეშინია და ეძგერება, დახსნილ-დაცარიელებულ მუყაოს ყუთებში წააქცევს, გულისპირს გაუხსნის.

— არა, არა, რას შვრები. არა, არა!..— საშინელ წინააღმდეგობას უწევს, არ ნებდება, თავსაც ითავისუფლებს, მუყაოს ყუთებიდან გამომძვრალი ისწორებს ტანსაცმელს.

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ! — აბურდულ თმას ილაგებს, კოფთის კალთებს იტნევს შარვლის სათავეში. — თანაც შარვალი მაცვია დღეს! — პაწია სარკეში იხედება, პომადას იცხებს ტუჩებზე.

— შარვალი მაცვია მეც! — თავისთვის ამბობს დუგლასი. დარბაზში იჭვრიტება. აღარ ჩხუბობენ. თავთავიანთ კუთხეში აწყნარებენ ალუდას და ვალოდიას.

— ძმური მოხევური! — ენის ბორძიკით აცხადებს მაღალი ბორია.

ჭობი და კაკვი. დამუშავებულ, მრავალჯერ გავლილ ილეთებს ახვევენ. ვაშაკიძე და უშვერიძე უკრავენ მოხევურს როიალზე ოთხი ხელით.

ერთ მებარგულს მუყაოს ყუთი ჩამოეფხრიწება ბეჭზე. ყუთიდან პინკ-პონკის ბურთები ცვივა. მოჭადრაკებულ ქვის იატაკზე ხტიან თეთრი ბურთები სეტყვის მარცვლებივით. ბავშვები შემოდიან ფერხულით და სიმღერით:

თინიკო, თინიკო, წუხელ შენთან ვინ იყო და სხვა...

დაბინდებულა. შუქი არ ანთია ჯერ ბაგა-ბაღის შენობაში. დუგლას ხეიძე და მურმან ქვათარაძე დარჩენილან მხოლოდ პატარა მაგიდასთან, სათამაშოებთან, პინკ-პონკის ბურთებთან. შეშილიფებული, საყელოგახსნილი ქვათარაძე უხერხულად ზის, ცალი დუნდული უდევს სკამუკაზე.

— გაჯიუტება სიკეთეს არ მოიტანს, დამიჯერე, კაცი არა ხარ! თქვი, დაწერე და იქნებ გადარჩე, სხვა გზა არ არსებობს, ძმის სულ გეფიცები... აგერ საწერ-კალამი ქაღალდი, დრო არი... მე არ მეჩქარება.. — სასროლს იღებს და იმასაც მაგიდაზე დებს, — ა, ბატონო, გეფიცები, მეტით ვერაფრით დაგეხმარები... წერ? მე დავწერ, ბატონო, შენ მიპასუხე! — უცდის, თვალსაც არიდებს, თითქოს რცხვენია.

— მე ვერ ვაზროვნებ, სანამ ექიმი დასკვნას არ წარმომიდგენს, შეკითხვაზეც ვერ გიპასუხებ... ვსაჭიროებ საფუძვლიან გამოკვლევას ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში...

მხრებს იჩეჩავს მოთმინებადაკარგული ქვათარაძე.

შემოსასვლელში შერპებია ულვაშებით.

— თითოც და თავისუფლები ხართ!— შამპანურს უსხამს უშვერიძე ბოკლებში ფეხზე მდგართ.

— ბენც! — უფროსი შერპი ამბობს.

— ბენც! — ერთხმად სვამენ.

— მეტი არა!

— ბორთ, ბორთ! — ულვაშების წმენდით მიდიან.

— ქვათარაძე ქაღალდებს აგროვებს, საქაღალდეს კეცავს. მიდის. ტოვებს დუგლასს. სიჩუმეს. კედლის გუგული-

ან საათს, სათამაშოებს. ისევ გაუკ-რიათ კედელზე ნოხი პინოკიოსა და ოქროს გასაღების გამოსახულებით. დუმს დუგლასი და მაგიდაზე დატოვებულ ნამდვილ იარაღს დაჩერებია სათამაშოებით გავსებულ დარბაზში.

— მოითმინეთ! — ღია კარში ეწევა დუგლას ხეიძის ხმა ქვათარაძეს, — ეს დაგრჩათ! — სასროლზე ანიშნებს.

ქვათარაძე ბრუნდება, იარაღს ჯიბეში იდებს და მართლა მიდის.

თეთრი უფანჯრო ოთახი.

თეთრი საწოლი. თეთრი სკამი. სკამზე. თეთრპერანგიანი, გაფითრებული, ახლადწვერგაპარსული დუგლასი ზის. თავს თეთრხალათიანი, გრძელულვაშიანი უდროოდ დაბრძენებული კაცი ადკაცი:... იცით რა ტიპის სამკურნალო დაწესებულებაა?

დუგლასი: ვხვდები.

— დრო და სივრცეში ერკვევით?

— დაახლოებით!

ულვაშებიანად ფიქრობს. პასუხი დამაფიქრებელია.

— როგორ გრძნობთ თავს, ახლა კი არა — საერთოდა?

— როგორც გაუგებრობაში მოხვედრილი, უდანაშაულო ადამიანი...

— დუ-ბეში! — პასუხი აკმაყოფილებს, — თქვენი განცხადების მიხედვითა თქვენზედა ზემოქმედებას ახდენენ, უფრო მეტიცა, წარმართავენ, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, თქვენს ნებელობას სხვები... ამასთანავე კონტროლს უწევენ და კოორდინაციას უკეთებენ თქვენს მოქმედებასა, წადი შენთვის!

— დიახ, ეგრეა, ჩემი სურვილებიც კონტროლდება...

— ძალიან კარგი. წავედი ჩემთვის. ვინ სჩადის ამასა? — უზარმაზარ ულვაშებს ისწორებს, — ადმინისტრაციის პერსონალზე გაქვთ ეჭვი?

— არა.

— ეს ძალიან კარგია...

— სამართალდამცავ ორგანოებზე, ჯანმრთელობის გუშაგებზე.

— ჩემი დუ სე...

— პროფესურაზე...

— ეს ეჭვია... ჩარი სე... კონკრეტულად მოგვახსენოთ იქნებ, ბატონო დუგლასი.. იქნებ გაიხსენოთ კერძოდ ვინ ხელმძღვანელობს, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, თქვენს მოქმედებასა?

— კაცი კიროვაბადიდან, რომლის გვარი და სახელი არ ვიცი...

— სახეზე ცნობთ?

ამჯერად პაციენტი ფიქრობს.

— რასაკვირველია...

— ჩემი დუ ია...

— დუ გლა სი.

— ჩემო დუ გლა სია, თუ იცით რამდენი კილომეტრია აქედანა და კირობადამდინა?

— ზუსტად არ ვიცი...

— დაახლოებით თქვით ტელეგრაფის ბოძების მიხედვით თუ შეგიძლიათ განსაზღვროთ?

დუ სე!...

— ტელეგრაფის... — შუბლზე ღარები აჩნდება. — ჩემი შაში-ბეში!

— ყვირილი არაა საჭირო.. ჭაშმარიტება, როგორც ჩვენი წინაპრები აღნიშნავდნენ სუიტყვიდაც დგინდება...

დუგლასი (ისევ ყვირის): დუ-ბეში!

ექიმი: ქიესტუმ!

მოღვენთილი ქინდრავს ოფლდაცვარულ თავს დუგლასი.

— აბა კარგად დაფიქრდით, დუგლას ბატონო, თქვენზედა ხანგრძლივი დროის განმავლობაშია საგამომძიებლო და სხვა ორგანოებმა ვერ მოახდინეს ზემოქმედება, ვერაფერი გათქმევინესა და როგორც ჩვენი წინაპრები იუწყებოდნენ, ზემოქმედება, უკაცრავი პასუხია, როგორ შეიძლება მოახდინოსა და წარმართოს თქვენი ნებისყოფა, იგივე ნებელობა კაცმა კიროვაბადიდან... თქვენ ყველაზე მეტადა, შვილზე, დედაზე, მეტადა, შვილზე, დედაზე, სხვაზე აღარაფერს ვამბობ, გიყვართ თქვენი თავი, თქვენი პერსონა... არ დაიძინოთ, არ დაიძინოთ, არაა საჭირო!...

— თქვენ (ამთქნარებს) ჯანმრთელ ადამიანებს აავადებთ, ავადებდით ხალხის სახელით უშიშროების კომიტეტის მითითებით...

— არა გვქონია მსგავსი შემთხვევებიცა... ოიია, თუ თანახმა ხართ.

— კი ბატონო, როგორც გენებოთ...

— გმადლობთ.

მუხრუჭების ხრჭიალით ჩერდება შავი ლიმუზინი მთავარ შარაზე კავშირგაბმულობის დამწვარ შენობასთან. მოძრაობა ჩერდება. ლიმუზინიდან გადმოსული მძღოლი ბორბლებში შევარდნილ დედაკაცს წადგომია თავზე.

— მღუპავ, ქალო, მღუპავ, მე შენი... ვინა ხარ, ქალო, შენა, მღუპავდი?!. სად მიდიხარ, აქეთ მოდის კიდევ, მე ამის... არ შეიძლება, ქალო!..

ლოლა მანქანის კარს აღებს და დაბნეული მძღოლის ენერგიული წინააღმდეგობის მიუხედავად სახელურს აღარ უშვებს ხელს. შორიდან მომავალი მილიციელი სტვენს, შეჩერებულ მანქანებს და ცნობისმოყვარე მძღოლებს უტრიალებს კვერთხს, აიძარით, ნუ ჩერდებით და შავი ლიმუზინისაკენ მიიკვლევს გზას ავტომობილებსა და ავტომობილებსშუა.

— არაუშავს, შემოვიდეს, — ეუბნება მძღოლს ლიმუზინში დაბუნაგებული, შეკრთალი და ფერდაკარგული აფარიძე, — რაშია, ქალბატონო საქმე?

— მე ამ ვაჟის დედა ვარ, ბატონო აფარიძევ! — დუგლასის სურათს იღებს ჩანთიდან.

— გიცნობთ, ქალბატონო... — იშმუშნება აფარიძე.

— ამას უფრო იცნობთ, სუფრაზე გეჯდათ გიტარით, ტენისს ეთამაშებოდით, ერთობოდით, იცინოდით, აქებდით...

— ვიცი, ვიცი... — აწყვეტინებს და უფრო და უფრო იღუშება და ეფლობა სავარძელში. ვიცი, ვიცი...

— იცით კი... — სხვა სურათებსაც ულაგებს პარპიზზე.

— რა საჭიროა, ვიცი-მეთქი, გითხარით, ყველაფერი ვიცი, საკმარისია... — ფოტოსურათების მიხვეტას აპირებს. დედის გამხდარი ბეჭდიანი კლანჭები არ ანებებს....

ბიბლიოთეკა

მოკლეშარვლიან ბიჭუნას ვიოლინო უჭირავს. უკრავს ბავშვი მორჩილად დამჯერედ, არც თუ დიდი სიყვარულითა და გატაცებით, მაგრამ აუცილებლობის შეგრძნებითა და ბავშვური ერთგულებით.

— ეს უმამოდ გაზრდილი შვილი უნდა მომიკლათ?!

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, კანონი არჩევს ამ საქმეს, კანონია ჩვენთან მთავარი...

— ეს უნდა წამართვას კანონმა?!

— ქალბატონო, თქვენ იცით რა მოხდა შენალმეთა დასახლებაში, კითხულობთ რა დაემართა რაჟდენ ბესარაბიძეს ოჯახს, ერთი იმ კაცის გულში ჩაიხედეთ!

— ჩემი შვილი არაფერ შუაშია, კარგად იცით, ძალიან კარგად იცით!

— გაირკვევა ვინაა შუაში, მე არაფერი ვიცი და გავითვალისწინებთ მაინც, გაითვალისწინებენ...

— მე არ ჩავალ აქედან, სანამ მუხლს არ შეუცვლით...

— ვინ მეკითხება, ქალო, მუხლის შეცვლას!...

— ყველაფერი თქვენ გეკითხებათ!

— გითხარით, გავითვალისწინებთ-მეთქი, ახლა ჩაბრძანდით!.. ჯერ ერთი ლალი გაბაშვილი იღებს დანაშაულს და თქვენს შვილს შეფარდებული სასჯელი ქალს გადაატყდება, მოგწონთ?..

— ეგ მე არ მეხება, ეგ მე არ ვიცი... ჩემი შვილი არაა დამნაშავე... — ხმას იდაბლებს დიდად შეფიქრიანებული, — ყველა ქალი ქალი არაა, რომ იცოდეთ თქვენ!..

— ჩაბრძანდით თუ შეიძლება, კარს გაუშვი ხელი!

საავადმყოფოს მთავარ შესასვლელში, სადარბაზო კიბესთან, სვეტებში დგანან ვაშაკიძე და უშვერიძე პირადობის საბუთებს უმოწმებენ მომსვლელ, გამსვლელებს.

— აქედან რომ შევიდე? — ყოველშემთხვევისათვის კითხულობს ფეხებდასიებული, სქელი დედაკაცი.

— გვერდით! — სხვა კარზე უთითებს უშვერიძე. დედაკაცი ბალიშს ადებს გაძეძგილ ჩანთას.

ვაშაკიძე: თქვენ ვისთან?

— აქ დამიბარეს, რატომღაც! — საბუთს აჩვენებს კისერგაშეშებული, საფეთქლებზე თმებახვეტილი.

— სერბელაძე ნაომ შაშიას ძე.. — ჩამარცვლით კითხულობს ვაშაკიძე, — საიდან ბრძანდებით?

— გოგა ჟღენტის სახელობის ექსპერიმენტალური-კვლევითი ინსტიტუტიდან. — მესამე სართული, პირველი საქტო! — საბუთს უბრუნებს, — აქ ნუ გაჩერდებით, გადადექით, გთხოვთ!

მომკითხველებით, მნახველებითაა გავსებული ორპირი მისაღები. ზოგს მუთაქა მოუტანია, ზოგს ბალიში, ერთს ლეიბი უჭირავს. საჭმელი და წამლები მოაქვთ ძირითადად, ქაღალდის ფულებს უკუჭავენ მეკარეს ჭუჭყიანი, დაუდგენელი ფერის ხალათის ჯიბეში და გადიან.

— წამალი მოვიტანე მეც, რაცხა ესენიც გამოვაყოლე... — უზარმაზარ ჩანთას აჩოჩებს, — და არ გამიშვა, ამ გათახსირებულმა!... — ჩივის ფეხებდასიებული, სქელი ქალი.

— შესვენებაა, ქალბატონო, საათს ხომ ხედავ! — მარჯვენას მარცხენათი წევს, დამბლადაცემულ მკლავს ასვენებს, დროსაც არკვევს, — ახლა დაიწყო, ორის ნახევარი არაა ჯერ.

— აცალე ცოტა, შესვენებააო! — საყვედურობს მეზობელი.

— მაგას არ დააცლის სიკვდილი, ქეცა აქვს ისე საქმე... ჯერ არავინ გაუჩერებია ჩემს მეტი და რანაირი შესვენებაა! — ჩამოსაჯდომს ეძებს.

— მოითმინეთ, ქალბატონო, გზას ნუ კეტავთ!...

— დავჯდე იქნებ სადმე, შენ დაგაჯდა წელკავი...

— მობრძანდით, მობრძანდით! — დავეროსა და მიტროს ეპატიჟება, ფეხებდასიებული ქალი ძალაუნებურად დგება. დავერო ვაშაკიძეს და უშვერიძეს ართმევს ხელს და მიტროს მიყვება, ქაღალდის ფულს უდებს დარაჯს გაზინთულ ჯიბეში.

— არ იყო საჭირო! — წუხს მეკარე.

დავერო სწრაფად, უკანმოუხედავად ადის შიდა კიბეზე, მიტრო ახსენდება, იცდის, გასაღებების შეკვრას აჩხარუნებს.

— აწი მაინც გამიშვი, ამ წამალს გაუვა ვადა! — ისმის ქალის ხმა. სხვები ამოდიან, მიტროს ეწევიან, უსწრებენ.

— შესვენებაა, ქალბატონო, თქვენ არ გესმით ქართული!

თეთრხალათმოხურული დავერო და მიტრო მიდიან დერეფანში.

— როგორ შემოგვიშვეს ინფექციურ საავადმყოფოში ასე უმტკივნეულოდ! — უკვირს მიტროს.

— აბა! — კვერს უკრავს დავერო.

პროფესორი მანსვეტაშვილი მოდის ულვაშების რხევით. ორივე ხელს კიდებს შლიაპის ფარფლებს და თავს გამოყოფს შლიაპიდან. ესალმებიან ერთმანეთს.

— ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო!

— მადლობთ, ჩემო ბატონო, თქვენ თავად?

— უკეთესად მირჩევნია, მაგრამ კმაყოფილი ვარ...

— ეგრე ვართ ყველანი.

— ექსპერტზეა მოწვეული, ულვაშებში უხდიან ფულს... — უხსნის მიტროს დავერო.

— მე უფრო ახალგაზრდა მეგონა.

— ეს არი. — პალატის მაღალ კარს აკვირდება.

— პასპორტიც და თანამდებობის დამადასტურებელი საბუთიც! — უშვერიძე ეუბნება ჭობის ცისფერ პარმაღში.

— ვა, რა ამბავია! — უკვირს ჭობის, თუმც არც პასპორტზე ამბობს უარს,

არც პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტზე.

— ნამდვილი სახელია თქვენი ჭობი? — პასპორტის სურათს ჩაჩერებია.

— ნამდვილია ლავრენტიჩ!

— მრავალმნიშვნელოვნად გადახედავს ამ მიმართვის საპასუხოდ და საბუთს ვაშაკიძეს გადასცემს.

— ნამდვილი სახელია ჭობი თქვენი?

— ვა. ნამდვილია ბენოვიჩ!

— სხვა საბუთი?

— პრავა მაქვს, მართვის მოწმობა რაღა... საავადმყოფოში შესვლა ამნაირად არ გამჭირვებია ჯერ! — წვალებით იღებს მართვის მოწმობას ვიწრო შარვლის უკანა ჯიბიდან.

— ხომ დამთავრდა შესვენება, შე გაფუჭებულო...

— აკლია ჯერ... — მარცხენა ხელით წევს მარჯვენას, საათს უყურებს მშვიდად, აუჩქარებლად, — შემოვლა დაიწყება მალე და მაინც ვერ გაგატარებ...

— მამა, საავადმყოფოში რომ შემოდი, აბრას არ შეხედე?... — ვაშლს ჭამს საწოლიდან შიშველფეხებგადმოყოფილი ლალი.

— არ დავკვირვებივარ რატომღაც...— შვილის კარგადხილვით გახარებულია მიტრო.

— უნდა წაგეკითხა და მიხვდებოდა რატომ წვებიან აქ ქალები... — ჭამს და იცინის.

— ორმხრივ შემოდიოდნენ, ზოგი — იქით, ზოგი — აქეთ... რაღაი კარგადა ხარ რას ვჩივი, საავადმყოფო კიდევ საავადმყოფოა, რაც გინდა დაარქვი... რატომ დაგემართა მაინც?... საზამთრომ აწყინაო, შეიძლება არც იყო საზამთრო, თუმცა წელს ბევრი მოიწამლა საზამთროთი...

— საყვარელო მამა, რა შუაშია საზამთრო... — ვაშლის ნაღინჯარს დებს თეფშზე, ხელებს იმშრალებს თეთრი ტილოთი, — მოწამვლა ათასნაირია. ფიზიკური, სულიერი, საზამთროსმიერიც, წნევას ვინ გიზომავს?

— ნეტავი შენ.

— რას ჭამ?

— საზამთროს არა, ყოველშემთხვევაში, აზოტს უშვებიან ამდენს, ცრანებით წამლავენ...

— წახდა ბატონო, გლეხი, წახდა! — გაჯავრებულია დავერო.

დიდი აუდიტორია ამფითეატრად ირკალება შუადან. კათედრა და საპრეზიდიუმო მაგიდა დგას. კედელზე თეთრი დაფა და ატლასებია. ადამიანის შინაგანი ორგანოების ფერადი სურათები კიდია. პირამიდის წვეტში ლაშა ეზეკი ზის. ქვევით სხედან: ექიმები, პაციენტები, თვალებჩაცვენილი დუგლასი. ერთადერთ საწოლზე კაკვია ჩამომჯდარი ჟანგისფერი ხალათით. პროფესორ მანსვეტაშვილს ძინავს ამფითეატრში. ფშვინავს და არხევს ულვაშებს რიტმულად. წინასწარი პრეზიდიუმის მაგიდას ხელმძღვანელობს ქვათარაძე.

— იცნობთ? — ეკითხება კაკვის.

— ამას თუ ვიცნობ? — ენა დაებმება ჭობის დანახვაზე და ჟანგისფერ ხალათში გაცრის.

— შეგაცია?

— ისე რა!

— აქ არის ექიმი? — კითხულობს ზემოდან ლაშა ეზეკი.

— გახლავართ.

— უკაცრავად... ვერ შეგამჩნიეთ, ბრძანეთ!

— ყინვურმა მოვლენებმა არ გაუარა მთლიანად, სისხლი აჩვენებს ყინვის ნარჩენი წილადების ნაშთს... — ხიხინებს სუფთად ლოყებჩამოპარსული ჭიპა ექიმი.

— იცნობთ? — ქვათარძე კითხულობს.

— კაკვის? ერთად ვმუშაობთ... — მოკლე, სქელ მკლავებს ასავსავებს ჭობი.

— რა ხანია არ გინახავთ?

— გაყინული რომ ვნახე, მასუკან აღარ შემხვედრია...

— გასაგებია...

— ბატონი... — ჯოხს უმიზნებს შორიდან ლაშა ეზეკი.

— ნაომ სერბელაძე... — ეშველება ნაომი.

კაკვი: სასაფლაოზე ვნახე იმ დღეს.

ქვათარაძე: გკითხა შენ ვინმემ რამე?

კაკვი: არავინ.

დუგლასი სიგარეტს უკიდებს. აბოლებს. ეცინება. აზველებს.

მიხო და შიო შემოდიან, შემოსასვლელშივე დგანან არ იძვრიან.

— მეგაჯეები! სხვა აღარავინაა! — აცხადებს ვაშაკიძე. — მიდით წინ!

ვაშაკიძე და უშვერიძე ქვათარაძის გვერდით იკავებენ ადგილებს.

— წინასწარი ძიების გასაუბრებაზე ხართ? — კითხულობს ეზეკი.

— რა ვი რო!

— იცნობთ? — დუგლასისაკენაა ჯოხი გაშვერილი.

— რა ვი რო, ერთხელ ვნახე, ამოსულნი იყვნენ.

— იცნობთ?

— დიახ. — აღარ ეცინება დუგლასს.

— თქვენ?

— ნაწილობრივ. — პასუხობს სერბელაძე.

— ადასტურებთ ადრინდელს...

— დიახ. ამისაგან ვიყიდე.

ეზეკი (შინაურულად): როგორ ენდე?

— როგორ ვიფიქრებდი, — ფეხს ფეხზე იდებს, — დედ-მამის საფლავებს თუ გაყიდიდა!

— ნება მომეცით, არ ვუპასუხო! — თავს აქნევს სერბელაძე და დუგლასის მიჩერებია ნიშნის მიგებით.

— გაქვთ შეკითხვა?

— მე არა, — სათამაშოსავით ჩანს გრძელი მაგიდა ქვათარაძის წელსქვემოთ.

— ბრალდებულო დუგლასი, რა პრეტენზიები გაქვთ ძიებასთან? — თითქმის უზადოდაა ჩაცმული ეზეკი. მანტია კი სკამზეა გადაფენილი.

— სხვა განყოფილებაში უნდა გადამიყვანოთ... — ახალ სიგარეტს უკიდებს

— მიზეზი? — ტკაპანით დებს გეოგრაფიის ჯოხს კათედრაზე.

— აქ ხმები მესმის... დედაჩემს აწუხებენ კედელს იქით, ბავშვი მოყავთ დაკითხვაზე... მასმენინებენ მათ ხმას... შემდეგ: აპარატურა აქვთ ჩადგმული კედლებში, ჭერში, ძილში გალაპარაკებენ და იწერება ყველაფერი, განვიცდი გარეგანი ძალების აქტიურ ზემოქმედებას.

სიჩუმეა.

— მე გაკავებული ვარ? — მოულოდნელად კითხულობს ჭობი.

— ქალაქიდან გასვლის უფლება გაქვთ ჩამორთმეული! — უხსნის უშვერიძე ხმადაბლა.

— მე?

— მიბრძანდით დროზე!

— ვა! — მძიმედ მიდის.

— გაითვალისწინეთ, ბატონო ლაშა ეზეკი... — დინჯად იწყებს ჟანგისფერ ხალათში გახვეული კაკვი... — არც ერთი სიტყვა არ მითქვამს სწორი, ყველაფერი ძალით მათქმევინეს, ყველაფერი ძალით დამაწერინეს!

— ექიმი ცინცაძე!

— დიახ.

— გაუარა შეყინულობამ?

— ყინვური წილადები აწუხებს, გითხარი უკვე, ნარჩენ მოვლენებთან ერთად. გაიხადეთ შინელი...

— რა შინელი, კაცო!

— ხალათი, უკაცრავად... გაიხადე, გაიხადე...

— არჩილი არ მოვიდა? — ეკითხება ქვათარაძე ვაშაკიძეს.

— ოპერაცია აქვს დღეს...

— სია მათხოვე...

ერთად იხედებიან.

— გვიანდება, მურმან... უნდა ავიყვანოთ ეზეკი!..

— ცოტა კიდევ, მორჩა, ვიცი... გისმენთ! — ლოყებაპუტკუნებულ უწვერბო ლამაზ ექიმს უყურებს.

— მეორადი გაყინულებაა... — გაშიშვლებულ ზურგზე ადებს კაკვის რბილ თითებს, — პირველადი გაყინულებს უკუგება... — ბეჭებზე ელამუნება.

— ოპერაციის დამთავრებისთანავე... ორდენი აქაა, მთავარ ექიმს... ვინ გვრჩება? თქვენ განაგრძეთ! — საქალალ-

დეებს ხურავენ. ექიმსაც ეკარგება ახსნა-განმარტების ხალისი.

მინდვრის ყვავილებით მოჩითული ფერდობებია, ფერდობს იქით გაყვავილებული ასკილის ბუჩქები ჩანან. გიტარას უკრავს თეთრთმიანი, თეთრპერანგიანი, სახემომცინარი დუგლასი. გიტარის ჰანგები ეფინება რბილად გადალილოჭრებებულ გორას. ლალი მოდის მინდვრის ყვავილებში, მაღალ ქუსლებზე შემდგარს ეკეცება ხანდახან ფეხები. მსუბუქ ფერად კაბას უფრიალებს ნიავი. თეთრპერანგიანი დუგლასის გამოსახულება იშლება წყლის ზედაპირზე, იშლება, მთლიანდება. რატომ გაგითეთრდაო თმები, კითხულობს დანაღვლიანებული.

— გაახილე თვალი, თვალი გაახილე! — ლოყაზე უტყაპუნებს ხელს რუსიკო.

კვნესის, შფოთავს მაღალ საგორავ საკაცეზე დაწოლილი.

— მორჩა, გაახილე თვალი!..

— დედა!.. — თეთრხალათიანი ადამიანების გაორმაგებულ სილუეტებს ხედავს, სილუეტები ირხევიან, იბრიცებიან, ქრებიან და ჩნდებიან.

— გაახილე თვალი, ენა მაჩვენე, ეგრე, კარგადა ხარ, დამთავრდა, გავდივართ!

გრძელ დერეფანში მიაბიჯებს არჩილი. ასისტენტები და პრაქტიკანტები მისდევენ. ვიდეოაპარატით მიყვებიან ტელეჟურნალისტი და ტელერეჟისორი ნოე.

ნოე: როგორ ჩაიარა, ბატონო არჩილ, ორიოდე სიტყვით, სულ ორი სიტყვა!

— კარგად ჩაიარა, მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. — არ ჩერდება, ტემპში, რიტმში მიაბიჯებს ასაბიასთან ერთად მართკუთხა თავით.

დავერო და მიტრო:

— ბავშვობაშიც ჰქონდა შეტევა, მგონი, ამოვჭერით კიდეც, მოიცა... მეორედ ხომ არა, არა, ის ბესია იყო, ბესიას ამოვჭერით, მაგას გლანდები მოვაშორეთ. საწყალ დედამისს ყველაფერი ახსოვდა, რა დროა ახლა?

— ახლა არის... — მაჯის ვებერთელა, სექტორებად დაყოფილ საათზე იხედება, — თხუთმეტი საათი და ოცდათერთმეტი წუთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაბნევა მინდა მე კიდევ, გასაგებად მითხარი!

— გასაგებად რომ გითხრა, ოთხის ნახევარია მოსკოვის დროით...

— რაღა დროის მოსკოვია, კაცო!

— აქ რკინიგზით ანგარიშობენ... — კედლის მრგვალ საათს ადარებს, — იქაც ისეა, ჩემთანაც, მაჯიდან იხსნის და ჯიბეში ინახავს, — იგივეა ფაქტიურად... ახლა ხომ დრო ერთი საათით უკან არის გადმოწეული... ნამდვილი დროის შესაფერისად აღარ დავიარებით, საათები ასტრანომიულ დროს აღარ აჩვენებენ, თუმც ერთიდაიგივე გამოვა მაინც...

— ღამეა თუ დღე ამიხსენი!

— გარეთ? აქ, კი დღის განათებაა... მოიცა, მგონი, გამოყავთ. ხმა არ გესმის?!

თითქოს სახალხო მატარებელი შემოდის ცეცხლის ფრქვევით ჩაწყვდიადებულ სადგურში. მოხმაურობენ არჩილი და მისი ასაბია. ფეხზე წამომდგარი მიტროს თვალთა სისწორეზე გადიან ცარიელი ვაგონები.

ნუშის ფორმის თვალის ჭრილებია გაღებული, საიდანაც ცა ჩანს.

— როგორა ხარ? — ჩაძახის რუსიკო.

— ღირდა ამად?

— ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— კი?

— გინდა რამე?

— რა მიქენით?

— დაწყნარდი, შენ თავს შემოვევლე, რაც მთავარია, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, კარგადა ხარ, კარგად იქნები და ყველაფერი იქნება...

— კი?

— დაიძინე ახლა.

— რისთვის? — ნუშის თვალებს არ ხურავს.

— შენი სიკეთისათვის, შენი კარგად ყოფნისათვის... — შუბლზე კოცნის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმონის ნაჭერს უსვამს დახეთქილ ტუჩებზე.

დუგლასი მოდის. თეთრი, გულჩახსნილი პერანგი აცვია. მომღიმარია და ბედნიერი.

წამოდგომა უნდა.

— იყავით! — მოღუშული გეომეტრიული სახეა. არჩილია. მეორე ვინ არი. წყლის ზედაპირზე ირხევიან ნახევრადნაცნობი სახეები.

— შეეკითხეთ, დიდხანს ნუ დარჩებით!

ერთი გადის, მეორე ისევ თავზე ადგას. ლაშა ეზეკი უნდა იყოს. მწვანე სირმები და სამხრეები უჩანს ბეჭებზე მოსხმული თეთრი ხალათიდან:

— როდის გაიცანით, ბიჭიკო, იგივე ჟორა ოგანეზიშვილი?

ნაცნობი სახე აქვს, სადღაც უნახავს კიდეც. რაში ეკითხება ჟორა ოგანეზიშვილი? ვინ არი ჟორა, იგივე ბიჭიკო....

— ბიჭიკო, ჟორა, ბიჭიკო... — ტუჩებს უსველებს რუსიკო.

— ვინ არის ბიჭიკო ოგანეზიშვილი, იგივე ჟორა?

ნაცნობი ხმაა. მჟღერი, არაბუნებრივი სამაგიეროდ.

— ვინ არის?

— არ შეიძლება, ჯერ არ დაბრუნებია ცნობიერება, არ შეიძლება! — იმეორებს რუსიკო.

— ვინ არის ჟორა, იგივე ბიჭიკო ოგანეზიშვილი?..

— ჩემი მკვდარი ქმარია, არარსებული, მომკვდარი ქმარი...

— რა გვარია?

— ვინ?

— ჯერ არ დაბრუნებია ცნობიერება, არა გაქვთ უფლება!

— თქვენ მე უფლებას ნუ მასწავლით, ნებართვა აღებულია მთავარი ექიმისაგან!.. რა გვარია?

— ოგანე, ოგანეზი...

— ოგანეზიშვილი... — ეხმარება რუსიკო.

ეზეკი რუსიკოს მიჩერებია მკაცრად, გამაფრთხილებლად.

— რა უნდა? — რუსიკოს ეკითხება. უცხოს ველარა ხედავს. — რა [illegible] სად არის არჩილი?...

— ოჰ, მაგ საზიზღარი!.. — ლიმონს უმზადებს.

— დედა... ოგანეზიშვილი მოდის! — რუსიკოს ხმას გავს.

— ვინა? — ოფლით ეცვარება შუბლი.

— ბიჭიკო ოგანეზიშვილი, იგივე ჟორა, ქმარია, რაც არ უნდა იყოს, შენი...

— არ შემოვიდეს, არ შემოვიდეს!.. — წამოდგომას ცდილობს, — არ შემოვიდეს!

გალურჯებული, ცალ მხარეს ლილისფერდადებული, წელზევით შიშველი ოგანეზიშვილი მოდის მაინც. საშინელი ხმით კივის ლალი. ოგანეზიშვილი ტოვებს პალატას, დერეფანში მიდის, ესალმება მიტროს, ესალმება უკან მობრუნებულ დაველოს, ყველას ესალმება. გზას უთმობენ, კედლებს ეწეპებიან. ოგანეზიშვილი მიდის, სააქტო დარბაზისაკენ იღებს გეზს და იკარგება.

— ვინ იყო? — კითხულობს შეცბუნებული მიტრო ღამის სააავადმყოფოს რძისფერ სინათლეში.

დაველო (ღრმად ჩაფიქრებული): წარმოდგენა არა მაქვს!

— ვინ იყო ახლა აქ? — სახე აქვს აპარპალებული ლალის.

— ახლა არავინ.

— ვინ იყო, მითხარი!

— არჩილი იყო ადრე, შემდეგ ეზეკი...

— კიდევ კიდევ!..

— მეტი არავინ.

— მითხარი, ვინ გავიდა, ახლა ამ წუთას?!

— არავინ, შენ თავს შემოვევლე... რაღა ვქნა, იწვის!..

— ვინ იყო, მითხარი!

— არავინ, ახლავე ნემსს მოვიტანთ... დაწყნარდი... — შუბლზე კოცნის. — ახლავე!

აფორიაქებული გადის.

— არ დამტოვო!

კაბინეტში ყვირის არჩილი. ხმა გამოდის გარეთ და მისაღებში ფეთავს მდივანი, საბეჭდ მანქანასთან მიკუნტული გალეული გოგონა!

— სიცხე არ ჩამოდის ძირს და თქვენ მე ნუ მიყვირით!

— ნუ აპანიკებთ ხალხს, თავდგმურებს, თანამშრომლებს, აგიხსენით, ეგრე ვითარდება მეთქი, სიცხეც თავისთავად დაუწევს და პროკურატურა მე არ მემორჩილება!

— კარგად იყოს ოღონდ და თქვენ ყვირილსაც ავიტან, ამდენი ამიტანია!

— გამოძვრება მაქედან... ანალგინის ნემსი მხოლოდ, მეც აქა ვარ ამაღამ!

მაინც უკმაყოფილოდ გამოდის რუსიკო, არ აჯახუნებს, მაგრამ მოურიდებლად ხურავს კაბინეტის კარსაც.

ქალის გადიდებული ფოტოსურათია კედელზე. იგი გარდაცვლილია. გადაღებულია სიკვდილის შეგრძნებისას. ღიმილს წასვლის სევდა და დასატოვართა დარდის მწუხარება ახლავს. გაბაშვილების ბინაა. ერთად არიან ოჯახის წევრები, ახლობლები.

რუსიკო:... სრულიად უმტკივნეულოდ ჩაიარა, მიტრო ბიძია, უკვე კარგად არი, ორ-სამ დღეში ფეხზე წამოდგება.

— მე რატომ არ გამაგებინეთ, ასე რთულად თუ იყო საქმე! — სავარძელშია დაპატარავებული.

— გართულდა, ბატონო, ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ!.. — ოთახში ბოლთას სცემს დავერო, თავწახრილი დადის, გასაღებებს აჩხარუნებს ნერვებისმომშლელად.

— ბრმა ნაწლავიო, დავიჯერე მეც, ერთხელ ამოვჭერით ბავშვობაში და მეორედ ამოუვიდოდა!..

— ბესოსაც არ ვუთხარით, რომ არ ენერვიულა.

— თფუ! — გარეთ გადის დავეროს ვერსიით გაოცებული ბესო.

— ესეცაა რა! — ხელს წევს ბესოს მისამართით გასაღებებს ჯიბეში ინახავს, — ახლა საქმე რაშია, რუსიკო, მაჩვენე! — ავადმყოფობის ისტორიას ჩამოართმევს, მაგიდაზე გადაუშლის მიტროს... — ხელი თქვენს მაგივრად მოვაწერე და...

— რაზე მოაწერე ხელი?

— ოპერაციაზე თანხმობა მივეცი, დრო აღარ ითმენდა, პერიტონიტი განვითარდეს შეიძლებაო, ნაღვლის ბუშტი გასკდომაზე ყოფილა, კენჭები ამოყარეს თითის სიმსხო...

— პატიოსნად რომ გაგვზარდე ვითომ და ცხოვრების გზა რომ არ გვასწავლე... — უკან შემობრუნებულ ბესოს კურტაკის სახელოში აქვს ცალი ხელი გაყოფილი, — რამდენი რამე დაგვაკელით შენ და დედაჩემმაც... — პირჯვარს იწერს, — სხვაზე ნაკლები რით ვიყავით! მე ვერ ჩავჯდებოდი აქამდე! — ყელზე ხელს იდებს, კურტაკის ღილებს იკრავს, გადის და თმას ისწორებს ჰოლში.

— რაში ჩავჯდებოდიო? — კითხულობს მიტრო.

— ვირის ნეხვში, — ხმადაბლა ამბობს დავერო.

— ფულში, — კარი შემოუღია ბესოს, — დამთავრდა ეგ ცხოვრება!

— მართლაც დამთავრდა! — ამბობს მიტრო. სადარბაზოს კარის ჯახანი და ლიფტის ხრიალი ესმის.

— წავიდა? ეს რა არი... თუ კი მოაწერე, მე რაღა უნდა გავაკეთო?

— ახლა ყველაფერს ამოწმებენ, ხომ იცი, რა დრო დადგა, შეიძლება რაიმე გკითხონ, შეიძლება დაგიძახონ...

— ეგღა მაკლდა... ქალთა პათალოგიის.. გინეკოლოგიური განყოფილება...— ნაწყვეტ-ნაწყვეტ კითხულობს, — გინეკოლოგიური რა შუაშია, აქ წევს... რატომ?

— ორსულადაა, მიტროფანე ბიძია, მხოლოდ არავისაგან არ არის... — ამშვიდებს რუსიკო.

— მოიცა, მოიცა, ტვინი არ ამირიოთ, ისედაც არეული ვარ...

— ამას ისე ვამბობთ, ბესომ არ გაიგოს, საქმეს ჭირდებოდა... ლალის ხომ ხელი აქვს მოწერილი პირველ ქმართან, პირველი რა იყო, არც პირველი იყო,

არც მეორე, არც იცნობდა, მემკვიდრეობის გამო გაკეთდა, ასე შვება ახლა ყველა...

ბესო შემოვარდება ფეხიანივით.

— შენ არიე, ბიძაჩემო, ყველაფერი!

დავერო (უაღრესად გაოცებული): მე?!

— ყველას პასუხს მოგთხოვთ, მარტო შენ კი არა, ყველას, ყველას, მთელ კაცობრიობას! — პისტოლეტს იკვეხებს ქამარში, — წადი რა, მიხედე შენ სასაფლაოს, მოცეკვავე კაცს რა ეშმაკი გინდოდა სასაფლაოზე, ღმერთი აღარაა!.. — გადის.

— ...შენგანაც ბევრი მჭირს, შვილო, მაგრამ არც შენ გადანაშაულებ... აწი რაღა ვქნათ?!. ასე წავიდა ჩვენი საქმე?! იმიტომ კი არ გყვებოდით თან, იმიტომ კი არ გელოლიავებოდით, რომ ის გეკეთებინათ, რაც მე მინდოდა, რაც მე გამეხარდებოდა, არა, სულაც არა. რაც თქვენ გინდოდათ, რაც თქვენ გიხაროდათ ის მახარებდა, ბევრი დაგაკელით და მაინც არ ვიყავი ამის ღირსი... მაინც მადლობელი ვარ, უფალო, ყველაფრისათვის მადლობელი ვარ... — ქოლში ეხვევა, იკუნტება.

— იწვება ქვეყანა, ბიძია, რა შვრები.

— მე მცივა, რუსიკო... თქვენ გებარებოდეთ ორთავე, ლალი და ბესო!

— კარგი რა, ბიძია!

ქალთა პათოლოგიურ სნეულებათა გიორგი ფულავას სახელობის ექსპერიმენტალური ინსტიტუტის მთავარი ექიმის კაბინეტში ტელევიზორია ჩართული; ზღვის შრიალზე და დამამშვიდებელი მუსიკის ხმაზე ლაპარაკობს კაშპიროვსკი. კაბინეტში ერთგვარი ნეტარებით სხედან: არჩილი, ქვათარაძე, ლაშა ეზეკი, რუსიკო, ნოტარიუსი გაბადაძე, დავერო.

არჩილი (მშვიდად): თქვენ რასაც სისულელეს ეძახით, ის სისულელე შედგა. ველოდებით შედეგს. რა არის ამ ფაქტში უჩვეულო, ჩემთვის პირადად, გაუგებარია. ქალს სურდა დარჩენოდა გარდაცვლილი ქმრის ქონება და შვილიც მემკვიდრედ, სიყვარულის, პატივისცემის ნიშნად, სამახსოვროდ თუნდაც, ბუნებრივი მოთხოვნილებაა. საზოგადოებამ იცის, რომ იგი ფეხმძიმედ დარჩა ქმრისაგან, რასაკვირველია. ქმრიანი ქალები დგამენ ამ ნაბიჯს, ჩვენთან მოდიან უკვე დასაფეხმძიმებლად ქმრებთან ერთად, ქართველი ქმრები თანხმდებიან დონორზე, მკაცრი საიდუმლოების დაცვით მხოლოდ.

— გასაგებია... — აწყვეტინებს ქვათარაძე. — გქონდათ ამის გაკეთების უფლება?

— რასაკვირველია. აქა მაქვს ავადმყოფის თანხმობა, მშობლის დასტური...

ლაშა ეზეკისაკენ აჩოჩებს „მშობლის დასტურს“. ლაშა უყურებს, ხელს არ კიდებს.

— დარწმუნებული ხართ, რომ მამაა ამ ფაქსიმილეს ავტორი?

— ხელმოწერა დადასტურებულია...— გაბადაძესკენაა გაშვერილი ნიკაპი.

ეზეკი: თქვენ ნოტარიუსი ბრძანდებით?

— დიახ.

— გვარი.

— გაბადაძე ნიკოლოზ ერმილეს ძე, ომის ვეტერანი.

— თქვენ მოაწერეთ ხელი ამ აქტზე?

— ნაწილობრივ.

ქვათარაძე (რუსიკოს): მამაა ეს?

დავერო: ჩემზე ამბობთ?

რუსიკო: აღმზრდელი, აღმზრდელი ბიძა.

ეზეკი: ვინ იქნება ექსპერიმენტით თუ ექსპერიმენტალურად ჩასახული ბავშვის მამა, იურიდიული სტატუსი გამოვრიცხოთ, თუ იგი მართლაც დაიბადება?

მშვიდად იხსნის არჩილი სათვალეს, აუჩქარებლად წმენდს გაქათქათებული ცხვირსახოცით ზღვის შრიალზე და კაშპიროვსკის ხავერდოვან ხმაზე. ყავარჯენი უვარდება გაბადაძეს საშინელი ხმაურით. ყურს არ ათხოვებენ. გაიგონეს თუ არა ეს ხმაო — თვალებს აცეცებს გაბადაძე. რუსიკო ყავარჯნებს აწოდებს.

— მადლობთ, გენაცვალე!

არჩილი: მამა დონორია, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ, არ იცნობს დედა და არ იცნობს მამა, რომელიც, ამ შემთხვევაში, აღარაა ამ ქვეყანაზე. გვაქვს მხოლოდ დონორი მამის ბიოლოგიური მონაცემები; სიმაღლის, ფერის, სისხლის შემადგენლობის, ასის ზომის დამადასტურებელი საბუთები, ანკეტა...

ქვათარაძე: გასაგებია, რა ასოთი, უკაცრავად, რა გვარით მოევლინება ქვეყანას?

— ეს შეკითხვა ცოტა უადგილოა, ბოდიშს ვიხდი, ოგანეზიშვილად, ცხადია, მგონი, ამისათვის კეთდება ყველაფერი. ბავშვი ხდება მემკვიდრე, დედას რჩება ქმრის დანატოვარი, რაც თუ მცირე ქონება, ეს კარგად მოგეხსენებათ და ეგ არცაა მთავარი... მსოფლიო მნიშვნელობის ექსპერიმენტთან გვაქვს საქმე, დიდად გახმაურდება თუ ყველაფერი წარმატებით დაგვირგვინდა, რასაკვირველია, პროგნოზებისაგან, საკაცობრიო მნიშვნელობით რომ განისაზღვრება, ჯერჯერობით თავს შევიკავებთ... თუ კი დედა, ისევ თქვენ შეკითხვას ვუბრუნდები, შვილს სხვის გვარზე დაწერს, დაკარგავს ალბათ მემკვიდრეობას...

— დაახლოებით! — ყავარჯნის მდგრადობას ამოწმებს ცალი თვალით გაბადაძე.

— ეგ მე უკვე აღარ მეხება...

უცნობ ტელეკომენტატორთანაა დარჩენილი. მიკროფონი უჭირავს ართვალ, ბობრ, ენერგიული გამომეტყველების, დაბალი ტანის ქალს.

— ...ეს მეთოდი, ექსპერიმენტის მოჩვენებითი სიმარტოვის გამო, მასიური გახდება, იგი განხორციელდება ამბულატორიული წესითაც, რამაც შეიძლება სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს...

— ადამიანთა ხელოვნურ გამრავლებაზეა ლაპარაკი?

— ეს ტერმინი მთლად ზუსტი არაა...— სათვალეს იხსნის, — ბავშვი ისახება ხელოვნურად და გადაინერგება დედის საშოში, სადაც დაჰყოფს ხუთ, ექვს თვეს...

— გამართლებული იქნება ეს მეთოდი?

— მომავალი დაგვანახებს...

— საშიში არ არის?

— გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, როგორც ყოველგვარი ოპერაცია და საშიშია დამოუკიდებლობადაკარგული ერი სხვა ერში. სწორედ იქ ბუნებრივ პირობებში იბადებიან: სტალინი, ბერია, შევარდნაძე და იწყება მსოფლიოს ახალი გადანაწილება, არსებულის დემონტაჟი, უგულებელყოფა სიბრძნისა — რაც არსებობს გონიერია. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მოჩვენებითი ბრძოლა შეანელებს ამ პროცესს — დამოუკიდებლობა დაკარგული ერის შვილების სხვა ერებში მოღვაწეობას; ეროვნული ენერგია დაიხარჯება ეროვნულ, სინამდვილეში ხელისუფლებისათვის, ბრძოლაში და პიროვნების პოლიტიკურ ექსპორტს ადგილი აღარ ექნება... ერი ან სულ თავისუფლებისათვის უნდა აომოთ, ან უნდა გაანთავისუფლოთ, ჩაკეტოთ საკუთარ ნაჭუჭში, საკუთარ გალავანში, ეს გადაგარჩენთ...

ართვალი რუსი ქალი (გულგრილად): მადლობთ საინტერესო საუბრისათვის.

ქვათარაძე. ვაშაკიძე. უშვერიძე.

— ეზეკი, თუ დროზე არ ავიყვანეთ, შეეცდება სწრაფად დანიშნოს სასამართლო, რათა, როგორც ჩაფიქრებულია, პასუხისმგებელი გახდეს ქალი და გათავისუფლდეს სასამართლოდანვე ორსულობის გამო.

— არჩილი უნდა აგვეყვანა.

— რატომ არ გამაფრთხილე, რა ოპერაციას აკეთებდა!

— გითხარი, აიყვანე-მეთქი!

— აიყვანე კაია, ბუნტურის ცოლს მკურნალობს, ყოველდღე იქ უზის...

— მაინც ვერ გავიგე, რა საჭირო იყო ეს ყველაფერი.

მანქანაში სხდებიან.

— ეს ვინ არი, გვისმენდა?.. მოდი აქ, რას აკეთებ აქანე? — დამცინავად მიჩერებია ვაშაკიძე ვალოდი მწოვანს.

— აქანე **ბატონო იმას ვაკეთებ**, რომ არ მიშვებენ შითე! — განგებ უქცევს, თითქოს უამისოდ არ ეტყობა იმერული.

— მიეცი საშვი, ნუ ელაპარაკები, — მანქანას ქოქავს ქვათარაძე.

— აჰა, — ფანჯრიდან უწვდის უშვერიძე, — შედი და თუ გინდა დილამდე იყავი!

— დილას რომ მოვიდე?.. — უკვე დაიბნა.

— დილას მოდი!

მაღალჭერიან პალატაში, სადაც ერთი საწოლი დგას, ბევრი სინათლეა და გაუნელებელი შიშია ჩაბუდებული.

რუსიკო მაჯას უტრიალებს ლალის.

— რა გაქვს, მომეცი, რა დამალე!

— არაფერი არა მაქვს, თავი დამანებე!

— მომეცი, ახლავე მომეცი! — იოდის შუშასართმევს. ღია ფანჯრიდან ისვრის ეზოში, — არანორმალური!

— სულერთია, არ გავიჩერებ ამ სისაძაგლეს! — საწოლზე დგება და ხტის, ზამბარებს აჭრაჭუნებს, იცინის არაბუნებრივად.

— თეიმურაზია მორიგე, სირცხვილია, დაწყნარდი, შეიშალაო იტყვის!.. — ფეხებზე ეხვევა რუსიკო.

— არ გავიჩერებ, სულერთია, არ გავიჩერებ!.. საწოლზე ეცემა, ბალიშზე თავგადაგდებული სუნთქავს ღრმად და არათანაბრად. — შენ დაგიჯერე, შენ გამიკეთე!.. — აცახცახებს, ისტერია ჯაბნის.

— აბა ახლა, თავს ნუ გაგივიდა, სად გგონია თავი! — სახეზე ურტყამს. ლოყაზე სილის ტკაცანის ხმა გადის დერეფანში.

თვალებგაფართოებული მიჩერებია ლალი, აღარ კანკალებს, ხმასაც ველარ იღებს.

— შენი გულისათვის, ეს არის ხსნა შენი, სხვისიც... უკვე დამიძახეს,, ქალაქიდან გასვლის უფლება აღარა მაქვს.. მე არ მეშინია, რა უნდა მიქნან, შენ სხვასაც დალუპავ, შენს მაგივრად წავალ, ორი ქმარი გამოვიცვალე და სამი საყვარელი ბოლოსდაბოლოს!

— რატომ, რუსიკო, იყო შენ აუცილებელი?! — თვალგაშტერებულია, აუჩქარებლად სუნთქავს.

— არ ვიცი! — თმას ისწორებს აწითლებული რუსიკო, — თმის სარჭები უჭირავს პირით. — თეიმურაზი მოდის, თვითკმაყოფილი თეიმურაზი, ზედმეტი არაფერი უთხრა!

— არა!

— ახლა მაინც გამიშვი, დამთავრდა სამუშაო დღე! — არ ეშვება საავადმყოფოს მეკარეს ფეხებდასიებული ქალი.

— ქალბატონო, კანონს ხომ ვერ დავარღვევ!.. — ზის და ცალი ფეხი აქვს გახერგილი ღია კარში.

— შე გათახსირებულო, ხომ მოგეცი ფული იმ დღეს!

— ტალონი.

— მერე?!

— გადი ქალო, თავი დამანებე, მართლა არ მომშალო, სად შეგაქვს ამდენი საბანი?!

— სადაა საბანი, მუთაქა მომაქვს.

— მითუმეტეს...

— რატომ არ უშვებ? — ეკითხება შემოსწრებული ბესო.

— ვინ არ უშვებს, შიგ არაა სულ! — ფეხს ჩამოუშვებს და წამოდგომასაც იკადრებს ცალხელწართმეული, წითური მეკარე.

ლუდს სვამს კარსუკან პატარა მაგიდასთან მიმჯდარი, ცხვირაწითლებული მოქალაქე — დიპლომანტთა პარტიის წარმომადგენელი.

— მობრძანდით თქვენ! — ბალიშ-მუთაქიან-ჩანთებიან სქელ ქალს ატარებს და თავადაც შედის.

— ვაი, მაგი გადაშენდა! — კიბის პირველ საფეხურზევე ხვნეშის ქალი. ბესო ლუდის ნახევრადსავსე ბოთლთან დარჩენილ ცხვირწითელა მოქალაქეს უყურებს. მზერას გრძნობს და თავს არ წევს ლუდის მსმელი.

— ეროვნულ-დიპლომანტთა წარმომადგენელს თხოვენ!

— ოჰ, ბესოს გაუმარჯოს!

— წამომყევი!

— მე?! — უაღრესად გაოცებულია.

— შენ!

— ემ საათში! — ჩარჩენილ ლუდს სვამს. წინწასულ ბესოს აყოლებს თვალს, მეკარეს ხელებით და თითებით ანიშნებს ამის დას ის ამას უშვრებაო.

— მოდიხარ?!

— მაშ, კაცო!

წვერგაუპარსავი დუგლასი გულგრილად ათვალიერებს სააქტო დარბაზს. კედლებს ატლასებს, ამფითეატრის სკამებს. საწოლზე ჯდება.

— აქეთ გადმობრძანდით, თუ შეიძლება! — სკამზე უთითებს პრეზიდიუმის მაგიდასთან მოკალათებული ქვათარაძე.

ჯდება და მისდაუნებურად სკამიანად აპირებს წინ წაჩოჩებას, სკამი არ მიყვება, მაგრამ აღარაფერი უკვირს, იდაყვების ჩამოსადებს ეძებს თითქოს და ბოლოს ფეხი-ფეხ გადადებული რჩება. ქვათარაძე ამთქნარებს, უზარმაზარი ღრანჭები ებრიცება, მაგიდას ასუფთავებს, წნევის აპარატს წევს გვერდზე.

— კაცი არა ხარ, თქვი სადა გაქვს... — ისევ ამთქნარებს, — ბოლობოლო ხომ ვნახავთ, სანამდე გინდა იყვე ამ დღეში, თუ გადაადვნე, ჯანდაბას, აღარ დავეძებთ, კუპიურეები დალპება, დაიშლება, მაგვანიშნე და გადაგარჩენთ, მენდე!

სიგარეტს იღებს, ფეხი ფეხზე გადადებული აბოლებს ხმისამოუღებლად. უძინარი ქვათარაძე ამთქნარებს უკვე ხმით. ლაშა ეზეკი შემოდის და ქვათარაძის გვერდით ჯდება. საქაღალდედან თაბახის ფურცლები ამოაქვს, საწერკალამს იმარჯვებს:

დროით არა ვართ შეზღუდულნი! — ნათქვამის განსამტკიცებლად საათს იხსნის და მაგიდაზე დებს თვალსაჩინოდ.

ქვათარაძე: ჩვენ გისმენთ!

აუჩქარებლად ასრესს სიგარეტს იატაკზე დადებულ საფერფლეს, მძიმედ და ნელა იწყებს შემდეგს:

— ...ყველა ჩემს მოქმედებას, რამდენიმე ხანია, წარმართავს გარეშე ძალა. ამის შესახებ მოგახსენეთ, დავწერე კიდეც... ჩემს აზროვნებას კოორდინირებას უკეთებენ ჩემს საწინააღმდეგოდ, ჩემი ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად... ამიტომ ჩემი ჩვენებები, განცხადებები, თხოვნები ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავია ხშირად, ყველაფერს ვწერ სხვისი კარნახით...

სწრაფი ნაბიჯებით შემოდის პროფესორი მანსვეტაშვილი. ორივე ხელს კიდებს შლიაპის განიერ ფარფლებს, თავი გამოაქვს შლიაპიდან და ქვათარაძის გამოჩოჩებულ სკამზე ჯდება.

— თავიდან ხომ არ დავიწყოთ?

— რასა ბრძანებთ, პირიქით!

ვიწრო და გრძელ სარკმელს ცხვირგაწითლებული ეროვნულ-დიპლომანტი მოდგომია დამცინავი გამომეტყველებით.

— რა გინდა?! — აგდებულად ეკითხება ქვათარაძე.

— ეძახიან, ფუროსო! — დუგლასის მიაპყრობს მზერას, შემდეგ ნიკოტინით გაყვითლებულ საკუთარ თითებს დაუწყებს თვალიერებას.

— ამას? — თავად ქვათარაძე იბნევა.

— მაგას!

დუგლასი უკითხავად დგება ეროვნულ-დიპლომანტის წილ სარკმელში ჰყოფს თავს, იქაურობას ათვალიერებს. ქვევით, სადღაც ჩავარდნილში საოპერაციოდ გათარანებულ კაცს მიაგორებენ რბილად. დამძახებელი აღარა ჩანს და სხვაც არაა იმ ახლო-მახლო და კედელს მოფარებული ბესოს ხელი დააცხრება საყელოში. დუგლასი თავს ველარ იძვრენს, სარკმლიდან რახა-რუხი ისმის, კედლებზე ახეთქებინებს თავს და სახეს. — ბესო, გესვრი! — ეძახის ვიღაც ქვემოდან, მაგრამ ჩაჩქა-ჩუჩქი არ წყდება — გესვრი, მე შენი დედა!

სახეგასისხლიანებული პირსაბანზე იბანს. სარკეში აკვირდება ჩაწითლებულ ლაწვებს, წარბებს, ნიკაპს.

— შემოვლენ დაგიმუშავებენ სახეს, ეს შეხვედრის ნებართვაა! — პირსაბანზე, საპონთან უდებს ეზეკი ქაღალდს და აუდიტორიას ტოვებს. დუგლასი ქვათარაძის წინ ჯდება და გამალებით იწყებს წერას.

— არა. აღარსად აღარ მიმეჩქარება.,.

— აიღეთ რაც გეკუთვნით, სულ წაიღეთ და დამანებეთ თავი! — წერის დროს ლაპარაკობს.

— კაი დროისაა! — ამთქნარებს ქვათარაძე, — ვინ შედის და ვინ გამოდის ამ დაწესებულებაში მე მაინც ვერ გავიგე, აქ მოაწერე ხელი, აქაც, აქაც. ნება გეძლევა ექიმის თანდასწრებით.

ლალის სრული კაბა აცვია. სახეზე ატყვია ორსულობის პირველი ნიშნები. პალატის ღია სარკმლიდან ჩიტების გალობა შემოდის. მსუბუქი ნიავი არხევს გამჭვირვალე, ცისფერ ფარდებს. თეთრპერანგიანი, ფერდაკარგული დუგლასი ზის პალატაში. ლალი სველ ნაჭრებს ადებს ჩალურჯებულ სახეზე, წარბზე შემხმარ სისხლს წმენდს, ჩალეკერტებულს აშორებს პინცენტით, თმას უსწორებს, თმაში უჩერებს თითებს.

— როგორ გრძნობთ თავს! — მანსვეტაშვილის დიდი ულვაშები ირხევა ფანჯრიდან შემოსულ ნიავში.

— ხმები მესმის კვლავ.

— ეგ ხომ ვიცოდით..

— ჩემი ოჯახის წევრები ლაპარაკობენ მაღალი სიცხით...

— ტემპერატურითა, მართალი ბრძანდებით, თქვენი ოჯახი სად არი?

— ჩემს სახლში.

— ძალიან კარგი, აბა თავი აწიეთ!

ლალი ხელს არ უშვებს. მანსვეტაშვილი გუგებს უმოწმებს...

— ერთი მიბრძანეთ, რა ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფებით?.

— სამხედრო-საზღვაო აკადემიის აღმოსავლეთ ქვეყნების განყოფილებაში...

— წავედი ჩემთვის...

— გაუმარჯოს ეროვნულ მოძრაობას, ჩართულია აპარატურა! ვიზიტი დამთავრებულია, შენი ძმა იდიოტია, მიპატიებია.. მე არავინ არ მაპატიებს, შენს გარდა არ მეკუთვნის...

წნევას უზომავს რუსიკო მიტროს.

— არ არი მაღალი, სლავა ბოგუ! — ტუმბოზე დალაგებულ წამლებს ათვალიერებს, — ლალი კარგადაა. ესენი გადაყარე, იღებ რომელიმეს? — შინდისფერფრჩხილებიან თითებს ურევს წამლის კოლოფებში, რეცეპტებში, — გადაყარე. ლეიბიც აღარაა საჭირო, მიაქვთ, საცაა მოვა არჩილი...

— არ უნდა მივიღო არაფერი?

— არაა აკაკიევიჩ, საჭირო, — სამაჯურს იხსნის, — ეს გაიკეთე, რადიკულიტზე მჭირდებოდა, მაგრამ წნევას არეგულირებს სინამდვილეში...

— არ მინდა, ბიძია, აღარაა საჭირო, — მუთაქებს ისწორებს, — სიბერეში რომ ფანდურს ისწავლი, საიქიოს დაუკრავო, ნათქვამია...

უკითხავად შემოდიან ტელე-აპარატურა შემოაქვთ.

— ბოდიშს ვიხდით, თქვენ იყავით, ბუნებრივია უფრო! ჩქარობს ნოე.

— რა ხდება? — წამოჯდება მიტრო.

— წარმოდგენა არა მაქვს! — ამბობს რუსიკო.

დავერო: რაშია, მეგობარო, საქმე?!

გამნათებელი: შემოიტანეთ და კაბელი წვდება თუ არა არავინ კითხულობს!

ქვათარაძე. ვაშაკიძე. უშვერიძე. ფოტორეპორტიორი. — ბატონო მიტრო, თუ შეიძლება, აქეთ გადმობრძანდით — სავარძელზე ათითებს ნოე. მიტრო ისედაც სავარძელში ჯდებოდა.

— რაშია, მეგობარო, საქმე?! — უკვე გაუბედავად კითხულობს დავერო.

უშვერიძე: ერთი აქეთ მობრძანდით, ბატონო მიტრო, აკაკის ძე არა?

— დიახ, აკაკის ძე!.. — თავბრუდახვეულს ჰგავს.

— აკაკის ძე... — მარცვლავს ვაშაკიძე, — აქეთ მობრძანდით, თქვენ აქ დადექით, შემოვიდეს.

გაგულისებული მოდის ჭობი, მიტროს საწოლს აპირდაპირებს.

— წავედით! — ყვირის ნოე.

ვიდეოკამერებსაც რთავენ. ჭობი თითს არჭობს მიტროს ლეიბში. ლეიბს აშიშვლებენ.

— კოდითაა! ხსნიან. ჩაპრესილი დოლარების ერთფეროვანი ხალიჩაა. მუნჯდებიან ცოტა ხნით. ტელეკამერის ბჟუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია. ერთი თეთრხალათიანი კაცი, მორგის სანიტარს რომ ჰგავს, პუდრივით ფხვნილს აყრის სავარაუდო თითის ანაბეჭდებს; რულეტ-სანტიმეტრით დოლარების ბალდახინს ზომავს შემდეგ სიგრძე-სიგანეში.

— ნარკოტიკები ცალკე გადაიღეთ! — ისმის ნოეს ხმა.

— ამ ლეიბით მკურნალობდით? — კითხულობს აკადემიკოსი მიტროფანე გაბაშვილი· მანგანუმის ალი უნათებს დაღარულ სახეს.

— ჩხაკ! — იძახის გრძელლულიანი ფოტოაპარატი.

დავერო: საიდან უნდა გაჩენილიყო ლეიბში ფული, გადასარევი ამბავია. — ვაშაკიძეს მიჩერებია.. — არც ღირს, მე რომ მკითხოთ, გახმაურება... წაგელოთ, ქერივ-ობლებს მოხმარდება.

ვაშაკიძე (წერს): ადრე უნდა გეფიქრათ ქვრივ-ობლებზე...

ბუნტურს ხომ არ დავურეკო!

— კაი დროსაა! რა გაახარებთ ბუნტურს!

საალლუმო-საზეიმო ხმები ისმის. ვიღაც ყვირის შორს. ვიღაცეები ყვირიან.

— გაუმარჯოს და ელ სალოს... ქარი გრეხს ხმებს...

— ვაშაა!

— გაუმარჯოს ეროვნულ პერპემდუმობილეს, ვაშაა!

მუსიკა უკრავს.

— ვაშააა!

— ვაააა!..

ამფითეატრად განლაგებული დიდი საა̃ქტო აუდიტორია. ქვევით კათედრა. ზევით მორკალული თეთრი დაფა, კედლებზე ადამიანების შინაგანი ორგანოების ფერადი ატლასები.

საქ-ტელევიზიის თანამშრომლები ფუსფუსებენ. დანარჩენები იქ არიან. გარედან საალლუმო მუსიკისა და გამარჯვების შეძახილების ხმები შემოდის.

— თქვენი ხელმოწერაა? — საქაღალდეში თავჩარგული ეზეკია

— ჩემი ხელის მოწერაა, — სრულად პასუხობს დავერო.

— სტოპ! — ყვირის ოპერატორი·

— რა იყო, ტოლია?! — ნერვიულობს ნოე.

— ფირი გათავდა.

— კიდევ?

— მეორედ ვათქმევინებთ აწი ამას! — წუხს ვაშაკიძე.

— მესამედ ვიტყვი, რა მაქვს დასამალავი!

— მამა ხარ შენ?

— რატომ არა ვარ, გაზრდილია ჩემი·· მამა ვარ, ფაქტიურად, აბა რა ვარ!

აივნის კარი ღიაა. ფანჯრებიცა. ნიავი არხევს ფარდებს. გადიდებულ ფოტოპორტრეტს ხან გადაებურება ფარდა ცისფრად, ხან ჩამოეხსნება. ბესოა ოთახში გახევებული. არეულ-დარეულობას ჩაუგდია საგონებელში. გამოღებულია კარადის კარი, გამოყრილია უჯრები, აშლილია ქვეშაგები· ქაღალდებგადახვეტილ საწერ მაგიდაზე თეთრი ფურცელია დარჩენილი. დაჩერებია. კითხულობს:

შვილებო, მაპატიეთ, მივდივარ, არ ვიცი — სად!

დედის სურათს გამოწევს ფრთხილად, უკანა მხრიდან დახედავს თითქოს იქ ეგულება შემაშფოთებელი ტექსტის ავტორი.

— მზადა ვარ! — ყვირის ტოლია.

— ვიმეორებთ, ბატონო დავერია! — იძახის ნოე.

— მე მივიდე? — კითხულობს თამილა.

— შენ გამოდი აქეთ, ამას ვის გადავეკიდე!

— გაზრდილია ჩემი ფაქტიურად და მამა ვარ აბა რა ვარ!.. — იმეორებს დავერო. შუქი მატულობს ჯვარედინდეზიან პროჟექტორების სინათლეები და ლალი ჩნდება გასხივოსნებული·

— გვარი, სახელი, მამის სახელი!

— ლალი, მიტროს ასული გაბაშვილი.

თეთრი კაბა აცვია გრძელი და ვიწრო. დახეთქილ წითელ ტუჩებს ენის წვერით ისველებს შეუმჩნევლად.

— ასკილის სახლიდან?

— დიახ.

— ცნობილია თუ არა თქვენთვის დაბა ნიქორიაში, მენალმეთა დასახლებაში

დატრიალებული უბედურების შედეგი და გამომწვევი მიზეზები?

— შედეგი ვიცი, მიზეზები...

— თქვენს ანალიზებს კავშირი აქვს ამ ფაქტთან?

— ალბათ აქვს.

— ხელის მოწერები თქვენია?

— ჩემია.

— დაფიქრდით.

— ჩემია.

— ეს კაცი მამაა?

— ბიძა. დედის ძმა.

— მამა არის თუ არა?!

— არ არის!

— არ დაჯდეთ, მხოლოდ ერთი წუთით!.. ბატონო თეიმურაზ!

მოწმე-მეთვალყურესავით ფეხზე გაჩერებული თეიმურაზი დაიძვრება გაპუტკუნებული ლოყებით.

უახლოვდება ლალის.

— გასწორდით, კიდევ ხელები აწიეთ, ჩამოუშვით, მადლობთ!

— ცუდად ხომ არა ხარ? — სკამი მოაქვს რუსიკოს.

— არა.

— გინდა? — წამლის შუშას იღებს ჯიბიდან.

— არა.

თეიმურაზი: ისინჯება ხელითაც, ილანდება ულტრაიისფერი სხივების გარეშე ქათმის კვერცხის პრინციპით...

— საკმარისია! — აწყვეტინებს ნოე.

ტკაცა-ტკუცით ქრება დიგები.

— მე რა უნდა გავაკეთო? — კითხულობს თამილა.

— რას აკეთებდი აქამდე?

— არაფერს...

— მერე, სული მიგდის, დამტოვე ცოტა ხანს, არ შეგიძლია!—კასეტებს მიარბენინებს მოკლე დისტანციაზე ნოე.

— დაცლილი ვარ, დაგაცადე, დილიდან ვიცდი, ტუჩს იბზუებს, — საგიჟეა პირდაპირ!

— აქ დაბრძანდით, ქალბატონო თამილა! — ეპატიჟება ქვათარაძე.

— მადლობთ, არ ვიტყვი უარს, სხვათა შორის...

ეზეკი (დუგლასის) რა პრეტენზიები გაქვთ ძიებასთან?

დუგლასი: თხოვნა მაქვს, სხვა განყოფილებაში უნდა გადამიყვანოთ!

— მიზეზი?

— აქ ხმები მესმის, დედაჩემს და ჩემს დას აწამებენ კედელს იქით, ქმნიან ამ ილუზიას; შემდეგ: აპარატურა აქვთ ჩადგმული ჭერში, კედლებში და მისმენენ, ღამე ძილში მალაპარაკებენ და იწერება ყველაფერი, ჩემს ნებისყოფას კონტროლს უწევს კაცი კიროვაბადიდან...

— გამოტოვა რაღაც! — ნოეს ხმაა, — ტოლია, თავიდან შეიძლება?!

— ვსიო, მორჩა!

ზემოდან ერთმანეთს ასხლეტილი ლიანდაგები, მატარებლის სახურავები ჩანან. ბეტონის ხიდის ბეტონის კიბეზე ჩამორბის ბესო. ვოგზლის ხალხმრავალ მიტინგს ხედავს. საყივარიდან ქალის წივილი ესმის.

— ...დღევანდელი საქართველო არაა გენადის ღირსი, დღევანდელი საქართველო ხუნტისა და ფურთხის ღირსია, გენადი საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო...

ხალხი (ღრიალით) გე-ნა--დი, გე-ნა-დი!..

ბესო სამფერად შეღებილ „ოცდაოთხში“ ჯდება. ფულს აწოდებს მკლავზე წითელლენტშებმულ კაცს. შუშის კედლის იქით რაფაზე თავჩაქინდრული კაცი ჩანს ზურგით. ვიღაცეები ფუსფუსებენ შორიახლო. ერთი ფოტოაპარატს აჩხაკუნებს. „ოცდაოთხით“ მოქრის ბესო ავტომრავალ ქუჩებში. „ის კაცი მკვდარია, აიღო ბილეთი, დაჯდა და მოკვდა!“ მოყვება ხმა.

ავტომატიანი მცველები არ უშვებენ გარეშენს, საგულდაგულოდ ამოწმებენ პირადობის დამადასტურებელ საბუთებს.

— აქედან შამოდი! — ეძახის მეკარე ბესოს, მარჯვენა ხელს მარცხენათი წევს და შორიდან ესალმება.

— მე რატომ არ შემიშვი, შე პირქვედასამარხავო! — ეკითხება ფეხებდასიებული ქალი, თუჯია, თერმოსი და წნევის აპარატი უჭირავს.

— კანონს ხომ ვერ დავარღვევთ, ქალბატონო თქვენი გულისათვის!

ბესო სადარბაზო შესასვლელით მიიწევს.

— არ შეიძლება, არ შეიძლება, ბესია, ხომ იცი, როგორ პატივს გცემ, მაგრამ არ შეიძლება! — არ უშვებს უშვერიძე.

— ვინ ამოატრიალა ჩემი ბინა?!

— არ ვიცი, ვერ გიპასუხებ!

— ვინც მიპასუხებს იმას ვეძებ!

— ვერ გაგიშვებ, გაბრუნდი, არ შეიძლება, დღეს არ შეიძლება, სულ სხვა ამბავია!

— წერილი უნდა გადავცე დას!

— წერილი სულ არ შეიძლება, მომეცი, მე გადავცემ!

— შენ ხომ არ შეიშალე! — ხელისკვრით იშორებს და სადარბაზო კიბეზე არბის.

— გესვრი, იცოდე! — ცისფრად შეღებილი სვეტიდან უმიზნებს.

— მოქალაქე დუგლას ირაკლის ძე ხეიძე, გამობრძანდით წინ და მოახსენეთ მთავარ მრჩეველს თქვენი პროტესტი!

დინჯად ასრესს სიგარეტს საფერფლეს, სკამიანად აპირებს გამოჩოჩებას, სკამი არ მოყვება. იგი იატაკზეა მილურსმული.

— ხმები მესმის კედლის მიღმიდან, ალაპარაკებენ დედას და ქალიშვილს, ქმნიან ამ ილუზიას, ეს რამდენიმე ხანია ჩემს მოქმედებას წარმართავს გარეშე ძალა, ჩემი ფიქრებისა და აზრების კოორდინირებას ახდენენ გარედან ჩემსავე საზიანოდ, ჩემს საწინააღმდეგოდ... — ისვენებს, ახალ სიგარეტს უკიდებს, — ამიტომ ჩემი ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავია...

საშინელი ხმაური ისმის სახურავიდან. ზევით ააპყრობენ მზერას.

წელზევით შიშველი ბესო გარბის ყავისფერ სახურავზე; დაჟანგული თუნუქის ჟღრიალი და ხლაწახლუწი ისმის მეხთატეხასავით. ამ საშინელ ხმაზე მისდის გული ლალის.

— ბესოა, — ამბობს ვიღაც, — მგელი რომ ფარეხს მოაკითხავს ხელმეორედ, ისეა!

რუსიკო წამალს ასუნთქებს ძალით.

— ენა არ ჩაყლაპოს! — შორიდან აფრთხილებს არჩილი.

ვაშაკიძე იარაღზე იფათურებს ხელს, დგება, სახანძრო-საავარიო კარით გადის, ხვეულა კიბით იმხრობს სხვენს და სამერცხლედან — სახურავზე მიძვრება

გვრინვა-გრიალით ჩამოდის ხმა დარბაზში. ჩამოინგრაო თითქოს ცა. მიწყნარდება და ჩამოიზეთქება ისევ სახურავი. პროფესორი მანსვეტაშვილი თავს ხრის ყოველ გახლიწინებაზე, ხან გამოძვრება, ხან შეძვრება მწვანე შლიაპაში.

— ლალი მიტროფანეს ასული გაბაშვილი, ამოიცანით რომელია, ბიჭიკო, იგივე ჟორა ოგანეზიშვილი!

ნახევრადგულწასულს ასულიერებენ.

— ყურადღებით იყავით, ეგ არი!

— ეგაა, ჩემი მკვდარი ქმარია, მომაკვდავი ქმარი!

მთლად გალურჯებული, გრუზა ქოჩრიანი, ჩვლადქცეული კაცი დგას თეთრ დაფასთან, ადამიანის შინაგანი ორგანოების ფერად ატლასებთან.

— გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადებისა და გარდაცვალების ადგილი!

— ბიჭიკო, იგივე ჟორა ოგანეზიშვილი, დაბადებული თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, მომკლეს როსტოვში ამა წლის 14 ივნისს!

კვლავ გული მისდის ლალის.

— განათლება.

— უმაღლესი. მხატვარი.

— სამედიცინო დასკვნა აქ არი?

— აქ გახლავთ კი! — ადასტურებს უცნობი ექიმი და ჯოხით მიდის ოგანეზიშვილთან.

— აიწიეთ ხალათი, თუ შეიძლება!

ხალათს იწევს, ლილისფერ ტანს და ნატყვიარს აჩენს. ექიმი ჭრილობაზე ადებს ჯოხს.

— ტყვიამ გაიარა მეოთხე და მეხუთე ნეკნსშუა... — თითს ყოფს იარაში, — გაგლიჯა მარცხენა გულის პარკუჭი. გვერდი აუარა რა საყლაპავ მილს, შებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდით, თუ შეიძლება, გაცდა ბრონხს. გამოვიდა, გასწორდით... — ზურგითა და დგას, ნაქსოვი, გადმოშვებული პერანგი აქვს აწეული მორჩილად, — აი აქ, ბეჭქვემოთ, ოვალური ძვლიდან გოჯნახევრით დაშორებული, თვალსაჩინოებისათვის, არ გაინძრეთ, თუ შეიძლება! — გეოგრაფიის მასწავლებლის ჯოხს უყრის ირიბულად. დავერო გადავარდება სკამიდან მოულოდნელად. ლალი ახელს თვალს ხმაურზე.

— საროჩკა დავატოვებინეთ, უფროსო, აწით ამოვიცნობთ! — აცხადებს გასავათებული უშვერიძე და დაფხრეწილ პერანგს აფრიალებს. — დევნა გრძელდება!

— რა ამოცნობა ჭირდება, გვარი იცი, სახელი, მამის სახელი და ბინის მისამართი, შე კრეტინო! — წყნარად ეუბნება ქვათარაძე.

— რაღაც ვერ შევიცანი, უფროსო!

— ვერა ხომ, მაშინ ექსპერტზე!

— კი ბატონო, — პერანგს ახვევს, — ვაშაკიძეა უშუალო ოპერაციაზე, ავგზავნით მაშველს!

— შემოიყვანეთ ჯინჯოევი!

— ჯინჯოევ! — ისმის დერეფნის ბოლოდან.

ავტოინსპექტორი რაჟიკო ჯინსით, ბალთიანი, სქელი ქამრით.

— გვარი სახელი და ასე შემდეგ... — ეჩქარება ქვათარაძეს.

— ჯინჯოევი რაჟო ურის ძე, ავტომოძრაობის ზემდეგი.

— ექსპერტი!

უცნობი ექიმი საქაღალდით: ქვედა ყბის მძიმე დაზიანება, სიბრძნის კბილის მერყევი დეფორმაცია.

ქვათარაძე (თამილას მოშიშვლებულ გულმკერდში იხედება დროდადრო) დაბრძანდით... მოტოციკლის საქმე გამოცალკავებულია...

— დიახ... — ეთანხმება ეზეკი, —მთავარი ექიმი აიყვანეთ!

— ავიყვანეთ. ქალბატონო თამილა, არ ვიწყებთ?! — მოურიდებლად ჩახედავს.

— ნოე, რას შვრებით?! — ხელს იფარებს მკერდზე.

— ვშვრებით, ტოლია, მზად ხარ, ვიწყებთ!

— ჩვენ ახლა გავესაუბრებით ასკილის საქმის საძიებო ჯგუფის ხელმძღვანელს, განსაკუთრებულ საქმეთა უფროს მრჩეველს მურმან ქვათარაძეს, ბატონო მურმან, გთხოვთ!

ბესოს ქუდი მოაქვს პიჯაკშემოღლეტილ ვაშაკიძეს. ქუდს მაგიდაზე დებს, რაღაცას ეძებს.

— დაკარგე? — ეკითხება მწონავი ვალოდია, პიჯაკის გახვრეტილ ბორტს ათითებს.

— არა, ეს აქა მაქვს, — სპორტის ოსტატობის სამკერდე ნიშანს მალავს მუჭში, — თავისუფალ მეხანძრეთა მანდატი ამომივარდა.

— მაგი არ დაიკარგება!

მიკროფონთან გაშინაურებული ქვათარაძე ლაპარაკობს შეუფერხებლად:

— ...ყველამ, ჩვენი რესპუბლიკის ყველა წარმომადგენელმა უნდა გადაუხადოს მადლობა აქ დამსწრე პირებს მიკვლევის წარმატებით დამთავრებაში... — თამილას მკერდში ასვენებს თვალებს და ზეპირად მირეკავს: — მძიმე მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად ცალსახად წარმოჩინდა ჩვენი ნაკლოვანებებიც...

ვაშაკიძე სპორტის ოსტატობის ნიშანს იმაგრებს, პიჯაკს სკამზე აფენს, პერანგის სახელოებს იკაპიწებს, გარმონს წელავს, დოლი უშვერიძეს უჭირავს.

უშვერიძე — აქა ვარ, შაქროშვილო!

ვაშაკიძე — აბა მამყე, კონიავ!

ამხნევებენ ერთმანეთს და მაგრად უკრავენ. ცეკვავს ჭობი ბრაგა-ბრუგით, მტვერის დენით. მარტოხელა მევიოლინე ცალ ფეხზე ხტის ტაქტჩაგდებით, ცალი ფეხი წინა აქვს გაშვერილი და თან უკრავს.

— ჭობი, გადახერხილო ქართველო! — ამხნევებენ.

დოლ-გარმონსა და ვიოლინოს საყვირების ხმა ენაცვლება „აიდას“ მარშის მელოდია, ეფინება იქაურობას. ფეხზე დგებიან. რუსული „შინელი“ აცვია კაკვის. ოდნავ წინ წახრილი მოდის მტკი-

ცე ნაბიჯებით. გაძვალტყავებული, მოფომფლილ ტანსაცმლიანი შუროკა მოყვება თვალებამღვრეული.

— დამპალი შუროკა მოყავს, იარაღი მომეცი, ჩემი პიჯაკის ჯიბეშია!.. — ეჩურჩულება ვალოდიას ვაშაკიძე.

— სადა მაქვს მერე მე იარაღი...

— არაფერი აგრძნობინო, უარესია! — დოლს ატრიალებს უშვერიძე ნელა.

შინელის ჯიბეში ცალხელჩაყოფილი კაკვი წინწაზრილი უახლოვდება ჭობის. ჭობი მონუსხულივით დგას, ვერ იძვრის. მუსიკა ნელდება, საათის წიკ-წიკი შემოდის. მარჯვნივ და მარცხნივ ესალმება ყველას შუროკა ავადმყოფური ღიმილით.

— არ ესროლო, შე პიდარასტო! — ყვირის ვაშაკიძე და იარაღის ქუხილი ფარავს ბოლო ბგერებს. ეცემა და ქვის იატაკზე სხმარტალებს ჭობი. უშვერიძის ნასროლი დოლი ხვდება შუროკას თავში.

— ვის ვესროლე და ვინ დავარდა!

ვაშაკიძე მორბის, მაგიდიდან მაგიდას ახტება კაკვის ეცემა. შუროკას და კაკვის ახლევინებს იატაკზე და ურთმანეთზე თავებს. სისხლში მოსვრილი ჭობი აღარ სუნთქავს. უცნობი ექიმი მაჯას უშვებს ხელს. წამომდგარი შუროკა სისხლს აფურთხებს.

— ვაშაკიძე სპიროხიდა, გამიშვი ხელი, ამ სიმონამ დაბრიდა და მე მაწვები, სერი გამოდი! შიდსის სპერმატოზოიდო ვაშაკიძე, საყელოზე ხელი გამიშვი, განმათავისუფლე, ფუ! — აფურთხებს. კაკვი ხიხინებს. ხმას აღარავინ იღებს, მოულოდნელობისაგან გამოშტერდნენ თითქოს.

— ვინ შეიტანა ლეიბი გაბაშვილების ოჯახში! — მთავარ ექიმს ეკითხება მოულოდნელად რუსიკო.

— შენ ხომ არაფერი დაგესიზმრა, სად იყო ლეიბი! — სათვალეს იხსნის და იკეთებს, რუსიკოს გაავებულ მზერას ვეღარ უძლებს, — რა გნებავთ, თქვენ, ქალბატონო, რუსიკო, თქვენი პროვაკაციები აქ კანონიერების სადარაჯოზე არ გაჭრის!..

მეჩხერ, მოწითალო თმაში ხტაცებს ხელს.

— გაცოფდა, მე მგონი, მომაშორეთ! — ყვირის მთავარი ექიმი. არავინ ესარჩლება. ვალოდია მწონავი თავს აჯახებს დამჯდარ ქვათარაძეს გაუფრთხილებლად.

— დამარტყა, ამ ხვადაგმა! — აფურთხებს დარეტიანებული ქვათარაძე. კაკვი აფურთხებს, შუროკა აფურთხებს. აფურთხებენ. სახურავი იწყებს ისევ ჟღრიალს. თუნუქის ხლიწინ-გრიალზე კრთიან, ფეთავენ. გაჩერდი, თუ არა გესვრი! ყვირის სულ ახლო ვიღაც. არჩილი მობდღვნილ თმის ღერებს ითვლის, საოვალე უვარდება, ბეცი თვალებით ეძებს, იატაკზე აფათურებს ხელებს. ყრუ ბორია ღილაკს იძრობს ყურიდან, ჯიბიდან ნაგანს იღებს და საფეთქელში იმიზნებს. მაღალი სიმონი ისვრის და მთავარი ექიმის სათვალეს ამსხვრევს. შეპილოვი ბორიას ესვრის და აცილებს.

— რას ჩადით! — ყვირის დავერო.

დუგლასი სკამებქვეშ მიძვრება. მედპერსონალი დაწოლილია. კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი უჭირავს მორგის სანიტარს. შეიარაღებული მეპარაშუტეები შემოდიან მწვანე სამოსელით. ლავგარდენზე ფეხებით დაკიდებული, სარკმელში თავდაღმა ჩამომხობილი ბესო ილანდება ორი იარაღით. მეპარაშუტეები ხსნიან. სროლებია. ისვრიან არეულდარეულად, უსისტემოდ ცოტა ხნით.

ვიოლინოების ხმები ენაცვლება სროლებს. სიბილიუსს უკრავენ.

ჩაგუდული ხმაურია საკონცერტო დარბაზში. ინსტრუმენტების მოსინჯვის ჟამია.

თავმჯდომარე: ვინაა მომხრე, რომ დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი? რა გნებავთ? კენჭის ყრა არ იქნება საჭირო, უბრალო უმრავლესობით, ვინაა მომხრე?..რა გნებავთ თქვენ? განცხადებები ერთწუთიანი მხოლოდ, დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ... რა გნებავთ, გამაგებინეთ!.. არავითარ შემთხვევაში!

მთხოვნელის ხმა არ ისმის.

თავმჯდომარე: მხოლოდ პროცედურული, მოითმინეთ (მშვიდად), მეოთხე!

ხმა (კაცი არ ჩანს): მე გთხოვთ, არჩილ კორსაველს განცხადებისათვის, აუცილებელი განცხადებისათვის მისცეთ ხუთი წუთი!

— ეს არი პროცედურული?

— მე გთხოვთ!

ყაყანია.

— სამი წუთი საკმარისია.

თავმჯდომარე: მოითმინეთ, მოითმინეთ, არც ერთი წუთი, რას გავს ეს!.. მოითმინეთ, გთხოვთ... მაშინ სამი წუთი. ვინაა მომხრე, რომ არჩილ კორსაველს მივცეთ სამი წუთი?!

— ჯერ პირველ წინადადებას უნდა ეყაროს კენჭი!

თავმჯდომარე (გვერდით მჯდომს ეჩურჩულება) კარგი... ვინაა მომხრე, რა გნებავთ თქვენ, დაბრძანდით, გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში, შევთანხმდით. დაბრძანდით. ვინაა მომხრე არჩილ კორსაველს განცხადებისათვის მივცეთ ხუთი წუთი, უკაცრავად სამი წუთი, თუ?.. — გვერდით მჯდომთ ეთათბირება. ჩურჩულიც ისმის გამაძლიერებლებიდან, — სამი წუთი, ხელის აწევით, დაბრძანდით ბოლოსდაბოლოს!.. მესამე.

— ...მე იმის თქმა მინდა, რომ უკვე გავიდა თხუთმეტი წუთი, თორმეტი წუთი სხდომის გახსნა დაგვიანდა... — საათზე იხედება წვერგაბურძგნული კაცი პირველი რიგიდან, — ვისი ბრალია მერე, დაბრძანდით!

— მე წარმოგიდგინეთ დაგვიანების კოეფიციენტი და ელექტროენერგიის ხარჯვის დეფიციტი... ხმა აღარ ისმის.

თავმჯდომარე (გვერდით) გამორთულია. მესამე. გთხოვთ, ბატონო არჩილ!

მთავარი ექიმი: დარბაზს ვთხოვ გაითვალისწინოს ლალი მიტროს ასული გაბაშვილის განსაკუთრებული მდგომარეობა, ექსპერიმენტის საერთაშორისო მნიშვნელობა...

სიჩუმეს ელოდება.

თავმჯდომარე (ქალალდებში თავჩარგული): განაგრძეთ!

მთავარი ექიმი: სხვათა შორის სამი წუთიც არ მჭირდებოდა.

თავმჯდომარე (თავს წევს) დიახ. განაგრძეთ.

მთავარი ექიმი: ქართველი კაცი ოდითგანვე პატივს ცემდა ქალს, მითუმეტეს, ფეხმძიმე ქალს...

ხმაურია.

თავმჯდომარე: მოვუსმინოთ.

მთავარი ექიმი: ლალი მიტროფანეს ასული გაბაშვილი განთავისუფლებული უნდა იქნეს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნენსოსოდ...

— ნენსონსი რა შუაშია? — კითხულობს ვიღაც.

თავმჯდომარე (გულგრილად): მივიღოთ ეს წინადადება? უბრალო ხელის აწევით? საჭიროა ელექტროდაფა? ხელის აწევით? დაბრძანდით, კაცო, თქვენ, ბოლოსდაბოლოს!.. წინააღმდეგი ვინაა?.. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...

— აქეთ არ იხედები?!

— შვიდი... მიღებულია... თავი ვინ შეიკავა, დაბრძანდით, თქვენ გეუბნებით, ძალიან გთხოვთ, დაბრძანდით, ისე მშვენივრად გავუგეთ ერთმანეთს, დაბრძანდით, დაბრძანდით, დაჯექი კაცო! მადლობთ. წინადადება მიღებულია... — ქალალდებშია თავჩარგული, — შემდეგი...

მართლმსაჯულების მინისთავხუფიანი შენობა. შენობის წინ მოქალაქენი შეკრებილან თხლად.

წარჩინებული მოქალაქე: თქვენ რა ხელობის კაცი ბრძანდებით, თუ უკაცრავად არ ვიქნებოდი, ეგების გეთქვათ!

მდაბიო მოქალაქე: ჩემო ბატონო, მე ძროხის ცრემლებითა რიყის ქვებს ვაცხობ...

— მეყველე ყოფილა, — იცინიან, — აღარ უნდა ამას ყიჟინი!

წარჩინებული მოქალაქე: მეგობრებო, თქვენი ძლიერი მხარდაჭერითა მართლმსაჯულება იზეიმებს ამ ერთხელ მაინც; ხმა ხალხისაო, ხმა ერისაო და ყურად

არ ვიღებთ ამდაგვარ სიბრძნეს... გველეშაპი სათავეშია და ფორვატერში არ იმალება... დღევანდელი სისხლიანი ხელისუფლება უნდა გადადგეს და დამნაშავეც სხვაგან ვეძებოთ!..

— შეძახილები: მართალია, მართალია, ძირს ხუნტა, ძირს ხელისუფლება, სიკვდილი!..

ერთმანეთს ამხნევებენ — ხმამაღლა ვიყვიროთო, გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას ვერ იპყრობენ.

მეყველე: თქვენ მე სენატიდან მახსოვხართ, ადრე ადრინდელებს უკიჟინებდით, იმათ დამხობას ესწრაფოდით თავგადაგდებით!

წარჩინებული მოქალაქე: დრონი მეფობენ, მეგობარო და არა მეფენი, უქმი ლაყაფი ყველის ამოყვანას როდი ჯობია, შევუძახოთ და გავიმარჯვოთ, რაღას ვაყოვნებთ!

ყვირიან: — ძირს ხუნტა! მთელი ძალაუფლება გენადის!

წითელ მანტიას იხამს, კოწოლას იხურავს აფარიძე. ქულაჯებში გამოწყობილი ექვსი ვაჟკაცი უკრავს ექვს აზიურ დოლს. წითელი მანტიის კალთების ფრიალით მიდის გრძელ დერეფანში, ექვსი დოლის ხმაზე მიაბიჯებს შინდისფერ ფარდაგზე.

— მართლმსაჯულება მოდის! — აცხადებს სასამართლოს მოხელე. ყველანი დგებიან. სუბტროპიკული, ხელოვნური მარადმწვანე მცენარეებით გაბურდული დარბაზი შუადღის სინათლითაა განათებული, გუმბათიდან ჩამოღვრილი მზე დაფენია ყველას მსაჯულებს, განსასჯელებს, დამცველებს, მბრალდებლებს, ასკილის სახლის თანამშრომლებს, მედიცინის მუშაკებს, მთავარ გმირებს და ლიანგს. სცენა დიდია, თეჯირებით, გაცვეთილი რიკულებით დაყოფილი დარბაზი — პატარა. მაგიდაზე პინებიანი სასწორი, ყანთარი, ქვიშის საათებია დალაგებული, კუთხეში რესპუბლიკის სამფეროვანი დროშაა დახვეულად აყუდებული.

ნოე: მე არ მომწონს, სხვათა შორის, იგივენი რომ სჯიან იგინივენს!

თამილა: მე რა უნდა გავაკეთო?

ნოე: დამაცადე, იქნებ გადავაადგილოთ სცენები, ამიდუღდება ტვინი საცაა! — ჩქარა მიდის.

თამილა: გააჭირვა ამანაც საქმე!

ტოლია: ვინ ეკითხება, ნეტავი ვიცოდე, ბალი ათი შაურია თუ არა!

ლალის სრული კაბა აცვია, მუცელი ეტყობა. განცალკევებითაა წვერმოშვებული, გამხდარი, სიგამხდრისა და წვერის შესაფერისად ჩაცმული დუგლასი.

ოგანეზიშვილი ელავს ლურჯად, გამოჩნდება, ქრება კვლავ. ჭობი დევს. კაკვი რუსულ შინელშია გახვეული. ლაშა ეზეკი მართლმსაჯულებას უზის წინ და მართლმსაჯულების ზედამხედველს ლაშა ეზეკის უყურებს, აფარიძე აფარიძეს მიჩერებია, ქვათარაძე ქვათარაძეს და ასე შემდეგ. მედლებით გავსებული ნოტარიუსი ნიკოლოზ გაბადაძე, საპატიო ალაგას წამოჭიმული, ბრალდებულთა შორის ჩამჯდარ უმედლო გაბადაძეს აკვირდება.

მონოტონურად, თუმც გარკვევით, საკუთარი ღირსების შეგრძნებით ლაპარაკობს სასამართლოს მეთაური:

—...ეროვნული სასამართლოს ჰუმანური კანონების გათვალისწინებით, ლალი მიტროს ასული გაბაშვილის რეალური მდგომარეობის — ფეხმძიმობის ყურადღებით, მომავალი შობადობის განსაკუთრებულობის შეგრძნების გამო მართლმსაჯულება პოტენციურ დედას უფარდებს საზოგადოებრივ სასჯელს — გაკიცხვას და ანთავისუფლებს სასამართლოდანვე... — ისვენებს. დარბაზს ათვალიერებს. ტაშს უკრავენ. — დუგლას ირაკლის ძე ხეიძე ფსიქონერვოლოგიური გამოკვლევებისათვის მიემაგრება ამაშუკელის სახელობის ფსიქონერვოლოგიურ ექსპერიმენტალურ ინსტიტუტს, შეპელოვი შამილ შაბიამანის ძე საპატიმრო ვადის გასვლასთან დაკავშირებით განთავისუფლებულია, ბიჭიკო (ცორა) ოგანეზიშვილი რეაბილიტირებულია სიკვდილის შემდგომ..

უხმოდ დგება და ლურჯად მიდის.

აფარიძე წითელი მანტიით (განაგრძობს): ჭობი კალისტრატეს ძე ურიგიძის საქმე, ამ უკანასკნელის ლიკვიდაციის გამო, დახურულად ცხადდება...

ჭობი გააქვთ.

აფარიძე წითელი მანტიით: ბესარიონ იგივე ბესია მიტროს მიტროფანეს ძე ცაბაშვილს სახელმწიფო ქონების (მოტოციკლი) ხელყოფისათვის მართლწესრიგის ორგანოს მუშაკის ხელყოფისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა წლით, რვა წელი სრულად მოიხადოს მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, ხოლო ოთხი წლით ჩამოერთვას საარჩევნო ხმის უფლება...

ბესო (გულზე ხელს იდებს): გმადლობთ!

აფარიძე (განაგრძობს), მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო სამსახურში აღდგენითა და განაცდურის ანაზღაურებით სასამართლოდანვე თავისუფლდებიან: აფარიძე ვახტანგ ანდრიას ძე, ეზეკი ლაშა იაგორის ძე, ქვათარაძე მურმან ესეს ძე, სერბელაძე ნაომ შაშიას ძე, კორსაკელი არჩილ სამუელის ძე მიქაშავიანიძე დავერო მიხეილის ძე, გაბადაძე ნიკოლოზ ვარდენის ძე.

ტაში. მოსამართლე დარბაზის დაწყნარებას ელოდება. — და დანარჩენები... ექვემდებარებიან რა დამატებით სამოქალაქო ძიებას, თავისუფლდებიან ზედამხედველობითი წესით.

სასამართლოს თავ-მარე აფარიძე, რესპუბლიკის მბრალდებელი, პირველი რანგის მრჩეველი ეზეკი ლაშა.

მსაჯულები: კირილენკო, მიროშნიკოვი, აბადოვსკი, ყურაშვილი და გლდიანი.

თბილისი 1993 წელი. მკათათვე.

მარმარილოს ფართო კიბეზე ჩამოდიან ჯგუფ-ჯგუფად, ყვავილებით, მანქანებით ელოდებიან აღსავლის კართან. ეხვევიან, კოცნიან ერთმანეთს პატარა მოედანზე. მძღოლები უღებენ შავ-შავი, ანტენებიანი მანქანის კარებს აფარიძეს, ეზეკის, სერბელაძეს; სახელმწიფო და საკუთარ მანქანებში სხდებიან.

გახარებულ დედას, გახარებულ ცოლს, გახარებულ ქალიშვილს კოცნის დუგლასი.

— მამა, მე მწვანეთა მოძრაობაში შევედი...

— ყოჩაღ!

— შვეციაში მაგზავნიან გაცვლითი წესით!

— ეროვნულ მოძრაობას უნდა აუწყო ფეხი, ეს აუცილებელია... — თეთრ „მერსედესში" სხედან, თბილისის ქუჩები ირეკლება წყლისფერ შუშებში.

ფრთხილად ჩამოდის ლალი კიბეზე. ფრთხილადვე უვლიან გვერდს, ქალის მუცელსაც ერიდებიან, უკანმოუხედავად ჩადიან კიბეზე.

უჩრდილოდ მიიძურწებიან გაკიდეგანებული ოგანეზიშვილი და ჭობი.

— თქვენ მოდით აქ! — ეძახის დავერო. მანქანაში ეპატიჟებათ, — წამოდი, თუ არა ჩაწვება შენს ადგილში ვიღაცა, მეორედ იშოვნი, მე შენ გეტყვი, იმნაირ მიწას, ამას რა ვუყო — ჭობის ათვალიერებს, — მოკლე სამარე მაქვს ერთი, სისქეში თუ ჩავიდა!

უშვერიძე ელოდება ბესოს.

— რა გინდა?!

— გაფიცებ დედის სულს, არაფერი იღადაო, სამ წელიწადში მიმაგრებაში ხარ, წახვალ, დაგისართებენ და მეც დამღუპავ!

დგანან. ერთმანეთს უყურებენ. წერილს ამოიღებს ბესო, მოახლოებულ ლალის მისცემს. კითხულობს, ატრიალებს, კვლავ კითხულობს. ხან ძმას უყურებს, ხან — წერილს.

— სიბოთავეს სისულელე არ დაუმატო, ამ ქალსაც გაუწიე ანგარიში და ბოზის ნაშობი ვიყო, თუ ყოველ მეორე დღეს არ მოგაკითხო!

ხელებს უწვდის ბესო. სწრაფად, შესაშური ოსტატობით ადებს ხელბორკილს უშვერიძე.

ჩემი სამსახურის დედა მოვ-ყან! — საპატიმრო მანქანის გისოსებიან კარს უკეტავს რაზზუნით, კაბინაში ჯდება.

მე მალე გამოვალ, დედას ვუტირებ ამათ სუყველას, მამას მიხედე, შენი ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავი გამაგებინე! — არც ძალიან ომახიანად იბარებს ბესო.

ოდნავ შესამჩნევი ღიმილით ეთხოვება ერთ ალაგას გახევებული. საპატიმრო მანქანის გისოსები ქრებიან და თეთრი ფურცელი იშლება კვლავ ლალის ხელში.

შვილებო, მაპატიეთ, გტოვებთ, მივდივარ, არ ვიცი — სად!

და დგას ლალი ბარათით...

ფოტოაპარატი ჩხაკუნებს შუშისკედლის მიღმა. რამდენიმე ფოტოს უღებს მანგანუმის ალისფრქვევით ფოტოგრაფი ვოგზლის შუშის კედლის რაფაზე მჯდარ, თავჩაქინდრულ მამაკაცს. სასწრაფო დახმარების მანქანა ჩერდება შუშებთან.

— რა მოხდა? — კითხულობს სქელი ქალი, სიარული რომ უჭირს.

— ბილეთი აიღო, დაჯდა და მოკვდა!

— მოკვდა? — წნევის აპარატს იჩურთავს იღლიაში, მომყოლ ექთანს მიჩერებია უადგილოდ.

— მიბრძანდით, თქვენ თავისუფალი ხართ, ესეც თავისუფალია, ამას ჩვენ მივხედავთ! უხეშად ეუბნება ახალგაზრდა გამომძიებელი.

ვოგზლის შენობიდან გამოყავთ მიცვალებული. „რაფში“ შეაცურებენ სადგურის მებარგულები·უცნობი მამაკაცი აძლევს ფულს თავმუშას.

— ბორთ, ბორთ! — ფულს დაჰყურებს გაოცებული მებარგული. დემონსტრანტები მოდიან ტრანსპორანტებით, დროშებით, გენადის პორტრეტებით. წივიან ლოზუნგებს. მიცვალებულს აღარაფერი ეყურება.

რავა ხარ, დემურია, რას შობი! — „რაფის“ კაბინაში ართმევს ხელს გამომძიებელს მოდურად ჩაცმული ბიჭი.

— მოკვდა ვიღაც და მიმყავს...

— გლახაობ ხომ?

— გიგლახავა მარჯვენ-მარცხენამ, გაბაშვილი ყოფილა ვიღაცა!

— ვინ იყო?! — შორიდან იძახის დემონსტრაციას ასხლეტილი.

— არ ვიცი!

თეთრზეწარწაფარებული მიცვალებულის თეთრი თავი გაიელვებს და მანქანაც გაქრება.

როგორც „ფრანს-პრესის“ სააგენტომ გვაცნობა ნიქორიაში დედამ ორთავიანი ბავშვი შობა. დედა ჩინებულად გრძნობს თავს, ბავშვიც ნორმალურად იზრდება. მხოლოდ: როცა ერთი თავი ტირის, მეორე იცინის, ერთს რომ ღვიძავს, მეორე ძილადაა მიგდებული და ტკბილ სიზმრებში ფარფატებს.

ფერდობი მინდვრის ყვავილებითაა გადალილოჭრელებული. გიტარის სუსტი, მაგრამ ნაცნობი მელოდია ეწვნება ფუტკრის ბზუილს ასკილის წითელყვავილეთში.

ეს ყველაფერი კი მართლა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მჭედლური

## სასოწარკვეთილი კაცის მონოლოგი

ვნატრობ: დადგეს ის დღე: — მოდი!
მესმას უფლის კარავიდან,
აღარ მინდა ეს ქვეყანა,
ახლა ის ქვეყანა მინდა.

აღარ მინდა ეს ქვეყანა,
აქ ცხოვრება არ ღირს ჩირად,
ან აქამდის რად არ წავედ,
მიკვირს, აქ რამ გამაჩერა.

თუ ცოტა ხანს კიდევ დავრჩი,
(გვედრი, მალე მიხმო, ღმერთო),
სამათხოვროდ ხელგაწვდილი,
ქუჩის მტვერში უნდა ვეგდო.

უნდა მომძის მეშინოდეს:
— ან ეს მომკლავს, ან ის მომკლავს,
ანდა ბოლო სამოსს გამხდის,
ან წამართმევს ბოლო ლუკმას!

ცრუ დიდობს და ერისკაცობს,
სადისტი და მკვლელი ზეობს,
ჯოჯოხეთშიც შევებით შევალ,
არ გინატრებ სამოთხეო!

ოღონდ ქვეყნად არ ვეთრიო
კაცთა კვლის და ნგრევის მზირად,
შენს წინ ასგზის ცოდვილი ვარ,
მაგრამ ღმერთო, ნუ გამწირავ.

წამიყვანე, ვიგრძნო სული
რარიგ შვებით ამოფრინდა,
აღარ მინდა ეს ქვეყანა,
ახლა ის ქვეყანა მინდა!

## იმპერიალისტები

„საქართველო მცირე იმპერიაა...“

ჩვენ ვართ იმპერიალისტები,
ჩვენ ვართ მპყრობელთა კასტა,
ამიტომ და ამის გამო
რუსმა ბევრჯერ წაგვკრა ყისტი,
იმიტომ და იმის გამო
ბევრი ვინმე აგვიჯანყდა.

ჩვენ ვართ კოლონიზატორები,
ვიბრძვით კავკასიის წინააღმდეგ,
და აზიაც ბევრჯელ დავტორეთ,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,
დარუბანდიდან ნიკოფსიამდე.

ჩვენ ვართ დამპყრობელთა მრისხანე
კასტა,
ძილს არ ვაძინებთ ოსს და აფსუას,
ჩვენ ახლა ვიპყრობთ საქართველოს,
ყველანი, ყველანი
ბრძოლაში გავსულვართ.

წინ, წინ იმპერიალისტებო!
ვინც მოვკვდებით მამულისთვის,
სამოთხეში მოვხვდებით,
ახლა შეტევაზე! გვეყო, რაც ვიგერიეთ,
მივესალმოთ იბერიის,
მივესალმოთ კოლხეთის,
მივესალმოთ ივერიის
უზარმაზარ იმპერიებს!

1990 წ.

●

მთელი ზამთარი, მთელი ზამთარი,
გამყინვარების საშინელ ზამთარს,
თოვლქვეშ მეძინა, ოდენ ხანდახან
მთების მძვინვარე გრიგალი მხრავდა.

აიმღვრა მიწა, აიჭრა თოვლი,
და ხვლიკისფერი გარბიან წყლები,
გამოიღვიძა ისევ სამყარომ
და მეც თოვლივით მზის გულზე
ვლღვები.

## საღამოს ქალაქი

ახლა მალე გამორთავენ შუქს,
ბნელში დაინთქმება ბეტონის კვარტალი,
შეწყდება ვიდეოფილმები —
მკვლელობათა სატელევიზიო
გაკვეთილები.

ჩვენი ოცნებებიც აიშლებიან
და კოსმოსის ბნელეთში დაკარგული
ორი ხომალდივით
ერთმანეთის საძებრად წავლენ.

ვივლით და ვეძებთ, სანამ შიმშილით
ძალგამოცლილი ქალაქის ძარღვებს,
ისევ დაუვლის ენერგია და განათდება
ჩვენი ცხოვრება — უბედურების,
უბედურების,
უბედურების ზონა!

## გაოცებული კაცის შესახებ

რა უნდა მოხდეს,
რა უნდა მოხდეს,
კიდევ რამ უნდა გაგაოცოს?
სიყრმიდანვე გაოცებებით
შენდებოდა შენი ცხოვრება.

რო გითხრეს, დედა მოგიკვდაო,
კი არ დაღონდი, გაოცდი,
შენ რო ღმერთთან მუსაიფად
მჯდარი გეგონა, იმ კაცზე რო თქვეს —
უნასიაო გესლისმთხეველი,
მაშინაც ძალიან, ძალიან გაოცდი.

ჩრდილოეთის ასულს რო ეტრფოდი,
შეფრფინავდი და უმანკო მტრედი
გეგონა,
ერთხელაც რო დრო იხელთე
და მოწიწებით თმაზე ემთხვიე,
იმანაც რო შემოგიბრუნა:
— ზაპლატი ი დამ!
მაშინაც ძალიან, ძალიან გაოცდი.

თავისუფლების დროშას რო
აფრიალებდი,
თავი ყველაზე მართალი რო გეგონა,
მაგრამ ის დროშა რო წაგგლიჯეს
და ტალახში ჩექმით ჩაზილეს,
მაშინაც ძალიან, ძალიან გაოცდი.

გაოცებებით შენდებოდა შენი ყოფა,
შენი ცხოვრება,
გაოცებული თაობის შვილი ხარ
და შენს მზერაში სულ გაოცება
იხატება,
რა უნდა მოხდეს,
რა უნდა მოხდეს,
კიდევ რამ უნდა გაგაოცოს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამნი მიტინგზე

ერთმა თქვა: რა გვეშველება?
მეორემ: გვიშველის მათრახი!
მესამემ: ქვეყნის შენება
აბა მათრახით სად ნახეთ?!

ისევ პირველმა: რაღა ვქნათ?
მეორემ: ვუხმოთ დიქტატორს!
მესამემ: სისხლად დაგვაქცევს,
როგორ გაივლეთ ფიქრადღ?!

პირველმა: დუშმანს ვახარებთ!
მეორემ: ერთურთს შევჩივით!
მესამემ: ბიჭოს ევრიკა!
აღმაშენებლის რეჟიმი,
აღმაშენებლის რეჟიმი!!!

## დილა და ცოტა პოეტი

დილაა, დილა,
მშვენიერი ქალბატონები
უნიტაზების დედოფლებად გადაქცეულან.
მკვლელები ახალ მსხვერპლს არჩევენ,
მეძავები ფულებს ითვლიან,
მემაწვნე კი გულუბრყვილოდ ყვირის:
მაწონიიი!

დილაა, დილა,
წუხელ შეცდენილი ქალწული
ჩასახვის საწინააღმდეგო
აბებზე ფიქრობს.

დილაა, დილა,
პოლიტიკოსი პარლამენტში
წარმოსათქმელ
სიტყვას ამზადებს,
მუშა ქარხნისკენ მიიჩქარის,
მემთვრალენი ნასმურევზე
ლუდს დაეძებენ,
მხოლოდ შენ არაფერს აკეთებ,
საწყალო პოეტო.

თუმცა თავი მიგაჩნია
ამ სამყაროს ბატონ-პატრონად,
შენში ცოტა მკვლელსაც გრძნობ,
და ცოტა მრუშსაც,
ცოტა მპარავსაც
და ცოტა მემაწვნესაც,
ცოტა პოლიტიკოსსაც
და ცოტა ჯაშუშსაც,
ცოტა რომანტიკოსსაც
და ცოტა მუცელღმერთსაც,
ცოტა უქნარასაც
და, რაღა თქმა უნდა,
ცოტა პოეტსაც.

მაგრამ არ იქნა, ვერ გადალახა
ეს ხორკლიანი სამყარო
ცოტა პოეტმა,
ვერ ამოფუვდა ყოველდღიურ
ვნებათა ბუყბუყიდან,
ყვავილად ვერ ამოიზარდა.

ისევ სადღაც ფსკერზე იწვის და
იხრუკება,
მისი სურნელი ცხოვრების მქისე
ორთქლს ერთვის
და ღმერთის წილიც
ჯოჯოხეთისკენ მიდის.

არ იქნა და ვერ ჩაწიხლა
ცოტა პოეტმა
მლიქვნელი და ცრუმედიდი,
უფლებისმოყვარე და
სავარძლისმოტრფიალე,
თავის მონად გამლები
და პირშიწყლისჩამგუბებელი.
ვერ ამოჰყო სტრიქონები საცეცებივით,
ვერ ამოხეთქა ცოდვის ხირხატი.

ცოტა პოეტი ცოტა პოეტად დარჩა,
და სანამ ის ხმას გაიღებს,
მემაწვნე უკვე ყვირის:
მაწონიიი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკოსს უკვე ტაშს უკრავენ,
მკვლელი უკვე იარაღს წმენდს,
ქურდები უკვე ნადავლს ითვლიან,
ხოლო ძაღლებს წუხელის რომ
მთვარეს უყეფდნენ,
ქუჩის მტვერში განცხრომით სძინავთ.

ცოტა პოეტმა ისევ დაიგვიანა,
ცოტა პოეტი ყოველთვის იგვიანებს,
არამზადაა ცოტა პოეტი,
ლაჩარი და ფუნაგორია,

არ ენდოთ ცოტა პოეტს,
არ უსმინოთ ცოტა პოეტს,
არ დაინდოთ ცოტა პოეტი,
არ აღიაროთ ცოტა პოეტი!

## მე გიხმობ

ნ—ს

მე გიხმობ, როცა ძალიან მიჭირს,
მართლა მოდიხარ და მართლა მშველი,
ვნებით გილოკავ მხურვალე სხეულს
და გონმიხდილი მონა ვარ შენი.
დღეს უსაშველო მოაქვს ტანჯვები
და თუ საზრუნავს როგორმე მოვწყდი,
კვლავ მელოდება უცხო სამყარო —
შენი სხეულის ღრმული და ბორცვი.

## შაირი

თოვლს გაჰყვა შენი სახელი,
როდისღა მოვა თოვლი კვლავ,
ან უნდა ზამთარს ვუცადო,
ან უნდა თავი მოვიკლა.
ან სიყვარული ვახსენო
და გავხდე ქვეყნის მასხარა,
ეს რა ტიალი დრო დადგა,
რა გადაგვარჩენს მაშ სხვა, რა?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გიგლა სარიშვილი

### ემიგრანტ ბერძენს

შენ საბერძნეთის რუკასთან გნახე
და სთქვი, —
ა, ჩემი მზეთუნახავი!
მეც ჩამიფიქრდა ანაზდად სახე
და შენს ნაღველთან ხანი დავყავი...

ჩვენც განვსწავლულვართ თქვენი
სწავლებით
და იონიის ველტვოდით კუნძულთ;
ჩვენც ვართ ათენით ნაძიძავები
და გვიწოვია ქალღმერთის ძუძუ...

შენ კი საყვედურს აბა ვინ გეტყვის —
სამშობლოს სევდა გულს რომ
გიკლავდეს.

შენ ჰომეროსის შვიდ ქალაქს შესტრფი
და ეგეოსის წარმტაც კიკლადებს.

დარი უთუოდ მოჰყვება ავდრებს
და მზე იმედის ისევ ამოდის,
შენ დაისიზმრებ როდოსის ვარდებს
და პრაქსიტელის შიშველ აფროდიტს...

სამშობლოობას თუმცა დაგპირდა
შენ საქართველო, მაინც ღონდები,
მაინც დამდგარხარ პონტოს ნაპირთან
და ელადიდან გემს ელოდები.

### ეჭვი

ძველი სიცრუის ამ ძონძებს დავწვავ,
ამ ძლიერ ფოხანოს სულიერ სიძვის...
და თუ მწამს
ქრისტე,
ვით უფრო არ მწამს
ეს ტანჯვა, მანჭვა და მაზოხიზმი...
ხან თითქოს მინდა ხელახლა ვიშვა,
ამ დაბადების უარვყო ბედი

და შვებად ჩემად მოვიხმო კრიშნა, —
ნეტარების და მშვიდობის ღმერთი·
მაგრამ...
ბედს იქნებ ამაოდ ყვედრი,
ეს ცრუ საწუთრო არ ღირს ბრალდებად...
იქნებ კეთილი არის ეს ბედიც,
იქნებ კეთილი — ეს დაბადებაც..

●

რას მომიძვრება იუდას კოცნით
და მეგობრული ღიმილით მტერი.
რომ არას ვიმჩნევ —
იმ ზნეწარხოცილს
და შტერბოროტას ვგონივარ შტერი.

რას მემართლება ცხოვრება ჩარჩი,
ცრუსა და ორპირს რად ვერ ვიცილებ...
ამ შეთქმულებას მე კალამს ჩავჩრი
კეისარივით...
და მივიძინებ.

ეროვნული

●

შენ, თავო ჩემო, რატომ წამართვი,
რაც დაბადებით უფალმა მომცა...
შენ თავამაყი იყავ წარმართი
და ვერ დაემხე ტაძარში ლოცვად..

ხელის გაწვდენა შენ არ გენება,
არ მოუხარე სიბრიყვეს ქედი
და არ ითხოვე ბედნიერება...
ხოლო გულდიდებს არ წყალობთ ბედი.

გშიოდა, მაგრამ არ ნაჯექ დაბლა
პურობად წითელ ეშმაკის გვერდით.
სულით მდაბალთა უარყავ ტაბლა...
ხოლო სულდიდებს არ სწყალობთ ბედი.

და ამ ყოფით რომ ყოფაც გეტიროს,
ამ ჯიშზე ივლი,
მგელი ვერ ტურობს..
შენ კი რას გერჩი, ბედო კეთილო,
რად გემდურო და გესაყვედურო.

●

შავ ნაღველს მუჭში მოწურავ შენა
და გააქვავებ თეთრი კირივით...
მაგრამ ძნელია შენი მორჩენა,
როცა ავად ხარ სხვათა ტკივილით.

სევდის ბაცილა მწარე არაყმაც
ვერ ჩაკლა, სმითაც ვერაფერს შველი...
და უბედური მაინც არა ხარ, —
ეს უბედობაც ბედია შენი.

●

..და ნეტარების დგება წუთები
და ანგელოსი აღებს გულის კარს,
როცა ანაზდად თავისუფლდები
სიძულვილისგან — სიყვარულისგან...

და ნეტარების დგება წუთები,
გადაიხრება სული ღვთისაკენ,
როცა ანაზდად თავისუფლდები
ბოროტებისგან — სიკეთისაგან...

და ნეტარების დგება წუთები
და ანგელოსი აღებს გულის კარს,
როცა ანაზდად თავისუფლდები
მწუხარებისგან — სიხარულისგან...

და ნეტარების დგება წუთები
და გეუფლება მშვიდობა სრული,
როცა სრულიად თავისუფლდები
და ლოტოსივით სუფთაა სული.

## ძველ კოლხეთში

ჯერ არ მომხდურან აქ არაბები
ჯერ არ მომხდარა აქ არაფერი...

ჯერ აქ მეშვიდე საუკუნეა,
ჯერ აქ ახალი არის გურია.

ერთურთს შერწყმია მეგრის და მესხის
აქ ორი ყლორტი —
ძირძველი ფესვის.

კეისრის კარის საიქიოში
შედის ეგრისის პატრიკიოსი.

ეგრისმა ხარკი როგორ ინებოს
და ცერად უცქერს კონსტანტინეპოლს...

მაგრამ ეს ხარკი არის მშვიდობის,
ხარკია რწმენის,
თმენის, შენდობის.

მშვიდია ცაზე მზის სიარული,
სუფევს მშვიდობა ქრისტიანული...

მშვიდად შრიალებს ბზა და ნაძვები,
მადლით მოსილან ქრისტეს ტაძრები...

ბავშვები ზღვაში ისვრიან კენჭებს,
ბავშვებს ტალღები უკოცნის კანჭებს...

ჯერ არ მომხდურან აქ არაბები,
ჯერ არ მომხდარა აქ არაფერი..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძიმე ჟამი

დღეს ღვინითაც ველარ თვრები,
იმედებმაც გაგაწბილეს...
დაგლეწვია თითქოს ფრთები
და სიმაღლე საარწივე...

არ გჩვეოდა შავი განცდა,
რაღაც თეთრად გიხაროდა,
ვენახიან ფანჯარასთან
განთიადი გიყვაოდა...

ცრემლებს ყველას უმალავდი,
მხოლოდ ღიმილს უჩვენებდი,
და სიყვარულს მძიმე ლოდით
მსუბუქ ტაძარს უშენებდი.

შეჰხაროდი მოუსიძველ
ქალის ტანს და სიფაფუკეს,
ინდოეთის მოხუც სიბრძნეს
და ელადის სიჭაბუკეს.

შეჰხაროდი მშობელ მხარეს,
გურულ ციცებს, მეგრულ ცორებს...
ახლა რაღა გაგახარებს,
ახლა რაღა გაგაცინებს..

გრძნობა ისე მიღალულა,
ყვავილს ხედავ ისე დაღლილს...
ქალიც არ ღირს სიყვარულად,
კაციც სიძულვილად არ ღირს..

არ ეკუთვნი შავბნელ სექტებს,
არ ეკუთვნი წყეულ კასტებს,
მიტომ ეგრე გაგიმეტეს,
მიტომ ეგრე გაგიმკაცრდნენ.

მაგრამ...
არ ღირს ბედთან დავა,
თუმც დარები გაგიწვიმეს...
მაინც ფიქრობ — დრო გარდავა
და გაჰყვება ჟამი მძიმე.

## ძველი სურათი

(ზურაბ კიკნაძეს)

გვიან ღამეა.
ეგებ სძინავთ?
თითქოს ვიღლები
და განათებულ ფანჯარასთან
ვდგევარ ჩოთირით...

— შენა ხარ, ბიჭო? —
სინათლიდან გადმოიხრები
და გადმოჰყურებ
საქართველოს ღამეს
ჭოტივით.

* * *

რას ყიდულობ, რასა ჰყიდი,
ქვეყნად რისთვის გასახელდი.
საწუთროში მოჭიხვინდი,
როგორც კვიცი გასახედნი...

ეგ თვალები ფანჯარაა
იმ ქვეყნისკენ გასახედი..
სიკვდილი ხარ, დაბადებავ? —
მე სიცოცხლედ გასაღებდი.

* * *

ობლად შევრჩეთ
სხვა ზღვას,
სხვა ცისკარს,
ტყეში დავსახლდეთ, სჯობს, —
ოღონდ მოძმისგან,
ოღონდ კაცისგან
და კაენისგან
შორს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხო მოსულიშვილი

# კლდედ მომევლინა ფათერაკი

მოთხრობა

> სდევს მიჯნურსა ფათერაკი,
> საწუთროსა დაანაღვლებს.
> **შოთა რუსთაველი**

ღმერთო, რა იყო ეს — რაღაც უცნაურ, ვარდისფერ სივრცეში მივფრინავდი და გული მწყდებოდა, რომ რაც უნდა დამეწერა, ველარ დავწერდი... მერმე ამ შეგრძნებამ გაიარა. ფრენას განვაგრძობდი — არც მეშინოდა, არც ვიტანჯებოდი, არც მტკიოდა რამე. ყველაფერს ერთბაშად ვხედავდი, რაც გადამხდენია გეოლოგად მუშაობისას, უნივერსიტეტში სწავლისას, სკოლის მოწაფეობისას, საბავშვო ბაღში სიარულისას — მოკლედ, თანდათან ვპატარავდებოდი და ისიც დავინახე, თუ როგორ ვთამაშობდი პატარა ბავშვი ელექტროლუმელის შიშველ სადენებზე ჩამოცმული თეთრი რგოლებით, როგორ მომვარდა დედა და განსაცდელს მომაშორა; ისიც ვიხილე, ყალბი ბროლის თვლებით შემკული საათის სამაჯურიდან როგორ ამოვაგდე ერთ-ერთი მათგანი, რისთვისაც უფროსებმა დამსაჯეს... მთელმა ცხოვრებამ თვალწინ ჩამიარა, თუ მე ჩავუარე... მერმე ეს ვარდისფერი სივრცე დამთავრდა და ლურჯად კამკამა ცაში გავედი. შვებით ვსუნთქავდი. სადღაც გაქრა ჩემი მტანჯველი დრო. დრო, რომელიც ერთმანეთისგან აშორებდა გილგამეშსა და ავთანდილს, ურუქსა და თბილისს, დინოზავრსა და მროხას; და ლოგიკურად, დროს თან მიჰყვა სივრცეც — სადაც უდროობაა, იქ არც სივრცე უნდა ყოფილიყო. ეს ჯერ ძალიან მესიამოვნა და შემდეგ რაღაცამ შემძრა — თეთრი, გაკაშკაშებული ღრუბელი მოცურავდა ჩემკენ ცის დასალიერიდან, მოდიოდა, მიახლოვდებოდა, თვალისმომჭრელად ჩამომყურებდა. მერმე არაბუნებრივი, იდუმალი ხმა გაისმა, რომელსაც მთელი ცხოვრება ვემორჩილებოდი თურმე და მან უკან დამაბრუნა, არ მიმიღო თავისთან. გამოვიარე ლურჯი ცა, შევედი ვარდისფერ სივრცეში — თანდათან ვიზრდებოდი, ჯერ პატარა ვიყავი, დავდიოდი საბავშვო ბაღში, ვსწავლობდი სკოლაში, უნივერსიტეტში — იქ ვიწყებდი მოთხრობების წერას, მიხაროდა, რომ კიდევ დავწერდი და ვმუშაობდი გეოლოგად ვიდრე აქამდე...

●

შემოდგომა იწყება.

არაგვისპირა ჭალაში, ერთ პატარა მდელოზე გვიდგას ორი კარავი. ერთში, სადაც გასაშლელ საწოლებზე საძილე ტომრები გვიფენია ნიკო, ჯაბა და მე ვიძინებთ ხოლმე, მეორეში კი ყუთებით ვინახავთ — კონსერვს, ხახვს, პურს,

ჩაის, შაქარს, კარაქს და ქეთიც იქით იძინებს.

კარვების შუაში სარები დავარჭეთ, გადავხურეთ და ზემოდან კარვის ძირი გადავაფარეთ. შიგ გრძელი მაგიდა გავმართეთ და სკამები შემოვუდგით ორივე მხრიდან. აქვე დავდგით პატარა გაზქურაც. ამ გადაფარდულში ვჭამთ ხოლმე.

წინა თვეში ყოველდღე დავდიოდით მარშრუტებზე — ძირითადად ხევებს ავუყვებოდით, გაშიშვლებებიდან ქანების ნიმუშებს ვამტვრევდით ჩვენი გრძელი ჩაქუჩებით, დანომრილ პარკებში ვკრავდით და ზურგჩანთებში ვაწყობდით. თან ტოპოგრაფიულ რუკაზე ვინიშნავდით ნიმუშის აღების ადგილს. მარშრუტებს საღამოს ვიწერდით, რადგან ყოველთვის ვერ ვასწრებდით გზაში.

მესამე წელია გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს აწარმოებს ჩვენი აგეგმვითი პარტია ამ მიდამოებში.

რა დამავიწყებს ფშავის ულამაზეს, ტყე-მდელოიან, დეკა-ღვიიან მთებს, პატარ-პატარა სოფლებს, ლეგა კლდეებს, ვერცხლისფერ ჩანჩქერებს, მდინარიდან ამოშვერილ, ხავსიან ლოდებს, არაგვის შხუილს, საძოვრებზე გაშლილ ფარებს. რომელიმე სოფელს რომ მიუახლოვდებოდი, თუ მიტოვებული არ იყო, ვაგლახად აღავლავებული და ადევნებული ძაღლები უნდა მოგეგერიებინა, თორემ, რომ ამბობენ, უნდა ჩაჯდე და უცადოო, სათიბში ან სამწყემსად გასული პატრონი იქნებ საღამომდე არ დაბრუნდეს და იჯექი და ელოდე...

საღამოობით, მარშრუტიდან დაბრუნებულნი, არაგვის წყლით დაბანილნი, დანაყრებულნი, კოცონთან ვისხედით, მობრკიალე ალს ჩავცქეროდით, სუფთა ჰაერს ვისუნთქავდით და ვსაუბრობდით. ამოვიდოდა მთვარე, უცნაური ჩრდილები გაიწელებოდნენ გალმითა ფერდობზე და ვარსკვლავებიც დასხდებოდნენ ცაზე. წვისას ტკაცუნობდნენ ხმელი ტოტები და ჟამი-ჟამ სადღაც შორიახლოს იკივლებდა ხოლმე ბუ — რამდენჯერმე თვალიც მოვკარით, კარვებს გადაუფრინა გრძლად ფრთებგაშლილმა. „ეს რა ბებერი ბუ ყოფილა, ბიჭო, ნეტა ახლო-მახლო თუ აქვს ბუდეო" — აღნიშნავდა ნადირობაზე თავგადაკლული ჯაბა...

უკვე აღარც მახსოვს მერამდენე დღეა, რაც ამინდი აირია.

დილიდანვე მოიღრუბლა. ხეობაში ნისლები ამოდიან, მატულობენ და აღარაფერი ჩანს, მხოლოდ კვირიონების კრუალი ისმის. მერმე პაკი-პუკი ატყდება კარვის სახურავზე, ფოთლებზე, მიწაზე და ჩაახშობს მდინარის შხუილს. გადაივლიან ნისლები, გადაიღებს წვიმა, მოიმატებს არაგვის ჩქაფუნი და აქა-იქ მოჩანს დათოვლილი მწვერვალები. წამოვა ისევ ნისლი და თავიდან იწყება ეს ყველაფერი. აქაურები ამ ხშირ წვიმას ჟინვალის წყალსაცავს აბრალებენ და ალბათ არც ტყუიან.

ასეთ ამინდში ზედმეტია მთაში წასვლაზე ფიქრიც კი — ისე აგებნევა გზა, სადმე გადაიჩეხები.

ნიკო გასაშლელ მაგიდასთან ზის და რუკას ხაზავს. ჯაბას წინ და უკან სიარული მოწყინდა, წამოწვა, დაბამბული ქურთუკი დაიფარა, სიგარეტს მოუკიდა და კარვის ჭერს მიაჩერდა. ქეთი რაღაც წიგნს კითხულობს. მეც ვწევარ.

— არ მოგბეზრდათ უსაქმურობა? — კითხულობს ჯაბა და ნამწვს კარვის ფანჯრიდან ისვრის.

— ვა... მა რა ვქნათ? — უკვირს ნიკოს.

— მოდი, ერთი მამა-პაპურად შევუბეროთ, — ვთავაზობ მე, მივხვდი, დალევა უნდა ჯაბას.

— მაშ, ჩავუჯდეთ, ნიკოლოზ, საღამოს? — ხელებს იფშვნეტს საწოლიდან წამომდგარი დიდი მონადირე.

— მა ტყუილად გათენდა? — იცინის ნიკო.

— ჰა, ქეთი, შენ რას იტყვი? — არ ისვენებს ჯაბა.

— ოცი ლიტრა კიდევ დაგრჩათ და სანამ იმითაც არ ჩასკდებით, რა მოგასვენებთ, თქვე ლოთებო! — ქეთი ბუზღუნით ხურავს წიგნს, ქურთუკს მოიხუ-

რავს და მეორე კარავში გადის. ალბათ სალამოსათვის მოამზადებს რამეს.

— ადე რა, ბიჭო, ეგ რუკა სად გაგექცევა, ხვალაც ამ თვისაა! — ეუბნება ჯაბა.

— რო ავდგე, რა რო? — კვლავ რუკას უკირკიტებს ნიკო.

— სათევზაოდ წავიდეთ!

— ამ წვიმაში რა გეთევზავება, მოიცა ერთი!

— ეე, ტუტუც! არ იცი, რომ ამღვრეულ წყალში უნდა დაიჭირო თევზი?

— ბიჭო, ბერდედას არ გავაგებინოთ? — ვიკითხე.

— მაშინ, იცი რა ვქნათ? მე და ნიკო „ოღრაშების ფაიტონით“ (ასე ჩვენი ოცი წლის „ვილისს“ შეარქვა ჯაბამ) არაგვს დავუყვებით, ბადეს ვისვრით, იქნებ კალმახი იყოს. შენ კი, შავლეგ, ბერდედასთან ადი და სალამოსთვის მოიპატიჟე.

შავლეგი ბერდედამ შემარქვა ორი წლის წინ, აქ რომ მოვედით სამუშაოდ. იმათავითვე რაღაც თვალში მოვუვედი.

ბერდედას ულამაზესი გასათხოვარი ქალი ზვავს დაუტანებია და ისიც მას შემდეგ არ შორდება ამ სოფელს — სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი შვილის ხელის მთხოვნელს უნდა ველოდოო, ეუბნება ხოლმე მის წასაყვანად ბარიდან ამოსულ ნათესავებს. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა ძნელია ზამთრობით მთაში დარჩენა. თოვლით იკეტება გზები — ისე, რომ ჩიტიც კი ვერ შემოფრინდება აქ. ზის ბერდედა მარტო, წინასწარ მომარაგებული ფქვილისგან აცხობს პურს, ძროხებს თივას უყრის, დასარწყულებლად ჩაჰყავს, სახურავს თოვლავს, უყურებს თავისი ყვითელთმიანი, ვერცხლისსაყურიანი მზექალის გადიდებულ სურათს და ხმით ტირის.

ქეთი, ჯაბა და მე მარშრუტიდან ვბრუნდებოდით, როცა პირველად მოვისმინე ბერდედას ხმით ნატირალი. ვისვენებდით, მისი ხმა რომ მოგვესმა. ეს სოფელი მიტოვებული გვეგონა და თურმე უცხოვრია ვილაცასო, გავიკვირვეთ. მერმე ცნობისმოყვარეობამ გვძლია და იმ ხმისკენ წავედით. სახლის ერდოზე იჯდა, თავისი შვილის გადიდებული სურათის წინ და ისე მოსთქვამდა, სულს მითრთოლებდა — რაღაც საოცარი, არამქვეყნიური ხმა ჰქონდა და საკმარისი იყო ერთხელ მოგესმინა, რომ ვერასოდეს დაივიწყებდი. რამდენჯერ მივპარულვარ მის სახლთან, ეს ხმა რომ მომესმინა და ჩამეწერა კიდეც დიქტოფონზე, თუმცა ჩანაწერში ხმის რაღაც ნიუანსები იკარგებოდა და ის აღარ იყო...

საწვიმარი მოვიხურე და ზემოთ, გორზე ამავალ ბილიკს დავადექი. შუა გზაზე ვიყავი მისული, როცა ჩვენი „ოღრაშების ფაიტონი“ დაიქოქა და არაგვს დაუყვა.

ბერდედას სახლამდე რომ ავაღწიე, კარგა სველი ვიყავი.

მზექალის სურათთან სანთელი დაენთო, თვითონ კი იჯდა, ნალებს ღღვებდა.

— გამარჯობა, ბერდედა! — მივესალმე, ლაბადა გავიხადე, დავფერთხე და იქვე გავკიდე.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა! — მომიგო მან, თან ფეხით არწევდა ჭერზე ჩამოკიდულ გულგამოღებულ მორს, რომელშიც ნალები ესხა. — საით ჰყოფილხარ, ეგრე რო დასველებულხარ?

— ქვემოდან მოვდივარ. სალამოს უნდა ვიქეიფოთ და მოპატიჟედ გამომგზავნეს შენთან. ხომ წამოხვალ?

— აბა, რაჲ ვიცი ჩემი დარდისავ. ამას თუ მოვრჩი, წამოვალ.

— მომიყევი რა, როგორ იღღვიბება?!

— არ გინახავსა?

— პირველად ვხედავ!

— აი, ნალები რო ასხია, ამას „ვარია“ გვიქვიან. ცაცხვისგან აკეთებენ, სატეხებითა სჭრიან. ამ რკინის სალტეთ მემრე უკეთებენ. აეს ზემოდან გადასაფარებელი „ვარიათ სურაჲ“ არს. „ვარიათ პირნი“ ეს ზემოთა ნასვრეტი არს. ეს ქვემოთა კიდენ, სოლით დაცული, სალუდე არს, აქედან გამოდის დო.

— ნალებს როგორღა იღებთ?

— რო მოვწველამთ, ჩავწურამთ ბაკნებში, ამაზე დავაწურამთ რძეთა. ქვაბში

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავნალბამთ — ცალკე ნალებს ჩავასხამთ; მეორეში — საყველე რძეს — გავაცხელებთ, დვრიტას მივცემთ, ამოვწურამთ ყველსა. აი: შეგროვილი ნალები რო დამჟავდება, ჩავასხამთ „ვარიაში“ და დავდღვებთ.

— ახლა მაგ დღვებისაც მითხარი.

— ჯერთ სიგრძივად ვდღვებთ. საიდანაც ვდღვებთ, ის მხარე ქვემოთაა, მეორე კი მაღლა, რო კარგად დაჰკრას რძემ.

— მე არ შემადღვებინებ?

მოდი.

მივედი, დავჯექი სკამზე და ფეხი ბერდედასავით დავადგი „ვარიას“, მოწნულ წნელებს ჩავკიდე ხელი, რომლითაც „ვარია“ იყო კაუჭებზე ჩამობმული და მეც ვცადე მასავით ამეტყლაშუნებინა ნალები, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

— ადექ ადექ, თორემ დაქენჩდება!

— დაქენჩება რაღაა?

— რო დაქენჩდება, უფრო დიდი ხანი უნდა დღვიბო, — სკამზე დაჯდა და ისეთი სიხშირით არხევდა ფეხით „ვარიას“, რომ ნალები ატყლაშუნდა. — იცი, ადრე რაგვარად იყო? ხო ვდღვებ, არა? მოვა ვინმე. „ჯვარიმც გიწერიან რძეთა! ვერ შაადღვებია?“ — შემეკითხება. „არ არი ჯერა, — ვუპასუხებ, ჯერ აწილპერებულ ძლივ არიან“ და გავაგრძელებ. მემრე კიდენ მკითხავს — „ვერ შაადღვებია?“ ჩავხედავ „ვარიას“ და ვეტყვი — „აჩნდნენ კია“. ისევ ვაგრძელებ. „რაძთ ვერ შაადღვიბე?“ „უი, აკარაქებულან, აკარაქებულან, ახლა შავყრი და ამოვარჩევ კიდეცა!“ — ვეტყვი, კარაქს ამოვარჩევ და გუნდებად გავაკეთებ.

— ეს შაყრა რაღაა?

— რძეთ შაყრა განივად დღვება არს.

— მერე დო რომ დარჩება?

— ნარჩენ დოს ქვაბით ცეცხლზე შემოვდგამთ და ხაჭოს ვაკეთებთ. კარაქს კიდე გადავადნობთ ერბოთა. არ გაგიგონებავ ფშაურ ერბოზე? „პური ქართლისა, ღვინო კახისა, ყველი თუშისა, ერბო ფშავისაო“. მემრე კიდე გაწურულ ხაჭოს მარილს მოვაყრით, გავზელთ, გუნდებად ვილებთ და ვაშრობთ. შენ ხო მოგწონს ხმელი ხაჭოჲ?

— უუჰ, ძალიან! ისე, არ დაიღალე, გაუჩერებლად რომ დღვებ?

— მე რაჲ დამღლის, ჩემი დარდისავ...

სიჩუმე ჩამოვარდა. მკაფიოდ ისმოდა წვიმის წვეთების ხმაურში ნალების ტყლაშუნი.

— ამ ზამთარს აქ ნუღარ დარჩები, შენი ძროხები ქვემოთ მიაბაროთ, სოფელში, და წამოდი, ქალაქს წაგიყვან.

— ქალაქს რაჲ მინდა, ჩემი გულისავ?

— აი, თავბრუ რომ გეხვევა, ექიმებთან გატარებ და მოგარჩენენ.

— აქიმ-დასტაქარს რას ვაქნევ!... გული მიტყობს, მალე მამივა მზექალის მთხოვნელი, დავაქორწინებ და მეც მშვიდად ჩავალ შავეთს.

ისევ აურია. აბა, ვინ უნდა მოსულიყო მკვდარი შვილის სათხოვნელად. დასცინოდნენ, მაგას სიკვდილი არ უნდა, იმიტომ ამბობს მასეო. შეშლილივით აუკვიატებია, სულ ამას ლაპარაკობს. საბრალო ეს მოხუცი, მთელი ზამთარი ამ ჩამოხავსებულ სოფელში გამოკეტილი მარტოდმარტო, მოგონებების ამარა დარჩენილი, შვილის საფლავთან მიჯაჭვული.

— წავალ, ბერდედო! — ლაბადას მივწვდი, მოვიხურე.

— მოგვეცადა, გადაიღებს ეს სატიალე!

— ხომ არ გამადნობს! ჩამოხვალ?

— აბა, რაჲ ვიცი, ჩემი დარდისავ, მე კი ვეცდები...

ქვემოთ, ბანაკისკენ დავეშვი. კარავში შესულმა ტანსაცმელი გამოვიცვალე და საჭმლის ქვაბთან მოფუსფუსე ქეთის შევეხმიანე:

— კიდევ გაქვს სპირტი?

— გაიჭერი?

— არა, მცივა და ერთს დავურტყამდი!

შევიდა თავის კარავში და იქიდან ცოტა ხანში ცარიელი ბოთლით დაბრუნდა.

— შენ დალიე?!

— მე რომ დამელია, აღარც გთხოვდი.

— მოვლენ აქ ის ვაჟბატონებიც და მერე ველაპარაკოთ.

სადღაც იჭექა და ეს ხმა მიწყდა თუ არა, „ღრაშების ფაიტონიც“ მოგუგუნდა კარვებთან.

სიგარეტს მოვუკიდე და წამოვწექი. შემოვიდნენ მთლად სველები. იცვლიან და უხარიათ, — შვიდი კალმახი დაუჭერიათ.

— რაო, ჩამოვალო? — კითხულობს ჯაბა.

— კიო.

— სულ გავიყინე. სპირტი აქვს ქეთის? — მკითხა გალურჯებულმა ნიკომ.

— მეც მინდოდა, მაგრამ ვიღაცას აუწაპნია.

— ნეტავი, ვინ იყო? — გულუბრყვილოდ კითხულობს ჯაბა.

— ვინ იქნებოდა. ლოთების უსტაბაშო! — უბღვერს ნიკო.

— დამაცადე, თუ არ გადაგიხადო! — საუბარს ყური მოჰკრა ქეთიმ.

— ნუ გამიბრაზდები, ქეთის ვენაცვალე! — ეფერება დიდი მონადირე, — ახლა თხილი შემოვა...

— დათვი ქვემოთ ჩამოვა, განვაგრძობ, — თხილს ჭამს და...

— და ჯაბას შეეხვეწება, მოდი, მომკალი, ჩემი ხინკალი აჭამე ქეთის და იმით „გაარასხოდე“ ის მოპარული სპირტიო! — ხითხითებს ნიკო.

— თქვენ იცინეთ და, ნახეთ, თუ მართლა არ მოვკლა! — იქადნება ჯაბა.

— კაი, დათვის ხინკალი არ მინდა, წადი და ეს კალმახი შეწვი! — ბრძანებს ქეთი და ჯაბა მორჩილად მიეშურება დავალების ასასრულებლად.

— თქვენც მომეხმარეთ, უსაქმურებო, მაგიდა გავშალოთ! — გვიბრძანა ჩვენც.

გადაფარდულში გავშალეთ სუფრა. სალათი დაჭრა უცებ ნიკომ. ქეთიმ ქვაბით პომიდორში ჩახრაკული საქონლის კონსერვი შემოიტანა, კარტოფილის თანხლებით.

ქორფა მწვანილიც გაგვირჩია ნიკომ. მე ოცლიტრიანი ბოცა გამოვიტანე, ჯაბამ შემწვარი კალმახი შემოამატა მაგიდას და ბერდედას ვეღარ დაველოდეთ, სუფრას შემოვუსხედით. აბა, რა გვექნა. წვიმდა, „ნისლი დანით დაიჭრებოდა“, ვერ ვმუშაობდით. სამაგიეროდ კაი კახურ რქაწითელსა ვსვამდით, და წვიმაც უფრო სასიამოვნოდ ასხამდა.

ერთხელაც, ქვემოდან წამობერილმა ნიავმა ზემოთ ნისლი რომ გაფანტა, ხოლო თამადად არჩეული ლოთების უსტაბაში სავალდებულო, ტრადიციული რეპერტუარის მალე ამოსაწურად (თავისი სადღეგრძელოებიც ბლომად ჰქონდა დასალევი) მშობლების სადღეგრძელოს ამბობდა — წასულებს ნათელში უსურვებდა ყოფნას, ცოცხლებს კი დიდხანს სიცოცხლეს, ნისლში სამი ადამიანის სილუეტი დავლანდე. მერმე ისევ ნისლმა დაგვიმალა ისინი და ქეთიმ მითხრა, ალკოჰოლიზმის ნიადაგზე მგონი „ბელაჲა გარიაჩკა“ დაგემართაო, რაშიც უმალ ეჭვი შეიტანა უფალმა თამადამ. ლაბადა მოვისხი, კარვებს გამოვცდი და გზაზე ბერდედა დავინახე, კაცსა და ქალს მოუძღოდა, რომელთაც მოზრდილი რუკზაკები ეკიდათ. კაცი ჯერ ქართველი მეგონა, ისეთი შავგვრემანი ჩანდა. ქალი კი უფრო ბალტიისპირელს მიაგავდა.

— არ მიგვიღებთ? — მკითხა ბერდედამ, უკან თავისი ძაღლი, „ფითრა“ მოსდევდა.

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა, — შევიპატიჟე.

ჩვენებს გაეხარდათ.

ჯერ არც ერთს არ გვეტყობოდა სიმთვრალე. ალბათ შემჩნეული გექნებათ, მთაში ბევრად მეტს სვამს ადამიანი, ვიდრე ბარში. წნევის ნაკლებობის ბრალიაო, დაუჟინია ნიკოს, მაგრამ ქეთისი არ იყოს, ამასაც საეჭვო სამედიცინო განათლება აქვს.

მაგიდასთან მოვიწვიეთ სტუმრები თუ არა, სადღაც იჭექა და კვლავ ხელახლა დასცხო წვიმამ ახალი ძალით.

— დაელაპარაკე ამათ, ჩემი დარდისავ, მე ვერაფერი გავაგებინე, — მითხრა ბერდედამ და ქეთის მიაწოდა თავისი შედღვებილი კარაქი და ხმელა ხაჭო.

სტუმრები ბერლინელები აღმოჩნდნენ, გეორგ ვოლფი — ფილოსოფიის დოქტორი და დოროთეა ლოიტჰოლდი —

სამედიცინო ფაკულტეტის მესამეკურსელი სტუდენტი. გეორგს გამჭრიახი სახე ჰქონდა, ხოლო დოროთეას კი ქერა თმა, ცისფერი თვალები, სწორი, მოგრძო სახის ნაკვთები; მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ორივე თითქოს იერონიმუს ბოსხის რომელიღაც ნახატიდან გადმოსულიყვნენ...

თურმე ოცდაათი დღეა, რაც გზაში ყოფილან — ომალოდან წამოსულან, ალაზნის სათავე — ბორბალოსა და საყორნის გადასავალი გადმოუვლიათ, მერმე წოხვის თავზე გაუგრძელებიათ გზა და ახლა არაგვის ხეობას მიუყვებოდნენ ქვემოთ, ხვალზევით თბილისში უნდა ყოფილიყვნენ.

შევთავაზეთ, ამაღამ ჩვენთან დარჩენილიყვნენ. თუ ამინდი გამოვიდოდა, კიდევ დავათვალიერებინებდით კავკასიონს, თუ არა და ჩვენი მანქანით ჩავიყვანდით უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე, საიდანაც თბილისში გადიოდა ავტობუსი.

სტუმრებმა რაღაც ილაპარაკეს გერმანულად და მერმე გამოგვიცხადეს თანხმობა. უცებ გაშალეს თავიანთი ლურჯი კარავი, შევიდნენ, ტანსაცმელგამოცვლილნი გამოვიდნენ და ისევ სუფრას მიუსხდნენ.

ცა ფეხად ჩამოდისო, ამაზე იტყვიან ხოლმე.

ეშხში შესულმა ჯაბამ სადღეგრძელოები განაგრძო, მეგობრობისა შესვა და გეორგმა ჭიქა რომ გამოცალა, ნიკო შეეკითხა, დოროთეა შენი საცოლეაო და იმწამს დაიჯღანა — ეტყობა, ქეთიმ დაადგა ფეხი.

არაო, მიუგო გეორგმა და უხერხული დუმილი რომ გაეფანტა, თქვა, ელპიდე კურელას საფლავის ნახვა გვინდოდა არხოტშიო.

ალფრედ კურელაზე ვილაპარაკეთ. მის შვილს ქართული კლუბი დაუარსებია ბერლინში, იქ იკრიბებიან თურმე წევრები, ათვალიერებენ საქართველოს სლაიდებს, სწავლობენ ენას.

თუ ქართულს კარგად ისწავლით, ერთი კარგი მწერლის მოთხრობას წაგაკითხებთ კურელებზე მეთქი.

დოროთეამ გაიცინა, უკვე თარგმნეს გერმანულად, ვიცით გურამ რჩეულიშვილიო.

გამიხარდა.

ძალიან წვიმდა. ბღაოდა მოდიდებული არაგვი.

ბნელოდა.

ქეთიმ და დოროთეამ სანთლები აანთეს მაგიდაზე, ნიკომაც თავისი ფარანი გამოიტანა ყოველშემთხვევისთვის. ჯერ ერთიანი, განუყოფელი გერმანიის სადღეგრძელო დავლიეთ (მაშინ გერმანია ორად იყო გაყოფილი), მერმე საქართველოს სადღეგრძელოც რომ მოვაყოლეთ (საქართველო მაშინ საბჭოთა იმპერიაში შედიოდა), გეორგმა თქვა, ქართული საგუნდო სიმღერების მაგვარი პოლიფონია არსად არ მეგულება, ყველა თავისას მღერის და მაინც ეს საკვირველი მთლიანობააო.

ისეეო, დაუდასტურა დოროთეამ, როგორც კუთხეები განსხვავდება, მაგრამ ერთ მთლიან საქართველოს ქმნისო და ყველა კუთხე ჩამოთვალა ჩემდა გასაოცრად.

კარგად უმუშავია თქვენს ბერლინურ ქართულ კლუბსო, გაიცინა ჯაბამ.

მერმე გეორგმა ბლოკნოტი ამოიღო, რუსულად ნათარგმნი კარგი ქართველი მწერლების გვარები ჩამაწერინეთ, მინდა გავეცნოო.

მაგაზე კახას ელაპარაკეთ, ეგაა მწერალი, ერთთავად თქვენებურ „ერიკაზე“ აკაკუნებს კოდალასავით და ჟურნალებშიც ბეჭდავს მოთხრობებსო, — თქვა ჯაბამ და დოროთეას თვალი ჩაუკრა — უკვე შეზარხოშებულიყო.

მერედა, „ერიკა“ რომ რუსული შრიფტით გამოდისო, გაიკვირვა გეორგმა.

თბილისში არის სახელოსნო, სადაც ქართულ შრიფტს აკეთებენ მეთქი.

უთხარი ახლა ერთი-ორი მწერალი ამ კაცს, გელოდებაო, — დამანამუსა ნიკომ.

რომელი საუკუნის მწერლები გნებავთ, ჩვენ თხუთმეტი საუკუნეა ვწერთ მეთქი.

თანამედროვეო.

მაშინ გირჩევდით, იქსი წაგეკითხათ მეთქი.

რითაა მნიშვნელოვანიო, — აღარ მოშეშვა გერმანელი.

მას აქვს ზუსტად მოდელირებული, მკაცრი და დაუნდობელი, ღვთის ნაწყალობევი ნიჭითა და თავაუღებელი შრომით შექმნილი დიდი სამყარო, სადაც კაცობრიობის ლამის მთელი გამოცდილება აირეკლება ბიბლიიდან დღემდე; ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მე იქსს ნობელის პრემიას მივანიჭებდი მეთქი.

კიდევო?

იგრეკს გირჩევდით, ესეც სანობელე მწერალია, განუმეორებლად და ზოგჯერ უსაზღვროდაც კი გრძნობს ქართულ ენას, თანაც ისეთ უცნაურ ქვეყნებს მოგატარებთ, ვერსად ნახავთ დედამიწის ზურგზე მეთქი.

სხვაო?

კარგია ზეტი, მისი დიდებული ნაწერების წაკითხვის შემდეგ ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს თქვენ გადაგხდენიათ ეს ყველაფერი... არც ამას დავტოვებდი უნობელოდ მეთქი.

შენ რომ ნობელის პრემიის კომიტეტში მუშაობდე, სულ ქართველ მწერლებს დაურიგებდი ლიტერატურის დარგშიო, — ჩაიცინა ნიკომ.

მართლაცდა, რა კრიტერიუმით მისცემდით ნობელის პრემიას ამათო, — დაინტერესდა გეორგ ვოლფი.

გურამ რჩეულიშვილის პერიფრაზირებას თუ გავაკეთებთ, როგორც ნისლი გვიმალავდა ამ მშვენიერ მთებს, ასევე რუსეთი უმალავდა საქართველოს მსოფლიოს. და ამ დამალული ქვეყნის ეს სამი პროზაიკოსი ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების საერთაშორისო სკალაზე, სადაც ჯოისიცაა, დოსტოევსკიც, ფოლკნერიცა და ჰესეც, და ბევრი სხვაც, არავის არ ჩამოუვარდებიან და...

საკმარისიაო, — შემაწყვეტინა ქეთიმ და მოიბოდიშა, — ეს რომ მწერლობაზე, განსაკუთრებით პროზაზე დაიწყებს ლაპარაკს, ველარ ვაჩერებთო.

ჰოო, გაიღიმა დოროთეამ, — ერთი პოეტიც არ უხსენებიათ.

ჩემს მიერ პირველად ხსენებული იქსი პოეტიცაა, ისევე, როგორც ჰესე მეთქი.

ჰესეს ხელმეორედ ხსენებაზე ახლა გეორგს გაუბრწყინდა თვალები — მაგისი თხზულებები და ბიოგრაფიაც საწერ მაგიდაზე მიდევს და დღენიადაგ რომ არ წავიკითხო, ვერ მოვისვენებო...

ლოთების უსტაბაშმა ბედისწერაზე შესვა ვრცელი და ცოტა ბუნდოვანი სადღეგრძელო.

„დამსვენებლიდან", აქვს ასეთი მოთხრობა ჰესეს, ერთი ფრაზა მახსოვდა — „ადამიანის ბედისწერა და ხასიათი ერთი და იმავე ცნების ორ სხვადასხვა მხარეს შეადგენს მხოლოდ".

გეორგმა პარალელი გაავლო ნოვალისის გამონათქვამთან — „ბედისწერა და ხასიათი ერთი და იმავე ცნების ორი სახელწოდებაა" და აღნიშნა, ფორტუნა გარდუვალობაა და კაცის ხასიათითაა განპირობებული და პირიქითაცო.

მოიცათ, ერთიო, — გაეცინა ნიკოს, — რა ბედისწერა, რის ბედისწერა, იდეალისტური ზღაპარია, ბურჟუა ფილოსოფოსების მოგონილი. კაცი თუ გონიერულად მოიქცევა, წარმატება გარანტირებული აქვს. ადამიანი მეფეა ბუნებისო.

დოროთეამ გაიცინა, ქეთიც აჰყვა, თან ბერდედას უთარგმნიდა.

ჯაბამ შეუღრინა ნიკოს — შენი სისულელით ამ უცხოელებს ნუ აცინებ აქ, რადგან გეორგ ვოლფსაც ირონიული ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

ბერდედას მატყლი დაედო კალთაში, თეჟშზე თითისტარს ატრიალებდა და ძაფს ართავდა, ხოლო დართულ ძაფს ქეთი და დოროთეა ახვევდნენ გორგლად. „ფითრაც" იქვე ჩამომჯდარიყო. შვილებო, მეც გეტყვით სვეზეო, დაიწყო ბერდედამ, ადამიანი დაიბადება თუ არა, წერა-მწერლები ბედის დავთარში ჩაუწერენ მთელ ცხოვრებასო...

იელვა ცაზე. სადღაც მეხი დაეცა. მერმე მიკიოტმა იკივლა თითქოს.

ადამიანმა იცის, რომ ვერსაით წაუვა თავის ბედს, ბედისწერასა, — დავიწყე და მიუხედავად იმისა, რომ კაი მთვრალი ვიყავი, მაინც მივხვდი, მე კი არ ვლაპარაკობდი, ვიღაც სხვა მალაპარაკებდა, — მაგრამ მაინც ბედისწერას უნდა ებრძოლოს. ჩემი ბედისწერა იყო, რომ ბერდედა გამეცნო, მისი ხმით ნატირლები მომესმინა, გამეგო ოქროსთმიანი მზექალის ამბავი. მე მზექალი მიყვარს, იმის ხელსა გთხოვ, ჩემო ბერდედო მეთქი.

აბა, ამასა ჰყოლია, აიო! — რომელიღაც კინოფილმის ფრაზა წამოიძახა ნიკომ და უაზროდ გაიღიმჭა.

შენ მანდ მოკეტე, თუ კაცი ხარ მეთქი! — შევუღრინე. ახლა ნათქვამიდან აღარ გადავიდოდი.

რას ამბობ, ჩემი დარდისავ, რას ამბობო, — ბუტბუტებდა გამშრალი ბერდედა.

ამ დროს ვეება, ფრთებგაშლილი ფრინველი — ის ბებერი ბუ მოფრინდა ჩვენს კარვებთან, ნიკომ ფარანი მიანათა. „ფითრამ“ ყეფა ატეხა, იმისკენ გაქანდა, ბერდედას თითისტარი გააგდებინა ხელიდან, ძაფებში გაიხლართა, უფრო უმატა ყეფას. ბუმ შემზარავად დაიკივლა, კარვებს მოხდენილად, მოპიკირე თვითმფრინავისებრ აუარა გვერდი და სიბნელეში გაქრა.

ქეთის მაკრატელი აელო და იმით აპირებდა ბაწარში გახლართული ძაღლის გამოხსნას — უნდა გაეჭრა, მაგრამ გეორგმა ხმამაღლა შეუძახა და მაკრატელი გამოსტაცა ხელიდან. შემდეგ აწრიალებული ძაღლი ფრთხილად გამოხსნა ძაფებიდან, თან გერმანულად რაღაც უთხრა დოროთეას.

მოშალე ეგ ფიქრი, ჩემი დარდისავ, მოიშალეო, — ამბობდა ბერდედა.

რაც უნდა გადამხდეს, იმას ვერსაით წაუვალ. დაგვლოცეთ მე და მზექალი, ჩვენი ქორწილია მეთქი! — არა, ეს მე არ ვიყავი, ვიღაც სხვა ლაპარაკობდა.

ნიკო სიცილით კვდებოდა, ისე გამოიბრუჟე, მკვდარზე იწერ ჯვარსო.

თუ ძმა ხარ, მოეშვი ამ სისულელესო, — თქვა ჯაბამ და სხვა სადღეგრძელო შესვა.

ბერდედა უხმოდ ადგა და წავიდა. „ფითრა“ თან არ გაჰყოლია.

უკვე გვარიანად ვიყავი მთვრალი, დიქტოფონი გამოვიტანე და სტუმრებს მოვასმენინე მისი ერთი ხმით ნატირალი:

გადიდებულხარ ქორით ქალო,
საყურიანო, ვერცხლიანო,
ქალო, დაგეწვნეს ქალობანიაო,
ქალო, თვალჭრელო, თმაყვითელოო,
გალევდა შენი საკერავიო,
ჩავარდა საბრეშუნეიო...
მიწაძ ჩამოგიშლის თმათაო,
წაიღებს გველი ბუდეჩიაო...

ეს გენიალურია მეთქი, ვუმტკიცებდი ბერლინელებს და მერმე მთვრალი კაცის უცნაური, ხტუნია ლოგიკით სხვა რამეზე გადავდიოდი, გეორგს მივმართავდი — მე თქვენ სტეპენვოლფი უნდა დაგიძახოთ, ჰესეს რომანის გმირის მეტსახელი, ხოლო დოროთეა ჰერმინე იქნება მეთქი.

გვეყოფა სმა, უკვე ძილის დროაო, ამბობდა სტეპენვოლფი, იგივე ჰარი ჰალერი, იგივე გეორგ ვოლფი. ჭექდა და ქუხდა, წვიმა ასხამდა. იმ ბებერი ბუს კივილი მესმოდა. დასაძინებლად მიდიოდნენ ნიკო და ჯაბა. დოროთეა გეორგს უცდიდა, რომელსაც მე პიროვნების დაშლის და ხელახლა აგების ჰესესეულ გაკვეთილზე ვეპაექრებოდი, თანაც ქეთი მიჯიკავებდა, ძილის დროაო. მე ჰიტლერის ხასიათს ვშლიდი, ისტერიულ მიდრეკილებებს ვაკლებდი, ნებისყოფის სიმტკიცეს ვუმატებდი და სტალინი გამომყავდა, მოკლედ, გაუთავებლად ვლაყბობდი და რატომ ხდებოდა ასე, ანდა მართლა ხდებოდა თუ არა, რაც ხდებოდა — ვერას ვიტყოდი...

დილით თავი მიბრუოდა. ბუნდოვნად გამიკრთებოდა ხოლმე გუშინდელი ქეიფის ფრაგმენტები და ვხვდებოდი, მართლა ბევრი ვიყბედე, ისე მქონდა ენა გასიებული.

გარედან ჩიტების ჭიკჭიკი მომესმა და ტომრიდან ამოვძვერი, ჩავიცვი. გამოვედი. ლურჯად კამკამებდა მოწმენდილი ცა. მზე ამოსულიყო და ორთქლი აედინა სველი მიდამოსათვის. არაგვი აღარ იყო მოდიდებული. ცივი წყლით დავიბანე სახე და ტანი, შემაჟრჟოლა და მთლად გამოვფხიზლდი.

ქეთი საჭმელს ამზადებდა, იქვე ჩამომჯდარიყო დოროთეა და ლაპარაკობდნენ.

მივედი, ბოდიში მოვიხადე, გუშინ ძალიან დავთვერი და ალბათ ჩემი ლაყბობით როგორ შეგაწუხეთ მეთქი.

არა უშავსო, — გამიღიმა დოროთეამ.

ჩვენებს ისევ სძინავთ მეთქი?

მე ლოთებთან საქმე არა მაქვს გადაეცი, დოროთეა — ჯაბა „ფითრას“ ავარჯიშებს დათვის ძებნაში, ნიკო არ ამდგარა, გეორგი კი გადასაღებად გავიდა ზემოთ.

გახსოვს, გუშინ რომ სტეპენვოლფსა და ჰარი ჰალერს ეძახდიო, — მკითხა დოროთეამ.

აბა, თქვენ ჰერმინეს დაგიძახებდით მეთქი, — ვივარაუდე.

დამიდასტურა.

მერმე გეორგი ჩამოვიდა, ჯაბაც მობრუნდა და თოფი მოამზადა, — დღეს რთული მარშრუტი გვაქვს, სულ დათვებში უნდა ვიაროთ და ქალებთან ბოდიში, რომ ვერ მიგვყავხართო, — თქვა.

იქნებ სტეპენვოლფი მაინც წაიყოლიოთო, — გვთხოვა დოროთეამ.

კი, ბატონოო, — თქვა ჯაბამ, ზურგჩანთები და ჩაქუჩები მოვამზადეთ. გეორგიც გაემზადა და სასაუზმოდ დავსხედით.

გაიგუდება ძილით ეს კაციო, — ნიკოზე თქვა ქეთიმ.

იყოს, ახლა მაგას ზარბაზანით ვერ გაალვიძებ მეთქი.

კარგი იქნებოდა, დღეს თუ სოკოზე წახვიდოდით, იცის ნიკომ ის ადგილები, სადაც ხის სოკოა და დოროთეაც წაიყვანეთო, — თქვა ჯაბამ.

მაღლა, ქედზე უნდა ავიდეთ. ტყის ზემოთ, ალპურ ზონაში ერთი ნასოფლარია, იქამდე ბილიკი ადის, მერმე ქედზე ვივლით ერთხანს. უსახელო ტბებამდე ავალთ და ბოლოს ქვემოთ დავეშვებით, არაგვის ჭალას დავუყვებით და ბანაკში საღამოსათვის დავბრუნდებით.

ასე ნამთვრალევმა როგორ უნდა იარო, დარჩი, ნუ წახვალო, — მითხრა ქეთიმ.

ვივლი მეთქი.

ნახეთ, საღამოს თუ დათვის ხორცი არ ჩამოიტანოთო, — იქადნება დიდი მონადირე.

თუ ვიანგარიშებთ, რომ ხეობის ძირი ათასი მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან, ხოლო ქედი კი ასე სამიათას მეტრამდეა და თან იმასაც დავამატებთ, რომ მიმოხვეული ბილიკით უნდა ავიდეთ ზევით — გამოდის, რომ სამ კილომეტრამდე უნდა ვიაროთ აღმართში, სანამ იმ უსახელო ტბებამდე ავაღწევთ, ცისფრად რომ არის ტოპოგრაფიულ რუკაზე შემოხაზული. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქანთა ნიმუშები უნდა მოვამტვრიო, ჯაბამ უნდა ინადიროს, გეორგმა გადაიღოს, წესით რა რიგით შებინდებულზე ბანაკში უნდა ვიყოთ.

მაცვია საშტურმო ბრეზენტის დიდჯიბეებიანი ქურთუკი და ბრეზენტისავე შარვალი, გურამ რჩეულიშვილს რომ უყვარდა ის „ბათინკები“ და „პანამაც“ მახურავს.

ჯაბას თოფი მოუგდია მხარზე.

გეორგი პერანგისამარა აპირებდა წამოსვლას, მაგრამ ძალით წამოვაღებინეთ ქურთუკი.

არაგვზე გადებული ხიდი გავიარეთ, ტყეში შევედით და ნასოფლართან ამავალ ბილიკს დავადექით. ხეებქვეშ გრილოდა, ისმოდა ხევის ჩხრიალი და ჩიტთა გალობა.

ბილიკი რამდენიმეგან განიტოტა, რამდენჯერმე გადავიარეთ თეთრად აქაფებული, გიჟმაჟი ხევი და მეც სხვადასხვა ქანების ათიოდე ნიმუში მაინც მოვტეხე. მდუმარედ იდგნენ მოზრდილი ხეები, ცაში ძერა წიოდა და ყვავმაც რომ დაიჩხავლა რამდენჯერმე, წუხანდელი ღამე გამახსენდა — იმ თავსხმაში რაღა

მაინცდამაინც ჩვენთან მოფრინდა ის ბუ? თანაც რა დიდებულად გაეშალა ფრთები...

ნელ-ნელა მივიწევდით წინ. „ფითრა“ თავიდანვე წინ გავარდა და ჯაბა წარამარა ეძახდა — ასე ძალიან წინ წასვლა არ ვარგა, როგორ უნდა ვინადიროო, — წუხდა.

ახლა მაგისი ჯარი შემომყარე მეთქი, — მეცინებოდა.

გეორგი უკან მომყვებოდა.

ჰერ სტეპენვოლფ, ხომ არ დაიღალეთ მეთქი.

არაო, — გაეცინა.

ჯერ ტყეა და იმდენად არაფერი ჩანს. აი, ალპურ ზონაში რომ ავაღწევთ, მაშინ ნახეთ სილამაზე მეთქი.

ხევის ჩქაფუნ-შხუილი, რომლისთვისაც ყური მიჩვეული მქონდა, რა ხანია აღარ ისმოდა.

დავიღალე, ქურთუკი გავიხადე და მხარზე მოვიგდე.

გეორგმა მითხრა, ზურგჩანთაში შეინახე, უფრო მოხერხებულიაო. უკვე შენობით მელაპარაკებოდა.

მოდი, შენ ჩადე მეთქი.

ჩემი ზურგჩანთა გახსნა და შეინახა.

ნუ ჩამომრჩებითო, — ჩამოგვძახა ზემოდან ჯაბამ.

დაახლოებით შუამდე რომ ავედით, შევისვენეთ და თითო სიგარეტი გავაბოლეთ, გეორგის ნაჩუქარი „ვინსტონი“.

ახლა ნუ ეწევით, საირული გაგიჭირდებათო, — გვირჩია ჯაბამ, ყოფილი ალპინისტია და ჯიხვივით დადის თვითონ.

ამასობაში წინ წასული „ფითრა“ უკან დაბრუნდა აქაქანებული, ჩამოგვდა ცოტა ხნით და ისევ წინ გავარდა, კვლავ მობრუნდა.

მეტი არაა ჩემი მტერი, ამ ცეტმა და ცუცურაკმა შენ დათვი მოგაკვლევინოს მეთქი.

მაგი არაა ზოგიერთი ტუტუცის საქმეო, — დამიბღვირა.

გზა განვაგრძეთ. დიდხანს მივდიოდით. მერმე ტყე დამთავრდა და ქვემოთ ულამაზესი არაგვის ხეობა გადაიშალა. სილურჯეში მოჩანდნენ დათოვლილი მთის წვერები. ალპურ საძოვრებზე ცხვარი თეთრად, ხოლო საქონელი შავად ჩანდა. მზე გვარიანად შემაღლებულიყო. ცაში კვირიონები დანავარდობდნენ და ღრუბლის ნასახი აღარსად ჩანდა.

ბუჩქნარიც გავიარეთ და ქვემოთ არაგვის დიდი შენაკადის, წაწადოს ხევიც გამოჩნდა. მუქ-ლურჯად მოჩანდა ტყე ჩრდილოეთით მაცქერალ მთის კალთებზე, ხოლო სამხრეთით რომ ფერდობები იყურებოდნენ, იქ საძოვრები უფრო მეტი იყო.

სტეპენვოლფი იღებდა.

ველი გადავიარეთ, ბილიკი ნასოფლარში შევიდა. აჭინჭრებულიყვნენ ნასახლარები. აღარც ძაღლების ყეფა ისმოდა. მხოლოდ „ფითრა“ დამჯდარიყო ერთ ჩანგრეულ კედელთან და ჩვენს დანახვაზე რომ შეჰყეფა, იქვე ხიდან დასჩხავლა გაკვირვებულმა ყვავმა.

გავცდით ნასოფლარს და მაღლა-მაღლა მიმავალ ბილიკს შევუყევით. „ფითრა“ ისევ წინ გაიჭრა და შეძლებისკვალობაზე მიჰყვა თოფმომარჯვებული ჯაბაც.

მე და სტეპენვოლფი ნელა მივდიოდით. ალპურ მდელოებს გავცქეროდით. საოცარი სანახაობა იშლებოდა ჩვენს თვალწინ — სილურჯეში ჩაძირულიყვნენ თეთრი მწვერვალები. კამკამებდა ჰაერი. ჩინებულად ჩანდა ბორბალო — ყველაზე მაღალი მწვერვალი ამ ადგილებში.

ჩემს ბედს ვემადლიერებოდი, რომ ფილოლოგიური კი არა, როგორც ყველას ეგონა, გეოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრე და ამ სილამაზის ხილვის საშუალება მომეცა, არადა, რაკი სკოლიდანვე ვწერდი, ყველას ეგონა, ფილოლოგი გავხდებოდი.

უკვე ჰაერის ნაკლებობა იგრძნობაო, მითხრა აქოშინებულმა გეორგმა.

მეც ვქოშინებდი და ნაბიჯების გადადგმა მიჭირდა, თანაც ძალიან უგუნებოდ ვიყავი, მაგრამ ვცდილობდი არ შემტყობოდა.

ჯაბა და „ფითრა“ ძალიან დაწინაუ-რებულიყვნენ.

ქარი ზღვის ტალღებივით აღელვებდა ბალახს. იტალღებოდა ხავერდისფერი ზღვა ბალახისა და ისევ ძერას კივილი გავიგონე — თავს დაგვტრიალებდა ის ტიალი. უგუნებოდ ვიყავი და რატომ ვი-ყავი, ვერ გამეგო — სხვა დროსაც მივ-ლია წინა დღის ნასვამს, მაგრამ ასე არ ვყოფილვარ.

მზე საშუადღეოს გადასცილდა.

აუუ... — მოგვესმა შორიდან.

ჯაბა ერთ ამაღლებაზე იდგა, სადაც გეოდეზისტების გაკეთებული რკინის ნიშნული იყო და ხელს გვიქნევდა. იქით წავედით. თითოეული ნაბიჯის გადად-გმა მიჭირდა. ალბათ, ჰაერის ნაკლებო-ბის ბრალი იყო. ერთხანს ვიფიქრე, რა აივლის ამ ალმართსთქო, თუმცა სტე-პენვოლფისთვის არაფერი მითქვამს. კაი ერთი საათი მაინც გავიდა, სანამ იმ ნიშნულამდე მივატანდით.

ჯაბა გაშლილ ქურთუკზე წამოგორე-ბულიყო. გეორგი ნიშნულზე ჩამოჯდა.

მე მოცელილივით დავეცი მიწაზე და თვალები დავხუჭე.

იმდენი არ უნდა დაგელიაო, — მისა-ყვედურა ჯაბამ, — ველარ დადიხარო.

უცებ წუხანდელი სიზმარი გამახსენდა. თავ-თავიანთი „ვარიები“ ცაში დაეკი-დათ, ნაღებით აევსოთ და დღვებდნენ ჩემი სანობელე მწერლები, გეორგს რომ ჩავაწერინე — იქსი, იგრეკი და ზეტი. სადღაც მაღლა, ქედზე იდგნენ. მეც იქ ავედი, ჩემი „ვარიაც“ ზეცად დაეკიდა და ვითხოვე — ცოტა ნაღები მიწილა-დეთ, კარაქი უნდა შევდღვიბო თქო. ჩამისხეს და ახლა ოთხივემ განვაგრძეთ დღვება. იქსი, იგრეკი და ზეტი სულ გუნდ-გუნდად იღებდნენ კარაქს „ვარიე-ბიდან“. მე კი ნაღები მიქეჩნდებოდა, არ ამომდიოდა კარაქი და მამშვიდებდნენ, თავიდან ჩვენც მასე გვიჭირდაო. მერმე გაქრნენ ისინი. აქეთ მთაზე მე ვიდექი, იქით — მზექალი, ოქროსთმიანი და ლურჯთვალა, ხოლო ქვემოთ, არაგვში კი უშველებელი, ტირანოზავრის მაგვა-რი გველეშაპი იგრაგნებოდა. მართალია ძალიან მეშინოდა იმ უზარმაზარი, მთებზე მაღალი, ალუჭრელქერცლიანი ტირანოზავრისა — პალეონტოლოგიის კურსი რომ გავიარეთ, იმ წიგნში ეხატა და ვგონებ იქიდან მახსოვდა — მაინც მზექალისკენ ვიწვდიდი ხელს, იმისკენ მივიწევდი. ნუ, ნუ წახვალო, — მომკი-ოდა ქეთი და მე, აცახცახებული, შიშით გათანგული მაინც მზექალისკენ მივდიო-დი. ჰეი, მობრუნდიო, — მიყვიროდა მოცარტის გრძელ თმაზე დაკიდული, სივრცეში მოქანავე სტეპენვოლფი...

სიზმრებს რა ჭკუა აქვს, მახლას! — გავიფიქრე და სიგარეტს მოვუკიდე.

უცებ ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს საზვარაკე, დასაკლავი ცხვარი ვიყავი და ჩემი ნებით მივდიოდი ყელის გამოსაღადრად.

ნიავი უბერავდა და ქურთუკი ჩაიც-ვიო, მირჩია ჯაბამ. ჩავიცვი, წამოვდე-ქი და ქვევით გავიხედე.

გველივით მიიკლაკნებოდა უტყეო ად-გილებში არაგვი. გაღმა ფერდობი ჩანდა კარგად, სადაც მთიბელები მუშაობდნენ. და ერთ გორაზე „დიაცის უბესავით საა-მოდ საცქერალი“ სოფელი შეფენილიყო, ფუტკრის სკებიც კი გავარჩიე.

ჩვენს ქვემოთ, ასე სამასიოდე მეტრზე ორი უსახელო ტბა მოჩანდა.

სამიათას მეტრზე ვიქნებოდით. მზე დასავლეთისკენ მიიწევდა.

წავალ, მე და „ფითრა“ წინ ვივლით, ეგებ დათვი გამოვიდეს სადმეო, — თქვა ჯაბამ და ძაღლთან ერთად ქვემოთ დაეშვა. ჩვენც იქით გავწიეთ.

იმაზე ვფიქრობდი, რა სიამოვნებით მივიდოდი ბანაკში საღამოს, დავიბანდი, კოცონს დავანთებდით და დღევანდელ ნანახს მოვყვებოდი, თან გემრიელად გავაბოლებდი.

ალპური მდელო ჩავიარეთ და დეკიანი დაიწყო.

ძალიან მიყვარს როდოდენდრონის ჩაიო, — აღნიშნა გეორგმა და პრიალა ფოთლების მოგროვება დაიწყო.

ჯაბა და „ფითრა“ უკვე ტყეში შედი-ოდნენ.

გამოცდილი მაქვს, დეკიანში ზემო-

დან ქვემოთ ადვილია სიარული. აი, აღმა ასვლაა ძნელი, რადგან ამ დაბალი, გაბარჯღული ბუჩქის ყოველი ტოტი გეწინააღმდეგება, უკან გაგდებს. ახლა ქვემოთ მივდიოდით და თან ერთ საშიშ კბოდეს ვუვლიდით გვერდს. დეკაში ალაგ-ალაგ არყის ხეებიც იდგა. მერმე სხვა ბუჩქებიც გახშირდა და მეჩხერ ტყეში შევედით. ჩამავალი მზე გამოიჭიატებდა ხოლმე ტოტებს შორის.

მალი-მალ ისმოდა „ფითრას“ ყეფა.

სტეპენვოლფი ერთიანად გაწითლებულიყო სახეზე. არც მე ვიყავი უკეთეს დღეში. არყის ხეებს შორის პატარა დიყიან-ბალახიანი მდელო იყო, აქ ხშირი მოცვი იზრდებოდა. გავჩერდით და ჭამა დავიწყეთ. მერმე ზურგჩანთებშიც ვაგროვებდით ჩვენი მანდილოსნებისთვის — თითო მოწყვეტილ ღერზე ოთხი-ხუთი ნაყოფი მაინც ება და თავისებური არომატი ჰქონდა. ძალიან დამრეც ფერდობზე ჩავდიოდით და ერთხელ კინაღამ დავგორდი კიდეც. გაღმა რომ ვიყურებოდი, უცნაურად მოახლოებული სოფელი მოჩანდა და ძაღლების ყეფაც აღწევდა აქამდე. ჩანდნენ სათიბიდან დაბრუნებული გლეხებიც.

გზა განვაგრძეთ. დამიმძიმდა რუკზაკი, მით უმეტეს ხელის გასანთავისუფლებლად ჩაქუჩიც შიგ შევინახე. მომეცი, ახლა მე წამოვიღებ, — მითხრა ვოლფმა. არ დავანებე.

„ფითრას“ ყეფა ისმოდა, ჯაბა უქსევდა უხილავ დათვს და თან ჯავრობდა— ასე იმიტომ იყეფები, დათვისა გეშინია, შე ლაჩაროო!

დაბურული ფერდობის შუაგულამდე ვიქნებოდით ჩასული და ეს წყეული ტყე არა და არ თავდებოდა. ჩემი წუხანდელი ახირება გამახსენდა, ბერდედას რომ მზექალის ხელი ვთხოვე. შიში მომვარდა, გავეშებული ხარივით დამატყდა თავზე და ერთიანად გადამთელა. ეს რა ჩავიდინე. რა მინდოდა, რა მალაპარაკებდა. ან აქ რაღას მოვეთრეოდი ამ სიმაღლეზე. საერთოდ, რატომ ჩავაბარე გეოლოგიურზე, გავმხდარიყავი ფილოლოგი, ხომ აღარ მომიწევდა ასე უგზოუკვლოდ ხეტიალი და ადამიანურად ვიცხოვრებდი. ის სიზმარიც თავს არ მანებებს, წამდაუწუმ რად მახსენდება? რამ შემაყვარა გარდაცვლილი მზექალი? ლამაზია, მაგრამ შეიძლება მკვდრის შეყვარება?.. ახლა იარე დასაკლავი ცხვარივით და იმას ელოდე, უზარმაზარი, ბანჯგვლიანი დათვი საიდან გამოგიხტება, დაგიღრიალებს, ვინ იცის კბილის ტკივილითაა გაგიჟებული ანდა ვიღაც უხეირო მონადირემ დაჭრა; ჰოდა, მოგვარდება და ერთიანად გიქცევს ძვალსა და რბილს. ჯაბას რა ედარდება, თოფი უჭირავს...

მზე ჩავიდა, ბინდით ივსება ხეობა. კიდევ კარგი, სტეპენვოლფი უკან მომყვება და ჩემს სახეს ვერ ხედავს.

ხომ არ დაიღალე მეთქი.

ძალიან არაო.

მე ამ ხევით უნდა დავცურდე, ხომ ხედავ ხვინჭითაა სავსე, ჩემი ბრეზენტის შარვალი არ დაიხევა. შენ კი აი, ამ ამაღლებას ჩამოჰყევი მეთქი.

დავჯექი იმ პატარა, მშრალი ხევის ძირზე და დავცურდი, ავახრიალე კენჭები. მივდივარ, სიჩქარე მატულობს და გახარებულმა აღმოვაჩინე, რომ ასე უფრო ადვილი ყოფილა ქვემოთ ჩამოსვლა.

ჰეი, კლდე არ იყოსო, — მიყვირის გეორგი.

იყოს რა, ბუჩქს ჩავეჭიდები და გვერდით გადავალ.

ქვემოთ მივცურავ, მივაჩხრიალებ კენჭებს. დროდადრო „ფითრას“ ყეფაწკმუტუნი და ჯაბას ყვირილი მესმის.

ერთ მოსახვევში რომ გავედი, ქვემოთ საეჭვო ბუჩქები დავინახე და იქიდან ამოშვერილი ერთი მსხვილი ტოტიც კარგად შევამჩნიე. გაჩერებას ვერ მოვახერხებ მეთქი, გავიფიქრე, ახლა გვერდზე გადასვლა გვიანია, სწრაფად მივქრივარ, შევეცდები ცოტა შევანელო სიჩქარე და იქამდე რომ მივალ, თუ ვინიცობაა ვვარდები, იმ ტოტს მოვკიდებ ხელს და გავჩერდები მეთქი.

ბუჩქებამდე რომ ჩავხრიალდი, უცებ სიზმარში ნანახი ხეშეშქერცლიანი ტირანოზავრივით გაზრდილი შიში დამაც-

ხრა — იქით კლდე იყო, გადასავარდნი — კლდედ მომევლინა ფათერაკი. ხეს ხელი ვტაცე, ჭახანით გატყდა და ჰაერში ამოვტრიალდი. უფრო სწორად, მთელი გარემო, მთელი არაგვის ხეობა ამოტრიალდა უცაბედად და მერმე თვალისმომჭრელად აციმციმდა — კინოს აჩქარებული კადრებივით, გიჟურად დაბზრიალდა...

ღმერთო, რა იყო ეს — რაღაც უცნაურ, ვარდისფერ სივრცეში მივფრინავდი და გული მწყდებოდა, რომ რაც უნდა დამეწერა, ველარ დავწერდი... მერმე ამ შეგრძნებამ გაიარა. ფრენას განვაგრძობდი — არც მეშინოდა, არც ვიტანჯებოდი, არც მტკიოდა რამე. ყველაფერს ერთბაშად ვხედავდი, რაც გადამხდენია გეოლოგად მუშაობისას, უნივერსიტეტში სწავლისას, სკოლის მოწაფეობისას, საბავშვო ბაღში სიარულისას — მოკლედ, თანდათან ვპატარავდებოდი და ისიც დავინახე, თუ როგორ ვთამაშობდი პატარა ბავშვი ელექტროღუმელის შიშველ სადენებზე ჩამოცმული თეთრი რგოლებით, როგორ მომვარდა დედა და განსაცდელს მომაშორა; ისიც ვიხილე, ყალბი ბროლის თვლებით შემკული საათის სამაჯურიდან როგორ ამოვაგდე ერთ-ერთი მათგანი, რისთვისაც უფროსებმა დამსაჯეს... მთელმა ცხოვრებამ თვალწინ ჩამიარა, თუ მე ჩავუარე... მერმე ეს ვარდისფერი სივრცე დამთავრდა და ლურჯად კამკამა ცაში გაველი. შვებით ვსუნთქავდი. სადღაც გაქრა ჩემი მტანჯველი დრო. დრო, რომელიც ერთმანეთისგან აშორებდა გილგამეშსა და ავთანდილს, ურუქსა და თბილისს, დინოზავრსა და ძროხას; და ლოგიკურად, დროს თან მიჰყვა სივრცეც — სადაც უდროობაა, იქ არც სივრცე უნდა ყოფილიყო. ეს ჯერ ძალიან მესიამოვნა და შემდეგ რაღაცამ შემძრა — თეთრი, გაკაშკაშებული ღრუბელი მოცურავდა ჩემსკენ ცის დასალიერიდან, მოდიოდა, მიახლოვდებოდა, თვალისმომჭრელად ჩამომყურებდა. მერმე არაბუნებრივი, იდუმალი ხმა გაისმა, რომელსაც მთელი ცხოვრება ვემორჩილებოდი თურმე და მან უკან დამაბრუნა, არ მიმიღო თავისთან. გამოვიარე ლურჯი ცა, შევედი ვარდისფერ სივრცეში — თანდათან ვიზრდებოდი, ჯერ პატარა ვიყავი, დავდიოდი საბავშვო ბაღში, ვსწავლობდი სკოლაში, უნივერსიტეტში — იქ ვიწყებდი მოთხრობების წერას, მიხაროდა, რომ კიდევ დავწერდი და ვმუშაობდი გეოლოგად ვიდრე აქამდე...

თვალები გავახილე — გიჟურად აღარ ბზრიალებდა არაგვის ხეობა, ყველაფერი თავის ადგილას იყო. პატარა ხევში, გარდიგარდმო გადახერგილ ხის ძელზე მედო თავი და სისხლი ჩამდიოდა შუბლიდან თვალებში. „ფითრას“ ყმუილი მომესმა და უმალ ტკივილი ვიგრძენი — შმაგი და მოცახცახე.

— გადარჩი? გადარჩი, ბიჭო? ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! — პირჯვარი ისახა ჯაბამ.

— ახლავე შეგიხვევ! — მითხრა გეორგმა და ხალათი შემოიხია.

აუჰ, ყველაფერი მტკიოდა. სტეპენვოლფმა შუბლი შემიხვია და მაშინ ვიგრძენი სისხლის გემო ტუჩებზე. მერმე ისეთმა ტკივილმა მომიარა, გონი დავკარგე...

ჯაბა წყალს მასხამდა.

— გამაგრდი, ახლავე მიგიყვანთ ბანაკში! ნუ გეშინია, კახა!

ისე ამრეოდა სულიც და ხორციც, რომ ველარ გამეგო, სად რა მტკიოდა.

ჯაბამ შემზარავად აყმუვლებულ ძაღლს უყვირა, ჩააჩუმა.

— ვერაფერს ვხედავ!

— ხელი გადამხვიე და წამოგაყენებ! — მესმის სტეპენვოლფის ხმა.

— ადექი, ბიჭო, არ შემარცხვინო ამ გერმანელთან! — ხელზე მომკიდა ჯაბამ ხელი.

— ააა!

— რა მოგივიდა, რა გაღრიალებს?!

— ეგ ხელი მტკივა!

— მოტეხილი აქვს! ფრთხილად! — ეს ვოლფის ხმაა, — კახა მე მომანდეთ, მე წამოვიყვან! ფრთხილად გადაიდო მხარზე ჩემი ჯანმრთელი ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ რა გტკივა? — მეკითხება ჯაბა.

— წელი, წელი მტკივა! და ვერაფერს ვერ ვხედავ!

— სულ ვერაფერს?

— მზეები ჩანს ყველგან, სხვა არაფერი!

— აბა, გადმოადგი ნაბიჯი! — მშვიდად და აუღელვებლად ამბობს სტეპენვოლფი.

მივდივართ. თვალები მიხუჭია, მაგრამ მაინც მზეებს ვხედავ. მთელს სხეულში დამიწრიალებს შმაგი ტკივილი. ფეხქვეშ კენჭები ჩხრიალებს.

— სტეპენვოლფ, გახსოვს მოცარტის თმაზე ჩაჭიდებული ჰარი ჰალერი? წუხელ სიზმარში ვნახე...

— აურია, არა?! — ეჭვობს ჯაბა.

— ყველგან მზეებია!

— კარგი რა, გაჩუმდი! გული მისკდება! — მიყვირის ნაალპინისტარი.

— პირიქით, ილაპარაკე! ყველაფერი ილაპარაკე! — მირჩევს გეორგი.

— ყველაზე მორწმუნე სკოლაში ნიცშე იყო, რატომ დარჩა მერე ულმერთოდ? რატომ მივიდა თვითმკვლელობამდე? მითხარი, ხომ ფილოსოფოსი ხარ!

— უკვე გავდივართ ტყიდან, ფრთხილად! იძახის ჯაბა.

— ჯაბა, მანქანა ამოიყვანეთ ბანაკიდან! — ამბობს გეორგი, — აქ მდინარეა, გესმის ხმაური?

— მუსიკა მესმის. ბახის საორღანო... და ყველგან მზეებია!

ფრთხილად გადავყავარ არაგვზე და ჯერ ფეხები მეყინება, შემდეგ ატკიებული წელი. ბალახზე რომ მაწვენს, ერთიანად ვცახცახებ — მცივა, მცივა, ვიყინები.

— სტეპენვოლფ, აქ ხარ?

— აგერ, მანქანის ხმა ისმის, მალე წაგიყვანთ.

— მცივა!

ქურთუკს მაფარებს.

— ისევ ბახს უსმენ?

— არა, მოცარტიც გავიარე და ახლა ვაგნერზე ვარ! — მწარედ ვიცინი, — ვაიმე, წელი! ვერ ვდგები!

— წყნარად იწექი!

ისევ ვკარგავ გონებას.

თვალებს ვახელ.

— სტეპენვოლფ, სად ხარ?

— დამშვიდდი, ბანაკში ვართ!

— აი, ეს აბი გადაყლაპე! — მეუბნება დოროთეა.

ყველგან მზეები, დიდი ნათელი და იმ ნათელში ვერცხლისსაყურიანი მზექალი მოდის.

— როგორა ხარ, ჩემი დარდისავ! — ეს ბერდედას ხმაა.

— მზექალმა მოკითხვა შემოგითვალა!

— ჩქარა, მანქანაში გავშალოთ საწოლი! — იძახის ნიკო.

— ბერდედა, შავლეგოზე რომ იცი, ის მითხარი...

— არ შემიძლია, ჩემი გულისავ, არა...

— ძალიან გთხოვ... სტეპენვოლფი სად არის?

— აქ ვარ!

— გული მწყდება, რომ ვერაფერი ვერ მოვასწარი, რამდენი რამის დაწერა მინდოდა...

— ნუ გეშინია, კიდევ დაწერ!

— სიგარეტი მომაწევინეთ! — ვითხოვ.

მოკიდებულ ღერს მაწვდის ჯაბა.

და მოულოდნელად ბერდედა ხმით ნატირალს იწყებს:

შალვა იყო, ვაჟკაცი შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო,
შავლეგო...

— გაჩერდი, შე კუდიანო! — უკივის ქეთი, — შენი ბრალია! შენი ბრალია ეს ყველაფერი! ამის ბრალია, კახა რომ კვდება!

— განაგრძე, ბერდედო!

ქამარ-ხანჯლით შეჭედილი,
შავლეგო,
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო,
შავლეგო...

— წაედით, ჩქარა! ასწიეთ! — კივის ქეთი.

„ვილისის" საბარგულში გაშლილ, ფეხებმოკეცილ საწოლზე მაწვენენ ფრთხილად, თუმცა მაინც ვყვირი ტკივილებისგან. მანქანა დაიძრა. ვარ და არცა ვარ აქ. ლამის გამაგიჟოს ტკივილმა.

— მიშველეთ, მტკივა!

— ეს გადაყლაპე! — მორიგ აბს მაძლევს დოროთეა.

მტკივა, მაინც მტკივა. აღარაფერი მშველის. მეტი აღარ შემიძლია. დავიდალე, დავიღალე ამ ტკივილებით და რომ მღეროდი, ვმღერი:

ყვავილების ქვეყანა
ნოქეით შემოვიარე.
რომ მითხარი, მოვალო,
ჭირიმე, რატომ დაიგვიანე...

ქეთის ქვითინი ჩამესმის თუ მეჩვენება, ვერ ვხვდები.

●

რეანიმაციის განყოფილებიდან რომ გამომიყვანეს, ქეთიმ დედაჩემი სახლში გაუშვა და თვითონ მივლის. მარჯვენა ხელი თაბაშირში მაქვს ჩასმული, ხოლო სახეზე და ყურზე ნაკერები მადევს. გაოცებული ყოფილა ჩემი ექიმი, ასე სად მოახერხა დამტვრევა ანდა მერე როგორღა იარაო, მით უმეტეს ხერხემალიც მქონია დაზიანებული. უკეთესად ვგრძნობდი თავს და წერილიც კი გავაგზავნე ბერლინში.

გამოხდა ხანი და პასუხმაც ჩამოაღწია გერმანიიდან:

„მოგესალმებით სტეპენვოლფი და ჰერმინე და გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას. თქვენ გვწერთ იმ ხილვებზე, რაც გქონდათ კლდიდან ჩამოვარდნისას. ანალოგიური რამ სხვებსაც გადახდენიათ. მაგალითად, 1892 წელს ალპურ მწვერვალ სენტიქსის დაპყრობისას გეოლოგი და ალპინისტი ალბერტ ჰაიმი უფსკრულში გადაიჩეხა, მაგრამ თოვლის რბილმა საფარმა გადაარჩინა. აი, რას წერს იგი: „რა გავიფიქრე და ვიგრძენი ხუთი-ათი წამის განმავლობაში, შეუძლებელია გადმოგცეთ ათჯერ მეტ წუთშიც კი. ყველა აზრი და სახე ერთმანეთთან დაკავშირებული, ნათელი იყო და არა ბუნდოვანი, როგორც ძილში..." თქვენც ასე დაგემართათ. კიდევ კარგი განსაცდელმა გაიარა.

ახლა იმასაც აგიხსნით, რატომ არ გააჭრევინა გეორგმა ქეთის მაკრატლით ბაწარი, რომელშიც ძაღლი იყო გახლართული და ახლოს მოფრენილ ბუს უყეფდა. სტეპენვოლფი მისტიკოსია. იმ სურათმა მას გაახსენა ბერძნული მითოლოგიის მოირები, პარკები რომ შეარქვეს შემდეგში რომაელებმა:

კლოთის თითისტარი უჭირავს და ძაფს ართავს — ეს ბერდედა იყო.

ლაზექისს — გორგალი, რომელზედაც ბედისწერის ძაფს ახვევს — ეს დოროთეა იყო.

ხოლო ატროპისი მაკრატლით ჭრის ბედისწერის ძაფს და სიცოცხლე წყდება. ხომ მიხვდით, ეს ვინ იქნებოდა?

ნახვამდის, ველით თქვენს წერილს..."

სწორედ იმხანად ჯაბა და ნიკო მოვიდნენ ჩემს სანახავად და სამწუხარო ამბავი მოიტანეს — თურმე ერთი კლდის ქვემოთ დამტვრეული ეპოვათ ბერდედას უსულო სხეული. სახლში წერილი დაუტოვია ჩემს სახელზე:

„ჩემო შავლეგო, ჩემო დარდისავ!

მაპატიე, აგრემც გენეცვლება შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერდედა. მზექალის სიყვარულმა დამიბრმავა თვალები მე უბედურს, იმასთან შენს ქორწინებას დავეთანხმე ჩუმად, ჩემთვის და არ დამინდო განგებამ და წერა-მწერალმა. არ ვიცი, გადარჩები თუ არა და ამას ვერ ვაპატიებ ჩემ თავს...“

ეს ამბავი გეორგს მივწერე და დავძინე, ამის შემდეგ აღარ მგონია კლოთოს შეადაროთ ეს საბრალო, საკუთარ შვილზე შეყვარებული ბერდედა თქო. ვფიქრობ, ფორტუნამ თვითონ მასვე გადაუხადა სამაგიერო ბედთან შეურიგებლობის გამო და მეც საკმაოდ დამსაჯა იმ აზირებული თამაშისათვის მეთქი...

●

გავიდა დრო.

საავადმყოფოდან გამოსული უკვე თავისუფლად დავდივარ ყავარჯნით, ქეთისთან ერთად ვათვალიერებ ქალაქის მონატრებულ ქუჩებს, ვხვდები ნაცნობებს, მიხარია სიცოცხლე, მაგრამ დავხუჭავ თვალებს თუ არა, კლდისპირზე ამაყად გადმომდგარი ბერდედას ათრთოლებული სილუეტი წარმომიდგება — „შავლეგოს“ ტირის გულსაკლავად, თავის ოქროსთმიან მზექალსაც დასტირის და თავის თავსაც ხმით ნატირალით ისტუმრებს მოუსავლეთში.

— —

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დარეჯან ბატიაშვილი

### ვინც გავაღმერთე...

ვინც გავაღმერთე, სწორედ იმას გაუწყრა ღმერთი,
მისი თვალები უფრო ნაკლებ სარწმუნო გახდა,
სული ჯერ ისევ სიზმარშია — აღვსილი ფრენით,
იმედის ჯილა სანთლის თავზე აფორიაქდა.

გაღმერთებულის დანახვაზე მე ისევ შევკრთი
და თავს ვიტყუებ გაბრუებულ გრძნობის ნამცეცით,
ვინც გავაღმერთე, სწორედ იმას გაუწყრა ღმერთი,
არ მიიკარა სიახლოვეს თვალთა ქარცეცხლი.

სიტყვაცა კმარა, მაგრამ ახლა ძვირია ისიც,
არა მგონია, რომ ჩამიქრეს ცეცხლი თავისით,
უხმობს გულისწორს ყველა ვარდი, ყველა ნარცისი,
საკვირველია ჩემი ყოფნა და მოსაკითხი...

როცა კეთილად განეწყობა ვარსკვლავთა გუნდი,
ჩემთან არავინ აღარ მოვა, თუმც გული მერჩის,
და თუკი მაინც აცხადდება სიზმარი ცუდი,
ისღა დამრჩება, რომ სიცოცხლე გადავდო გვერდით.

### ერთხელაც არ მიკითხავს...

ნელა ვირწევი ვარსკვლავების ქარავანივით,
ჩემი ჩრდილიც კი გამოდგება უტყუარ სარკედ,
რის მაქნისია ხელნატაცი ფიქრის ალვირი,
თუ მიმანიშნებს სამუდამო უფსკრულისაკენ?!

ცის უდაბნოდან რად ჩამოწვა სიჩუმის ზვავი?!
ნუთუ ერთია ქარისათვის სიბრძნეც, სიცრუეც,
ხომ ჩამოჰკიდეს ზეცის თაღზე ქუხილის ზარი,
მე უმნიშვნელო, ყრუ სურვილიც ვერ შევისრულე.

ვიდრე თბილ გულში მწვანე ხავსი ფეხს მოიკიდებს
და დამიგებენ ფეხქვეშ ფრთხილად ხალიჩას ხავსის,
ფიქრის ძგიდესთან შემაჩერებს მოცლილი ვინმე,
მეც შევჩერდები, ალბათ, უარს ვერ ვეტყვი ხათრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ჯერ ერთხელაც არ მიკითხავს ტირიფისათვის,
რა მიზეზია, რატომ ცოცხლობს უსასწაულოდ,
ვინ აუჩუყა გული ტირიფს ტირილისათვის,
ალბათ ძნელია, რომ ცხოვრებას ალლო აულო.

ახლაღა მივხვდი: ამაოა სიტყვის ჟღარუნი,
ან როგორ გინდა, ნართაულად ნათქვამს გაუგო,
ყველა ფუჭია, თუ არა გაქვს ნიჭი ფარული,
მიტომ ძნელია, რომ ტირიფსაც გული გაუღლო.

## ჩემი ცხოვრების კრიალოსანი

ხელში მიჭირავს წუთისოფლის კრიალოსანი,
გათენებისას ვუცქერ ფერთა გამოვლინებას,
როგორ მინდოდა, ვყოფილიყავ ღვთისა მოსავი,
რომ ოდნავ მაინც ჰქონებოდა კაცს მორიდება.

და იმის შემდეგ, რაც ცხოვრება წავიდა თაქვე,
ნისლიც მომრავლდა ჩუმზე ჩუმი შარახვეტია,
მე ვკითხულობდი სახარებას თურმე მგლის თავზე,
გრძნობის ჩანჩქერი თავის ქერქში ვერ დაეტია.

რაღა დავმალო, როგორცა ქუხს, წვიმს სწორედ ისე,
აღარ უქრება სიმწუხარე მოვარდნილ ელდას,
ღრუბლების შავი იალქნები მიაპობს სივრცეს,
რომლისაგანაც ასი გრძნობა გამოიჭრება.

ცისკენ ყურებით დაიწყალეს თვალები მთებმა
და სადავეებს ველარ იჭერს ვულკანის ბოლვა,
ლტოლვილი წუთი გაკვეთილად გამომადგება,
მაგრამ არ მესმის კრიალოსნის უთავბოლობა.

ჩემი ცხოვრების კრიალოსანს არა აქვს ცვეთა,
რის განდევნილი ფიქრებისგან მომეჭრა გზები,
ფარი იფარა სინამდვილის უზადო ზეცამ
და ესღა შემრჩა მოკვდავთაგან ხელუხლებელი.

## ჟამთა სიავე

ჟამთა სიავე, როგორცა ჩანს, ჩემზეც ნადირობს,
ფეხქვეშ გამიგდო ძველებურად ისევ ცხოვრებამ,
წუთისოფელი ერთ უბრალო სიტყვას არ მითმობს,
რას ვიფიქრებდი, თუ მიწასთან გამასწორებდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვავთა ნაშთების გულუბრყვილო გამოქვაბულებს
წარხოცავს ხოლმე გაფანტული სიზმრების ალი
და რაღა დამრჩა სახვალიო, ან რას მაგულებს
გარდასულ დღეთა ქარიშხლების ნაეშმაკარი.

რადგან თევზივით ჩავიგუბე მე პირში წყალი,
ისე დავდივარ, ვემდურები თითქოს ფილაქნებს,
თუ წუთისოფლის გამოცანა გამოვიცანი,
მერე მზეც, ალბათ, სხვანაირად გამომინათებს.

როს ქვეყნის ფიქრი შიგადაშიგ წნელებსა გრეხდა,
იშვიათად თუ ვეძლეოდი თავდავიწყებას
და, ისე, როგორც ქარისაგან დამაშვრალ მხედარს,
მატორტმანებდა ალანძული გზის გაფიცხება.

ვაკვირდებოდი ილუზიებს გამურულს ცეცხლით,
რწმენას იოლად ხელი როდი წამოეკვრება,
მაშ, რაღადა ხტის ჩემს სიტყვებზე დრო, როგორც ცერცვი,
ჟამთა სიავე თავისთავში ველარ ერკვევა.

●

იმ ავყია ქარს დაველაქდნე წუხელ სიზმარში,
მიტომაც ახლა ნირწამხდარი მხოლოდ ნერწყვს ყლაპავს,
ხვალე კი ისევ ტალღასავით ნაპირს მიმახლის,
დავემსგავსები მე მტყუანს და ის კიდევ — მართალს.

ამიტომ მიკვირს, რას მერჩიან, ან რას მერჩოდნენ,
მე ხომ ისედაც წასვლა მინდა, ეკლებზე ვზივარ,
კიდევ კარგი, რომ ქარი არ ჩანს გემის კიჩოზე,
დაუზოგავად და უაზროდ მასველებს წვიმა...

●

ამიტალახა მოციქულმა ოცნების კარი,
მე კი ყოველთვის ვეგებები წყნარი გიტარით,
მთვარით მოფენილს დამჩნევია სიბნელის კვალი,
ჩემზე მოიღეს უგუნურთა ეჭვის ისარი.

მიკვირს, ჩემს თვალში რად ეძებენ სათავეს ხიჭვის,
მით უფრო მიკვირს, ვერ ხედავენ თვის თვალში დვირეს,
მე ხომ ყოველთვის მამაღლებდა სიცოცხლის ნიჭი,
მე ხომ სიკვდილი სიცოცხლისთვის ბევრჯერ გავწირე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც არ უგდებს კარსა და ბანს ეჭვების რემა,
ცივი სიტყვისგან მოყინული სიმღერის კალოს,
ცაზეც არ არის ხან ისეთი ჭექა და ელვა,
როგორც ჩემს სულში ვიღაცის და რაღაცის გამო.

მიდის და აყრის გზას ბარაქას დგანდგარი წუთის,
ერთი წუთითაც არ ასვენებს საწუთროს ბორბალს,
აბა, თუ ერთხელ ღმერთს შეხედოს ფოფინმა სუსხის
და თვალი ჰკიდოს ლაბირინთში მოქცეულ ბორგვას.

ჴსნას ისე ვეძებ, როგორც ტყეში დაკარგულ ბილიკს,
ქარის ქეიფზე აღარ დადის სურვილის ხვითო,
იმ დროს, როდესაც საკირეში იწვება ბიძგი,
ღმერთს ვთხოვ, სიკვდილი სიცოცხლეში გამომიქვითოს.

## მიტოვებული სახლი სოფელში

სულს დაეფინა სევდა, როგორც თოვლის საფარი,
სახლი დამიხვდა ობოლივით გულჩათხრობილი,
მოგონებათა შეფერხებას იწვევს ზღაპარი
და ზღაპარს როგორ გავუმკლავდე გულსაყოლილი?!

ლაპარაკობენ ალბათობით წვეთები წვიმის,
რა ეშველება შავ მიწაზე სეტყვას — ცის ხიზანს?!
ჩამოუშვია ნაწყენივით კერიას ცხვირი,
ძილბურანში ვარ, სეტყვამაც ვერ გამომაფხიზლა.

არა მგონია, ცრემლმა ხვედრი შეუმსუბუქოს,
ვერაფერს ვამჩნევ სანუგეშოს ნახანძრალ თვალით,
ვით ბებერ მუხას, გასჩენია სახლსაც ფუღურო, —
ალბათ, მიტომაც მეგებება შეკრული წარბით.

დგას ჩვენი სახლი, სხვათა შორის, ვით მოკვეთილი,
ნამტირალევი თვალები აქვს შერჩენილ იმედს,
დაღონებული, ამ გულივით გამოკეტილი
დგას ჩვენი სახლი და გამვლელი თვალებს არიდებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ბუაჩიძე

# ნამცეცები

388.

...მიბაძვა ანუ მიმეზისი ბერძნულად და იმიტაციაო ლათინურად ანტიკური შეხედულებით განსაზღვრავდა ხელოვნების დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. რასაკვირველია, ჩვენ დღესაც ვერ უარვყოფთ, რომ ვიწრო თვალსაზრისით მიბაძვის ფენომენი ხელოვნების ყველა დარგს ახასიათებს და ასხვავებს მას ადამიანის სხვა სახის მოღვაწეობისაგან. ეს მოძღვრება ძირითადად პლატონმა და არისტოტელემ დაამუშავეს. უფრო გვიანდელ პერიოდში მიბაძვა გულისხმობდა სტილისტურ ორიენტაციას პოეზიისა და ორატორული პროზის კლასიკურ ნიმუშებზე: ქართულ ლიტერატურაში ამის თაობაზე არის რამდენიმე მითითება ვეფხისტყაოსანში და მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართველ თეორეტიკოსთა თუ პრაქტიკოს-შემოქმედთა თხზულებებში.

389.

...მეთექვსმეტე საუკუნე. იტალია. რომი. იმ პერიოდის ერთ-ერთი დიდი მოღვაწე, ფილოსოფოსი, პოეტი, დრამატურგი, ლიტერატურის თეორეტიკოსი, შემფასებელი, ყოველგვარი დრომოჭმული ტრადიციის უარმყოფელი, ბნელეთის ძალთა წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი, წინ და შორს მხედავი — ჯორდანო ფილიო ბრუნო. ჯორდანო ბრუნო. 52 წლისა (მათგან რვა წელი საპყრობილეში გაატარა), 1600 წლის თებერვალში კოცონზე დაწვეს კლერიკალებმა. აი, მისი ზოგიერთი გამონათქვამი: ვინც პოეტურ ოსტატობას იმის მიხედვით ზომავს, თუ რამდენად უდგება და ეთანხმება ეს ოსტატობა არსებულ წესებს, „იცოდე ძმაო, ნამდვილი პირუტყვები არიან“. პოეზია კი არ იბადება წესებში, არამედ — წესები პოეზიაში. ნამდვილი პოეტი იცნობა არა პედანტების საზომით, არამედ თვით მისი სიმღერებით. „არისტოტელეს წესები“ სასარგებლოა მხოლოდ მაიმუნთათვის, ხოლო კრიტიკოსებმა, მრავალი წესი და ხერხი რომ მოიგონეს — მხოლოდ ამგვარი და ამის მსგავსი მეტაფორები, მხოლოდ ასეთი მიმართვები, მხოლოდ ფაბულის ერთიანობა, პროლოგისა თუ ეპილოგის უქონლობა და სხვა სისულელეები,—ამგვარმა კრიტიკოსებმა, ვითარცა ჭიაღუებმა, თვით არაფერი ხეირიანის კეთება არ იციან, დაბადებულნი არიან მხოლოდ იმისთვის, რომ ძირი გამოუთხარონ და ჩირქი მოსცხონ სხვის შრომას...

390.

..არ ვიცი ზუსტად, მაგრამ ცხადი უნდა იყოს (და ამ მხრივ ვეთანხმები ბუნებისმეტყველთ და არა ფილოსოფოსებს), რომ ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების ურთიერთობა მეცნიერული შემეცნების პროცესში მეტად რთულია, — ერთის ნახტომური

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 5-6.

წინსვლა მექანიკურად არ იწვევს მეორის განვითარებას, ნაგულისხმევია მათი შეფარდებითი დამოუკიდებლობა. მაგრამ სრულად ვერ დავეთანხმები მტკიცებას, რომ თანამედროვე ფილოსოფიის განვითარება დამოკიდებული იყოს მხოლოდ ბუნებისმეტყველების პროგრესზე. შორეულ წარსულშიც და ახლაც მრავლად მოიძებნება ამის საპირისპირო ფაქტი და არგუმენტი.

391.

...ევროპის შუა საუკუნეები. სიტყვას „ხელოვნება“ ესთეტიკასთან თითქმის არავითარი კავშირი არ ჰქონდა. იმ დროის ხელოვნების ზოგადი კონცეფცია გამოთქმულია კვინტილიანეს სიტყვებში, რომლის ციტირებას კლეანთე ახდენს: „ხელოვნება არის მეთოდური ოსტატობა“. და კიდევ: „ხელოვნება — რომელიმე წესით ანუ განსაზღვრული თანმიმდევრობით მუშაობის ჩვევაა“. მარციან კაპელას ენციკლოპედიაში ჩამოთვლილია შვიდი „თავისუფალი ხელოვნება“: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, მუსიკა, არითმეტიკა, გეომეტრია და ასტრონომია. პოეზია და მხატვრობა ნახსენები არ არის. მხატვრებს ზოგჯერ სარაჯებს აკუთვნებდნენ, რადგან იმ ხანაში უნაგირებს აფერადებდნენ ხოლმე. პოეზია განიხილებოდა როგორც ლოგიკისა და რიტორიკის დანამატი. ჰოლანდიელი მაისტერზინგერები თავის თავს „რიტორიკებს“ ეძახდნენ, რადგან პოეზია მაშინ ითვლებოდა „მეორეხარისხოვან რიტორიკად“...

392.

...„ყველა ჩხავანა ახალ-თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა. ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი“, — ილია.

393.

...ცნობილია, რომ ონორე დომიე, ევროპაში ყველაზე გამოჩენილი კარიკატურისტი, ფლობდა დაცინვის არაჩვეულებრივად ფართო დიაპაზონს. მისი კომიზმი ვლინდება მოქმედებაშიც, სიტუაციაშიც, განწყობილებაშიც, გრძნობაშიც... კარიკატურათა საგანია არა მხოლოდ პოზა და მიმიკა, არამედ ადამიანის სხეულის მთელი სტრუქტურაც. ზოგიერთი სერიოზულად ამტკიცებს, რომ დომიემ შექმნა ადამიანის სხეულის ახალი ანატომია — ყველაზე უცნაური და საკვირველი სიმახინჯე რეალობად იქცევა და დამაჯერებელია. მას თითქოს ემორჩილება ტანსაცმელიცა და საგნებიც. მის ხაზთა და შტრიხთა დინამიკაში თითქოს დაფლულია გონებამახვილობისა და მუქარის ნესტარი. გვყავდა ან გვყავს ჩვენ, ქართველებს, ამგვარი ტიპის ან რანგის კარიკატურისტი? მეგობრები მახსენებენ ოსკარ შმერლინგს და მისი დროის ოსტატებს. გიგლა ფირცხალავა? მზად ვარ, სპეციალისტების აზრი გავიზიარო...

394.

...საკუთარი თავის დაცინვა სულის სიმაღლეზე მაინც მიუთითებს. ვინც ცხოვრების გზა ისე განვლო, რომ ერთხელაც არ დაუდგა მომენტი საკუთარი თავის სერიოზული გამასხრებისა თუ დაცინვისა, ან ქვისგანაა გამოთლილი, ან რაღაც ისეთი აკლია, რაც ადამიანს პიროვნებად აქცევს.

395.

...ჰაინრიხ შლიმანის ფენომენი დიდხანს იწვევდა მსოფლიო საზოგადოებაში ურთიერთგამომრიცხავ აზრებსა და განსჯას. ის მაინც არ უნდა დავუკარ-

გოთ ამ საოცარ კაცს, რომ უძველესი დროის ეგეოსის 'კულტურა აღმოაჩინა, ტროას ადგილსამყოფელი მიუთითა და გათხარა კიდეც. მეცნიერება ხომ დღემდე სარგებლობს და იკვებება მისი მიგნებების შედეგებით. ახლა იმსჯელე მოყვარულის როლზე პროფესიულ საქმიანობაში!

396.

...სილამაზის იდეა როგორც შუამავალი ფორმასა და მატერიას, გონებასა და გრძნობას შორის. მატერია, კანტის მოძღვრების თანახმად, რამდენადმე შეზღუდულია. მატერია არსებობს მხოლოდ ფორმის მეშვეობით.

397.

...მაინც რა იზიდავდა ჰეგელს ასე მძაფრად ჰერაკლიტეს მოძღვრებაში? მოვიხმობ ჰერაკლიტეს მხოლოდ იმ გამონათქვამებს (დიოგენეს მიხედვით), რომლებმაც მე მიმიზიდა და ზოგიერთმა მათგანმა თავის დროზე განცვიფრებაც გამოიწვია: „ბევრის ცოდნა არაფერს ასწავლის გონებას. წინააღმდეგ შემთხვევაში (ეს რომ ასე იყოს), ეს შეასმენდა ჰესიოდესა და პითაგორას". საქმე ისაა, რომ „სიბრძნე ერთშია: შეიმეცნო აზრი, რაც ისაა, ყველაფერს ყველაფერში რომ მართავს". „ჰომეროსი იმსახურებს საზოგადოებრივი კრებებიდან გაძევებას და როზგებით დასჯას, ამასვე იმსახურებს არქილოქე". დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე უფრო სწრაფად უნდა გაქრო, ვიდრე ხანძარი" და „კანონიერებისთვის უნდა იბრძოლო ვითარცა საკუთარი კედლებისთვის". იგი ამგვარი სიტყვებით ლანძღავს ეფესელებს იმის გამო, რომ მათ გააძევეს მისი მეგობარი ჰერმოდორე: „ეფესელებმა დაიმსახურეს ის, რომ უფროსებმა ერთმანეთი ჩამოახრჩონ და ქალაქი არასრულწლოვანებს დაუტოვონ, რადგან მათ გააძევეს თავისი საუკეთესო კაცი ჰერმოდორე სიტყვებით: „ნუ იქნება ჩვენს შორის ყველაზე უკეთესი, ხოლო ამგვარი თუ აღმოჩნდება, სხვაგან და სხვასთან იცხოვროსო". როცა თანამოქალაქეებმა მიმართეს თხოვნით, მათთვის კანონები გამოეცა, ჰერაკლიტემ აგდებულად უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ სახელმწიფოში უკვე დამკვიდრებულია მმართველობის უცუდესი სახეო... (ჩემი ეს თარგმანი, შესაძლებელია ,ფორმით ცოტა სცოდავს, მაგრამ აზრთა სიზუსტეს ვიცავ).

398.

...როგორ მოკვდა ჰერაკლიტე, დიოგენე ლაერტელი გვიამბობს: შეიძულა რა ადამიანები და განმარტოვდა, ჰერაკლიტე მთებში ცხოვრობდა, მცენარეულობითა და ბალახით იკვებებოდა. ამის შედეგად რომ წყალმანკით დაავადდა, ქალაქში დაბრუნდა და ექიმებს გამოცანის სახით შეკითხვა დაუსვა — შეუძლიათ კი მათ წყალდიდობა გვალვად აქციონ? რადგან მათ ეს კითხვა ვერ გაიგეს, მიატოვა ისინი და მოითხოვა ბოსელში ჩაემარხათ — იმედი ჰქონდა, რომ ხარის ნაკელი მოარჩენდა. მაგრამ ამან ვერ უშველა და გარდაიცვალა სამოცი წლისა. ჰერმიპე კი მოგვითხრობს, რომ ექიმებს ეკითხებოდა — რომელიმე მათგანს შეუძლია შიგნეულზე ხელის მოჭერით სითხე გამოადინონ? როცა მათ უარყოფითად უპასუხეს, მზის გულზე დაწვა და სთხოვა ბიჭებს, მისთვის ტანი ხარის ნაკელით დაეზილათ. ამ ტანჯვაში გარდაიცვალა მეორე დღეს და დაკრძალულ იქნა მოედანზე. მაგრამ ნეანთე ამბობს, რომ ჰერაკლიტემ ველარ მოიცილა ნაკელი, გარეგნობა რომ შეეცვალა, ძაღლებმა ველარ იცნეს და შეჭამეს. არისტიონე გვიმტკიცებს, რომ ის განიკურნა წყალმანკისგან და სხვა ავადმყოფობით გარდაიცვალა...

399.

...რა მიზეზია, რომ ფერწერა დიდად პოპულარულია (შეიძლება ითქვას, — ყველაზე პოპულარულია) მეტად ფართო წრეებში? არც ისე ადვილი ჩამოსათვლელია ამ საყოველთაო პოპულარობის მიზეზები. ალბათ ის უნდა ვახსენოთ, რომ ფერწერას შეუძლია მთელი სისრულით ხორცი შეასხას უამრავ შთაბეჭდილებებსა და მოვლენებს; მისთვის ხელმისაწვდომია გრძნობათა, განცდათა, ხასიათთა და ურთიერთობათა მთელი სამყარო; მას ექვემდებარება ნატურის უფაქიზესი ნიაუნსები და უდიდესი აღმაფრენის ფანტაზია მარადიული იდეები და სწრაფწარმავალი წამები. თუ არქიტექტურა ქმნის სივრცეს, ხოლო ქანდაკება — სხეულს, ფერწერა აერთიანებს სხეულს სივრცესთან, ფიგურებს საგნებთან მათი გარემოცვითურთ, იმ სინათლესთან და ჰაერთან, რომელშიც ისინი არსებობენ.

400.

...ცხადია, — ბალეტი ქორეოგრაფიის უმაღლესი ფორმაა. სხვა ხელოვნებათა შორის ის განისაზღვრება როგორც სანახაობრივი სინთეტიკური სივრცობრივ-დროისმიერი მხატვრული შემოქმედება. მისი შემადგენელი ნაწილები — დრამატურგია, მუსიკა, ქორეოგრაფია, მხატვრობა თუ ერთ მთლიან, დაუნაწევრებელ მხატვრულ ქმნილებას არ წარმოადგენენ და ეს კომპონენტები ცალ-ცალკე არსებობენ ან მექანიკურად არიან დაკავშირებულნი, საჭირო მხატვრული ეფექტი არ შედგება. ყოველივე ამის ცენტრი, სინთეზატორი, გამაერთიანებელი და დამმორჩილებელი არის ქორეოგრაფია — საცეკვაო ხელოვნება მაღლდება მუსიკალურ-სასცენო წარმოდგენამდე. თვით ცნება ბალეტი გულისხმობს ევროპულ საბალეტო ხელოვნებას, რომლის ჩამოყალიბება ხდებოდა 16-19 საუკუნეებში. ახლა ეს ტერმინი ყველა ქვეყნის საცეკვაო წარმოდგენებზე გავრცელდა. საქვეყნოდ ცნობილ ქართულ ქორეოგრაფიულ ანსამბლებსაც სხვადასხვა ქვეყნებში ხან „ქართულ ბალეტს“, ხან „კავკასიურ ბალეტს“ უწოდებენ. ყოველთვის მაინტერესებდა ლიტერატურული საფუძველი — ლიბრეტო ანუ სცენარი. საერთოდ მიღებულია აზრი, რომ ლიბრეტო ბალეტის (ან ოპერის) ყველაზე სუსტი რგოლია. ზოგჯერ ეს ალბათ სამართლეს შეეფერება, მაგრამ არა მგონია რომ ყოველთვის სწორი იყოს. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, არსებობს ამგვარი კანონზომიერება: იქ, სადაც მუსიკა და ქორეოგრაფია ერთმანეთს ეჯიბრება ან თანაწყობილად მოქმედებს, ლიტერატურამ ცოტა უკან უნდა დაიხიოს....

401.

...ვისაც ცხოვრებაში უფრო სანუკვარი არა გააჩნია რა, მას არ შეუძლია ღირსეული ცხოვრება, — ძველებური სენტენცია.

402.

...ლაროშფუკოს თქმით, ეჭვიანობაში უფრო მეტი თავის თავის სიყვარულია, ვიდრე სიყვარული.

403.

...თუ თანამედროვე კინო მომავალში დაკარგავს ესთეტიკურ ფუნქციას, ამის მიზეზი ახალი ტექნიკის შესაძლებლობანი იქნება. ტექნიკა ზოგადად ესთეტიკის შეუგნებელი მტერია.

404.

...ნებისმიერი ადამიანი (ყოველი სულიერი) და ნებისმიერი საგანი (ყოველი უსულო) უშუალოდ დაკავშირებუ-

ლია ურთიერთთან და გარემოსთან. ამ შინაგანი თუ გარეგნული აუცილებელი კავშირის გარეშე ადამიანიცა და საგანიც ფუნქციას იმდენად კარგავს, რომ გაუცხოებული ხდება და იძენს სრულიად მოულოდნელ სახეს თუ მნიშვნელობას.

405.

...ლიტერატურასა და ხელოვნებაში ერთი საიდუმლოება არსებობს, რაზედაც ზოგიერთი ავტორი მიუთითებს: მდინარის კალაპოტს ყოველთვის აქვს ორი ნაპირი და მწერლობა-ხელოვნების მთავარი თვისება — ცხოვრების სიმართლე და მისი შემოქმედებითი გარდაქმნა — არის სწორედ ის ორი ნაპირი. როგორც კი ერთი მათგანი გაქრება, თავისთავად ქრება მდინარეც, რჩება მხოლოდ „მოლიტერატორთა" გუბეები, იწყება ერთი უკიდურესობის პრეტენზია ჭეშმარიტებაზე და მეორის უარყოფა, როგორც სიყალბისა. ხდება შემოქმედებისა და სიმართლის, გამონაგონისა და სინამდვილის მექანიკური გამიჯვნა. ნამდვილ შემოქმედებაში ორივე ნაპირი აუცილებლად არსებობს, ის არის სწორედ ერთი კალაპოტის ორი აუცილებელი ნაპირი,ურომლისოდაც (თვით კალაპოტი—შემოქმედება არ არსებობს.

406.

...„ის იმგვარია, რომ თავის მარტოობას ჰგავს". როგორ შეიძლება ადამიანი თავის მარტოობას ჰგავდეს? როგორც ჩანს, შეიძლება. მარტოობის უსულიერებას ის ასულიერებს ისევე, როგორც მარტოობა თავის დაღს აჩვამს სულიერებას. არსებობენ ნიმუშები სულიერისა და არასულიერის სრული ერთობისა. „მარტოობის ასი წელი" ამის ერთი ლიტერატურული დადასტურებაა.

407.

...ჩუმად მინდა ვთქვა: ბედნიერი ვარ, ამ დროს რომ მოვესწარი. უძნელესია, მაგრამ თავისუფლების დროა. ამაღლებული დროა, როცა მშიერ-მწყურვალი ოჯახი თავისუფლების შეგნებით ცხოვრობს, როცა უბედური ბიჭების დაღვრილი სისხლი საქართველოს ბედნიერების ამომავალ მზეს ერწყის....

408.

...„უფალმან განიკითხოს მართალი და უღმერთოი, ხოლო ვის უყვარს სიცრუვე, მას სძულს სული თვისი".

409.

...ჭეშმარიტი ხელოვნება შეუძლებელს აღწევს. მას არ შეიძლება არ დაუჯერო, როცა იმას წარმოადგენს, რაც არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ლეონარდოს ეკუთვნის სიტყვები: „თუ ფერმწერი ისურვებს მშვენიერი საგნების ხილვას, სიყვარულს რომ აღუძრავს, მას შეუძლია შექმნას ისინი, ხოლო თუკი მოისურვებს სიმახინჯის ხილვას, აქაც მათი უფალი და ღმერთია"....

410.

...კლასიკური გერმანული იდეალიზმი განიხილავდა ლიტერატურულ შემოქმედებას, როგორც შემოქმედებითი გონიერების ან გონიერი ნატურის უმაღლეს გამოვლინებას. ამან მიანიჭა ლიტერატურათმცოდნეობას წამყვანი მეცნიერების ხასიათი და, ამდენად, მისი შემდგომი წარმომადგენლები ფიქრით კვლავ და კვლავ უბრუნდებოდნენ იმ ბრწყინვალე მდგომარეობას, რაც ამ მეცნიერებას კანტისა და ჰერდერის დროს ჰქონდა. დროთა მანძილზე იგი ისე შერყა და დაქუცმაცდა, რომ ახ-

ლა სათუოა, აღდგება კი ოდესმე ამ მეცნიერების უდიდესი პრესტიჟი და მნიშვნელობა....

## 411.

...ჰერდერის ძირითადი კონცეფციის მიხედვით, მთავარი იყო ის დებულება, რომ სწორედ რომელიმე (ნებისმიერი) ხალხის, ერის ენობრივი სულიერება, ანუ ერის სული არის სწორედ მისი ლიტერატურული შემოქმედების ის სიტყვით, ცნებით ძნელად მისაწვდომი და განსამარტავი სული, განუმეორებელ თავისთავადობას რომ ანიჭებს ამ ლიტერატურულ შემოქმედებას.

## 412.

...თანამედროვე ევროპული ლიტერატურათმცოდნეობის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია (თუ მას მთლიანობაში განვიხილავთ) მისწრაფება — ნაწარმოების პოეტიკის დამუშავება-ამოცნობისა და მისი სტილებრივი კრიტიკისა და განსჯისა. ჩვენთვის ეს დიდი ხნის მანძილზე მეორე პლანის ამოცანა იყო. მთავარი გახლდათ ნაწარმოების ე. წ. იდეურ-მხატვრული ანალიზი, რაც, სამწუხაროდ იფარგლებოდა ეჭვმიუტანელი (ე. ი. საბოლოოდ და სამუდამოდ დადგენილი) ისტორიულ-შემფასებლური კრიტერიუმებით. ამან რაც დაგვაკლო, ახლა ძნელი განსასაზღვრელია.

## 413.

...ქსენოფანე კოლოფონელის აზრით: თუკი ხარებს, ცხენებს ან ლომებს ხელები ექნებოდათ და ადამიანთა მსგავსად ხატვა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნა შეძლებოდათ, მაშინ ცხენები ღმერთებს ცხენების მსგავსად დახატავდნენ, ხარები ხარების მსგავსად და მათ სხეულს თავისი სხეულის მსგავსებას მიანიჭებდნენ ყველანი თავისებურად... ეთიოპიელნი ამბობენ, რომ მათი ღმერთები ცხვირაბზეკილნი და შავები არიან, თრაკიელნი თავიანთ ღმერთებს ცისფერთვალებად და ქერათმიანებად წარმოიდგენენ...

## 414.

...უკვე გოეთეს დროიდან ლიტერატურული შემოქმედება აღიქმება როგორც განცდილის გამოხატვა და აღსარება. ამდენად, ნაწარმოების განხილვა-განსჯის დროს მწერლის ცხოვრება და თვით მწერალი ხდება შესწავლისა და განხილვა-განსჯის ობიექტი. საქმე იქამდე მივიდა, რომ შეიქმნა სხვადასხვა ხარისხობრივი კატეგორია: ღირებულების მქონე ლიტერატურულ შემოქმედებას მიაკუთვნებენ მხოლოდ იმ მწერალთა თხზულებებს, რომლებიც შექმნილია საკუთრად განცდილისა და გადატანილის საფუძველზე, ხოლო ნაწარმოები, შექმნილი შემეცნებით ფაქტორზე და ტრადიციაზე დაყრდნობით ეკუთვნის უბრალოდ „ლიტერატურას“, რომელსაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, რომ ეს უკვე მეტისმეტია, თუმცა ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი ამ მსჯელობაში უნდა იყოს.

## 415.

...ეპიკურეს ერთი წერილიდან: ნურავინ გადასდებს სიყმაწვილეში ფილოსოფიას და არც დაიღალოს მისგან სიბერეში სულის სიჯანსაღისთვის ხომ არავინ იქნება უმწიფარი ან გადამწიფებული. და ვინც ამბობს ,რომ ფილოსოფიის ჟამი ჯერ არ დამდგარა, ან რომ ფილოსოფიის ჟამი უკვე გაფრენილა — იმის ტოლია, ვინც ამბობს, რომ ბედნიერების ჟამი ჯერ არ მოსულა, ან უკვე აღარ არსებობს. ამიტომაც ფილოსოფია აუცილებელია ბერიკაცისთვისაც და ყმაწვილისთვისაც. პირველისთვის იმიტომ, რომ როს ბერ-

დება, განახლდეს სიკეთით და ხარობდეს წარსულით; მეორისთვის იმიტომ, რომ იყოს ყმაწვილიცა და ხნოვანიც მომავლის წინაშე სიმამაცეში. ხომ უნდა ვიზრუნოთ ყველაფრისთვის, რაც ბედნიერებას ქმნის; თუ ის არის — ყველაფერს ვფლობთ; თუ ის არ არის— ყველაფერს ვილონებთ მის მისაღწევად...

416.

...მე არ მითხოვია ღმერთისთვის სიცოცხლე. თუ გამაჩინა, რად მიმატოვა? მომხედე, ღმერთო! იმგვარი არაფერი ჩამიდენია, რომ შენი გულგრილობა დამემსახურებინოს, კვლავ მხოლოდ შენი მოიმედე ვარ, — ოციან წლებში ერთი რეპრესირებული კაცის ხელნაწერიდან, ციმბირიდან მის ოჯახამდე რომ მოაღწია.

417.

...ხშირად ვფიქრობდი ბარათაშვილის ცნობილი ლექსის ერთ სტრიქონზე — „არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!“ ხშირად ვფიქრობდი და ბოლოს ამეკვიატა. ამეკვიატა, მაგრამ ცოტა სხვა ფორმით: „არ დაიჯერო ,არ დაიჯერო!“ იმდენი ვიძახე ეს „არ დაიჯერო“, რომ უკვე თვით მე არაფერს ვიჯერებდი — არც ქართული საზოგადოების უეცარ გადემოკრატებას, არც ჩვენი ერის რჩეულობას და არც მისი სულიერი სამყაროს მთლიანობას. ახლა რომ გარშემო თვალს მიმოვავლებ, საუბრებს მოვისმენ, გაზეთს წავიკითხავ თუ ტელევიზორს ვუყურებ და ვუსმენ, დიდი ოხვრითა და გულისტკივილით აღმომხდება ხოლმე: „არ დაიჯერო, არ დაიჯერო, რომ ეს ჩვენა ვართ!“

418.

...ბავშვის უვნებელი კაპრიზის დაკმაყოფილება ზოგჯერ შენც გსიამოვნებს. კაცის პატივმოყვარული კაპრიზის დაკმაყოფილება ზიზღსა და უნებურ გულისწყრომას იწვევს. შენს ქვეყანაში რომელიმე სხვა ერის უსაფუძვლო კაპრიზის დაკმაყოფილება შენი და შენი ერის უბედურების საწყისია. ამას არ უნდა დიდი ფილოსოფია, ეს ყოველდღიური რეალობაა.

419.

...უეჭველია, რომ თხრობის წყობაში, სტილისტურ საშუალებათა შერჩევა, პერიოდთა რიტმულ-ინტონაციური აგება უშუალოდაა დაკავშირებული „სულის მოძრაობათა“ გადმოცემასთან და ემსახურება მათ გამოხატვა-გამოვლენას. მაგრამ განა ეს გულისხმობს, რომ მხატვრული წარმოსახვა არ ეძიებს და არ იყენებს სიტყვათა რეალურ შინაარსს, კონკრეტულ დეტალებს, ასე ვთქვათ, მგრძნობელობით იმპულსებს სიტყვიერ ჩანახატებსა და მონახაზებში, რათა დაეყრდნოს მათ ვითარცა რეალურ საფუძვლებს? მუსიკაშიც კი, რომელშიც სახვითი მომენტი მინიმუმამდეა დაყვანილი, იქაც ხომ ეს მინიმუმი თითქოს ის კამერტონია, რასაც ეყრდნობა და რაზედაც არსებითად ორიენტირებულია ჩვენი წარმოსახვა-წარმოდგენის შესაძლებლობანი.

420.

...ნუთუ მართლა ისეთი დრო დაგვიდგა, ილია რომ ამბობდა — „აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავს ჰკითხავს : ვის უნდა ველაპარაკოვო, და სისხლი ძარღვში გაუშრება ხოლმე“... მკითხველთა რიცხვი ხომ ათასჯერ გაიზარდა, განათლებულ-განსწავლულთა რიცხვი — კიდევ ათასჯერ... ვის უნდა ველაპარაკოთ ზნეობის ამ საყოველთაო დაცემის დროს? ძმანო მწერალნო, შეხედეთ მაღლა ღმერთს და სიმართლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვით — ვისთვის იღწვით და შრომობთ, იმისთვის, რომ წეროთ და თქვენვე იკითხოთ? ვიცი, მიპასუხებთ — ყოველთვის ასე იყოო, მომავალს მაინც გამოადგებაო. დიახ, ყოველთვის ასე იყო, მაგრამ იყო კიდევ რაღაც გამოუთქმელი, შინაგან იმედს რომ იძლეოდა....

421.

...ის, რასაც ჟირინოვსკი ბრიყვულად ამბობს, ბევრ რუსს ჭკვიანურად თავში აქვს. ჟირინოვსკის ფენომენი რუსეთისთვის სავსებით ლოგიკურია.

422.

...სხვებზე ვფიქრობ: საწყლები, ამ სამოცდაათი წლის მანძილზე რომ ყველაფერი სჯეროდათ და უტოპიებსა და ქიმერებს რომ ეპოტინებოდნენ, ძალაუნებურად ერის სასიცოცხლო ინტერესებს სწირავდნენ და ამგვარად მოტყუებულნი ჩავიდნენ საფლავში. სხვებზე ვფიქრობ.... ჩემზე? მეც ხომ მჯეროდა ერთ დროს რაღაც-რაღაცეებისა? თუ საკუთარ თავს არ განჩხრეკ, რა უფლება გაქვს სხვისი განჩხრეკისა?

423.

...ფართოდა ცნობილი (თუმცა ცოტა ვინმეს თუ უნახავს უშუალოდ), ბოტიჩელის ილუსტრაციები დანტეს „ღვთაებრივი კომედიისათვის“. ესაა ვერცხლის ფანქრით ნამუშევარი, კალმით გაძლიერებული კონტურებითა და მსუბუქად შეფერადებული წიგნის ილუსტრაციები, რომელშიც მხატვარი თხზულების შინაარსს კი არ აკონტროლებს, არამედ ცდილობს, გრაფიკულ რიტმებში პოემის ავტორის იდეები და განწყობილებანი გამოხატოს.

424.

...ფანატიზმი რომ ერთგვარად შეზღუდული გონების ნაყოფია, ამას მტკიცება არ უნდა. და რადგან შეზღუდული გონების ნაყოფია, შეზღუდული ადამიანური ბუნების ნაყოფიცაა. როგორ მეგონა, რომ ლაღი, თავისუფალი და რამდენადმე დარღიმანდული ხასიათის ქართველებში ფანატიზმი ფეხს მოიკიდებდა? ეს სრულიად წარმოუდგენელი იყო ჩემთვის ამ რამდენიმე წლის წინათ. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ქართველებში დიდი რელიგიური განხეთქილებანი იმიტომ არ ყოფილა, რომ ისეთივე ლაღი და დოგმატებზე მაღლა მდგარი ქრისტიანები ვიყავით, როგორც ადრე წარმართები ვყოფილვართ. არც ერთ სოციალურ თუ სოციალისტურ იდეა-იდეოლოგიას ჩვენში ღრმად ფესვები არ გაუდგამს. ისეთივე ლაღი და დოგმატებზე მაღლა მდგარი სოციალისტები და კომუნისტები ვიყავით, როგორც ადრე ქრისტიანები და კიდევ ადრე წარმართები ვყოფილვართ. ახლა რა დაგვემართა, რომ ჩვენი ეროვნული ხასიათისათვის სრულიად უცხო ფანატიზმი შემოგვეყარა და დაიპყრო ქართველთა სულები? სად გაქრა ჩვენი ცნობილი ეპიკურეიზმი იმ გაგებით, რომ „სოფლის სიამენი“ სჯობს „სოფლის სიდუხჭირეს?“ რა გაალღვიძა და გააღვივა ქართველებში იმ ორიოდე წელმა, როცა ნაციზმის ზღვარს მომდგარი „ეროვნული იდეოლოგია“ მიტინგური სულისკვეთებით ბატონობდა? რა ისეთი ძვრა მოხდა სულში, რომ ბუნება შეგვირყია და გადაგვიბრუნა? დადგება ოდესმე დრო და ჩვენ ჩვენსავე თავს დავუბრუნდებით. მაგრამ ყველამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო გაფანატიკურების შემაძრწუნებელი მაგალითი და ჟამი. და თუ კიდევ ოდესმე იგივე განმეორდა, ეროვნული სახელი „ქართველები“ უნდა შეგვეცვალოს და „ქაჯები“ დაგვერქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვას (ფანატიზმი ლათინურად და ფრანგულად ხომ „გაშმაგებულს“ და „გახელებულს“ ნიშნავს)...

425.

...ხშირად დავფიქრებულვარ ჩესტერტონის სიტყვებზე, ეგვიპტის ფარაონის ეხნათონის მიმართ რომ თქვა: „ჰქონდა მას სხვა საინტერესო იდეებიც, მისი ტიპის იდეალისტებს რომ ახასიათებთ. მაგალითად, ხელოვნებაში ეს იყო რეალისტი, იმიტომ, რომ იდეალისტი იყო, — რეალიზმი ხომ ყველა იდეალზე უფრო წარმოუდგენელია“. აბა, დაფიქრდით და გაანალიზეთ: რეალიზმი ყველა იდეალზე უფრო წარმოუდგენელია!

426.

...ინფორმაციის წყარო ცხოვრებაში უამრავია — გაზეთი, ტელევიზია, რადიო; წიგნი, ჟურნალი; მიწერ-მოწერა, ტელეფონი; ქუჩა, სამსახური, მეზობლები; კრება, მიტინგი, სხდომა; ჭორი, მართალი და სხვა მრავალი — ყველას ვერ ჩამოთვლი. მაგრამ რამდენ რამეს გაიგებ, რამდენ რამეს მიხვდები, შენ თავთან რომ მარტო რჩები და დაფიქრდები...

427.

...ჟან-პოლ სარტრი ამტკიცებდა, რომ არსებობს წარმოდგენის უნარის მქონე ოთხი ტიპის ცნობიერება. მისი აზრით, წარმოსახვის პროცესი შეიცავს: 1. ფიქრს ობიექტზე; 2. „კვაზიდაკვირვების“ფენომენს, რაც ნიშნავს იმ ობიექტის გონებაში აღქმას, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს: 3. ნეგაციას ანუ იმ ობიექტის წარმოდგენას, რომელიც სადღაც სხვაგანაა, აქ არმყოფია ან საერთოდ არ არსებობს (მაგალითად, წითელი კენტავრი ჩრდილოეთ პოლუსზე); 4. წარმოსახვის აქტიურობას და სპონტანურობას დამორჩილებულს ნებისყოფაზე.

428.

...„ყოფიერება და მისი აზრი“ — მეტად საინტერესო თემად იქცა თანამედროვე ევროპელ და ამერიკელ მოაზროვნეთათვის. მათი მიდგომა ამ საკითხისადმი სხვადასხვაა, ერთნი, „იდეალისტები“, ამტკიცებენ აზროვნების პრიორიტეტს. ტიპიური მაგალითი: შეფარდებითი ონტოლოგია, სოლიდარობა ჰეგელის მიერ მოცემულ ყოფიერებისა და აზროვნების განსაზღვრებასთან, შეიმეცნებს მათ როგორც ერთ მთლიანობას: ყოფიერება წინაწარ საზღვრავს აზროვნებას, აზროვნება არის ყოფიერების გამოვლენა.

429.

...ლესინგის შეხედულებით, ლიტერატურა სხვა ხელოვნებათაგან იმით განსხვავდება, რომ მათ მსგავსად თავის სახეთა შესაქმნელად არ მიმართავს ბუნებრივ ნიშნებს, არამედ სარგებლობს, როგორც ლესინგი ამბობს, ნებისმიერი ნიშნებით. მიუხედავად ლესინგის პრინციპში ამ სწორი დაკვირვებისა, მიუხედავად სიტყვების ამგვარი თვითნებური ხმარებისა და ფერწერასა და ქანდაკებაში სალებავისა თუ მოცულობის ნატურალური თანაფარდობისა გარემომცველი სამყაროს კონკრეტული ფორმების მიმართ აღმოჩნდა, რომ აბსტრაქციონიზმი ყველაზე ადრე და ადვილად მაინც ხელოვნების იმგვარ კონკრეტულ სახეობებში შეიჭრა, როგორიც ფერწერა და ქანდაკებაა. და მხოლოდ შემდეგ წარმოიშვა საცდელი ნიმუშები „აბსოლუტური“ ლიტერატურული ნაწარმოებებისა, რომლებიც მოკლებულნი არიან რეალურ შინაარსს. ეს თითქოს აუხსნელი პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. ქართულ ლი-

ტერატურასა და ხელოვნებაში, ჩემი ზერელე დაკვირვებით, პირიქით მოხდა. ჯერ ლიტერატურამ განვლო „და ბაიდებს ობადები აბადიას“ (ს. ჩიქოვანი) გზა და მხოლოდ შემდეგ (ჩემი აზრით, საკმაო დაგვიანებით) აისახა ფერწერასა და ქანდაკებაში. ისიც უნდა ვთქვა, რომ ქართული სახვითი ხელოვნების უკიდურესი „აბსტრაქციონიზმის“ ნიმუშებიც კი ინარჩუნებენ ქართული ხელოვნებისათვის საერთოდ დამახასიათებელ ადამიანურ „მიწიერებას“ და ზოგადჰუმანისტურ მიმართებას.

430.

...რითმა კერძო შემთხვევაა პოეტური ტექსტის ორგანიზაციისა. ის ერთგვარად აბრუნებს და კრავს პოეტური აზრის მოძრაობას. პოეტიკის სახელმძღვანელოებში ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ საერთო შთაბეჭდილებას აძლიერებენ სალექსო გამეორებანი, რეფრენები, მისამღერები, ჯვარედინი და რკალისებური კომპოზიციები, რომლებიც ლექსს ანიჭებენ დასრულებულობის ეფექტს და კარგად ორგანიზებულ სირთულეს. ამგვარ მოვლენებს მიეკუთვნება და მსგავს ფუნქციებს ასრულებს ავტორის თვითციტაციები, ცალკეული სიტყვის (დომინანტის) დაჟინებული გამეორება ,რაც ზოგჯერ მთელი ლექსის ან მისი ფრაგმენტის ერთგვარ გასაღებად იქცევა. და ეს სიტყვა განსხვავებულ კონტექსტში ან სხვა სიტყვათა ცვალებად გარემოცვაში თითქმის მუდმივად იცვლის თავისი მნიშვნელობის ელფერს და იერს, იძენს ესთეტიკურ ფერადოვნებას. ზოგჯერ სიტყვის ან სიტყვების ეს თავბრუდამხვევი მონაცვლეობა-გამეორებანი იმგვარად ძლიერ გამოკვეთილ სრულსა და მთლიან ემოციურ-აზრობრივ სახეს ანუ ხატს ქმნიან, რომლის მიღწევა ჩემს მიერ მკრთალად აღწერილი ამ ხერხის გარეშე შეუძლებელია. ეს არის პოეტისა და პოეზიის ის ერთი საიდუმლოებათაგანი, რომელსაც მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტი ფლობს და რომელიც ნებისმიერი რანგის მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

431.

...ზოგიერთი მკვლევარი ამგვარად ხსნის წარმართობის არსს: წარმართობა ქვეცნობიერად ცდილობდა უმაღლესი რეალობის საიდუმლოებათა წვდომას მხოლოდ წარმოსახვის საშუალებით, გონება განყოფილ-განცალკევებულია რელიგიისგან ყველაზე უფრო რაციონალურ წარმართულ ცივილიზაციებშიც კი. მხოლოდ ქრისტიანობა შეეცადა პირველად რწმენისა და გონების გაერთიანებას, თუმცა მიუწვდომელი მისტიკის ელემენტები მასში მაინც დარჩა...

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალისტრატე სალია

# ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან

საშინელ ხანაში ვცხოვრობთ. მსოფლიო მოსალოდნელ და მოულოდნელ მოვლენათა სათამაშო ასპარეზს წარმოადგენს. განჭვრეტა ჟამთა ცვლილებათა არავის ძალუძს. კაცობრიობას დღეს არ ამოძრავებენ დიდი, სასწაულ მომქმედი იდეები. ღვთაებრივი ცეცხლი ყველგან კლებულობს. დაუცხრომელი დემონი მთელ სამყაროს დაუფლებით ემუქრება...

მსოფლიო ჭიდილის განუზომელ არეზე, ჩვენც გვაქვს მოკუთვნილი ერთი ადგილი და სწორედ აქ გვმართებს გამოჩენა გონიერებისა, ქართული საუკუნოვანი გამოცდილებისა და სიბრძნისა, ნიაღვარმა არ გადაგვქელოს და არ აღგვავოს პირითაგან მიწისა. გული გიკვდება და სასოწარკვეთა გიპყრობს, როდესაც წარმოიდგენ ნამდვილ სურათს ჩვენი მდგომარეობისა. „ზვირთებში დავცურავთ ტლუ ნავით უგზოდ და უკვალოდ“. მართლაც რომ გზა-კვალი დაგვებნა და ჩვენი ისტორიული მოვალეობა დაგვავიწყდა. დღემდე ხომ ვასრულებდით მას ერთად, შეთანხმებულად, დინჯად და მოფიქრებულად! დღეს კი, ისეთ შეცდომებს ვუშვებთ, ისეთ მიუტევებელ დანაშაულს ჩავდივართ ჩვენი ერის მიმართ, რომ თუ დროზე გონს არ მოვედით, ჩვენ ვერ ჩავწერთ სასახელო ფურცლებს ემიგრაციის მიერ წარმოებულ საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში. ვერავითარი მჭევრმეტყველობით ვერ დავმალავთ შეცდომათ, ჩვენ მიერ დაშვებულთ, და ვერც ლამაზი ჩადრით დავფარავთ ცუდ საქმეთ, ჩვენ მიერ გაკეთებულთ.

ჩვენთვის ასეთ მწვავე და საბედისწერო დროს, სრულიად ბუნებრივია, რომ განძრახვა მომივიდა ვესაუბრო ჩვენ წარჩინებულ, გამოცდილ უფროსთ და მათი ნაფიქრალი და აზრი გადავცე „ბედი ქართლისას“ მკითხველთ. ამ მიზნით ვესტუმრე პირველად დიდ მწერალს, ქართველი ერის თაურმდგენის მესაიდუმლეს, **გრიგოლ რობაქიძეს**, რომელიც სიამოვნებით დასთანხმდა მივაწოდო ჩვენი ჟურნალის საშუალებით ქართველ საზოგადოებას მისი შეხედულებანი, რისთვისაც მას ულრმეს მადლობას ვუცხადებ.

---

**კ. ს.** ბატონო გრიგოლ, თქვენ თვითონ იცით, თუ რა დიდი დანაკლისია ჩვენთვის გარდაცვალება საქართველოს პრეზიდენტისა: **ნოე ჟორდანიასი.** საინტერესოა თქვენი აზრი განსვენებულის შესახებ.

**გ. რ.** ნოე ჟორდანია საქართველოს თავგადასავალში ფრიად მნიშვნელოვანი და ამდენადვე რთული მოვლენაა. ჩემი აზრი ამ მოვლენის შესახებ გამოვთქვი მოკლედ ჯერ კიდევ 1920 წ., როცა გაზეთში „ბარიკადა“ ნოე ჟორდანიას ლიტერატურული პორტრეტი გამოვაქვეყნე. იქ გამოთქმული აზრი ჩემში შემდგომ

კიდევ უფრო განმტკიცდა. უკვე დავამზადე ვრცელი წერილი **„ნოე ჟორდანია როგორც მამულიშვილი“**, რომელიც თავის დროს „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნდება. ვამბობ „თავის დროს“ — რათგან თქმაც შესაფერ დროს მოითხოვს.

**კ. ხ.** რას ფიქრობთ თქვენ ქართული საქმის ირგვლივ დღევანდელ პირობებში?

**გ. რ.** ქართული საქმის გაგება მოითხოვს საქართველოს გაგებას. საქართველოს გაგება მოითხოვს თავის მხრით გაგებას ცნებისა „ხალხი“.

**გ. რ. ხალხი** — ეს ევროპაშიდაც არაა უკანასკნელი სიღრმით გარკვეული ხალხი არაა ამა თუ იმ დროს სტატისტიკით აღრიცხული გროვა ცალკეულთა — იგი ცოცხალი არსია ზეპიროვნული ბუნებისა. არსად არ ცხადდება ეს ისე მკაფიოთ როგორც ე ნ ა შ ი. იტყვის რომელიმე ქართველი მწიგნობარი, მაგალითად „დავით აღმაშენებელმა განამტკიცა ხელმწიფება ქართველთა“. ამავე დროს ქართველი დიასახლისი ამბობს: „შვილო, ფქვილი გამტკიცე“. იქაც და აქაც ერთიდაიგივე სიტყვაა. „მტკიცება“, პირველ შემთხვევაში ხმარებული მნიშვნელობით „გამაგრებისა“, მეორეში კი მნიშვნელობით „განწმენდისა“. გამოდის: რაც განწმენდილია „მაგარია“ და რაც მაგარია „განწმენდილი“. აზრი ულრმესი: თუ ნივთიერი ელემენტი შეზავებისას დაწმენდილი არაა, მისგან გამოყვანილი ფოლადი ულრუო არ იქნება, ე. ი. „მაგარი“. (როცა ვამბობ ხოლმე, ქართული ენა უგენიალესი ქმნილებაა ენათა შორის-მეთქი, ვგულისხმობ ამ შინაარსს.) ვინ იაზრა ეს აზრი? რომელიმე გიორგიმ, რომელიმე დავითმაა? ყოველ გიორგის და ყოველ დავითს წინ ხვდება იგი უკვე გააზრებული. ავტორი ამ აზრისა — ხალხია, ამ შემთხვევაში ქართველი. ხალხი ადამიანის სახეობაა. ეს დებულება მომდინარეობს ძველთა-ძველი ცნებისაგან **„მარადი ადამიანი“**. ეს სწავლა მიიჩქმალა საუკუნეთა სვლაში, სამწუხაროთ. აქა თუ იქ იელვებს ხოლმე იგი დროდადრო. Antoine Fabre d'Olivet-ემ გენიალურად განმარტა **ადამი**, წიგნში „ებრაული ენა“, 1815, როგორც „უნივერსალური კაცი“. „გენიალურად“ ნიშნავს აქ: პლატონურად. ადამი პლატონური ცნებაა. ჩვენი დროის სახელგანთქმული ფსიხოლოგი C. G. Jung, თუმცა იგი გაურბის ყოველგვარ მეტაფიზიკას, იძულებულია გამოიყენოს კვლევისას ეს ცნება. იგი ამბობს: რომ შეიძლებოდეს განპიროვნება **შეუცნევლისა**, ეს იქნებოდა კოლლექტიური კაციო, რომელშიაც ვიხილავდით მილლიონ წელთა მანძილზე ვირტუალური სახით ყოველ რასსას ყოველ ხალხს ყოველ ტომს ყოველ გვარს ყოველ ინდივიდსა“-ო. ეს „კოლლექტიური კაცი“ სხვა არ არის რა, რაიცა იგივე „ადამი“. ქართულ ენას ზემოთქმული ერთს სიტყვაში ჩამოუსხამს: **„ადამიანი“**. „ადამი“-ანი ნიშნავს: კაცი, რომელსაც შინაგან აქვს „ადამი“. ვიტყვით ხომ: „კუდი“-ანი, „ბარდი“-ანი, „მუნი“-ანი და სხვა. „ადამიანი“ ადამისაგან წარმოშობილს კი არ ნიშნავს — არამედ ცალკეულს, რომელშიც „ადამია“. სხვათა შორის, მხოლოდ ამ განმარტების გასწვრივაა შესაძლებელი ნამდვილი გაგება ბაგრატიონთა თქმისა: „ჩვენ დავითიანნი“. განა ეს იმას ნიშნავს, როგორც ჰგონიათ, თითქო ბაგრატიონთ ებრაელი მეფის დავითისაგან გამოჰყავდათ მათი წარმოშობა? არა, ისინი აქ სულ სხვა რამეს იგულვებდენ.

**კ. ხ.** შეიძლება განმარტოთ, რას?

**გ. რ.** სახარებაში ქრისტე იწოდების როგორც „ძე ღვთისა“ და როგორც „ძე კაცისა“. როგორც „ძე კაცისა“ იგი მოევლინა ქვეყანას მეფე დავითის გვარის ხაზით. ბაგრატიონთ ისე მძაფრად სწამდათ ქრისტე, როგორც „ძე ღვთისა“, რომ მას, „ძეს კაცისა“, ამ ხაზით იგულვებდენ. აქეთგან „ჩვენ დავითიანნი“.

აქ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ: არ განეცადა პლატონს ულრმესად „ადამიანი“, როგორც ეს გაუგია ქართველთა გენიას

იგი ვერა რომელი სხვა გზით „მიაგონებდა“, ე. ი. მიაგნებდა **იდეას.**

ამრიგად „ხალხი“, როგორც ცოცხალი არსი კრებითი პიროვნებაა. „მთლად“ არ ვლინდება იგი არც ერთს ხანაში — ხოლო ყოველ ხანაში იგი „იგივეა“. სხვანი იყვნენ ქართველნი მაგალითად მეთხუთმეტე საუკუნეში, სხვანი ვართ ქართველნი — გარნა ისინიც და ჩვენც ერთნი ვართ და იგივენი: ქართველნი. რაც ერთია და იგივე ქართველებში: ეს ქართველი ხალხია. ვითარ ცოცხალი არსი იგი მითიურ პიროვნებად გვევლინება, რომლის სახელია **ქართუ** ანუ კარდუ. აქეთგან: ქართუელი, ქართველი — ანუ: კარდუელი, კარდველი. (აქ ნათქვამი ჩემს ახალ წიგნშიაც საქართველოზე, ფრანგული თარგმანი მზადაა—არის მოქცეული ვისაც ჰსურს კონკრეტულ წვდეს ჩემს შეხედულებას, მან უნდა მიმართოს გოეტჰეს სწავლას თაურ-მცენარეზე. გოეტჰეური ხილვა საგნისა ინდოეთშიაც იყო ცნობილი, სახელით „ლინგა-შარირა“.) წარმოიდგინეთ: რომელიმე ხალხში გაწყდა ძაფი ხალხის ამგვარი შეგნებისა. რიცხვით ასი მილლიონიც რომ იყოს, იგი გადაშენებისაკენ მიდის.

**კ. ს.** მე თქვენ შეგეკითხეთ, რას ფიქრობთ თქვენ ქართული საქმის ირგვლივ დღევანდელ პირობებში. რაც თქვენ ბრძანეთ, უაღრესად მნიშვნელოვანია და საინტერესო, მაგრამ ის არ უპასუხებს კონკრეტულად ჩემს შეკითხვას.

**გ. რ.** თუ ამრიგად არ იქნა „ხალხი“ შეგონებული და შეგრძნებული, მაშინ ყოველი ცდა ხალხის საქმის მოგვარებისა ყოველ პირობებში მრუდეთ წავა. როცა დღეს, ჩვენ ქართველნი, რომელიმე კონკრეტულ საქმის გასაყვანად ვიბრძვით, ზემოთქმული არ უნდა გამოგვეპაროს თვალთახედვიდან. თუ ასე იქნება შეგონებული და შეგრძნებული „ხალხი“, მაშინ აზრთა სხვადასხვაობა პოლიტიურ დარაზმულობათა არ იქცევა გამთიშავ უთანხმოებად.

1917 წ. „ეროვნულ ყრილობაზე“, საცა საძირკველი ჩაეყარა მაისის 26, ასეთი მთლიანი გზნება ხალხისა სუფევდა. ეს ემიგრაციაში დღეს დარღვეულია.

**თუ ქართველთა პოლიტიურ დარაზმულობათა ურთიერთშორის არ განიფინა ის სულიერი ატმოსფერო, რომელიც სუფევდა იმ ისტორიულ ყრილობაზე, ქართული საქმე უკულმართად წავა.**

**კ. ს.** თქვენ ალბათ წაკითხული გექნებათ წიგნაკი **„საქართველო — ევროპა“**, გამოცემული ქართული ევროპული მოძრაობის თაოსანთა მიერ. თქვენ, როგორც მწერალი შესული ხართ ევროპაში და ღრმად გაგეგებათ იგი. დიდად საინტერესოა გაგვაცნოთ თქვენი აზრი იმ წიგნაკში გამოთქმულ დებულებების შესახებ.

**გ. რ.** დიახ, ეს წიგნაკი წავიკითხე. წავიკითხე დიდი ინტერესით და დავუმატებ: დიდი სიხარულით. პოლიტიური კონცეპტი, იმ წიგნაკში გაყვანილი, უკანასკნელად მხვედრია დღევანდელ ისტორიულ პირობებში. ამ კონცეპტით თქვენ შეგიძლიათ დაელაპარაკოთ როგორც რუსეთს, აგრეთვე ოსმალეთს, ასევე ყველა სხვა ხალხთ — ყოველგვარი „ფსიხოლოგიზმის“ აცილებით. საქართველოს დღევანდელ საქმისათვის ეს კონცეპტი პირდაპირ ზეგამოჭრილია. ამავე დროს ეს კონცეპტი დღევანდელ ისტორიულ ძალებს გაუადვილებს ამ დარგში საქმიანობას.

**კ. ს.** დღეს ჩვენი ემიგრაციის წინაშე დგას მეტად მწვავე საკითხი რუსებთან ურთიერთობის ირგვლივ, რას გვეტყვით ამის შესახებ?

**გ. რ.** აქაც საერთოდ უნდა გიპასუხოთ, თუ რას ვფიქრობ რუსეთზე. ჩემთვის ყოველი ხალხი სახეობაა ღვთიური მრავალსახიერებისა. ასეთია რუსი ხალხიც. რუსთა გენიის ძლიერება ცხადდება: რწმენაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, სიმღერაში, გალობაში, თეატრში, ბალეტში, ხელმწიფებაში? ვლადიმირ! ვეიდლე, გარუსებული ბალტიელი ალბად, ამბობს რუსებზე:

მათ ურჩევნიათ არაფერი აკეთონ, რადგან შეუძლებელია აკეთონ ყველაფერი.

აბუჩად იგდებენ ყოველგვარ ფასეულობას, თუკი ის უზენაესი ფასეულობა არ არის. ისინი თვითონ არიან რუსეთის სიდიადის სათავეც და მისი დანგრევის მიზეზიც“.

ფორმულა ზეგამოჭრილია. რუსეთის მმართველთ რომ შეეგნოთ ეს ხაზი რუსული ბუნებისა, მაშინ მათი ხელმწიფება სულ სხვა გეზით გაიმართებოდა: ფსევდო-იმპერიის მაგივრად „საკრალურ მეფობას“ განამტკიცებდენ. (ხალხი, როგორც ზეპიროვნული არსი, ვერ ნახულობს ხშირად ცალკეულში თავისს ნამდვილ მსახველს. მეთაურის დანიშნულება სწორედ ისაა: მიაგნოს ხალხის შუაგულს და შეიგნოს იგი. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველ ხალხს, როგორც ყოველ არსს, თავისი საკუთარი საფრთხე აქვს. მეთაურის საქმეა: განსჭვრიტოს ეს საფრთხე, რათა დაიურვოს იგი. აი ნამდვილი ფორმულა მეთაურის დაფასებისათვის). ეს მით უფრო ადვილი იქნებოდა, რომ მათ წინ არ იდგა ის გარდაულახავი სიძნელე, რომელიც აღიმართა გერმანელ კაიზერთა წინ ამგვარივე მეფობის გამართვის ცდაში: კათოლიკური ეკლესიის კონცეპტით პაპი „ნაცვალია ქრისტესი“ ამ ქვეყნად და როგორც ასეთი სპირიტუალურ უფლებას ვერ დაუთმობდა მფლობელს ამ ქვეყნიური ძალისა — რუსეთის ეკლესია, მართლმადიდებელი, კი ასეთს „ნაცვალს ქრისტესი“ არა ცნობს. დავუმატოთ ამას ისიც, რომ რუსი ხალხის წიაღში მეფე წარმოსახული იყო მუდამ ვითარ „კურთხეული“. შეიგნოს ეს რუსეთის მეფეებმა? „საკრალური მეფობის“ განვრცობის მაგიერ მათ იწყეს იმპერიალისტური ექსპანსია, რისათვის მათ არ გააჩნდათ ნიჭი არც რომაელთა და არცა ბრიტანელთა. აბა მითხარით: რომელ რომაელს ან რომელ ბრიტანელს მოუვიდოდა აზრად ეს უაზრობა: ეთნიური გადაგვარება იმპერიაში მოქცეულ ხალხთა? რუსეთის იმპერატორების პოლიტიკა კი რუსსიფიკაციის ხაზით იყო მიმართული. შექმნა ამ პოლიტიკამ იმპერიაა? უთუოდ — გარნა ერთი განსაზღვრით: იმპერიული განვრცობა აქ სიმსივნედ იქცა — ვთქვათ ევროპიული სიტყვით: „ელეფანტიაზის“-ად. ეს აშკარა გახდა ყველასათვის რუსეთ-იაპონეთის ომის დროს.

დავანებოთ თავი ყველაფერს — განვიხილოთ არსებითად საქართველოს დაკავშირება რუსეთთან. დავუშვათ ერთი წუთით: რუსეთის მეფეებს არ გაეუქმებიათ საქართველოს სამეფო. რა იქნებოდა? რუსეთის იმპერატორი იქნებოდა — გამოვთქვათ ფეოდის ცნებით — „Lehnsherr“, ქართველი მეფე „Lehnsmann“: პირველი — მფლობელი მოთავე, მეორე მფლობელი მომხრე, ორივე ერთიმეორის მიმართ: რაინდი რაინდის მიმართ. როგორ იქნებოდა გამაგრებული რუსეთი აღმოსავლეთის ბჭესთან! რუსეთის იმპერატორებს მეფე ერეკლეს შორსჭვრეტა არ აღმოაჩნდათ: მათ უღალატეს საქართველოს — ამ ღალატით თავის თავს უფრო უღალატეს.

**კ. ს.** უნდა მოგახსენოთ, ბატონო გრიგოლ, რომ ჩვენ რუსებთან ურთიერთობის საკითხში ვამყარებთ ჩვენ პოლიტიკას იმ ფაქტზე, რომ რუს ემიგრანტების ყველა წრეები დღესაც იმპერიალისტურ იდეებს ეტრფიან და აქედან წარმოშობილ „ველიკოდერჟავნიჩესტვოს“ სენით არიან შეპყრობილნი. რაც ხდის შეუძლებლად მათთან თანამშრომლობას. ხოლო ახლა გთხოვთ ერთი მიბრძანოთ: გამიგონია, რომ თქვენ განსაკუთრებული შეხედულება გაქვთ რუსეთის რევოლუციაზე. მართალია ეს?

**გ. რ.** ჩემი აზრი რუსეთის რევოლუციაზე სრულებით სხვაა ვიდრე არსებული, სულ ერთია, არის იგი: ქართველთა, არა ქართველთა, ევროპიელთა, ამერიკელთა, სულ სხვაა, ვიდრე თვითონ რუსთა. აი იგი მოკლე ფორმულით. თებერვლის რევოლუცია გამოვიდა დღე-ნაკლული, ვინაითგან კერენსკებმა ვერ შესძლეს „მეფის მითოსი“ შეენაცვლებიათ სხვა მითოსით, ახალით. (1913 წელს შევხვდი კერენსკის. გააფრთხილე: სწორეთ „მეფის“ საკითხში. ამის შესახებ

ერთს ჩემს გამოქვეყნებულ წიგნში.) დამარცხდა „უსისხლო“ თებერვალი, გაიმარჯვა „სისხლიანმა“ ოქტომბერმა. გაიმარჯვა, რადგან ლენინმა წამოაყენა დამხობილი „მეფის მითოსის“ ალაგას სხვა მითოსი — მართალია ყალბი, მაგრამ მაინც „მითოსი“: და მითოსი ყოველგვარი გარდატეხისას არა თუ მნიშვნელოვანი, გადამწყვეტია.

**კ. ს.** როგორც მოგეხსენებათ, ბატონო გრიგოლ, დღეს მსოფლიო ორ ფრონტად არის გაყოფილი: ბოლშევიკური და ანტიბოლშევიკური. რას ფიქრობთ თქვენ ამ ფრონტების შესახებ?

**გ. რ.** მე პოლიტიკოსი არა ვარ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ გამეგებოდეს. ის მხოლოდ ჩემი საქმე არაა! მოგახსენებთ მოკლედ ჩემს აზრს: ბოლშევისტური ფრონტი შესანიშნავად იცნობს ანტიბოლშევისტურს. ეს არ ითქმის ანტიბოლშევისტურ ფრონტზე.

**კ. ს.** მიუხედავად ამდენი გამოკვლევებისა, უამრავი წიგნებისა და სხვა?

**გ. რ.** სწორედ მიუხედავად ამისა.

**კ. ს.** მიკვირს, როგორ?

**გ. რ.** უამრავი გამოკვლევებია ბოლშევიზმზე, მრავალმხრით მნიშვნელოვანია თითქმის ყოველივე მათგანი. ხოლო ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე წყდებოდეს შუა-გულს ბოლშევიზმის ფენომენისა. ზოგიერთნი ავტორნი, უმეტეს წილ დასავლეთიდან ცდილობენ ბოლშევიზმის ძირები აღმოაჩინონ. საგანთან არიან ახლო, ხოლო, რუსები რომ იტყვიან, იდუტ მიმო ნეგო. ხდება ეს იმის გამო, რომ ამათ სენი, რომელსაც მე ვუწოდებ „ბოლშევიტის“ არ განუცდიათ. გასაგებია, თუ არა აქვთ მათ მეექვსე გრძნება, რაც აუცილებლად საჭიროა ბოლშევიზმის შექმნილ ატმოსფეროს გაგებისათვის. სხვებს, უმეტეს წილ საბჭოეთითგან, განცდილი აქვთ ეს ავადობა, ხოლო მათ აკლიათ გონმეტყველური ანალიზი განცდათა. მრავალ ავტორთ საბჭოეთითგან, არ არის საჭირო ისინი დავასახელო, შეეძლოთ გონმეტყველურს აეხსნათ თავიანთი განცდანი, მაგრამ ამათ დასტოვეს საბჭოეთი ჯერ კიდევ იმ დროს, როცა დემონური ფაზა ბოლშევიზმისა არ იყო დაწყებული.

**კ. ს.** ნება მიბოძეთ, ბატონო გრიგოლ, შეგეკითხოთ, მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ ორივე ეს გაქვთ, განცდაც და გონმეტყველური განჭვრეტაც?

**გ. რ.** უთუოდ. ამის საბუთი არის ჩემი რომანი, ამ ოცი წლის წინათ გერმანულ ენაზე გამოცემული: „ჩაკლული სული“, საცა, ასე რომ ვსთქვათ, მოლეკულარულად არის განხილული, თუ რა ემართება ადამიანს ბოლშევისტურ არეში, სულ ერთია, არის იგი ბოლშევიკი თუ არა ბოლშევიკი. ალბათ ამით აიხსნება ის ამბავი, რომ ამ რომანში წინასწარ ხილულია შთანასახი ე. წ. საჩვენებელ პროცესსთა.

**კ. ს.** კარგი იქნებოდა, მოკლეთ მაინც განმარტავდეთ „ბედი ქართლისა“-ს მკითხველებისათვის თუ რა არის არსი ბოლშევიკური სისტემისა.

**გ. რ.** ეს კითხვა გადაიჭრება, თუ გადავჭრით პირველ ყოვლისა ერთ საკითხს, ვინ ბატონობს საბჭოეთში. გაგიკვირდებათ და ყველას გაუკვირდება ჩემი პასუხი: **ვინმე რომელიც არავინაა.**

**კ. ს.** რას ნიშნავს ეს?

**გ. რ.** განმარტებისათვის ერთ საკითხს დაგიყენებთ. დამისახელეთ, თუ გინდ ერთი პიროვნება, რომელიც თავისუფალი იყვეს საბჭოეთში, არა მარტო არაბოლშევიკურ, არამედ ბოლშევიკურ წრეებშიაც. ერთს ვერ დაასახელებთ. მოლოტოვი შეიძლება უფრო ძრწის იქ, ვიდრე უბრალო მოქალაქე. ერთად-ერთი გამოკლება არის მხოლოდ სტალინი, მაგრამ ის სოსო ჯუღაშვილი კი არ არის, არამედ პიროვნული განსახიერება იმ უპიროვნო ძალთა, რომელთაც წარმოშვეს ბოლშევიზმი. მისი სიძლიერე სწორედ იმაშია, უნდა ვთქვა უფრო მეტი, ვიდრე ლენინისა, რომ მან შესძლო გადახტილება უპირ. ძალთა დენაში. საკმაოა ერთი წუთით, ერთი ასე ვსთქვათ volte face-ით ამოვარდეს იგი ამ ხტილითგან რომ კვლავ სოსო ჯუღაშვილათ იქცეს, რომელსაც იმგვარადვე მოიცილებს ის უპიროვნო ძალა, რო-

გორც სტალინმა მოიცილა თვისი მოწინააღმდეგენი.

**კ. ხ.** რა არის კონკრეტულად ეს უპიროვნო ძალა?

**გ. რ.** ამ საკითხის განხილვა ძალიან შორს წამიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ ერთს: სათავე ამისა არის ერთი მხრით „რაციოდ“ გადაგვარება გონისა (ესპრი). ძველი სწავლით თუ გონს თესლი აკლია და ისე ჩაეწვეთა მატერიაში, იგი განოყიერების მაგივრად იწვევს უკანასკნელში ვაკუუმს, სიცალიერეს, და ამით ქაოსს. აქ არის ძირები ყოველი ამოხეთქისა, არის ის ომი თუ რევოლუცია. მეორე მხრით, სათავე იმავე მოვლენისა არის დაშლა საკრალური წყობისა, რომელიც ქართველთა გენიამ ერთი სიტყვით გამოხატა იდეაში: **ხელ-მწიფება.** აი აქ, შვეიცარიაში საცა მე ამ სიტყვებს გეუბნებით, დემოკრატია მტკიცეა და ურყევი. ხოლო ეს მომდინარეობს წმინდა შეფიცვისაგან შვეიცარიელთა: „Rûtli Schwur“. ეს ფიცია ძვალ-რბილი შვეიცარიის დემოკრატიისა.

**კ. ხ.** რა ემართება ადამიანს, რომელიც მოქცეულია ამ უპიროვნო ძალთა მიერ შექმნილ ატმოსფეროში?

**გ. რ.** იგი იხრწნება სულიერად. ბოლშევიზმის გავლენა სულიერ არსში მეტად რთული მოვლენაა. იგი უფრო ატმოსფერულია, ვიდრე ფიზიურ ხელსახები. ჩემი „Gemordete Seele“ უმთავრესად ამ ატმოსფეროს მხატვრული გადმოცემაა. ერთს მაგალითზე შეგვიძლია ნათელვყოთ ამ ატმოსფეროს გავლენა. წარმოვიდგინოთ: ვინმე მხეცადქცეულმა ვაჟმა ძალა იხმარა ქალწულზე, რომელსაც თავისი სიქალწულე საკრალურად მიაჩნია. წმინდათა-წმინდა უკანასკნელისა სამუდამოდ შელახულია, ხოლო სიცოცხლე მისი თავისი გზით მიდის მაინც. პატივაყრილი ქალწულის ქვეშეცნეულ ფენებში თავს იჩენს დროდადრო ერთი მეტად საიდუმლო და თან საგულისხმიერო პროცესი. ქალწულს უელვებს ხანდახან ფიქრი: შესაძლოა სასწაული მოხდეს და მან კიდევაც შეიყვაროს პატივამყრელი. მაშინ? მაშინ მომხდარი თითქო არ მომხდარა და ქალწული აღარ იტანჯება. იგი უახლოვდება თავის პატივამყრელს: დღითიდღე, თანდათან, თითქმის უნებლიედ უახლოვდება, რადგან მოწადინებულია მასში რაიმე დადებითი ნახოს. ნახავს ასეთს რამეს, თუ გინდ სულ მცირეს, იგი აზვიადებს მას უზომოდ. პატივამყრელი რასაკვირველია უცვლელი რჩება, ქალწულს ხანდახან ეჭვიც ეპარება დაახლოვებაში. ხოლო უკან დახევა მისთვის უკვე ძნელია. იგი განაგრძობს ერთხელ აღებულ გზას და ვერ ხედავს; რომ ყოველი მის მიერ გადადგმული ნაბიჯი დასაახლოვებლად მხოლოდ უფსკრულისაკენ მიაქანებს მას. მისი ასრი ორდება, მისი თვითების მთლიანობა ირღვევა. იგი ასე ვთქვათ, გულწრფელია თავის ქცევაში ყოველ წამს, ხოლო არცერთ წამს ნამდვილი, ვინაიდან მეობა მისი გაბზარულია შინაგან

საბჭოეთის მოქალაქე, არაბოლშევიკი, ასეთს ქალწულს გვაგონებს. იგიც გაბზარულია და გაორებული და როგორც ასეთი, გულწრფელი და არა ნამდვილი (სენსერ, მე პა ვრე) ერთსადაიმავე დროს. „საჩვენებ. პროცესსები“ მავნებელთა თუ განხრილთა, ასე გავრცელებულნი საბჭოეთში, ადასტურებენ მხოლოდ ამას. საოცარი და საცნაური ამ პროცესებისა აქ მარხია. ეს გაფიქრებული ქალწული ვერაოდეს იქცევა „ნამდვილად“, ესე იგი, ვერაოდეს მიაღწევს სიყვარულს გამაუპატიურებელთან. მოკლედ მოვსჭრი: ვერ იქცევა „სხვად“.

**კ. ხ.** სავლე ხომ იქცა სხვად: პავლედ?

**გ. რ.** ეს მაგალითი აქ მოსატანი არაა. სავლე იქცა პავლედ „Supra-Humain“-ის მიმართ. ეს მეტაფიზიური ქცევა აზრია ადამიანის ბუნებისა, რომლის ფესვი მეტაფიზიურ არეშია. აქ კი, საცა ადამიანი ბოლშევიკური ხაზით იხრება, სუფევს „Infra-Humain“, გამანადგურებელი თვითონ ადამიანური თვისებისა. ადამიანი აქ ძირს ეშვება, ღალატობს თავის თავს. ხოლო ამ ღალატს თავის თავისა ბოლომდე გაყვანა შეუძლებელია. რა გინდ წარხდეს ადამიანი, მასში მაინც

რჩება ნაპერწკალი მისი ღვთიური ცეცხლისა. ეხლა აიღეთ საბჭოეთის ადამიანი. მასში შეჭრილია ბოლშევისტური ელემენტი, ხოლო ისე, რომ ამ ელემენტს ვერც შეუნთქავს მისი ადამიანური ელემენტი და ვერც განუდევნია იგი. გრაფიულად ასეთი ადამიანი წააგავს არაბულ ციფრს „8“. ერთი ნახევარი ამ ციფრისა ბოლშევისტური ელემენტია, მეორე კი ადამიანური. ამ ორი ელემენტთა შორის განუწყვეტელი ბრძოლაა გამართული. ხშირად პირველი ერევა მეორეს — გარნა მომრევი ვერ ადგენს მთლიანობას. გამოვთქვათ ესეც გრაფიულად: პირველი ელემენტი ვერ იქცევა წრედ „0“. იქ რჩება კიდევ „8“-ის მეორე ნახევარი, თუ გინდ ვითარ სულ პაწა მაჭიკი, შეიწროებელი და მიმჭნარი. აქაა მოქცეული გაორება საბჭოელ ადამიანისა. აწვალებდა მას თავში შემოჭრილი ელემენტი — ეხლა მას აწუხებს თვისი საკუთარი, რომელიც ერთს წუთსაც არ უთმობს უცხოს. მას აჯავრებს ეს და გაჰკივის ისტერიულად: მე უკვე გარდაქმნილი ვარო. გაჰკივის, რომ ამ კივილით ჩააჩუმოს ნელი, მაგრამ ულმობელი ხმა მიჩქმალულისა: „ეს არ იქნებაო“. ასეთს ყოფაში ადამიანი ყოველ წუთს **გულწრფელია,** ხოლო არც ერთს წუთს **ნამდვილი:** გულწრფელი“, თუ მას „8“-ის პირველ ნახევარში ვხედავთ — „არნამდვილი“, თუ მის მეორე დაკნინებულ ნახევარში ვუცქერთ. სენსერ, მე პა ვრე — ვიმეორებ ფორმულას. ხმა იგი — „არ იქნებაო“ — ბნელ ძალთა მატარებელთაც ესმით. აქეთგან ორი რამ. ერთი: მათ არ სჯერათ ბოლომდე ალსარება „მოქცეულთა“ — მეფობს **უნდობლობა.** მეორე: იგინივე ქვეშეცნეულ გრძნობენ, რომ საქმეს ბოლომდე ვერ გაიყვანენ — მეფობს **შიში.** აი ავადობა: „ბოლშევიტის“. ამ ავადობისაგან არ არიან თავისუფალნი თვითონ ბოლშევიკებიც. ამას ნათელჰყოფენ საჩვენებელი პროცესსები“. ეხლა ნათელია, მგონია, ჩემი ფორმულა: საბჭოეთში ბატონობს **ვინმე რომელიც არავინაა.** სახელი მისი არის: **ლევიათან.**

აი შედეგი, როცა ადამიანი დემონურ ძალებთან შეგუებაში დათმობის — გზას ირჩევს.

**კ. ს.** ბატონო გრიგოლ, არ შეიძლება ერთი მაგალითი მოიყვანოთ ამგვარი დათმობისა?

**გ. რ.** ავიღოთ მაგალითად რომანი კონსტანტინე გამსახურდიასი „დიდ ოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“. ეს რომანი ლიტერატურულად გაცილებით უფრო უკეთესია, ვიდრე მისივე „დიონისეს ღიმილი“ — ყოველი მხრით. შევეხოთ ახლა „დათმობას“. რომანში გამოყვანილია ერთი ფეოდალი, მეფის მოწინააღმდეგე, რომელიც აგრეთვე ეკლესიასაც ებრძვის, რადგან განხრილია წარმართობისაკენ — (და ეს მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს!). მეფეს უნდა თავითგან „მოიცილოს“ იგი, ეკლესიას ჰსურს მოიგოს მისი გული. იმართება შეხლა-შემოხლა. ფეოდალი იძულებული ხდება ერთხელ „სვეტი ცხოველი“-ს სასწაულმოქმედ ხატს ეამბოროს, შინაგან „უგულოდ“, რასაკვირველია. რამოდენიმე წუთის შემდეგ იგი კვდება. ხალხს ჰგონია: ხატმა „უწია“ რჯულის უარისმყოფელსო. ხოლო აქ სხვა რამეცაა. ფეოდალის უეცრი სიკვდილი იწვევს ათასგვარ მითქმა-მოთქმას. საქმე იქამდეც მიდის, რომ ხატსაც სინჯავენ. მოჰყავთ ერთი ჯიშიანი ძაღლი, რომელმაც ხატი ენით უნდა ალოკოს. ალოკვის შემდეგ ძაღლიც კვდება წამსვე. ირკვევა: თურმე ერთს აგენტს მეფისა მოუწამლავს ხატი რაღაც სითხით. შინაგანი მიმართება ამ ადგილსა აშკარაა: 1. მეფე „გაბითურებულია“ — რაა ის მეფე, რომელიც მოწინააღმდეგის მოსაცილებლად ასეთს საშუალებას მიმართავს? 2. „გაბითურებულია“ ხატიც — რაა ის სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ექცევიან და ასე იყენებენ? ბოლშევიკები, რასაკვირველია, გაიხარებდნენ, როცა რომანის ამ ადგილს წაიკითხავდენ. ხოლო ქართველნი? ყოველ ქართველს, ნამდვილ ქართველს, ეს სცენა ისარივით მოხვდებოდა და მოხვდება გულში. შესაძლოა რომელიმე ქართველი მეფე ვერ იდგა

მეფურ სიმაღლეზე; ამის მაგალითებსაც ვხედავთ საქართველოს ისტორიაში. ხოლო აქ მალულად, თითქო სუნთქვით, თვითონ „ხელმწიფების" იდეაც არის „გაკაწრული", ის იდეა, რომლითაც გამართულია „ცხოვრებაჲ ქართლისაჲ". მაგრამ ეს კიდევ არაფერი: თავი და თავი აქ ხატის შელახვაა. „სვეტი ცხოველი" საკრალური შუაგულია საქართველოს ისტორიისა და მისი ხატი სიმბოლური სახე ამ შუაგულის. მცხეთის ახლო ერთს გორაკზე, რომელსაც „მოგვთაის უხმობდენ, ძველად მოგვნი მზესა და ცეცხლს თაყვანსა სცემდენ; მცხეთის გვერდით ეგულვებოდათ კარდჰუს საფლავი; მცხეთაში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული მეოთხე საუკ. პირ. მესამედში; აქ გამოსჭრა წმინდა ნინომ ჯვარი, რომელსაც თავის თმები მოახვია: უნივერსალური სიმბოლო მთელს საქრისტეანოში; მცხეთა უძველესი დედაქალაქი იყო საქართველოსი; მის წიაღში განისვენებენ მეფენი და მთავარნი. არ არის შემთხვევითი ამბავი, თუ აქ აგებულ ტაძარს „სვეტი ცხოველი" დაერქვა; გასაგებია ისიც, რომ ქართველთა განცდაში და შეგნებაში ამ „სვეტის" გარდამქმნელი ძალა „გასაგნდა", როგორც სასწაულმოქმედი ხატი. და აი გამსახურდიას რომანში ეს ხატია შეგინებული. რელიგიური კულტი რომ განზე დავტოვოთ — ეს „შეგინება" ფსიქოლოგიურად მაინც ქეძაფივით მწველია. ეს არის ერთი მოკლე ეპიზოდი რომანში, გარნა ვიცით: ხშირად ერთს წვეთს საწამლავისა შეუძლია მოსწამლოს მთელი წყარო. აი სადამდე მისულა გამსახურდიას „დათმობა", იმ გამსახურდიასი, რომელიც ერთს დროს მისტიკოსად და მორწმუნედ სთვლიდა თავის თავს! ამ „დათმობით" მოსწამლა მან არა მხოლოდ თავისი წიგნი, არამედ თავისი თავიც. საბჭოეთის ატმოსფეროში რომ არ ეცხოვრა, ამ „დათმობას" იგი არ დაუშვებდა და ვერც დაუშვებდა. თავი და თავი აქ ესაა. ეს დათმობა ხდის ადამიანს საბჭოეთში ზემოხსენებულ "8"-ად. ეს არის მთავარი ხტილი საბჭოთა ადამიანის ფსიხიკისა. თუ ეს ვერ გაიგეს, მაშინ ყოველგვარი ცდა **„ფსიქოლოგიურ ომში"** საერთო ენის მონახვისა საბჭოელ კაცთან თუ ხალხთან, წინდაწინვე განწირულია. განწირულია ასეთი ცდა ყველასი: ქართული ემიგრაციისა, ყოველი არა ქართული ემიგრაციისა, ევროპისა და თვით ამერიკისაც.

------------

ხანგრძლივი საუბარი მქონდა ბატონ გრიგოლთან მასთან სტუმრობის დროს ბევრ, მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე. ზოგ ჩემთვის საინტერესო კითხვებზე მისგან გარკვეული და კონკრეტული პასუხი არ მიმიღია. ეს გასაგებიცაა, რათგან გრიგოლ რობაქიძე პოლიტიკური მოღვაწე არ არის და პოლიტიკურ საქმიანობაში არ ერევა.

შესაძლოა განძრახ არ უპასუხნია. მისი სიტყვით, პასუხიც ხანდისხან თავის დროს ითხოვს. ხოლო ის ორიგინალური აზრები, რომლებიც მან გამოსთქვა, ის ღრმა და იშვიათი ანალიზი მოვლენათა, რომელნიც მან გააკეთა, უაღრესად მნიშვნელოვანია და მხვედრი, რასაც მკითხველიც დაინახავს.

საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებით აღვნიშნო შემდეგი: ბევრი გამოკვლევები წამიკითხავს ბოლშევიკებზე, ბევრი მიფიქრია ამ მოვლენის ირგვლივ, მაგრამ ასეთი დახასიათება და გაგება, როგორც ბ. გრიგოლისაგან მოვისმინე, არსად არ შემხვედრია. ღრმა ანალიზით გადამიშალა მან ქვეფენილი შინა-არსი ბოლშევისტური სისტემისა და თანვე უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით სავსე სული „საბჭოური ადამიანისა".

ინტერვიუ დამთავრდა. გაუთავებელი კითხვებით დავღალე ჩვენი დიდი მ გ ო ს ა ნ ი. ვის მოსწყინდება მასთან საუბარი და მოსმენა მისი ცეცხლით და იმედით ანთებული სიტყვებისა? დღესაც მესმის ყურში მისი ხმა, შინაგან შემარხეველი: „გახსოვდეთ ყოველ წუთს, რაც

მოგახსენეთ შესახებ **ხალხისა.** იგი ცოცხალი არსია ზეპიროვნული ბუნებისა. ყოველი ცალკეული — იყვეს იგი მოაზრე თუ მწერალი თუ პოლიტიკოსი — განსაკუთრებულ კვანძში არის ამ **არსთან** მოქცეული. გაწყდება ეს კვანძი — მაშვინ უთესლო და უნაყოფო იქმნება ყოველი აქტი: აზროვნებაში თუ მწერლობაში თუ პოლიტიკაში. ამ კვანძის გაწყვეტით იწყება შინაგანი გადაგვარება-გადაშენება **ხალხისა,** იყვეს უკანასკნელი რიცხვით თუ გინდ ასი მილიონი. 1917 წელს ტფილისში გამართულ **„ეროვნულ ყრილობაზე“** სწორედ ეს კვანძი იყო მომქმედი და შემომქმედი. ქართულ პოლიტიკურ დარაზმულობათ უნდა **ახსოვდეს** ეს. აცოცხლდება მათში კვანძი იგი — მაშვინ მათ შორის არსებული **აზრთა სხვადასხვაობა** არ იქცევა **გამთიშავ უთანხმოებად.** არ აცოცხლდება — მაშვინ **საქმე ქართული** წყალწაღებულად უნდა ჩაითვალოს.

იმედი მაქვს, არ მოხდება უკანასკნელი“.

25. 2. 1953 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანა კალანდია

# ბედისწერა და არჩევანი

ვლადიმერ სიხარულიძეს რთულ დროში მოუწია ცხოვრებამ. ეს იყო ამღვრეული, წინააღმდეგობებით დასერილი ეპოქა. დრო, რომელმაც დაარღვია საუკუნეთა წიაღში განმტკიცებული სამყაროული წესრიგის კანონზომიერი მდინარება და ხელყო ის უმაღლესი იდეალები, რომლებიც კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის გონიერებითა და ნებისყოფით იქნა ფორმირებული.

ნებისმიერი საზოგადოებრივი ყოფის დეტერმინაცია გარემომცველ პირობებს ექვემდებარება და ბუნებრივია რომ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებაც საყოველთაო ზემოქმედებისა და გავლენის შესაბამისი იყო. ამ პერიოდის ყოველი ერთნიშნა შეფასება არასრულფასოვანი იქნება, მაგრამ თუ კატეგორიულები ვიქნებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადი საფუძველი და მამოძრავებელი ადამიანთა ყოფისა ყოვლისმომცველი შიში იყო. პანიკური შიში განსაზღვრავდა პიროვნებათა ცხოვრებას და ეგევე ჰქმნიდა დროის სპეციფიკას. სწორედ ამიტომ, ადამიანი, რომელიც ოდესღაც შესაქმის გვირგვინად და სამყაროს ცენტრად იყო დასახული, ყველაზე უსახოო, მიუსაფარ და თავისი ფუნქციით უმნიშვნელო ქმნილებად იქცა.

ისტორიული გამოცდილება დასტურია იმისა რომ უსასტიკესი ტოტალიტარიზმის პირობებშიც იბადებიან „პროტესტანტები". არც ქართული სინამდვილე იყო ამ მხრივ გამორჩეული. ცხადია, იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი მსოფლმხედველობითა და ცხოვრების წესით უპირისპირდებოდნენ არსებულ რეალობას, მაგრამ გათითოკაცებული, განკერძოებული, განდეგილური მოღვაწეობა ვერ ცვლიდა საერთო განწყობილებას.

ბოლო დროს ხშირად ახსენებენ 60-იან წლებს. ხაზს უსვამენ ამ პერიოდის განსაკუთრებულ სირთულესა და მრავალფეროვნებას. თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისა და ფორმირების თვალსაზრისით ნამდვილად გამორჩეული იყო სამოციანი წლები. ამ პერიოდში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე თაობა, რომელმაც თავისი საქმიანობით დიდი როლი ითამაშა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამოაფხიზლა სულიერი ინფანტილიზმით დაავადებული ადამიანების ყოფა და საყოველთაო აპათიას აქტიური საზოგადოებრივ-შემოქმედებითი მოღვაწეობა დაუპირისპირა. თავისუფლებისმოყვარე, დისიდენტურად მოაზროვნე, მეამბოხე ახალგაზრდების ჯგუფი, სულიერი მემკვიდრეები იყვნენ გასული საუკუნის ლეგენდარული სამოციანელებისა. მათი მისწრაფებები ყველაზე მეტად თერგდალეულთა სულისკვეთებას ენათესავებოდა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ახალი თაობის მოქმედების ამოსავალი პრინციპი იმ ფორმულით გამოიხატებოდა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ საუკუნის წინათ ლელთ ღუნიას პირით ბრძანა — „ადრიდა ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს"!

ცხადია, ისინი ვერ გაუტოლდნენ დიდ სულიერ წინაპრებს, ვერც ერთი მათგანი ვერ შედგა ისეთ მაშტაბურ მოაზროვნედ და შემოქმედად როგორებიც გასული საუკუნის მოღვაწეები იყვნენ. ამ ფაქტს თავისი ახსნა ჰქონდა; მთელი საშინელება და ტრაგიზმი ჩვენი დროისა ის იყო, რომ არ არსებობდა გმირობის საშუალება. გმირის სულიერი მოდელის ჩამოყალიბება, მისი ფენომენის გაგება მხოლოდ მაღალსულიერ, ზნეობრივი კრიტერიუმებით მოწესრიგებულ საზოგადოებაში არის შესაძლებელი. გმირის დანახვა ასეთსავე გმირობას მოითხოვს სხვა ადამიანებისაგან. შეიძლება პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ მნიშვნელოვანწილად გმირს გარშემომყოფნი, ან მემატიანეები ჰქმნიან. საკმარისია ცოტნე დადიანის გახსენება. მისი გმირული საქციელი მსგავსი სულიერი პოტენციის ადამიანს რომ არ გაეცნობიერებინა, ვინ იცის, იქნებ არც დარჩენილიყო საქართველოს ისტორიაში ცოტნე დადიანის მოქმედება თავგანწირვის ქრესტომათიულ ნიმუშად. ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები იმიტომ არიან რაინდები, რომ შესწევთ ძალა მოსისხლე მტერში გმირი დაინახონ. ალუდა ქეთელაურის ღირსება მუცალის გაგება, მისი ვაჟკაცობის დაფასებაა. ალაზას ცრემლებიც

სამართლიანად ეკუთვნის ამაყად დაღუპულ ზვიადაურს... ეს მოკლე ისტორიულ-ლიტერატურული ექსკურსი მიზანშეწონილი იქნება სახარებისეული იგავით დავასრულოთ: „გამოვიდა მთესვარი თესვად.

და თესვასა მას მისსა, რომელიმე დაჰვარდა გზასა ზედა; და მოვიდეს მფრინუცლნი ცისანი და შეჰსჭამეს იგი.

და სხუა დაჰვარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწა ფრიად:

და მეყსეულად აღმოცენება, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა.

მზე რა აღმოჰვდა, დაჰსცხა, და რამეთუ ძირნი არ დაებნეს განჰკმა.

და სხუა იგი დაჰვარდა ეკალთა შორის, და აღმოჰსცენდეს ეკალნი, და შეაშთუცს იგი. და რომელიმე დაჰვარდა ქუცყანასა კეთილსა, და მოჰსცემდა ნაყოფსა, რომელიმე ასსა, რომელიმე სამეოცსა, რომელიმე ოცდა-ათსა".

ჩვენ გვსურდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიგვენიშნებინა იმ ნოყიერი ნიადაგის აუცილებლობის შესახებ, რომელზეც უნდა აღმოცენდეს კეთილი თესლი. კეთილი თესლი ვერ აღორძინდა „ეკალთა შორის" და ეს კანონზომიერი მოვლენა იყო. იმ დროს ყოველგვარი მისწრაფება თავგანწირვისაკენ იმთავითვე მარცხისთვის იყო განწირული, რადგან საზოგადოებრივი ცნობიერება ადამიანურ შესაძლებლობათა სრულფასოვანი გამოვლინებისა და ფორმირების წინააღმდეგ იყო მიმართული.

შინაგანი შეუმდგარობა, არასრულყოფილების შეგრძნება ქმნიდა ახალგაზრდების სულიერი მიუსაფრობის საფუძველს. საზოგადოებრივი აზრის მარწუხებით სულშეხუთული „მეამბოხეები" თითქოს გარიყული იყვნენ რეალობისაგან. მეშჩანური ყოფა, ერთი მხრივ, ზიზღს იწვევდა მათში, მეორეს მხრივ, ფიზიკური გადარჩენის აუცილებლობა უზარმაზარ პრობლემად ექცათ, რადგან ტრადიციული, პატრიარქალური ცხოვრების წესი მამაკაცისგან მარჩენალის ფუნქციის შესრულებას მოითხოვდა. ამ მძიმე ტვირთისაგან თავის განრიდება კაცური ღირსების დევალვაციისა და მრავალი უსიამოვნო კონფლიქტის მიზეზი ხდებოდა. წინააღმდეგობა იყო ყველგან: საზოგადოებასთან, ოჯახთან. სულიერი ოაზისი მხოლოდ მეგობრების წრეში იქმნებოდა. ამ მიკროგარემოში ესმოდათ და უგებდნენ ერთმანეთს.

ბუნებრივია, რომ მეგობრულ იდილიასაც შეგნებულად და მიზანმიმართულად არღვევდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ახალგაზრდები დაიშალნენ: ზოგი დაილალა, ზოგი შეშინდა და შეგნებულად განერიდა ძველ თანამოაზრეებს, ზოგმა სასმელს მიჰყო ხელი, ზოგი მათგანი კი დიდხანს იმყოფებოდა საპყრობილის კედლებს მიღმა. ასეთ პირობებში, ცხადია, ძნელი იყო შემოქმედებითი მუშაობა. მიუხედავად ამისა, ამ ადამიანებმა თავიანთი კვალი დატოვეს ქართულ ცნობიერებაში. დრო და ისტორია თავისას იტყვის მათ შესახებ. ერთი რამ კი ცხადია: ეს იყო დაღდასმული, თაობა.

ჩვენ არ გვაქვს წარსულის პირუთვნელი მემატიანის პრეტენზია. არც ამ წერილის მიზანია გარდასულ დღეთა ყოვლისმომცველი ანალიზი და, თუ მაინც შევეხეთ 60-იანი წლების საზოგადოებრივი ყოფის პრობლემებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნა იმ წინააღმდეგობრივი დროის შესახებ, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვლადიმერ სიხარულიძე.

ვლადიმერ სიხარულიძე ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია იმ ტრაგიკული „მეამბოხეებისა", რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. ოჯახი, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა, იყო მიკრო-მოდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ამ ოჯახში ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ განსხვავებული სოციალური მდგომარეობის, მისწრაფებისა და რწმენის ადამიანები. ეს იყო ტიპიური „ბუდენბროკების" ოჯახი. მომცველი ყველა იმ წინააღმდეგობისა, რომელიც დამახასიათებელი იყო ჩვენი უახლოესი წარსულის ადამიანებისათვის. ბუნებრივია, რომ არსებული სინამდვილისადმი პროტესტი ოჯახიდან დაიწყო. აქ გაჩნდა ის პირველი ბზარი, რომელიც შემდეგ, დროთა განმავლობაში, გაღრმავდა და თავისუფალი პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირებაში გადაიზარდა. ეს კონფლიქტური ურთიერთობები თავისებურად აისახა მწერლის მხატვრულ ნაწარმოებებში. ვლადიმერ სიხარულიძის ბიოგრაფიას ყველაზე უკეთ მისივე შემოქმედებით შეიძლება ეზიაროს მკითხველი.

მწერლის შემოქმედება ასახავს ადამიანური სულის საერთო, საყოველთაო გამოცდილებას. ტანჯვასა და სევდას, ამაღლებასა და დაკნინებას, ყველა იმ ვნებას, რომელიც უნივერსალურ ღირებულებათა რიგს განეკუთვნება ყველა დროსა და ყველა სივრცეში.

ედგარ პოს ბიოგრაფები ერთ საინტერესო ამბავს გვამცნობენ: „როდესაც მისი „შემზარავი მოთხრობებისათვის" არაორიგინალობა დაუწამებიათ, თავმოყვარეობაშელახულმა პომ განაცხადა, ეს „შემზარავი" ამბები მის მოთხრობებში გერმანიიდან კი არ მოხვდა, არამედ ადამიანის სულიდანო". ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნებისმიერი ცდა, ავხსნათ მწერლის შემოქმედება კონკრეტულ-ისტორიული რეალობით და გავუთანაბროთ მხატვრული სამყარო ქრონოლოგიურ, დროსა და სივრცეში გაშლილ ხდომილებებს, არასწორი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, არაშემოქმედებითი

იქნება. ემპირიული სინამდვილე იმდენადაა მნიშვნელოვანი შემოქმედისათვის, რამდენადაც ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდება, აახლოებს მოვლენათა იდუმალ საზრისთან. მწერალი საკუთარი ძალისხმევით მიდის სიღრმისეულ არსთან, გარეგანი ფაქტორები მხოლოდ სიმბოლური დატვირთვის მატარებელნი არიან და დეიქტურ ფუნქციას ასრულებენ. ამგვარი მსჯელობა, ცხადია, არ გამორიცხავს დროის, კონკრეტული სივრცის ფაქტორს, მაგრამ მათემატიკური ლოკალიზება შემოქმედებითი დროისა ისტორიული დროითა და ხდომილებებით. საფუძველშივე ეწინააღმდეგება იმ აქსიომატურ მოსაზრებას, რომ მხატვრულ ნაწარმოებს საკუთარი დრო და სულის ისტორია წარმართავს. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი მწერლის შემოქმედება რომელიმე კონკრეტული დროის მხატვრული მატიანე იქნებოდა მხოლოდ და ისტორიულ კუთვნილებათა რიგში მოექცეოდა. ზემოთ მოხმობილი ფაქტი ედგარ პოს ბიოგრაფიიდან იმიტომ გავიხსენეთ, რომ გვეთქვა: ადამიანის სული არის საფუძველი ყოველი შემოქმედებისა და ეგევე წარმართავს ნიჭიერი მწერლის — ვლადიმერ სიხარულიძის მსოფლმხედველობასა და სამყაროს მხატვრულ შემეცნებას.

ვლადიმერ სიხარულიძე არაორდინალური პიროვნება იყო. იგი ერთ-ერთი იმ გამონაკლისთაგანია, ვისაც არასოდეს უღალატია ზნეობრივი პრინციპებისა და კაცური ღირსებისათვის. „ის იყო კაცი, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“ (ჰამლეტი“). ისინი, ვინც პირადად იცნობდა ამ ადამიანს, დღემდე მოხიბლულნი არიან მისი პიროვნული თვისებებით. ვლადიმერ სიხარულიძის ცხოვრება განუწყვეტელი სწრაფვა იყო თავისუფლებისაკენ. მისი მხატვრული ნაწარმოებები ამავე სულისკვეთებით, არიან გამსჭვალულნი და, ავტორის მსგავსად, უშურველად გვაზიარებენ სიკეთესა და კაცთმოყვარეობას.

განგების ნებით, თუ თანამედროვეთა უყურადღებობით დახვეწილი მწერლის შემოქმედება ჯეროვნად ვერ დააფასა საზოგადოებამ. არა და ვლადიმერ სიხარულიძე, ღირსეული მწერალი და არაჩვეულებრივი მოქალაქე, უთუოდ იმსახურებდა ქართველი მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ მისი მგრძნობიარე, მწერლური ნიჭით, სავსე სიტყვა იმთავითვე შენიშნა და დააფასა განათლებულმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ, „მეათე მოწმის“, „უხამსის“, „გარეუბნის მარტოსახლისა“ და „ოიდიპოსის“ ავტორი ბოლომდე შეუცნობელი და გაუგებარი დარჩა ფართო მკითხველისათვის. ეს, მნიშვნელოვნად, იმ პირქუში დროის დამსახურება იყო, რომელშიც მოუხდა ვლადიმერ სიხარულიძეს ცხოვრება და მოღვაწეობა.

ჩვენ არ გვაქვს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილი შეფასების პრეტენზია. ეს მომავლის საქმეა. ჩვენი მიზანია ვლადიმერ სიხარულიძის გახსენება. მისი მოთხრობებისა და პიესების ჩვეული თვალით დანახვა და წარმოდგენა. კიდევ ერთხელ შეხსენება იმისა, რომ ცუდად არ ჩავლილა „ცნწორულის სულისკვეთება...“

მწერალს განზრახული ჰქონდა დაეწერა ვრცელი რომანი — „იპოდრომი“. რომანის დასრულება მან ვერ მოასწრო. ნაწარმოების სტრუქტურა აგებული იყო ცალკეულ, დამოუკიდებელ მოთხრობებზე. მათ აერთიანებდათ იპოდრომი, სადაც გაქანებულ ეტლს შეახტება მთავარი გმირი — თომა. ეტლის სრბოლაში თომა ნელ-ნელა ცხენად იქცევა. იპოდრომის სიმბოლიკაში ადამიანური ცხოვრების გზა გაცნობიერდა, როგორც მედინი, წრიული არსი. ეტლის მეტაფორაში გრძნობად-მატერიალური ფორმით მარადიული ციკლური მოძრაობა გამოიხატა. წუთისოფლის ამგვარი გააზრების საფუძველი ბიბლიურ წარმოდგენებშია საძიებელი.

„ამაოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაო არს.

ადამიანს რას ჰმატებს შრომა, რომელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა? თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე ალმობდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება.

სამხრეთისკენ მიჰქრის ქარი, გაბრუნდება ჩრდილოეთისკენ; ბრუნავს, ბრუნავს, მიჰქრის ქარი და უბრუნდება ისევ თავის წრეს“.

ეკლესიასტეს თუ დავეყრდნობით, ამქვეყნიური არსებობა მარადიული წრებრუნვაა. წუთისოფელი არის ორთქლი, ამაოება, ყოველი საქმე ფუჭია და ქარების დევნას ჰგავს. მატერიალური არსებობა არათვითკმარი და ესქატოლოგიურად შემოზღუდულია. ჩვენი აზრით, რომანის სიმბოლიკაში მატერიალიზებულია ბიბლიური მსოფლშემეცნება.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ეტლის სრბოლაში თომა თანდათან ცხენად გადაიქცევა. თუ კვლავ ეკლესიასტეს მივმართავთ, წუთისოფლის ეტლზე ამხედრებული რაინდი ამაოებათა მდევნელად წარმოგვიდგება. თომას გარდაქმნას ლიტერატურული პარალელი კაფკას შემოქმედებით სამყაროში შეიძლება მოეძებნოს. ორსავე შემთხვევაში მხატვრული განსახოვნება არაერთნიშნა, სიურეალისტური პრინციპით ხორციელდება.

ზემოთ ვთქვით, რომ რომანი „იპოდრომი“ მწერალმა ვერ დაასრულა. არსებობს მოკლე ფაბულური ქარგა, სადაც გაცხადებულია ნაწარმოების სტრუქტურული წყობა. დარჩენილია მოთხრობები, რომლებიც საერთო სისტე-

მით არ უკავშირდებიან ერთმანეთს, მაგრამ ამ ფაქტით მათ ღირსებას არაფერი აკლდება.

ვლადიმერ სიხარულიძის კალამს ეკუთვნის მოთხრობაა „მაცგი“. ამ მოთხრობაში მწერალი ეხება ისეთ მარადიულ თემას, როგორიცაა სიკვდილის ფენომენი და სინანულის ქრისტიანული მისტერია. ცხადია, ასეთ პატარა ნაწარმოებში შეუძლებელი იყო ამ ურთულესი პრობლემის მთელი სისრულით გაშლა, მაგრამ შემოქმედის ოსტატობა სწორედ საკითხის ლოკალიზებასა და სიტყვათა ლაკონიზმში გამოვლინდება. მწერალი ჰქმნის მიკრო-გარემოს, სადაც სულ ხუთი პერსონაჟი შემოჰყავს. არაფერია ნათქვამი მათი წარმომავლობის, ცხოვრების, ხასიათის შესახებ. რამდენიმე მოქმედებით ხდება თითოეულის ბუნებისა და სულიერი წყობის ფორმირება.

„მაცგის“ სიუჟეტი გაბუნდოვანებულია. უჩვეულო განწყობა მოთხრობის დასაწყისშივე იქმნება. მწერალი მკვეთრი, მოზომილი ფერებით ხატავს ბუნების სურათს. ბუნების იდუმალებას კიდევ უფრო ამძაფრებს უცნობი მხედრის განწირული, თავაშვებული სრბოლა. „...სიბნელიდან ამოჭრილი კივილი და ცხენის ფლოქვების თქარუნი ბილიკით შემოვარდა ხეობაში, ხმაურით გაიფანტა გარშემო. ბილიკი ჭრის ტყეს, თავქვე ეშვება და კლდის ძგიდეს გასდევს ფრთხილად. ცხენოსნის ლანდი გრძლად გაეფინა ვიწრობზე, დალარულ კლდეზე გადატყდა და აფართხალდა. უზანგზე შემდგარ მხედარს დიდი, გაბრწყინებული თვალები ფართოდ დაუღია, გამომწვევად მიშტერებია სიბნელეს და დროდადრო მოწოლილი შიშის შეუჩვეველ გრძნობას გამყინავი კივილით ახშობს. სახეს უაზრო, იარასავით ღიმილი უსერავს.,. გარბის ცხენი, ბრმად მინდობილი პატრონის გაშმაგებულ ნებას“. მწერალი ძუნწად, მაგრამ საოცარი მგრძნობელობით აღწერს ყოველ დეტალს საბედისწერო, ჩუმი მღელვარება იგრძნობა ფრაზებს მიღმა. იკვრება იდუმალი სივრცე, რომელიც სავსეა სიკვდილის, შურისგების სუნთქვით, ტრაგიკულის მოლოდინით.

„თავმოყირულ მთებში“ ჩაქცეული სიკვდილი წამით მოაგროვებს სიჩუმეს და მოქმედება ოჯახურ სამზადისში გადადის, მაგრამ ამით ფონი არ იცვლება. ლანდივით ტოკავს შიში ბათალბის ცოლისა და მოხუცი ხათუნის თვალებში. სტუმარს ნატრობს დიასახლისი. ვილაცის ძახილი გამოარკვევს შემკრთალთ. იმედის სხივივით შემოდის თომა ოთახში და მასპინძლებს მაცგის დაღუპვას ამცნობს. უცაბედად ჩაყუჩდებიან უბედურების ზარები. სიმშვიდე დადგება. ავტორი ერთი ფრაზით გამოხატავს ბათალბის ცოლის სულიერ მდგომარეობას: „ქალს ეგონა ლოდი დამივარდაო, იატაკს დახედა, შვება იგრძნო უსაზღვრო...“ ეს წინადადება ზუსტად შეესაბამება იმ ადამიანის შინაგან განწყობილებას, რომელსაც გულზე მძიმე ტვირთად ადევს სხვისი სიცოცხლე. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ყოველთვის გაურბის „მეს“ ჩართვას ნაწარმოების სტრუქტურაში და საკუთარი შეხედულებების ხაზგასმას, ამ ეპიზოდში გახსნილია ავტორის მორალისტური პოზიცია. გასაგებია მხატვრული ნაწარმოების შემოქმედისეული მოტივაცია. მაცგის სიკვდილით შვებამოგვრილი ქალი შეუძლებელია შინაგან პროტესტს არ იწვევდეს ადამიანში (რაკი ავტორისეულ პოზიციაზე ვსაუბრობდით, უპრიანი იქნებოდა აქვე გვეთქვა, რომ მწერალი თითქოს განრიდებულია მისეულ მხატვრულ სამყაროს. იგი არ მონაწილეობს მის მიერვე შექმნილ შემოქმედებით რეალობაში. არსად საგანგებოდ არ აღნიშნავს საკუთარ პოზიცას. მისი მიმართება მოვლენებისა და ადამიანებისადმი მხატვრული ნაწარმოების სულისკვეთებით გამოვლინდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ზოგადი ტენდენციაა ვლადიმერ სიხარულიძის პროზისა).

ბათალბის ცოლის პარალელურად მწერალი საოცარი ფსიქოლოგიური სიზუსტით აღწერს შურისმაძიებლის განცდებს. მაცგის სიკვდილი ბათალბის სულიერი განწმენდის, კათარზისის საფუძველი ხდება. თუ ერთ შემთხვევაში სიკვდილის ფენომენი ადამიანის სიმშვიდესა და კმაყოფილებას განაპირობებს, მეორე შემთხვევაში იგი შინაგანი მღელვარების, სინდისის ქენჯნისა და სინანულის მიზეზად იქცევა. მაცგის ტრაგიკული სიკვდილი ბათალბის განსაწმენდელია. შურისმაძიებლის ჭიდილი საკუთარ თავთან დიდი სულიერი აღორძინებისა და ქრისტიანული ამაღლების ნიშანია.

ადამიანის მორალურ დაკნინებას ასახავს მწერალი თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობაში „უხამსი“.

მწერლობა ემპირიული დროისა და პიროვნების გარკვეული სულიერი განფენილობის ფიქსაციას ახდენს. ამ აზრით, მხატვრული ნაწარმოები საზოგადოებრივი ყოფის ერთგვარი მემატიანეა, მაგრამ ბუნებრივია, შემოქმედი ჟამთაალმწერელი არ არის და მისეული შეცნობა რეალობისა მეტად განსხვავებული და თავისებურია. მწერლის სულში პროეცირებული გრძნობადი სინამდვილე შემოქმედებითი წარმოსახვის სტიმულს წარმოადგენს და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მხატვრულ რეალობას, მაგრამ უმთავრესად მაინც ავტორის თვითჩაღრმავებით არის შესაძლებელი ყოფიერების იმპერატიულ ღირებულებათა განსაზღვრა და ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისით, „უხამსის“ პრობლემა საზოგადოებრივ ყოფაშია საძიებელი, მაგრამ ცხადია, რომ ნაწარმოები სინამდვილის ობიექტური ასახვის ჩარჩოებში

ვერ მოთავსდება. მოთხრობის თემატიკა თავისი მნიშვნელობითა და მაშტაბებით კაცობრიობის მარადიულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება. აქ კიდევ ერთხელ ისმება კითხვა თავისუფალი პიროვნებისა და მონის ფსიქოლოგიის, მისი სულიერი მოდელის შესახებ.

თავისუფალი პიროვნების შინაგანი სტრუქტურის, მისი სოციალური ფენომენის გაგება სხვადასხვა იყო ყველა ეპოქაში. რელიგიურ და ფილოსოფიურ მიმდინარეობათა გრძელ ისტორიულ რიგში ქრისტიანობამ პირველად, სრულიად განსხვავებულად გააცნობიერა პიროვნების თავისუფლების იდეა. ღვთის სახედ და ხატად შექმნილ ადამიანს მაცხოვარმა არჩევანის, ნების თავისუფლებისაკენ გაუხსნა გზა. უმაღლეს ძლევამოსილებად საკუთარ თავში წინააღმდეგობის დაძლევა მიიჩნია და მოუწოდა ადამიანს გაბატონდეს იმაზე, რაც თავად მასზე ცდილობს ბატონობას. კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს: „ჩვენ ყველგან დავატარებთ ჩვენს მტერს ჩვენსავე შიგნით და თუ გარეგანი ბრძოლა ადვილად მთავრდება, ბრძოლა შენს სულში გრძელდება თვით სიკვდილამდე“. საუკეთესო „მესა“ და მდაბალ „მეს“ შორის განუწყვეტლივ მიმდინარეობს ბრძოლა და ამ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება ყველაზე დიდ გამარჯვებად ითვლება სახარებაში. მარადიული წინააღმდეგობის დაძლევით ადამიანი ღვთიური ინიციაციის მონაწილე ხდება. თავისუფლების მოპოვება არ არის ერთჯერადი აქტი. თავისუფლება უსასრულო სულიერი აქტია და სწორედ ამ სწრაფვით უახლოვდება თავისუფალი პიროვნება უნივერსალურ სუბსტანციას. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული რელიგია უზენაეს ფასეულობად და უპირველეს მიზნად პიროვნების თავისუფლებას მიიჩნევს.

ვლადიმერ სიხარულიძის ზემოთ აღნიშნულ მოთხრობაში მხატვრული განსახოვნების პრინციპი ადამიანურ მანკიერებათა უტრირებით ხორციელდება. „უხამსში“ დახატულია იმ საზოგადოების ტრაგედია, რომლის წამმართველიც საყოველთაო და ყოვლისმომცველი შიშია. მიშა კრეზითი სახელია. მასში დაკონკრეტებულია თავისუფლებადაკარგული, უხამსი საზოგადოების სახე.

„უხამსის“ პერსონაჟი მიშა პატარა, ავადმყოფურად ჩია კაცია. მისი დამდაბლება მაგიური სიტყვით — შიშით იწყება. თავდაპირველად თითქოს აწუხებს სახადივით აკიდებული გრძნობა, მაგრამ დროთა განმავლობაში დემონურად უსახლდება სხეულში შიში და უმთავრესი პირობა ხდება მისი არსებობისა. ეგუება, ელაქუცება კიდეც ამ ავადმყოფობას და ფართოდ უღებს თავისი სულის კარებს. „დაბადებიდან სენივით დაჰყვა მიშას შიში. რაც თავი ახსოვდა ყველასი და ყველაფრის ეშინოდა. ეს გრძნობა ჭირვეულად უჩხიკინებდა და ბავშვობაში გამუდმებით აჩხუბებდა. შიში რომ დაეძლია როგორმე. დაკაცების შემდეგაც არ მოიშალა შფოთიანი ცხოვრება. ამის გამო ციხეშიც ამოჰყო ორჯერ თავი, დაუდეგარი და საშიში კაცის სახელიც დაიმკვიდრა. ამ სახელმა უფრო დააშინა მიშა, სახლში იჯდა მეტწილად, გარეთ გასვლას ძნელად ბედავდა... ბოლოს მასთანაც მოვიდა საშველი: ერთხელ, ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჩხუბში ძალიან გაუჭირდა და იკადრა ეთქვა, მეშინიაო. მოქიშპემ იმ წუთშივე გაანება თავი. მიშას გაუკვირდა და ამის შემდეგ ოდნავადაც რომ გაძნელებოდა საქმე, ამ დიდებულ „მეშინიათი“ მშვენივრად იცავდა თავს... როგორც იქნა, მოისვენა გაწამებულმა კაცმა“.

მიშას მოჩვენებით სიმშვიდეს მოულოდნელად არღვევს თომა. ისინი შემთხვევით შეხვდებიან ერთმანეთს ქუჩისპირა სასადილოში. თომა ყურადღებას მიაქცევს სასადილოში ფეხაკრეფით შემოსულ პატარა კაცს და მისი გაცნობის სურვილი გაუჩნდება. მეორე დღეს, დილაადრიან მივა მიშას სახლთან და ზღვაზე საბანაოდ წასვლას შესთავაზებს. მიშა უხალისოდ დაჰყვება თომას ნებას. ზღვაზე თომას მეგობრები შეიკრიბებიან. მათ შორის არის ბაია, მოხდენილი, ახალგაზრდა ქალი. თომა სტუმრის გართობას ცდილობს. მიშა ერთ მომენტში თითქოს გადაიყრის ჰმუნვას და გალაღებული მიეცემა თავდავიწყებას, მაგრამ ბოლოს მაინც საკუთარი ბუნების შესაბამისად მოიქცევა: შეურაცხყოფს ბაიას და თავისი უხამსობით გარშემომყოფთ დიდ სულიერ ტკივილს აყენებს. ასეთია ნაწარმოების მოკლე სიუჟეტური ქარგა.

მიშას პიროვნებაში განხორციელდა არასრულფასოვანი, შიშს დამონებული ადამიანის სახე. ამ კაცის ცხოვრება მოკლებულია ყოველგვარ საზრისს. იგი მარტოა და არცაა გასაკვირი მისი მარტოსულობა. ბოროტება უარსო, სიკეთეს მოკლებული არსებობაა და არ შეიძლება ჰყავდეს მოკავშირე. მიშას ხილვები მისი სულიერი სიმწირის მაჩვენებელია. პატარა კაცს, ცხადია, პატარა ფიქრები აწუხებს: „ჩვეულებრივ დღეს, თავის ქუჩას, მეზობლებსა და ნაცნობებს ხედავდა მიშა სიზმრად. მსუბუქად, არხეინად მოაბიჯებდა პატარა კაცი, ყველას თავაზიანად ესალმებოდა და ყველაც კეთილ სალამს უბრუნებდა. ქუჩის ბოლოში გავიდოდა, მერე უკან ბრუნდებოდა და ისევ კაი გამარჯობა ყველას — თითქოს აგერ ახლა არ ჩაევლოს და არ დაეკრას თავი ნაცნობებისათვის. მთელი სიზმარიც სულ ეს იყო: ქუჩაზე წინ და უკან სიარული, ნაცნობი სახეები და გაფუჩებული, თავმონგრეულ თოჯინასავით თავის გაუთავებლად კანტური გარშემო...“ ასეთი აბსურდული სიზმარ-ჩვენებები ხშირად „არ-

ლევს“ მოთხრობის სიუჟეტურ თანამიმდევრობას. მწერალი თითქოს აჩერებს მოქმედების, დროის მდინარებას და შემოაქვს აზროვნების ქვეცნობიერი ნაკადი. ხასიათის შექმნის ავტორისეულ სტილს განსაზღვრავს რეალურის აბსურდით გამოხატვის პრინციპი. მიშას ხილვები ნებისმიერია. „ესაა შინაგანი სამყაროს ხილვა თუ შემეცნება, გარეგანი სამყაროს მოგონებით დეფორმირებული. ესაა შინაგანი თარგმნა გარეგანის ენაზე“ (პ. ვალერი).

პატარა კაცის სულის „ოდისეა“ ვითარდება მისგან სრულიად განსხვავებული ადამიანის — თომას გვერდით. თომა ანგელოსური საწყისის, კეთილგონიერებისა და თავისუფალი ნების სიმბოლოა. ის ცდილობს თვითგანადგურებისაგან გადაარჩინოს კაცი, რომელსაც შლის და ანამცეცებს შიშის სამარცხვინო გრძნობა. ზღვაზე ბანაობისას მიშას სულში უცნაური მეტამორფოზა ხდება. მცირე ხნით ენითგამოუთქმელი ბედნიერება უგუბდება სხეულში და ზეაწეული მიჰყვება ტალღების ღელვას. „თვალები გაუბრწყინდა პატარა კაცს, სიხარულმა აიტაცა, მკერდზე მიბჯენილი ქარი თითქმის მის ტანში იცრებოდა და მოზღვავებული სიხარულის გარდა, ყველაფერი მიჰქონდა“. წყალზე მოსრიალე მიშა თავის თავს აღარ ჰგავს. თავისუფლების სუნთქვა აათრთოლებს მის ხავსმოდებულ სულს. წამიერად ეზიარება ღვთაებრივ ნეტარებას. ამ ეპიზოდში არის ნიუანსი, რომელიც მხოლოდ ადამიანური ფსიქოლოგიის ღრმად მცოდნე მწერალს შეეძლო დაეწერა. წყალში ჩაყურყუმალავებული მიშა თომას ფეხით დაითრევს, ზემოდან მოექცევა და ტერფით სიღრმისკენ უბიძგებს რამდენჯერმე. ამ „უვნებელი ხუმრობით“ ავტორმა კიდევ ერთხელ, ოღონდ ამჯერად შენიღბულად, წარმოაჩინა პერსონაჟის სულიერი სილატაკე. შეიძლება ამ დროს მიშა ქვეცნობიერად მოქმედებს, მაგრამ შინაგანი, ყველაზე ღრმა „მე“ კარნახობს ამგვარ საქციელს. მონას ბედნიერების სრულფასოვანი განცდაც არ შეუძლია და ამიტომ არის მისი სიხარული ავადმყოფურად დაღდასმული.

მოთხრობის გროტესკული ფინალი ყოველგვარ შესაძლო წარმოდგენათა ზღვარს სცილდება და ერთგვარი უსასოობის, სულიერი აპათიის განწყობილებას ბადებს. მწერალი შეგნებულად ამძაფრებს პიროვნების დამამცირებელი ყოფის საშინელებას, შიშშეპყრობილი სულის ძირისძირამდე გავერანების მწუხარე რეალობას. ავტორი ერთ ფრაზაში ატევს პატარა კაცის შინაგან სიბინძურეს. მატერიალიზებული, სიტყვაში განივთებული უხამსობა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ თომას მცდელობა მარცხისთვისაა განწირული. მიშას პიროვნული თავისუფლება შეუძლებელია და წარმოუდგენელია. ამ მოვლენას ღრმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ძირები აქვს. პლატონის ნააზრევის მიხედვით, რაიმეს სრულფასოვანი შემეცნება ან განცდა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ შესამეცნებელი წინასწარ არის მოცემული ადამიანში. მსგავსი შობს მსგავსს და მხოლოდ მსგავსს ძალუძს იხილოს მსგავსი. ღმერთის ძიება არის ნიშანი ღმერთის არსებობისა. ეგევე ითქმის თავისუფლების იდეის შესახებ. მხოლოდ ის შეიძლება ეზიაროს თავისუფლებას, ვინც, გარკვეულ წილად, უკვე არის თავისუფალი. აქედან გამომდინარე, გასაგებია მწერლის პოზიცია, როცა ბოლომდე უხამსად ტოვებს მოთხრობის გმირს. ლოგიკური და კანონზომიერია, რომ სულიერი უდაბნოს მატარებელი კაცი ფატალურად მიექანება მარტოობის, მონობის უნუგეშო უფსკრულისაკენ. ეს არის მისი ბედისწერაც და მისი არჩევანიც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მიშა კრებითი სახელია და მისი პიროვნებით იქმნება შიშშეპყრობილი საზოგადოების პორტრეტი. მიშა ჩვენი ეპოქის გმირია, ჩვენმა საუკუნემ მოიტანა უხამსის ტიპი თანამედროვე ლიტერატურაში. უხამსის გმირი ცნობიერი, ჭკვიანი და დაუნდობელია, ცდილობს გარშემომყოფთაც გადასდოს თავისი სენი. აღიზიანებს ადამიანთა სულის სისუფთავე. თან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მისი განადგურება შეუძლებელია, რადგან მშიშარა და საცოდავია.

ნაწარმოები, რომლის ლიტერატურულ-მხატვრულმა ღირებულებამ უკვე გაუძლო დროის გამოცდას და ეჭვგარეშე დამკვიდრდა თანამედროვე ქართული პროზის საუკეთესო შედევრებს შორის, არის ვლადიმერ სიხარულიძის შესანიშნავი მოთხრობა „მეათე მოწმე“.

მოქმედება გაშლილია პატარა სოფლის, საბალახოს, სინამდვილეში. საბალახო პირობითი, მაგრამ თავისი შინაარსით რეალური მიკრო-მოდელია იმ ადამიანთა ყოფისა, რომლებიც ცხოვრობენ ქართულ, პროვინციულ გარემოში. ეს არის მიკროსამყარო, რომელიც არსებობს ერთი ადამიანის, სოფლის უგვირგვინო მმართველის, ბატონი სავლეს პატრიარქალური კანონებით. „სიჭაბუკეში მან ქვეყანა შემოიარა, რამერუმეები ნახა და დადინჯებული ბოლოს სამშობლოში დაბრუნდა. სავლემ დალაგებული საუბარი და უცხოური სიტყვები იცოდა, რაიც თანამოძმეთა თვალში მას დიდების შარავანდედით მოსავდა. დროთა განმავლობაში სავლემ დიდი გავლენა მოიხვეჭა ხალხში და ახლა საბალახოში სადავო საკითხების გადამწყვეტი, მომრიგებელი და ყველას დამრიგებელიც გახლდათ. გლეხები თავს ვალდებულად რაცხდნენ, ყოველწლიურად, რამდენიმე ქცევა მიწა უსასყიდლოდ გადაებრუნებიათ მის კარგა მოზრდილ

მამულშიც... ამ ჩვეულებრივი, დუნე, არაფრით გამორჩეული სოფლის მკვიდრია ასევე ჩვეულებრივი მეკომლე — ჯანიკო. ამღვრეული, გაბოროტებული ჯანიკოს გამოჩენით ავტორი გარკვეულად წინ უსწრებს მოვლენებს და დიდი მხატვრული ოსტატობით ჰქმნის შესაძლო მოქმედებათა წინაპირობას. გაანჩხლებულ ჯანიკოს ბაგეთაგან წყევლა და ლანძღვა — მუქარა გესლივით იღვრება და გაურკვევლობის მაცდური წიაღისაკენ წარმართავს მკითხველის ცნობიერებას.

ჯანიკოს სევდიან, უფერულ არსებობას არღვევს თითქოს უმნიშვნელო, გაუთვალისწინებელი შემთხვევა. ერთ საღამოს, ბაზრის მოედანზე შეჰრილი თანასოფლელები წაკინკლავდნენ. კამათის თანამშემსწრენი გადაწყვეტენ მტყუანმართლის გასარჩევად სავლეს მიაკითხონ. ჩხუბს ათი მოწმე აღმოაჩნდა. რამდენიმე დღეში სავლემ სახელდახელოდ სასამართლო მოაწყო და სოფლელებს მოწმეების შეკრება დაავალა. გამოცხადდა მხოლოდ ცხრა. მეათე მოწმე ვერცერთმა საბალახოელმა ვერ გაიხსენა... ბაზრის მოედანზე უკვე მეორედ თავშეყრილი საზოგადოება დაამცირებს და გაამასხარავებს ყველასგან დავიწყებულ მეათე მოწმეს. ბატონი სავლე ევროპიდან ჩამოტანილ სკამჯოხზე წამოჯდება და მხიარულად მიმართავს თანასოფლელებს. „სად არ ვყოფილვარ და რა არ მინახავს, მაგრამ ასეთ სასაცილო ამბავს აქამდე არ შევსწრებივარ! თვალსა და ხელს შუა ერთი კაცი გაგვიქრა, ისე გაუჩინარდა, თითქოს არც არსებულა ოდესმე... ვარჩევდი ამ საქმეს შვიდი დღის უკანაც, დღესაც და ორივეჯერ მხოლოდ ცხრა მოწმე გამოცხადდა. მეათეს ვერ მივაგენით. ვერც მოჩხუბრებმა გაიხსენეს და ვერც მოწმეებმა, ვინ იყო საცოდავი მეათე.. ეგ მეათე კი დგას ახლა მოედანზე თქვენ შორის და ალბათ დარწმუნებულია: კაცი ვარ და ცოცხლებშიაც ვირიცხებიო... ათმა თანასოფლელმა თუ არ გაგიხსენა, ორი დღის წინ რომ მათ გვერდით იდექი, რად გინდა ბიჭო, ამნაირი სიცოცხლე? ამ შემთხვევიდან იწყება მეათე მოწმის, ჯანიკოს, სტრესული, ეჭვებით სნებაშეყრილი ცხოვრება. ეს „მოულოდნელი" ამბავი ღრმა შინაგანი დატვირთვით, ტევადობით პიროვნების სულიერი მეტამორფოზის საფუძველი ხდება. მწერალი ზუსტად აღწერს ტრაგიკულად თვალახვეული ადამიანის არსებაში გაჩენილი მიუსაფრობის, მარტოკაცობის დამთრგუნველ გრძნობას. ჯანიკო აცნობიერებს, რომ მისი არსებობა შეუმჩნეველი და არაფრისმთქმელია. ადამიანი, რომელიც დავიწყებული ჰყავს მთელ სამყაროს, თითქოს კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდება, მაგრამ სიცილი სადღაც გუბდება და მის ნაცვლად ვეებერთელა სევდა მოედინება. ჯანიკოს უიმედობის, სასოწარკვეთის უნუგეშო განცდა ეუფლება. მის სულში ბედისწერასავით გაჩნდება ყოფნა-არყოფნის მარადიული კითხვა. ყოფნის, არსებობის ილუზია წამიერად გაქრება და მის ნაცვლად არყოფნისა და არარაობის ნაცრისფერი ლანდი აღიამრთება. მოთხრობის მთავარი გმირი ცდილობს პირადობის უმცირესი საყრდენი, მაინც იპოვოს თანამცხოვრებთა შორის და, რაკი ეს იმედიც გაუცრუვდება, თვითგადარჩენის ერთადერთი გზა დარჩება — აუჯანყდეს საბალახოელებს და რითიმე დააჩნიოს სამყაროს თავისი არსებობა. ჯანიკოს შემდგომი საქციელი არყოფნის, არარაობისაგან რითიმე უკუქცევის სურვილით არის გაპირობებული. სწორედ არსებობისათვის ბრძოლაში იკვეთება პერსონაჟის ჭეშმარიტი არსი. თვითდამკვიდრების, თვითშეცნობისაკენ ლტოლვა უბიძგებს გმირს მიჰყვეს შურისგების ჟინს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადოს მის უარმყოფელთ — ადამიანებს, რომელთაც საეჭვო გახადეს მისი რეალური არსებობა და, თავისდა უნებურად, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდაპირისპირების საფუძველი შექმნეს. ნელ-ნელა იკვეთება წინააღმდეგობა: ერთი მხრივ, ტრაგიკულად დავიწყებული ჯანიკო და, მეორე მხრივ, თავდაჯერებული საბალახოელები, რომელთაც ყოფნა-არყოფნის პარადოქსი მთელი სისრულით განაცდევინეს სხვებისაგან არაფრით გამორჩეულ თანასოფლელს. ამ მომენტიდან იწყება ჯანიკოს ჰეროიკულ-მითოლოგიურ მოქმედებათა მთელი ციკლი. ჯანიკოს თვითდამკვიდრება უარყოფის გზით ხორციელდება. პერსონაჟის შორეული არქეტიპი აეროსტრატესიულ ფენომენში შეიძლება ვეძიოთ.

ჯანიკო მეამბოხე, რეალობის უარმყოფელი გმირია, მაგრამ ჯანყი მაშინ იწყება, როცა მის პირად ღირსებას შეეხებიან. სხვა შემთხვევაში იგი საბალახოელთა მსგავსია. იმ მიწით არის ნაკვები, რომლითაც ყველა დანარჩენი. ისიც მუშაობს ბატონი სავლეს ყანაში მუქთად და სიამოვნებით უსმენს „ბრძენკაცის" ქადაგებებს. განგების ნება რომ არა, ალბათ, ვერც გაიგებდა ვერასოდეს თანასოფლელთა ყოფის უაზრობას. ჯანიკოს შინაგან სახეცვლილებას ღრმა ქრისტიანული ძირები მოეპოვება: ფერიცვალების მისტერია ქრისტეს მოწაფეთა სულიერ მეტამორფოზას გულისხმობდა. პეტრეს, იაკობისა და იოანეს მიერ ხილული უფალი მათი სულიერი ფერიცვალების ნიშანი იყო. მსგავს სულიერ მოვლენასთან გვაქვს საქმე „მეათე მოწმეში". ჯანიკოში ხორციელდება ფერიცვალება, მასში დგება სულიერი ნათელი და ამის გამო ძალუძს დაინახოს აქამდე უხილავი და დაფარული. მართალია, ამ მოვლენას პირადი განაწყენება უდევს წინაპირობად, მაგრამ ერთი რამ არის მნიშვნელოვანი: მწერალი არაფერს გვეუბნე-

ბა ჯანიკოს განსაკუთრებულობის შესახებ. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე გაუფორმებელ, გამოურჩეველ პერსონაჟს ქმნის დასაწყისში მისი სახით. ამ აზრის დასტურად ცნობილი სასამართლოს ეპიზოდის გახსენებაც კმარა, მაგრამ ნაწარმოებში არის რამდენიმე, თითქოს უმნიშვნელო შტრიხი, რომლითაც ავტორი მიგვანიშნებს, რომ ჯანიკოში პატარა ეჭვის ნაპერწკალი არსებობს საკუთარი ცხოვრებისა და საბალახოელთა „მოწესრიგებული“ ყოფის შესახებ. „სავლე და მისი ლამაზი, ამაყი ქალიშვილი — ცირუნია ჯანიკოში უცნაურ, ტკივილისმაგვარ გრძნობას იწვევდნენ. როცა ჯანიკო ამ წარჩინებულ წყვილს მოჰკრავდა თვალს, რატომღაც გული უკვდებოდა, რატომღაც მაშინ აგონდებოდა წასაქცევად გამზადებული თავისი ოდა, ახსენდებოდა ბრაზიანი ცოლის უფერული სახე და ბაღებში დამდგარი მაღალი საფრთხობელები. სავლესა და ცირუნიას დანახვა უსაშველო სევდას ჰგვრიდა ჯანიკოს. მათი დანახვის შემდეგ სევდამოკლულ კაცს მაგრად გამოთრობა უნდებოდა“. მომდევნო ეპიზოდში კიდევ ერთხელ გაიელვებს ჯანიკოს სულის უცნაურობა. სავლეს ერთ-ერთი მორიგი ქადაგების ჟამს იგი უნებურად წაილუღლუღებს: „მთვარის სინათლეზე მოკლე ხანჯლებივით ჩანს მდინარეში თევზები“. ამ ნიუანსების გათვალისწინებით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამოძმეთა მიერ დაუნახავი და დავიწყებული მეათე მოწმე შინაგანად დიდი ადამიანური ტკივილის მატარებელია. სწორედ ამიტომ გამოარჩია განგებამ სხვათაგან და საკუთარი სულის შეცნობისაკენ უბიძგა. მთისკენ მიმავალი ფირალი ერთ კაცს დაემშვიდობება მთელ სოფელში. ყასაბი მიხა საბალახოელთა შორის ერთადერთი კაცია, რომელსაც უყვარს და ებრალება ჯანიკო. „კარგად იყავი, მიხა!.. მე გოუყევი აწი ზეითკენ!“ — ჩამოსძახებს ჯანიკო ყასაბს. ამ სიმბოლიურ ფრაზაში ყველაფერი ერთად მოექცა. ფიზიკური ამაღლებაც და სულიერი ზეასვლაც.

მთას შეხიზნული ყაჩაღი არაერთ უბედურებას დააწევს თანასოფლელებს. თავდაპირველად, საბალახოს პირისპირ შემართულ მთას ცეცხლი გაუჩნდება და თავზარდაცემულ საბალახოელებს პირუტყვს ერთიანად გაუჩანაგებს. მწერალი შთამბეჭდავად აღწერს ცეცხლმოდებული მთის სურათს: „ცეცხლი წითელი, ცხელი გველივით გამოიკლაკნა სოფლისკენ. ოდებს დიდრონი ნაპერწკლების ციცინათელები შეესია. უცებ ტყიდან აბლავლებული დათვების მთელი მხედრიონი გამოიჭრა და ზარდაცემული საბალახო ისევ აწიოკდა. გლეხები ოდებში შეცვივდნენ, კარები საიმედოდ ჩარაზეს და ჭუჭრუტანებში გაუყარეს მზერა...“ შურისძიების ჟინით შეპყრობილი ჯანიკო ამ ფაქტით არ დაკმაყოფილდება. ცოტა ხნის შემდეგ უზარმაზარ ლოდებს დააგორებს მთიდან და შიშატანილ სოფლელებს ცხოვრებას ჯოჯოხეთად გადაუქცევს. საოცარი პლასტიკით იქმნება სოფლის თავდატეხილი რისხვის დრამატული პეიზაჟი. ეს არის ერთგვარად მითოლოგიზირებული, ჯადოსნური, საიდუმლოებებით აღსავსე მოვლენათა მონაცვლეობა, რომელთა პარალელურად და შესაბამისად ვითარდება სოფლის მცხოვრებთა ტრაგიკული ფარსი. მასობრივი ცნობიერებისათვის დამახასიათებელი დინამიურობით იცვლება საბალახოელთა გუნება-განწყობილება. გაბოროტებულ სოფლელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ბატონი სავლე. სოფლის უგვირგვინო მმართველი საბალახოელებს ჯანიკოს ოდას დაანგრევინებს, მის ნაცოლარს ჩოლახა დათიკოზე გაათხოვებს და ქორწილსაც გაუმართავს. ვიღაცას ჯანიკოსა და მიხას უწინდელი მეგობრობა გაახსენდება და სავლეც უმალ ჭურში ჩააგდებს ყასაბს. საშველი მაინც არ გამოჩნდება. საბალახოელებმა აღარ იციან, რა გზას დაადგნენ, როგორ მოათვინიერონ გაავებული ფირალი. ლამის არის, ეშმაკს მიჰყიდონ სული, მაგრამ გადარჩენის გზას ვერ ხედავენ. „მეათე მოწმეში“ მთელი სიგრძე-სიგანით გაშინაარსდა გაუპიროვნებელი მასის სულიერი მისწრაფების დასაზღვრულობა. გამოიკვეთა ხასიათი იმ საზოგადოებისა, რომლისთვისაც მონური ყოფა ბუნებრივი და მისაღები სულიერი მდგომარეობაა. საბალახოელები ერთი მოდელით არიან დასტრუქტურებულნი. ერთი აზრი აქვთ და ერთი სურვილი, რადგან მათ ცნობიერებას ერთი კაცი წარმართავს, ბატონი სავლეს აზრებით ცხოვრობენ სოფლელები და მისი ყურმოჭრილი მონები არიან. დედის რძესავით შეისისხლხორცეს სავლეს პირველკაცობა. არ ეხამუშებათ ყმობა და ვერც წარმოუდგენიათ სხვაგვარად ცხოვრება, რადგან თვითონაც სავლესნაირები არიან და ნებისმიერი მათგანი სიამოვნებით აძვრება სოფლის უგვირგვინო მმართველის საპატიო ტახტზე. ამიტომ არის, რომ ჯანიკოს მოქმედებათა საპასუხოდ ბატონის მსგავსად იქცევიან. როცა სავლე ჯანიკოს ზარბაზნითა და ლანძღვაგინებით უპირისპირდება, სოფლელები ამასვე იმეორებენ, როცა შეშინებული სავლე ყაჩაღს შენდობას ემუდარება და „გემრიელ ცირუნიას“ სთავაზობს, სოფლელებიც თხოვნა-ხვეწნით უხმობენ მთაში გადახვეწილ თანამოძმეს... თითქოს ყველაფერი ჩვეული რიგით უნდა წასულიყო, მაგრამ მოხდება გაუთვალისწინებელი რამ: ჯანიკოს ერთ-ერთი თავდასხმის დროს საბალახოელი გლეხი დაიჭრება. დაჭრილის მხარბეჭიანი ძმა მოულოდნელად შლეგიანივით იყვირებს და მთელი ძალით სავლეს ლონიერ პანღურს ამოჰკრავს. „ხალხი ჯერ შეცბა, მერე კი ერთ-

ბაშად გაახსენდათ გაფირალებულის დანგრეული ოდაც, მუქთად მუშაობაც სავლეს მამულში და ხელად დაბოლმილმა სოფლელებმა ავად გაიწიეს საბალახოს უგვირგვინო მეფისაკენ". ამ ფსიქოლოგიურად ზუსტად მიგნებულ ეპიზოდში სოფლელთა ცნობიერებაში გატყდება ყინული, რომელიც უნდა დაიძრას და გადაარჩინოს ადამიანები მორალური გამყინვარებისაგან. მოვლენები თვალისდახამხამებაში იცვლება. სავლეს ტახტი შერყეულია. მის ეზო-მიდამოს კალიებივით შესეული სოფლელები ხპობენ და ანადგურებენ მათ მიერვე შექმნილ კერპს. უკვე აღარ აღიაზიანებთ ჯანიკოს არსებობა. პირიქით, ერთგვარი კეთილგანწყობითაც მიმართავენ გაუჩინარებულ თანასოფლელს. მეამბოხეს თითქოს დუმილის აღთქმა ჰქონდა დადებული. სულისშემხუთველი სიჩუმე მხოლოდ ერთხელ დაირღვევა მოთხრობის ფინალში. „არ მინდა მე თქვენი სოფელი! არაფერი არ მინდა!" — გადმოგორდება მთიდან რიხიანი ხმა და ისევ გაყუჩდება სოფლის თავზე გადმოკიდებული გორა. გასაოცარი ხევდით ივსებიან მონუსხული გლეხები. არყოფნის წყვდიადში იძირება კვლავ ჯანიკო და სამუდამოდ უერთდება არარაობის ნისლს... ნაწარმოები ლოგიკურად მეათე მოწმის გაუჩინარებით უნდა დამთავრებულიყო და ყველაფერი თითქოს ჩვეულ კალაპოტში უნდა ჩამდგარიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ჯანიკოს ამბოხს უკვალოდ არ ჩაუვლია. ყველაფერმა, რაც საბალახოელებს თავს დაატყდათ, ადამიანობის, ღირსების გრძნობა გამოაღვიძა. უბედურება აღარ აფორიაქებდა მათ მყუდრო ცხოვრებას, მაგრამ თითოეულ მათგანში გაჩნდა სხვა, აქამდე უცნობი მღელვარება. ეს „სხვა" იყო შინაგანი სწრაფვა თავისუფლებისაკენ. ჯანიკოს არსებობა სოფლელებს დააკლდათ. დააკლდათ იმიტომ, რომ ჯანიკოს პიროვნებაში განხორციელდა მათი ყველაზე მიუწვდომელი და შორეული ოცნება. მეათე მოწმე შესძლო გაეპიროვნებია და სამზეოზე გამოეტანა თავისუფლებადაკარგული ადამიანების ყველაზე ქვეცნობიერი სურვილი. საბალახოელებმა ჯანიკოში დაინახეს თავისი ყველაზე საუკეთესო „მე", ყოველ მათგანს ქვეცნობიერად უნდოდა მას დამსგავსებოდა და მის ადგილზე ყოფილიყო.

ვლადიმერ სიხარულიძემ „მეათე მოწმეში" შექმნა უარყოფილი კაცის ტრაგედია. რეალობა. რომელშიც ავტორი ცხოვრობდა, თავისი ბუნებით ადამიანის სულის შეცნობის წინააღმდეგი იყო. სულიერი თვითდადგენების ყველა გზა დაახშო ჩვენმა უახლოესმა წარსულმა. სული, როგორც ადამიანში ღმერთის არსებობის ნიშანი, სიყვარულით უნდა გამოვლენილიყო ჯანსაღ საზოგადოებაში. საყოველთაო ურთიერთსიძულვილის ატმოსფეროში შეუძლებელი იყო სიყვარულით, ყველაზე უნივერსალური და ზეადამიანური გრძნობით ღმერთის, ანუ საკუთარი სულის შეცნობა. გარდაცვალების ქრისტიანული მისტერია მხოლოდ ხორცის სიკვდილს დაუკავშირდა საზოგადოების ცნობიერებაში და დარჩა სულის პოვნის ერთადერთი გზა — გზა ტანჯვისა. „მეათე მოწმის" გმირი სწორედ ამ გზით შეიმეცნებს საკუთარ თავს, როგორც სულიერ არსებას. მწერალი დიდი ოსტატობით და ფაქიზი ლიტერატურული გემოვნებით აღწერს „მოკვეთილის" სულიერ დრამას. გაუცხოებული, შიშატანილი ადამიანების ბრძოლას ფიზიკური გადარჩენისათვის. „მეათე მოწმეში" ყველაზე სრულყოფილად გამოვლინდა ავტორის შემოქმედებითი შესაძლებლობები. მწერლის ლიტერატურულ ბიოგრაფიას მხოლოდ ეს ერთი ნაწარმოები რომ შემორჩენოდა, მაინც თამამად შევძლებდით საუბარ თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთი საინტერესო და გამორჩეული წარმომადგენლის— ვლადიმერ სიხარულიძის შესახებ.

მწერლის კალამს ეკუთვნის რამდენიმე დრამატურგიული ნაწარმოები. მათ შორისაა ცნობილი კომედია „გარეუბნის მარტოხახლი". პიესა ავტორის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მოგვიანო პერიოდს ეკუთვნის. ის საკმაოდ დიდი ინტერვალის შემდეგ დაიწერა, მაგრამ თემატიკის თვალსაზრისით, პიესა ერთგვარი გაგრძელებაა იმ ძირითადი ტენდენციებისა, რომლებიც თავისებურად დამუშავდა ვლადიმერ სიხარულიძის ადრეულ მოთხრობებში.

უკვე აღვნიშნეთ, რომ შემოქმედებითი წარმოსახვისაკენ ნებისმიერ მწერალს რეალობა უბიძგებს და ვლადიმერ სიხარულიძის მხატვრული სამყაროც თავისი დროის ნიშანს ატარებს. „გარეუბნის მარტოხახლი" საერთო, საზოგადო ყოფის აბსურდისტული წარმოდგენით არის მოტივირებული. ამ აბსურდს არ ქმნის ეგზისტენციალური შიში ადამიანური არსებობის განსაზღვრულობისა და აბსურდულობის შესახებ. აქ ადამიანის სულ სხვა წარმოდგენასთან გვაქვს საქმე. ვლადიმერ სიხარულიძე მკვეთრად ჩამოყალიბებული ქრისტიანული მსოფლმხედველობის შემოქმედია, რაც თავისთავად გულისხმობს ყოფიერების საზრისის რელიგიურ გაგებას. აქედან გამომდინარე, ადამიანური არსებობა მხოლოდ მაშინ არის აბსურდული, მოკლებული ყოველგვარ აზრს, როცა ყოფას არ წარმართავს ზოგადქრისტიანული, ზოგადზნეობრივი კატეგორიები.

„გარეუბნის მარტოხახლი" „აბსურდის თეატრის" პრინციპების მიხედვით არის შექმნილი, მაგრამ „აბსურდის თეატრის" პიესებისაგან განსხვავებით, ტრაგიკულ ინტონაციებს ოპტიმიზმი ენაცვლება. მოქმედება მიმდინარეობს ერთ-ერ-

თი გარეუბნის განმარტოებულ სახლში. მოქმედების ადგილის ავტორისეული არჩევანი, ჩვენი აზრით, არ არის შემთხვევითი. კონკრეტულ მარტოსახლში გაშინაარსდა ის ზოგადსოციალური გარემო, რომელიც მოწყვეტილია ცივილიზებული კაცობრიობის ერთობას. ამ აზრის საფუძველს გვაძლევს მარტოსახლში მიმდინარე მოქმედებისა და მობინადრეთა ხასიათების ტიპიურობა. მარტოსახლში შექმნილი მიკროგარემოს თუ განვაზოგადებთ, წარმოდგენა შეგვექმნება იმ დროის საზოგადოებრივი ყოფისა და მენტალიტეტის შესახებ.

ნაწარმოების მოკლე სიუჟეტი ასეთია: მარტოსახლის პირველ სართულზე, სადაც სახელმწიფო საწყობია განლაგებული, შუაღამისას ქურდები შეიპარნენ. ხმაურს გაიგებს მაგდა — სახლის ერთ ერთი ახალგაზრდა მობინადრე. შეშინებული გოგო ფრთხილად გააღვიძებს მეზობლებს. ყველანი შეიკრიბებიან მეზობლის — დიმიტრის ბინაში და დაიწყებენ ბჭობას იმის შესახებ, თუ როგორ დააღწიონ თავი შექმნილ მდგომარეობას. აქედან იწყება სწორედ მოქმედების განვითარება და პერსონაჟთა ხასიათების გახსნა. თავისთავად სერიოზული, თითქმის ტრაგიკული სიტუაცია მსუბუქი ბულვარული თავგადასავლის სახეს იღებს ადამიანთა სულიერი დაკნინების, ზნეობრივი იდეალების არ არსებობის გამო. პიესის გმირები თითქოს ქაოტურ, შეუსაბამო მოქმედებათა უსახურ წრეში ტრიალებენ. უნებლიე, უმართავ განწყობილებათა ტალღებს მიჰყვებიან და უანგარიშოდ, უმისამართოდ იხარჯებიან ყველაზე ულირს ვნებებს თავმიცემულნი. მარტოსახლის მკვიდრთა აბსურდული რეალობა ძალიან ჰგავს ჩვენი დროის ადამიანთა ყოფას. გამაოგნებელ დინამიურობაში ლანდებივით დაჰქრიან ადამიანები. ამ მოძრაობაში უთუოდ რთული უნდა ყოფილიყო სახისა და ხასიათის ფორმირება, მაგრამ მწერალს არ ღალატობს ოსტატობა და საოცარი სრულყოფილებით აღწერს თითოეული მათგანის სურათს. მარტოსახლის მობინადრენი განსხვავებული მდგომარეობის, ასაკისა და ინტელექტის ადამიანები არიან. აქ თავმოყრილია საზოგადოების ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი. ამ მრავალფეროვნებით იქმნება მწერლის თანამედროვე საზოგადოების პორტრეტი.

გარეუბნის ერთ-ერთი მცხოვრებია მაგდა, რომელსაც სტუმრად ჰყავს თანაკურსელი გოგო ირინა, ახალგაზრდა ინტელიგენტი ანტონი და ლუკა — ცირკის მსახიობი. ამ პერსონაჟთა ხასიათები მსგავსია. მათ სახეებში გამოვლინდა ახალი თაობის მისწრაფებისა და აზროვნების სიმწირე. ახალგაზრდები ყოველგვარი იდეალების გარეშე ცხოვრობენ. არავითარი ზნეობრივი საყრდენი არ გააჩნიათ და, მიუხედავად ასაკისა, საოცარი სიცარიელე აქვთ სულში. თავისი ბუნებით ისინი წინამორბედი თაობის პირდაპირი მემკვიდრეები არიან. მათსავით დაატარებენ არარაობასა და სულმდაბლობას. გაჩენის დღიდან იკვებებიან შიშით და, ცხადია, რომ ბუნებრივად ეჩვენებათ საკუთარი სულიერი მდგომარეობა. შიში და უზნეობა აერთიანებს ახალგაზრდებს უფროსი თაობის წარმომადგენლებთან. მათ შორის ზღვარი წაშლილია, რადგან ერთი სენით არიან დაავადებულნი და ერთმანეთს ჰგვანან. პერსონაჟთა გალერეაში ახალი თაობის კიდევ ერთი საინტერესო წარმომადგენლის ფიგურაა შექმნილი. ეს არის ბესარიონი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც მაგდას ნათესავია და მასთან არის სოფლიდან ჩამოსული. ბესარიონი ულაზათო, პროვინციელი ყმაწვილია. თითქოს უხერხულად უნდა ყოფილიყო უცხო საზოგადოებაში, მაგრამ ასე არ მოხდა. ქალაქურ გარემოში სოფლელი ბესარიონი ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. უხამსობითა და უტიფრობით ტოლს არ უდებს ქალაქელებს. პირიქით, შეიძლება ითქვას, კიდეც აჭარბებს მათ, ოღონდ ხანდახან ძალიან რომ შემოუტევს შიში, ძალაგამოცლილი ალუღლუღდება: „ჩემს სახლში მინდა ვიყო, ჩემი სოფელი მინდა!“ ბესარიონი ისეთივე გარყვნილია, როგორც სხვები. განსხვავება არ არსებობს, რადგან „საზოგადო ჭირია“ სულის სიმდაბლე და მხოლოდ ურბანიზმის მოძალებით არ აიხსნება. პიროვნების დაშლა, დაქუცმაცება გლობალური მოვლენა იყო ჩვენს სინამდვილეში და ერთიანად მოიცავდა ქალაქსა და სოფელს.

მარტოსახლის მკვიდრია დარბაისელი მოქალაქე—დიმიტრი. იგი გამორჩეულად ფრთხილი და მშიშარაა. პანიკურად აშინებს ყველაფერი. ნებისმიერ წინააღმდეგობას გაურბის. მისი ხასიათის ფორმირება ძირითადად ამ ერთი ნიშნის მიხედვით განხორციელდა. დიმიტრის პიროვნებაში გასიმბოლოვდა შიში, როგორც სოციალური მოვლენა. ამ დარბაისელმა კაცმა თვითონაც მშვენივრად იცის, შიშით რომ აქვს სული აფორიაქებული. არც მალავს ამ ფაქტს. პირიქით, თავისებურ ახსნას უძებნის და დარწმუნებითაც მსჯელობს: „ჩვენ გვეშინია! არაა შიში საძრახისი გრძნობა. შიში ჰაერივითაა, თავისუფლად შემოდის კაცში. შიში ყველა სულდგმულს ძალავს!...“ დიმიტრის ზნეწამხდარობისა და სულიერი ბერწობის დასტურად ერთი ეპიზოდის გახსენებაც კმარა: ძილ-ღვიძილში მოლაპარაკე დოდონას (ამ პერსონაჟის შესახებ მოგვიანებით უფრო ვრცლად ვისაუბრებთ) დიმიტრი კითხვით მიმართავს: „რა უნდა მოვიმოქმედო პირადად მე, რომ დიდი რიდი და პატივისცემა დავიმსახურო ყველასაგან? — თავს ნუ იბრიყვებ, დიმიტრი, პირადად შენ რომ ვერაფერ სახეიროს ვერ გააკეთებ აწი, თავადაც

კარგად იცი!“ — უპასუხებს ჭკვიანი დედაბერი. დოდონას სიტყვებში ყველაფერია ნათქვამი. დმიტრისნაირები ვერც ერთ დროსა და ვერც ერთ საზოგადოებაში ვერ შექმნიან რაიმე ღირებულს. უნაყოფობის მიზეზი მათივე გავერანებული სულია.

მნიშვნელოვან სახეს ქმნის მწერალი ალეკოს პიროვნებით. ალეკო შუახნის რაფინირებული, დახვეწილი ინტელიგენტია. გონიერებით თითქოს სხვებზე მაღლა დგას, მაგრამ მასაც გამოცლილი აქვს ზნეობრივი საყრდენი და შიშის თვალებით უცქერის სამყაროს. უნიათობის, სულიერი აპათიის გამო ალეკო დრამატული გმირია. ტრაგიკულია მისი ხვედრი — იყოს შიშშეპყრობილი შემოქმედი. თუმცა, ალეკო გამონაკლისს არ წარმოადგენს. არცთუ დიდი ხნის წინ ზოგადად ასეთი იყო დროით დაღდასმული ხელოვანის პორტრეტი. ყველაზე უკეთ ალეკოს პიროვნებას მისივე ტკივილიანი მონოლოგი ხსნის. „ხომ მქვია მე ხელოვანი? მქვია! პოდა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ასე გაჭიმულჩაჩხული ბევრჯერ ვყოფილვარ მე ცხოვრებაში. ლამაზად რომ ვთქვა, აი, ახლა, ამყამად, მოხდა ხატოვანი ფიზიკური განსახიერება ჩემი ძალიან ხშირი სულიერი და მორალური მდგომარეობისა. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მხდალი ვიყავი მე მუდამ და არასოდეს მქონია ცხოვრებაში მყარი ადამიანური პოზიცია. ეს ნიშნავს იმას, რომ უაზრო ყოფილა მთელი ჩემი საქმიანობა. ნუთუ. მთელი ჩემი ცხოვრება ფუჭია და მხოლოდ ამაოება?“ „ალეკოს ულირსებო, არაკაცური არსებობის დასტურია მისი მეუღლის — ანას საქციელი. ეს ლამაზი, თავნება და მოურიდებელი ქალი ალეკოს თანდასწრებით ეტრფიალება ახალგაზრდა ცირკის მსახიობს და არაფრად აგდებს გარშემომყოფთ.. არც ჩვენი დროის „ხევისთავი“ ჩამორჩება მეუღლეს და მაგდას თავდავიწყებით დაუწყებს სიყვარულის მტკიცებას. ალეკოსა და ანას ურთიერთობა მლიქვნელობის, ფარისევლობისა და გარყვნილების აპოლოგიაა.

პიესის გმირთა შეხმატკბილებულ ერთობას არღვევს ღამეული სტუმარი — კლარა. კლარა არ არის მარტოსახლის მკვიდრი. იგი მეორე მოქმედებაში შემოჰყავს მწერალს. თავისი გამოჩენით უცნობ ქალს მრავალფეროვნება შემოაქვს თავყრილობაში. კლარა პათეტიკური ქადაგებებით პატიოსანი და უმწიკვლო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სულ მალე ბესირიონთან ერთად მრუშობის მორევში გადაეშვება და გარშემომყოფნიც დამშვიდდებიან, რადგან ბუნებრივია, რომ უზნეო საზოგადოებას აფორიაქებს სხვისი სისუფთავე.

ნაწარმოების პერსონაჟთაგან სრულიად განსაკუთრებულია ასი წლის დედაბრის, დოდონას სახე. ეს მოხუცი ქალი თითქოს ამოვარდნილია საერთო რიტმიდან. გრძნეული მისანივით წევს ტახტზე და თავისი ძილ-ღვიძილიანი დიალოგებით ნათლის მსუბუქი სხივი შემოაქვს ატოკებულ სივრცეში. მისი სტატიური უშფოთველობა, უჟამო სიმშვიდე, აგრერიგად რომ ერწყმის მისსავე ასაკს, ჰქმნის ერთიან მხატვრულ სახეს, რომლის იდუმალხედვა უპირველესად მოწმისა და დამსწრის ხედვა არის ყველა დროსა და ყველა სივრცეში. მოწმე ყველა დროისა, ამასთან, \იდუმალმხედიცაა. (მ. ცვეტაევა) დოდონა სულიერი სიმაღლისა და ზნეობრიობის განსახიერებაა. მის ბაგეთაგან ღვთაებრივი ჭეშმარიტება ისმის. ეს მხნე დედაბერი არ არის ჩართული მარტოსახლის მობინადრეთა ფუჭ მღელვარებაში, არ მონაწილეობს მათ ამაო ფუსფუსში, მაგრამ ყოველი ფრაზა დასტურია იმისა, რომ ყველაფერი რაც ხდება ირგვლივ, მის სულსა და გონებაშია პროეცირებული. დოდონა თემიდასავით პირუთვნელი და სამართლიანია შიში არ ეკარება მის სულს. სწორედ ამ პიროვნებაში განინაარსდა ადამიანური სრულფასოვნების იდეა. დოდონა ძილშიც ხედავს გარემომცველი საზოგადოების უნიათობას. ხედავს იმიტომ, რომ სხვათაგან გამორჩეულად სულის თვალებით იმზირება. კარგად იცის, საიდან იწყება პიროვნების დამდაბლება და განადგურება. როდესაც გარეუბანში გაზსადენი აფეთქდება, მარტოსახლში არნახული პანიკა ატყდება. ერთადერთი დოდონა შეინარჩუნებს სიმშვიდეს. თითქოს არც გამოერკვევა ძილ-ბურანიდან ისე ჩაერთვება ახალგაზრდების დიალოგში. „შიში, ბატონო, უპირველესად შიში შეიქმს თაყვანისმცემლებს. პირუტყვს ემსგავსება შიშატანილი კაცი. კერპებს დაეძებს დაფეთებული კაცის სული. ყველა ადამიანში პატარა ცეცხლთაყვანისმცემელი მაინც ბუდობს ბნელსა და ჩლუნგ კაცში ცეცხლი აღვიძებს ველურ ინსტინქტებს.. მხოლოდ შჯშს და ინსტინქტს ემონება კაცი მერე. არაფრად ჩააგდებს ადამიანურ ღირსებას. უცბად გამოეცლება ჩვეული რწმენა და საყრდენი. ულმობელ მოძალადედ გადაიქცევა. ცეცხლისა და ნგრევის ძალას სცემს თაყვანს მხოლოდ...“ ეს სიტყვები ყველაზე სრულად ახასიათებს მარტოსახლის მობინადრეთა სულიერი დეგრადაციის გზას.

ნაწარმოების სიუჟეტს კრავს ფინალური სცენა. ალმოდებული სახლიდან ისტერიულად გამორბიან მცხოვრებნი. აქ ხდება გაუთვალისწინებელი რამ. დოდონა მოგუგუნე სახლში გაუჩინარდება.,. მოსალოდნელი წერტილი თითქოს აქ უნდა დასმულიყო, მაგრამ მწერალი ბოლომდე ვერ იმეტებს საკუთარ გმირებს. ამოწვერილი მზის ოქროსფერი ტანიდან იმედივით გამოჩნდება დოდონა უკვე მზესთან ჭეშმარიტად წილნაყარი და ნაზიარები.

„გარეუბნის მარტოსახლში“ შექმნილი ექსტრემალური ვითარება დაუძლურებული საზოგადოების უნიათო ყოფის პირობითი გარემოა. ჯადოსნურ წრეში ჩაკეტილი ადამიანების მდგომარეობა გამოუვალია იმიტომ, რომ თავად არიან ძალაგამოცლილები და ლაჩრები. მარტოსახლის ნგრევა ლოგიკურია, რადგან აპოკალიფსური განკითხვის ჟამია დამდგარი. ამაოებათა თავშესაფარი ცეცხლში ინთქმება და ბიბლიური სოდომის მსგავსად, არარაობის წყვდიადს უერთდება. პიესის ტრაგიკული ბოლო ფინალურ სცენაში განიმუხტება, რადგან გამოჩნდება ადამიანი, რომელიც შემწედ მოევლინება მარტოსახლის მკვიდრთ. დოდონა თითქოს ფენიქსივით აღდგება ფერფლიდან და მზის ტანიდან დაენახვება სამყაროს. ყველანი მისკენ მიისწრაფვიან. თითოეულს მზესთან სიახლოვის სურვილი გაუჩნდება. „უხამსისაგან“ განსხვავებით, ამ ადამიანებში კვლავ არსებობს ნათლის სხივი. ის სხივი, რომელიც მშობლიური მზისკენ მიისწრაფვის.

მზის სიმბოლიკას ქართულში ღრმა მითოლოგიური ძირები აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ქრისტიანულმა კულტურამ მითოსური მზის სიმბოლიკა თავისებურად გააშინაარსა და სარწმუნოებრივი მოქცევის მისტერია „მონათვლას“ დაუკავშირა, რაც ადამიანში სულიერი ნათლის შემოტანას გულისხმობდა. (რ. სირაძე). ამდენად, მზესთან წილნაყარობა უმაღლეს სულიერებასთან ზიარებას ნიშნავდა. ჩვენი აზრით, ვლადიმერ სიხარულიძის ნაწარმოებში ამ შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია მზის ხატი. მზის ტანისაკენ მიმავალი ადამიანები კი სულიერი განწმენდისა და ღვთაებრივ ნათელთან ზიარებისაკენ მიისწრაფვიან.

ადრეულ მოთხრობებთან შედარებით, „გარეუბნის მარტოსახლში“ იმედიანი განწყობილება სჭარბობს. თუ ქრონოლოგიას გავითვალისწინებთ, საეჭვოა, რომ ოპტიმისტური შემართების საფუძველი მწერალმა თავისი დროის რეალობაში იპოვა. უფრო მართებულად გვიჩვენა ის აზრი, რომ იმედის შუქი თავის თავში იპოვა ავტორმა დიდი სულიერი ტანჯვის შემდეგ. დიდ ტკივილს ხომ დიდი ამაღლება მოჰყვება.

პიესის ლიტერატურულ-მხატვრული დახასიათება სრულფასოვანი არ იქნება, თუ არ აღვნიშნავთ მწერლის რაფინირებული, დახვეწილი წერის მანერას, ლაკონიური, სხარტი დიალოგების დინამიურობასა და რიტმულობას. პიესის დედა-აზრი შენივთებულია გამოხატვის ავტორისეულ სტილთან და ერთ განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს.

ვლადიმერ სიხარულიძის ნაწარმოებთა შორის, როგორც თემატიკის, ასევე მხატვრული სტილის მიხედვით, სრულიად განსხვავებულია პიესა „ოიდიპოსი“. „ოიდიპოსს“ საფუძვლად დაედო ცნობილი ძველბერძნული მითი ოიდიპოსის შესახებ. ოიდიპოსის თემაზე დაწერილი პირველი მხატვრული ნაწარმოები ძველი წელთაღრიცხვითაა დათარიღებული. მხედველობაში გვაქვს სოფოკლეს უკვდავი ტრაგედია. მას შემდეგ ამ თემატიკისთვის არაერთხელ მიუმართავთ მსოფლიოს გამოჩენილ მწერლებს. ვლადიმერ სიხარულიძის პიესაც ამ კლასიკური თემის თავისებური ინტერპრეტაციაა.

მოქმედება იწყება ოიდიპოსისა და ეზეკიას დიალოგით. მეფის მწუხარება ზღვარმიუცემელია. სენმოდებული სოფელი ცეცხლით უნდა მოიკვეთოს, რადგან ღმერთები წაწყმედით ემუქრებიან ოიდიპოსის მთელ საბრძანებელს. ქვეყნის სასიკეთოდ ზეცა სოფელს ითხოვს მსხვერპლად. ეზეკიასა და ოიდიპოსის საუბრის შინაარსი ზუსტად შეესაბამება ძუნწ, არამჭევრმეტყველურ ფრაზებს. ხანგრძლივი, მეტყველი პაუზებით ავტორი ადეკვატურ ფორმას უძებნის პერსონაჟთა ტრაგიკულ განწყობილებას. ნაწარმოები არ ვითარდება მხოლოდ ერთი სიუჟეტური ხაზით. ოიდიპოსისა და მისი ერთგული თანამოაზრეების მოქმედებათა განვითარების პარალელურად, თან სდევს აბიუდისა და კრეონის შურისმაძიებლურ ქმედებათა მთელი ჯაჭვი. ამ ორ, ურთიერთდაპირისპირებულ მხარეთა თანხვედრა ხდება პიესის დასასრულს, იმ კულმინაციურ წერტილში, როდესაც გამომზეურდება ოიდიპოსის საიდუმლოებით მოცული წარსული და იხსნება სიუჟეტური კვანძი. მანამდე კი, ოიდიპოსისა და გრძნეული მისნის, ტირესიას შეხვედრაა. საკუთარ პატიოსნებაში დარწმუნებული ოიდიპოსი მოითხოვს დაადასტუროს ტირესიამ ძლევამოსილი მეფის უმწიკვლობა და შეურყვნელობა. მისანი დუმილს ამჯობინებს. ყოვლისმხედმა და ყოვლისგანმჭვრეტმა იცის, რომ ღმერთებმა უკვე განუჩინეს ხელმწიფეს ბედისწერა და საუკუნო ტანჯვისთვის გაიმეტეს. ოიდიპოსი ხავსივით ეჭიდება ტირესიას, თხოვს, გამოუტყდეს სიმართლეში. ახელებს მისი მდუმარება. „მართალი სიტყვით ასარგებლებ, გრძნეულო ქვეყანას... ღვთის წინაშე ვალდებულნი ვართ ვილწოდეთ ქვეყნის სასიკეთოდ... ყოველივე ვიღონეთ, ჭირის მოსასპობად უცოდველი სოფელიც კი გავწირეთ, მაგრამ სხვაგანაც აღმოჩნდა ორი სნეული, მოხუცო... კვლავ აირია მთელი სამეფო, ღვთისა და ხელმწიფის მოშიში ხალხი კვლავ იქცა ავისქმნელ ბრბოდ. ღვთის ნაცვლად ისევ შიშს ემონა ხალხი და შიშთან ერთად ბილწ ჭორსაც დაემონენ უგუნურები, ტირესია. „ოიდიპოსმა მოკლა მეფე ლაიოსი, მკვლელის გამეფებისთვის ზეცა ხალხს ჭირით სჯისო...“ კვლავაც ვიღონებთ ყველაფერს — ხალხსაც დავამშვიდებ და სენსაც მოვსპობ, ოღონდაც ბინძური ჭორი მომაცილე,

 

გრძნეულო მოხუცო...“ ბრმა ტირესია ვერ ანუგეშებს დაზაფრულ მეფეს. ოიდიპოსის რისხვას გრძნეული სიმშვიდით ეგებება და გულში იმარხავს უნუგეშო საიდუმლოს. ტირესია ღვთის ნებას დამორჩილებული მისანია. მხოლოდ უფლის შთაგონებით ამცნობს ქვეყანას ზეციურ საიდუმლოს. იგი მეფის ერთგულია. იცის, რომ ოიდიპოსის „მაღალი სამსჯავრო სიკეთეს ჰქდავდა მუდამ“. ებრალება უცოდველი ხელმწიფე, მაგრამ არ ძალუძს დაუპირისპირდეს ბრბოს მიერ ატაცებულ ჭორებს, არ შეუძლია წინ აღუდგეს კრეონისა და აბიუდის ბოროტგანზრახვას. შეზღუდულია ნება მისნისა, რადგან თვალდაშრეტილი ტირესია ყველაზე უკეთ ხედავს ოიდიპოსის ტრაგიზმის პარადოქსს — არავინ შობილა ქვეყნად მისებრ ცოდვილი და უცოდველი.

მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის შედევრი, სოფოკლეს „ოიდიპოსი“ ცოტა რამეს თუ გვეუბნება იოკასტეს შესახებ, დედოფლის პიროვნება მეორე პლანზეა, მიუხედავად იმისა, რომ იოკასტეს წილი ტრაგედია არანაკლებია ოიდიპოსისა. თანამედროვე ავტორი „ოიდიპოსში“ იოკასტეს ფიგურას უფრო დიდ ყურადღებას უთმობს და წარმოადგენს სათნო, გონიერებით გასხივოსნებულ ქალბატონს, რომელსაც უმძიმესი ხვედრი არგუნა ბედისწერამ — ყოფილიყო ერთდროულად დედა და ცოლი საკუთარი შვილისა. იოკასტე მეფის ერთგული მეუღლეა. ლმობიერი და გულმოწყალეა წონასწორობადაკარგული ოიდიპოსის მიმართ. ბუნებით აუმღვრეველი დედოფალი მხოლოდ მაშინაა დაუნდობელი, როცა ხელმწიფის ქვეშევრდომთა ორგულობას შენიშნავს. იოკასტე ოიდიპოსის გამოჩენამდეც ტრაგიკული გმირია. იგი ფარულად დაატარებს უზარმაზარ ტკივილს. არ სურს დაამძიმოს მეფის სული თავისი ტვირთით და არაფერს ეუბნება საკუთარი შვილის უცხედრო საფლავის შესახებ (მკითხველს შევახსენებთ, რომ ნაწარმოების მიხედვით, მეფე ლაიოსი თავის შვილს მწყემს იონას მისცემს მოსაკლავად. ქვეყანას ამცნობს, რომ ჩვილი გარდაიცვალა და იოკატეს უბრძანებს ცრუ საფლავზე დაღვაროს ცრემლი). დედოფალი მზად არის, ყველა ამქვეყნიური დიდება დათმოს, ოღონდ ოიდიპოსის სახელი დარჩეს შეურყვნელი. ნაწარმოების ფინალში თავზარდაცემული იოკასტე სასახლის ბანიდან გადმოეშვება თავისი ორი ბალღით და ცოდვიან სხეულს სამუდამოდ განაშორებს ქვეყნიურ არსებობას.

ცნობილია, რომ ანტიკური ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნება ეფუძნება იდეალურის მატერიალურ-გრძნობად სინამდვილეში ძიებისა და განსახოვნების პრინციპს. ამგვარი მიმართება და დამოკიდებულება განსაზღვრულია ძველბერძნულ სამყაროში ერთმნიშვნელოვნად აღიარებული ფორმულით — „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“. სამყაროს მისტიკური წესრიგის შემეცნება ამ აქსიომატური ფრაზით განუყოფელი იყო მეორე განსაზღვრებისაგან, რომლის მიხედვითაც ადამიანის ბედისწერას ღმერთები განაწესებენ და იგი უძლურია წინ აღუდგეს მათ ნებას. (ქრისტიანული მსოფლგაგებისაგან განსხვავებით, რომელიც იცავს პიროვნების ნების, არჩევანის თავისუფლებას). რადგან ადამიანის სულიერი და ხორციელი საწყისები მორიგებული და ჰარმონიულია (უკვე აღნიშნული ფორმულის თანახმად), კონფლიქტი შესაძლებელი და წარმოსადგენია მხოლოდ უზენაეს გამგებლებთან, ე. ი. ღმერთებთან. ამდენად, ადამიანი ეჭიდება არა საკუთარ „მეს“, არამედ იმას, ვინც არღვევს „მეს“ მთლიანობასა და სიმეტრიას. მკითხველისათვის კარგად ნაცნობი განსაზღვრებები გავიხსენეთ ერთი მიზეზით. გვსურდა შეგვედარებინა ერთმანეთისთვის ოიდიპოსის მითის უძველესი და თანამედროვე ინტერპრეტაციები. სოფოკლეს განსახოვნებული ოიდიპოსის პორტრეტს, ბუნებრივია, ანტიკური ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები უდევს საფუძვლად და უმთავრესად ავტორი მითოლოგიური გმირისა და ბედისწერის გარეგნულ დაპირისპირებაზე აკეთებს აქცენტს. ცხადია, ოიდიპოსის გადაწყვეტილება ნათელყოფაა მისი სულიერი დრამისა, მაგრამ იმავე ძველბერძნული მსოფლვაგების თანახმად, რომელიც არ ცნობს და არ ასახავს ადამიანის სულში მარადიულად არსებული ბრძოლის, წინააღმდეგობის სიმძაფრეს, აუხსნელი და შეუქმნელია ოიდიპოსის სულის „თავგადასავალი“. სოფოკლეს არ დაუხატავს იმ ეკლიანი გზის ლაბირინთები, რომლითაც მიდის გვირგვინოსანი ხელმწიფე თვითგანადგურებისაკენ. ევოლუცია სულიერი სიკვდილისა ანტიკური მხატვრული სამყაროსთვის გაუგებარი დარჩა.

ახლებური გააზრება ოიდიპოსის ფენომენისა, რასაკვირველია, დროისა და ესთეტიკური პრინციპების კორექტივებსაც გულისხმობდა. ვლადიმერ სიხარულიძის ოიდიპოსი, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა განწირული ადამიანის შინაგანი ბრძოლის, ვნების, სინანულის განფენილობით. ნაწარმოების გმირი სულშეძრული, რწმენაშერყეული პიროვნებაა, ეჭვი ეპარება სამყაროს ღვთაებრივ წესრიგსა და ადამიანთა კეთილგონიერებაში „როდესაც გვირგვინს მადგამდით ხელმწიფისას, აღფრთოვანება მახსოვს პირუთვნელი მთელი ხალხისა... იგივ ხალხი ჩემზე შეთხზულ უტიფარ ჭორს ახლა განძივით ეტანება. მე ვარ ულირსი, თუ ბრბოა ბიწიერი, აბაია?“ ოიდიპოსი ჭეშმარიტების მაძიებელი სახეა. ადამიანი, რომელიც მთე-

ლი თავისი შეგნებით ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ მიისწრაფოდა და სიკეთეს ამკვიდრებდა თანამოძმეთა შორის, ზეცისგან განწირული აღმოჩნდა. სწორედ მას შეხვდა უმძიმესი განსაცდელი, ვისაც ყველაზე ნაკლებ მოეკითხებოდა ადამიანური სიმდაბლეები. მნიშვნელოვანწილად ეს კანონზომიერიც იყო. რადგან სულით ძლიერს დაეძებს მუდამ განსაცდელი. ოიდიპოსის ტრაგედია უსაზღვროა, რადგან საკუთარი ცოდვების გამო არ იხჯება. მისი უბედურების მიზეზი წინაპართა ცოდვებია. მეფეს არგუნა წილად განგებამ მამა-პაპათა უმძიმესი ტვირთი ეტარებია. „წინაპართა ცოდვებსაც ვისყიდით ჩვენივე ცოდვებთან. — ეუბნება ტირესია დაშრეტილ ოიდიპოსს — ეგ საწუთრო ვერ განვლეს უგუნურებმა ღირსეულად. ცოდვის შვილები ბიწიერებით, ხერგავენ შთამომავალთა სავალსაც რადგან სიხარბე მიუძღვით მეგზურად მუდამ, რადგან ანგარების შუღლში ხლართავენ წამიერ ცხოვრებას, რადგან ათას ჭეშმარიტებას დაეძებენ ამქვეყნად ერთის ნაცვლად, რადგან სული და გონება დაეხშოთ მიწიერ ვნებათაგან. ველარ განიცდიან ულირსნი მადლს სულის სიწმინდისას. მიდიან ამა სოფლიდან და მათგან შერყვნილი სოფელი ცოდვებში ითრევს შთამომავალთაც". ოიდიპოსში გაპიროვნდა სამყაროს ძე—შეცთომილთა შთამომავლობის ტრაგიკული ხვედრი. ის აგებს პასუხს უფლის წინაშე კაცობრიობის მარადიული შეცოდებების გამო. ოიდიპოსის დიდ ტანჯვას დიდი სულიერი აღზევება მოჰყვება. წამებული ხელმწიფება ტანჯვის გზით მოიპოვებს საკუთარ სულს. ბრმა ტირესია უფლის მოციქულთა მსგავსად გაუძღვება თვალმოლამებულ ოიდიპოსს მარადიულ ნათლისაკენ.

ვლადიმერ სიხარულიძემ თავის მოთხრობაში განსხვავებულად წარმოაჩინა მითოლოგიური გმირი. ჩვენი აზრით, თანამედროვე ავტორის უმთავრესი სიახლე ოიდიპოსის ქრისტიანიზაციაა. პიროვნების დაცემისა და სულიერი ამაღლების მისტერია ქრისტიანული შემეცნების სფეროში გადაიტანა მწერალმა და ამით ოიდიპოსის ფენომენის ქრისტიანული გაგება შემოგვთავაზა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ არ გვაქვს ვლადიმერ სიხარულიძის შემოქმედების სრულყოფილი და საბოლოო შეფასების პრეტენზია. მთავარი სიტყვა, ალბათ, წინაა... ერთი რამ კი შეიძლება ითქვას: ვლადიმერ სიხარულიძის შემოქმედება ძალიან ღრმა და საინტერესოა, მისი მხატვრული სამყარო გამსჭვალულია კეთილისა და ბოროტის, სინათლისა და სიბნელის, უხამსობისა და სათნოების მარადიული თანაარსებობით. ამ დაუსრულებელი წინააღმდეგობის დაძლევა და ქრისტიანული ამაღლება ქმნის ვლადიმერ სიხარულიძის მსოფლმხედველობის ძირითად პრინციპს.

ვლადიმერ სიხარულიძე ჩვენს სინამდვილეში ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგანი იყო, ვინც მთელი თავისი მაღალსულიერი ცხოვრება და მხატვრული შემოქმედება ადამიანის სულის გადარჩენას შესწირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინა ჩხარტიშვილი

# სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ თარიღისა და ატრიბუციისათვის

„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ“ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონნისი“ — ესაა თხზულება თვალსაჩინო ქართველი საეკლესიო მოღვაწის, სამცხეში სამონასტრო კოლონიზაციის მესვეურის, ზარზმის სავანის დამაარსებლის შესახებ.

აღნიშნული ჰაგიობიოგრაფია სპეციალისტებისათვის ცნობილი გახდა XX ს. დამდეგს. მისი აღმომჩენი და პირველი მკვლევარი იყო მოსე ჯანაშვილი, რომელმაც ძეგლი თავისი „ქართული მწერლობის“ მეორე წიგნში დასტამბა 1909 წელს. ამ დროიდან მოყოლებული ქართველოლოგთა ინტერესი „ცხოვრებისადმი“ არ განელებულა. გაკვრით თუ საგანგებოდ მას შეეხნენ ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი. პ. პეეტერსი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, გ. ჩუბინაშვილი.

ძეგლს სათანადო ყურადღებით ეკიდებიან თანამედროვე სპეციალისტებიც. ვ. ბერიძემ მსჯელობა თხზულების ტექსტის ისტორიის შესახებ ზარზმის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის კონტექსტში ჩართო, ნ. გოგუაძემ იგი ენობრივი მონაცემების თვალსაზრისით განიხილა, ნ. ვაჩნაძემ დასახელებული ჰაგიოგრაფიული ქმნილების კომპლექსურ წყაროთმცოდნეობით კვლევას მონოგრაფია უძღვნა. აღნიშვნის ღირსია ა. ბოგვერაძის წერილები თხზულების დათარიღებასთან დაკავშირებით.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“, რომელმაც ჩვენამდე ერთადერთი გვიანდელი დეფექტური ნუსხით მოაღწია, გამოცემულია კრიტიკულად, თარგმნილია ლათინურ და რუსულ ენებზე.[1]

ამგვარად, სერაპიონ ზარზმელის ღვაწლის ამსახველი ჰაგიოგრაფიული ქმნილების მეცნიერული შესწავლის ისტორია ფაქტებით მწირი სრულებითაც არაა. მაგრამ როგორც ამ ისტორიის ახლო გაცნობა გვარწმუნებს, ძიებები აუცილებელია გაგრძელდეს: პრობლემები ყოველთვის სათანადო სიცხადით როდია ჩამოყალიბებული, არცთუ იშვიათად მიღებულ დანასკვნთაც აკლიათ სიზუსტე. აღნიშნულის შედეგია, რომ ფაქტობრივად დღემდე სადავოა თხზულების წარმოშობის ეპოქა, ბოლომდე გარკვეული არაა ჩვენს ხელთ არსებული მეტაფრასული რედაქციის მიმართება კიმენურ ტექსტთან, არც „ცხოვრების“, როგორც ისტორიული წყაროს, ინფორმაციული შესაძლებლობებია გამოვლენილი სრულად. მითითებულ გარემოებათა მიზეზით ჩვენ ვუბრუნდებით ქართველოლოგიაში უკვე არაერთხელ განხილული და მრავალი კუთხით შესწავლილი ჰაგიობიოგრაფიის კვლევას.

ნაშრომი ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველ ნაწილში მკითხველი გაეცნობა თხზულების დათარიღებასთან დაკავშირებული ჩვენი ძიებების შედეგებს. მომდევნო წერილში კი „ცხოვრების“ ატრიბუციისა და მოღწეული მეტაფრასული რედაქციის მიხედვით კიმენური ტექსტის რეკონსტრუქციის ცდაა მოცემული.

## I. „სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს“

ჰაგიოგრაფიის, როგორც მასობრივი ლიტერატურის, უმთავრესი ფუნქცია აღმზრდელობითია. ამასთან, ჰაგიოგრაფია არა განყენებული დიდაქტიკა, იგი წარმოაჩენს კონკრეტულ ფაქტებს, ჰაგიოგრაფია მოძღვრავს მაგალითით, ჰაგიოგრაფია მწერლობაა სამაგალითო ცხოვრებაზე. მაგრამ შუა საუკუნეებში, როცა ყალიბდება აღნიშნული ჟანრი, მაგალითის ძალა ჰქონდა მარტოოდენ ისტორიულად ნამდვილ („უტყუველ“) ამბავს. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ჰაგიოგრაფიულ სიუჟეტს სივრცით კოორდინატთან ერთად ჩვეულებრივ აქვს დროითი კოორდინატიც. ჰაგიოგრაფიული ქრონოტოპი განსაზღვრულია.

ჟანრის არსებით განპირობებულ ამ წესიდან გამონაკლისს არც ქართული ჰაგიოგრაფია წარმოადგენს. საქართველოს ეკლესიის წმინდანთა

„ცხოვრება“—„მარტვილობებში“ სათანადო თარიღები ზოგჯერ პირდაპირ არის მითითებული, ზოგჯერ კი ირიბად, სპეციალური „ათვლის წერტილის“ მეშვეობით. ამოსავალ ფაქტებად გამოიყენებიან საყოველთაოდ ცნობილი[2] მოვლენები: ძლევამოსილ მეფეთა ტახტზე ასვლა, მხოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა, ღვაწლმოსილი ქრისტიანის ცხოვრების ღირსახსოვარი მომენტი და ა. შ.

„ათვლის წერტილს“ ხშირად ჰაგიოგრაფიული ქმნილების დასაწყისშივე ვაწყდებით. ასეა ეს, მაგალითად, „ნინოს ცხოვრების“ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილი ვრცელ რედაქციაში („იყო მათ ჟამთა ოდენ გიორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტჱსთჳს, მათ დღეთა კაბადუკიაჲთ ქალაქით კაცი ვინმე მთავართა შესაბამი, მონაჲ ღმრთისაჲ, წარვიდა ჰრომედ“), „შუშანიკის წამებასა“ („და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი. იყო მერვესა წელსა მიერ სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში“) თუ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ („წელსა მეათესა ხუასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზაპნობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი ხპარსეთით“). თუმც ქრონოლოგიური ორიენტირის გამოჩენა სავსებით მოსალოდნელია ტექსტის შუაშიც, როგორც ეს გვაქვს შიო მღვიმელის მეტაფრასულ „ცხოვრებაში“ („ამათ ჟამთა შინა აღსრულ იყო დიდი მნათობი სჳმეონ საკჳრველთმოქმედი მ...ასა საკჳრველისა, გარნა არა და სუეტსა ზედა, არამედ თორნესა შინა მჯდომარე იყო. და ნეტარმან იოანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი და ლოცვაჲ მისი მოიღეს, და ესრეთ წარემართნეს გზასა, ქართლად მიმყვანებელსა“).

ტექსტში „ათვლის წერტილის“ არსებობა წყაროთმცოდნეობითი ძიებებისათჳის უაღრესად სასიკეთოა. საქმე ისაა, რომ ჰაგიოგრაფები საჭიროდ მიიჩნევენ პირდაპირ გვითხრან ან მიგვანიშნონ იმ ქრონოლოგიურ დისტანციაზე, რომელიც თხზულებაში აღწერილ და ავტორის თანამედროვე ეპოქათა შორის გაჭიმულა. ამგვარად, ჰაგიოგრაფიულ სიუჟეტზე ქრონოლოგიური ბადის დადებისათვის გამიზნული „ათვლის წერტილები“ ფაქტობრივად ძეგლის შექმნის მათარიღებელ ორიენტირებადაც გვევლინებიან.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებასაც“ მოეპოვება ამგვარი „ათვლის წერტილი“. ესაა ქართლში სირიიდან მოსულ მისიონერთა („ასურელ მამათა“) მოღვაწეობის ხანა. თხზულებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ სერაპიონი ერთ-ერთი ასურელ მამათაგანის შიო მღვიმელის მოწაფის მიქაელის აღზრდილი იყო. ასურელი მამები VI ს. შუა ხანებში, მეორე ნახევარში არიან ქართლში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ვიფიქროთ: სერაპიონი VI ს. დამლევის, უფრო კი VII ს. I ნახევრის მოღვაწეა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სერაპიონზე თავდაპირველი თხზულების შემქმნელად მისივე ძმისწული ბასილი იხსნიება, აშკარაა: „ცხოვრების“ წყაროთმცოდნეობით შესწავლასთან დაკავშირებულ პრობლემათა დიდი ნაწილი არსებითად გადაწყვეტილია. და რაოდენ უცნაურია ასეთ სიტუაციაში ის, რომ სპეციალისტთა შორის არც ქმნილებაში ასახული ეპოქის, არც ძეგლის დათარიღების საკითხში ერთიანი აზრი არ არის. VII—X სს—აი, ის ფართო დიაპაზონი, რომელშიც ივარაუდება განსახილველი თხზულების შექმნა. რით არის აღნიშნული ვითარება გამოწვეული?

საქმე ისაა, რომ სპეციალისტთა ერთი ნაწილი საერთოდ არ უწევს ანგარიშს თხზულებაში არსებულ ქრონოლოგიურ ორიენტირს. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი „ცხოვრების“ შესახებ „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ წარმოდგენილ გამოკვლევას იწყებს ჩვენთვის საინტერესო ქმნილებაში მოხსენიებულ პირთა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პერსონაჟებთან იდენტიფიკაციის ცდით. ჩვენ არ ვისაუბრებით იმაზე, თუ რამდენად წარმატებულია ეს ცდა. მთავარი ამჯერად ისაა, რომ თავიდანვე უპირობოდ ისმის პრობლემა, იძებნება ნიადაგი ,რათა გრიგოლ ხანძთელის (VIII ს. შუა ხანები—IX ს. შუა ხანები) თანამედროვენი გაიგივებულ იქნან სერაპიონ ზარზმელის თანამედროვეებთან. მეცნიერი რომ ზემოხსენებულ მათარიღებელ ცნობას ანგარიშს უწევდეს, ცხადია, ამგვარი საკითხი მის წინაშე არც კი წამოიჭრებოდა. მოხსენებული გამოკვლევის დასკვნაში ვკითხულობთ: „სერაპიონის „ცხოვრების“ დიდ ნაკლად უნდა უთარიღობა ჩაითვალოს. ბასილ ზარზმელს თავის თხზულებაში ერთგანაც არა აქვს მოყვანილი თარიღი. იგი იმასაც კი არ ამბობს, თუ როდის დაიბადა, და ან როდის გარდაიცვალა სერაპიონი, მაგრამ მას აღნიშნული აქვს, რომ სერაპიონი მიქელის მოწაფედ ითვლებოდა, მის „დასსა მოწაფეთასა“ „თანაალრაცხილ“-ი ყოფილა. ეს ის მიქელი იყო თურმე, რომელმაც „აღაშენა... ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა აღ...ილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან. სწორედ ეს მიქელია მოხსენებული გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“.[3]

მეცნიერი, როგორც ცოტა ქვემოთ მოტანილ ციტატშიც ვნახავთ, უტრიალებს ტექსტის სწორედ იმ ადგილს, სადაც ქრონოლოგიური ორიენტირია მოცემული, მაგრამ ყოველგვარი განმარტების გარეშე დუმილით უვლის მას გვერდს.

ჩვენთვის საინტერესო ცნობას იმ საბაბით, რომ ზეპირსიტყვიერი წყაროდან მომდინარედ მიაჩნია, ანგარიშს არ უწევს კ. კეკელიძეც. ამასთან მკვლევარს ეს ადგილი დამახინჯებული ჰგონია, მისი აზრით, შიოს მაგიერ ტექსტში გრიგოლ ხანძთელი უნდა იყოს.[4]

სერაპიონ ზარზმელი „ცხოვრებაში“ მოცემული „ათვლის წერტილისადმი“ სკეპტიკური დამოკიდებულება შეინიშნება ზოგი თანამედროვე სპეციალისტის ნაშრომშიც. მაგალითად, ნ. ვაჩნაძის აზრით, ეს ცნობა ანაქრონისტულია, არა უტყუარი ინფორმაციის, არამედ შემთხვევით განაგონის (?) შემცველია. ამის გამო კი „მთავარი სიძნელე ძეგლის შესწავლაში მისი უთარიღობაა“.[5]

რა თქმა უნდა მართებული არაა ნებისმიერად შევცვალოთ ტექსტი და ერთი სახელის მაგიერ, ჩვენი მოსაზრებების შესაბამისად, იქ ვიგულისხმოთ მეორე ,ან ხელაღებით უარვყოთ) ინფორმაცია იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი შემთხვევით განაგონი ფოლკლორული წყაროდან მოდის. წყაროთა კლასიფიკაციის სიბრტყეზე როდი წყდება წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის პრობლემები. წყაროს სახეობასა და მის სანდოობას შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება არ არსებობს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ხომ ყოველგვარი წყაროთმცოდნეობითი კვლევა დიდი ხნის დასრულებული იქნებოდა.

ამასთან მეცნიერული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წერილობით წყაროებთან შედარებით ზეპირსიტყვიერი წყაროები ხშირად ნაკლები სიზუსტით ხასიათდებიან. აღნიშნულის გათვალისწინებით მკვლევართა გადაჭარბებული სიფრთხილე, გნებავთ სკეპსისი, გადმოცემით მოღწეული ცნობისადმი შეიძლება რამდენადმე გასაგებიც კი იყოს. მაგრამ ირკვევა: ინფორმაცია სერაპიონის აღმზრდელ მიქაელის შიო მღვიმელის მოწაფეობის შესახებ მომდინარეობს არა ფოლკლორული, არამედ წერილობითი ავთენტური წყაროდან, აზრი მისი ზეპირსიტყვიერი წარმომავლობის შესახებ ტექსტის არასწორი გაგების შედეგია. ნათქვამი რომ ცხადი გახდეს, მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს თხზულებიდან:

„არამედ აწ ჴერ-არს ჩუენდა, რაჲთა დიდთა მათთჳს უდაბნოთა და მონასტერთა მოვიჴსენოთ, თუ ვინაჲ იქმნა შენებაჲ მათი, ანუ ვინ იყვნეს მაშენებელნი იგი, პირველად სული იგი და მადლი საღმრთოჲ, და მერმე — მის მიერ აღძრულნი წმიდანი იგი მამანი. რამეთუ აღეშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი. ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღმრთოჲთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ ადგილსა კლდოვნასა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა; რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოჲსი საკჳრველთმოქმედისაჲ, რომელი ვითარცა მთიები განთიადისაჲ ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა. ამის ნეტარისა მიქაელის მიმართ წარემართა ყოლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანაჰყვა ძმაჲ მცირე ჲასაკით, რამეთუ ვითარცა მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, შეჰვედრა თავი თჳსი... და ამან ყოლად განთქმულმან და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქაელ აღზარდნა და სრულებად სათნოებასა აღიყვანა იგინი, ვინაჲცა ხედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა და ნიშთა და სასწაულთა დიდთა მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა“.[6]

დავუკვირდეთ ჩვენ მიერ პირველად ხაზგასმულ ადგილს. როგორც ვხედავთ, გამომცემელთ ეს წინადადება გადაუბამთ მომდევნოსათვის, რაზეც სიტყვების „ჩუენდა“ და „რამეთუ“-ს შორის დასმული მძიმე მეტყველებს. ამ შემთხვევაში ისინი ტექსტის ტრადიციული წაკითხვიდან ამოდიან.[7] მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტეტთა სახელით განმტკიცებული ტრადიციის ინერცია ძლიერია, ვიმედოვნებთ დაგვეთანხმება ძველი ქართული ენის ყველა მცოდნე, რომ ამგვარი პუნქტუაციით უხერხული, არაქართული ფრაზა გამოდის. ამ უსიამოდ ჩახვეულ წინადადებას თავიდან ავცილებს და სავსებით ბუნებრივიც იქნება, თუ „ჩუენდა“ და „რამეთუ“ სიტყვებს შორის კავშირს წერტილით (შესაძლოა, აბზაცითაც) გავწყვეტთ. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოგვაქვს იგივე ტექსტი პუნქტუაციაში ჩვენეული კორექტივებით:

„არამედ აწ ჴერ-არს ჩუენდა, რაჲთა დიდთა მათთჳს უდაბნოთა და მონასტერთა მოვიჴსენოთ, თუ ვინაჲ იქმნა შენებაჲ მათი, ანუ ვინ იყვნეს მაშენებელნი იგი. პირველად — სული იგი და მადლი საღმრთოჲ და მერმე — მის მიერ აღძრულნი წმიდანი იგი მამანი. რამეთუ აღაშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღმრთოჲთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ ადგილსა კლდოვანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათ მიერ მოვალს ჩუენდა.

რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და-

დიდთაჲ (რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოჲსი საკჳრველთმოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისაჲ, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა) ამისა ნეტარისა მიქაელის მიმართ წარემართა ყოლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანა-ჰყვა ძმაჲ მცირე ჰასაკითა... და ამან ყოლად განთქუმულმან და დიდთა ნიშთა მოქმედმან აღზარდნა და სრულებად სათნოებასა აღიყვანა იგინი, ვინაჲცა ხედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთ'ა სწავლათა და ნიშთა და სასწაულთა დიდთა მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა".8

პუნქტუაციის ამგვარი, ტექსტის ლოგიკური და გრამატიკული გამართვის მიზნით ნაკარნახევი, ცვლილება სავსებით სხვა კუთხით წარმოაჩენს მოტანილ ციტატს. აშკარად ვხედავთ, რომ თხზულების საანალიზო ადგილი მკაფიოდ იყოფა ორ მონაკვეთად: ტექსტი პირველი წყაროს („მამათა სიტყუა") მითითებამდე და ტექსტი მეორე წყაროს (მიქაელ პარეხელის „ცხოვრება") მითითებამდე. ჩვენთვის საინტერესო ცნობა მეორე მონაკვეთში თავსდება. ე. ი. ის მომდინარეობს არა ზეპირსიტყვიერი გადმოცემიდან, არამედ ავთენტური (მიქაელის „ცხოვრება" მისი მოწაფეების აღწერილი ყოფილა!) წერილობითი წყაროდან. ეს ნათელია. ამასთან იმდენად მარტივი, რომ დაეჭვების კითხვა შეიძლება კიდეც გაჩნდეს: როგორ მოხდა, რომ უკლებლივ ყველა მკვლევრისათვის (მათ შორის, იმათთვისაც, ვინც „ცხოვრებაში" არსებული ქრონოლოგიური ორიენტირისადმი სკეპტიკურად არ იყო განწყობილი) შეუმჩნეველი დარჩა ამ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის ავთენტური წყაროდან მომდინარეობს ფაქტი? ხომ არ ვცდებით? არა, არ ვცდებით. სპეციალისტთა ამგვარ „შეთანხმებულ" დაუდევრობას აღნიშნული გარემოებისადმი კვებავს სხვა შეცდომა ტექსტის ინტერპრეტაციაში. სწორედ იგი იქცევა ამ კოლექტიური ცდომილების ჭეშმარიტ იმპულსად. დაეჭვების კითხვისაგან განთავისუფლებლად აუცილებელია ამ ცდომილების მიზეზის განმარტება. ამისათვის მოგვიწევს კვლავ ჩავხედოთ ციტირებულ ადგილს.

პირველი მონაკვეთის ბოლოს წინა წინადადებას („ხოლო ამისსა შემდომად მოვიდა მუნით") აკლია ქვემდებარე, აღნიშნული არაა თუ ვინ მოვიდა „მუნით". ამის შესახებ მიუთითებდა ჯერ კიდევ პ. პეეტერსი ძეგლის მისეული ლათინური თარგმანის შენიშვნაში. ამ ფაქტზე ყურადღებას ამახვილებს კ. კეკელიძეც მითითებულ თარგმანზე დაწერილ რეცენზიაში: „ვინ მოვიდა „ამისსა შემდგომად მუნით", ე. ი. ოპიზით და ვინ აღაშენა პარეხი? ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ჩანს აქ ბიოგრაფიას რაღაც უნდა აკლდეს". მაგრამ მოგვიანებით, ძეგლის გამოცემისას მკვლევარმა რაიმე დასაბუთების გარეშე დაკარგულ ქვემდებარედ აღადგინა „მიქაელი". ასევე ფიქრობდა როგორც ზემოთ მოტანილი ციტატით შევვძლო კიდეც დავრწმუნებულიყავი, ივ. ჯავახიშვილი. ასე წარმოედგინა საქმის ვითარება პ. ინგოროყვასაც. აღნიშნულ ფაქტში ეჭვი არ ეპარებათ არც ილ. აბულაძეს, არც ლ. მენაბდეს, არც ა. ბოგვერაძეს და ა. შ.

თუ კი მითითებული წინადადების დაკარგულ ქვემდებარედ მიქაელი უნდა ვიგულისხმოთ, მაშინ იძულებული ვართ ტექსტი ტრადიციული პუნქტუაციით წავიკითხოთ, რადგან ერთი და იმავე სუბიექტის მეშვეობით „მცირე ეგუტერის" მშენებლობის შესახებ წინადადება, მართლაც, მჭიდროდ უკავშირდება მომდევნო თხრობას. მაგრამ განა ასე უეჭველია დაკარგული ქვემდებარის ადგილას მიქაელის აღდგენა, რა საფუძველი არსებობს ოპიზიდან მოსული პარეხში პირველი შენობის დამფუძნებელ პიროვნებასა და შიო მღვიმელის მოწაფე მიქაელის იდენტიფიკაციისათვის? დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ: არავითარი! „მცირე ეგუტერის" მშენებლობა სრულიადაც ჯერ კიდევ დიდ აღმშენებლობაზე არ მიუთითებს, არც ოპიზიდან წამოსვლა მეტყველებს უსათუოდ შიო მღვიმელის მოწაფეობაზე. შიო მღვიმიდან რომ მოსულიყო „მცირე ეგუტერის" მშენებელი, მაშინ კიდევ იქნებოდა იგივეობის დასაბუთების ცდა როგორღაც გამართლებული.

ამგვარად, საფუძველი იდენტიფიკაციისათვის არ არსებობს, მაგრამ თუ მაინც ყოველგვარი საბაბის გარეშე მითითებულ წინადადებაში მიქაელის სახელს აღვადგენთ, აღმოვჩნდებით წარმოუდგენელი აბსურდის წინაშე: გამოვა, რომ მოწაფეთაგან აღწერილ მიქაელ პარეხელის „ცხოვრებაში" არაფერი იყო ნათქვამი მათი მოძღვრის პარეხში მოღვაწეობის დასაწყისის თაობაზე, ამ საკითხში ინფორმაციის მოპოვება შესაძლო ხდებოდა მხოლოდ სამონასტრო გადმოცემით! აღნიშნული „შებრკოლების ლოდი" მიგვითითებს, რომ განსახილველი წინადადების სუბიექტად მიქაელის მიჩნევა შეუძლებელია.

თუმც მკვლევრები სპეციალურად არ გახაზავენ (შესაძლოა, არც აცნობიერებენ), მაგრამ უეჭველია, რომ „მუნით მოსულ" პიროვნებად მიქაელის მიჩნევას განაპირობებს ტექსტის ამ მოკლე მონაკვეთში საგანგებო წარდგინების გარეშე ახალი სახელის გამოჩენის შეუძლებლობის შესახებ აზრი. ეს ბუნებრივია. მაგრამ რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მაინცდამაინც მანამდე უცნობი პირი იხსენიებოდა? ოპიზიდან პარეხს მოსული პიროვნება, სავარაუდოა,

ყოფილიყო ოპიზის დამაარსებელ ჩამოთვლილ ოთხ მამათაგან ერთ-ერთი. ამას გვაფიქრებინებს ავტორის მიერ პარეხში პირველი ნაგებობების შესახებ თხრობის დაკავშირება ოპიზაში სამონასტრო ცხოვრების დასაწყისზე საუბრისათვის.

ამგვარად, ვფიქრობთ ნათელია ტექსტის არასწორი ინტერპერატაციის გამომწვევ შეცდომათა არსი, ნათელია, რომ ციტირებული მონაკვეთის ჩვენეულ წაკითხვას რაიმე დაბრკოლება არ ელობება.

კიდევ ერთხელ გვინდა შევაჯამოთ: ცნობა სერაპიონის აღმზრდელი მიქაელის ასურელი მამების მოღვაწეობის ეპოქასთან კავშირის შესახებ მომდინარეობს ავთენტური წყაროდან, მის სისწორეში დასაეჭვებლად არავითარი საფუძველი არ არსებობს. აღნიშნული მონაცემიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ქმნილებაში წარმოდგენილი ისტორიული სურათის ქრონოლოგიური ლოკალიზაცია, თავად ძეგლის შექმნის ეპოქის განსაზღვრა.

მართალია არა ზემოთ მოტანილი მსჯელობების შედეგად, მაგრამ უყოყმანოდ მკვლევართა ერთი ნაწილი ჩვენამდეც სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ მოტანილ „ათვლის წერტილს“ ვარგისიანად მიიჩნევდა. ასე მაგალითად, მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე რაიმე განმარტების გარეშე, აღნიშნული ქრონოლოგიური ორიენტირის გათვალისწინებით აგებდნენ თავიანთ კონცეფციებს თხზულების თარიღის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის, მათი გავლენით კი ზოგი წარსული თუ თანამედროვე სპეციალისტის შრომებში, როგორც ითქვა, იკვეთება „ცხოვრებაში“ აღწერილი ეპოქის IX ს. დათარიღების და აქედან გამომდინარე მიქაელის შიო მღვიმელის მოწაფეობის შესახებ ცნობის იგნორირების ტენდენცია. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ დადასტურებული „ათვლის წერტილისადმი“ სკეპტიკური დამოკიდებულების გარღვევა დაიწყო პ. ინგოროყვამ, რომელმაც მრავალი საბუთის მოხმობით აჩვენა, რომ თხზულებაში წარმოჩენილი სინამდვილის სურათის IX საუკუნით დასათარიღებლად მოხმობილი საბუთები მოკლებულია რაიმე მამტკიცებელ ძალას. ამ ხაზს აგრძელებს დღეს ა. ბოგვერაძე. აღნიშნული მიმართულებით ძიებები უდავოდ ფასეულია, მათი მეშვეობით განსახილველი ძეგლი წარმოჩინდება მრავალ ახალ რაკურსში. თუმცა უნდა შევნიშნოთ: IX საუკუნე სამეცნიერო მიმოქცევაში სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებასთან“ დაკავშირებით შემოტანილია სრულიად ვოლუნტარისტულად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. მის უარსაყოფად გაწეული ძალისხმევა ფაქტობრივად ხმარდება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხელოვნურად შექმნილი სირთულის დაძლევას და თავად პრობლემის გადაჭრის შინაგანი ლოგიკური აუცილებლობით როდია გამოწვეული. ამიტომაც ჩვენ შეგნებულად არ შევაჩერეთ აღნიშნული პოლემიკის პერიპეტიებზე მკითხველის ყურადღება. ცნობა სერაპიონის აღმზრდელი მიქაელის შიო მღვიმელის მოწაფეობის შესახებ ისტორიული პრაქტიკისათვის მისაღებია არა იმიტომ, რომ არ დასტურდება ძეგლში აღწერილი ეპოქის IX საუკუნით დათარიღება, არამედ იმიტომ, რომ იგი ავთენტური წყაროდან მომდინარეა და ეჭვისათვის არავითარ საფუძველს არ გვაძლევს, ე. ი. ცნობა „გამართლებულია“, სწორია წყაროს „უდანაშაულობის პრეზუმპციის“ პრინციპის თანახმად.

„ცხოვრებაში“ დადასტურებული ამ ურყევი ქრონოლოგიური ორიენტირის ანგარიშგაწევით უნდა გადაწყდეს მის პერსონაჟთა სხვა წყაროებში მოხსენიებულ ისტორიულ პირებთან იდენტიფიკაციის პრობლემის დასმის შესაძლებლობა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ათვლის წერტილის“ იგნორირებით იყო ცდა სერაპიონის თანამედროვეები გაეგივებინათ გრიგოლ ხანძთელის თანამედროვეებთან. განსახილველი ძეგლის კვლევის ისტორიამ სხვა ანალოგიური ფაქტიც იცის. ასე მაგალითად, ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერაში მოხსენიებულ პავლე მამასახლისს IX ს. მცხოვრებ პირად მიიჩნევს ზოგი სპეციალისტი, აიგივებს მას სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ ანალოგიური თანამდებობისა და სახელის პერსონაჟთან და ამ საფუძველზე ეჭვი შეაქვს ქრონოლოგიური ორიენტირის სისწორეში.

დაბეჯითებით ვიტყვით: ამგვარი მიდგომა არაფრით არ მართლდება. თუ ირკვევა, რომ ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერაში მოხსენიებული პავლე VII ს. I ნახევარში მცხოვრები პირი არაა, ეს ნიშნავს: იგი არ უნდა გავაიგივეთ „ცხოვრებაში“ ნახსენებ პავლე წინამძღვართან და სრულებითაც იმას არ მიუთითებს, რომ თხზულების „ათვლის წერტილი“ მცდარია. ოღონდ უნდა გაირკვეს, სწორია თუ არა თავად ხატის წარწერის IX საუკუნით დათარიღება, რადგან, როგორც საკითხის ახლო გაცნობა გვარწმუნებს, ეს არცთუ უეჭველია.

ჩატარებული ჰერმენევტიკული ანალიზის შედეგები, რომლებიც, ვფიქრობთ უკვე ერთხელ და სამუდამოდ აქარწყლებენ სკეპცისს სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ მათარიბელი მონაცემის მიმართ, ამავე დროს თვისებრივად ახალ საფუძველს ქმნიან ციტირებული პასაჟის ისტორიული კრიტიკისათვის. აშკარაა: აქ საქმე გვაქვს პარეხის მონასტრის დაარსების ისტორიის თხრობასთან. ცხადად განირჩევა ამ ისტორიის ორი ეტაპი. საწყისი, როცა ოპი-

ზიდან მოსული უცნობი ბერი აშენებს მცირე ეკვდერს და მომდევნო, როცა იშლება ფართო მასშტაბის მშენებლობა მიქაელის თაოსნობით. თითოეული ამ ეტაპის ქრონოლოგიურ ფიქსაციას ემსახურება ტექსტში საგანგებოდ მოტანილი დროითი კოორდინატი. მიქაელისათვის ესაა მღვიმელის მოღვაწეობის ხანა, უცნობი ბერისათვის კი — ოპიზის დაარსების დრო. ასურელი მამები, როგორც ითქვა, VI ს. II ნახევარში მოღვაწეობდნენ საქართველოში. ამგვარად, პარეხის ფართო განაშენიანების ეპოქა სწორედ VI ს. II ნახევარია. მაგრამ როდის დაარსდა ოპიზა?

როგორც ვხედავთ, თვით განსახილველი ცნობით, ოპიზის არსებობა იგულისხმება VI ს. II ნახევრამდე. უფრო კონკრეტულ პასუხს აღნიშნულ კითხვაზე კი იძლევა „ქართლის ცხოვრება“, რომლის მიხედვითაც ოპიზა — ქართულ მიწაზე ეს პირველი მონასტერი — დაარსებულა ვახტანგ გორგასლის დროს, მისსავე ინიციატივით, ე. ი. V ს. II ნახევარში: „და ვითარცა წარმოვიდა [ვახტანგ, მ. ჩ.], იხილა კლდე შუა კლარჯეთისა, რომელსა ერქუა არტანუჯი. და მოუწოდა არტავაზს ძუძუმტესა მისსა და დაადგინა იგი ერისთავად; და უბრძანა, რათა აგოს ციხე არტანუჯისა; და უბრძანა, რათა გამონახოს ჴევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი. და რქუა არტავაზს: „რამეთუ განძლიერდეს სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“. ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, რომელ არს ოპიზა და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა. და განაახლა ციხე ახიზია, და ქმნა იგი ქუაბად“.

ასე რომ, ოპიზის დაარსების დროის შესახებ „ქართლის ცხოვრებასა“ და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებას“ შორის წინააღმდეგობა არ არის. ჩანს, სწორედ ამას გულისხმობდა პ. ინგოროყვა, როცა მიუთითებდა, რომ ეს ორი წყარო აღნიშნულ საკითხში ამოწმებენ ერთმანეთს.

ამგვარად, ოპიზა V ს. II ნახევარშია დაარსებული, პარეხში პირველი სამლოცველოს მშენებლობაც ამ ხანით უნდა დავათარიღოთ. ჩვენი წერილი აქ შეიძლებოდა დაგვემთავრებინა კიდეც ოპიზის დათარიღებასთან დაკავშირებით სპეციალისტთა აზრთა სხვადასხვაობა რომ არა. ამ უთანხმოების მიზეზი კი კვლავ ქართველოლოგიაში უკვე ტრადიციად ქცეული ქართულ წყაროთა მიმართ სპეციალისტთა ნიჰილისტური დამოკიდებულებაა.

კ. კეკელიძე (და მისი გავლენით ბევრი სხვა მეცნიერი) ნდობით არ ეკიდებოდა „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნულ ცნობას, მაგალითად, იმის გამო, რომ მონასტრის დასახელება მოიპოვება მხოლოდ ერთ ნუსხაში: „უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვები — რომელ არს ოპიზისა — იკითხება ვახტანგის ისტორიის მხოლოდ ერთ, ჭალაშვილისეულ ნუსხაში, რომელშიც ეს სიტყვები, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არცერთ სხვა ნუსხაში იმათ ადგილი არა აქვთ, უნდა მიჩნეულ იქნას გლოსად, რომელიღაც სხვა დროის რედაქტორის თუ გადამწერისა, რომელიც შემდეგი მოსაზრებიდან გამოდიოდა: თუ ციტატაში ნაჩვენებია სახელი ციხისა და სამი ეკლესიისა, რატომ მონასტრის სახელიც არ უნდა ყოფილიყო ნაჩვენებიო, და მან თვით „უჩვენა“ ის. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია გარკვეულია, რომ საქართველოში მონასტრები ჩნდება მხოლოდ მეექვსე საუკუნიდან, ვახტანგის ისტორიაში, რომელსაც არა ერთი საეჭვო და ლეგენდური ცნობა შემოუნახავს ,არაა გასაკვირი ისეთი ცნობა, ვითომც ჩვენში მეხუთე საუკუნეში მონასტერი აშენებულიყო.[10]

ჯერ ერთი, არსაიდან არ ჩანს, რომ საქართველოში სამონასტრო მოძრაობას VI საუკუნეში ეყრება ჩვენში საფუძველი. ერთადერთი, რაც ვიცით, ისაა, რომ ამ ეპოქაში ფართოდ იშლება სამონასტრო მოძრაობა, ასურელი მამების მოღვაწეობის შედეგად ქართლ-კახეთი იფარება (მონასტრებით) ; ასურელთა „ცხოვრებების“ ციკლის ძეგლები ცხადყოფენ, რომ ეს მონასტრები ხალხმრავალნი იყვნენ ასურელებს ჰყავდათ ბევრი მოწაფე ადგილობრივ მკვიდრთაგან. ამგვარი პოპულარობა სამონასტრო ცხოვრებისა, არათუ გამორიცხავს უფრო ადრეულ ეპოქაში საქართველოში მონასტრების არსებობას, არამედ პირიქით, ამ მხრივ გარკვეულ ტრადიციებს გულისხმობს. მეორეც, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება“ სრულიადაც არაა ხელწამოსაკრავი წყარო. ბოლო ხანებში მისი გამოწვლილვით კვლევის შედეგად ბევრი მასალა დაგროვდა ამ მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ისტორიოგრაფიული ქმნილების წყაროთმცოდნეობითი ღირსებების „რეაბილიტაციისათვის“[11]

არც ინფორმაციის ხელაღებით უარყოფა შეიძლება იმ საბაბით, რომ იგი მხოლოდ ერთ ხელნაწერშია დაცული, წყაროთმცოდნეობით პრაქტიკაში ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა პროტოგრაფის ჩვენებას ინახავს შემორჩენილ ნუსხათა შორის ერთადერთი. არადა, ცნობა ოპიზის შესახებ რომ არქეტიპიდან მომდინარე უნდა იყოს, ამას ცხადყოფს კონტექსტი. თხრობის ლოგიკა, როგორც თავადაც აღნიშნავს კ. კეკელიძე, მოითხოვს მონასტრის დასახელებას. თვით მონასტრის დაარსების ფაქტი კი კარგად ეთანხმება ისტორიულ კონტექსტს — ვახტანგის დროს, როგორც ცნო-

ბილია, ხორციელდება უმნიშვნელოვანესი საეკლესიო რეფორმები, საეკლესიო ცხოვრება განსაკუთრებით სისხლსავსე ხდება.

ივ. ჯავახიშვილს კლარჯეთში სამონასტრო მოძრაობის მესვეურად გრიგოლ ხანძთელი მიაჩნდა, ე. ი. ოპიზის ადრეული თარიღის შესახებ „ქართლის ცხოვრებისა“ და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ ცნობებს ისიც არ ეზიარებდა. მაგრამ გრიგოლ ხანძთელი „ცხოვრების“ გაცნობა გვარწმუნებს, რომ აქ ლაპარაკია აღნიშნულ მხარეში ხელმეორე აღმშენებლობაზე. ახალი დასახლებული პუნქტების, მონასტრების დაფუძნების პარალელურად VIII-IX სს. კლარჯეთში ხდებოდა ნამონასტრალების, ნაციხარების, ნაქალაქარების აღორძინება. ერთ-ერთი ამ აღორძინებულთაგანი იყო ოპიზა, სადაც ცხოვრება აღმდგარი ჩანს გრიგოლის მისვლამდე სულ ცოტა ხნით ადრე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბოლო ხანებში საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულება აქვს ა. ბოგვერაძეს. ამიტომ ჩვენი გამოკვლევის ძირითადი თემისათვის ამ შედარებით მეორეხარისხოვან პრობლემაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და მკითხველს ინფორმაციის შესავსებად მივუთითებთ აღნიშნული მკვლევრის შესაბამის ნაშრომს[12].

ოპიზის VIII ს-ში დაარსების შესახებ დამკვიდრებული შეხედულების დაძლევამ ა. ბოგვერაძეს იმასთან დაკავშირაებით მოუწია, რომ თვით იგი ამ მონასტერს VI ს. ათარიღებს. ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ ცნობას ვახტანგ გორგასლის ეპოქაში ოპიზაში სამონასტრო ცხოვრების დაწყების შესახებ, არც იგი იზიარებს. მეცნიერის ლოგიკა ამ შემთხვევაში ასეთია: ერთი მხრივ, იგი ამოდის ორი ურყევი პოსტულატიდან — მიქაელი VI საუკუნის მოღვაწეა (I), ოპიზის დაარსება და პარეხში პირველი სამლოცველოს მშენებლობა თანადროული მოვლენებია (2). მეორე მხრივ, ყველა სხვა მკვლევრის მსგავსად, ა. ბოგვერაძესაც ამ მცირე სამლოცველოს მშენებელი მიქაელი ჰგონია; აქედან ასკვნის, რომ ოპიზა VI საუკუნეში იქნა დაარსებული.[13] როგორც უკვე ვაჩვენეთ, თხზულების მიხედვით მიქაელი „მცირე ეგუტერის“ მაშენებელი პიროვნება არაა, ამიტომ ოპიზის დაარსების VI საუკუნესთან დაკავშირებას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიშვება „ქართლის ცხოვრების“ სრულიად ცალსახა ცნობასთან ტექსტში მიქაელის აღდგენით, დამატებითი საბუთია გაანალიზებული პასაჟის ტრადიციული წაკითხვის უარსაყოფად.

ერთადერთი მკვლევართა შორის, ვინც ოპიზის ქრონოლოგიას „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იაზრებდა, იყო პ. ინგოროყვა. მაგრამ ისიც პარეხის მონასტრის დაარსების ეპოქად მიიჩნევდა VI საუკუნეს. საქმე ისაა, რომ პ. ინგოროყვასაც „მცირე ეგუტერის“ მშენებლად მიქაელი მიაჩნდა, მაგრამ ამასთან, განსხვავებით ა. ბოგვერაძესგან, ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ ოპიზის დაარსება და პარეხში პირველი მშენებლობანი სინქრონული მოვლენებია. პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ მიქაელი ოპიზის დაარსებიდან გარკვეული დროის მერე მოდის პარეხში. მაგრამ ამგვარი შეხედულების შემუშავებისათვის, როგორც ითქვა, საფუძველს ტექსტი არ იძლევა.

როგორც ვხედავთ, ოპიზის V ს. II ნახევარში დაარსების შესახებ ცნობის სისწორეში დასაეჭვებელი გარემოებანი არ ჩანს, ამიტომ ძალაში რჩება ზემოთ გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, რომ პარეხში სამონასტრო ცხოვრება იწყება უკვე V ს II ნახევრიდან. აქვე გვინდა დავაზუსტოთ ერთი მომენტი: ოპიზის დაარსების ეპოქა ჩვენთვის საინტერესო წინადადებაში ასრულებს დროითი კოორდინატის ფუნქციას, ე. ი. იგულისხმება, რომ იგი კარგად ცნობილი ფაქტია. ეს ასეცაა. როგორც ვნახეთ, ცნობა ოპიზის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ არის და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაშიც“. ამ უკანასკნელში კონკრეტულად დამაარსებელთა სახელებიცაა მითითებული. ასე რომ აშკარაა: სამონასტრო გადმოცემაზე დამყარებულია მხოლოდ ცნობა პარეხში პირველი სამლოცველოს მშენებლობის შესახებ.

## შენიშვნები

1. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებასთან“ დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ დაწვრილებითი ცნობებისათვის იხ. ნ. ვაჩნაძის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ როგორც საისტორიო წყარო“, თბ., 1975; აგრეთვე ა. ბოგვერაძის „ისევ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ თარიღის გამო“. —კრებულში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბ., 1986, გვ. 45—62.

2. ჰაგიოგრაფი იმყოფება გარკვეული ჰერმენევტიკული უნივერსუმის შიგნით. ამიტომ „საყოველთაოდ ცნობილი“ ნიშნავს უპირველესად ამა თუ იმ ფაქტის აღიარებას სწორედ მის ეპოქაში. არცთუ იშვიათად ეს ფაქტები ჩვენს ისტორიულ თვალსაწიერშიც ქრონოლოგიულად მკაფიოდ ლოკალიზებულნი არიან. რა თქმა უნდა, ხდება ისეც, რომ ჰაგიოგრაფიულ ქმნილებაში მოცემულ „ათვლის წერტილს“ ჩვენ ვერ ვშიფრავთ ან ვშიფრავთ შეცდომით. მაგრამ აღნიშნული გარემოება, ცხადია, აზრს

ჰაგიოგრაფიული ქრონოტოპის განსაზღვრულობის თაობაზე ვერ შეგვაცვლევინებს. მთავარია, რომ ჰაგიოგრაფი ესწრაფვის ქრონოლოგიურ ფიქსაციას. ხოლო იმის მიხედვით თუ რამდენად ვიცნობთ შესაბამის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტს, მის მიერ მინიშნებულ მათარიღებელ ნიშანს ჩვენ ვიგებთ სწორად ან პირიქით, არ აღვიქვამთ ადექვატურად.

3. ჯავახიშვილი ივ. „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა". ძველი ქართული საისტორიო მწერლობა: თხზ. 12 ტომად. — თბ., 1977, ტ. VIII, გვ. 140 (ხაზი ავტორისაა).

4. კეკელიძე კ. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. — ტფ., 1935, გვ. 115. აგრეთვე მისივე რეცენზია პ. პეეტერსის ლათინურ თარგმანზე „მიმოხილველში" (1926, გვ. 278).

5. ვაჩნაძე ნ. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" როგორც საისტორიო წყარო, გვ. 191. უცილობელ ანაქრონიზმად მიაჩნია ეს ცნობა ლ. მენაბდესაც (იხ. „მისი ძველი ქართული მწერლობის კერები", 1962, ტ. I, ნაკვ. II, გვ. 426).

6. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. დასაბეჭდად მომზადდა ავტორთა კოლექტივის მიერ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, წ. I, გვ. 321—322.

7. ჯანაშვილი მ. ქართული მწერლობა, გვ. 5; კეკელიძე კ. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა", გვ. 150.

8. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში მოტანილ ტექსტთან მიმართებაში პუნქტუაციის თვალსაზრისით კორექტივები გამოიხატება შემდეგში: ა) სიტყვების „მაშენებელნი იგი" შემდეგ მძიმე შეცვლილია წერტილით. ასევე ჰქონდათ ეს მ. ჯანაშვილს, კ. კეკელიძეს; ბ) „მაკარის" შემდეგ წერტილი შეცვლილია მძიმით. ასევე ჰქონდათ ეს მ. ჯანაშვილს, კ. კეკელიძეს; გ) „რამეთუ" სიტყვიდან აბზაცი იწყება. ამგვარად არ არის დასახელებულ არცერთ გამოცემაში. დ) შიო მღვიმელზე შენიშვნა მოთავსებულია ფრჩხილებში. ამგვარად არ არის არცერთ წინა გამოცემაში.

9. „ქართლის ცხოვრება" ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ — თბ., 1955, წ. I, გვ. 177—178.

10. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, ტ. I, გვ. 147.

11. გოილაძე ვ. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1990.

12. ბოგვერაძე ა. „ისევ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" თარიღის გამო, გვ. 57-59.

13. იქვე, გვ. 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ნინიძე

# ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის

ალასტანელ ბაგრატიონთა — „პროვინციის მეფეთა“ ისტორია ჯავახეთის ერთ-ერთი საინტერიო ფურცელია. ამ რეგიონში აღნიშნული გვერდითი შტოს ბაგრატიონთა მფლობელობის შესწავლის გარეშე, ვფიქრობთ, შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის გარკვევა გაჭირდება.

აკად. ნ. ბერძენიშვილი, ლაშა-გიორგის ჯავახეთისადმი დამოკიდებულების საკითხზე მსჯელობისას, ხაზს უსვამს მეფე-უფლისწულის „ალასტანელობას“. როგორც ცნობილია, მისი ამ რეგიონისადმი „განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე“ მეტყველებენ ბარალეთის ეკლესიის, ლაშა-გიორგის „ჰელის“ (გუნია—ყალის), თამარისა და ლაშა „ჰელის“ (პრტენას) წარწერები. მაგ., გუნია-ყალის წარწერაში, რომელიც თანამოსაყდრეობის ხანას ეკუთვნის, თამართან ერთად მოხსენიებულია გიორგიც, წარწერას კი არა თამარი, არამედ ლაშა-გიორგი ამტკიცებს, რაც იმის გამოხატულება უნდა იყოს, რომ გუნია-ყალა მის საუფლისწულოში შედის და მეფე-უფლისწული ამ პროვინციაში „უფალიც“ არის. ამიტომაც თავის საუფლისწულო ტერიტორიაზე სწორედ იგი „ჰელის“ დამხმელად აღნიშნული. ამ მდგომარეობით აიხსნება თანამოსაყდრეობის ხანის 1206 წ. ჰოროmaირის სომხურ წარწერაში მეფედ ლაშას აღნიშვნა და თამარის მოუხსენებლობა — საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში მყოფი ისტორიული სომხეთის ეს ნაწილი ლაშა-გიორგის საუფლისწულოში შემოდის, ამიტომ წარწერაში მეფე-უფლისწული „მეფედ“ მოიხსენიება. ამაზევე ნათლად მიგვითითებს ლაშა-გიორგის სახელით მოჭრილი მონეტის ზედწერილი — „ჯავახთ უფალი“: როგორც ჩანს, მონეტის ემისია, თამარის გარდაცვალების შემდეგ, ლაშას ერთმეფედ გახდომის ხანაში ხდება. ხოლო ერთიანი საქართველოს მეფის ასეთი ტიტულით მოხსენიება ლაპარაკობს იმაზე, რომ ჯავახეთი ლაშა-გიორგისათვის განსაკუთრებულ პროვინციას წარმოადგენდა და მისი ერთმეფედ დაჯდომა სპეციალურად აღუნიშნავთ სამხრეთ საქართველოს იმ რეგიონში, სადაც მთელი საქართველოს მეფე ამის გარდა „განსაკუთრებით ჯავახთუფალიც“ იყო (1, 146). ვარძიის ანსამბლში არსებული ანანურის ეკლესიის დასავლეთის სათავში მოთავსებული მოხატულობის კომპოზიციაში ხელოვნებათმცოდნე ანა კლდიაშვილი ითვალისწინებს რა ასეთ „განსასცენაზე. სტილისტური ანალიზიდან გამომდინარე მოხატულობას მკვლევარი XIII საუკუნით, კერძოდ. XIII ს. დამდეგსა და 1266 წ. შორის პერიოდით ათარიღებს და გამორიცხავს რუსუდან დედოფლის, დავით ულუსა და დავით ნარინის გამოსახვის შესაძლებლობას. ა. კლდიაშვილი ითვალისწინებს რა ასეთ „განსაკუთრებულ დამოკიდებულებას“ ჯავახეთისადმი, ფიქრობს, რომ შესაძლებელია აქ ლაშა-გიორგის მეფედ კურთხევის სცენა იყოს გამოსახული; ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლაშას მეფედ კურთხევის გამოსახვა ერთმეფედ გახდომის შემდეგ სწორედ ჯავახეთში, ვარძიის სამეფო მონასტერთან, მისი სახელოვანი წინაპრების, დედისა და პაპის პორტრეტების სიახლოვეს არის მოსალოდნელი (2, 68-69).

ლაშა-გიორგის მონეტა წარწერით — „გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთ უფლისა“ არ აღემატება რამდენიმე ათეულ ცალს: ნაპოვნია ახალქალაქში, ახალციხეში, დმანისში. მისი გავრცელების გეოგრაფია ძირითადად არ სცილდება (ან მნიშვნელოვნად არ სცილდება) ლაშას საუფლისწულო ტერიტორიებს. იბადება ვარაუდი: უშუალოდ ლაშა-გიორგის საუფლისწულოში ხომ არ მოიჭრა მონეტების ეს ტიპი, რომლის ემისია ისეთ მნიშვნელოვან მოვლენასთან იყო დაკავშირებული, როგორიცაა „ჯავახთ უფალის“, უფლისწული ლაშა „ალასტანელის“ ერთიანი საქართველოს ერთმეფედ კურთხევა. უნდა გავიხსენოთ, რომ საერთოდ ღირსშესანიშნავ თარიღებთან თუ მოვლენებთან და-

კავშირებით მონეტების გამოშვება ცნობილი და მიღებული მოვლენა იყო. ვფიქრობთ, ამ პერიოდის ჯავახეთში ზარაფხანის არსებობა არ უნდა იყოს მოულოდნელი. თ. ლომოური, გარდა თბილისისა და დმანისისა, XIII ს. დამლევსა და XIV ს. დასაწყისში ზარაფხანის არსებობას აღნიშნავს ახალციხეში (8, 213—216). დ. კაპანაძის მიხედვით, ზარაფხანები უნდა ყოფილიყო არა მარტო თბილისში, დმანისსა და ახალციხეში, არამედ ქვეყნის სხვა კუთხეებშიც — ქუთაისში, ოდიში (დაარსებული ვამიყ დადიანის მიერ); ნუმიზმატთა აზრით, მონეტების ემისიას ეწეოდნენ ე. წ. ლიხთ-იქითის „მეფენი", ქახეთში ფულის ჭრის ტრადიციასაც XIV ს. დანერგილად ვარაუდობენ (4, 156). ასევე შეიძლება დაისვას საკითხი: ლაშა-გიორგის მონეტა ზედმიწერილით „ჯავახთ უფალი" ხომ არ იჭრება ჯავახეთში არსებულ ზარაფხანაში, თუნდაც ალასტანში, სადაც ლაშა „ალასტანელი" განსაკუთრებით „ჯავახთ უფალი" და მეფეუფლისწული იყო.

რატომ მაინცდამაინც ჯავახეთი და „ჯავახთ უფალი", მაშინ როდესაც მის საუფლისწულოში ისეთი მნიშვნელოვანი პროვინციაც შედიოდა, როგორიც თრიალეთია?

ამაზე პასუხს გვაძლევს თავად ლაშა-გიორგის ზედწოდება — „ალასტანელი", რომელიც იმის მიმანიშნებელია, რომ ლაშას საუფლისწულო მამულის ცენტრი ჯავახეთის ამ გეოგრაფიულ პუნქტში უნდა ჰქონოდა, ე. ი. რეგიონის სხვა მნიშვნელოვან სოფელთა შორის დაწინაურებულა სოფ. ალასტანი, რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო აკმაყოფილებდა ლაშა-გიორგის საუფლისწულო რეზიდენციისათვის საჭირო მოთხოვნილებებს. ლაშას საუფლისწულოში, მართალია, ძალზე მნიშვნელოვანი პროვინცია — თრიალეთიც შედიოდა, მაგრამ რადგან მისი რეზიდენცია — ცენტრი ჯავახეთში მდებარე ალასტანი იყო, ამიტომ იწოდა „ალასტანელად" და, თრაილეთის ფლობის მიუხედავად, განსაკუთრებით „ჯავახთ უფლობითაც" იმიტომ აღინიშნა.

ლაშა-გიორგის დროს, რა თქმა უნდა, ის „ალასტანელობა" არ იგულისხმება, რაც XIV საუკუნიდან განვითარდა. ჯავახეთის განკუთვნება საუფლისწულო მამულად ეს იყო საფუძველი, „რომელზედაც mutatis mutantis შემდეგდროინდელი „ალასტანელობა" წარმოიქმნა" (1, 147) მართლაც, როგორც ჩანს, ერთ-ერთი პირველი ფაქტორი, რამაც XIV ს. დამდეგს ალასტანელ „პროვინციის მეფეთა" შტოს წარმოქმნას შეუწყო ხელი, იყო XII ს. ბოლოდან ჯავახეთის, თრიალეთთან ერთად, ლაშა-გიორგისათვის საუფლისწულო მამულად გადაცემა.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ლაშას ერთმეფობამდე ჯავახეთ-თრიალეთი მის საუფლისწულო მამულს წარმოადგენდა. ერთმეფობის შემდეგ [illegible] მეფემ სამეფო დომენად აქცია. ამ სამეფო დომენის მიწებიდან ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, ლაშა-გიორგიმ თავის ვაჟს მისცა სამფლობელოდ. პლანო კარპინთან დაცულია ცნობა, რომ უკანონო ვაჟს მეფემ თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა. (5, 37). ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ ეს ყოფილიყო ლაშას საუფლისწულოს ცენტრალური რეგიონი — ალასტანი და მისი მიმდინარე ტერიტორია. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ არ შეჩერებულა ალასტანელებზე, მაგრამ ლაშასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ მან (ლაშამ) თავის ყოფილ ცოლსა და უკანონო შვილს, სასახლიდან წასვლის შემდეგ, მისცა ალასტანი საკუთრებად და საცხოვრებლად. (6. 127). აქედან გამომდინარე, ალასტანის ჯავახეთის მამულებისაგან გარკვეულად განსხვავებულ პირობებში ყოფნამ, როგორც ჩანს, ერთგვარად ხელი შეუწყო ამ რეგიონის გამოყოფას სხვა მიწებისაგან (7). ეს ტერიტორია სამეფო დომენისაგან ასე გამოცალკავებული ჩანს, ჩვენი აზრით, მთელი XIII საუკუნის მანძილზე. „ძეგლი ერისთავთას" ცნობით, რომელიც 1302 წ. ეხება, ვკითხულობთ, რომ ვახტანგ III დავით VIII მისცა „ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გუელეთით". (8, 348) როგორც ვხედავთ, მემატიანე ჯავახეთსა და ალასტანს ცალ-ცალკე აღნიშნავს — გადასცა ჯავახეთი და ალასტანიო, ე. ი. შეიძლებოდა ჯავახეთის მიცემა ალასტანის გარეშეც, ან პირიქით. ალასტანი, როგორც ჩანს, თავისი მიმდებარე ტერიტორიით, გამოცალკევებულია ჯავახეთის სამეფო დომენისა და ფეოდალური მამულებისაგან. ასე რომ არ ყოფილიყო, ჯავახეთსა და ალასტანს ცალ-ცალკე აღნიშნავდა. არ ყოფილიყო, ჯავახეთსა და ალასტანს ცალ-ცალკე აღნიშნიქნებოდა საჭმარისი და დავით VIII სამფლობელოდ ალასტანის გადაცემასაც მემატიანე საგანგებოდ აღარ გაუსვამდა ხაზს. სხვაგვარად გაუგებარია „ძეგლი ერისთავში" რატომ არიან ისინი ცალ-ცალკე აღნიშნული. ამიტომ გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ხომ არ იყო ალასტანი და მისი მიმდებარე რეგიონი ამ პერიოდში (XIII ს.) საუფლისწულოდ დატოვებული, რომელიც განსხვავებულ ვითარებაში ყოფნის გამო გამოცალკევდა სამეფო დომენის მიწებისაგან და გარკვეულ პოლიტიკურ სხეულად, ერთეულად ჩამოყალიბდა. ალასტანის გარშემო დადასტურებული ვერანაების სიმრავლე ლაპარაკობს ამ ტერიტორიის მჭიდრო დასახლებაზე, რომელთა გაერთიანებაც ქმნიდა, როგორც ჩანს, ერთიან ისტორიულ-გეოგრაფიულ იზოლირებულ ალასტამის რეგიონს. ნ. ბერძენიშვილს აქ დადასტურებული აქვს ვერანა-

ები: ოლდანი, დევათი, ერიკლი, ბურასტანი, ორთა ხარაბა, ვარდის ციხე, გვხვდება აგრეთვე ცხია და სხვა. ასეთ ვითარებაში მყოფ ალასტანსა და მის მიმდებარე რეგიონს 1302 წლისათვის სამფლობელოდ ღებულობს დავით VIII.

ალასტანის ზემოაღნიშნულ მდგომარეობაში ყოფნა და დავითისათვის მისი გადაცემა იყო უპირველესი მიზეზი და ნიადაგის მომზადება აქ ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოსაქმნელად. ვახტანგი III ჩანაფიქრით დავით VIII გადაცემული რეგიონი უნდა ყოფილიყო საბატონიშვილოს მაგვარი ტერიტორია, რომელიც გახდებოდა მისი შემოსავლის წყარო. დავითმა კი ეს პროვინცია, როგორც ეს შემდგომ არაერთხელ ხდება „პროვინციის მეფეთა“ არსებობის პერიოდში, თავის სამკვიდროდ იზოლირებულ, პოლიტიკურ ერთეულად აქცია, რომელიც სახელმწიფო სხეულს უფრო ჰგავდა, ვიდრე საბატონიშვილოდ გადაცემულ მამულს. ე. ი. ვფიქრობთ, რომ ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ წარმოშობის საკითხი პოლიტიკური მოღვაწეებიდან უპირველესად დავით VIII სახელთანაა დაკავშირებული, თუმცა თავად იგი არ გვევლინება „პროვინციის მეფედ“, მაგრამ მისი მფლობელობის ხასიათი წინა საფეხური და ნიადაგის მომზადებაა მომავალი ალასტანელობისათვის.

პროვინციაში გადასულ დავით VIII სამფლობელოში მკვლევარნი ერთხმად ხედავენ „სამეფოს“ პოლიტიკური ერთეულის მაგვარ რეგიონს. თ. ლომოური ფიქრობდა, რომ ეს ტერიტორია თავისი სამმართველო აპარატითა და სხვა ატრიბუტებით, მას „სამეფოსაც“ კი უწოდებდა (9,74). ჩვეულებრივ, მკვლევართა ერთი ნაწილი, ამ ტერიტორიას არაგვისა და ქსნის ხეობებით, შიდა ქართლით ან მთიულეთით შემოსაზღვრავენ (ლომოური, ჯალაღანია, ღვაბერიძე). აქ ემყარებიან ჟამთააღმწერელის ცნობას: დავით „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა... მეფემან დავით შეკრიბა ყოველი მთიული, წარვიდა და მივიდა ტფილისს“... (10,316) ამ და ზოგიერთი სხვა ცნობითაც ჩანს, რომ დავითს ფლობა და გავლენა ჰქონია შიდა ქართლის გარკვეულ რეგიონზე—მთიულეთზე, ხევზე, ბაზათელის მხარესა და, როგორც ჩანს, საერთოდ მთიანეთზე; ამას არც არავინ უარყოფს, მაგრამ „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა“, —ეს ხომ მხოლოდ 1302 წლამდე ვითარების ამსახველი მომენტები:

ნუმიზმატიკური მასალით უდავოდ დასტურდება, რომ ვახტანგ III პირველად 1298 წ. მეფდება, მონღოლები მას უპირისპირებენ ძმას — მეფე დავით VIII, რომელიც 1297 წლიდან აჯანყებულია და ქართლის მთიანეთში არის გამაგრებული. ვახტანგ III იშვიათი ყოფნა სამეფო კარზე და მუდმივი მონაწილეობა მონღოლთა ლაშქრობებში ეგვიპტის სულთანის წინააღმდეგ განაპირობებს მის სუსტ, არამყარ მდგომარეობას სამეფოში. მაგრამ ვახტანგ III მონღოლთა დახმარებით ახერხებს ხელმეორედ გამეფებას და ამას 1302 წელს აქვს ადგილი ჩვენ შევნიშნეთ, რომ ჟამთააღმწერელი ვახტანგის ორივე გამეფებას აღნიშნავს, რაც ადრე არ იყო შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში: ვახტანგმა უპატიოდ ყოფნა „ვერღარა თავს—იდვა“, „მეფობის“ საძებნად წავიდა ყაზან-ყაენთან, რომლისგანაც მიიღო სამეფო ტახტი და „წარმოატანა ხუტლუბუღა ნოინი სპითა უძლიერესითა“, — 1298 წ. ვახნტანგ III პირველად გამეფების აღნიშვნაა (10,308)! მეორე რეალური გამეფებისას — 1302 წელს — ჟამთააღმწერელი სხვა ვითარებას აღწერს: „და ვითარცა დამტკიცდა (საინტერესო ტერმინია ამ მხრივ, დ. ნ.) მეფობა ვახტანგისი, რამეთუ ყაზანმა ჰელთ-უდვა სამეფო, დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე“, ვახტანგ III პირველი გამეფებისას, დავით VIII მეუღლე არის მონღოლთა ოლჯათ დედოფალი, ხოლო გამეფების მეორე აღნიშვნისას ქართლის ერისთავის ჰამადას ასული—სწორედ ამ დროს ჟამთააღმწერელი აკეთებს დასკვნას: „დამტკიცდა მეფობა ვახტანგისი“ (10, 310). ვახტანგ III რომ ორჯერ მოუხდა გამეფება, აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძეც, სადაც მიუთითებს ყაზან-ყაენის მიერ ვახტანგისათვის მეფობის ხელმეორედ წყალობის ფაქტზე (12, 58—59).

ვახტანგ მეფის პირველი და მეორე გამეფების მომენტებს და შექმნილ ვითარებას უშუალოდ უკავშირდება „ალასტანელობის“ საკითხი: ვახტანგ III პირველი გამეფებისას აჯანყებული დავით VIII „შედგომილ იყო, და დიდად ავნებდა სიმაგრეთა შესრულთა თათართა“, უშუალოდ უხდება შეტაკება თავის ძმასთან, სადაც „დაჰცეს კაცი ურიცხვ“ (10, 316—317) და სწორედ ამ დროს, ვახტანგ III პირველი გამეფებიდან — 1298 წლიდან მეორე ხელდასხმამდე — 1302 წლამდე პერიოდში აქვს ადგილი მდგომარეობას, როცა დავით VIII „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა“; 1302 წლიდან, როცა ვახტანგი „არა წინააღუდგებოდა ძმასა თჳსსა დავითს“, დავითი ტოვებს „გვერდს“ და სამფლობელოდ გადადის ჯავახეთ-ალასტანში. ეს ხდება 1302 წელს და ასეთ დათარიღებას ცნობილ ისტორიულ რეალიებთან ერთად (იხ. ჩვენი სტატია — 13) მხარს უჭერს ზოგიერთი სხვა ქრონოლოგიური საყრდენი: დავით VIII ჯავახეთში და ალასტანში გადასვლა ხდება იმ წელს, როცა იგი მეორე ცოლს — ქართლის ერისთავის ჰამადას ასულს ირთავს ცოლად; ამ ფაქტს კი ვახუშტი სწორედ 1302

წლით ათარიღებს (14, 249). მეორე: ვახტანგ III პირველი გამეფებისას თან ახლდა ხუტლუშას ლაშქარი, ხოლო მეორე გამეფებას და დავით VIII სამხ. საქართველოში გადასვლას დაემთხვა აზატ-მოსეს ლაშქრობა. გ. ანჩაბაძემ ეს ლაშქრობა და ტრაპიზონის იმპერატორის მიერ ტაოში მათი დამარცხება 1302 წ. ზაფხულით დაათარიღა (15, 56). ამდენად, ეს ქრონოლოგიური საყრდენიც ჩვენთვის საინტერესო ფაქტს 1302 წ. ათარიღებს. ამ წლიდან დავითი ჯავახეთ-ალასტანშია, ამიტომ ქართლის მთიანეთში უკვე აღარ ჩანს. ამიტომაც, მკვლევართა მიერ ზემოაღნიშნულ ფაქტს, რომ დავით VIII გავლენა და რეზიდენცია აქვს მთიანეთსა და შიდა ქართლში, ადგილი ჰქონდა 1302 წლამდე, ე. ი. „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა“, — 1302 წლამდე არსებული სიტუაციაა.

დავით VIII მფლობელობის ხასიათის შედეგად, როგორც აღვნიშნეთ, ჯავახეთ-ალასტანის რეგიონი გარკვეულ პოლიტიკურ სხეულად ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით ეს იზოლირებულობა ვახტანგIII მმართველობის წლებში არის მოსალოდნელი (1302—1304 წწ.). დავით VIII აქ მფლობელობა და ჯავახეთის შესაბამისი მდგომარეობაც იძლევა იმის საფუძველსა და შესაძლებლობას, რომ მისმა შთამომავლებმა საქართველოს სამხრეთ რეგიონში „პროვინციული სამეფო“ შექმნან (13).

ჩვენი აზრით, დავითის ცენტრალური მამულები და მომავალ ალასტანელთა ძირითადი სამფლობელოები უნდა ყოფილიყო ჩრდილო ჯავახეთის ტერიტორიაზე, რომელშიც ზემოჩამოთვლილ ვერანაებთან ერთად სხვა დაწინაურებული პუნქტებიც უნდა ყოფილიყო გაერთიანებული: გოკია, ბარალეთი, ღრტილა, ვარევანი... ჯავახეთის აღნიშნული რეგიონის გამოყოფას, ზემოაღნიშნულ მომენტებთან ერთად, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ფიზიკურ-გეოგრაფიულმა ფაქტორებმაც: მას ჯავახეთის ძირითადი ნაწილისაგან, კერძოდ ცენტრისაგან (ახალქალაქი) გამოჰყოფდა ჯავახეთის მტკვარი, ამიტომ, ხომ არ არსებობდა ჯავახეთი ახალქალაქით და მეორე მხრივ, ცალკე მიკრორეგიონი—ჯავახეთის ტერიტორია ალასტანით?! საერთოდაც, ამ რეგიონებს შორის საზღვარი, როგორიც დ. ბერძენიშვილს აქვს აღნიშნული, გეოგრაფიულად გამოყოფილ ზოლს მიჰყვება: სამსარის ქედიდან წამოსული მთების შემდეგ ხაზი ჯერ ბარალეთისწყალს, მერე კი სოფ. არაგვასთან ფარავნის მტკვარს მიჰყვება, დილიცკასთან დასავლეთით უხვევს და ნაქალაქევთან მტკვარს გადაჰკვეთს, შემდეგ იგი ისევ წყალგამყოფ მთებზე გადის და დასავლეთისაკენ ნიალის ველისაგან მიემართება. სწორედ ეს მთები გამოჰყოფენ ნიალის ველის მდინარეთა აუზებს ტაშლი-ყიშლასა და შალოშეთისწყლის აუზისაგან (16, 113).

ასეთმა გეოგრაფიულმა მდგომარეობამ, შესაბამის პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად, ხელი შეუწყო ალასტანის გარშემო რეგიონის იზოლირებულობას, რასაც უნდა მოჰყოლოდა ჩრდილო ჯავახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული და სამეურნეო მიკროქვეყნის ჩამოყალიბება.

ერთმანეთისაგან ჩამოშორების შედეგად, აღნიშნული რაიონები უკვე პოლიტიკურადაც დამოუკიდებელი განვითარების გზას ადგებიან:

ა) მაშინ, როცა ჯავახეთის უმეტესი ნაწილი სამეფო დომენს, ახალქალაქის საერისთავოსა და დიდ ფეოდალთა მამულებს უკავია, „ხერთვის ზეით“-ი ალასტანის რეგიონი მთელი XIII ს. მანძილზე საუფლისწულო მამულად რჩება.

ბ) XIV ს. თითქმის მთელ მანძილზე ჩრდილო ჯავახეთის ტერიტორია „პროვინციის მეფეების“ სამფლობელოს წარმოადგენს. ამ დროს ჯავახეთის ძირითად ნაწილში სამეფო დომენისა და დიდ ფეოდალთა მამულებია.

გ) XIV ს. ბოლოს ალასტანი მისი მიმდებარე ტერიტორიით მცხეთის საკათალიკოსო მამულების შემადგენლობაში შედის (17. 178), მაშინ როცა ჯავახეთის ძირითად ნაწილში ხან სამეფო მფლობელობაა, ხანაც სამცხის ათაბაგთა ხელისუფლება. დ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილი ჯავახეთის საეკლესიო გეოგრაფიის რუქა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჯავახეთის ძირითადი რაიონები წყაროსთაველის, ვარძიელისა და კუმურდოელის სამწყსოში შედიან, მაშინ როცა სწორედ ალასტანის რეგიონი განსხვავებულ მდგომარეობაშია და მცხეთის საკათალიკოსოს ეკუთვნის (16, 124).

ასეთი განსხვავებული განვითარების გზები თავის მხრივ ხელს უწყობს ამ ორი რეგიონის ერთმანეთისაგან ჩამოშორებას და ალასტანის რეგიონის ცალკე „მიკროქვეყნად“ ჩამოყალიბებას.

ვფიქრობთ, ამ რეგიონის იზოლირებულობა და ისტორიულ-გეოგრაფიული გამოცალკავებულობა ალასტანის ეტიმოლოგიაშიც ჩანს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ „სტან“ ნიშნავს — „მხარე“, „ქვეყანა“. თუ ამ ტოპონიმს ამ კუთხით განვიხილავთ, დ. ბერძენიშვილის სიტყვებით, „ეს იქნება ასეთი სახელების დამოწმების ერთი ადრეული შემთხვევა. იქვე ჯავახეთში გვაქვს მარგასტანიც“ (16, 103). მ. ბერიძის აზრით, „-სტან“ სუფიქსი გვაფიქრებინებს, რომ იგი დაერთო სატომო-ეთნიკურ სახელს და ასეთი უნდა იყოს „ალანი“; თავად ალასტანი უნდა იყოს მიღებული ალასტანისაგან. მკვლევარის დასკვნით, ქართული ისტორიული ტრადიცია ალანებად იცნობს ზოგადად ჩრდილოკავკასიელ ხალხს, ალანის ცნებაში „ოვსნი“ კი არ უნდა იგულისხმებოდნენ მხოლოდ, არამედ მთლიანად ჩრდილოირანელნიც

(ალანები როგორც სპარსული მოდგმის ტომი), ამიტომ სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიკაში დადასტურებული „ალანი“ კონკრეტულად სატომო„ეთნიკური სახელი „ოსი“ კი არ არის, არამედ ზოგადად ჩრდილოირანელი (8, 24—27).

ჩვენი აზრით, ალასტანის ეტიმოლოგიაში ასახულია ამ მიკრორეგიონის იზოლირებულობა და ისტორიულ-გეოგრაფიული გამოცალკევებულობა ჯავახეთის სხვა მიწებისაგან, როგორც ცნობილია, ტოპონიმების წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გეოგრაფიული ასპექტი (ეს ქვევითაც გამოჩნდება ტყე-ჯავახეთის ნაჰიეს შესახებ საუბრისას), „ალა“, რომელიც ძველი ფორმა ჩანს, შეიძლება გაგებული იქნას როგორც — დიდებული, მაღალი, ბრწყინვალე მხარე, მისი წარმოშობა არაბთა ან თურქ-სელჩუკთა შემოსევებთან და მათ ბატონობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. უდავოა ჩანს, რომ ალასტანი ძველი ტოპონიმია. თუ ეს სინამდვილესთან ახლოსაა, მაშინ ტოპონიმ „ალა“-სტანში ხაზი ესმება, რომ აღნიშნული ტერიტორია ძალიან კარგი, ლამაზი მხარეა; ამდენად, ჩვენი აზრით, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ხელსაყრელი სამეურნეო ფაქტორის შედეგად, ჯავახეთის ერთ-ერთ რეგიონს ეწოდა „ალასტანი“, რომლის ეტიმოლოგია თავისთავად უნდა მიუთითებდეს, რომ იგი გარკვეულად სხვა მიწებისაგან გამორჩეული, გამოყოფილი „მიკროქვეყანაა“. იმაში, რომ ამ მხარისათვის ეწოდებინათ კარგი, დიდებული, მაღალი მხარე, ვფიქრობთ, არაფერია მოულოდნელი. მისი დაწინაურებულობის შესახებ არაერთი არგუმენტი თუ ისტ. მასალა არსებობს. ამჯერად, მხოლოდ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: სამეფო სადგომების სიმრავლე, კერძოდ, დლივში, ღრტილაში, ბოყანოში (თამარის დროს ბოყანოს სადგომი იცვლება ვარძიით). ასეთივე სამეფო სადგომად მიიჩნევს დ. ბერძენიშვილი ალასტანსაც (16, 100). ამ რეგიონშივე წარმოიშვა დაწინაურებული პუნქტი — ბარალეთი. ეს ტერიტორია მნიშვნელოვან გზასაყარს წარმოადგენდა, რომელზედაც ძველი ისტორიული გზები გადიოდა. არაერთი ნაშთია ჩვენამდე მოღწეული, რომელნიც ადასტურებენ ადრეფეოდალურ ხანაში ამ პუნქტების დაწინაურებულობასა და ცხოვრების განვითარებულ დონეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ მიგვაჩნია მართებულად ლ. ტუხაშვილის მოსაზრება, რომ თითქოს დავით სოსლანს, რომელიც იწოდება „ალანეთის მეფედ“, საქართველოში გამოეყო საგანგებო ტერიტორია — ჯავახეთი, რომელიც ლაშა-გიორგის დაბადების შემდეგ იქცა ტახტის მემკვიდრის მამულად (20, 63), რომ ეფრემიან—ბაგრატიონთა, ეფრემისძეთა საგვარეულოს უნდა უკავშირდებოდეს ლაშა-გიორგის წოდება „ალასტანელი“ და ჯავახეთში აგებული ციხე-სიმაგრე „ალასტანი“ (20, 45), ამიტომ არ არის გამორიცხული, ტიტული „ჯავახთ უფალი“, რომლითაც მოიხსენიება ლაშა-გიორგი, პირველად დავით სოსლანს ეწოდა — პირველი „ჯავახთ უფალი“ იყო სწორედ დავით სოსლანი, ხოლო რეზიდენციის სახელი ალასტანი უნდა მოდიოდეს ალასტანიდან, — აღნიშნავს ლ. ტუხაშვილი (20, 63). ჩვენი აზრით, ისტორიული მასალა ამ ვარაუდთა საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. არგუმენტი მკვლევარისა შემდეგია: „ასე დაშვებას აადვილებს ისიც, რომ ლაშა-გიორგის ჰქვია არა „ალასტანელი“, არამედ „ალასტანელის შვილი“ (20, 63). უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტ. წყარო არ არის სწორად წაკითხული, სწორედ ლაშა-გიორგი იწოდება „ალასტანელად“ და არა დავით სოსლანი, რაც თავისთავად საფუძველს აცლის ლ. ტუხაშვილის მოსაზრებას. საუბარია XVIII ს. I ნახევრის ძალზე საინტერესო ისტორიულ ქრონიკაზე, რომელსაც ე. თაყაიშვილმა უწოდა „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“, სადაც აღნიშნულის საპირისპიროდ ვკითხულობთ: რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ (ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ, საუბარია რუსუდანის შემდგომ ხანაზე), „ამ დროს ალასტანელისა შვილი დავით (დავით ულუ, დ.ნ) მეფე მივიდა ყაენს წინაშე მეფობისა გამოსათხოვნად. და ვიდრე იქით მოუბრუნდებოდა, მოუხდეს თათარნი და სრულად სამცხის სახლი გარდავლნენ (21, 65). როგორც ვხედავთ, პირიქით, „ალასტანელი“ სწორედ ლაშა-გიორგია (ასე გაიგო ყველა წამკითხველმა) და არა დავით სოსლანი. არსად, არც ერთ წყაროში დავით სოსლანი არ იწოდება „ალასტანელად“, ამდენად, ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს ვერ გავიზიარებთ. რაც მთავარია, მოსაზრება „ციხე-სიმაგრე ალასტანი“ აგებული იქნა დავით სოსლანთან დაკავშირებით, აშკარა შეუსაბამობას შეიცავს, რადგან ჯავახეთის ეს პუნქტი უფრო ადრე ჩანს წარმოქმნილი და დაწინაურებული; იგი მანამდე სამეფო სადგომიც კი უნდა ყოფილიყო დლივთან, ღრტილასთან და ბოყანოსთან ერთად — ამას კი ადგილი აქვს თამარდავით სოსლანის ხანამდე. ასევე ხაზგასასმელია, რომ ალასტანის ეკლესია X—XI სს. თარიღდება, რომელმაც საინტერესო წარწერებიც შემოინახა; ვ. სილოგავას მიხედვით, პალეოგრაფიული ნიშნები წარწერის ამ პერიოდით დათარიღებას უჭერს მხარს, ე. ი. ისინი ეკლესიის აშენების თანადროულნი ჩანან, ამიტომ წარმოადგენენ ნუსხურით შესრულებულ ერთ-ერთ უადრეს წარწერებს (21, 171). ჩვენი აზრით ალასტანი — ასეთი სახელწოდების პუნქტი დავით სოსლანამდეც არსებობდა, ამიტომ უფრო ადრე არსებულ, დაწინაურებულ „ალასტანს“, ბუნებრივია, შემდგომ ხანებში მოლვაწე

დავით სოსლანის გამო ვერ შეერქმეოდა აღნიშნული სახელი.

ჯავახეთის ძირითადი ნაწილისაგან ჩრდილო რეგიონის ასეთი იზოლირებულობა — გამოცალკევებულობა გვიანაც გამოვლინდა, კერძოდ გურჯისტანის ვილაიეთის ჯაბა დავთარში.

თურქების მიერ ჯავახეთის დანაწილებას, როგორც ცნობილია, საფუძვლად დაედო უკვე ძველადვე არსებული ტრადიცია. მისი ლივებად და ნაჰიებად დაყოფა ნებისმიერი არ ყოფილა, თითოეული მათგანი ეს იგივე ძველი ქართული მიკროქვეყნები იყო, რომელთაც თავიანთი ინდივიდუალური ფიზიკურ-გეოგრაფიული, მეურნეობრივი თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნები ახასიათებდათ (16. 13). ამ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ რაიონებს შორის ერთ-ერთი იყო სწორედ ალასტანის რეგიონი. იგი დავთრის მიხედვით დანაწილებაშიც კვლავ ახალქალაქისაგან ცალკე მიკროქვეყანაშია — ალასტანი ჯავახეთის უფრო ჩრდილოეთში მდებარე ხერთვისის ლივაშია, ახალქალაქის ლივა კი ამ პროვინციის სამხრეთ ტერიტორიებს აერთიანებს. განსაკუთრებით კი ის არის აღსანიშნავი, რომ ხერთვისის ლივაში ალასტანის რაიონი ცალკე ნაჰიესაც ქმნის. ეს ტერიტორია თრიალეთისა და თორისაგან მაღალი ქედებით არის გამოყოფილი, ახალქალაქის ლივისაგან ბარალეთისა და ფარავნისწყლებით. ხოლო სამცხისა და ხერთვისისაგან ზეგნის ბუნებრივი დასასრულით. ხერთვისის ლივაში ალასტანის რაიონი რომ ცალკე ნაჰიეს ქმნის არც უნდა იყოს მოულოდნელი, რადგან ისინი ტრადიციული ჯავახური ისტორიულ-გეოგრაფიული „მიკროქვეყნები იყვნენ", მათ შორის იყო ჩრდილო ჯავახეთის აღნიშნული რეგიონიც, ცენტრით ალასტანი. თურქთა მიერ დანაწილებამ ეს ტერიტორია შეინარჩუნა ცალკე ნაჰიედ, რომელიც დავთარში ტყე-ჯავახეთის სახელწოდებითაა აღნიშნული.

დავთრის მიხედვით დანაწილება იმდენად ვერ ცვლიდა ტრადიციით განმტკიცებულ ქართულ მიკროქვეყანათა საზღვრებს, რომ მათ ძველ სახელწოდებასაც კი უტოვებდა. მაგრამ რაც შეეხება ჩრდილო ჯავახეთის რაიონს, მას ძველი ცენტრის სახელი არ შერჩა, რადგან XVI საუკუნეში, როგორც სოფლის ისტორიის შესწავლამ გვიჩვენა, ალასტანი იმდენად დამცრობილია, რომ ველარ ასრულებს პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას. ეს რეგიონი ტყე-ჯავახეთად იწოდა, რომლის სახელშიც გეოგრაფიული ფაქტორი , ამჯერად მისი ტყიანობა აღინიშნა. როგორც ვხედავთ, „გურჯისტანის ვილაიეთის ჯაბა დავთარსაც" შეუნარჩუნებია ალასტანის მხარის გამოცალკავებულად არსებობის ტრადიცია. ტყეები ჯავახეთში ვახუშტის დროსაც უნდა ყოფილიყო, როგორც ალ. ფრონელი (1861—1916) აღნიშნავს, იგი მას თვავდ უნახავს. ს. ღრტილაში: მასვე ამავე დროს დაუდასტურებია კოთელიელთა გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ჯავახეთში არზრუმიდან მოსულ სომხებს გაუნადგურებიათ, რადგან მისი მოვლა-პატრონობა არ იცოდნენ (191—160).

ვფიქრობთ ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ ასეთი რეგიონი თავისი ბუნებრივი თუ ადმინისტრაციული საზღვრებით, იზოლირებულობით, სავსებით გამოდგებოდა XIVს. ალასტანელებისათვის. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურადაც კი გვეჩვენება აქ „პროვინციის მეფეთა" გაჩენა. ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად იკვეთება ის ტერიტორია, რომელიც ალასტანელ „პროვინციის მეფეებს" ეპირათ ჯავახეთში, იგი დაახლოებით შემდეგდროინდელი ტყე-ჯავახეთის ნაჰიეს საზღვრებში უნდა ჯდებოდეს. ჯავახეთის მიწებისაგან გამოყოფილი ეს ტერიტორია, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ალასტანელ „პროვინციის მეფეთა" მთავარ-ცენტრალურ სამფლობელოს, სადაც მდებარეობდა მათი რეზიდენციაც, თუმცა, მოსალოდნელია და არც არის გამორიცხული, რომ მათ თავიანთი გავლენა ჯავახეთის ზოგიერთ სხვა მამულებზეც ჰქონოდათ. მაგრამ ამ იზოლირებულ რეგიონში ალასტანელ „პროვინციის მეფეებს" ფეხი რომ მოეკიდებინათ და ფლობა დაეწყოთ, გარკვეული საფუძველი და ნიადაგის მომზადება იყო საჭირო. სწორედ ეს მომენტებია, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებული დავით VIII სახელთან.

დავითის ძმის-ვახტანგ მესამის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, დავითსა და მონღოლებს შორის გარკვეული შეთანხმება მომხდარა, რასაც 1308 წელს მისი შვილის — გიორგი VI მცირის გამეფება მოჰყვა. ეს მაშინ მოხდა, როცა მიიცვალა სამცხის მთავარი ბექა ჯაყელი. მის გარდაცვალებას 1308, ზოგჯერ კი 1306 წ. ათარიღებენ. თავად ვახუშტიც (14, 701) ერთგან პირველ, მეორე ადგილზე კი მეორე თარიღს მიუთითებს; მაგრამ ვახუშტისავე სხვა მითითებები (გიორგი მცირემ 10 წელი იმეფა და ქრონოლოგიურ ცხრილში 1308 წ. აღნიშნა) 1308 წელს უჭერენ მხარს. ამდენად, 1308 წლიდან მეფობს დავით VIII უმცროსი ძე—გიორგი VI მცირე, ხოლო 1311 წელს, დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ, არსებობს რა ალასიანის რეგიონში მომზადებული ნიადაგი, მისი უფროსი ვაჟი — მელქისედეკი პირველი ალასტანელი „პროვინციის მეფე" ხდება (13).

ამდენად, ასეთი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის არსებობითა და ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარებით უსარგებლიათ ტახტს

ჩამოცილებულ, უკვე გვერდითი შტოს ბაგრატიონებს; როგორც ჩანს, კიდევ უფრო შეუწყვიათ ხელი ამ ტერიტორიებზე მფლობელობისათვის აუცილებელი პირობების შექმნისათვის და საბოლოოდ, ჩამოყალიბებულან როგორც მთელი შტო, რასაც ალასტანელ ბაგრატიონებს, ე. წ. „პროვინციის მეფეებს" უწოდებთ.

ცნობილია შემდეგი ალასტანელი პროვინციის მეფეები; მელქისედეკი (1311—1320), მისი მეუღლე თამარი (1320—1340) და ძე გიორგი; მელქისედეკის ძმა — ანდრონიკე (1340—1354), მისი ძეები — გიორგი ალასტანელი (1354—1373) და დავითი* (1354 — 1382); დავითის ძეები გიორგი და ალექსანდრე (ამ უკანასკნელთა „პროვინციის მეფობა" ისტორიული წყაროებით არ დასტურდება). ალასტანელ ბაგრატიონთა უპირველეს, მთავარ, ცენტრალურ სამფლობელოს ჯავახეთის გარკვეული რეგიონი — ალასტანი და მისი მიმდინარე ტერიტორია წარმოადგენდა. თანდათან ისინი თავიანთ მფლობელობას ავრცელებენ ჯავახეთის ზოგიერთ სხვა მამულებზე, ისტორიული წყაროებით უდავოა მათი „მეფობა" ქვემო ქართლში — ლორეს მხარეში 1373 წ. ლორესთან თურქმანებთან ბრძოლაში გიორგი ალასტანელის დაღუპვას საქართველოსათვის ამ მხარის დაკარგვა მოჰყვა); რაც ძალზე მნიშვნელოვანია მათი მფლობელობა — „მეფობა" დასტურდება ისტორიული სომხითის ტერიტორიებზეც, რის შესახებ შესანიშნავად მეტყველებს ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტრის 1320 წ. სომხურენოვანი წარწერა. თავისთავად, XIII ს. ბოლოსა და XIV ს. I ნახევარში, მონღოლთა ბატონობის ხანაში, სომხეთის ისტორიულ პროვინციებზე საქართველოს მეფეთა, ასევე უფლისწულთა და ალასტანელ ბაგრატიონთა — „პროვინციის მეფეთა" ფლობა — ბატონობა უარყოფს სომხურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ თვალსაზრისს XII საუკუნიდან ერთიანი ქართული სამეფოსადმი სომხეთის დაქვემდებარების ნომინალური ხასიათის შესახებ და ადასტურებს რომ ამ პერიოდში სომხეთის ეს რეგიონები სოციალურ-პოლიტიკურად საქართველოს სამეფოს შემადგენელ და ორგანულ ნაწილებს წარმოადგენენ.

აღსანიშნავია რომ რადგან ალასტანელი ბაგრატიონები კანონიერი მეფის დავით VIII (1293—1311) შთამომავალნი ანუ, „ჟამთააღმწერლის სიტყვებით, „შვილნი დავით მეფისანი" არიან, ამიტომ მათი ერთი ნაწილი თავიანთი მამის ზოგიერთ სხვა ყოფილ სამფლობელოებზეც ცდილობს კუთვნილი უფლებების აღდგენას. ანდრონიკე და მისი ძე — დავითი პრეტენზიას აცხადებენ და კიდეც ფლობენ შიდა ქართლის გარკვეულ სამფლობელოებში. შესაძლებელია, ანდრონიკეს, როგორც ბატონიშვილს, ჯერ კიდევ მეფე — მამის დავით VIII მეფობის ხანაში ჰქონოდა ამ რეგიონში სამფლობელოები, ხოლო „პროვინციის მეფობის" პერიოდში აღადგინა თავისი გარკვეული გავლენა.

XIV ს. 80-იანი წლების ბოლოსათვის ალასტანელ ბაგრატიონთა სამფლობელო რეგიონებში „პროვინციის მეფეთა" მფლობელობისათვის საჭირო, აუცილებელი პირობები ქრება, ამიტომ ბაგრატიონთა ამ შტოს წარმომადგენლები თავიანთ სამფლობელოებს კარგავენ; ამის შედეგად ალასტანელ „პროვინციის მეფეთა" შტოს არსებობა წყდება, ხოლო აღნიშნული მამულები გაერთიანებულია ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანა" ზვარეთში.

## ლიტერატურა

1. ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, „საქართველოს ისტორიის საკითხები" I თბ., 1964.

2 А. Клдиашвили. Роспись западного предела церкви Ананаури в Вардзиа ктиторский портрет. сб. «Пещеры Грузии», спелеологический сборник, 12, Тб., 1988. მისივე, ანანაურის მოხატულობა, გაზ. „თბილისი". 6 X, 1986; მისივე, რა ხელმა დახატა... გაზ. „ასპინძა", 5 X, 1986.

3. თ. ლომოური, ახალციხის ზარაფხანა, „საქ. სახ. მუზეუმის მოამბე", XII—B, თბ., 1944.

4. დ. კაპანაძე, უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების შესწავლის საკითხისათვის, „საქ. სახ. მუზეუმის მოამბე", XIV—B, თბ, 1947.

5. პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 2, თბ., 1942.

6. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966.

7. დ. ნინიძე, სოფელ ალასტანის ისტორი-

* „პირთა ანოტირებული ლექსიკონი" ანდრონიკეს შვილად მხოლოდ გიორგი ალასტანელს ასახელებს; რაც შეეხება „მეფე" დავითს „ლექსიკონი" არ იცნობს მის წარმომავლობას (პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI—XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991, გვ. 228, 267).

იდან, „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“, ნაკვ. III. თბ., 1987.

8. „ძეგლი ერისთავთა“, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954.

9. თ. ლომოური, დავით VII-ის და ვახტანგ III-ის ფულები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე“, XV—B, თბ., 1948.

10. ჟამთააღმწერელი, „ქართლის ცხოვრება“ II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ,თბ., 1959.

11. დ. ნინიძე, XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი, თსუ შრომები, 283, თბ., 1989.

12. Р. К. Кикнадзе. Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе «Картлис цховреба», Тб., 1980.

13. დ. ნინიძე, მ. სანაძე, ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერა და ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, 1990, № 3.

14. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „ქართული ცხოვრება“, IV, თბ., 1973.

15. გ. ანჩაბაძე, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლა მცირეაზიული მომთაბარე ტომების წინააღმდეგ. ქრ., „დიდგორი“, თბ., 1991.

16. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ზემო ქართლი — თორი, ჯავახეთი);, თბ., 1985.

17. ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.

18. მ. ბერიძე, სპარსული ელემენტარული ჯავახეთის ტოპონიმიაში, „ონომასტიკა“, I, თბ., 1987.

19. ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., 1991.

20. ლ. ტუხაშვილი, ფარაონთა და ხალიფათა ტახტების მფლობელნი, წ. I, თბ., 1992.

21. ე. თაყაიშვილი, — მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“ და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ, „ძველი საქართველო“, II, ტფ. 1913 .

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათელა დედაბრიშვილის მოგონება შიო არაგვისპირელზე

სულ პირველად ვცხოვრობდით კალინინის ქუჩაზე, 68 ნომერი იყო, მგონი მაშინ ორივე სართული ჩვენ გვეკავა. მერე გადავედით ორჯონიკიძის ქუჩაზე, 1910 წელს.

დედა, ბაქრაძე მარიამ სიმონის ასული, წარმოშობით რაჭველი იყო. დედის მამა თორმეტი წლის ჩამოსულა თბილისში. ჯერ პირველი გიმნაზია დაუმთავრებია, ხოლო შემდეგ სამხედრო ხაზით გაუგრძელებია სწავლა, მგონი, შტაბს-კაპიტანი იყო, თუ პოლკოვნიკი რომ გარდაიცვალა. მახსოვს, პენსიაზე გასვლის შემდეგ თეთრწყაროში მისცეს სახლი და იქ ცხოვრობდა სიკვდილამდე.

ბებიაჩემი ადრე გარდაიცვალა და დედის აღზრდა ბაბუამ იკისრა. საკმაოდ კარგადაც აღზარდა. ამ მხრივ დედაჩემს უდედობა არ დასტყობია. ეგ არის, რომ ბაბუაჩემი რუსეთში მსახურობდა სულ და თავის ქალიშვილსაც რუსული განათლება მისცა.

დედა 20 წლისა პარიზში წასულა. იქ შვიდი წელი სწავლობდა და სამი წელი მუშაობდა პასტერის ინსტიტუტში. შესთავაზეს თურმე, დარჩი აქაო, მაგრამ დედამ უარი უთხრა და სამშობლოში დაბრუნდა. სხვათა შორის, ის პირველი ქართველი ექიმი ქალი იყო, რომელმაც პარიზში დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. რაც თავი მახსოვს, დედა სულ მუშაობდა, ბოლოს ქალაქის კონსულტანტი — ინფექციონისტი გახდა. ომის დროს ბევრს მუშაობდა და გარდაიცვალა 1942 წელს.

მამა უფრო ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, 1926 წელს.

მამის მამა, ზაქარია დედაბრიშვილი, მღვდელი იყო სოფელ ქაისხევიდან; ახლა თანდილაანთკარი ჰქვია იმ სოფელს, ბაბუა არ მახსოვს სრულებით, ის ადრე გარდაიცვალა, მე არ მინახავს.

დიდედა ნინოც ბუნდად მახსოვს. მამას ზამთრობით ჩამოჰყავდა ხოლმე ჩვენთან. ლამაზი ქალი იყო თურმე ძალიან. მამიდა მაშო ჰგავდა იმას.

მამიდა 15-16 წლისა მიათხოვეს ფასანაურელ მდიდარ ვაჭარს. კაიშაური იყო ის კაცი გვარად. ცოლი ჰყავდა მკვდარი, მისი ორი შვილი მამიდაჩემმა გაზარდა. სამწუხაროდ, ამ ლამაზ და ჭკვიან ქალს საკუთარი შვილი არ ჰყოლია. თავდაჭერილი იყო და ძალიან უყვარდა მთელ რაიონს. „დედი"-ს ეძახდნენ, ეს კარგად მახსოვს.

მამაჩემს ბევრი და-ძმა ჰყავდა, მაგრამ ადრე დახოცვია ყველა, ზოგი სახადით, ზოგი კიდევ რით. მე მხოლოდ მამიდა მაშო მახსოვს, მამიდა ანეტა, რომელიც ახატანში იყო გათხოვილი და ერთი ბიძა — გიორგი, ისიც მღვდელი.

დედაჩემმა და მამაჩემმა თბილისში დაბრუნების შემდეგ გაიცნეს ერთმანეთი; მამა ხომ ვარშავაში სწავლობდა, საზეითლო ინსტიტუტში. სხვათა შორის, ადრეც შეხვედრიან ისინი ერთმანეთს, გემზე, ერთ საერთო ნაცნობს მოუნდომებია კიდეც მათი გაცნობა, მაგრამ დედას შორს დაუჭერია: ამ საშინელ კაცთან რა უნდა მქონდეს საერთოო. მოგვიანებით კი მათ იდეალური ოჯახი შექმნეს.

ყველა დაიხოცა ჩემი ოჯახის წევრებიდან, მელა დავრჩი. ჩვენ ვიყავით ოთხნი, მე უფროსი შვილი გახლდით, ჩემს შემდეგ იყო ძმა — ბიძინა, რომელიც ადრე გარდაიცვალა, მერე — და და მერე სულ უმცროსი ძმა შოთა, მხატვარი რომ იყო.

ძალიან მეგობრული ოჯახი გვქონდა, დედა და მამა არც ჩხუბობდნენ არასოდეს და არც მაღალი ხმა გამიგია მათი, ერთმანეთს დიდ პატივს სცემდნენ.

ტრადიცია როგორი გვქონდა ოჯახში, იცით? მშობლები დილით ადრე წავიდოდნენ სამსახურში. ჩვენ ვრჩებოდით მოსამსახურეებთან, ისინი გვივლიდნენ. სამ საათზე დედა და მამა სახლში მოდიოდნენ, ერთად დავლევდით ჩაის, ნა-

ვახშმევს ბავშვები დასაძინებლად წავიდოდით, მამა და დედა კიდევ... ძალიან უყვარდათ ამ დროს ერთმანეთში საუბარი, შემდეგ დედაც დაიძინებდა, მამა გვიანობამდე მუშაობდა თავის კაბინეტში, ზოგჯერ იქვე იძინებდა, ხშირად კი მთელი ღამე წერდა და სულ ეწეოდა თუთუნს. დილით, დედა რომ გააღებდა კარებს, სულ ბოლით იყო სავსე ოთახი, ამან დაღუპა მამა. ჰოდა, თუ კი რამე დაუწერია მამას, ყველაფერი — ღამე, ღამე წერდა. მამა რომ გარდაიცვალა, იმ დილითაც ჩვეულებრივად შევიდა დედა კაბინეტში, მაგიდაზე დახვდა ქაღალდი, რომელზეც ერთადერთი წინადადება ეწერა: „თავი არ მუშაობსო“. ეს ქაღალდი ეხლა ლიტერატურის მუზეუმში ინახება, ესე იგი, ღამე უკვე აღარ შეეძლო წერა. ადგა დილით და ბალკონზე გავიდა, მზარეულმა რომ შეატყო უგუნებობა, მივიდა და ჰკითხა, — რაო, ბატონო შიოო. ცოტა შეუძლოდ ვარო, უპასუხა მამამ, ტახტზე წამოწვა იქვე, ბალკონზე და ასე გარდაიცვალა, უხმოდ.

მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ და მამას მე ვუყვარდი ყველაზე ძალიან, მაგრამ ბავშვები არ ეჭვიანობდნენ რატომღაც. მამას ყველაზე მეტად ნათელა უყვარსო, იცოდნენ ამის თქმა. ისე, ყველას ერთნაირად გვეშინოდა და გვერიდებოდა მისი. არც გაგვიჯავრდებოდა, არც გვცემდა, ერთს შემოგვხედავდა და უკვე ვიცოდით, რომ წესრიგში უნდა ვყოფილიყავით. თანდათან, რომ ვიზრდებოდით, უფრო და უფრო ვმეგობრდებოდით. ზოგჯერ აზრებსაც მიზიარებდა. საერთოდ კი ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარდა. რომ მოვუჯდებოდი და დავიწყებდი საუბარს, მაშინ თუ გამცემდა ხმას. ზოგიერთი წინადადება ისე კარგად მახსოვს... ერთხელ მითხრა, რამდენჯერმე გაიმეორა: — „იცი, რას გეტყვიო, ძალიან უნდა გიყვარდეს შენი სამშობლოო, ძალიანო“.

მამას პირველი მეგობარი იყო თედო სახოკია. ის, ხომ იცით, მეგრელი, დიდი მოლაპარაკე. მამაჩემი ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა, თედო ლაპარაკობდა სულ. ხუთშაბათობა ჰქონდა მამას. ხუთშაბათს მოდიოდნენ ოჯახის მეგობრები. განსაკუთრებით ხშირად მოდიოდნენ თედო სახოკია და შაქრო ბილანიშვილი, იყო ასეთი საზოგადო მოღვაწე. კიდევ მოდიოდნენ დედას მეგობრები — ექიმები. მამა რომ გარდაიცვალა, ეს ხუთშაბათობა დარჩა. თედო, სანამ ცოცხალი იყო, სულ მოდიოდა ხუთშაბათობით. ჩვენ ვიცოდით, რომ ამ დღეს ის უსათუოდ მოვიდოდა. იყო ასეთი ექიმი ხაშა კანდელაკი, არც პროფესორი, არც დოქტორი, ნამდვილი სახალხო ექიმი, დედას დიდი მეგობარი, ისიც მოდიოდა ყოველთვის.

გოგებაშვილი მახსოვს. ის მარტო ცხოვრობდა, ცოლი არ ჰყავდა. საშინლად ეშინოდა გაციების. ისე კარგად მახსოვს, სულ შალი ჰქონდა მოხვეული.

ისინი საუბრობდნენ, მე იქვე ვიჯექი და ვუსმენდი.

ჩვენ რომ გავცივდებოდით და ძალიან ვიფუთნებოდით, დედა გვეტყოდა ხოლმე, სიცილით, გოგებაშვილი ხომ არა ხარო.

თედო სახოკია და გიორგი ლასხიშვილი ჩემი ნათლიები არიან.

იპოლიტე ვართაგავა მახსოვს კიდევ, ისიც ხშირად მოდიოდა.

მახსოვს ვალერიან გუნია. ვახტანგ კოტეტიშვილი მახსოვს. იოსებ გრიშაშვილი მოდიოდა ხოლმე და იოსებ მჭედლიშვილი. აი, ესენი, მახსოვს, მოდიოდნენ. საუბრობდნენ, მეტწილად ჩაის სვამდნენ. მაშინ სხვაგვარი თავშეყრა იცოდნენ. ლაპარაკობდნენ ლიტერატურაზე.

მამას თავისი ადგილი ჰქონდა მაგიდასთან. ხომ იცით, წინათ ოჯახში ყველას თავისი ადგილი ჰქონდა. დედას — სათავეში, მარცხენა მხარეს მამა იჯდა ყოველთვის და წიგნი ჰქონდა მუდამ გადაშლილი. ჩვენ ძალიან ბევრ ლიტერატურას ვღებულობდით, რუსულსაც, ქართულსაც და მუდამ გადაშლილი ჰქონდა წიგნი, ეწეოდა და კითხულობდა, სამუშაო კაბინეტშიც კითხულობდა, მაგრამ იქ მეტწილად წერდა.

კინოში უყვარდა სიარული, მეც წამიყვანდა ხოლმე. უყვარდა მწერალთა კავშირში წასვლა. ზოგჯერ მეც ავეკიდებოდი. ყველაზე ძალიან მსიამოვნებდა რუსთაველზე გავლა. ხელჩაკიდებულები მივდიოდით და თავს რომ უკრავდა ყველას, ეს მომწონდა განსაკუთრებით.

ბავშვი ვიყავი!

მამას ძალიან ახალისებდა ფასანაურში წასვლა. ჯერ ერთი, რომ მამა და მამიდა მაშო დიდი მეგობრები იყვნენ, მეორეც — არაგვის ხეობა უყვარდა. ფსევდონიმიც ხომ აქედან მიიღო — „არაგვისპირელი“.

ჩვენ ხშირად ვისვენებდით აგარაკაზე. დედას უყვარდა წაღვერი, პატარა ცემი, მაგრამ უსათუოდ ცოტა ხნით მაინც ფასანაურშიც წავიდოდით.

მამიდასთან ხომ ჩვენი ჩასვლა ზეიმი იყო. იმ წუთში გაგზავნიდნენ არაგვზე ერთ-ერთ მოჯამაგირეს, მაშინ ბადით იჭერდნენ თევზს. აუარებელი კალმახი იყო იქ. თევზს მოიტანდნენ, ხინკალი გაკეთდებოდა და სადილი ან ვახშამი ეს იყო. მამას ყველაზე ძალიან ეს უყვარდა.

რასაკვირველია, მეგობრებიც ჰყავდა იქ და კარგად დაისვენებდა რამდენიმე დღეს მაინც. მაგრამ, იცით რას გეტყვით? ძალიან გულჩათხრობილი და სიტყვაძვირი კაცი იყო. ზედმეტს არაფერს იტყოდა, არაფერს, სულ ჩუმად იყო. თუ მამა ლაპარაკობდა, ესე იგი რაღაც განსაკუთრებული განწყობილება ჰქონდა.

მამა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. არ მახსოვს, რომელი დღე იყო, კრება ტარდებოდა ყოველთვის. იცით სად? ლენინის მოედანზე, ახლა მეტრო რომაა. იმ ადგილას იყო ამ საზოგადოების შენობა და იქ ჰქონდათ ხოლმე კრებაც. იმ დღეს ჩვენ ვიცოდით, რომ მამა უნდა წასულიყო, საღამოს სახლში არ

იქნებოდა. დანარჩენ დროს თითქმის სულ სახლში იყო. კინოში თუ წავიდოდა.

ჩვენ ოჯახში ასე იყო: მამა ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა. დედა, პირიქით, კარგი მოსაუბრე იყო, მხიარული, ენა მახვილი და ერთმანეთს ავსებდნენ რაღაცნაირად.

დაბადების დღეს უსათუოდ გადაგვიხდიდნენ ოთხივეს.

ინიციატივა დედისაგან მოდიოდა, დედა იყო მთავარი, მამა ოჯახური საზრუნავისაგან თავისუფალი იყო. ბაზარში წასვლა იცოდა ხანდახან, თვითონ მოისურვებდა, თორემ მამას არ აწუხებდა დედა, პირიქით — ზოგავდა. ისე, უსათუოდ ითათბირებდნენ. დედა არაფერს გააკეთებდა მამის უკითხავად. მახსოვს, საწერ მაგიდაში იყო უჯრა, ხელფასს რომ აიღებდნენ, შიგ ჩადებდნენ ფულს, მერე ეტყოდნენ ერთმანეთს, იქიდან ავიღე ამდენი და ამაზე დავხარჯეო. ისე კი არა, ეხლა ზოგიერთი ცოლ-ქმარი ფულს რომ უმალავს ერთმანეთს!

დედა მამას შიოს ეძახდა, მამა — მაროს. დედამ არ იცოდა თავიდან ქართული, ხომ გითხარით, რუსული განათლება ჰქონდა მიღებული. მაგრამ როცა გათხოვდა, მამამ იზრუნა, რომ შეესწავლა ქართული ენა, ყველაფერი წააკითხა.

ძალიან უყვარდა მამას ლიტანიობა. მართალია, სემინარია დაამთავრა, მაგრამ ათეისტი იყო. მიუხედავად ამისა, რელიგიური ზეიმები უყვარდა. ლიტანიობას უსათუოდ წამიყვანდა ქაშუეთში ან სიონში. მეტჯერ ეკლესიაში არ ვყოფილვარ.

მამამ იყიდა მიწა მცხეთაში. მისი ამხანაგი ცხოვრობდა იქ, მრევლიშვილი გოლა, მაყვალა მრევლიშვილის ბიძა. ისიც ბეითალი იყო, ვეტერინარი. იქ წაგვიყვანდა ხოლმე სასეირნოდ კვირას ან შაბათს. უყვარდა მცხეთა. განსაკუთრებით მტკვრის სანაპირო. სახლის აშენებას აპირებდა, მაგრამ აღარ მოხერხდა.

მცხეთობა უყვარდა, მცხეთობა ხომ მაშინაც ტარდებოდა.

ძალიან თავშეკავებული ადამიანი იყო. თუ გაბრაზდებოდა, სულ არ ამოიღებდა ხმას. გახარებული მოგვიალერსებდა. ჩვეულებრივად კი ალერსს არ ამჟღავნებდა. მაგრამ ვგრძნობდით, რომ ძალიან ვუყვარდით. ხელს გადაგვისვამდა თავზე და გვაკოცებდა. ძილის წინ ჩვენც უსათუოდ უნდა გვეკოცნა მამისათვის.

მე რომ გავთხოვდი, ამ ფაქტმა ძალიან იმოქმედა მამაზე. ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა მისგან წავსულიყავი.

ერთხელ, როცა უკვე შვილი უნდა მყოლოდა, ასეთ ამბავს შევესწარი. ჩვენი ნაქონი აკვანი გამოეტანა გარეთ და ღებავდა. მისგან ასეთი სინაზის გამომჟღავნება არაჩვეულებრივი რამ იყო.

მამა გახლდათ ჩინოვნიკი, როგორც მაშინ ამბობდნენ ე. ი. მოსამსახურე. მათ ჰქონდათ თავისი ფორმა, მაგრამ მამას ის თავის სიცოცხლეში არ ჩაუცვამს. ვერ იტანდა, ყოველთვის ძალიან კარგ კოსტუმს შეიკერავდა. ამ კოსტუმით დადიოდა სამსახურში და ვერავინ უბედავდა იმის თქმას, ფორმა ჩაიცვიო. უყვარდა ჩაცმა. ისე კი არა, რომ ხშირად ეცვალა ტანსაცმელი, არა, ორი-სამი კოსტუმი ჰქონდა, მაგრამ კარგი.

მამა იყო ძალიან მართალი კაცი, რა მხრივ, იცით? ვერ იტანდა ტყუილს. აი, რაც უნდა იყოს, პირდაპირ მითხარითო. ეს ჩაგვინერგა ჩვენც.

გახსოვთ, ალბათ, სახოკიას აქვს თავის მოგონებაში, ერთი ინციდენტი, სასაკლაოზე მუშაობისას რომ შეემთხვა მამას. ის საქონელს ლებულობდა და ვიზას აძლევდა ბაზარზე გასასვლელად. ერთხელ დაავადებული საქონელი შემოვიდა, დაიწუნა. ამაზე ერთიამბავი ატყდა და პროცესამდე მივიდა საქმე.

ასეთი კაცი იყო. ვერ მოინელებდა ტყუილს და ღალატს.

„გაბზარული გული“ იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისარტყელაში“. რამდენ ნომერშია დაბეჭდილი, არ ვიცი, არ მახსოვს. თანდათან წერდა მამა. ჰოდა, ეს რომ იბეჭდებოდა, შემდეგი ნომერი არ გამოვიდოდა, სანამ მამა არ მისცემდა გაგრძელებას. თურმე არ იყიდებოდა ჟურნალი, თუ შიგ არ იყო „გაბზარული გული“. ისე კარგად მახსოვს, მოდიოდა ობოლი მუშა და მიჰქონდა ახალ-ახალი თავები. ერთხელ მამას სიცხე ჰქონდა და ვერ ადგა ლოგინიდან. მოვიდა ობოლი მუშა და უთხრა, მომეცი ახალი თავიო. არ შემიძლია ეხლა წერა, ავად ვარო, უპასუხა მამაჩემმა, მომიცადე ცოტა ხანს და დავწეროო. არაო, იცით, ნომერში უნდა გამოვიდეს და არ იყიდება თუ „გაბზარული გულის“ გაგრძელება არ არისო. კარგიო. ავადმყოფი ადგა და დაწერა ბოლო თავი. რომ დაწერა და მისცა, მამამ მითხრა, იცი რაო, ბოლო არ მომწონს, უნდა გადავაკეთოო და როგორ, ჯერ არ ვიციო. მაგრამ ვერ მოასწრო, მალევე გარდაიცვალა.

„გაბზარულ გულს“ რაღაც ძალიან განიცდიდა, როცა წერდა. ისე, არასოდეს არ უკითხავდა თავის ნაწერებს სხვებს. როცა დაიბეჭდებოდა, მაშინ ვკითხულობდით. რაღაცნაირი ტიპი იყო, გულჩათხრობილი და ჩუმი.

ლამაზი კაცი იყო, საშუალო ტანისა, შავგვრემანი, ცოტა ამოწეული თვალებით, პატარა წვერი ჰქონდა, პატარა ულვაშები, თმა ძალიან შავი ჰქონდა სიკვდილამდე, უკან გადავარცხნილი, კბილები... არასოდეს კბილის ექიმთან არ ყოფილა.

საჭმელებიდან ძალიან უყვარდა ლობიო, ლობიო პირდაპირ იმის წამალი იყო. ტკბილი არ უყვარდა. მთელი სიცოცხლე უშაქრო ჩაის სვამდა.

ღვინო სუფრაზე ყოველთვის გვქონდა.

ზამთარში პალტო ეცვა და მუდამ ქუდი ეხურა. ზაფხულში ჩალის ქუდით დადიოდა და თე-

თრი პიჯაკით. მოუწესრიგებელი არასოდეს გასულა გარეთ, მუდამ მოვლილი დადიოდა.

ლექსების კითხვა უყვარდა, თუ კარგი ლექსი იყო და კარგი პოეტი, მაგრამ ისე დაამთავრა სემინარია, თვითონაც მიამბობდა ამას, რომ ლექსი ზეპირად არ უსწავლია. იცოდნენ პედაგოგებმა ეს ამბავი და პატიობდნენ.

მისი მასწავლებელი სემინარიაში თბილისში ვასილ ბარნოვი იყო.

როგორ უყვარდა საქართველო, თქვენ ვერ წარმოიდგენთ და მეც ჩამინერგა სამშობლოს სიყვარული, რომ მომკლან, ვერსად ვერ წავალ საცხოვრებლად.

რა უნდათ ჩემი ოჯახის წევრებს — დედაბრიშვილებს ლოს ანჟელესში?! ახლა ორი საკითხი, რომლებიც ძალიან მაწუხებს, პირველი სახლ-მუზეუმის გახსნა გახლავთ, იმ სახლში, სადაც ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა სინამდვილეში. ამ თხუთმეტი-თექვსმეტი წლის წინ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა იროდიონ გოგორიშვილმა ჩვენს გვერდით გამონთავისუფლებულ ოთახებში გამოფენა მოაწყო, მამაჩემის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. იმის შემდეგ არაფერი შეცვლილა. ნუთუ არ შეიძლება ამ საკითხის მოგვარება?

მეორე: მამას უამრავი ხელნაწერი დარჩა. დედა თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მათ. 1937 წელს უნივერსიტეტის რექტორი პეტრე აღნიაშვილი სწვევია დედას სახლში: გავიგე, შიო არაგვისპირელს გამოუქვეყნებელი მოთხრობები დარჩენია, მომეცი და ჩვენს სტამბაში დავბეჭდავო. დედაჩემმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი მისცა. იმავე წელს პეტრე აღნიაშვილი დააპატიმრეს და მამას ხელნაწერები მის პირად ბიბლიოთეკასთან ერთად გაქრა. რა ბედი ეწვია მათ, არ ვიცი, იქნებ, კიდევ შეიძლებოდეს მოძებნა?

მოგონება ჩაიწერა ზინა მჭედლურმა.

## წიგნების მიმოხილვა

# ახალი ნაშრომი საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. თავი რომ დავანებოთ ლეონტი მროველის ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ დაკვირვებებსა თუ მიხვედრებს, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია უკვე ვახუშტი ბაგრატიონთან მყარ მეცნიერულ პრინციპებზე ჩამოყალიბებული დისციპლინაა.

XX საუკუნეში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა ახალ თვისობრივ საფეხურზე აიყვანეს ივანე ჯავახიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, სარგის კაკაბაძემ, ნიკო ბერძენიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, სიმონ ყაუხჩიშვილმა, ლევან მუსხელიშვილმა, დავით მუსხელიშვილმა და სხვებმა.

საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიული კვლევა, კვლევა მეცნიერებისა, რომელიც ისტორიისა და გეოგრაფიის შესაყარზეა, ისე წარიმართა, რომ მასში პრიორიტეტი ისტორიკოსებს ეკუთვნის. სასიამოვნო ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ისტორიულ გეოგრგაფიაში სპეციალურად მუშაობს გეოგრაფი კობა ხარაძე, რომლის კვლევის სპეციფიკა გაგმომჟღავნდა ისტორიულ ფიზიკურ გეოგრაფიასა, ისტორიულ კარტოგრაფიასა, ისტორიულ ტოპონიმიკასა და ისტორიულ დემოგრაფიაში.

კობა ხარაძის ნაშრომი „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (ქართლი)“ შედეგია მკვლევარის მიერ გაწეული მრავალწლიანი, დაუღალავი შრომისა. იგი შედგება სამი ნაწილისაგან: ზემო, შიდა და ქვემო ქართლი, რომელთაგან ორი უკანასკნელი წიგნებად არის წარმოდგენილი“.*

ქართლის ისტორიული გეოგრაფიის ცალ-

* რეცენზიაში მითითების გამარტივების მიზნით შემომაქვს აღნიშვნები: I — ზემო ქართლი, II — შიდა ქართლი, III — ქვემო ქართლი; გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991 წელი და გამომცემლობა „განათლება“, 1992 წელი.

კეული საკითხების შესწავლა საშუალებას მოგვცემს ახლებურად გაშუქდეს რიგი მონაცემები, რომლებიც ნაკლებად იყო გადმოცემული. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ძველი ტოპონიმების გამოვლენას ისტორიულ და კარტოგრაფიულ წყაროებში და მათ ლოკალიაციას. დამატებითი შესწავლის საფუძველზე ნაწილი ტოპონიმების ლოკალიზაციის გაუკეთდა კორექტირება. მოხდა მრავალი ძველი ტოპონიმის ლოკალიზაცია და შედგა შესაბამისი რუკები. მიღებული მასალა, ავტორის აზრით, საშუალებას მოგვცემს გამოყენებულ იქნას იგი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასის შედგენის დროს. ჩატარდა სამუშაო მოსახლეობისა და დასახლებული პუნქტების სიმჭიდროვის რეტროსპექტულ კარტოგრაფირებაზე.

სარეცენზიო ნაშრომის მიზანი ასეა განსაზღვრული: „ლიტერატურული და ისტორიული წყაროების საფუძველზე, აგრეთვე საველე დაკვირვებებით, დადგინდა ქართლისა და მასში შემავალი მხარეების ისტორიული საზღვრები, რის შედეგად გამოიხაზა ზემო, შიდა და ქვემო ქართლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა; გამოანგარიშებულ იქნა ცალკეული დანაყოფების ტერიტორიული მოცულობა და მოსახლეობისა და დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვე".

მიჩნდება კითხვა: მაგრამ როდის, რა პერიოდისათვის? ნაშრომში ეს გაკეთებულია მხოლოდ XVIII საუკუნისათვის. ყველა ეპოქას აქვს თავისი გეოგრაფია — ეს არის ისტორიული გეოგრაფიის სპეციფიკა.

შრომაში დიდი ადგილი უკავია ტოპონიმებს, მათ ლოკალიზაციასა და ეტიმოლოგიას. ეთნიკური ცვალებადობა, მოსახლეობის განლაგება და მიგრაცია ტოპონიმებთან მჭიდრო კავშირშია განხილული. დადგენილია მრავალი გეოგრაფიული სახელწოდების ობიექტების ადგილმდებარეობა.

ნაშრომში დახასიათებულია ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი და აღნიშნულია რელიეფისა და მცენარეული საფარის ის ცვლილებები, რაც განიცადა რეგიონმა უძველესი დროიდან დღემდე.

ავტორის აზრით, ზემო ქართლის ტერიტორიაზე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა უძველესი დროიდან ქართული იყო. სამცხე-ჯავახეთში შიდა და ქვემო ქართლიდან ხდებოდა მიგრაცია, ხოლო მოგვიანებით, პირიქით, აქედან სხვა მხარეებისაკენ მიმდინარეობდა ეს პროცესი. მიგრაციული პროცესები ძირითადად მტრისაგან შევიწროვების შედეგი იყო. შევიწროვება ხდებოდა არა მარტო იმით, რომ ხელისუფლებას და ქონებას ართმევდნენ, არამედ აიძულებდნენ მაჰმადიანობა მიეღოთ.

ოსმალეთის მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ მიმდინარეობდა მოსახლეობის გამაჰმადიანება. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ სახელმწიფო სამსახურში მაჰმადიანებს უპირატესობას ანიჭებდნენ. ასე გაგრძელდა XIX ს-მდე. შემდეგში 1828-1829 წლების ომიანობის შემდეგ, ჯავახეთის შემოერთებით დაიწყო ქართველ მაჰმადიანების თურქეთში მიგრაცია, ხოლო თურქეთიდან სომხების, ქურთების, ბერძნების მასობრივი გადმოსახლება ჯავახეთის ტერიტორიაზე, ხოლო ცოტა მოგვიანებით, რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან რუსი სექტანტების (დუხობორების) გადმოსახლება (გვ. 23-24).

კ. ხარაძის აზრით, შიდა ქართლის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში, ადრეულ შუა საუკუნეებში, ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა საუკუნეთა მანძილზე თითქმის უცვლელი იყო. მხოლოდ XVII ს.-ის მეორე ნახევრიდან დაიწყო ეროვნულ შემადგენლობაში ცვლილებები და XIX ს.-ში საგრძნობი გახდა (იქვე, გვ. 24).

ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, ადრეულ ხანებში, შიდა ქართლში, ქართველების გვერდით, მოსახლეობდნენ ვეინახები, სომხები, ებრაელები. ეს განსაკუთრებით ითქმის ქალაქის მოსახლეობაზე.

კ. ხარაძემ შეადგინა XVIII საუკუნის შიდა ქართლის მოსახლეობის განლაგების, სიმჭიდროვისა და დასახლებული პუნქტების სიხშირის რეტროსპექტული რუკები.

ავტორის მტკიცებით, ქვემო ქართლის ტერიტორიაზეც, ცხადია უძველესი დროიდან მოსახლეობა ქართული იყო, რომელსაც ადრიდანვე შერევია სომეხი მოსახლეობა. მოსახლეობის რაოდენობამ ამ მხარეში განსაკუთრებით XVII ს-დან იკლო და მინიმუმს XVIII ს-ში მიაღწია (გვ. 25).

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მოსახლეობის ხელახალი დასახლება განსაკუთრებით XIX ს-ში მიმდინარეობდა. სწორედ ამ პერიოდში გაემიჯნა ქართველ და არაქართველ მოსახლეთა დასახლება. თურქული მოდგმის ხალხის გავრცელება ქვემო ქართლში XVII ს-ში იწყება, ხოლო გასულ საუკუნეში მასიური ხასიათი მიიღო.

სომეხი მოსახლეობის გამოჩენა ქვემო ქართლში ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება, მაგრამ განუწყვეტელი შემოსევების შედეგად გვიანშუასაუკუნეებში, აბორიგენ ქართველ მოსახლეობასთან ერთად ამომწყდარა. უფრო გვიან სომეხი მოსახლეობა სახლდება აგრეთვე მეფის ნებართვით. სომეხი მოსახლეობა ქვემო ქართლში მკვეთრად მატულობს 1827-1828 წლებში და შემდგომ პერიოდში რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით.

XIX ს-ის დასაწყისში, კერძოდ, 1818 წელს საქართველოში ჩამოდის გერმანელთა ერთი ჯგუფი, რომელიც სახლდება, აგრეთვე, ქვემო ქართლში.

ქვემო ქართლში დასახლდნენ ბერძნებიც. საერთოდ, ბერძნების მოსვლა ბორჩალოში დაკავშირებულია სამთამადნო სამუშაოების წარმოებასთან. ამ მხარეში გამოცდილი ანატოლიელი ბერძნები მოიწვიეს XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში. ბერძნები ქვემო ქართლში XIX ს.-ის მეორე ნახევარშიც დასახლდნენ. XIX ს-ში დასახლდნენ ქვემო ქართლში აგრეთვე რუსები. ჯერ წარმოიშვა სამხედრო დასახლებები, ხოლო შემდეგ ბევრი მათგანი მუდმივ საცხოვრებლად დარჩა (გვ. 25-26).

ნაშრომში 1721 წლის ქვემო ქართლის აღწერის მასალების მიხედვით გაკეთებულია ქვემო ქართლის მოსახლეობის რეტროსპექტული კარტოგრაფირება.

კობა ხარაძე განიხილავს სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივ პირობებს — ფიზიკურ გეოგრაფიას და მის ფორმირებას სავსებით სამართლიანად უკავშირებს ამ მხარეში ხშირ მიწისძვრებს და მათგან გამოწვეულ მეწყრულ პროცესებს. სამცხის ტერასულ მეურნეობას განიხილავს როგორც ნიადაგების დამეწყრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებს (I, გვ. 21).

მეცნიერული კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ძველი ტოპონიმების ლოკალიზაცია თანამედროვე კარტოგრაფიულ საფუძველზე. იგი წერს: „ვერავითარი აღწერა ვერ შეცვლის ძველი ტოპონიმების კვლევაში რუკების გამოყენებას.., ზუსტ ტოპოგრაფიულ საფუძველზე დამყარებული რუკა კი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციის ერთ-ერთი საიმედო საყრდენია. ძველი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს მოსახლეობის მიერ ცალკეული ადგილების, უბნების და მისთანების შემორჩენილი სახელწოდებები, რომლებიც ხშირად ძველი დასახლებული პუნქტის ნამდვილ სახელს გადმოგვცემს“ (I გვ. 58).

მიუხედავად იმისა, რომ კ. ხარაძე სხვადასხვა წყაროებით სარგებლობს, მისთვის ძირითად საყრდენს, ამოსავალს წარმოადგენს ვახუშტის „აღწერა“ და რუკები. იგი ცდილობს მის მიერ ველზე მოპოვებული მასალა შეუფარდოს ვახუშტის მონაცემებს.

ჩვენი ავტორი აზუსტებს ვახუშტის ცნობას ფოცხოვის ხევისა და ჯაყის წყლის შესახებ და ასკვნის, რომ ვახუშტი ჯაყისწყლის ქვეშ დღევანდელ მდ. ფოცხოვს გულისხმობს; რომ სინამდვილეში, ფოცხოვისწყალი არის მთავარი მდინარე და ჯაყისწყალი მისი მარჯვენა შენაკადია, შუა ნაწილში (I, გვ.. 85).

კ. ხარაძე აზუსტებს ვახუშტის არაზუსტ ცნობას „ვანის მონასტრის, ქვაბლიანისა და თმოგვის მდებარეობის შესახებ (I, გვ. 91).

მისი ვარაუდით ურავლის ხეობაში ვახუშტისეული სოფლის „ხობას“-ს ადგილას უნდა იყოს სოფელი „ანდრიაწმინდა“ — აქ აშენებული ეკლესიის სახელის მიხედვით. ანდრიაწმინდას ახლოს არის ნასოფლარი ბორჯომი. დისერტანტის აზრით, თანამედროვე ბორჯომს, ეს სახელი უნდა დამკვიდრებოდა XIX ს-ში (I, გვ. 98).

ურავლის ხეობის სოფ. მუსხი ვახუშტის რუკაზე „ნუსხის“ სახელით არის დატანილი. ადგილობრივთა გადმოცემით ახალქალაქის მტკვართან არის ნასოფლარი მუსხი, საიდანაც თითქოს გადმოსახლებულან თავიანთ ბაღებში და აქაც უწოდებიათ მუსხი. ახლანდელი მუსხის ადგილას ძველად სოფ. ფულა ყოფილა, აქვეა ნასოფლარი ფულურა (I, გვ. 95).

ვახუშტი ბაგრატიონი ჰობარეთის ხევს დაეჰვებით აიგივებს ხინგის მდინარესთან. კ. ხარაძის აზრით ეს საორჰოფო გაიგივება სწორი არ არის და ხინგის მდინარე უნდა იყოს თანამედროვე რუკებზე აღნიშნული ინჯასუ (I, გვ. 95).

ურავლის ხეობაში სოფ. ხეოთის მოპირდაპირედ ორცეფი ყოფილა. იგი აღნიშნულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ და 1926 წლის მოსახლეობის აღწერაში მოქმედი დასახლება ჩანს. ახლა მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი (I, გვ. 97). ურავლის ხეობის მრავალი ნასოფლარი ლოკალიზებული აქვთ ს. ხოსიტაშვილს და ი. მაისურაძეს.

კ. ხარაძე აზუსტებს ვახუშტის რუკაზე ქარზამეთის მდებარეობას (I, გვ. 101).

მკვლევარის აზრით, ახლანდელი თმოგვი ადრინდელი მარგასტანია (მარგი) იგი იქვე იძლევა სოფლების —ორხოფიას და სალოშეთის, ცოტა ქვემოთ კი გულსუნდას, ეშმაკუბნის, კვარშას, ნაზვრევის, ნარმანის, ხიზას ლოკალიზაციას (I, გვ. 104, 106). ასწორებს ვახუშტის შეცდომას და სოფელ საროს ლოკალიზაციას ახდენს არა ხერთვისის სამხრეთით, არამედ ჩრდილოეთით (I, გვ. 107). იგი ვარაუდობს, რომ ვახუშტის მიერ ხიზაბავრას აღმოსავლეთით აღნიშნული სოფ; გრია უნდა იყოს ახლანდელი ვარგავი; ოთას მახლობლად ნასოფლარი ასკილეთი, ბოხთა (ძველი ბოქთა), ზემო და ქვემო ინთორა (გვგ. III), ნასოფლარი ღართა (გვ. 113); იდუმალასთან მახლობლად ნასოფლარი ახაშენი (გვ; 113).

სოფ. აწყვიტასთან კ. ხარაძე იძლევა ნასოფლარების კვარანთას და დიდეშის, ბნელას, ოსკურიას ლოკალიზაციას (I, გვ. 114).

ვახუშტის ვარენთას დღეს ვარნეთად გაიაზრებენ (I, გვ. 115). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სოფელ ზირას იგი აიგივებს

საყუდებელთან ახლოს მდებარე სოფ. წირასთან; სოფ. ყამზასთან მდებარეობდა „დავთრისეული“ სოფელი ყანუბარი; სოფ. მინაძის ჩრდილოეთით „დავთრისეული“ ნასოფლარი კვალთხევი, რომელსაც ვახუშტი არ იცნობს (I, გვ. 116).

ქ. ხარაძე აზუსტებს ვახუშტისთან დაცული ქვინტის მონასტრის მდებარეობას და მას ვარაუდობს თანამედროვე სოფ. ელიაწმინდის ჩრდილოეთით 2 კმ-ზე; ვახუშტისეული აბანოსხევის ლოკალიზაციას ახდენს წნისის ხევის პარალელურად მიმდინარე მტკვრის შენაკად წინუბნისწყალთან (I გვ. 118).

ჩემს მიერ ჩაწერილი მასალით აბანოსხევს ადგილობრივი მოსახლეობა ფრონესაც უწოდებს.

ვახუშტისეული ფერსათი ახლანდელი ფერსაა. აქვე ყოფილა სოფ. ოკიზა, რომელიც ახლა ნასოფლარია (I, გვ. 119) ხოლო აწყურთან სოფ. წრიოხი, ახლა ნასოფლარი და ციხე საკანაფე, რომლის ნანგრევებიღაა დარჩენილი (I, გვ. 121).

აწყურთანვე, ქ. ხარაძის აზრით, ვახუშტისეული თიხრევი თისელით არის შეცვლილი, ხოლო თიხრევისხევს თისელისღელე ჰქვია (I, გვ. 122).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ თუ ვახუშტის რუკის მიხედვით ვიმსჯელებთ, ფარავნისპირა სოფელი „გასადინარი“ დღევანდელი სოფელ ფოკას ტერიტორიაზეა, ხოლო ფოკას ადგილზე დღევანდელი განძანი უნდა იყოს. მაგრამ ეს მთლად ასე არ არისო. განძანი თავის ადგილზეა, ხოლო ფოკა და ძველი გასადინარი ან ერთ პუნქტად იქცა ან მისი სანახებია.

მკვლევარი ასწორებს ვახუშტის უზუსტობას, რომელსაც საღამოს ტბა ფარავნის ტბის ჩრდილოეთით აქვს მოთავსებული: სინამდვილეში თვით საღამოს ტბაა ფარავნის ტბის სამხრეთით (I, გვ. 125).

ქ. ხარაძის მოსაზრებით ვახუშტისეული გოლის ტბა დღევანდელი მადათაფა უნდა იყოს; ვახუშტის რუკის სოფ. ტაშალანი ახლანდელი გორელოვკაა, რადგან იგი ტბის აღმოსავლეთ, სანაპიროსთან ახლოს მდებარეობდა, ხოლო ეს ტბა ახლანდელი ბულდაშენია (I, გვ. 128); ხოლო ხავეთის ტბა — თანამედროვე ხანჩალის ტბა (I, გვ. 131).

ნაშრომში გამოკვლეულია ბოგდანოვკის რაიონის ანუ თანამედროვე ნინოწმინდის რაიონში XIX-XX სს-ში დუხობორებს მიერ დასახლებებისათვის შერქმეული სახელების დრო, ისეთებისა, როგორიცაა — სპასოვკა, ორლოვკა, გორელოვკა, ეფრემოვკა, ჟდანოვი (ჯერ იყო ეფოვი), კალინინო (I, გვ. 133); აღნიშნულია ბოგდანოვკაში მცხოვრები ზოგიერთ ბერძნულ ან სომხურ გვარებიან პიროვნებათა ქართული წარმოშობა.

მკვლევარი თვლის, რომ ტოპონიმი კოჰიო არის ვახუშტისეული კაჰიო, ხოლო სირქვა, ვახუშტისეული სირგო, აგანა კი — ამბრა (I, გვ. 142).

ქ. ხარაძე წერს: „აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ მდინარის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე მდებარე პუნქტები ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე ერთმანეთს არ უთავდებიან, რაც უთუოდ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ რუკის შემდგენელმა მდინარის ერთი სანაპირო აიარა და სხვა გზით დაბრუნდა. ეს შეუსაბამობა სწორედ იმ მონაკვეთებზეა, სადაც მდინარის ორივე სანაპიროზე გადიოდა გზები. ამის ნათელსაყოფად შეიძლება დავასახელოთ სოფლები ყალამშიანი და მიჯა“ (III. გვ. 44).

ავტორი ასწორებს ალგეთის შენაკად ლოლოვნის ხევთან დაშვებულ ვახუშტის უზუსტობას. იგი აღნიშნავს: „ამ ხეობაში დატანილი სოფლები ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე მთლად ზუსტად ვერ ასახავს სინამდვილეს. ამიტომ არის, რომ მამისდაბა ლოლოვნის თავზე კი არ მდებარეობდა, არამედ ახლანდელი სოფ. ორბეთის სამხრეთ-დასავლეთით ნანგრევების ადგილზე, მდ. ლოლოვნის შენაკადზე. ამ ადგილს ეხლა „შეიკინის ბაღებსაც“ ეძახიან. თვით სოფ. ორბეთი ძველი სოფლის ფიჩხისის ადგილზეა“ (III, გვ. 84).

ნაშრომში ვკითხულობთ: „ვახუშტი ბაგრატიონის (1941) მიხედვით: „ლოუბნის-ხევი გამოსდის კოჟრის გორას და ერთვის ასურეთის —ხევს“. აქ ჩვენს გეოგრაფს უზუსტობა აქვს დაშვებული, რაც მისსავე რუკაზეც არის გამეორებული. ლოუბნის ხევი, ახლანდელი კიტრეულის ხევი (სათავეში ნახშირა ხევი), არ შეიძლებოდა ასურეთის ხევს შერთვოდა რელიეფის ხელშემშლელი პირობების გამო“ (III, გვ. 89-90).

ქ. ხარაძე წერს: „ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე, ტექსტსა და სოფლების სიაში უზუსტობაა, თითქოს ტალავრის ხევის დასავლეთით დამოუკიდებლად იყოს ხევი სარკინეთი. სინამდვილეში, ვახუშტის ტალავრის ხევის დიდი მარცხენა შენაკადი სარკინეთის ხევია (ახლანდელი ყარა-ჩაი) (III, გვ. 107).

ორიოდე მაგალითს მოვიტან შიდა ქართლიდანაც. ქ. ხარაძე აღნიშნავს: „ვახუშტის მიხედვით სურამისწყალი მტკვარს ოსიაურს ზემოთ შეერთვის, ასევეა აღნიშნული მისსავე რუკაზე. სინამდვილეში, სურამის ფრონე, იერთებს რა მდ. მდ. ტილიანსა და ალის ფრონეს, უერთდება ფცის ფრონეს,, რომლის მტკვართან შესართავი ქარელის ახლოსაა. ეს უზუსტობა აიხსნება იმით, რომ ვახუშტის რუკაზე სურამულას ქვემოთ (განედური) მონაკვეთი მტკვ-

რის ტოტადაა გამოსახული“ (II, გვ. 162).

სხვაგან კი წერს: „ვახუშტი ცედანთან და ოძისთან ჩამომავალ მდინარეს ერთ შტოდ თვლის: სინამდვილეში, ამ ორ დასახლებულ პუნქტს სხვადასხვა წყალი ჩაუვლის“ (II, გვ. 164).

ასევე არაა ზუსტი ვახუშტისთან ზოგიერთი დასახლებული პუნქტის მდებარეობა, რომელთაც მკვლევარი აზუსტებს.

სარეცენზიო ნაშრომის მიმართ მაქვს შენიშვნები:

I. კ. ხარაძე წერს: „შრომა წარმოადგენს პირველ ცდას საქართველოს ვრცელი ტერიტორიის — ქართლის ისტორიული გეოგრაფიის სხვადასხვა საკითხის მონოგრაფიულ გაშუქებისას“ (I, გვგ. 11-12).

ასეთი განცხადება, როდესაც არსებობს ი. ჯავახიშვილის, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, დ. მუსხელიშვილის, ს. მაკალათიას, ვ. გამრეკელის, დ. გვრიტიშვილის, დ. ბერძენიშვილის და სხვების სპეციალური წერილები და მონოგრაფიები, მიძღვნილი ქართლის ისტორიული გეოგრაფიისადმი, სწორედაც რომ გაკვირვებასა და გაუგებრობას იწვევს.

2. შენიშვნას იწვევს ნაშრომის სათაური: „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია — ქართლი“, რომლის მიზანი ასეა დაკონკრეტებული: „მიზნად დავისახეთ მთლიანად ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული სურათის აღდგენა, მისი ცალკეული კომპონენტების განვითარება უძველესი პერიოდიდან ბოლო დრომდე“ (I, გვ. II).

სარეცენზიო ნაშრომში ფაქტიურად წარმოდგენილია ქართლის ისტორიული გეოგრაფია XVIII-XIX სს-ში.

3. ავტორი წერს: „შიდა ქართლის ტერიტორია ვრცელდებოდა ტაშისკარიდან თბილისამდე. ვიწრო გაგებით კი იგი საამილახვროს გულისხმობდა“.

აქ მკვლევარი, ალბათ, გულისხმობს ვახუშტის სოფელთა სიაში სათაურს „ქართლისა“. საამილახვროსა და შიდა ქართლს შორის თუნდაც ვიწრო გაგებით ტოლობის დასმა არაა სწორი.

4. მკვლევარი არ მიუთითებს, რომ გაღმამხარი, საისტორიო წყაროების მიხედვით, ზოგჯერ გამოირიცხებოდა შიდა ქართლიდან.

5. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ჯავახეთის ტბებს ადამიანი ძველიდანვე იყენებდა. ისინი მდიდარი იყო თევზით.

ავტორს აქ უნდა მოეტანა დ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ ჯავახეთში ტბების ირგვლივ იქმნებოდა „მიკროქვეყნები“.

უნდა აღვნიშნო, რომ კ. ხარაძე ნაკლებად იყენებს დ. ბერძენიშვილის მონოგრაფიებს ქვემო და ზემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ და ჯ. გვასალიას მონოგრაფიას შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. მათი დამოწმების შემთხვევაში გადმოსცემს მკვლევარის შეხედულებას ისე, რომ არ გამოხატავს მისადმი პოზიტიურ თუ ნეგატიურ დამოკიდებულებას.

6. კ. ხარაძე იშვიათად უთითებს ი. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოსულ 1923 წლის საქართველოს ისტორიულ რუკას, რომლისგანაც დიდადაა დავალებული. ფაქტიურად ეს რუკა წარმოადგენს ვახუშტის რუკების მონაცემების თანამედროვე ტოპოგრაფიულ საფუძველზე გადმოტანის პირველ ცდას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აქ გაპარულია ვახუშტის უზუსტობები.

7. ჩვენ ავტორს ტოპონიმების — ხერთვისი, ტატანისი, სხვილისი მაწარმოებლად სი სუფიქსი მიაჩნია (I, გვ. 52).

ფაქტიურად აქ სი სუფიქსი კი არაა, არამედ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი — ის, რომელსაც ერთვის სახელობითის ნიშანი ი.

8. აბასთუმანზე საუბრისას კ. ხარაძეს არ მოჰყავს მისი ეტიმოლოგია, რომელიც მკვლევრებს აბაზთ-უბნიდან“ გამოჰყავთ.

9. ახალციხის „ამირანის გორის“ არქეოლოგიურ მასალაზე საუბრისას არ იყენებს ტ. ჩუბინაშვილის მონოგრაფიას „ამირანის გორა“.

10. ნაშრომში არაა საუბარი ახალციხის რაბათის სიძველეებზე — აბანო, მეჩეთი, სინაგოგა, ეკლესიები; ახალციხის ახალი ნაწილის ეკლესიებზე, ახალციხეში ძველ ქართულ მოსახლეობასა და XIX ს-ში იქ სომეხთა ჩასახლებაზე. ახალციხის მუზეუმში დაცულია 1836 წლის ტყვიის ფირფიატ, რომელზეც სომხურ ენაზე სწერია ახალციხეში სომეხთა მოსახლეობის 1830 წელს კარინიდან გადმოსახლების შესახებ.

11. კ. ხარაძე საუბრობს მტკვრის ეტიმოლოგიაზე და მოჰყავს სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებები (I, გვ. 89).

მაგრამ არაა მოხმობილი ს. ჯიქიას მოსაზრება, რომელიც მტკვრის ეტიმოლოგიას მეგრული ენის საფუძველზე ხსნის (თსუ შრომები, ტ., 91, 1960).

12. ნაშრომში ვხვდებით გამოთქმებს „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია „ან „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს ან მიგვითითებს“.

რამდენადაც „ქართლის ცხოვრება“ რამდენიმე მემატიანის მიერ შექმნილი კრებულია, რომელშიც მოთხრობილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს-ის ჩათვლით, ყოველთვის უნდა იყოს მითითება რომელ ავტორთან თუ მატიანეში არის ესა თუ ის ტოპონიმი თუ ფაქტი მოხსენიებული.

13. ავტორი წერს: „ვარძიის კლდეში გამოკვეთილი ქალაქი წარმოადგენს თავდაცვის ერთიან რგოლს“ (I. გვ. 102).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტისა და ზოგი სხვა მეცნიერის მოსაზრებით, ვარძია კლდეში ნაკვეთი მონასტერია და არა ქალაქი.

14. კ. ხარაძე ხმარობს გამოთქმებს: „ბაზილიკური ტიპის ეკლესია“, „დარბაზული ტიპის ეკლესია“.

უფრო ზუსტი იქნებოდა დაეწერა: „ბაზილიკა“, „დარბაზული ეკლესია“.

15. მკვლევარი ხშირად „ტოპონიმიის“ ნაცვლად (რაც ტოპონიმთა ერთობლიობას ნიშნავს), ხმარობენ ტერმინს „ტოპონიმიკა“ (ტოპონიმების შემსწავლელი მეცნიერების სახელწოდება).

16. მე ვფიქრობ, რომ მკვლევარები ტოპონიმ „ბეშტაშენს“ სამართლიანად თვლიან მომდინარეს ბეშქენაშენიდან და არა თურქული „ბეშტაშ“-იდან, რაც ჩვენი ავტორის აზრით თურქულად „ხუთ კლდეს ნიშნავს“ (III, გვ. 62).

17. კ. ხარაძე იზიარებს ვახუშტის ეტიმოლოგიას მდ. ქციის შესახებ, როგორც დამაქცეველზე (III, გვ. 71).

ჩემი აზრით, ეს სახელი უნდა მომდინარეობდეს მდინარის მიმართულების მკვეთრად შეცვლიდან, მიქცევიდან.

18. მკვლევარი დასახლებული პუნქტების ლოკალიზაციას ახდენს რუკის მონაცემებისა და ნანგრევ-ნასახლარების იდენტიფიკაციით. ხშირად ტოპონიმის გაუთვალისწინებლად (როდესაც არაა შემორჩენილი ტოპონიმი) (III, გვ. 77), რასაც შეიძლება მოჰყვეს არაზუსტი ლოკალიზაცია — ერთი ნასოფლარის სახელის მიკუთვნება სხვაზე. როცა გვაქვს ნასოფლარი, სახელწოდება და რუკაზე აღნიშვნა, მაშინ ასეთი იდენტიფიკაცია ზუსტია, სხვა შემთხვევაში საეჭვოა, სავარაუდოა.

19. წინწყაროზე საუბრისას კ. ხარაძე არ ახსენებს წინწყაროს ადრეანტიკური ხანის უმდიდრეს სამარხებს, რომლებიც საძეგურის („ახალგორის განძი“) სამარხებთან ერთად უმდიდრესია ქართლში. წინწყარო ანტიკური ხანის ქართლის უმნიშვნელოვანესი ცენტრია.

20. ავტორი წერს: „ბამბაკი სტრაბონისეული გოგარენე უნდა იყოს“ (III, გვ. 113).

სტრაბონისეული გოგარენე ანუ სომხური გუგარქი გაცილებით დიდი პროვინციაა, ვინემ ბამბაკი (იხ. დ. მუსხელიშვილი. «Из исторической географии Вост. Грузии, 1982).

21. მკვლევარი აღნიშნავს: „ვახუშტის რუკაზე აქ მხოლოდ აღჯაყალას ციხეა აღნიშნული. თავისი მდებარეობის მიხედვით ეს ციხე ახლანდელი კუშჩის ციხეს შეესაბამება. ძველად ამ ციხეს გაგის ციხე რქმევია“ (III, გვ. 113).

აქვე უნდა იყოს აღნიშნული, რომ ამ მოსაზრების მტკიცებას დ. მუსხელიშვილმა მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი „აღჯაყალა — გაგის ციხე“.

22. ეხება რა ვახუშტის ნაშრომს კ. ხარაძე წერს: „ასევე რუკაზე სამთავროა აღნიშნული, ტექსტში მუხრანისაა, სოფლების სიაში ორივეა აღნიშნული“ (II, გვ. 20).

ვახუშტის სოფელთა სიაში სათაურია „მუხრანისა სამთავრო“ (და არა ცალ-ცალკე „მუხრანისა“ და სამთავრო“), რომლისთვისაც 56 სოფელია მიკუთვნებული.

23. ნაშრომში ვკითხულობთ: „1010—1029 წლებში კათოლიკოს მელქისედექს ბაგრატ III-ის მეფობის დროს აუგია თანამედროვე ტაძარი (სვეტიცხოველი — ჯ.გ.)“ (II, გვ. 39).

აქ უნდა იყოს მოხსენებული არა ბაგრატ III (978—1014), არამედ მისი ძე გიორგი I (1014—1027).

24. კ. ხარაძე არ საუბრობს უფლისციხეზე როგორც X—XI სს-ში შიდა ქართლის პოლიტიკურ ცენტრზე. საერთოდ მკვლევარი არ საუბრობს „ქვეყნების“, ხევებისა თუ თემების ცენტრებზე, არა და ნებისმიერი პოლიტიკური თუ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული გულისხმობს ცენტრის არსებობას.

25. ავტორი წერს: „მდ. თეძმის მარცხენა მხარეზე სწე მდებარეობდა. იგი ეხლანდელი ფელი უნდა იყოს“ (II. გვ. 48).

სოფელი ფელი დადასტურებულია XVII ს. საბუთში, იგი გიორგი სააკაძის სოფელია.

26. ნაშრომში ვკითხულობთ: „ხანდა ახლანდელ სასირეთთან. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ძველად კავთისხევში მდებარეობდა“ (II, გვ. 51).

არ არის საფუძველი ასეთი იდენტიფიკაციისათვის. სასირეთის ჴალა მდებარეობდა დღევანდელ სასირეთთან. „მატიანე ქართლისაი“-ს მიხედვით, აქ 1047 წ. მოხდა ბაგრატ IV ბრძოლა ლიპარიტ კლდეკარის ერისთავთან.

27. კ. ხარაძე წერს: „XIV საუკუნიდან შიომღვიმე ამილახვართა მფლობელობაში გადადის. XV ს.-დან კი სამუხრანბატონოში შედიოდა“ (II, გვ. 73).

შიომღვიმე XV ს-დან ვერ შევიდოდა სამუხრანბატონოში, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ XVI ს-დან ჩამოყალიბდა. ამასთან შიომღვიმეში მფლობელობა ამილახვრებმა XVI—XVII სს.-შიც შეინარჩუნეს.

28. ნაშრომში წერია: „მთიულეთი — ესაზღვრებოდა ხევს, ხევსურეთს, გუდამაყარს, ბაზალეთს, ქსნისხევს და მაღრან-დვალეთს“ (II, გვ. 81).

ჩემის მხრით დავსძენ. რომ მთიულეთი არ ესაზღვრებოდა და არ ესაზღვრება ხევსურეთს.

29. ზემოთ აღვნიშნე, რომ კ. ხარაძემ არაერთგზის გაასწორა ვახუშტის უზუსტობები, მაგრამ დისერტანტმა შიდა ქართლის რუკაზე

გაიმეორა ვახუშტის შეცდომა, როდესაც ვახუშტის ციკარას სოფელი მოათავსა ხევში, სნოს ხეობაში. ვახუშტისეული ციკარა დღევანდელი წკერეა. ხადა და ცხაოტი, არა მარტო პუნქტებია, არამედ თემები. კ. ხარაძეს უნდა აღენიშნა, რომ მთიულეთი ისტორიული ხადაცხავატია. ასევე ჰართალი არა მარტო პუნქტია, არამედ თემიც. შიდა ქართლის რუკაზე ხანდოს ხევი ჰართლის სამხრეთით არის დატანილი. სინამდვილეში ხანდო ჰართლის ჩრდილოეთითაა (ვახუშტისთან სწორედაა დატანილი). ნასტაკისი ნასპარსევის აღმოსავლეთით არის დატანილი. პირიქით კი უნდა იყოს—ნასტაკისი ქსნისა და მტკვრის ხერთვისში მდებარეობდა (ტოპონიმი დღესაცაა შემორჩენილი).

30. კ. ხარაძე სწორედ წერს წინკიბეზე, როცა მიუთებს, რომ „ვახუშტი ჰურთის ხევსა და წინწყაროს წყლის შესართავთან აღნიშნავს წინკიბეს", მაგრამ ცდება, როცა წერს, რომ წინკიბე ციხესიმაგრეა მაღალ კონცხზეო. ფაქტიურად კი ესაა სოფ. გავაზის ციხე. საქმე ისაა, რომ ი. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ 1923 წლის რუკაზე წინკიბე ზუსტადაა დატანილი ჰურთის მარჯვენა მხარეს, ხოლო სახელწოდება „წინკიბე" აწერია ჰურთის მარცხენა მხარეს გავაზის ციხის ადგილას.

31. ნაშრომში ვკითხულობთ: „შუა საუკუნეების ეკლესია აგრეთვე შემორჩენილია ზღუბირში" (II, გვ. 119).

უნდა აღვნიშნოთ, რომ როკისა და ზღუბირის ეკლესიები არა შუა საუკუნეებისაა, არამედ XIX საუკუნისა. XIX—XX სს. მიჯნისაა ჯავის ეკლესია.

32. ავტორი წერს: „აჩაბეთი ლიახვის ხეობის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი ყოფილა. იგი პირველად ნახსენებია XVI საუკუნეში" (II, გვ. 130).

ჩემის მხრით დავსძენ: აჩაბეთისხევი (ე. ი. აჩაბეთიც) იხსენიება უკვე VII ს. სომხურ გეოგრაფიაში, რომლის მონაცემები ნაშრომში თითქმის არაა გამოყენებული.

ნაშრომის შეფასების დასკვნით ნაწილში მინდა კვლავ მის პოზიტიურ მხარეზე ვისაუბრო.

ქვემო და შიდა ქართლის ტოპონიმების შეპირისპირებისას ავტორი საგულისხმო დასკვნას გვთავაზობს. ქვემო ქართლისაგან განსხვავებით, შიდა ქართლის გეოგრაფიული სახელწოდებების სტაბილურობა გამოწვეულია იმით, რომ აბორიგენ მოსახლეობას ძალიან გვიან შეერია და შემდეგში „განდევნა" კიდეც ადგილობრივი მოსახლეობა. მოსახლეობის ასეთ თანდათანობით შერევამ ვერც კი მოასწრო ახალი სახელწოდებები შეეცვალა და ივი უმთავრესად არაოფიციალური სახელით დარჩა, ან ჩაკვდა, ხოლო არსებული ქართული სახელწოდებები ზოგჯერ მათ ყაიდაზე მოეწყო (II, გვ. 166).

სარეცენზიო ნაშრომი კ. ხარაძის მიერ ფართოდ მოფიქრებული გამოკვლევის ნაწილია. მასში განხილულია საქართველოს მნიშვნელოვანი მხარის — ქართლის ისტორიული გეოგრაფიული საკითხები.

ლიტერატურული და ისტორიული წყაროებისა და აგრეთვე საველე დაკვირვებების საფუძველზე დადგენილია ზემო, შიდა და ქვემო ქართლის და მათში შემავალი მხარეების საზღვრები. გამოანგარიშებულია ქართლისა და მასში შემავალი მხარეების ტერიტორიული მოცულობა და მოსახლეობისა და დასახლებულ პუნქტთა სიმჭიდროვე. XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრების საფუძველზე გაკეთებულია ქართლის მხარეების რეტროსპექტული კარტოგრაფირება.

კობა ხარაძის ნაშრომი ძირითადად ეხება XVIII ს.-ი ქართლის ისტორიულ გეოგრაფიას. იგი არსებითად წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოს" კომენტირებას.

წერილობით წყაროებისა და ველზე მოპოვებული მასალის წყალობით კ. ხარაძე ახდენს ვახუშტის ნაშრომში მოცემულ ტოპონიმთა დიდი ნაწილის ლოკალიზაციას.

კ. ხარაძეს სარეცენზიო ნაშრომით შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევაში. აღსანიშნავია, რომ იგი წარმატებით მუშაობს აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიის ისტორიაში.

ჯონდო გვასალია

●

თბილისი რუსთაველის ქ. № 28

●

**ტელეფონები:** მთ. რედაქტორის — 99-51-61, მთ. რედაქტორის მოადგილის, პ/მგ. მდივნის 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 17.06.93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. II. 94 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 X 12$, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი. 16,8, ტირაჟი 2700. შეკვეთა 952 ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა" სტამბა, კოსტავას ქ. № 14.

~~ფასი 10.000 კუპ.~~

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა